

K 184 948
3



ილია ცაბახაძე

მასალეჲი
XVIII საუკუნის
წიგნედი მეთხედის
საქარბუელოს
ისტორიისათვის

მეცნიერება



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია საქართველოს
მეცნიერებათა
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ИНСТИТУТ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ И ЭТНОГРАФИИ
ИМ. И. А. ДЖАВАХИШВИЛИ



И. М. ТАБАГУА



МАТЕРИАЛЫ
ДЛЯ ИСТОРИИ ГРУЗИИ ПЕРВОЙ
ЧЕТВЕРТИ XVIII ВЕКА

ILIA M. TABAGOUA

MATERIAUX
POUR L'HISTOIRE DE LA GÉORGIE
DU PREMIER QUART DU
XVIII-E SIÈCLE

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

EDITION „METSNIEREBA“

ТБИЛИСИ — 1982 — ТБИЛИСИ

ილია ტაბაღუა



მ ა ს ა ლ ე ბ ი
XVIII საუკუნის პირველი
მეოთხედის საქართველოს
ისტორიისათვის

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1982

9(ც.მ.მ.), 17^ა (001)



9 (C 41)
63.3 (2 Γ)
9 (47.922) (001)
⊕ 12

საქართველოს ისტორიის
3-182.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველო-ირანის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი XVII საუკ. ბოლოსა და XVIII საუკ. დასაწყისში. ნაჩვენებია ქართველთა როლი სეფიანთა ირანში; იოსებ ქართველის მოღვაწეობა ირანსა და თურქეთში 1717—1726 წწ. ნაშრომისადმი დართული მასალები და დოკუმენტები, რომლებსაც ავტორმა მიაკვლია უცხოეთის არქივებსა და წიგნსაცავებში, თარგმნილი, კრიტიკულად განხილული და კომენტირებულია. ნაშრომს ერთეის ზოგიერთი დოკუმენტის ორიგინალი ქართული თარგმანით, ხოლო ზოგიერთისა—ქართული თარგმანი.

K 184 948

სკვპ-2090
შეგთქმულია

ძ. შარაშენი სან. სტმ.
ბბრ სახელმწიფო
რეპუბლიკურ
ბიბლიოთეკა

249 221 230

წინასიტყვაობა

წიგნში — „მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის“ განხილულია საქართველო-სპარსეთის ურთიერთობა 1675—1722 წწ. და იოსებ ქართველის მოღვაწეობა უცხოეთში, კერძოდ, სპარსეთსა და თურქეთში 1717—1726 წლებში.

ამასთან დაკავშირებით აქ თავი მოვუყარეთ იოსებ ქართველის ნაშრომებს და უცხოეთში მის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ სხვა მასალებს, რომლებსაც მივაკვლიეთ საფრანგეთის, ინგლისისა და თურქეთის არქივებსა თუ წიგნსაცავებში. მათ შორის: იოსებ ქართველის „მოგონებები სპარსეთში უკანასკნელი არეულობის შესახებ. 1723 წლის 31 იანვარი“; „მოხსენებითი ბარათი სპარსეთში უკანასკნელი არეულობის შესახებ მისი დასაწყისიდან 1724 წლის ბოლომდე“, გაგზავნილი კონსტანტინოპოლში საფრანგეთის საელჩოდან პარიზში; კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩის მარკიზ დ'ანდრეზელის 1725 წლის 5 აგვისტოს წერილი; თურქული სამახსოვრო ბარათის თარგმანი ფრანგულად სპარსეთში მომხდარი არეულობის შესახებ; ლ. ა. დე ბურბონის წერილი და ავღანებთან სპარსელების ბრძოლის აღწერა; დამატება მოხსენებითი ბარათისა; 1724 წელს შედგენილი ანგარიში; თურქულ ენაზე შედგენილი იოსებ ქართველის „ანგარიში“ (სტამბოლის არქივიდან); გლაზგოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შემონახული იოსებ ქართველის შემოხსენებული თურქულ ენაზე შედგენილი „ანგარიშის“ პირი და ინგლისელი პროფესორის ტ. ჰ. ვეირის მისი ინგლისური თარგმანი; ელჩი დ'ანდრეზელის 1725 წლის 27 თებერვლის წერილი, მისივე 1726 წლის 30 ოქტომბრის წერილი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სტამბოლის არქივში დაცული თურქულ ენაზე შედგენილი „ანგარიში“, რომელიც იოსებ ქართველმა თურქეთის იმპერიის დიდგვირს წარუდგინა¹, და გლაზ-

¹ ამ ხელნაწერის მიკროფილმი სტამბოლის არქივიდან მივიღეთ სსრ კავშირში დიდი ბრიტანეთის ელჩის სერ კ. კიიზლის საშუალებით, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუძღვნით.



გოს უნივერსიტეტის ჰანტერის ბიბლიოთეკაში შემონახული მისი პირი².

ჩვენ აქ ვაქვეყნებთ ამ მასალების ქართულ თარგმანებსა და ზოგიერთი მათგანის ორიგინალს ჩვენი კომენტარებით. ეს საშუალებას მისცემს დაინტერესებულ მკითხველს, სრული წარმოდგენა იქონიოს როგორც იოსებ ქართველის პიროვნებაზე, ისე აღნიშნულ წლებში სპარსეთსა და თურქეთში მის მოღვაწეობაზე.

ჩვენ დიდი ხანია გვაინტერესებს იოსებ ქართველის პიროვნება. გავეცანით მის შესახებ გამოქვეყნებულ უცხოელი და ქართველი ავტორების ნაშრომებს. ჯერ კიდევ 1961 წელს იოსებ ქართველის შესახებ საარქივო მასალების გაცნობამ (კერძოდ, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში) იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ზოგიერთი ავტორი (ლ. ლოკარტი, ვ. გაბაშვილი და სხვ.) გადაჭარბებით აფასებს იოსებ ქართველის პიროვნებას და მის მოღვაწეობას. ამასთან დაკავშირებით ნაწილობრივ გამოვთქვით აზრი ჩვენს სტატიებში³.

აქ მოთავსებული ზოგიერთი დოკუმენტი (ეს პირველ რიგში ეხება იოსებ ქართველის მიერ ისტაპანში ფრანგულ ენაზე შედგენილ „მოგონებას“ და 1724 წელს ლათინურ ენაზე შედგენილ „ანგარიშს“) ისეთი ცუდი ხელითაა დაწერილი, რომ შეუძლებელი გახდა ზოგიერთი სიტყვის, ზოგჯერ წინადადების ამოკითხვა ან გაგება იმისა, თუ რისი თქმა სურს მის ავტორს. ასეთ შემთხვევაში მივმართეთ ვარაუდს და გაურკვეველი ასოები თუ სიტყვები კვადრატულ ფრჩხილებში ჩავსვით. ზოგჯერ იოსებ ქართველი ფრანგული გამოთქმის ორ ვარიანტს იძლევა. მისი მეორე ვარიანტი ჩვენ ჩვეულებრივ ფრჩხილებში მოვათავსეთ.

ხელნაწერ ტექსტებში არ შეგვიცვლია დოკუმენტის შედგენის პერიოდის დამწერლობის ნორმები. ასევე შესწორება არ შეგვიტანია დოკუმენტის ავტორის მიერ დაშვებულ გრამატიკულ თუ

² ამ ხელნაწერის ფოტოპირის მიღებაში დახმარებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ საზოგადოება „დიდი ბრიტანეთი—სსრ კავშირის“ თავმჯდომარეს სერ ფიტცროი მაკლინს.

³ I. T a b a g o u a, Pour servir à l'histoire de l'activité de Joseph Géorgien en Orient, «Bedi Kartlisa revue de kartvélogie», t. XXXIII, pp. 204—215, Paris, 1975; ი. ტ ა ბ ა ლ უ ა, იოსებ ქართველის მოღვაწეობა ირანსა და თურქეთში (1717—1726 წწ.), ივანე ჯავახიშვილის დაბადების, 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976, გვ. 370—379.



სტილისტურ შეცდომებში. ამრიგად, დოკუმენტების ტექსტების
აქ იმ სახითაა გამოქვეყნებული, როგორც სახითაც ისინი ჩვენ არ-
ქვეებიდან ავიღეთ. ჩვენ მხოლოდ ტექსტების ავტორების მიერ
გადაბმულად დაწერილი სიტყვები დავაშორეთ ერთმანეთს. ქართუ-
ლი თარგმანის ბოლოს მივეცი თ საბუთის მოკლე არქეოგრაფიული
აღწერა.

აქ მოთავსებული ყველა დოკუმენტი პირველად ქვეყნდება.

წინამდებარე წიგნში მოცემულია აგრეთვე ავღანეთში სტუ-
მრად ყოფნის დროს (1969 წლის ივლისი-აგვისტო) ავტორის მიერ
მიღებული ზოგიერთი შთაბეჭდილება.

ПРЕДИСЛОВИЕ

В данной книге — «Материалы для истории Грузии первой четверти XVIII века» — исследуются грузинско-персидские отношения в 1675—1722 гг. и деятельность Иосифа Грузина (Картвели) за рубежом, в частности в Персии и Турции в 1717—1726 гг.

В связи с этим мы собрали работы Иосифа Грузина и другие материалы, связанные с его деятельностью, обнаруженные нами в архивах и книгохранилищах Франции, Англии и Турции. В том числе: «Воспоминания о последней гражданской войне в Персии» (31 января 1723 г.) Иосифа Грузина; «Докладная записка о последней революции в Персии с происхождения до конца 1724 г.», отправленная из французского посольства в Константинополе в Париж; Письмо французского посла в Константинополе маркиза д'Андрееля от 5 августа 1725 г.; французский перевод памятной записки, составленной на турецком языке о последней революции в Персии; Письмо Ж. А. де Бурбона и описание борьбы персов с афганами; Дополнение к сведениям; Отчет, составленный в 1724 г.; Письмо французского посла д'Андрееля от 27 февраля 1725 г. и его же письмо от 30 октября 1726 г.; Перевод на английский язык проф. Т. Х. Вейром рукописи «Отчета», составленного Иосифом Грузином на турецком языке, из библиотеки университета Глазго.

Особенно следует отметить рукопись «Отчета», составленного на турецком языке Иосифом Грузином и представленного великому визирю Оттоманской империи, хранящуюся в Стамбульском архиве¹, и его копии, имеющиеся в библиотеке университета Глазго².

¹ В получении микрофильмов этих рукописей нам оказал большую помощь Чрезвычайный и Полномочный посол Великобритании в СССР сэр К. Кийбл, за что выражаем ему глубокую благодарность.

² Фотокопии этих рукописей мы получили при содействии президента общества «Великобритания—СССР» сэра Фитцроя Маклина, за что искренне ему благодарны.

В данной книге публикуется грузинский перевод с комментариев всех этих материалов. По нашему мнению, эти документы и материалы дадут возможность заинтересованным лицам и специалистам иметь полное представление о личности Иосифа Грузина и его деятельности за рубежом.

Работая в архивах и книгохранилищах за рубежом с 1961 года (в частности, во Франции), мы обнаружили множество документов о Иосифе Грузине. С самого начала, ознакомившись с этими материалами, мы пришли к выводу, что некоторые авторы (Л. Локарт, В. Габашвили и др.) слишком переоценивают деятельность Иосифа Грузина. Наше мнение по этому поводу частично мы высказали в статьях, опубликованных в разное время³.

Помещенные здесь некоторые документы («Воспоминания» Иосифа Грузина, французский перевод памятной записки... и «Отчет» на латинском языке) написаны столь неясным почерком, что разобрать слова, а в отдельных случаях даже предложения, оказалось невозможным. В таких случаях мы предположительно поместили неразборчиво написанные буквы или слова в квадратные скобки, а варианты — в обыкновенные скобки.

В текстах документов мы придерживались норм правописания той эпохи. Мы лишь разъединили слитно написанные слова, не внося грамматических или стилистических исправлений. Тексты документов здесь публикуются в таком виде, в каком мы их взяли из архивов и книгохранилища. Все документы, помещенные здесь, публикуются впервые. В конце переводов даются краткие археографические описания документов.

В данной книге приводятся также некоторые впечатления (по поставленным здесь вопросам), полученные автором во время его пребывания в гостях в Афганистане (в июле—августе 1969 года).

³ I. T a b a g o u a, Pour servir à l'histoire de l'activité de Joseph Géorgien en Orient, «Bedi Kartlisa revue de kartvelologie», Paris, 1975, vol. XXXIII, pp. 204—215; И. Т а б а г у а, Деятельность Иосифа Грузина в Иране и Турции (1717—1726), Юбилейный сб., посвящ. 100-летию со дня рождения акад. И. А. Джавахишвили, Тбилиси, 1976.

PRÉFACE

Dans le présent ouvrage—„Matériaux pour l'histoire de la Géorgie du premier quart du XVIII—e siècle“—on examine les relations géorgiano-persanes en 1675—1725 et l'activité de Joseph Géorgien à l'étranger, particulièrement en Perse et en Turquie en 1717—1726.

A ce propos nous avons rassemblé ici les travaux de Joseph Géorgien et des matériaux relatant son activité à l'étranger, matériaux que nous avons trouvés dans les archives et bibliothèques de France, d'Angleterre et de Turquie. Notamment: „Mémoire sur la dernière guerre civile de Perse. 31 janvier 1723“ de Joseph Géorgien; „Mémoire sur la dernière révolution de Perse jusqu'à la fin de l'année 1724“, envoyé par l'Ambassade de France à Constantinople; Une lettre de l'Ambassadeur de France à Constantinople d'Andrézel du 5 août 1725; Traduction d'un Mémoire Turc sur l'origine de la révolution arrivée en Perse; Une lettre de L. A. de Bourbon et la relation de la bataille des Perse avec les Avgans; Addition à la relation; Compte rendu composé en 1724; Compte rendu Turc de Joseph Géorgien conservé aux Archives d'Istamboul; Compte rendu Turc de Joseph Géorgien conservé à la bibliothèque de Hunter de l'Université de Glasgow, traduit en anglais par le professeur T. H. Weir; Une lettre de l'Ambassadeur de France à Constantinople d'Andrézel du 27 février 1725; Une lettre de l'Ambassadeur de France à Constantinople d'Andrézel du 30 octobre 1726.

Il faut surtout mentionner le „Compte rendu“, rédigé en turc et conservé aux Archives d'Istamboul présenté par Joseph Géorgien

au Grand Visir de l'Empire d'Ottoman¹ et sa copie conservée à la bibliothèque de Hunter de l'Université de Glasgow².

Nous publions ici les traductions géorgiennes de ces matériaux, de même que les originaux en français et latin, y compris des notre commentaires. Ceci permettra au lecteur intéressé de se faire une idée complète aussi bien de la personnalité de Joseph Géorgien que de son activité en 1717—1726.

Depuis longtemps nous intéressons à la personnalité de Joseph Géorgien. Nous avons consulté les ouvrages d'auteurs étrangers et géorgiens qui lui sont consacrés les travaux. Dès 1961 les matériaux des Archives (en particulier, des Archives du Quai d'Orsay) nous ont suggéré la conclusion que certains auteurs (L. Lockhart, V. Gabachvili et autres) portent une appréciation exagérée sur la personnalité et l'activité de Joseph Géorgien. Nous avons émis notre opinion à ce sujet dans nos articles³.

Certains documents ici publiés (tout d'abord il s'agit de „Mémoire“ de Joseph Géorgien et du Compte rendu composé en 1724) ont une écriture tellement difficile que dans certains cas il a été impossible de déchiffrer des mots, parfois même des propositions entières. Il a été impossible de savoir ce que voulait dire l'auteur de ce document. D'autre part, l'auteur donne différentes variantes des expressions françaises et laisse l'une et l'autre expressions sans biffer.

Dans de pareils cas nous avons mis à titre de supposition les lettres, les mots entre crochets. Dans le texte des documents nous avons observé l'orthographe de l'époque. Nous n'avons que séparé les mots écrits ensemble sans y apporter d'autres changements.

Tous les documents ci—dessous paraissent pour la première fois.

Le présent livre contient également certains impressions (concernant les questions qui y sont posées), reçues par l'auteur pendant son séjour en Afghanistan (juiett-août 1969).

¹ Nous avons reçu le microfilm de ce manuscrit des Archives d'Istanbul grâce à l'Ambassadeur de la Grande Bretagne en l'URSS Sir Curtis Keble (Her Britanis Majesty's Ambassador) dont nous le remercions.

² Nous remercions vivement le Président de la Société «The Great Britain-USSR» Sir Fitzroy Maclean pour nous avoir aidé à obtenir le photocopie de ce manuscrit.

³ Cf. I. T a b a g o u a, Pour servir à l'histoire de l'activité de Joseph Géorgien en Orient, «Bedi Kartlisa revue de kartvelologie», vol. XXXIII, pp. 204—215, Paris, 1975; I. T a b a g o u a, L'activité de Joseph Géorgien en Iran et en Turquie en 1717—1726 (en Géorgien), Recueil: Le centenaire d'I. Djavakhchvili, Tbilissi, 1976, pp. 370—379.

საქართველო-სპარსეთის ურთიერთობა

1675—1722 წწ.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლი საქართველოს სხვა მხარეებს შორის ყველაზე უფრო მოწინავე იყო. ამ დროს აქ ბაგრატიონების მუხრანბატონთა შტოს წარმომადგენელი, თეიმურაზ მუხრანბატონის შვილი — ვახტანგ V (შაჰნავაზ I) მეფობდა (1658—1675). „მუხრანბატონების დინასტიის წარმომადგენელი, — წერს ისტორიკოსი გ. ჯამბურია, — მათ შორის ვახტანგიც, გამოირჩეოდნენ ქართული მწერლობისა და ისტორიის კარგი ცოდნით, საერთოდ ისინი განათლებული მოღვაწეები იყვნენ და ქართული კულტურის განვითარებას ხელს უწყობდნენ. ვახტანგი, მართალია, მუსლიმანი იყო, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად. არსებითად ის ხელს უწყობდა ქრისტიანული ეკლესიის გაძლიერებას“¹.

ბაგრატიონთა ამ „უმცროს შტოზე“, მათს შთამომავლობაზე ბევრ ავტორს (მათ შორის, უცხოელსაც) გამოუთქვამს დადებითი აზრი. ისტორიკოსები განსაკუთრებით მიუთითებენ ბაგრატიონების ამ ოჯახის წარმომადგენელთა სამშობლოსადმი უანგარო თავგანწირვაზე. „მუხრანის ბაგრატიონთა წრე, — წერს ისტორიკოსი ლ. სანიკიძე, —თავიდანვე მაღალნიჭიერი, მაღალზნეობრივი და მაღალმამულიშვილური სულისკვეთებით გამოსჩანდა ზოგადქართული კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების გზაზე. ბაგრატიონთა ეს „უმცროსი შტო“ ყველა თაობაში გამოირჩეოდა დიდი მწიგნობრობით, განათლებით და განსწავლულობით, სამშობლო ქვეყნის დიდი წარსულის ღრმა ცოდნით და თავყვანისცემით, საერო და სასულიერო აღმშენებლობით, ფართო პოლიტიკური განზრახვებით და ქვეყნის საკეთილდღეოდ უანგარო თავგანწირვით“².

¹ იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 343.

² ლ. სანიკიძე, უქარქაშო ხმლები, წიგ. III, თბ., 1978, გვ. 476—477.

ალსანიშნავია ისიც, რომ ვახტანგის შვილებს³ შორის ძირითადად კარგი ურთიერთდამოკიდებულება იყო, ისინი მხარს უჭერდნენ ერთმანეთს და საჭირო შემთხვევაში ერთმანეთს ეხმარებოდნენ.

ვახტანგ V არაერთხელ შეეცადა საქართველოს გაერთიანებას. 1661 წელს მან იმერეთის ტახტზე თავისი ვაჟი—14 წლის არჩილი დასვა, მაგრამ ეს დიდხანს ვერ გაგრძელდა. მისი ამ ნაბიჯის წინააღმდეგი აღმოჩნდნენ როგორც იმერეთის დიდებულები, ისე თურქეთის სულთანიც. ვახტანგი იძულებული გახდა, უკან დაეხია.

ვახტანგმა ერთხანს ქართლ-კახეთიც გააერთიანა. იქ მეფედ ისევ თავისი შვილი — არჩილი, დასვა. მაგრამ ქვეყნის გაერთიანებისა და ცენტრალიზებული ხელისუფლების შექმნისაკენ მიმართული ვახტანგის პოლიტიკა სპარსეთის შაჰის კარზე უკმაყოფილებას იწვევდა. ვახტანგის პატრიოტული პოლიტიკის წინააღმდეგ განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდა სპარსეთის დიდვაზირი (ეთემად ად-დოულე) შეიხ ალი-ხანი.

სპარსეთის შაჰის კარი ქართლის მეფეს უნდობლად უყურებდა, მას ბრალს სდებდა რუსეთთან კავშირში. ამასთანვე, 1675 წელს არჩილმა კახეთის ტახტი დატოვა (სადაც მას შაჰის კარმა მოსკოვიდან მოწვეული ერეკლე — შემდგომში ერეკლე I, დაუპირისპირა) და ახალციხის ფაშასთან ჩავიდა. მას იქ თავისი ძმა ლუარსაბი დახვდა. ასეთ მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში ვახტანგ მეფემ გადაწყვიტა, შაჰს ხლებოდა. შაჰ სულთან სულეიმანმა (1666—1694) ისარგებლა ამ მომენტით და შეუთვალა ვახტანგს, ისფაჰანში ჩასულიყო.

1675 წელს ვახტანგ V თბილისიდან ისფაჰანს გაემგზავრა. ქართლის ტახტზე მან თავისი მეორე ვაჟი—გიორგი, დატოვა. ისფაჰანისაკენ მიმავალი ვახტანგ მეფე⁴ ავად გახდა და ყაზვინსა და ყუმს შორის მდებარე პატარა ქალაქ ხოშკერულში⁵ 57 წლის ასაკ-

³ ვახტანგ V-ს ყაფლან ბარათაშვილ-ორბელიშვილის ასულ როდამისაგან ექვსი ვაჟიშვილი (არჩილი, გიორგი, ალექსანდრე, ლევან, ლუარსაბი, სოლომონი) და ორი ქალიშვილი (ანუკა, თამარი) ჰყავდა.

⁴ ჩვენი აზრით, ეს ვახტანგ მეფე უნდა იგულისხმებოდეს იმ „ქართველ უფლისწულში“, რომელიც მოხსენიებულია ერთ-ერთი დასავლელი მოგზაურის ჩანაწერებში. ხსენებული მეფე შემდგომში თვითონ „მოგზაურობის“ ავტორსაც უნახავს იხ. ი. ტაბაღულა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკ. I მეთხედი), თბ., 1972, გვ. 34.

⁵ ქ. ხოშკერული—მდ. სერულზე, თეირანის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ში გარდაიცვალა. შაჰ სულეიმანმა ვახტანგის შვილი ალექსანდრე (რომელიც იმ დროს შაჰის კარზე იმყოფებოდა) ხოშკერდობაში შეიჭრა და ზაენა და ბრძანა — ვახტანგი ქ. ყუმში მისი მამობილის — როსტომ მეფის გვერდით დაესაფლავებინათ.

ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ კანონით ქართლის ტახტი მის უფროს ვაჟს არჩილს ეკუთვნოდა, მაგრამ შაჰის კარი არჩილს, როგორც თურქეთის მხარეზე მყოფს, ქართლის ტახტს არ დაუთმობდა. უფრო მეტიც, შაჰის კარზე იყო ერთი ჯგუფი ეთემად აღდოულე შეიხ ალი-ხანის მეთაურობით, რომელსაც საერთოდ არ უნდოდა, ვახტანგის ოჯახიდან ვინმეს ქართლის ტახტი დაეკავებინა.

ვახტანგის მიერ ქართლის ტახტზე დატოვებული გიორგი ისფაჰანში მიიწვიეს. ამ დროს ქართლის ტახტს ოთხი პრეტენდენტი გამოუჩნდა: გიორგი, რომელსაც ტახტი უკვე ეკავა, ერეკლე და გიორგის ორი ძმა: ალექსანდრე (ამ დროს ისფაჰანში მყოფი) და არჩილი. შაჰ სულეიმანი გიორგიზე შეჩერდა. ამასობაში 1677 წელი დადგა⁶.

ამრიგად, ვახტანგ V-ის მეორე ვაჟიშვილი — გიორგი, გიორგი XI-დ წოდებული (შაჰნავაზ II), ქართლის მეფე გახდა. გიორგი XI-ის მეფობის პერიოდი (1677—1688) სპარსეთთან ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავებით ხასიათდებოდა. შაჰის კარზე ეთემად აღდოულე შეიხ ალი-ხანის ანტიქართული ინტრიგები გრძელდებოდა. ამასთან, კახეთში ყიზილბაშების აღვირაბსნილობას ბოლო არ უჩანდა.

მიუხედავად ამისა, გიორგი, „მამაცი და ხელგაშლილი ხასიათით დაჯილდოვებული“⁷ პიროვნება, ცდილობდა სპარსეთის ბატონობისაგან თავის დაღწევას, თუმცა ეს მას ტახტის დაკარგვად დაუჯდა.

გიორგი ქვეყნის მმართველობას ენერგიულად შეუდგა, არაფერს იშურებდა იმისათვის, რათა ქართლში მეფის ხელისუფლება განემტკიცებინა და სპარსეთის ბატონობისათვის ბოლო მოეღო.

⁶ გ. პაიქაძის აზრით, ეს მოხდა 1676 წლის სექტემბრის ბოლოს ან ოქტომბრის დასაწყისში (იხ. გ. პაიქაძე, XVII საუკუნის ბოლო მეოთხედის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის ზოგიერთი საკითხი, „მაცნე“, ისტ. სერია, 1677, № 2).

⁷ M. Brosset, Documents originaux sur les relations diplomatiques de la Géorgie avec la France vers la fin du règne de Louis XIV, «Journal Asiatique», t. IX, Paris, 1832, p. 93.

გიორგი XI ისტორიაში შევიდა, როგორც ერთ-ერთი ძლიერი პიროვნება. „იგი იყო მამაცი, ენერგიული ადამიანი, რომელსაც სულელობა და ფიზიკური ძალა გააჩნდა; ლამაზი და წარმოსადგევი, მომღიმარი სახის, სასიამოვნო მოსაუბრე, გულუხვი, მაგრამ ფიცხი. ვარჯიშობის ყველა სახეობაში შეუდარებელი მხედარი და მსროლელი“⁸.

1688 წელს კახეთის მოსახლეობამ თხოვნით მიმართა გიორგის, დახმარებოდა მათ სპარსელი მმართველის — განჯის განმგებლის სელიმ-ხანის განდევნაში. გიორგი თანახმა იყო, ესარგებლა ამ მომენტიტ და გადაეწყვიტა ქართლ-კახეთის გაერთიანების საკითხი. მაგრამ ეს კარგი ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა. შაჰის კართან საქართველოს დაძაბული ურთიერთობა გრძელდებოდა.

ამ დროს გიორგის ორი ძმა — ალექსანდრე და ლუარსაბი ისფაჰანში იყვნენ. შაჰ სულეიმანმა გიორგისაგან კიდევ ერთი ძმის — ლევანის ისფაჰანში გაგზავნა მოითხოვა. შაჰთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების მიზნით გიორგიმ შაჰს თავისი ერთ-ერთი შვილი — ბაგრატი და ძმა ლევანი გაუგზავნა. შაჰი მაინც არ დამშვიდდა. მას აშკარად არ აწყობდა გიორგის პოლიტიკა: ბრძოლა სპარსეთის მომხრე თავადების წინააღმდეგ და ქვეყნის გაერთიანებისაკენ მისწრაფება.

გიორგის პოლიტიკით უკმაყოფილო შაჰ სულეიმანმა გადაწყვიტა, მის ადგილზე დაესვა ერეკლე ბატონიშვილი, რომელიც შაჰის კარზე 13 წლის განმავლობაში ყოფნის შემდეგ გამაჰმადიანებაზე ადვილად დათანხმდა. ერეკლე სპარსეთის ლაშქრის თანხლებით თბილისისაკენ გაემართა. გიორგიმ შაჰის მოთხოვნა არ შეასრულა — ისფაჰანში არ გაემგზავრა, იმერეთში გადავიდა, მაგრამ ქართლში დაბრუნების იმედი არ დაუკარგავს⁹.

ამრიგად, 1688 წელს ქართლის ტახტზე დაჯდა ერეკლე I (1688—1703)¹⁰. გიორგის ანტისპარსულმა პოლიტიკამ თავისი გა-

⁸ M. Brosset, Histoire de la Géorgie depuis l'Antiquité jusqu'au XIX-me siècle, II partie, St. Petersburg, 1856, p. 82.

⁹ M. Brosset, Documents originaux, p. 94. იხ. ასევე: Du Cerce au, Histoire de la révolution de Perse, Paris, 1728, t. I, p. 170. ავტორი მალალ შეფასებას აძლევს გიორგის. ეხება ადგილობრივი თავადების — „ერისთავების“ წინააღმდეგ მის ბრძოლას.

¹⁰ ერეკლე I ანუ ნაზარ ალი ხანი — ასევე ბაგრატიონთა გვარიდან, თეიმურაზ I-ის შვილის დავითის ძე, 1654 წლიდან რუსეთის მეფის კარზე იმყოფებოდა. იგი ერთხანს (1664 წ.) კახეთსაც მართავდა.



მოძახილი ჰპოვა ისტაჰანში: შაჰის ბრძანებით ბაგრატი და როგორც პატიმრები ჰერათის ციხეში გაგზავნეს, ხოლო (ძალით წინდაცვეთილი) და ალექსანდრე—ქირმანის ციხეში ჩასვეს.

ერეკლე I ქართლში ავტორიტეტით არ სარგებლობდა. „იგი არ იცნობდა არც ქართლს, არც ქართულ ზნე-ჩვეულებას, — წერდა მ. ბროსე, — და მმართველობის არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა. ის ლაპარაკობდა ბინძური და უხეში სიტყვებით, უყვარდა სმა, კარგი სუფრა და სიამოვნება“¹¹. გამაჰმადიანებულმა ერეკლემ ქართლში სპარსული ზნე-ჩვეულებები გაავრცელა. მისი პოლიტიკით არც ქართლის თავადები იყვნენ კმაყოფილი და არც შაჰის კარი. ამასთანვე, შაჰის კარზე გიორგის პიროვნების მიმართ სულ უფრო მეტ დაინტერესებას იჩენდნენ.

1694 წელს შაჰ სულთან სულეიმანი გარდაიცვალა ისე, რომ მემკვიდრეობის ანდერძი არ დაუტოვებია. მას სხვადასხვა ცოლისაგან ორი ვაჟიშვილი ჰყავდა: აბას-მირზა და ჰუსეინ-მირზა. ჰუსეინს დეფორმირებული ფეხები ჰქონდა, ხანდახან მარტოობაც უყვარდა. ზოგჯერ დილიდან საღამომდე თავი ყურანში ჰქონდა ჩარგული. ამიტომ ზედმეტ სახელად „დავრიში“ შეარქვეს¹², თუმცა იგი არც ამქვეყნიურ სიამოვნებას იკლებდა. შაჰის კარზე მოკალათებულ გავლენიან საქურისებს იგი ცინიკურად ეუბნებოდა: თუ გინდათ სამხედრო მონარქი გყავდეთ, შეგიძლიათ შაჰის ტახტზე აბას-მირზა დასვათ; თუ გინდათ მშვიდობიანი ცხოვრებით დატკბეთ, მაშინ ტახტზე ჰუსეინ-მირზა, ე. ი. მე, დამსვითო.

საკუთარი ბებუის აქტიური მოქმედებითა და საქურისების მხარდაჭერით 1694 წლის 7 აგვისტოს სპარსეთის ტახტზე დაჯდა 26 წლის ჰუსეინ-მირზა (1694—1722)—სეფიანთა დინასტიის უკანასკნელი შაჰი. აბას-მირზა კი პარამხანის შინასატუსალოში გამოკეტეს¹³.

უცხოელი ავტორები, როდესაც შაჰ სულთან ჰუსეინის პირად ცხოვრებას ეხებიან, ხაზს უსვამენ ორ მომენტს: „პარამხანაში ანუ ანდარუნში ქალებისადმი მის დამოკიდებულებას და მის უგუნჯრ მფლანგველობას“¹⁴. შაჰი არავითარ ანგარიშს არ უწევდა იმ უზარმაზარ ზარალს, რასაც იგი ამ გზით სახელმწიფოს აყენებდა.

K 184.940
3

¹¹ M. Brosset, Histoire de la Géorgie, pp. 87—88.
¹² Du Cerceau, Op. cit., p. 6.
¹³ A Chronicle of the Carmelites in Persia and Papal Mission of the XVIIIth and XVIII th centuries, vol. I, London, 1939, p. 470; Du Cerceau, Op. cit., pp. 3—6.
¹⁴ A Chronicle of the Carmelites, p. 471. ირანული სახლი იყოფა ორ ნაწილად—კაცებისა და ქალების სამყოფელად, რომლებსაც ეწოდება: ბირუნი და ანდარუნი.

ფრანგი მისიონერი დიუ სერსო წერს: „მეტად მძიმე ტვირთად დააწვა სახელმწიფოს ჰარამხანის შენახვა იმ მდგომარეობაში, რომელსაც მან მიაღწია ამ შაჰის მმართველობის დროს. მან რებთან შედარებით მან გაასამკეცა ხარჯები. ვერცერთი მისი წინაპარი ვერ შეედრებოდა მას ვერც ჰარამხანაში ქალთა სიმრავლით ვერც იმ არაჩვეულებრივი ფუფუნებით და ბრწყინვალეობით, რომელშიც იგი ამ ქალებს ინახავდა. ტახტის დაკავებისთანავე მისი საზრუნავი ჰარამხანისათვის ლამაზი ქალების მონახვა იყო. ის საჯაროდ ტრამპახობდა, რომ არ დაზოგავდა ფულს, რათა ეჯობნა ყველა იმ ავზორცი მეფეებისათვის, რომელიც კი ოდესმე მსოფლიოს ჰყოლია“¹⁵.

თითოეულ ქალს თავისი საჭურისი და მოახლე ჰყავდა. მათი მორთულობისათვის ხარჯებს საზღვარი არ ჰქონდა. გარდა ამისა, როცა ჰარამხანიდან ქალები თხოვდებოდნენ, შაჰი მათ მზითევს აძლევდა და ხელქვეითებსაც თან ატანდა. ჰარამხანის მოსამსახურე პირთა რიცხვი თითქმის შაჰის პირადი დაცვის რაოდენობას უტოლდებოდა.

არსებობდა საჭურისთა საბჭო — შაჰის კარზე ინტრიგების ბუდე. შაჰ ჰუსეინის მმართველობის დროს სხვადასხვა საშუალებებით უზომოდ გამდიდრდნენ ეთემად აღ-დოულე (დიდვაზირი) და ჰაქიმბაში (შაჰის პირადი ექიმი).


1702 წლის 13 ივნისს უკვე რომში მყოფი ფრ. ელიასი კონგრეგაცია „პროპაგანდა ფიდეს“ მოახსენებდა: „შაჰ სულთან ჰუსეინის მეფობა დესპოტური აღმოჩნდა. იგი ზოგიერთმა მლიქვნელმა წააქეზა — ზედმეტ სახელად „დინ პარვარი“¹⁶, ე. ი. რელიგიური წესების თავგამოდებული მფარველი შეარქვა. ამის გამო ყოველი ვრი, რომელიც შაჰის სამფლობელოში შედის, უნდა გამაჰმადიანდეს“¹⁷.

ახალმა შაჰმა საქართველოსთან ურთიერთობა რამდენადმე შეცვალა. მან გიორგი XI-ის ძმები — ლევანი და ლუარსაბი პატიმრობიდან გაათავისუფლა, ბაგრატი კი საპყრობილეში გარდაიცვალა. გიორგი XI, რომელიც თავისი ლაშქრით იმერეთიდან ქართლში არაერთხელ შეიჭრა და მისი მნიშვნელოვანი ნაწილი

¹⁵ A Chronicle of the Carmelites, p. 471; Du Cerceau, Op. cit. pp. 5—6.

¹⁶ სპარსული: „რელიგიის მფარველი“.

¹⁷ A Chronicle of the Carmelites, p. 474.





დაიკავა, 1695 წელს არჩილთან ერთად კვლავ იმერეთში დასრულდა. მათ გაპყვა ვახტანგ ლევანის ძე (შემდგომში ქართლის მეფე ვახტანგ VI), ხოლო ქიზოსრო ლევანის ძე ისფაჰანში წავიდა და იქ მამასა და ბიძას (ლევანსა და ლუარსაბს) შეუერთდა.

ამ დროს პირადი ინტერესებით გამსჭვალულმა ერევნის ხანმა გიორგის შაჰთან შერიგება ურჩია. შაჰ ჰუსეინი კი ქვეყანაში არეულობის გამო მეტად მძიმე მდგომარეობაში იყო და გიორგის მსგავსი მამაცი პიროვნება სჭირდებოდა.

შაჰს ყველაზე უფრო „საშიში მდგომარეობა ინდოეთის საზღვარზე, ავღანებით დასახლებულ რაიონში შეექმნა. ამ რაიონში ყანდაპარის ციხესიმაგრე საშიშროების წინაშე იმყოფებოდა. მოვლების იმპერატორმა, რომელიც დელიში იჯდა, შაჰს ამ ციხესიმაგრის დაბრუნება მოსთხოვა¹⁸. ამასთანავე, ყანდაპარში სპარსელთა გარნიზონს დიდ სიძნელეებს უქმნიდნენ ადგილობრივი ავღანელი ტომები.

ყანდაპარი ჯერ კიდევ შაჰ აბას I-მა დაიპყრო, მაგრამ მისი გარდაცვალების (1629 წლის 21 იანვარი) შემდეგ იქ ერთხანს უზბეკები გაბატონდნენ, ხოლო 1650 წელს იგი შაჰ აბას II-მ (1642—1666) შემოიერთა. ამიერიდან: შაჰ სულეიმანის (1666—1694) დროს და შაჰ ჰუსეინის მმართველობის (1694—1722) პირველ პერიოდში, იგი სპარსეთის იმპერიაში შედიოდა. XVII საუკუნის ბოლოს ყანდაპარში მდგომარეობა გაართულდა. შაჰის კარზე კი არ ჩანდა პიროვნება, რომელსაც უნარი შესწევდა წესრიგი აღედგინა ამ რაიონში. ამას დაემატა ბელუჯის ტომების თავდასხმები ქირმანისა და იეზიდის მიდამოებში.

ასეთ ვითარებაში შაჰის კარზე გადაწყვიტეს გამოეყენებინათ ქართველთა სამხედრო ცოდნა და სიმამაცე. ისფაჰანში ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდნენ ქართველების ნიჭსა და უნარს, ამიტომ ყოველთვის მზად იყვნენ, ქართველები სპარსეთის სამსა-

¹⁸ D. M. L a n g, The Last Years of the Georgian Monarchy, New York, 1957, p. 97. პრ.ფ. დ. ლენგი ამ წიგნის მნიშვნელოვან ნაწილს მიუძღვნის 1658—1722 წწ., სადაც განხილულია საქართველო-სპარსეთის ურთიერთობა. „ლენგმა, კარგად აღწერა XVIII საუკუნის საქართველოს მეტად რთული პოლიტიკური ისტორია და სასარგებლო სამსახური აღმოუჩინა ინგლისელ მეცნიერებს“—წერს ვ. ალენი. (W. E. D. A l l e n, David Marshall Lang: The Last Years of the Georgian Monarchy, 1658. 1832. Columbia University Press, New York, 1957. «Bedi Kartlisa revue de kartvélogie», vol. IV—V, Paris, 1958, p. 108).



ხურში ჩაებათ. ამით სპარსელი მესვეურები ერთდროულად კურდღელს კლავდნენ: ქართველებს იყენებდნენ თავიანთი ნებისათვის (ადგილობრივი ურჩი ტომების დასამორჩილებლად) და, რაც მთავარია, მათი მიზანი იყო, საქართველოში სპარსელთა ბატონობის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობისაგან ამ ქართველთა ყურადღება ჩამოეცილებინათ.

საპარსეთის იმპერიაში როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო დარგში ქართველებს მაღალი და საპატიო თანამდებობები ეკავათ. სხვადასხვა დროს სპარსეთის ჯარების მთავარსარდლები (ევროპული წყაროების მიხედვით: გენერალსიმუსები) იყვნენ: გიორგი XI, ქაიხოსრო და ვახტანგ VI.

დ. ლენგს თავის წიგნში მოაქვს მაგალითები, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ რა დიდ როლს ასრულებდნენ ქართველები სპარსეთის არმიაში¹⁹. იტალიელი პიეტრო დელა ვალე წერდა: „დღეს სპარსეთის არმიის ძალა—ეს ქართველი მეზრძოლებია, რომლებიც მის საუკეთესო ნაწილს შეადგენენ“²⁰. დიუ სერსო მიუთითებდა ქართველ მეზრძოლთა მაღალ რეპუტაციაზე არა მარტო სპარსეთში, არამედ მთელ აზიაში²¹.

ინგლისელი თომას ჰერბერტი, რომელიც 1627 წელს შირაზში იმყოფებოდა, წერს: „გარეგნული შეხედულებით, ნებისყოფითა და ერთგულებით ქართველი ჯარისკაცები სპარსელებში ისეთი კარგი რეპუტაციით სარგებლობენ, რომ ბევრ მათგანს მეთაურის თანამდებობა უკავია, განსაკუთრებით ყველაზე უფრო გაშმაგებული მტრის — თურქების, წინააღმდეგ ბრძოლაში“²².

XVII საუკუნის განმავლობაში სხვადასხვა დროს ქართველთა კავალერიის რიცხვი სპარსეთის არმიაში 8 ათასიდან 40 ათასამდე აღწევდა²³. „ქართველები ინიშნებოდნენ, — წერს დ. ლენგი, — სპარსეთის სომხეთში ერევნის მთავარ ციხესიმაგრის უფროსებად“²⁴.

¹⁹ D. M. Lang, Op. cit., 94.

²⁰ Pietro della Valle, Voyages dans Turquie, Rouen, 1745, t. IV, p. 69.

²¹ Du Cerceau, Histoire de Thamas Kouli-kan ou Histoire de la dernière révolution de Perse arrivée en 1732, Paris, 1742, p. 266.

²² T. Herbert, Some Years Travel into Africa and Asia, London, 1677, p. 155.

²³ D. M. Lang, Op. cit., p. 95.

²⁴ Ibid.



ფრანგი მისიონერი სანსონი წერს: „შაჰის პოლიტიკა ქართველების მიმართ მეტად მოხერხებულია. ქართველებს მისთვის ბევრი უსიამოვნება მიეყენებინათ, თუ გაერთიანდებოდნენ. შაჰმა იცის, თუ როგორ უნდა ჩაშალოს მათი ერთიანობა ისე, რომ ეს მის ინტერესებს მოემსახუროს. ის იმნაირად აწინაურებს ყველა ქართველ თავადს, რომ მათ ავიწყდებათ თავიანთი სამშობლო, სარწმუნოება და შაჰის ერთგულნი ხდებიან. ყველაზე დიდი თანამდებობები იმპერიაში ეკუთვნით ქართველებს, ხოლო იმათ, ვისაც არ უკავია დიდი თანამდებობა, ადგილი აქვთ დათმობილი სამეფო სუფრასთან და ხაზინის თანხით სარგებლობენ“²⁵.

რაც შეეხებოდა სარწმუნოებას, ქართველები როგორც კი სპარსეთის სამსახურში დადგებოდნენ, ნომინალურად უნდა გამაჰმადიანებულიყვნენ, მაგრამ „ისინი ისლამის ერთგული მიმდევარნი არასოდეს არ იყვნენ“²⁶.

როგორც უკვე ითქვა, გიორგი XI იმერეთიდან ქართლში გადავიდა. აქ დატოვა თავისი ძმა სოლომონი და ნიკოლოზ კათალიკოსი, ხოლო თვითონ 1695 წელს გიორგი არაგვის ერისთავის, ზურაბ ზურაბიშვილისა და სხვათა თანხლებით ისფაჰანისაკენ გაემგზავრა. გიორგის შაჰ ჰუსეინის მიერ მასთან საჩუქრებით გამოგზავნილი სპარსელი მეჰმენდარი მიუძღოდა.

ქართველების საქვეყნოდ განთქმულმა მამაცობამ განაპირობა შაჰის გადაწყვეტილება, გიორგის შერიგებოდა. ნიჭიერი და მამაცი მხედართმთავარი, ქართლის ყოფილი მეფე გიორგი XI, რომელიც 1688 წლიდან ქართლის ტახტის დაბრუნებისათვის იბრძოდა, შაჰ სულთან ჰუსეინმა დიდი პატივით მიიღო.

გიორგის ჩასვლა ისფაჰანში სპარსელთაგან დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა. ის ხომ აქამდე წლების განმავლობაში აშკარად იბრძოდა შაჰის წინააღმდეგ. სხვა დროს და სხვა ვითარებაში ასეთ პიროვნებას ისფაჰანში ჩასვლისთანავე თავს მოაცლიდნენ. მაგრამ ახლა შაჰის კარზე გიორგი თავისუფლად გამოცხადდა. შაჰმა იგი 1699 წლის 20 ნოემბერს მიიღო, ესაუბრა, კარგად გაუმასპინძლდა და თავისი ხელით გიორგის ღვინოც კი მიაწოდა. საქმე ის იყო, რომ შაჰს გიორგი თავისი ვერაგული გეგმების განსახორციელებლად სჭირდებოდა.

²⁵ P. Sanson, Voyage de Perse, Paris, 1695, pp. 176—177.

²⁶ D. M. Lang, Op. cit., p. 95.



საქართველოს
ისტორიული
არქივი

ამრიგად, ცბიერმა შაჰმა გადაწყვიტა გიორგის შერიგების
ხოლო ერთგული ერეკლე ისტაჰანში გაეწვია. შაჰმა ერეკლეს კა-
ხეთის მეფობა და სპარსეთის ყულარაღასობა უბოძა, თუმცა ის-
ტაჰანში დატოვა. კახეთში მის მოადგილედ ერეკლეს ვაჟიშვილი და-
ვითი დანიშნა²⁷. ქართლის ტახტი კი შაჰმა კვლავ გიორგის გადას-
ცა, თუმცა ისიც სპარსეთში დატოვა, ხოლო ქართლის მეფის მო-
ადგილედ 1703 წელს ვახტანგ ლევანის ძე—ვახტანგ VI დანიშნა.

გიორგი ყველაფერზე თანახმა იყო, თუ ეს საქართველოს სა-
სარგებლოდ გაკეთდებოდა. „იგი ცდილობდა, — წერს ჯ. ჰანვეი, —
ესარგებლა თავისი მდგომარეობით, რათა სამშობლოს დამოუკი-
დებლობისათვის მიეღწია“²⁸.

შაჰმა გიორგი ქირმანის გენერალ-გუბერნატორად (ბეგლარ-
ბეგად) დანიშნა. ქირმანში ამ დროს არეულობა იყო. იგი სპარსე-
თის იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლებას არ ემორჩილებოდა.
1699 წლის ნოემბრის ბოლოს გიორგიმ თავისი ძმა ლევანი ქარ-
თველთა ლაშქრით ქირმანში გაგზავნა, ხოლო 1700 წლის მაისში
თვითონ თავისი ლაშქრით შეუერთდა მას. სამხედრო ოპერაციე-
ბის დამთავრების შემდეგ გიორგიმ ლევანი ისტაჰანში დააბრუნა,
ხოლო თვითონ 1704 წლის გაზაფხულამდე ქირმანში დარჩა²⁹.

ამრიგად, გიორგიმ და ლევანმა სპარსეთის აღმოსავლეთის
პროვინციები შემოსეული ტომებისაგან გაათავისუფლეს. მადლო-
ბის ნიშნად შაჰმა ლევანი სპარსეთის დივანბეგად (მსაჯულთ-
უხუცესად) დანიშნა, ხოლო ლევანის შვილი ქაიხოსრო—ისტაჰა-

²⁷ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 351, 399.

²⁸ J. Hanway, The Revolutions of Persia: Containg the Reign of Shah Sultan Hussein, with Invasion of the Afgans, and the Reigns, of Sultan Mir Maghmud and his successor Sultan Ashreif, London, 1753, vol. I, p. 28. ამ წიგნში მოთავსებულია ჯ. ჰანვეის ნაშრომის ორი ნაწილი: ტ. III და ტ. IV (t. III, pp. 1—255; t. IV, pp. 1—301).

²⁹ ეს ამბები დეტალურად აქვს აღწერილი სეხნია ჩხეიძეს, რომელიც ახლ-
და გიორგისა და ლევანს. ს. ჩხეიძე, საქართველოს ცხოვრება, წიგ. საქარ-
თველოს ცხოვრება დასაბამიდან მეცხრამეტე საუკუნემდის, ნაწ. II (1469 —
1800 წწ.), ს.პბ. 1854, უ. ჩუბინოვის გამოცემა. იგი ფრანგულად თარგმნა
მ. ბროსემ; იხ. Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIX-e
siècle, 11 partie, St. Peterb. 1857, pp. 7—54. იხ. ასევე D. M. Lang, Geor-
gia and the fall of the Safavi Dynasty, BSOAS, 1952, XIV (3). მისიონერი
პიერ რიკარი ერთხანს მკურნალობდა გიორგის და მასთან მეგობრულ ურთიერთ-
ბაში ყოფილა (იხ. პიერ რიკარის 1697 წლის წერილი: Nouveaux Memoires des
Missions, vol. III, p. 262. იხ. ასევე: L. I. o c k h a r t, The fall of the Safavi
Dynasty and the Afghan occupation of Persia, Cambridge, 1958, pp. 46—47).



ნის პრეფექტად (ტარულად)³⁰, გიორგის კი შაჰმა სპარსეთის ჯარების მთავარსარდლობა და ყანდაპარის პროვინციის გუბერნატორობა (ბეგლარბეგობა) უბოძა. ქართველი მეფე გიორგი XI შაჰმა „ყანდაპარის პროვინციის მმართველად გაგზავნა, რათა საქართველოდან შორს ჰყოლოდა“, — შენიშნავს ერთ-ერთი ფრანგი მოგზაური ქან ოტე³¹.

1704 წლის მაისში გიორგი 20 ათასიანი ლაშქრით (მათ შორის 4 ათასი ქართველთა რჩეული მხედარი)³² ყანდაპარისაკენ დაიძრა. მან გაიარა ჰერათი, სადაც დაიკავა ჰერათის ცნობილი ციხესიმაგრე ყალაი-იქთიირუდინი³³. ჰერათიდან ყანდაპარამდე დაახლოებით 500 კმ-ია. გიორგის (გურგინ-ხანის) მოახლოებაზე ყანდაპარში მისულმა მხოლოდ ცნობამ ბევრი უკმაყოფილო პიროვნება გააჩუბა. მაგრამ „ასეთმა დუმილმა გურგინ-ხანში ეჭვი გამოიწვია“³⁴. ყოველგვე ამის მიუხედავად სპარსეთის შაჰს და მის კარს შეეძლო დამშვიდებულიყო. ყანდაპარიდან მოსალოდნელი საშიშროება დროებით ლიკვიდირებული ჩანდა.

ყანდაპარში ჩასვლისთანავე გიორგი სწრაფად და სასტიკად გაუსწორდა ყველა იმას, ვინც აჯანყებაში მონაწილეობდა ან აღრე მიეღო მასში მონაწილეობა. ყანდაპარში თითქოს სიმშვიდე დამყარდა. მაგრამ, ცხადია, მოსახლეობის გარეგნული დუმილი ჯერ კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ ის შეუტივდა სპარსელთა ბატონობას. პირიქით, ყანდაპარში საიდუმლო ორგანიზაციები იქმნებოდა და მოსახლეობა სპარსეთის ბატონობის გადაგდების საშუალებებს ეძებდა. ავღანთა სხვადასხვა ტომები საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანდნენ. ყანდაპარელ ავღანებს რამდენიმე ტომი შეადგენდა. თითოეული მათგანი 5-10 ათას კაცს ითვლი-

³⁰ D. M. Lang, *The Last Years*, p. 98. ქაიხოსრო, „რომელიც სხვა ქართველების მსგავსად მამაცი და ნიჭიერი სამხედრო ხელმძღვანელი იყო“, შაჰმა ისფაჰანის ტარულად ანუ გუბერნატორად დანიშნა, აღნიშნავს ლ. ლოკარტი. ლევანი 1709 წლის 13 ივლისს ისფაჰანში გარდაიცვალა.

³¹ J. Otter, *Voyage en Turquie et en Perse, avec une Relation des expéditions de Thamas Kouli-khan*, Paris, 1748, t. I, pp. 246—247.

³² J. Hanway, *Op. cit.*, t. III, p. 28; L. Lockhart, *Op. cit.*, p. 47.

³³ ამ ციხესიმაგრის ნანგრევები დღემდე შემონახულია. მისი დათვალიერების დროს (1969 წლის ივლისი) ჰერათელებმა მოთხრეს: ყანდაპარისკენ მიმავალი გურგინ-ხანი თავისი ლაშქრით რამდენიმე დღე აქ შეჩერდა. ეს აქაურ მოსახლეობას დღემდე ახსოვს.

³⁴ J. Hanway, *Op. cit.*, pp. 23—28.



და. ყოველ ამ ტომს თავისი წინამძღოლი—ბელადი, ჰყავდა³⁵. ერთ-ერთი ასეთი ტომის — ლილზაის ბელადი ლილზა მირ ვეისი ძლიერი პიროვნება, ქალაქის ქალანთარი, რაც მას ავლანთა სხვა ტომების ბელადებს შორის უფრო მაღლა აყენებდა³⁷. მირ ვეისი სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა.

ავლანთა საიდუმლო ორგანიზაციამ ისფაჰანში დელეგაცია გაგზავნა. ამ დელეგაციის შესახებ გიორგიმ არაფერი იცოდა, მაგრამ მას გარდა მტრებისა მეგობრებიც ჰყავდა ისფაჰანში. მათ ეს დელეგაცია შაჰ ჰუსეინთან არ მიუშვეს. დელეგაციამ მოახერხა და ერთ დღეს, როცა შაჰი ხალხში გამოვიდა, გურგინ ხანისა და მისი ლაშქარის „დესპოტიზმის“ შესახებ საჩივარი პირადად შაჰს გადასცა.

როდესაც გიორგიმ ამის შესახებ გაიგო, მიხვდა, რომ ეს მირ ვეისის საქმე იყო. გიორგიმ მირ ვეისი დააპატიმრა³⁸, ისფაჰანში გაგზავნა და შაჰის კარს შეატყობინა, რომ იგი საშიში პიროვნებაა, ყანდაქარში არეულობის ორგანიზატორია და აუცილებელია მისი მოშორება. მაგრამ გიორგი შეცდა. მან ვერ გაითვალისწინა მირ ვეისის შესაძლებლობები. მან ისიც ვერ გაითვალისწინა, რომ ისფაჰანში მირ ვეისი გიორგის მოწინააღმდეგეებს დაუჟავშირდებოდა და მათთან ერთად იმოქმედებდა. ეს გიორგის პირველი და საბედისწერო შეცდომა იყო³⁹.

ამ დროისათვის სპარსეთის ხელისუფლება მეტად სუსტი იყო. შაჰ ჰუსეინი, ქვეყნის მმართველობისათვის სრულიად გამოუსადეგარი პიროვნება, უდარდელ და თავაშვებულ ცხოვრებას ეწეოდა, უპრინციპო და მითქმა-მოთქმას აყოლილი ადამიანი იყო. ქვეყანას ფაქტიურად მისი მრჩეველები მართავდნენ, რომლებიც საკუთარ გამდიდრებაზე უფრო ზრუნავდნენ, ვიდრე ქვეყნის საქმეებზე. შაჰის კარზე ბევრი მოლაღატე, მექრთამე და დოყლაპია იყო თავმოყრილი. „შაჰ ჰუსეინი, — წერს დე პესონელი, — დაუდევარი და განებივრებული მეფე, მუდამ ქალებისა და საქურისების გავლენის ქვეშ იყო“⁴⁰.

³⁵ J. Hanway, *ibid.*

³⁶ მირ (ემირ) ვეისი—არაბულიდან: „თავადი ლომის ლეკვი“.

³⁷ Du Cerceau, *Histoire de la dernière révolution de Perse*, t. I, p. 175.

³⁸ სხვა ცნობით: გიორგიმ მირ ვეისი სპეციალური დავალებით გაგზავნა ისფაჰანში, იმ ქართველებს კი, რომლებიც მირ ვეისს ამ მოგზაურობაში მეთვალყურეების სახით ახლდნენ, გიორგიმ საიდუმლო წერილი გაატანა სპარსეთის ეთემ-იდ აღ-დოულეს სახელზე, მირ ვეისის როგორც საშიში პიროვნების შესახებ იხ. J. Otter, *Op. cit.*, p. 247; Du Cerceau, *Op. cit.*, pp. 176—177).

³⁹ ჯ. ჰანვეის მიხედვით, მირ ვეისი ისფაჰანში 1707 წელს ჩავიდა (J. Hanway, *Op. cit.*, vol. III, p. 33).

⁴⁰ Peyssonel, C. C. de, *Essai sur les troubles actuels de Perse et de Géorgie*, Paris, 1754, p. 54.



ისფაპანში ჩასულმა მირ ვეისმა შექმნილ ვითარებას⁴¹ ალლო აულო და მალე მომხრეებიც იპოვა⁴¹. მან ორიენტაცია აიღო იმ პირებზე, რომლებიც მას სუსტი ნებისყოფის შაჰის გული-საკენ გზას გაუკაფავდნენ და გურგინ-ხანის წინააღმდეგ შედგენილი ვერაგული გეგმის განხორციელებაში ხელს შეუწყობდნენ. მირ ვეისი „საკამოდ ეშმაკი და ჭკვიანი იყო იმისათვის, რათა არა მარტო თავიდან მოეხსნა ყველა ბრალდება, არამედ გიორგის ქცევა შაჰისა და მისი მინისტრების თვალში საექვო გაეხადა. ამის გაკეთება ძნელი არ იყო ისფაპანში, რამდენადაც შაჰის სამეფო კარზე არსებობდა ძლიერი ანტიქართული კოალიცია, რომელშიც ქართველების წარმატება ეჭვსა და სიძულვილს იწვევდა“⁴². ამ ანტიქართული ჯგუფის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო ფატ ალი-ხანი, შემდგომში სპარსეთის ეთემად აღდგომული.

მირ ვეისმა დაახლოებით 30 ათასი თუმნის (75 ათასი გირვანქა სტერლინგის)⁴³ საჩუქარი დაურიგა ისფაპანში გიორგის მოწინააღმდეგეებს. ამ ფულითა და საჩუქრებით იგი მისმა მეგობრებმა ჯერ კიდევ ყანდაპარში მოამარაგეს. მირ ვეისი მხოლოდ ამის შემდეგ წარსდგა შაჰის წინაშე. მისი მომხრეების მიერ შაჰი უკვე წინასწარ იყო მომზადებული შესახვედრად. შაჰმა მირ ვეისს ყველაფერი აპატია და მფარველობაც კი აღუთქვა. მირ ვეისი არ ჩქარობდა. იგი მოქმედებდა ნელა, მაგრამ წინდაწინ შედგენილი გეგმის მიხედვით.

შაჰის კარზე საუბრის დროს მირ ვეისი ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდა და პატივისცემით მოიხსენიებდა გიორგის, მაგრამ იქვე ჩაურთავდა სიტყვებს იმის შესახებ, რომ ის, ვინც ერთდროულად საქართველოს მეფეა და ქირმან-ყანდაპარის გუბერნატორი, არ შეიძლება შაჰის კარისათვის საშიში მოწინააღმდეგე არ იყოს. იგი ხშირად მოაგონებდა შაჰს და მის მინისტრებს სპარსეთის წინააღმდეგ ქართველების განუწყვეტელ ბრძოლაზე. მირ ვეისის ამ საუბრებმა შაჰი და მისი კარი შემდეგ დასკვნამდე მიიყვანა: მირ ვეისი გიორგიმ თავიდან იმიტომ მოიშორა, რომ თავისი გეგმების განხორციელებაში ზედმეტი და უურადლებიანი მეთვალყურე არ ჰყოლოდა. მირ ვეისი ხედავდა, რომ მისი გეგმის

⁴¹ J. Otter, Op. cit., p. 248.

⁴² D. M. Lang, The Last Years of the Georgian Monarchy, 100.

⁴³ J. Hanway, Op. cit., p. 33.



განხორციელების დღეები ახლოვდებოდა და აღერთოვანებულნი კიდევ უფრო აქტიურად მოქმედებდა.

მირ ვეისმა გადაწყვიტა თავისი მოქმედებისათვის რელიგიური სარჩული მიეცა და შაჰის ნებართვით იგი მექაში გაემგზავრა⁴⁴. იქ კი მუსლიმანთა მთავარი წინამძღოლისაგან უფლება მიიღო, ყანდაპარის განთავისუფლებისათვის საღვთო ომი გაემართა⁴⁵ ურჯულ ქართველების წინააღმდეგ, რომლებიც „ნამდვილ მორწმუნეებს — ყანდაპარელებს ჩაგრავენენ“⁴⁶.

მირ ვეისს კიდევ ერთი ხელსაყრელი მომენტი შეექმნა. 1708 წელს ისფაჰანში ჩავიდა რუსეთის მეფის პეტრე I-ის ელჩობა, რომელსაც მეთაურობდა ვინმე ისრაელ ორიი — წარმოშობით სომეხი, ქ. კათანიდან⁴⁷. ისფაჰანში ხმა გავრცელდა, რომ ისრაელ ორიი თავს თვლის სომხეთის ძველი დროის მეფეთა შთამომავლად, უნდა სომხეთის სამეფოს აღდგენა და ტახტზე პრეტენზიას აცხადებდეს.

ეს მომენტი შესანიშნავად გამოიყენა მირ ვეისმა⁴⁸. იგი ამბობდა: სპარსეთისათვის მარტო სომხები და რუსები არიან საშიში? არც ის, რომ ისრაელ ორიი სპარსეთის იმპერიის გულში — ისფაჰანში, იმოქმედებს. საშიშია კიდევ ერთი ძალა: „საქართველოს მამაცი მცხოვრებლები, რომლებიც განლაგებულნი არიან მათ (რუსებსა და სომხებს — ი. ტ.) შორის“⁴⁹. ქართველები დაუკავშირდებიან რუსებს და „მაშინ შაჰის ხელისუფლება საშიშროების წინაშე აღმოჩნდება“ — ამბობდა მირ ვეისი.

მირ ვეისი პირდაპირ აშინებდა შაჰის მესვეურებს: „სახელმწიფო უდიდესი საშიშროების წინაშე იმყოფება, რამდენადაც არ

⁴⁴ Du Cerceau, Op. cit., pp. 184—185; 191—192.

⁴⁵ Ibid., pp. 142—143; 191—192. სპარსელები და ავღანები მაჰმადიანები არიან. მუჰამედს ორივე აღიარებს. მათ დაეა აქვთ იმაზე, თუ ვინ არის მუჰამედის მემკვიდრე და როგორ განმარტონ ყურანის ზოგიერთი ადგილი. ავღანები (ასევე: თურქები, თათრები) სუნიტები არიან და მუჰამედ წინასწარმეტყველის ნამდვილ მემკვიდრედ ომარს აღიარებენ. სპარსელები კი შიიტები არიან და მუჰამედის ნამდვილ მემკვიდრედ ალის აღიარებენ. თავდაპირველი შეთანხმების თანახმად, სპარსელების მმართველობა ყანდაპარში რელიგიას არ უნდა შეეხებოდა, მაგრამ სპარსელები ამას ხშირად არღვევენ. სწორედ ეს მოტივიც გამოიყენა მირ ვეისმა.

⁴⁶ D. M. Lang, Op. cit., p. 100.

⁴⁷ J. Hanway, Op. cit., p. 33. იხ. ასევე ი. ტაბაღუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა თბ., 1972, გვ. 46.

⁴⁸ Du Cerceau, Op. cit., pp. 211, 221.

⁴⁹ J. Hanway, Op. cit., pp. 38—39.



შეიძლება ეკვი შევიტანოთ იმაში, რომ რუსეთის მეფე ^{კარსტენსონი} სიძლიერე და პატივმოყვარეობა მსოფლიოში ცნობილია, გადაწყვიტა გაათავისუფლოს სპარსეთის ბატონობისაგან ხალხი, რომელიც მისი თანამორწმუნეა. ელჩი უეჭველად წარმოადგენს საიდუმლო ემისარს, რომელიც თავისი რწმუნების სიგელის საფარქვეშ მოდის იმისათვის, რათა გააღვივოს უკმაყოფილების მბეჭუტავი ნაკვერცხალი სახელმწიფოს თვით შუაგულში. სხვანაირად—რატომ აირჩიეს სომეხი? ნუ თუ იმ მბრძანებლებმა ვერ შესძლეს თავიანთ უზარმაზარ სამფლობელოებში ეპოვნათ თავიანთი საკუთარი ქვეშევრდომი...“⁵⁰.

მალკოლმი, ეყრდნობა რა თ. კრუსინსკის⁵¹, აღნიშნავს, რომ მირ ვეისი აშინებდა შაჰს რუსეთის მხარდაჭერით სპარსეთის წინააღმდეგ ქართველებისა და სომეხების შესაძლებელი ერთიანი მოქმედებით.

უნიჰო შაჰ ჰუსეინმა, რომელიც სიცრუისაგან სიმართლეს ვერ არჩევდა, დაიჯერა მირ ვეისის მონაჭორი⁵². „განა დაგვაიწყყა ქართველების არაერთიგზის ცდა, გადაეგდოთ სპარსეთის იმპერიის უღელი ამავე გურგინ-ხანის მეთაურობით, რომელიც ახლა სპარსეთის იმპერიის სამი პროვინციის გუბერნატორია?“⁵³ — ამბობდა მირ ვეისი. იგი მიუთითებდა: გურგინ-ხანის ძმა რუსეთშია და იქ დახმარებას ეძებს. რუსეთის არმიას შეუძლია კავკასიის მთები გადმოლაზოს და ქართველებს დაეხმაროს, ბოლო მოუღოს სპარსეთის იმპერიას. გურგინ-ხანი გულით ხომ ქრისტიანია⁵⁴.

შაჰის კარზე ერთხანს გადაწყვიტეს ყანდაპარიდან გიორგის გამოწვევა, მაგრამ შეეშინდათ: არ დაგვემორჩილება და მოგოლებს შეუერთდებაო. ამიტომ სხვა ხერხს მიმართეს: შაჰმა გიორგის დაუძინებელი მტერი — მირ ვეისი თავის უფლებებში აღადგინა,

⁵⁰ J. Hanway, Op. cit., pp. 39.

⁵¹ J. Malcolm, Histoire de Perse, t. II, 412; Th. Krusinski, Tragica Vertentis belli Parsici Historia per repetitas clades ab anno 1711 ad anno 1728, Leopoli, 1740. ცნობილი პოლონელი მისიონერი თადეუშ კრუსინსკი თითქმის 20 წელი იყო სპარსეთში. „თადეუშ კრუსინსკი ისფაჰანში მეტად ცნობილი და მიღებული პიროვნება იყო. იგი შესანიშნავად ერკვეოდა იმ დროს სპარსეთში მომხდარი არეულობის საქმეებში“. — შერს დიუ სერსო. იხ. Du Cerceau. Histoire de la dernière révolution de Perse, Paris, 1728, t. I, pp. III v°.

⁵² J. Malcolm, Op. cit., t. II, p. 412.

⁵³ J. Hanway, Op. cit., p. 39.

⁵⁴ Ibid., p. 39.



საპატიო ხალათი უბოძა და ყანდაპარში გაგზავნა. ამრიგად, მირ ვეისი ყანდაპარში დაბრუნდა⁵⁵. ეს მისი პირველი გამარჯვება იყო!

შაჰის ასეთმა გადაწყვეტილებამ გიორგი აღაშფოთა. ამბობენ, რომ ამის შემდეგ გიორგიმ ყველაფერზე ხელი ჩაიქნიაო. თუმცა გიორგი შეეცადა ეჩვენებინა, რომ მირ ვეისისადმი შაჰის მიერ აღმოჩენილი ეს პატივი მას არაფრად მიაჩნდა. გიორგი თავის მკაცრ პოლიტიკას კვლავ აგრძელებდა.

მირ ვეისს ლამაზი ქალიშვილი ჰყავდა. გიორგიმ იგი მამამისს თავისი ჰარამხანისათვის მოსთხოვა⁵⁶. მირ ვეისი ამას არ მოელოდა და ეს ამბავი თავის ავღანელ მეგობრებს გააცნო. გიორგის ეს მოთხოვნა ყველამ შეურაცხყოფად მიიღო. ავღანები თავიანთ ქალიშვილებს უცხოელებს ცოლად არ ატანდნენ და ისიც ჰარემ-ხანისათვის. ეს კი მეტისმეტი იყო. გიორგის სხვა ქალიშვილი გაუგზავნეს და უთხრეს: ეს არის მირ ვეისის ასულიო.

გურგინ-ხანმა იცოდა, — წერს ჯ. ჰანვეი, — რომ მირ ვეისმა დივანის წინაშე თავი გაიმართლა და შაჰმა მას საპატიო ხალათი უბოძა. ამ გარემოებამ თავდაპირველად გიორგის რისხვა გამოიწვია, მაგრამ მისი სიფხიზლე კი მოადუნა: იგი თვლიდა, რომ მირ ვეისს აღარა აქვს საფუძველი სული ჩაუდგას ახალ მღელვარებას. ახლობლების რჩევამ იმდენად შეასუსტა გიორგის განრისხება მირ ვეისზე, რომ ამ უკანასკნელს ნება დართეს გიორგის წინაშე წამდგარიყო. დახელოვნებულმა ავღანელმა გამოიყენა მთელი თავისი უნარი. მან გიორგის მიმართ გამოავლინა იმდენი მორჩილება და პატივისცემა, რომ უკვე შეეძლო კმაყოფილი ყოფილიყო იმით, რომ თავისი ყველაზე საშიში მოწინააღმდეგე საბოლოოდ მოსპო⁵⁷.

მირ ვეისი არ დაცხრა. ცხადია, უჭირდა გარეგნულად შეგუებოდა ადამიანს, რომლის დალუპვასაც თვითონვე ამზადებდა, მაგრამ საჭირო იყო გიორგი კიდევ უფრო დაერწმუნებინა თავის ერთგულებაში. იგი ხშირად მიდიოდა გიორგისთან. ამბობდნენ, რომ მირ ვეისის ნახვა უფრო ხშირად შეიძლებოდა გიორგისთან, ვიდრე საკუთარ სახლში. მირ ვეისი უკვე არაფერს ეუბნებოდა

⁵⁵ J. Hanway, Op. cit., vol. III, Part I, p. 41; Du Cerceau, Op. cit., p. 226—227; J. Otter, Op. cit., p. 251. დიუ სერსოს მიხედვით, რომელიც თ. კრუსინსკის ეყრდნობა, მირ ვეისი ყანდაპარში 1709 წლის დასაწყისში დაბრუნდა. იხ. Du Cerceau, Op. cit., p. 227.

⁵⁶ J. Hanway, Op. cit., p. 43.

⁵⁷ Ibid., pp. 41, 44—45.



გურგინ-ხანს ავღანელი ხალხის მძიმე მდგომარეობაზე აჩვენებდა, თითქოს, დაავიწყდა წარსული ამბები. მისმა პირფერულმა სიტყვებმა და ცბიერმა ქცევამ ნაყოფი გამოიღო. გიორგი უკვე მირ ვეისს თავის ერთ-ერთ უახლოეს პიროვნებად თვლიდა.

მირ ვეისი კი ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდა. ეს მომენტიც მალე დადგა. საჭირო იყო გიორგის ლაშქრის ძირითადი ნაწილის თავიდან მოცილება⁵⁸. ამ დროს გიორგის ყანდაპარში ჰყავდა მარტო გარნიზონის ნაწილები და პირადი დაცვა, დანარჩენი მისი ლაშქარი, რომლის თანხლებითაც იგი ყანდაპარში ჩავიდა, უკანვე, სპარსეთში, დააბრუნა. გიორგის ჰყავდა ათასამდე რჩეული მებრძოლი, რომელიც „უკეთეს ჯარის ნაწილად ითვლებოდა აღმოსავლეთში. იგი იყო გადაულახავი ზღუდე მირ ვეისის გეგმის განხორციელების წინაშე“, — შენიშნავს ჯ. ჰანვეი⁵⁹.

მირ ვეისმა აქაც მონახა გამოსავალი. მან ტირინის⁶⁰ ტომის მეთაურებს უარი ათქმევინა ჩვეულებრივი გადასახადის გადახდაზე. როდესაც ამის შესახებ გიორგიმ გაიგო, გადაწყვიტა ისინი სასტიკად დაესაჯა და გაგზავნა თავისი ლაშქრის საუკეთესო ნაწილები⁶¹. სხვათა შორის, მირ ვეისმა თვალთმაქცურად თვითონაც ურჩია გიორგის ამბოხებულთა სამაგალითოდ დასჯა, რომ შემდგომში სხვა ტომების ბელადებისათვის ეს გაკვეთილი ყოფილიყო. ამან გიორგი კიდევ უფრო დაარწმუნა მირ ვეისის ერთგულებაში. უფრო მოდუნდა გიორგის სიფხიზლე. დ. ლენგი შენიშნავს: ალბათ, გიორგის დაზვერვა არ იყო სათანადო სიმაღლეზე, რადგან მას არავითარი ეჭვი არ ჰქონია ავღანელთა შეთქმულების შესახებ⁶².

მირ ვეისის ერთგულებაში დარწმუნებულმა გიორგიმ მიიღო მისი მიპატიება ნადიმზე, რომელიც ეწყობოდა ქალაქგარეთ „ყანდაპარიდან 3 თუ 4 ლიეზე“⁶³ მირ ვეისის სოფლის ახლო იმ

⁵⁸ Du Cerceau, Op. cit., p. 227; J. Otter, Op. cit., p. 252.

⁵⁹ J. Hanway, Op. cit., vol. II, p. 113.

⁶⁰ ტირინის ტომები ცხოვრობდნენ დღევანდელი პაკისტანის ტერიტორიაზე. ყანდაპარის სამხრეთ-აღმოსავლეთით 150—160 კმ-ზე.

⁶¹ J. Hanway, Op. cit., p. 46.

⁶² D. M. Lang, Op. cit., p. 100.

⁶³ არსებობს ლექსად დაწერილი წიგნი პუშტუს ენაზე — „ფატა ხაზანა“ („შემონახული ხაზინა“), რომლის შემდგენელს თვითონ უნახავს გურგინ-ხანი. აქ მოთხრობილია ყანდაპარში გიორგის მმართველობასა და მის წინააღმდეგ მირ ვეისის მოქმედებაზე. იხ. მ უ ჰ ა მ ე დ პ ო ტ ა გ ი, ფატა ხაზანა (პუშტუს ენაზე). ანოტირებული ხელნაწერი გამოაქვეყნა პროფ. ა. პ. ჰაბიბიმ, ქაბული, 1944. ლიე—მანძილის საზომი, უდრის 4,83 კმ-ს.

დღისათვის სპეციალურად აგებულ კარავებში ავლანთა ორი ტომის ბელადების შერიგებასთან დაკავშირებით. ამ ტომთა ბელადები გიორგის პირველად ხვდებოდნენ.

ყანდაპარის ციხესიმაგრეში (ე. წ. „ნარინჯის სასახლე“) ავლანებს საერთოდ არ უშვებდნენ. სამუშაოების შესასრულებლად, გარნიზონის უფროსის ნებართვით, ციხესიმაგრეში შესვლის უფლება ჰქონდათ განსაზღვრული რაოდენობის პირებს, რომლებიც მზის ჩასვლის შემდეგ ვალდებული იყვნენ ციხესიმაგრის ფარგლები დაეტოვებინათ. მაგრამ მირ ვეისმა მუშების სახით შესძლო შეიარაღებული ავლანების ციხესიმაგრეში შეყვანა. ასე მზადდებოდა მირ ვეისის მუხანათური გეგმა გიორგის წინააღმდეგ.

გადამწყვეტი დღეც დადგა. ეს იყო 1709 წლის 21 აპრილი⁶⁴. ამ დღეს მირ ვეისის მიერ მოწყობილ ნადიმზე მონაწილეობის მიხედვით გიორგი ქალაქგარეთ ადრე გავიდა. „ქართველი სარდარი, რომელმაც მიპატიჟება მიიღო, დიდი ზეიმით და ბრწყინვალეობით გაემგზავრა მირ ვეისის ბანაკისაკენ, რომელიც რამდენიმე ლივზე იყო ქალაქიდან. მირ ვეისმა გიორგი მოჩვენებითი პატივით და დიდებით მიიღო. მას ყველაფერი მიართვეს, რისი მირთმევაც კი შეიძლებოდა. ავლანები ერთმანეთს ეცილებოდნენ პირველობას ქართველი სტუმრისადმი ყოველგვარი სამსახურის გაწევაში და ბოლოს, რათა გამოეჩინათ რაც შეიძლება მეტი სტუმართმოყვარეობა, ყოველმა ავლანმა ბელადმა თითო ქართველი თავის კარავში მიიწვია. დაიწყო საუცხოო ღვინო, რომლის ბოლოს სუფრა ღვინით სავსე დიდმა თასმა შემოიარა. გუბერნატორს და მის ამაღლას ზედმეტი მოუვიდათ და სწორედ მაშინ გაფუჭდა მათი საქმე. ყოველმა ავლანმა თავისი სტუმარი დაახრჩო. ზოგიერთი ჩაძინებული ქართველი ხმაურმა გამოაღვიძა. დაიწყო საყოველთაო ხოცვა“⁶⁵.

გ. ჰანვეი წერს, რომ სიცხემ და ღვინომ იმოქმედა ქართველებზე. გიორგი დაღლილი იყო და დაიძინა. ამ დროს მისი დაცვა ცალკე მიპატიჟეს და დაათრეს, ხოლო მირ ვეისი და შუბებით შეიარაღებული 50 კაცი თავს დაესხა მძინარე გიორგის; იგი მოკ-

⁶⁴ პროფ. ვ. მინორსკი გიორგის დაღუპვის თარიღად ასახელებს 1706 წელს: „1118/1706 წელს ყანდაპარულმა ავლან ღილაგებმა მოკლეს ადგილობრივი გუბერნატორი შაჰ ნავაზ-ხანი“ (გიორგი XI—ი. ტ.). იხ. V. Minorsky, *Tadhkirat al-Muluk. A Manual of Safavid Administration*. London, 1943, p. 9. გიორგის დაღუპვის ეს თარიღი სწორი არ არის.

⁶⁵ D. M. Lang, *Op. cit.*, p. 100.



ლეს. ეს იყო ნიშანი იმისა, რათა ყველა სპარსელი და ქართველი ვინც კი გიორგის ახლდა, ამოეხოცათ⁶⁶.

ჯ. მალკოლმის აზრით, მირ ვეისმა გიორგი მიიპატიჟა, როგორც სასიძო, ნადიმის დროს თავის ამალას მოაკვლევინა და მასთან ერთად ყველა მისი თანმხლები პირი ამოხოცა⁶⁷. დ. ლენგი შენიშნავს, რომ მირ ვეისმა „ისარგებლა ქართველთა რაზმის არყოფნით, რომელსაც გიორგის ძმისწული ალექსანდრე მეთაურობდა“⁶⁸.

ასე მუხანათურად მოკლეს ყანდაპარში 1709 წლის 21 აპრილს⁶⁹ ქართლის მეფე გიორგი XI. წყაროები მიუთითებენ, რომ გიორგი მირ ვეისის ამალასთან ხელჩართულ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა⁷⁰.

გამარჯვებულმა ავღანებმა დახოცილი ქართველების ტანისამოსი ჩაიცივეს. თვითონ მირ ვეისმა კი გიორგის ტანისამოსი ჩაიცვა⁷¹ და სილამოს, იმავე წყობით, როგორც გიორგის ამალა, ქალაქში დაბრუნდნენ. რადგან შეღამებული იყო, გარნიზონის დაცვამ ვერაფერი შენიშნა. ციხესიმაგრეში შესვლის შემდეგ კი ავღანელებმა მეციხოვნეთა ნაწილი ამოხოცეს, ნაწილი დაატყვევეს.

ზოგიერთი ავტორი გიორგის დაღუპვას მის წინდაუხედაობას მიაწერს. მაგალითად, შარლ დე პესონელი წერს: „გიორგი ხანი დაბადებით ჭკვიანი, თავმოყვარე და მამაცი ადამიანი იყო, მაგრამ მას არ გააჩნდა ამ მამაცობისათვის შესაფერისი გამჭრიახო-

⁶⁶ J. Hanway, Op. cit., p. 113.

⁶⁷ J. Malcolm, Op. cit., pp. 412—426.

⁶⁸ D. M. Lang, Op. cit., p. 100.

⁶⁹ „ქორონიკონს ტუზ, აპრილს კა (1709 წლის 21 აპრილს.—ი. ტ.); უღალატა მეფეს გიორგის ყანდაპარს სულთანმა მირვეისმა“ (ს ე ხ ნ ი ა ჩ ხ ე ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 324).

⁷⁰ „მეფემან, ედვა ქარქაში სარჩისა გვერდსა მისსა, გაიკრა ხელი, თავმან, სანამდის ისარი ჰქონდა, არც ერთი არ დააცდინა, რა ისარი დაელია, გაიკრა ხმალს ხელი; როგორც დევი, ისე იბრძოდა, ჰკრეს თოფი ამა მორქმა-დიდების პატრონსა და მოკლეს, ვინცა-ვინ ქართველნი დარჩომილ იყო, ამოწყვიტეს“ (ს ე ხ ნ ი ა ჩ ხ ე ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 324—325).

⁷¹ მირ ვეისის პორტრეტები არსებობს. იგი ახოვანი, წარმოსადეგი პიროვნება ყოფილა. რაკი გიორგის ტანისამოსი მოერგო, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ მეფე გიორგიც მაღალი, ახოვანი, წარმოსადეგი პიროვნება ყოფილა. მირ ვეისის სურათები იხ. წიგნში: „ა ბ დ უ-რ ა უ ფ ბ ე ნ ე ა, მირვანის ნეკა, 1325, კაბოლ, უმუმი მატბაა“. წიგნი დაწერილია პაშტუს ენაზე და გამოქვეყნებულია 1946 წ.

ბა“. შ. დე პესონელის აზრით, გიორგიმ დაამტკიცა, რამდენად სახიფათოა სიმამაცე გამჭირახობის გარეშე. ზოგჯერ ხერხეულნი ღონესა, როგორც ეს მირ ვეისმა გააკეთაო.

ცხადია, ჩვენ შორსა ვართ იმ აზრიდან, რომ დღეს ვაკრიტიკოთ გიორგის მოქმედება, მაგრამ ერთი რამ ცხადია: გიორგიმ და მისმა თანმხლებმა პირებმა ვერ გამოიჩინეს სათანადო სიფხიზლე ვერც ყანდაპარში და ვერც ნადიმის დროს. ამ ნადიმზე მათ ქცევას საბედისწერო შედეგი მოჰყვა.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გვინდა შევჩერდეთ ორ საკითხზე: პირველი — იმ პერიოდში ყანდაპარის ადგილმდებარეობაზე, და მეორე — გიორგის მკვლელობის ადგილზე.

დღეს ყანდაპარი ქაბულის შემდეგ მეორე ქალაქია ავღანეთში. იგი მდებარეობს ქაბულის სამხრეთ-დასავლეთით 515 კმ-ზე, ხოლო პერათის სამხრეთით 507 კმ-ზე. გზა ქაბულიდან ყანდაპარამდე კარგია, ბეტონირებულია (ალბათ, ასფალტი აქაურ სიციხეს ვერც გაუძლებდა) და გადის ღაზნი-მოქურ-ყალათზე.

ყანდაპარი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია ავღანეთში. მისგან 20 კმ-ზე — გუნდი გაკის ველზე, არქეოლოგებმა ნაქალაქარი აღმოაჩინეს. ეს ქალაქი სავაჭრო გზებით ინდოეთსა და მესოპოტამიასთან (შუმერებთან) ყოფილა დაკავშირებული. სახელწოდება ყანდაპარი უფრო გვიანდელია. ზოგიერთი ავტორის აზრით, მისი სახელწოდება ისკანდერუნიდან უნდა მოდიოდეს. არის სხვა მოსაზრებაც⁷².

ყანდაპარის შესახებ ცნობები XI—XII საუკუნეებიდან მოგვეპოვება. XIII ს. 80-იანი წლებიდან იგი გურიდების სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო 1648 წლიდან — სპარსეთის იმპერიაში. 1709 წლიდან ყანდაპარი ხდება ავღანთა (ლილზაების) დამოუკიდებელი სამთავროს დედაქალაქი.

საქმე ისაა, რომ დღევანდელი ყანდაპარი არ არის ის ქალაქი, რომელიც გიორგის დროს არსებობდა. გიორგის დროის ყანდაპარი მდებარეობდა მდ. არღანდაბის (რომელიც კაიტულის კლდოვანი ზოლის აღმოსავლეთით მიედინება) აღმოსავლეთ ნაპირებზე. მაშინ ქალაქში ნავეებით შედიოდნენ. ძველი ყანდაპარიდან დარჩა

⁷² ყანდაპარისა და ავღანეთის სახელწოდებების შესახებ. იხ. Bernard P a u l, Un problème de Toponymie antique dans l'Asie Centrale: Les nomes anciens de Qandahar, «Studia Iranica», t. 3, 1974, fasc. 2, pp. 171—182; Du Cerceau, Histoire de la dernière révolution de Perse, t. I, p. 142; J. Hanway, Op. cit., vol. III, Part, I, p. 25.



მხოლოდ ციხესიმაგრის ნანგრევები. იგი 1738 წელს ნადირ შაჰმა დაანგრია და მის აღმოსავლეთით რამდენიმე კმ-ზე საფუძველი ჩაეყარა ახალ ქალაქს — ნადირშაჰს, რომელსაც შემდგომში კვლავ დაუბრუნდა თავისი ძველი სახელი.

ყანდაპარის ციხესიმაგრეს, სადაც გიორგის რეზიდენცია და გარნიზონი იყო განლაგებული, „ნარინჯის სასახლე“ ეწოდებოდა. ამ ციხესიმაგრის (რომელიც დღევანდელი ყანდაპარიდან 3 კმ-ზე მდებარეობს) სამი კედელი დანგრეულია, ხოლო მეოთხე (ჩრდილო-დასავლეთით) — ბუნებრივი კედელი (თაითულის მთის შიშველი, ციცაბო კლდე), ცხადია, დღესაც არსებობს. სამი მხრიდან აგებული იყო განიერი კედლები (კედელი იყო მიწის, ორმაგი, და შუაში წყალი), თაითულის მთაზე კი (ზღვის დონიდან 1250 მ) იდგა გუმბათი, რომელიც ციხესიმაგრის გარშემო ყველაფერს ხედავდა. ციხესიმაგრეს ორი კარიბჭე ჰქონდა: ჩრდილოეთის კარიბჭე („შაოსანი“) და სამხრეთის კარიბჭე, სადაც დახოცეს ციხის დაცვა. ახლა აქ ყველაფერი დანგრეულია. ციხესიმაგრის ყოფილი ტერიტორია სრულიად ცარიელია და გამოუყენებელი. მიწა გამხმარია და გამოფიტული.

ახლა მეორე საკითხი: სად მოკლეს გიორგი?

1969 წლის ივლის-აგვისტოში ავღანეთში სტუმრად ყოფნის დროს, გარდა ზემოხსენებული ადგილების დათვალიერებისა, ამ საკითხზე საუბარი მქონდა ავღანელ ისტორიკოსებთან, მათ შორის ავღანეთის ისტორიკოსთა საზოგადოების პრეზიდენტი, ცნობილი ავღანელ ისტორიკოს პროფ. აბდულ ჰაი ჰაბიბისთან. ამ უკანასკნელმა თქვა, რომ გიორგის მმართველობა ყანდაპარში აღწერილია სხვადასხვა ნაშრომებში. იმ დროს მოღვაწეობდნენ ავღანი პოეტები: ხომალ ხანი და ფიროზ ხანი. მირ ვეისის დედა—ნაზო პოეტი იყო. ა. ჰ. ჰაბიბის სიტყვებით, საინტერესო მასალები ინახება ბრიტანეთის მუზეუმსა და ოქსფორდის უნივერსიტეტში. ამ პერიოდს ეხება ხელნაწერი ნაშრომი „ნაადარნობა“, რომელიც ყარაჩის მუზეუმში ინახება. არსებობს კიდევ ორი წიგნი: „ტაკი“ (სპარსულად) და „მირ ვეისი“ (პუშტუს ენაზე)⁷³, სადაც აღწერილია როგორც მირ ვეისის ცხოვრების ისტორია, ისე გიორგისა და სხვა ქართველების ყოფნა ყანდაპარში.

პროფ. ა. ჰ. ჰაბაბი არ იზიარებს დასავლეთის ლიტერატურაში გავრცელებულ აზრს გიორგის კოკარანში მკვლელობის შესა-

⁷³ ეს უკანასკნელი წიგნი და ბევრი სხვა საინტერესო მასალა დოქტ. საქ. აჰმად ფარჰადის საშუალებით ქაბულიდან ჩამოვიტანეთ.



ხებ, ვინაიდან კოკარანი ძალიან ახლოა (დაახლოებით 3 კმ) ყანდაპარის ციხესიმაგრეიდან, სადაც გიორგი თავისი ლაშქრით იყო დასახლებული. თათულის მთიდან კოკარანი კარგად მოჩანს. ცხადია, მირ ვეისი ვერ გაბედავდა, გიორგის მკვლელობა ციხესიმაგრეიდან ასე ახლოს მოეწყო.

უფრო დამაჯერებლად გამოიყურება მეორე ვერსია (პროფ. ა. ჰ. ჰაბიბიძე ამ აზრისაა), რომლის მიხედვით გიორგი მოკლეს დეშეიხში (დაახლოებით 40 კმ ყანდაპარის სამხრეთ-აღმოსავლეთით). ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ისიც, რომ ყანდაპარის სამხრეთ-აღმოსავლეთით (ე. ი. დეშეიხის მიმართულებით), დაახლოებით 150—160 კმ, ფიშინის რაიონში (ამჟამად პაკისტანის ტერიტორიაზე) ცხოვრობდნენ ტირინის ტომები, რომელთა ინსპირირებული აჯანყებაც მირ ვეისმა მოაწყო. ყველაფერი წინდაწინ იყო ჩაფიქრებული: გიორგი თავის ლაშქარს აგზავნის ფიშინში ამბოხებული ტომების დასასჯელად, ხოლო მირ ვეისი გიორგის პატივობს ნადიმზე, რომელსაც ის აწყობს ყანდაპარ-ფიშინის გზაზე — დეშეიხში.

დეშეიხში, სადაც მირ ვეისის კარგები იყო გაშლილი და ნადიმი მოეწყო, ახლა ცარიელი მინდორია. კოკარანი კი დასახლებულია: ყანდაპარიდან ჰერათისაკენ მიმავალ გზაზე ყანდაპარის ციხესიმაგრის ნანგრევებს ჩაუვლი და კოკარანში მიხვალ, აქ, მდ. არღანდების ნაპირზე, ბაღში დგას მეჩეთი, რომლის დარბაზში მოთავსებულია მირ ვეისის სარკოფაგი. მნახველები აქ ფეხშიშველი შედიან (ალბათ, როგორც ქრისტიანი, ამ მოვალეობისაგან მე გამათავისუფლეს).

ყანდაპარელი ისტორიკოსებიც: მოჰამედ ანვერი და აზიზულაბ ვაზიფი, რომლებიც მახლდნენ, იმ აზრისა არიან, რომ გიორგი მოკლეს დეშეიხში და არა კოკარანში. ჩვენც ეს აზრი უფრო დამაჯერებლად მოგვეჩვენა.

გიორგის მკვლელობიდან სამი დღის შემდეგ ყანდაპართან გამოჩნდნენ ქართველ ცხენოსანთა რაზმები. მირ ვეისი მათ ელოდებოდა და შესახვედრად ემზადებოდა. როგორც კი ისინი ქალაქს მიუახლოვდნენ, მირ ვეისის ბრძანებით მათ ზარბაზნები დაუშინეს. ქართველები მიხვდნენ, რომ ქალაქი მოწინააღმდეგეთა ხელში იყო⁷⁴. მათ ჯერ უკან დაიხიეს, ხოლო შემდეგ ბრძოლით სპარ-

⁷⁴ სეხნია ჩხეიძის აზრით, ქართველებმა ყანდაპარში მისვლამდე გაიგეს, რაც გიორგის შემთხვევა (ს. ჩ ხ ე ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 325).



სეთის გზას დაადგინენ. მირ ვეისი 5-ათასიანი ლაშქრით შემოსდნენ მათ, რათა გზა გადაეჭრა და ალყაში მოექცია, მაგრამ მალე მიხვდა, რომ საქმე ჰქონდა გამოცდილ და მამაც მეომრებთან⁷⁵.

ქართველები ბრძოლით მიიწვედნენ სპარსეთისაკენ და ბოლოს ზებილის უღელტეხილზე გადავიდნენ. „რვა დღის განმავლობაში ქართველები საოცარი სიმამაცით, ბრძოლით უკან იხევდნენ“ და ბოლოს დატოვეს ყანდაპარის პროვინცია⁷⁶. ქართველებს მტერთან განუწყვეტელი შეტაკებების, პროდუქტებისა და ფურაჯის სიმცირის პირობებში უხდებოდათ უკან დახევა. ავღანები ანადგურებდნენ ნაევებსა და ბორნებს, რომლებითაც ქართველები მდინარეებზე უნდა გადასულიყვნენ. ერთ დღეს 5-ჯერ შეუტოეს მათ ავღანებმა, მაგრამ ქართველები ყველა ამ ბრძოლიდან გამარჯვებულნი გამოვიდნენ.

ქართველების მამაცობის დასადასტურებლად უცხოელ ავტორებს ხშირად მოაქვთ შემდეგი მაგალითი: როდესაც ქართველები ზებილის უღელტეხილიდან 3 ლიეზე მდებარე მდინარეზე გადადიოდნენ, ერთ ქართველს ცხენი მოუკლეს. მაშინ იგი მიბრუნდა მტრისაკენ და ერთ ავღანს, რომელიც მისკენ მოჭროდა, პირდაპირ შეეგება, ერთი ხელით მას თავისი ხმალი მიაწოდა, ვითომც ტყვედ ბარდებოდა, ხოლო მეორე ხელით თავში დამბახა ესროლა და მოკლა. ქართველი მოახტა მის ცხენს, გადალახა მდინარე და თანამებრძოლებს შეუერთდა.

ქართველები შევიდნენ სპარსეთის ტერიტორიაზე. მალე ისფაჰანშიც გაიგეს ყანდაპარში მომხდარი ამბები, რამაც სპარსეთის შაჰის კარი დიდად შეაშფოთა⁷⁷. თუმცა აქ ჯერ კიდევ მთელი სისრულით არ ესმოდათ, თუ რა მოხდა ყანდაპარში და რა საბედისწერო შედეგი შეიძლებოდა მას მოჰყოლოდა სპარსეთისათვის. ისფაჰანში გადაწყვიტეს ახალი არმიის შექმნა და ყანდაპარში გაგზავნა, მაგრამ ეშინოდათ, მირ ვეისი მოგოლების მხარეზე არ გადასულიყო, ამიტომ მასთან ჯერ მოლაპარაკება სცადეს, თუმცა აქედან არაფერი გამოვიდა.

1710 წელს ჰუსეინმა ჰერატის ხანის მეთარობით 15-ათასიანი ლაშქარი გაგზავნა ამბოხებული ყანდაპარის წინააღმდეგ. მირ ვეისი კარგად არჩევდა ქართველებსა და სპარსელებს. იგი 5-ათასია-

⁷⁵ J. Hanway, Op. cit., p. 49.

⁷⁶ Ibid.

⁷⁷ D. M. Lang, Op. cit., p. 101.



ნი ლაშქრით შეხვდა მათ, დაამარცხა და უკან დაბრუნდა. 1711 წლის სექტემბერში თავრიზის გუბერნატორი მოჰამედ ხანი 5-ათასიანი არმიით გაემართა ყანდაპარისაკენ. ავღანებმა ეს ლაშქარიც დაამარცხეს და მოჰამედ-ხანი თავისი სამი ვაჟიშვილით ტყვედ ჩაიგდეს.

შაჰ ჰუსეინმა ახალი დიდი ლაშქარი შექმნა და მის სათავეში ქაიხოსრო ლევანის ძე დააყენა. ქაიხოსრო აქამდე ისფაჰანის გუბერნატორი იყო, ხოლო გიორგის დაღუპვის შემდეგ შაჰმა იგი ქართლის მეფედ დანიშნა და სპარსეთის ჯარების ამირ-სპასალარობა უბოძა⁷⁸. ქაიხოსრო ქართლის მეფედ ორი წელი ითვლებოდა, მაგრამ თავის სამშობლოში ჩასვლა არ ელირსა. ქართლს კვლავ ვახტანგი მართავდა. ავღანეთში ამ ლაშქრობის დროს ვახტანგმა ქაიხოსროს 1500 ქართველი ცხენოსანი გაუგზავნა.

შაჰის კარზე მოკალათებული ანტიქართული ჯგუფი ხელს უშლიდა ქაიხოსროს ექსპედიციის მომზადებას. „სპარსელებმა დიდხანს შეაჩერეს ქაიხოსრო და ბოლოს ყანდაპარს ისე გაისტუმრეს, რომ ჯარს სრული ჯამაგირიც არ მისცეს. ქაიხოსროს მრჩეველად დაუნიშნეს ვინმე იმამ ყული-ბეგი, რომელმაც მას უღალატა⁷⁹.

1710 წლის ნოემბერში ქაიხოსრო თავისი ლაშქრით ხორასნის პროვინციისაკენ გაემართა, გაიარა მეშხედი, შეიჭრა ავღანეთის ტერიტორიაზე, გაიარა ქ. ჰერათი, გაემართა ყანდაპარისკენ და ქ. ფარაპის რაიონში—377 კმ-ზე ყანდაპარის დასავლეთით დაბანაკდა. ქაიხოსრომ პირველ ხანებში მოლაპარაკებაც კი სცადა მირ ვეისთან, მაგრამ უშედეგოდ.

ქაიხოსროს ლაშქრის მოახლოებისთანავე მირ ვეისმა დახოცა 30 ქართველი, რომლებიც ტყვედ ჰყავდა. გაათავისუფლა ალექსანდრე ბატონიშვილი და ნება დართო, თან წაეყვანა პაპუნა და ნოდარ ციციშვილები. მირ ვეისმა მათ გაატანა დახოცილი გიორგისა და მისი თანმხლები პირების გვამები.

ქაიხოსროს დიდძალი არმია ჰყავდა, მაგრამ „სამხედრო მეტაურს სიმამაცე სიფხიზლის გარეშე ღირსებას ვერ შეუქმნის“—

⁷⁸ „...ებოძა ყენს ბატონის-შვილის ქაიხოსროსთვინ ქართლი, ერანისა სპასალარობა, თავრიზი და ბარდა“ (ს. ჩ ხ ე ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 325).

⁷⁹ მ. ბ რ თ ს ე, საქართველოს ისტორია, ნაწ. II, გვ. 54.



შენიშნავს ჯ. ჰანვეი⁸⁰. „ქართველთა მეორე ექსპედიციის აღწერა“⁸¹ დ. ლენგი, — თავიდანვე განწირული იყო. სპარსეთის შაჰის კარზე არსებულმა ანტიქართულმა კოალიციამ, ახალი დიდვაზირის ფაქ ალი-ხან დალესტნელის მეთაურობით, აჯანყებულ მირ ვეისთან კავშირი დაამყარა. ქაიხოსროსთან მყოფი ერთ-ერთი სპარსელი მსახური დაკავშირებული იყო ავღანელებთან, ხოლო ქაიხოსროს ლაშქრობისათვის განკუთვნილი თანხების ნაწილი ისფაჰანში უკანონოდ მიითვისეს“⁸¹.

მიუხედავად ამისა, თავიდან საქმე კარგად მიდიოდა. ქაიხოსროს ლაშქარი მიუახლოვდა ზებილის უღელტეხილს, რომლის გადასვლის შემდეგ გზა ხსნილი იყო გირიშკისაკენ. ქაიხოსრომ ქართლიდან დამატებითი ძალები მიიღო, გირიშკის ციხესიმაგრე აიღო და ოთხი თვე ფლობდა მას. აქედან კი ყანდაპარამდე არის 122 კმ. აქ ბრძოლაში დაიღუპნენ მირ ვეისის ერთ-ერთი ძმა და ძმისწულნი.

ყანდაპარის მისადგომებთან მირ ვეისმა უკან დაიხია, შემდეგ მტერთან შებრძოლება სცადა, მაგრამ ქაიხოსრომ იგი უკუაქცია. ყანდაპარის გარნიზონმა ქაიხოსროს ქალაქის ჩაბარება შესთავაზა, მაგრამ ქართველმა სარდალმა გარნიზონის წინადადება არ მიიღო — იგი მხოლოდ უსიტყვო კაპიტულაციას მოითხოვდა. ეს ქაიხოსროს შეცდომა იყო. „წარმატებაში დარწმუნებული ქართველი გენერალი, — წერს დ. ლენგი, — უსიტყვო კაპიტულაციას მოითხოვდა, ამან ალყაშემორტყმულთა მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის გრძნობა გაზარდა“⁸².

გარდა ამისა, მირ ვეისმა დახმარება სთხოვა ბელუჯის ტომებს, ხოლო ავღანელებს უბრძანა ყოველგვარი პროდუქტი და ფურაჟი მოესპოთ იმ მიდამოებში, სადაც ქაიხოსროს არმია იყო განლაგებული. ახლა ყანდაპარის ციხესიმაგრის აღება გაჭიანურდა, რის გამოც ქაიხოსროს არმიაში დეზერტირობამ იმატა. სპარსელთა რიცხვი უკვე 10 ათასამდე დავიდა. მირ ვეისმა კონტაქტი დაამყარა სპარსელთა წინამძღოლ მაჰმად-ხანთან, რომელიც ქაიხოსროს ლაღატობდა. პროდუქტები მეტისმეტად შემციირდა. ქაი-

⁸⁰ J. Hanway, Op. cit., p. 54. ქაიხოსროს ერთი კარგელიტი (მორჩილი ძმა ბასილი) და ორი კაპუჩინი ახლდნენ, მათ შორის ჯუზეპე ფრესკურატი ვერონეზე. შემდგომში ვახტანგ VI-მ ევროპაში სულხან-საბასთან წერილი რომ გაატანა. იხ. ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 52.

⁸¹ D. M. Lang, Op. cit., p. 101; J. Otter, Op. cit., p. 254.

⁸² D. M. Lang, Op. cit., p. 101.

ხოსრომ უკან დახევა გადაწყვიტა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. მირ ვეისი თავისი ახალი ნაწილებით დაეწია მას და ბრძოლა გატანა. თა. სპარსელები დაფრთხნენ; ქაიხოსრო შეეცადა მათს შეჩერებას, მაგრამ ამაოდ.

„ამასობაში, — წერს იოსებ ქართველი, — მირ ვეისი ყოველ-დღიურად თავის ლაშქარს აძლიერებდა და ირგველივ მდებარე სოფლებს აოხრებდა, რათა არ მიეცა მოწინააღმდეგისათვის არა-ეითარი საკვები და აეძულებინა იგი, პროდუქტებისა და ფურაყის უქონლობის გამო ალყა მოეხსნა. ეს მას დროულად გამოუვიდა, რამდენადაც პროდუქტების ნაკლებობით და დიდი ხნის ალყით თავმობეზრებულმა სპარსელებმა დაიწყეს გაქცევა იმდენად დიდი რაოდენობით, რომ ბოლოს ჯარის რიცხვი ალყის დაწყებასთან შე-დარებით 1/3-ზე ნაკლებამდე დავიდა.

სარდალმა მიიღო თავისიანების რჩევა — უკან დაეხია, მაგრამ მან ვერ შესძლო ეს დროულად გაეკეთებინა, ხოლო მირ ვეისმა მოიყვანა 16 ათასი რეკრუტი და სპარსელებს ბრძოლა ადგილზე გაუმართა. სპარსელებმა მაშინვე მოკურცხლეს, არ მიაქციეს რა ყურადღება დაბეჯითებით ბრძანებებს თავიანთი სარდლისა, რომელიც მათ შეჩერებას უშედეგოდ ცდილობდა“⁸³.

ქაიხოსრომ სამარცხვინო გაქცევას სახელოვანი სიკვდილი ამ-ჯობინა. როდესაც იესე ცალქალამიძემ ქაიხოსროს მოახსენა: „ხელმწიფო, გაგეცალა ჯარი და აღარცა ჩანს ძმა თქვენი, ნუ მოიკლავ თავსა“, უბრძანა მეფემ: „ჩემისა სიცოცხლისათვის არა მოვაყივნო თავი, არც გვარი ჩემი“. გაქუსლა ცხენი, შეერია შიგა, ვითარცა ქორი კაკაბსა გუნდისასა, ჩამოავლო შუბითა ორი კაცი, დახუდა ნათხარი რუ, წაეჭვა ცხენი. რა ჰსცნეს ცხენის წაქცევა, წამოეხვივნენ, დაჩეხეს ხმლითა, ცალქალამიძე იესე წინ მოუკ-ლეს...“⁸⁴.

ჯ. ჰანვეი წერს: ქაიხოსრო „სათავეში ჩაუდგა ორას ქარ-თველს, რომლებიც მის გარშემო იმყოფებოდნენ, შეიჭრა მოწი-ნააღმდეგის მთავარ ძალებში, გამოიჩინა სასწაულებრივი ღირსება და მამაცობა, ვიდრე ძალა შესწევდა. ბოლოს ვილაცამ მას რკინის კომბალით თავი გაუტეხა. ყველა, ვინც ამ ბრძოლაში მონაწილეობდა, ნაკუწ-ნაკუწად აქციეს...“⁸⁵.

⁸³ Archives du Ministère des Affaires Etrangères de la France. Correspondance Politique, Paris, «Perse», t. VI, ff. 268v^o—269.

⁸⁴ იხ. ს. ჩხეიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 326.

⁸⁵ J. Hanway, Op. cit., vol. III, pp. 54—56.



ახლა მირ ვეისის ძალები გაცილებით მეტი იყო და მისი ნასწორო ბრძოლაში 1711 წლის 26 ოქტომბერს „გასარტყარი სიმამაცით დაიღუპა ქაიხოსრო“⁸⁶. ქართლის მეფე ქაიხოსრო „უჩვეულო სიმამაცისა და გმირობის მაგალითი იყო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს იგი მხეცურად მოკლეს“—შენიშნავს დ. ლენგი⁸⁷. „გმირულად დაასრულა თავისი სახელოვანი სიცოცხლე ქაიხოსრომ, რომელიც თუ რაიმეთი დაიძრახებოდა, მხოლოდ იმით, რომ მან შეიცვალა სარწმუნოება,“—წერს შარლ დე პესონელი, რომელიც იქვე მიუთითებს: „თუმცა მან გარეგნულად სარწმუნოება შეიცვალა, მაგრამ გულში ქრისტიანობა შეინარჩუნა, ამაზე შეიძლება ითქვას, რომ შეასრულა (მაჰმადიანობის მიღების) მხოლოდ ცერემონიალი“⁸⁸. ასეთი იყო დასასრული ამ უფლისწულისა, რომელიც თავისი სიმამაცით, სამხედრო გამოცდილებითა და სხვა სათნოებით უკეთესი ბედის ღირსი იყო⁸⁹. ამ ბრძოლებში დაიღუპა ალექსანდრე ბატონიშვილიც.

ყანდაპარის ბრძოლების შედეგებს საქართველოსათვის მეტად უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა. „ყანდაპართან კატასტროფა, — წერს დ. ლენგი, — ნიშნავდა არა მარტო სეფიანების შერყეული რეჟიმის დაღუპვას, არამედ მან საქართველოს დაუკარგა თავისი რჩეული სარდლები და სამხედრო მეთაურები სწორედ მაშინ, როდესაც საქართველოს ისინი ესოდენ სჭირდებოდნენ“⁹⁰.

ქაიხოსრო გიორგის მსგავსად გამაჰმადიანდა, მაგრამ „გულში იგი ქრისტიანად რჩებოდა“⁹¹, კათოლიკე მისიონერებს ყოველთვის ეხმარებოდა. ყანდაპარის ლაშქრობის დროს, როგორც უკვე

⁸⁶ Du Cerceau, Op. cit., pp. 238—9. არსებობს დიუ სერსოს უფრო გვიანდელი გამოცემაც, სადაც აღწერილია იგივე ამბები, მაგრამ უფრო განსხვავებული და დამატებითი მასალების მიხედვით (იხ. Du Cerceau, Histoire des révolutions de Perse depuis le commencement de ce siècle jusqu'à la fin des Règne de l'usurpateur Aszraff, t. II, Paris, 1742).

⁸⁷ D. M. Lang, Op. cit., p. 102.

⁸⁸ Ch. de Peyssonel, Op. cit., p. 55.

⁸⁹ Ibid.

⁹⁰ D. M. Lang, Op. cit., p. 102.

⁹¹ J. Hanway, Op. cit., p. 56. მ. თამარაშვილის აზრით, გიორგი ყანდაპარშიც კი კათოლიკური სარწმუნოებისადმი ერთგული რჩებოდა და მას ყოველთვის თან ახლდა ორი მამა კაპუჩინი. იხ. M. Tamarati, L'Eglise Géorgienne des origines jusqu'à nos jours, Rome, 1910, p. 587. ეს აზრი დაზუსტებას მოითხოვს: აქ, ალბათ, გიორგისა და ქაიხოსროს სახელებია ერთმანეთში არეული.



ითქვა, მას კათოლიკე მისიონერები მუდამ ახლდნენ. ჯ. ჰანვეი
 წერს: ქაიხოსრო „ყოველთვის ფიქრობდა, რომ თავისი წინაპრების
 ბის სარწმუნოებას დაუბრუნდებოდა, მაგრამ გარეგნულად ცდი-
 ლობდა, თავი მაჰმადიანად მოეჩვენებინა“. ამბობენ, თითქოს მის
 საბრძოლო დროშაზე ჭვარი იყო გამოსახული. ჯერ კიდევ 1708
 წელს ქაიხოსროს რომის პაპისათვის წერილი მიუწერია, ხოლო
 1711 წლის 24 იანვარს კონგრეგაცია „პროპაგანდა ფიდეს“ მის-
 თვის პასუხი გამოუგზავნია⁹².

ინგლისელი ისტორიკოსი ვ. ალენი წერს: „გიორგი XI-ის,
 მისი შვილებისა და ძმების სამხედრო სიმამაცემ უკანასკნელ ათე-
 ულ წლებში შეინარჩუნა სეფიანთა დინასტია სპარსეთში და მისი
 ბატონობა ავღანეთში“⁹³.

ავღანეთში ყოფნის დროს ვეძებდი ქართველების ნაკვალევს,
 განსაკუთრებით ყანდაპარის მიდამოებში. მართალია, ყანდაპარში
 ქართველების ყოფნის შესახებ წყაროებში მასალები ნაკლებადაა
 დაცული, მაგრამ სხვადასხვა პიროვნებებთან, კერძოდ ავღანელ
 ისტორიკოსებთან, საუბარმა ზოგიერთი საინტერესო მასალა
 მომცა და რამდენიმე საინტერესო წიგნი მაპოვნინა.

ქაბულ-ყანდაპარის გზაზე ქალაქების—ლაზნისა და მუქჯურის
 დათვალიერების შემდეგ ზაბულის პროვინციის ადმინისტრაციულ
 ცენტრში ქ. ყალათში მივედი. აქ პროვინციის გუბერნატორმა
 ჰაჯი ქალაყ დად თაქაიმ საუბრის დროს ას წელს გადაცილებულ
 მოხუც, ამ მხარის „დიდ ისტორიკოსს“ — მირ ჰაიდარს შეგვახ-
 ვედრა. ამ უკანასკნელმა თქვა, რომ როდესაც მირ ვეისი გიორგის
 მკვლელობას ამზადებდა, იგი დაკავშირებული იყო ისფაჰანში შა-
 პის კარზე არსებულ ანტიქართულ ჯგუფთან, ავღანელ ტომთა ბე-
 ლადებთან და ბელუჯის ტომების მეთაურებთან. გიორგის პირადი
 მსახური სპარსელი მურადი გიორგის ლალატობდაო. იგი მირ
 ვეისს უმტკიცებდა, — გიორგი ქრისტიანია და ბევრჯერ უნახავს
 გიორგი ფარულად რომ ლოცულობდა.

ყანდაპართან ბრძოლების დროს გადარჩენილი ზოგიერთი ქარ-
 თველი სამუდამოდ დარჩა ამ რაიონში. შემდგომში ყანდაპარში
 ხშირად მოიხსენიებდნენ „გურჯებს“. ყანდაპარისა და ზაბულის
 პროვინციებში ზოგიერთი ადგილის სახელწოდება ქართველთა აქ

⁹² ვ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის,
 თბ., 1902, გვ. 308—309

⁹³ W. E. D. Allen, A History of the Georgian People, London, 1932,
 p. 176.



ყოფნაზე მიუთითებსო: გურჯიზოი — ადგილობრივ ენაზე ნავს „ქართველიდან წარმოშობილს“, „ქართველის შვილს“. ყანდაპართან ახლოს არის სოფელი „გურჯიზოი“, ზაბულის პროვინციაში — ორი „გურჯიზოი“. ამ სოფლებში ცხოვრობენ ტომები: ქარზი, ქარზინი, ქალიდაი, აჩეჭზაი.

ყანდაპარელი ისტორიკოსის მოჰამედ ანვარის ცნობით, ყანდაპარის პროვინციაში არის ორი ტომი — გურჯიზოი და ბორგეზოი. ორივე დურანის (აბდალაების) ტომებს მიეკუთვნება. ამბობენ, რომ პირველთა თაფიანთი სახელი ქართველიდან („გურჯიდან“) აიღესო. შესაძლებლად თვლიან იმასაც, რომ ამ სოფლებმა და ტომებმა შემდგომში დაირქვეს ეს სახელები ისე, რომ ქართველებთან არავითარი კავშირი არ ჰქონიათ. საქმე ისაა, რომ „გურჯი“ (ქართველი) ყოველთვის ძლიერისა და კარგის აღმნიშვნელი იყო აქ. თუ ვინმე ბრძოლაში გაიმარჯვებდა ან თავს გამოიჩინდა, მაშინვე სახელად „გურჯის“ დაირქმევდაო. დღეს ძნელია იმის დადგენა, ნამდვილი „გურჯი“ (ქართველი) თუ სიმბოლური „გურჯი“ (მამაცი) უღვეს საფუძვლად ზემოაღნიშნულ ტოპონიმებს.

აქ ხშირად გაიგონებთ გამოთქმას: „ის მაგარია, როგორც გურჯი“, „ის ლამაზია, როგორც გურჯი“ და სხვ. ყანდაპარის ბაზარში ხშირად ისმის „გურჯი“, როგორც „კარგის“ აღმნიშვნელი. გთავაზობენ ხილეულს (ნესეს, მსხალს, ვაშლს) და ყვირიან: „გურჯი“, „გურჯი“. ერთხელ ბაზარში გამყიდველის ხმა მომესმა: „გურჯი ალუჩა“. ეს იყო წითელი ტყემალი. როგორც ამბობენ, ეს ხილი ქართველებს ჩაუტანიათ ყანდაპარში, ხოლო ადგილობრივ მცხოვრებლებს მისთვის „გურჯი ალუჩა“ დაურქმევიათ.

ყანდაპარის ჩრდილოეთით მდებარე ქ. დანდიდან 6 კმ-ზე არის სოფ. გორგანი. აქ ცხოვრობს ტომი ბორგეზოი. აქაურმა მცხოვრებლებმა იციან მხოლოდ გურგინ-ხანი, როგორც დამპყრობელი, მაგრამ არ იციან, ვინ იყო ის. სიტყვა „გურჯი“ იციან მხოლოდ „კარგის“ მნიშვნელობით. ამ მხარეში არის დასახლებული ადგილი ფოთი, რომელიც სამხედრო პირთა თავშესაფარი ადგილი ყოფილა. მოჰამედ ანვარის აზრით, ერთ-ერთი ტომის სახელწოდება „ხუდიზოი“ (პუშტუს ენაზე „ხუდიზოი“ — „თვითონ“, „ობოლი“) შესაძლებელია ქართული წარმოშობისა იყოს.

დღევანდლამდე ყანდაპარში შემონახულია გამოთქმები: „გურჯიზოი“, „ხუდიზოი“, „სურ გურჯი ალუჩა“, „სურ გურჯი მან“ (კარგი კაცი), „საგა გურჯი“ (კარგი ძალი—ძალის ჯიშია) და სხვ.



ყანდაპარიდან ჰერათში მიმავალი გირიშკში შეეჩერდნენ. ქაქულაქაძე ამავე სახელწოდების მდინარის ნაპირებზეა განლაგებული. იმასაც ამბობენ, რომ ქაიხოსრო ამ მდინარეზე გადასვლის დროს დაიღუპაო. გზა ჰერათისკენ გავაგრძელებთ და ფარაპის პროვინციის ქ. ფარარუდში შეეჩერდით. პროვინციის გუბერნატორი მოჰამედ ჰოსაინ შირანდელი განათლებული და მდიდარი ბიბლიოთეკის პატრონი აღმოჩნდა. მან კარგად იცოდა გიორგისა და ქაიხოსროს დაღუპვის ისტორია. ზოგი რამ გაუგია გიორგი სააკაძის შესახებაც. უნახავს მისი პორტრეტი: იგი შესახედავად ახოვანი იყო და მაღალი ქუდი ეხურაო.

ჰერათში ძველი ციხესიმაგრის ყალბი-იქთიირუდინის ნანგრევები დავათვალიერეთ და მეორე დღეს ისევ ყანდაპარის გავლით ქაბულისაკენ გავემგზავრეთ.

ქაიხოსროს დაღუპვის შემდეგ ყანდაპარში სპარსეთის არცერთ სამხედრო ექსპედიციას რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია: ყორჩი-ბაშ მუჰამედ მაჰან-ხანი აღმოსავლეთში ექსპედიციის დროს მეშხედში მოკვდა; მისი მემკვიდრე ჯაფარ ყული-ხანი პატიმი ავღანებმა ჰერათში მოკლეს, მათ ასევე დაამარცხეს მეშხედის ბეგლარბეგი მანსურ-ხან შაჰსევანი. ახალი მთავარსარდალი ფატ ალი-ხანი თურქმანი მოკლე წარმატების შემდეგ დაიღუპა აბდალაების ტომთან ბრძოლაში, რომლებმაც მეშხედს ალყა შემოარტყეს. ახლა ხორასანში გაგზავნეს სეფი ყული-ხანი თურქესტანოლი, რომელმაც 1719 წელს უზბეკების შემოტევა შეაჩერა, მაგრამ აბდალაებთან ბრძოლაში დამარცხდა და დაიღუპა.

სპარსეთი დაღუპვის გზაზე იდგა. „სასახლის გაუმძღარი და გახრწნილი მსახურები“ ყველაფერს აკეთებდნენ შაჰის უკითხავად⁹⁴.

ყაზვინსა და თეირანში შაჰ ჰუსეინის ხანგრძლივ ყოფნას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. მან გადააყენა თავისი ეთემად აღდოულე ფატ ალი-ხანი დაღესტნელი, თვალები დასთხარა და მის ქონებას დაეპატრონა.

კიდევ ერთი უშედეგო ექსპედიცია მოეწყო ყანდაპარისაკენ უნიკო ისმაილ-ხანი ხანაზადის მეთაურობით. იგი ისე დამარცხდა, რომ მეშხედსაც კი ვერ გაცილდა. 1721 წლის 28 იანვარს შაჰ ჰუსეინი ისფაჰანში დაბრუნდა. მალე ცნობა მოვიდა, რომ ქირმანი მირ ვეისის შვილს—მირ მაჰმუდს ჩაბარდა. 1722 წლის 6 მარტს სპარსეთის ლაშქარმა ისფაჰანიდან რამდენიმე კმ-ზე მირ მაჰმუდის ლაშქართან ბრძოლაში სასტიკი დამარცხება განიცადა.

⁹⁴ V. Minorsky, Op. cit., p. 10.

II

იოსებ ქართველის მოღვაწეობის ისტორიიდან

წინამდებარე ნაშრომის ამ ნაწილში ჩვენ ვიხილავთ იოსებ ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მხოლოდ ერთ პერიოდს—1717 წლის მარტიდან (როდესაც სპარსეთში საფრანგეთის კონსულად მიმავალმა ანუ დე გარდანმა იგი კონსტანტინოპოლში თარჯიმნად აიყვანა) 1726 წლის ოქტომბრამდე (როდესაც ისუპანიდან კვლავ თურქეთში დაბრუნებული იოსებ ქართველის ურთიერთობა შეწყდა კონსტანტინოპოლში საფრანგეთის საელჩოსთან)¹.

გარდა ამისა, გადავწყვიტეთ, აქ თავი მოვუყაროთ იოსებ ქართველის ნაშრომებს, რომლებიც დაწერილია სხვადასხვა ენაზე და რომლებსაც ჩვენ მივაკვლიეთ სხვადასხვა არქივებსა და წიგნთსაცავებში (საფრანგეთი, ინგლისი, თურქეთი) და დაეურთოთ ისინი ჩვენს ნაშრომს თარგმანებითა და კომენტარებით.

ჩვენი აზრით, ეს საშუალებას მისცემს მკითხველს, რეალური წარმოდგენა იქონიოს იოსებ ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთ პერიოდზე, მის ნაშრომებსა და თვით მის პიროვნებაზე.

იოსებ ქართველი დიდი ხანია ცნობილია ევროპულ ისტორიოგრაფიაში. ქართველ მკითხველს მისი ვინაობა და მოღვაწეობა პირველად პროფესორმა ვ. გაბაშვილმა გააცნო².

¹ სათანადო მასალების უქონლობის გამო ჩვენ აქ ვერ ვეხებით იოსებ ქართველის საქმიანობას 1717 წლამდე. იოსებ ქართველის ვინაობის შესახებ იხ. ვ. გაბაშვილი, იოსებ ქართველის ვინაობისა და მოღვაწეობისათვის. თსუ შრ., ტ. 116, 1965; თ. ნატროშვილი, მასალები იოსებ ქართველის ბიოგრაფიისათვის, „მაცნე“, ისტ. სერია, 1965, № 5.

² იხ. ვ. გაბაშვილი, იოსებ ქართველი—XVIII საუკუნის დიპლომატი და ისტორიკოსი, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 32, 1955.



საერთოდ იოსებ ქართველს ბევრი ავტორი მოიხსენიებდა, რომლებსა თუ ნაშრომებში: საფრანგეთის ელჩი კონსტანტინოპოლში მარკიზი დ'ანდრეზელი³, პოლონელი თადეუშ კრუსინსკი⁴, ფრანგი ლ.-ა. დე ლა მამი დე კლერაკი⁵, ინგლისელი ჯ. ჰანვეი⁶, სომეხი სარგის გილანენცი⁷, ინგლისელები ტ. ჰ. ვეირი⁸ და დევიდ მ. ლენგი⁹, ვ. გაბაშვილი¹⁰, ინგლისელი ლ. ლოკარტი¹¹, თ. ნატროშვილი¹², მ. გობეჯიშვილი¹³, ი. ტაბალუა¹⁴, გ. პაიჭაძე¹⁵ და სხვ.

³ Archives du Ministère des Affaires Etrangères de la France. Archives diplomatiques. შემდგომში იხ. შემოკლებით: Archives. Paris, ..., «Turquie», t. 54, 56, 58, 69, 70, 71, 72, 75; «Perse», t. 5, 6, 7, ...

⁴ J. T. K r u s i n t k i, Tragicæ belli Persici Historia, Leopoli, 1740, pp. 1—34; I b i d., Prodromus ad Tragicam Vertentis bellii Persici Historiam sei Relatio Turcico—Persicæ Legationis.... Leopoli, 1740, pp. 1—175.

⁵ L.—A. de la M a m y e de C l a i r a c, Histoire de Perse, depuis le commencement de ce siècle, 3 vols., Paris., 1750.

⁶ J o n a s H a n w a y, Merchant. The Revolutions of Persia: Containg the Reign of Shah Sultan Hussein, with the invasion of the Afgans, and the Reign of Shah Sultan Mir Maghmud and his Successor Sultan Ashraff, vol. 1, London, 1753: vol. III—pp. 1—255; vol. IV—pp. 1—301; I b i d. An Historical Account of the British Trade over the Caspean Sea, vol. II, Dublin, 1754.

⁷ Дневник осады Испагани афганами, веденый Петросом ди Саргис Гилянцем в 1722 и 1723 годах. Материалы для истории Персии. Перевод и объяснения К. Патканова. «Записки императорской Академии наук», т. XVII, приложение № 3, СПб., 1870.

⁸ T. H. W e i r, The Revolution in Persia at the beginning of the 18th century. A volume of Oriental Studies presented to Professor E. G. Browne, Cambridge, 1922, pp. 480—490.

⁹ D. M. L a n g, The Last Years of the Georgian Monarchy 1658—1832, New York, 1957; i b i d., Georgia and the fall of the Safavi Dynasty, BSOAS, XVI, 3, London, 1952.

¹⁰ ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომები.
¹¹ L. L o c k h a r t, Nadir—Shah, London, 1939; i b i d., The fall of the Safavid Dynasty and the Afgan occupation of Persia, Cambridge, 1958.

¹² თ. ნატროშვილი, დასახ. ნაშრ., იხ. მისივე, ქართული ფეოდალური საზოგადოება და იოსებ ქართველი, „მაცნე“, 1970, № 5; მისივე, ვინ იყო იოსებ ქართველი, წიგნში: „მასრაყით მალრიბამდე“, თბ., 1974, გვ. 324—234; მისივე, ვინ იყო იოსებ ქართველი, წიგნში: „მასრაყით მალრიბამდე“. მეორე შეესებული გამოცემა, თბ., 1978, გვ. 312—320;

¹³ მ. გობეჯიშვილი, ს. ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“, როგორც წყარო სეფიანთა სახელმწიფოს ისტორიისათვის, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, IV, 1973, გვ. 78—107.

¹⁴ ი. ტაბალუა, საქართველო - საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკ.



XVIII ს. 20-იან წლების ბოლოს საფრანგეთის სპარსეთში ორი კონსული გაგზავნა: ანჟ დე გარდანი¹⁶ ისტაპანში (იგი კონსტანტინოპოლის გავლით სპარსეთში ჩავიდა 1717 წლის იელისში) და პადერი¹⁷ — შირაზში (რომელიც პეტერბურგის გავლით 1719 წლის ოქტომბერში სპარსეთში ჩავიდა).

ამჯერად ჩვენ არ გვაინტერესებს საფრანგეთის ამ კონსულების მოღვაწეობა სპარსეთში. აქ მათ შეევეხებით იმდენად, რამდენადაც ეს იქნება დაკავშირებული იოსებ ქართველის მოღვაწეობასთან აღმოსავლეთის ქვეყნებში.

კონსული ანჟ დე გარდანი საფრანგეთიდან გავიდა 1716 წლის მარტში. 3 მარტს იგი კუნძულ იფიდან¹⁸ მარსელის საზღვაო საბჭოს ატყობინებდა, რომ „ჩაჯდა კაპიტან არნოს გემში, რომე-

I მეოთხელი, თბ., 1972, გვ. 5, 28...; მ ი ს ი ე ვ ე, იოსებ ქართველის მოღვაწეობა ირანსა და თურქეთში (1717—1726), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XVII სამეცნ. სესია, თეზისები, თბ., 1973, გვ. 23—25; I. Tabagoua, Pour servir à l'histoire de l'activité de Joseph Géorgien en Orient, «Bedi Kartlisa revue de kartvelologie», Paris, 1975, vol. XXXIII, pp. 204—215; ი. ტ ა ბ ა ლ უ ა, იოსებ ქართველის მოღვაწეობა ირანსა და თურქეთში (1717—1726 წწ.), ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976, გვ. 370—379; ი. ტ ა ბ ა ლ უ ა, გლაზგოს უნივერსიტეტში შემონახული ერთი ხელნაწერის შესახებ, „მაცნე“, ენისა და ლიტ. სერია, 1979, № 3, გვ. 139—151.

¹⁵ Г. Г. П а й ч а д з е, Один архивный документ об Иосифе Грузине, „მაცნე“, ისტ. სერია, 1976, № 3, გვ. 139—148.

¹⁶ გარდანები მარსელიდან იყვნენ. მათი მოღვაწეობა ცნობილია საფრანგეთის ისტორიასა და დიპლომატიისაში. ასეთი იყო ანჟ დე გარდანი—სენიორ დე სენტ-კრუა შარლ დე გარდანის ვაჟიშვილი. ერთ-ერთი მისი წინაპარი საფრანგეთის მეფის კონსული იყო სეიდში (1611 წ.). საფრანგეთის წარმომადგენელი სპარსეთში (1807 წლის 12 აპრილი—1809 წლის 20 აგვისტო) გენერალი დე გარდანი და მისი მდივანი პოლ-ანჟ-ლუი დე გარდანი იმავე ოჯახიდან იყვნენ (იხ. ი. ტ ა ბ ა ლ უ ა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, გვ. 322).

¹⁷ პადერი—წარმომოხობით ათენიდან, კათოლიკე (სამღვდელს პირი იყო, შემდგომში რაინდის წოდებაც მიიღო). 1695 წლიდან ემსახურებოდა საფრანგეთის სამეფოს. მუშაობდა კონსტანტინოპოლში, ანდრიინოპოლსა და ათენში. 1719—1725 წწ. საფრანგეთის კონსულია შირაზში. საინტერესოა მისი მოხსენებითი ბარათები, გაგზავნილი სპარსეთიდან პარიზში (იხ. ი. ტ ა ბ ა ლ უ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 321—322, 350).

¹⁸ იფი—პატარა კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, მარსელიდან 2 კმ-ზე. კუნძულზე არის ციხესიმაგრე, აგებული მეფე ფრანსუა I-ის დროს. ერთხანს იგი სახელმწიფოს საპყრობილედ იყო გამოყენებული.



ლიც ალექსანდრიაში მიდის“. ამ წერილში დე გარდანი კვიტდებოდა და მარსელის საზღვაო საბჭოს, რომ მოგზაურობის დროს აცნობებდა ყოველივეს, რაც კი ვაჭრობას შეეხებოდა¹⁹.

28 მარტს დე გარდანი კვიპროსზეა და თვალყურს ადევნებს ინგლისელების, თურქებისა და ვენეციელების ვაჭრობას. „გავაორკეცებ ჩემს ყურადღებას, — სწერს იგი მარსელის საზღვაო საბჭოს, — ყველას მიმართ, ინგლისელთა მეტოქეობის მიმართ. ხვალ ჩავჯდები კაპიტან რენოს გემში, რომელიც ალექსანდრიაში უნდა ჩავიდეს და არ დავკარგავ არცერთ წუთს ჩემი მოვალეობის შესასრულებლად“²⁰.

9 აპრილს დე გარდანი ალეპოში ჩავიდა. აქ მან იყიდა 10 ცხენი, დაიჭირა 3 არაბი „გამყოლებად ერევნამდე“ — წერს იგი. დე გარდანს არ უნდოდა გაჰყოლოდა რომელიმე ქარავანს, რათა თურქებისა და ინგლისელების ზედმეტი ყურადღება აეცდინა. „თურქულ ტანისამოსში გადაცმულები, — წერს 5 მაისს დე გარდანი, — შეეხსდებით ცხენებზე და ჩემი კაცებით ხვალ საღამოს გავალთ აქედან“. წერილში ასევე აღნიშნულია ფრანგი და ინგლისელი ვაჭრების მდგომარეობა ამ მხარეში²¹.

ამ დროს ალეპოში საფრანგეთის კონსული იყო პიერ არმან დე პელერანი. ჩვენ აქ მისი ცნობებითაც ვსარგებლობთ. დე გარდანის ამაღლაში შედიოდნენ: მისი ძმა—ფრანსუა დე გარდანი, 4 მსახური, ერთი მამა კაპუჩინი, 2 სპარსელი, 3 გამყოლი არაბი და კიდევ ერთი ქრისტიანი; ჰყავდათ 13 ცხენი²².

ალეპოდან 13 დღის მგზავრობის შემდეგ ისინი ჩასულან ერთ-ერთ ქრისტიანულ სოფელში, რომელსაც „ერქვა კელეკ კოითუგი, ევფრატის მხარეში, 7 დღის სავალზე სპარსეთის სამეფოს საზღვრებიდან“²³. ამ სოფელში თურქებმა დააპატიმრეს დე გარდანის ამალიდან 7 კაცი: თვითონ დე გარდანი, მისი ძმა ფრანსუა, 4 მსახური და კაპუჩინი²⁴.

სხვა ცნობებით, ისინი დააპატიმრეს ერზინჯანთან ახლოს და დააბრუნეს ალეპოში²⁵. დე გარდანისათვის ყველაფერი წაუერთმე-

¹⁹ Archives du Ministère des Affaires Etrangères. Paris, «Perse», t. 5, f^o, 13.
²⁰ Ibid., ff. 14—14v^o.
²¹ Ibid., ff. 20—20v^o.
²² Ibid., f^o. 29.
²³ Ibid., ff. 29—30.
²⁴ Ibid., f^o. 43.
²⁵ Ibid., b^o 48.



ვიათ, საბუთებიც კი, და უცემიათ. საფრანგეთის ელჩი კონსტანტინოპოლში გრაფი დეზალორი 1716 წლის 28 ივნისს პარიზს აცნობებდა: დე გარდანი, საფრანგეთის „მეფის მიერ კონსულად სპარსეთში გაგზავნილი, რათა საფრანგეთის კონსულის თანამდებობაზე ისტაჰანში იჯდეს, ახლა ალექოშია. იგი მაისში უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ 7 დღე დაკავებული იყო სპარსეთის საზღვართან. იგი კანამ აღას მიერ იყო დაპატიმრებული და მალათიაში გაგზავნილი²⁶“.

საფრანგეთის სამეფოს რეგენტის პერცოგ ორლენელის სახელზე 1716 წლის 1 ივნისს გაგზავნილ წერილში დე გარდანი ითხოვს კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩის ჩარევას მის საქმეებში²⁷. 8, 12 და 27 ივნისის ცნობებით, დე გარდანი ისევე ალექოშია. საფრანგეთის ელჩი ცდილობს, დაეხმაროს მას, მაგრამ თურქეთის დიდგვზირთან ვერაფერს აწყობს. 1716 წლის ოქტომბერში დიდგვზირი გარდაიცვალა. ამიერიდან დე გარდანს სპარსეთისაკენ გზა გაეხსნა. 3 ოქტომბრისა და 22 ნოემბრის ცნობებით დე გარდანი უკვე კონსტანტინოპოლშია²⁸.

ამრიგად, 1716 წლის ოქტომბრამდე დე გარდანი კონსტანტინოპოლში არ ყოფილა. სპარსეთის საზღვართან იგი რომ არ დაეპატიმრებინათ და ალექოში არ დაებრუნებინათ, ე. ი. სპარსეთში მისი გამგზავრების პირველი ცდა წარმატებით რომ დამთავრებულიყო, იგი კონსტანტინოპოლში ვერ მოხვდებოდა და, მამასადამე, იოსებ ქართველსაც ვერ შეხვდებოდა²⁹.

როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, დე გარდანი კონსტანტინოპოლში დამატებით თარჯიმანს ეძებდა. ცხადია, პირველ რიგში მან კონსტანტინოპოლში მყოფ კათოლიკე მისიონერებს მიმართა, რომლებიც ამ საქმეში კარგად ერკვეოდნენ. სწორედ ამ მისიონერებმა შესთავაზეს მას კანდიდატურა იოსებ ქართველისა,

²⁶ Archives. Paris., «Turquie», t. 54 (Supplement), ff. 221—222.

²⁷ Archives. Paris., «Perse», t. 5, ff. 29—30.

²⁸ Ibid., ff. 63, 100—100. არსებობს სხვა ცნობაც, რომლის მიხედვით საფრანგეთის ახალი ელჩი მარკიზ დე ბონაკი (რომელმაც გრაფი დეზალორი შეცვალა) კონსტანტინოპოლში ჩავიდა 1716 წლის 6 ოქტომბერს, ზოლო დე გარდანი თავისი 6 კაციანი ამალით—7 ოქტომბერს.

²⁹ ამიტომ ლაპარაკი იმაზე, რომ ალექოში'ანე დე გარდანის ყოფნის დროს იოსებ ქართველი „განუზომელ სამსახურს უწევდა გარდანს“ (იხ. თ. ნატროშვილი, მამრიყით მალრიბამდე, მე-2 შეესებული გამოცემა, გვ. 317), უსაფუძვლოა.

რომელმაც დასავლური და აღმოსავლური ენები იცოდა. საფრანგეთის ელჩი კონსტანტინოპოლში დ'ანდრეზელი შემდგომში აღწერს: „როგორც მე შევნიშნე, იგი (იოსებ ქართველი.—ი. ტ.) ალტურვილი იყო პერას კაპუჩინების რეკომენდაციით, რომელთაგანაც იგი თავისთან მიიყვანა ბატონმა დე გარდანმა“³⁰.

ელჩი დ'ანდრეზელის ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ დე გარდანთან შეხვედრამდე იოსებ ქართველის შესახებ საფრანგეთის კონსტანტინოპოლის საელჩოში არაფერი იცოდნენ. იოსებ ქართველის შესახებ იქ მხოლოდ დე გარდანისაგანგაიგეს³¹.

ინგლისელი ლოურენს ლოკარტი, რომელიც ვრცლად ეხება იოსებ ქართველის ვინაობას, წერს: „ცხადია, არ გაგვაჩნია არავითარი საფუძველი იმის დასამტკიცებლად, რომ იოსებს, მიაღწია რა კონსტანტინოპოლს, იმწამსვე უმცროსი თარჯიმნობა“³² დააკისრეს საფრანგეთის საელჩოში“³³.

შემდეგ ლ. ლოკარტი წერს: „1716 წლის ნოემბერში სპარსეთისაკენ მიმავალმა ანუ დე გარდანმა და მისმა ძმამ ფრანსუა გარდანმა შეიარეს პერაში“³⁴. რამდენადაც ანუ დე გარდანს თარჯიმანი სჭირდებოდა, იოსები ჩარიცხეს მის ამაღლაში და მათთან ერთად იოსები სპარსეთში გაემგზავრა“³⁵.

ვიდრე საფრანგეთის საკონსულოს თარჯიმანი ვახდებოდა, რას აკეთებდა იოსები კონსტანტინოპოლში? ამის შესახებ თვითონ იოსები ისტაპანიდან კონსტანტინოპოლში დაბრუნების შემდეგ მის მიერ თურქეთის დიდვეზირისადმი წარდგენილ „ანგარიშში“ ამბობს, რომ ვენეციის გემით იგი კონსტანტინოპოლში ჩასულა და თურქეთის მთავრობის მთავარ თარჯიმანთან მუშაობა დაუწყია, მაგრამ მას მალე ჩამოსცილებია, ხოლო ამ დროს ისტაპანში მიმავალი საფრანგეთის კონსული დე გარდანი კონსტანტინოპოლში ჩასულა, დე გარდანს მისი თარჯიმნად აყვანა მოუსურვებია, იოსებიც დათანხმებულა (დე გარდანს ეს საკითხი თურქეთის მთავ-

³⁰ Archives. Paris, «Turquie», t. 75, f^o. 211 v^o.

³¹ ამიტომ აზრი იმის შესახებ, რომ იოსებ ქართველი ვენეციიდან კონსტანტინოპოლში გადავიდა და „საფრანგეთის საელჩოს დაუახლოვდა“ (იხ. თ. ნატროშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 229), უსაფუძველოა.

³² «a junior interpreter» («უმცროსი თარჯიმანი»). იოსები კონსტანტინოპოლში საფრანგეთის საელჩოში თარჯიმნად არ ყოფილა.

³³ L. Lockhart, The fall of the Safavid..., pp. 504—505.

³⁴ პერა (თურქულად: ბეიოდლუ)—სტამბოლის ერთ-ერთი კვარტალი.

³⁵ L. Lockhart, Op. cit., p. 505.



რობასთან შეუთანხმებია). ასე გამხდარა იოსებ ქართველს კონსტანტინოპოლის საფრანგეთის საკონსულოს თარჯიმანი. ზემოაღნიშნულში ჩვენ ერთ რამეზე მიგვანიშნებს: მიდიოდა რა ისფაჰანში საფრანგეთის საკონსულოს თარჯიმანად, იოსებ ქართველს თურქეთის ხელისუფალთა საიდუმლო დავალებებიც ჰქონდა.

დე გარდანის მიერ იოსებ ქართველის თარჯიმანად აყვანის ორ თარიღს ვხვდებით: 1716 წლის ნოემბერი და 1717 წლის მარტი. მაგრამ ჩვენთვის მთავარია შემდეგი: დე გარდანმა იოსები თარჯიმანად აიყვანა კონსტანტინოპოლში და არა ვენეციაში. ამასთანავე, ამ მოგზაურობის დროს დე გარდანი ვენეციაში საერთოდ არ ყოფილა³⁶.

1717 წლის 30 მარტს დე გარდანი კონსტანტინოპოლიდან პარიზს ატყობინებდა: „...ბატონი ელჩის (კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩის — ი. ტ.) თანხმობით ანდრინოპოლისაკენ³⁷ გავემგზავრე, რათა ალექსის მეზაეცს დავწეოდი იმ ბრძანების შესაბამისად, რომელიც მქონდა, და ჩემი პასპორტიც გადამეკეთებინა, ვინაიდან იგი ბატონ ელჩის მიერ ამ საკითხზე მეფის თარჯიმან ბატონ ფურუეტისადმი გაგზავნილ წერილს არ ეთანხმებოდა და არ იყო ისე გაკეთებული, როგორც მე მოვითხოვე“³⁸.

ახლა დე გარდანს სპარსეთში გამგზავრების ნებართვა თურქეთის ხელისუფლებისაგან უცვე მიღებული ჰქონდა. დე გარდანი წერდა: „ოტომანის პორტამ ადვილად მომცა ნებართვა შავი ზღვით მემგზავრა (რაც ძალზე სახიფათოა) და ტრაპიზონში ჩავსულიყავი.. მაქვს პასპორტი და გარდა ამისა, იანიჩარის წერილი... ორი ახალგაზრდა ფრანგი თარჯიმანის³⁹ საშუალებით შევა-

³⁶ ამასთან დაკავშირებით, დაზუსტებას მოითხოვს ვ. გაბაშვილის შემდეგი სიტყვები: „იტალიაში მისი (იოსებ ქართველის—ი. ტ.) ყოფნა დასტურდება იმით, რომ 1717 წელს ვენეციაში იგი შეხვდა საფრანგეთის ელჩს (უნდა იყოს „კონსულს“ —ი. ტ.) გარდანს და, როგორც თარჯიმანი, მის საელჩოსთან ერთად გამგზავრა ისფაჰანს...“ (იხ. ვ. გაბაშვილი, იოსებ ქართველის ვინაობისა და..., გვ. 331); ამასვე წერს ლ. ლოკარტი (იხ. L. Lockhart, Op. cit., p. 509). სად არის ამის დამადასტურებელი საბუთი? ვ. გაბაშვილი, ალბათ, ლ. ლოკარტს ეყრდნობა (თუმცა მითითებული არა აქვს), მაგრამ ლ. ლოკარტიც ცდება. არა მარტო 1717 წელს, არამედ 1716 წლის ნოემბერში (ალბათ, უფრო ადრეც) იოსებ ქართველი კონსტანტინოპოლშია და არა ვენეციაში.

³⁷ ანდრინოპოლი (თურქეთში)—დღეს ედირნე.

³⁸ Archives. Paris, «Perse», t. 5, b^o 128.

³⁹ აქაც ჩანს, რომ კონსული დე გარდანი მარტო იოსებ ქართველზე, როგორც თარჯიმანზე, არ იყო დამოკიდებული, როგორც ეს ზოგიერთ ავტორს ჰგონია.



მოწმე, რომ ამ წერილს ორი წლის წინანდელი თარიღი ესტუმრება... შეეცდომა... ჩემს სასარგებლოდ შევასწორებინე“⁴⁰.

და ბოლოს დე გარდანი დასძენს: „ხელახლა ისე აღვიჭურვე, რომ თურქების თვალში მოსაწონად გამოეჩინილიყავი. ჩაეჭდები (გემში) პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში (და გავემგზავრებ) ტრაპიზონის მიმართულებით ჩემი ამალის 12 კაცით, ერთი ქართველი თარჯიმნის“⁴¹ ჩათვლით. ჩვენ შემოგვიერთდა რამდენიმე სომეხი“⁴².

როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, კონსტანტინოპოლიდან დე გარდანის გამგზავრება კვლავ დაყოვნდა. იმავე წლის 15 მარტს იგი მარსელის საზღვაო საბჭოს კონსტანტინოპოლიდან ატყობინებდა: „ხვალ უნდა გავიდე ჩემ ხალხთან ერთად ტრაპიზონის მიმართულებით. შავ ზღვაზე ნაოსნობა აქამდე არ იყო გახსნილი“⁴³.

1717 წლის ივლისში დე გარდანი თავისი ამალით უკვე ერევანშია. იმავე წლის 12 ივლისს ფრანგი მისიონერი პიერ დ'ისუდენი სპარსეთიდან პარიზს ატყობინებდა: „ბატონი გარდანი, რომელიც ისტაპანში კონსულად მიდის, ამა თვის დასაწყისში ერევანში ჩავიდა“⁴⁴. ამ ქალაქში მისმა ჩასვლამ შესაძლებელია დიდი დახმარება აღმოუჩინოს ორ საწყალ ფრანგს — ინჟინრებს, რომლებიც სპარსეთის ელჩმა⁴⁵ საფრანგეთში პარიზიდან ჩამოიყვანა“⁴⁶. იმავე წლის 25 სექტემბერს საფრანგეთის ელჩი კონსტანტინოპოლში დე ბონაკი პარიზს აცნობებდა: „გავიგე, რომ ის (დე გარდანი.—ი. ტ.), საბედნიეროდ, ერევანში ჩავიდა და დიდი პატივით მიიღეს“⁴⁷.

სპარსეთში, კერძოდ ქაშანში, დე გარდანის ჩასვლის თარიღად ლ. ლოკარტი ასახელებს 1718 წლის მარტს: „...გარდანი და მისი თანმხლები პირები გზაზე ბევრჯერ დააკავეს და მხოლოდ 1718 წლის მარტისათვის მათ მიაღწიეს ქაშანს“⁴⁸. ეს სწორია, მაგ-

⁴⁰ Archives. Paris, «Perse», t. 5, f^o. 128.

⁴¹ ხაზი ჩვენია. ეს ოსებ ქართველი უნდა იყოს.

⁴² Archives. Paris, «Perse», t. 5, f^o. 129 v^o.

⁴³ Archives. Paris, «Perse», t. 5, ff. 135—135v^o.

⁴⁴ სხვა საბუთებში ნათქვამია, რომ დე გარდანი ერევანში 1717 წლის ივნისში ჩავიდა. იხ. ი. ტაბალუა, დასახ. ნაშრ., 322.

⁴⁵ ივლისისხმება 1714 წელს სპარსეთიდან პარიზში ელჩად გაგზავნილი მოპამედ რეზა ბეგი.

⁴⁶ Archives. Paris, «Perse», t. 5, ff. 138, 147 v^o.

⁴⁷ Ibid., «Turquie», t. 58, f^o. 79 v^o.

⁴⁸ L. Lockhart, Op. cit., p. 505.



რამ სპარსეთში დე გარდანის ჩასვლის თარიღად მაინც უნდა ჩეთვალოს 1717 წლის ივლისი, როცა ის ჩავიდა ერევანში (იმ დროს სპარსეთის იმპერიის ერთ-ერთ პროვინციაში), სადაც იგი ოფიციალურად მიიღო ერევნის ხანმა. ამის შესახებ ერევნიდან მაშინვე შეატყობინეს შაჰის კარს. 1717 წლის 5 ოქტომბერს თვითონ დე გარდანი პარიზს ატყობინებდა: „ექვსი დღე გემით მოგზაურობისა და 16 დღე ხმელეთით სიარულის შემდეგ უკვე სპარსეთის მიწაზე ვიყავი“⁴⁹.

ამ დროს ერევნის გუბერნატორი, სპარსეთის ეთემად აღდღულეს ძმისწული, 13 წლის ყმაწვილი იყო. მას მეურვეობას უწევდა ხანის მოადგილე ანუ ნაიბი, რომელიც ფაქტიურად ყველა საქმეს განაგებდა. დე გარდანი წერს: „საჩუქრები, რომლებსაც უცხოელები ჩვეულებრივად ამ ხანს და მის კარს აძლევენ, მოგვარდა ჩემი მხრიდანაც... დარბაზობა მომიწყვეს 5 აგვისტოს... ცერემონიალის დარბაზში შევედი ხანთან და ნაიბთან ერთად; სამკუთხედად დალაგებულ სამ სკამზე სამივე ერთდროულად დავსხედით. ქათინაურებით მივმართე ხანს და საბჰოს⁵⁰ წერილი თარგმანითურთ გადავეცი. ცოტა ხნის შემდეგ მივართვი თოფი თექვსმეტი ვაზნით, აღმასებისა და სხვა ძვირფასი ქვების თაიგულით, ოქროსა და მინანქრის ხელოვნებით გაკეთებული. მეორე დღეს გუბერნატორის მოადგილეს ანუ ნაიბს — საკრავი საათი და ერთი წყვილი დამბაჩა, ხოლო სხვა სამ მოხელეს შესაფერისი საჩუქრები გავუგზავნე. ეს ხარჯი გავიღე ჩემი თანამდებობის გამოსაჩენად, რითაც ვეხამებოდი ჩემი ერის ნიჭს, რომელსაც ფუფუნება და ხარჯვა სჩვევია.

ერევნიდან ისფაჰანამდე ჩემი მოგზაურობის დროს სახარჯოდ დღეში ასორმოცი ეკიუ მომცეს. აქედან ექვს დღეში გავალ ოცდაათი ცხენით და ამდენივე კაციანი ამალით, სატვირთო აქლემების ჩაუთვლელად“⁵¹.

1718 წლის მარტის ბოლოს დე გარდანი თავისი ამალით ქაშანში ჩავიდა. იმ დროს სპარსეთის შაჰი ჰუსეინი ამ ქალაქში იმყოფებოდა. შაჰის კარზე უკვე ელოდებოდნენ საფრანგეთის კონსულის ჩასვლას და ქალაქის მისასვლელთან მას სათანადო პირობები შეახვედრეს. იმავე წლის სექტემბერში დე გარდანი პარიზს

⁴⁹ Archives. Paris, «Perse», t. 5, f^o. 144.

⁵⁰ ივლისხმება მარსელის საზღვაო საბჰო.

⁵¹ Archives. Paris, «Perse», t. 5, ff 145—146.

ატყობინებდა: ქაშანიდან „ნახევარ ლიეს დაშორებით მიმიღეს მი-
სი უდიდებულესობის (შაჰის—ი. ტ.), ეთემად აღ-დოულესობის ბერნატორისა და აღნიშნული ქალაქის წარჩინებულთა მოხელეებ-
მა. მათი მსახურების გარდა აქ დაახლოებით 70 სპარსელი იყო.
შაჰმა, რომელსაც მოახსენეს, რომ მე ავად ვიყავი, შემომითვალა:
დამესვენა იმდენხანს, რამდენიც დამჭირდებოდა, რათა ძალ-ღონე
აღმედგინა და შემდეგ მასთან ყაზვინში ჩავსულვიყავი“⁵².

ქაშანში დე გარდანი იმავე წლის მაისამდე დარჩა. „17 მა-
ისს, —წერდა იგი, — მე იქ (ყაზვინში—ი. ტ.) ჩავედი. ოთხი თუ
ხუთი დღის შემდეგ აუდიენცია მქონდა ეთემად აღ-დოულესთან.
მან მიღების ცერემონიალი ისე მოაწყო, როგორც კონსტანტინო-
პოლში დიდი ვეზირის წინაშე ელჩის მიღებას შეშვენოდა. პირ-
ველმა მინისტრმა (ეთემად აღ-დოულემ—ი. ტ.), რომელიც ყვე-
ლაზე მაღალი და ძლიერი პიროვნებაა, შაჰის ნდობით აღჭურვი-
ლია და ამ იმპერიას მართავს, ცალკე აუდიენციაზე ხელმეორედ
მიმიწვია და მეტად მეგობრულად მომეპყრო; სავაჭრო ურთიერთო-
ბის დამყარების საქმეში და ყოველივე იმაში, რაც მე შემეხებო-
და, თავისი განსაკუთრებული მფარველობა აღმიტქვა. მე ამომ-
წურავი პასუხი გავეცი იმ მრავალრიცხოვან კითხვებზე, რომლებიც
მან დამისვა“.

საფრანგეთის კონსულმა და ეთემად აღ-დოულემ საუბარი გა-
მართეს იმ ხელშეკრულების შესახებ, რომელიც საფრანგეთსა და
სპარსეთს შორის დაიდო პარიზში 1715 წლის აგვისტოში და რო-
მელსაც სპარსეთის მხრიდან ხელი მოაწერა სპარსეთის ელჩმა მო-
ჰამედ რეზა ბეგმა.

დე გარდანი წერს: „...მე მას (ეთემად აღ-დოულეს — ი. ტ.)
ველაპარაკე იმ ახალ მუხლებზე, რომლებიც მოჰამედ რეზა ბეგის
ძიერ შეთანხმებული იყო ყოფილ მინისტრთან⁵³. ეთემად აღ-დო-
ულემ მითხრა, რომ მას არაერთი ცნობები არ გააჩნია ამის შე-
სახებ და მთხოვა მეჩვენებინა ეს მუხლები. ჩემს მიერ მომზადე-
ბული წერილის ასლი მაშინვე გადავეცი იქ მყოფ სამეფო თარჯი-
მანს“.

შემდგომი საუბრის დროს ეთემად აღ-დოულეს დე გარდანი-
სათვის უთქვამს, რომ „მოჰამედ რეზა ბეგმა გადააქარბა თავის

⁵² Ibid., ff. 178—183.

⁵³ ივულისხმება ის ეთემად აღ-დოულე, რომელიც საფრანგეთში მოჰამედ რეზა ბეგის გამგზავრების დროს სპარსეთში ამ თანამდებობაზე იყო.



უფლებამოსილებას“. ეს რომ მე დამეჭვრებინა, განაგროვებდნენ ვარდანი, „მიჩვენებდნენ მის რწმუნების სიგელს, რომელშიც წამოქვეამია, რომ ის (მოჰამედ რეზა ბეგი—ი. ტ.) გავზავნეს საფრანგეთში მხოლოდ იმისათვის, რათა ეთხოვნა 1708 წლის ხელშეკრულების შესრულება“⁵⁴. მან რომ შაჰის კარის ნებართვის გარეშე ხელი მოაწერა ახალ ხელშეკრულებას, „ამისათვის მოჰამედ რეზა ბეგმა ყველაზე მკაცრი სასჯელი დაიმსახურა. იმ საქციელით, რითაც ის შაჰის სასახლის კარზე აღარ გამოჩენილა და შხამი, რომელიც მიიღო თავის მოსაკლავად, ცხადყოფენ, რომ ის თავს დამნაშავედ გრძნობდა“ — დასძინა ეთემად აღ-დოულემ.

დე გარდანს ეთემად აღ-დოულესთან ჰქონდა მესამე შეხვედრაც, რომლის დროს, როგორც თვითონ გარდანი წერს: „მეტად დაჟინებით მოვითხოვდი აღნიშნული ხელშეკრულების მუხლების სპარსეთის მხრიდან აღიარებას“. ამ შეხვედრის დროს დე გარდანს ერთმანეთთან შეუღარებია 1708 და 1715 წლების საფრანგეთ-სპარსეთის ხელშეკრულებების მუხლები, რათა დაემტკიცებინა, რომ „ისინი ერთნაირი შინაარსისაა“. ეთემად აღ-დოულეს დე გარდანისათვის უთქვამს: მის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, როდესაც საფრანგეთის სავაჭრო გემები სპარსეთის ნავსადგურში ჩამოვლენ.

1718 წლის 26 მაისს შაჰ ჰუსეინს მიუღია დე გარდანი, რომელიც წერს: „მისმა უდიდებულესობამ ინება... მის მეჯლისზე ანუ სამეფო ნადიმზე ვყოფილიყავი, რომელზეც მიწვეული იყო შაჰის სასახლის ყველა დიდებული. მე პატივი მქონდა მიმემართა მისთვის მას შემდეგ, რაც ცერემონიალის განმგებელმა (მეჰმენდარმა—ი. ტ.) მის წინაშე წარმოადგინა. მისმა უდიდებულესობამ შეკითხვები მომცა, გამოავლინა რა ამ დროს კმაყოფილება და კეთილგანწყობა მეფის (საფრანგეთის მეფის — ი. ტ.) სასახლის კარის მიმართ. მისმა უდიდებულესობამ ვახშმის შემდეგ მიმიხმო და ჩემთან ისე დიდხანს და ისეთი პატივისცემით ისაუბრა, რომ შაჰის კარის მსახურები გაკვირვებულნი დარჩნენ, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება მისი უდიდებულესობის ჩვეულებას. მისმა უდიდებულესობამ თვითონ მითხრა, რომ სურს ინგლისელებისა და ჰოლანდი-

⁵⁴ ამ ხელშეკრულების ტექსტი იხ. საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (1709—1714), ნაწ. I. შესავალი, თარგმანი და კომენტარები დაურთო ი. ტაბაღუამ, თბ., 1975, გვ. 59—93.



ელეზისაგან განმასხვავოს, ყველა საქმეში მეც და ასევე თბილისში ფრანგს ხელი შეუწყოს“.

და ბოლოს, დე გარდანი წერს: „...შაჰმა ჩემთვის გამოყო ულამაზესი სასახლე ისტაჰანში... ამჟამად ვცხოვრობ მშვენიერ დიდ სასახლეში, რომელშიც მოთავსდებოდა 200 კაცი და გემის გარკვეული ტვირთი“.

შაჰ ჰუსეინთან დე გარდანის ამ მიღების დროს ვინ იყო საფრანგეთის კონსულის თარჯიმანი, საბუთებიდან არ ჩანს. ამიტომ გადაჭრით იმის თქმა, რომ ამ მიღების დროს თარჯიმანი იოსებ ქართველი იყო და იქვე მითითება იმის შესახებ, რომ იოსებ ქართველმა „ზედმიწევნით იცოდა თურქული და სპარსული“, ჩვენი აზრით, დაზუსტებას მოითხოვს. არ გვინდოდა იოსებ ქართველის უცხო ენების ცოდნის საკითხს შევხებოდით, მაგრამ ზოგიერთი ავტორის განცხადება — მიაწეროს იოსებ ქართველს აღმოსავლური და დასავლური ენების „ზედმიწევნით“, „შესანიშნავად“ და ა. შ. ცოდნა, გვაიძულებს შევნიშნოთ, რომ იოსებ ქართველმა, როგორც მისი ნაწერებიდან ჩანს, იცოდა თურქული, ფრანგული, იტალიური. თუ როგორ იცოდა მან ეს ენები, შეიძლება კაცმა შეათვასოს მხოლოდ მას შემდეგ, როცა ის გაეცნობა ამ ენებზე მის მიერ შედგენილ მოხსენებით ბარათებს. იოსებმა იცოდა თუ არა ქართული და სომხური? თბილისში დაბადებულმა და გაზრდილმა ალბათ, ორივე ენა იცოდა (ქართული მან ნამდვილად იცოდა. კონსტანტინოპოლში დომენტი კათალიკოსს იგი ხომ ქართულად ელაპარაკებოდა. სომხური? — არაა ცნობილი, იცოდა თუ არა. თუმცა იგი ხან ქართველად ასაღებდა თავს, ხან სომხად).

იოსებ ქართველის მიერ ქართულად დაწერილი წერილი დღემდე არ შეგვხვედრია. ან რისთვის დასჭირდებოდა იოსებ ქართველს წერილების ქართულად შედგანა? არც იმის დამადასტურებელი საბუთი შეგვხვედრია, რომ მან სპარსული იცოდა. ან სად და როდის უნდა დაუფლებოდა იგი სპარსულს „ზედმიწევნით“? სპარსეთის შაჰის კარზე იმ დროს უცხოელების მიღების დროს თურქული ენით სარგებლობდნენ. თუ იოსებ ქართველმა სპარსული „ზედმიწევნით“ იცოდა, მას კარგად უნდა ცოდნოდა სპარსული ტერმინები და ქვეყნის გეოგრაფიული სახელები და თავის მოგონებებში თუ ანგარიშებში არ უნდა დაეწერა: ამოდან (ჰამადანის ნაცვლად), ავტიმ დავლეთ (ეთემად აღ-დოვლე) და სხვ. მისი მოხსენებითი ბარათები დაწერილია ფრანგულ, თურქულ და იტალიურ ენებზე.



კონსულ დე გარდანის შემდეგ, რამდენადმე მოგვეჩვენა სპარსეთში ჩავიდა საფრანგეთის მეორე კონსული — პადერი, ქ. შირაზში კონსულად დანიშნული. მაგრამ პადერი დიდხანს დარჩა ისფაჰანში. იგი საფრანგეთის სპეციალური დავალებით ჩავიდა სპარსეთში და ამიტომ აუცილებლად შაჰს უნდა შეხვედროდა. საფრანგეთის ხელისუფალთა მიერ პადერისადმი მიცემული საიდუმლო დავალების საქმის კურსში დე გარდანი არ იყო და ამიტომ დაიწყო ამ ორ ფრანგ კონსულს შორის უნდობლობა და ინტრიგა, რაც ხელს უშლიდა საფრანგეთის საერთო საქმეებს.

ასეთ ვითარებაში უხდებოდა მუშაობა იოსებ ქართველს ისფაჰანში საფრანგეთის საკონსულოს თარჯიმნის თანამდებობაზე. საგულისხმოა, რომ პადერს ხშირად ჰქონდა კონტაქტი და შეხლა-შემოხლაც დე გარდანთან, მაგრამ არსად თავის მოხსენებით ბარათებში არ მოიხსენიებს იოსებ ქართველს. თუმცა პადერი ხშირად ლაპარაკობს დე გარდანზე, მის საკონსულოზე, მათთან ურთიერთობაზე, შეხვედრებზე. და, თუ დე გარდანის საკონსულოში იოსებ ქართველი დიდ როლს ასრულებდა, როგორც ეს ზოგიერთ ავტორს ჰგონია, პადერის უნდა მოეხსენიებინა თავის წერილებში ან მოხსენებით ბარათებში.

იოსებ ქართველს მოიხსენიებს ჟან რიშარი. იგი იოსებ ქართველს შეხვედრია სპარსეთში მეორეჯერ ყოფნის (1717 — 1720 წწ.) დროს. 1720 წლის ერთ-ერთ წერილში ჟან რიშარი წერს, რომ იგი შეხვდა „იოსებ სომეხს ქართველს თბილისიდან“⁵⁵.

„ეჰვს გარეშეა, — წერს ლ. ლოკარტი, — რომ იოსები ენების შესანიშნავი ცოდნით გარდანს დიდ სამსახურს უწევდა, რადგან ჯოველ შემთხვევაში თვითონ გარდანმა არ იცოდა აღმოსავლური ენები და არც აღმოსავლეთის გზები. თავის წერილებში, რომლებიც ეხებოდნენ სპარსეთში მომხდარ მოვლენებს იმ კრიტიკულ წლებში, რაც დაემთხვა მის ჩასვლას ისფაჰანში, გარდანი იოსებისაგან ან იოსების შემწეობით მიღებულ ინფორმაციას ეყრდნობოდა“⁵⁶.

იოსებ ქართველის როლის ასეთი შეფასება რამდენადმე გადაჭარბებულად მიგვაჩნია. მარტო იოსებ ქართველი არ იყო დე გარდანის საკონსულოში თარჯიმანი და ინფორმატორი. თუ საქმეს ლოკარტისეულად წარმოვიდგენთ, მაშინ რა დაემართა საფრანგე-

⁵⁵ Archives des Missions Etrangères. Paris, «Perse», t. 355. f. 458.

⁵⁶ L. Lockhart, Op. cit., p. 505.



თის საკონსულოს ისტაჰანში 1723 წლის მარტის შემდეგ, როდესაც იოსებ ქართველმა ისტაჰანი დატოვა და კონსტანტინოპოლში დაბრუნდა? სააარქივო მასალებიდან არ ჩანს, რომ კონსტანტინოპოლში იოსების დაბრუნების შემდეგ იქიდან ან პარიზიდან სასწრაფოდ გაეგზავნოთ ისტაჰანში ახალი თარჯიმანი.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში მუშაობის დროს ჩვენ დავინტერესდით ისტაჰანიდან საფრანგეთის საკონსულოს მიერ პარიზში გაგზავნილი მოხსენებითი ბარათებით და წერილებით 1723 წლამდე და მის შემდეგ, მაგრამ ისტაჰანიდან მიღებული ინფორმაციის სიუხვე 1723 წლამდე და სინაკლებე მის შემდეგ ვერ შევამჩნიეთ.

1965 წელს პროფ. ვ. გაბაშვილი წერდა: „ინტენსიურად მიმდინარეობს აგრეთვე მისი (იოსებ ქართველის. — ი. ტ.) თხზულებების ძიება. ამ თხზულებათა სათაურებს, სამწუხაროდ, მხოლოდ მამი დე-კლერაკის „სპარსეთის ისტორიისათვის“ წამმღვარებული შესავლიდან ვიცნობთ, თვითონ თხზულებები კი ჯერჯერობით აღმოჩენილი არაა“⁵⁷. ამ დროისათვის ცნობილი იყო იოსებ ქართველის ორი ნაშრომის სახელწოდება: მისი „მოგონება“ პარიზის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან, ციტირებული პროფ. დ. ლენგის მიერ⁵⁸, და თურქულად შედგენილი „ანგარიში“, გლაზგოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შემონახული, პროფ. ტ. ჰ. ვეირის მიერ გამოქვეყნებული⁵⁹.

ისტაჰანში საფრანგეთის საკონსულოში მუშაობის პერიოდში იოსებ ქართველმა დაწერა „მოგონება“⁶⁰ (მისი სრული სათაურია: „მოგონება სპარსეთში უკანასკნელი სამოქალაქო ომის შესახებ. 1723 წლის 31 იანვარი. შედგენილი ისტაჰანში საფრანგეთის

⁵⁷ ვ. გაბაშვილი, იოსებ ქართველის ვინაობისა და..., გვ. 329.
⁵⁸ D. M. Lang, The Last Years of the Georgian Monarchy, p. 198.
⁵⁹ T. H. Weir, Op. cit.,
⁶⁰ სიტყვა «Mémoire»-ს ფრანგულში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს: „მოგონება“, „მოხსენებითი ბარათი“, „სამახსოვრო ბარათი“, „ანგარიში“ და ა. შ. ჩვენ გადავწყვიტეთ იოსებ ქართველის ამ ნაშრომისათვის პირობით გვეწოდებინა „მოგონება“. იოსებ ქართველის ამ ნაშრომის საფუძველზე, კონსტანტინოპოლში საფრანგეთის საელჩოს მიერ შედგენილი და პარიზში გაგზავნილი ვრცელი ანგარიშისათვის — „მოხსენებითი ბარათი“, ხოლო გლაზგოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შემონახული თურქული ხელნაწერისათვის — „ანგარიში“ (ისევე, როგორც თურქეთის დიდგვზირისადმი იოსებ ქართველის მიერ წარდგენილი მოხსენებითი ბარათისათვის).



კონსულის ბატონ დელა გარდანის⁶¹ კანცლერის ანუ მდივანის მიერ
 ერ⁶², რომელიც შეიცავს ხელნაწერ 58 გვერდს და სადაც მოხა
 თხრობილია ავღანელ ტომთა ისტორია, ყანდაპარში შაჰ აბას I-ის
 გაბატონება, ავღანელ ტომთა ამბოხება სპარსელთა ბატონობის
 წინააღმდეგ, ყანდაპარში გუბერნატორად ქართლის მეფე გიორგი
 XI-ის გაგზავნა და იქ მისი მმართველობა, ავღანთა ბელადის მირ
 ვეისის მიერ გიორგი XI-ის მუხანათური მოკვლა, ყანდაპარის
 ბრძოლაში ქაიხოსროს დაღუპვა, მირ ვეისის გარდაცვალების
 შემდეგ ყანდაპარში მისი შვილის — მირ მაჰმუდის, გაბატონება
 და ისფაჰანის დაპყრობის მიზნით მისი ლაშქრობა, ბრძოლები ის-
 ფაჰანის მისადგომებთან და ისფაჰანის აღება, სეფიანთა დინას-
 ტიის დამხობა (1722 წლის ოქტომბერი) და ისფაჰანში მირ მაჰმუ-
 დის გაბატონება.

იოსებ ქართველის „მოგონება“ წყდება ბოლო გვერდის შუა
 ადგილას დაუშთავრებელი წინადადებით: „მაგრამ, რამდენადაც
 სარდარი ამანოლა მარჯვენა მხარში ისრით დაჭრილი იყო და მისი
 ხალხი მოსახლეობის გაათრებელი დარტყმით შეშინებული გარ-
 ბოდა, ის გაიქცა... ..ში“⁶³. ამის გაგრძელება ბევრი ვეძიეთ საფ-
 რანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში, მაგრამ ამაოდ.
 ჩვენი აზრით, მისი გაგრძელება არც არსებობს.

იოსებ ქართველის ზემოხსენებული „მოგონება“ შემდეგი
 სიტყვებით იწყება: „ავღანები გაყოფილია ორ მთავარ ტომად,

⁶¹ იოსებ ქართველი სწორად ვერ წერს თავისი უფროსის გვარს: ის იყო „დე
 გარდანი“ და არა „დელა გარდანი“.

⁶² Mémoire sur la dernière guerre civile de Perse. 31 janvier 1723. Fait
 par le Chancelier ou Secrétaire du S. de la Gardane Consul de France à His-
 pahan. Archives. Paris, «Perse», t. 6, ff. 262—290. ეს გვერდები ლ. ლოკარტან
 ზუსტად არაა მითითებული. ლ. ლოკარტან მითითებულია: ff. 262b—308a. იხ.
 L. L o c k h a r t, Op. cit., p. 505.

⁶³ საქმე შემდეგშია: 1722 წლის 2 ნოემბერს, ისფაჰანის აღების შემდეგ,
 მირ მაჰმუდმა თავის სარდრები: ამან ოლა სულთანი, აშრაფ სულთანი და ბრუ-
 ციანი ნასრულა სულთანი ლაშქრით (6 ათასი ავღანელი, 2 ათასი ყიზილბაში),
 რომელსაც ეთემად აღ-დოულეს ძმა მეთაურობდა, გაგზავნა ქ. ყაზვინის დასაპყ-
 რობად. მათ მირ მაჰმუდის დავალება ვერ შეასრულეს: თამაზ მირზა ხელთ ვერ
 იგდეს (იგი ყაზვინიდან გაიქცა); ყაზვინი აიღეს, მაგრამ დიდხანს ვერ შეინარჩუნეს.
 ავღანების თავაშვებული მოქმედებით აღშფოთებულმა მოსახლეობამ განდევნა
 ისინი. ამან ოლა სულთანი დაიჭრა. გადარჩენილი ავღანები ისფაჰანში დაბრუნ-
 დნენ. Archives. Paris, «Perse», t. 6, f°. 290.

რომელთა შორის უფრო ძლიერია ის, რომელიც ცხოვრობს ყან-
დაპარის სამეფოში. ეს უკანასკნელი სპარსეთის შაჰის — შაჰ-
დიდის დროს, რომელსაც ის (ყანდაპარის სამეფო. — შაჰ-
ემორჩილებოდა, შედგებოდა 50 ათასი⁶⁴ კომლისაგან და ავღანელ-
კლიყად იწოდებოდა⁶⁵. მეორე, აბდალაების ტომებად წოდებული-
ცხოვრობს პერათის სამეფოში და შედგება 3 ათასი კომლისა-
გან⁶⁶.

მირ ვეისის გარდაცვალების შემდეგ ყანდაპარის მმართველი-
გახდა მისი ძმა მირ აბდალა-ხანი, მაგრამ მას ბრალს სდებდნენ
სპარსელებთან შემრიგებლურ პოლიტიკაში. ამით ისარგებლა მირ
ვეისის შვილმა — 18 წლის მირ მაჰმუდმა, თავისი მეგობრების-
დახმარებით მოკლა საკუთარი ბიძა და ყანდაპარის მმართველი გახ-
და. მან მალე გაილაშქრა სპარსეთის წინააღმდეგ.

მირ მაჰმუდმა დაიპყრო რა სპარსეთის იმპერიის მნიშვნე-
ლოვანი ნაწილი, „გასწია წინ სპარსეთის იმპერიის დედაქალაქისა-
კენ. — წერს იოსებ ქართველი,—სპარსელებმა გაიგეს, რომ ის
იმყოფება (ისფაჰანიდან) მხოლოდ 20 ლიეზე, შიკრიკები გაუგზავ-
ნეს, რათა მისთვის 30 ათასი ეკიუ შეეთავაზებინათ, ოღონდაც კი
მას კეთილი ენება და ისფაჰანის ტერიტორია დაეტოვებინა. მაგ-
რამ მირ მაჰმუდმა უკანვე გაგზავნა შიკრიკები პასუხის გარეშე და
7 მარტს კარვები გაშალა 3 ლიეზე ისფაჰანიდან, გულნაბადად წო-
დებულ ადგილას. ამ ადგილმა სახელი მისცა ცნობილ ბრძოლას,
მირ მაჰმუდმა აქ რომ გამართა და რომელიც სპარსეთის შაჰს დე-
დაქალაქისა და გვირგვინის დაკარგვად დაუჭდა. აქ მირ მაჰმუდი
ელოდებოდა სპარსელებს, რომლებიც, როგორც ეს მისთვის ცნო-
ბილი გახდა, ბრბოს სახით გამოდიოდნენ ქალაქიდან, რათა ავღა-
ნებთან ბრძოლა გაემართათ. ამრიგად, ხსენებულ მარტის 8-ში⁶⁷,
კვირა დღეს, სპარსეთის მონარქისათვის ამდენად საბედისწერო
დღეს, ორივე არმია ერთმანეთის პირდაპირ საბრძოლველად განე-
წყა“.

⁶⁴ ლ. ლოკარტი იმოწმებს იოსებ ქართველს, მაგრამ ასახელებს 53 ათასს.

⁶⁵ ყანდაპარის პროვინციაში მცხოვრებ ტომებს შორის გამოირჩეოდა ორი
ტომი: დილზაი (ლალზაი, დელჯი), რომელიც ყანდაპარსა და მის გარშემო ცხოვ-
რობდა, და აბდალაები (დურანი), რომელიც პერათში ცხოვრობდა. „ავღანი“,
„აფგანი“—მთ უცხოელებმა შეარქვეს.

⁶⁶ J. Malcolm, Op. cit.; Hanway, Op. cit., vol. II, p. 148; Th-
Krusinski, Op. cit., p. 422.

⁶⁷ იგულისხმება 1722 წლის 8 მარტი.



საქართველოს
ხელნაწილების
სამეცნიერო ცენტრი

ჯონ მალკოლმი ამ ამბებს შემდეგნაირად აღწერს: უანდაპარი დატოვა 1722 წლის იანვარში, ხელახლა გადაიარა სესთანის უდაბნო და ქირმანში მივიდა. მას მალე დაეუფლა, მაგრამ ციხესიმაგრე მთელი ძალებით უწევდა წინააღმდეგობას“. შემდეგ მირ მაჰმუდმა გასწია სპარსეთის ცენტრალური რაიონებისაკენ, გაიარა რა მოკლე, მაგრამ უდაბნო ადგილები. ისფაჰანიდან 4 დღის სავალზე (დაახლოებით 100 მილზე) მას შეხვდნენ შაჰის შიკრიკები და შესთავაზეს 15 ათასი თუმანი (30 ათასი გირვანქა სტერლინგი ანუ 200 ათასი ფრანკი), რათა უკან დაბრუნებულიყო. მან ამაზე უარი თქვა და გზა გააგრძელა გიულნაბადამდე (9 მილზე ისფაჰანიდან)⁶⁸.

გიულნაბადთან ბრძოლაში მონაწილე სპარსელთა ლაშქრის რიცხვზე ერთი აზრი არ არსებობს. ყოველ შემთხვევისათვის, სპარსელთა რაოდენობა მეტი იყო, ვიდრე ავღანთა⁶⁹.

ამბობენ, რომ მირ მაჰმუდმა, ნახა რა სპარსეთის ჯარების ასეთი დიდი რაოდენობა, მერყეობა დაიწყო და გადაწყვიტა: თავისი ლაშქრიდან ყველაზე მამაცი და კარგად შეიარაღებული ათასი კაცის თანხლებით თავისთვის ეშველა, მაგრამ იგი გაამხნევა მისმა სარდარმა ამანოლა-ხანმა. მირ მაჰმუდს მან უთხრა: მებრძოლთა სიმრავლე, რომელიც მათკენ მოემართება, უმთავრესად ისფაჰანის ნოქალაქეების, ხელოსნების, მინისტრებისა და კარის სხვა მსახურებისაგან შედგება. ისინი უკვე საკმაოდ ახლოს არიან და ამდენად უკან დახევა უკვე გვიანაა. აუცილებელია გამარჯვება ან სახელოვანი სიკვდილი.

მირ მაჰმუდმა მოისმინა თავისი სარდრის რჩევა და ლაშქარი სამ კორპუსად დაყო: მარცხენა ფრთა 3 ათასი კაცით ნასრულა სულთანს, ანუ ბრუციანს, ჩააბარა, მარჯვენა ფრთა 5 ათასი კაცით — ამანოლა ხანს, ხოლო დანარჩენი ნაწილები თავისთან ცენტრში დატოვა.

სპარსეთის ლაშქარში, რომელიც ყოველგვარი სალაშქრო წესის გარეშე გაეწყო, არსებობდა სხვადასხვა აზრი: ეთემად ად-დოულე ჯერჯერობით შეტყვის წინააღმდეგი იყო, ხოლო როსტომი და არაბეთის ვალი დაუყოვნებლივ იერიშზე გადასვლას მოითხოვდნენ. ეთემად ად-დოულეს სურვილის მიუხედავად, ყულარალასმა (როსტომმა) პირველმა შეუტია მოწინააღმდეგის მარცხენა ფრთას

⁶⁸ Ibid.

⁶⁹ ჯ. მალკოლმის მიხედვით, ავღანთა რიცხვი 20 ათას შეადგენდა, იქვე, გვ. 136.



და შეავიწროვა ის. არაბეთის ვალმაც წინ წაიწია, მაგრამ ეთ-
ლანელთა ძარცვით უფრო იყო გართული, ვიდრე ბრძოლით. ეთე-
მად აღ-დოულემ მტრის მარჯვენა ფრთას შეუტია. აქ ავლანთა ნა-
წილებს იცავდა ასი ქვემეხი, რაც მუხლებზე დახოქილი აქ-
ლემების ზურგზე იყო განლაგებული⁷⁰.

ავლანებმა ეთემად აღ-დოულეს ლაშქარს თავი მოაჩვენეს,
თითქოს უკან იხევენ. მათ მართლაც დაიხიეს უკან, სანამ სპარ-
სელები უშუალოდ ზარბაზნების წინ არ აღმოჩნდნენ. სწორედ მა-
შინ ამოქმედდა ავლანელთა ზარბაზნები, რომელთა დარტყმამ
სპარსელთა რიგებში არეულობა შეიტანა და უწესრიგოდ უკუიქ-
ცნენ. ამანოლამ სწრაფად მოაბრუნა თავისი ნაწილები ისე, რომ
ისინი სპარსელების პირდაპირ აღმოჩნდნენ. ავლანებმა ხელთ იგ-
დეს სპარსელების ზარბაზნები და ისინი მათვე წინააღმდეგ მიაბრუ-
ნეს. არტილერიის სარდალი მოკლეს. კავალერიის მეთაურმა თავს
გაქცევით უშველა.

მირ მაჰმუდმა დაინახა რა, თუ როგორი სიმამაცით უტევდნენ
ავლანელები მოწინააღმდეგეს და როგორ გარბოდნენ სპარსელები,
თავისი ლაშქარი მიაშველა მარცხენა ფრთას, რომელიც მეტად
შეავიწროვა როსტომის ლაშქარმა. მირ მაჰმუდმა ზურგიდან შე-
მოუარა და ალყაში მოაქცია როსტომის ნაწილები, სიმრავლით
სძლია როსტომის მამაც მეომრებს და ამოწყვიტა. როსტომიც ამ
ბრძოლაში დაიღუპა. როსტომმა სამჯერ აიძულა მოწინააღმდეგე
უკან დაეხია და ბოლოს სპარსელებისაგან მიტოვებული 200 ქარ-
თველთან ერთად გამირულად დაეცა.

ამრიგად, როსტომს არავინ მიეშველა. არაბეთის ვალის ლაშქ-
რის ნაწილები ხედავდნენ, თუ როგორ შემოარტყეს ალყა როს-
ტომის მეომრებს და ხოცავდნენ მათ, მაგრამ ისინი ავლანელების
ძარცვით იყვნენ დაკავებული, ხოლო შემდეგ დიდი ნადავლით ქა-
ლაქში დაბრუნდნენ⁷¹.

⁷⁰ გ. ჰანვეის მიხედვით, მირ მაჰმუდს 60 ზარბაზანი (ზამბურაკი) ჰქონდა, სპარ-
სელებს—ასი. იოსებ ქართველის მიხედვით, მირ მაჰმუდს—ასი, სპარსელებს—24.

⁷¹ როდესაც როსტომთან ბრძოლაში გართულ მირ მაჰმუდს მოახსენეს არა-
ბების მიერ მისი ბანაკის ძარცვის შესახებ, თითქოს მან უპასუხა: „დაე, წაიღონ
ჩემი საგანძური. ამ წუთში ჩვენ მამაცურად უნდა ვიბრძოლოთ. თუ დავგამარ-
ცებენ, სულერთია, ჩვენს ძვირფასეულობას წაიღებენ დღეს თუ ხვალ, ხოლო,
თუ ალაჰი საქმეს ისე წაიყვანს, რომ გავიმარჯვებთ, მაშინ ჩვენიც და მოწინააღ-
მდეგის ხაზინაც ჩვენი იქნება“.



ლურისტანის ვალი და სხვა ხანები, დაინახეს რა, რომ ვაჭარმა კარგა ეთემად აღ-დოულემ არტილერია და დამარცხდა, წაიღო ნაწილებით დაბრუნდნენ თავიანთ პროვინციებში ისე, რომ ისფაჰანში არც კი შეუვლიათ. ამ ბრძოლის დროს დაიღუპა დაახლოებით 6 ათასი საპრსელი და 600 ავღანელი, უმთავრესად ავღანელთა მარცხენა ფრთიდან⁷².

როდესაც ვკითხულობთ გიულნაბადის ბრძოლების იოსები-სეულ აღწერას, ჩვენთვის გაუგებარი რჩება ერთი რამ: რატომ ტოვებს იოსებ ქართველი ყურადღების გარეშე ამ ბრძოლების დროს ქართველების გამირობას?⁷³ გიულნაბადში ყველაზე მნიშვნელოვანი და გამირჯული ბრძოლები იყო იმ უბანზე, სადაც ქართველი უფლისწულის (ვახტანგ VI-ის ძმის) როსტომის ნაწილები იბრძოდნენ. ავღანებმა მთავარი ყურადღება სწორედ ამ უბანს მიაქციეს. იოსები ხომ ამ ბრძოლების დროს ისფაჰანში იყო, ბრძოლის ადგილიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებული. მას, ალბათ, ზარბაზნების სროლაც კი ესმოდა. იმ დროს ყველა ქართველთა გამირობასა და მათ მამაცურად დაღუპვაზე ლაპარაკობდა. ყველა ავტორი, გარდა იოსებ ქართველისა, ვინც გიულნაბადის ბრძოლებს აღწერს, ყურადღების ცენტრში როსტომის მეთაურობით ქართველთა გამირჯულ ბრძოლას აყენებს.

ავიღოთ, მაგალითად, საფრანგეთის კონსული შირაზში პადერი, რომელიც იმ დროს ისფაჰანში იყო. იგი წერს: „...ქართველი უფლისწული ბრძოლის ველზე ისრით განგმირული დაეცა... ამ ბრძოლაში დაიღუპა ყველა ქართველი, მათ შორის როსტომიც. მოწინააღმდეგეს არ ნებდებიან — ასეთი იყო ქართველების დევიზი“⁷⁴ — შენიშნავს პადერი. ქართველების ამ სიტყვებმა პადერიმდე მიაღწიეს და იგი იოსებ ქართველმა ვერ გაიგო?

⁷² სხვა ცნობით: დაახლოებით 1700 ყიზილბაში და 130 ავღანი.

⁷³ იოსებ ქართველი ასეთივე უყურადღებობას იჩენს ქართველთა გამირჯული ბრძოლის მიმართ ყანდაჰარის ამბების დროს. ამ მხრივ ჩვენ სხვა ავტორებთან უფრო მეტ მსაიღებს ვპოულობთ, ვიდრე იოსებ ქართველთან.

⁷⁴ Archives. Paris, «Perse», t. 6, f° 424. ქართველებისა და როსტომის შესახებ თ. კრუსინსკი წერს: «ქართველებში, რომელთათვის სიკვდილის შიშზე მალა პატივი იდგა, სამშობლოს სიყვარული აღაპარაკდა...» როსტომს «რკინის კომბლებით ალყა შემოარტყეს... იგი დაიღუპა». ერთ-ერთმა ავღანმა სარდარმა განაცხადა როსტომის შესახებ: «ეს გამირი ცოცხალი რომ დარჩენილიყო, სპარსეთის დედაქალაქი ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში არასოდეს არ იქნებოდა». იხ. თ. კრუსინსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 322.

როდესაც გიულნაბადის ბრძოლების წინ ეთემად აღ-დოულემ მუჰამედ ყული ხანმა მოითხოვა შეტევისაგან თავის შეკავება, თველ უფლისწულს, როსტომს უთქვამს: „ახლა დავის დრო არ არის, არამედ ბრძოლის დროა. დიდი სირცხვილი იქნება, რომ ურიცხვი არმია, რომელშიც შედიან იმპერიის დიდებულებიც, შეუშინდეს მძარცველებს და ამბოხებულ მომთაბარეებს“⁷⁵.

როსტომთან ერთად 400 ქართველი იბრძოდა. პროფ. დ. ლენ-გი წერს: „ავღანელები გარს შემოერთყნენ როსტომის ქართველთა მხედრიონს, რომელიც ვაჟაკურად იბრძოდა, სანამ საბოლოოდ არ განადგურდა და მისი მეთაური ბრძოლის ველზე არ დაეცა“⁷⁶.

ქართველთა „ამ ნაწილის დამარცხებამ, — აღნიშნავს ჯ. ჰან-ვეი, — ავღანელთა გამარჯვების საკითხი გადაწყვიტა“. ხოლო სპარსელი ისტორიკოსი მოჰამედ მუჰსინი წერს: „სხვა მეთაურები შშიშარა რომ არ ყოფილიყვნენ და შაჰის გვარდიის უფროსისათვის (როსტომისათვის.—ი. ტ.) მხარი დაეჭირათ, ავღანელები დამარცხდებოდნენ“⁷⁷.

ახლა კიდევ ერთი საკითხი: შაჰ ჰუსეინის შეხვედრა მირ მაჰ-მუდთან. მაგრამ ვიდრე ამას შევეხებოდეთ, გავარკვიოთ: როგორ მოხვდა იოსებ ქართველი მირ მაჰმუდის ბანაკში?

იოსებ ქართველის „მოგონებაში“ ნათქვამია: „ვიმყოფებოდი რა მაშინ ფერაბადში, სადაც მივედი შაჰის მისვლამდე რამდენიმე დღით ადრე, სპარსეთში საფრანგეთის გენერალური კონსულის ბატონ დელა გარდანის ბრძანებით, რათა მეთხოვა მირ მაჰმუდი-სათვის მფარველობა ფრანგი ერისა და ისფაჰანში მყოფი მისიონერების საკეთილდღეოდ. ეს თავაზიანად მიბოძეს განკარგულებებთან-ერთად... მირ მაჰმუდმა დაუმატა ამას მკაცრი აკრძალვა და სიკვდილის მუქარა იმ პირთა მიმართ, ვინც ამ განკარგულებებს მცირედ მაინც დაარღვევდა. დიდმა ცერემონიალმაისტერმა მითხ-რა, რომ არ მოვშორებოდი მის პიროვნებას მთელი დღის განმავ-ლობაში. მქონდა სიამოვნება კარგად მენახა ამ ცერემონიალის მთელი თანმიმდევრობა...“⁷⁸.

რით დაიმსახურა ასეთი პატივი საფრანგეთის კონსულმა და

⁷⁵ L. — A. de la Mamy de Clairac, Histoire de Perse. t. 1, p. 238.

⁷⁶ D. M. Lang, Op. cit., p. 113.

⁷⁷ Ibid.

⁷⁸ Archives. Paris, «Perse», t. 6, ff. 283—283 v°.

ნდობა იოსებ ქართველმა? ამაზე იოსებ ქართველი
ბობს.

ლ. ლოკარტი წერს: „ის ფაქტი, რომ გარდანმა იოსები გაგ-
ზაენა მაჰმუდთან, როგორც თავისი განსაკუთრებული წარმომად-
გენელი სწორედ მაშინ, როდესაც დაეცა ქალაქი (ისფაჰანი.—ი. ტ.)
და იოსებს ავღანთა წინამძღოლისათვის უნდა ეთხოვა ფრანგი ერ-
ოვნების წარმომადგენელთა მფარველობა და ინტერესების დაცვა
ისფაჰანში მისი (მირ მაჰმუდის.—ი. ტ.) ჯარების შესვლის შემდეგ,
მიუთითებს იმაზე, რომ კონსულს დიდად ენდობოდა მას. იოსების
მისიის წარმატებით დასრულება დამადასტურებელია არა მარტო
მისი დიპლომატიური უნარისა, არამედ მისი მამაცობისა, ვინაიდან
მეტად სახიფათო იყო ამ ხანგრძლივი ალყის პირობებში, სპარ-
სელთა და ავღანელთა ფრონტის ხაზის გადაჭრა.

მაჰმუდმა ფერაბადში იოსები კარგად მიიღო. იგი მაშინაც იქ
იმყოფებოდა, როდესაც შაჰ სულთან ჰუსეინი მივიდა მაჰმუდისა-
თვის თავისი გვირგვინის გადასაცემად. იოსები იყო იმ დარბაზში,
სადაც შაჰისა და მაჰმუდის საბედისწერო შეხვედრა მოხდა. სწო-
რედ ამ ფაქტს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ იოსებმა შესძლო მოეცა
მეტად ძვირფასი ანაგირიში თვითმზილველისა იმის შესახებ, თუ
რა მოხდა შეხვედრის დროს“⁷⁹.

ჩვენ აქ სხვა ავტორთა (კერძოდ, ქართველ ავტორთა) სიტ-
ყვებს არ მოვიტანთ, ვინაიდან ისინი ამ შემთხვევაში ლ. ლოკარტის
ნათქვამს იმეორებენ.

ჩვენი აზრით, მირ მაჰმუდისა და შაჰ ჰუსეინის შეხვედრაზე
იოსებ ქართველის ყოფნა იმ მოტივით, რომ იგი იქ კონსულმა დე
გარდანმა გაგზაენა მხოლოდ საფრანგეთის საკონსულოსათვის
მფარველობის თხოვნით, არ არის დამაჯერებელი. ასეთივე თხოვ-
ნით ყველა უცხოელ კონსულს ან წარმომადგენელს შეეძლო გა-
მოცხადებულიყო მირ მაჰმუდის რეზიდენციაში. მაინც რაში გა-
მოიხატებოდა საფრანგეთის კონსულის დამსახურება ან უპირატე-
სობა მირ მაჰმუდის წინაშე, რომ ამ უკანასკნელმა პატივით მიიღო
დე გარდანის წარმომადგენელი? მარტო იმით, როგორც ზოგიერ-
თი ავტორი ფიქრობს, რომ თითქოს უცხოეთის წარმომადგენელმა
იგი შაჰად აღიარა? მირ მაჰმუდს დიდად არ აწუხებდა, ისფაჰანში

⁷⁹ L. Lockhart, Op. cit., p. 505. ვერ დავეთანხმებით ლ. ლოკარტს
იმას, რომ შაჰისა და მირ მაჰმუდის ამ შეხვედრის ერთადერთი წყარო იოსების
„ანგარიში“ იყოს.



მყოფი უცხოელი წარმომადგენლები მას შაჰად ცნობდნენ თუ არა. მისთვის მთავარი იყო ისფაჰანის აღება, ხოლო შემდეგ ყველა მათგანს მოექცეოდა ისე, როგორც თვითონ მოისურვებდა. შემდგომში მირ მაჰმუდი ასეც მოქცა.

მაშ რაში იყო საქმე?

კონსტანტინოპოლიდან საფრანგეთის საელჩოს მიერ პარიზში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „შაჰ ჰუსეინმა, აღელვებულმა სავალალო მდგომარეობით, რომელშიც მისი ქვეყანა ჩაეარდა; ამასთანავე, ფულის შოვნისა და დახმარების მიღების იმედდაკარგულმა, ბოლოს გადაწყვიტა დაეთმო... ამ მიზნით მან თავის მინისტრებს ურძანა, მირ მაჰმუდის წინაშე კაპიტულაციაზე წასულიყვნენ“.

„ისფაჰანში საფრანგეთის კონსულ ბატონ დე გარდანთან მყოფმა ფრანგულის თარჯიმანმა კათოლიკე მამა იოსებ ქართველმა გაიგო რა ამ გადაწყვეტილების შესახებ, მოახსენა ეს კონსულს და მისი განკარგულებით (რათა მას ეცნობებინა ეს ამბავი მირ მაჰმუდისათვის) გაიარა რა მოწინააღმდეგის მიერ დაკავებული ადგილები, 20 ოქტომბერს ჟულფაში მივიდა.

მეორე დღესვე იგი გაემართა მირ მაჰმუდის ბანაკისაკენ და მთავარ ცერემონიალმაისტერის შემწეობით მან გადასცა მირ მაჰმუდს ის, რაც თავისმა კონსულმა დაავალა. ეს სარდარი ყურადღებით შეხვდა ამ ცნობას და უბრძანა თავის პირველ მინისტრს (გარდანისადმი თავის დროზე შაჰ ჰუსეინის მიერ ბოძებული ქალაქის)⁸⁰ არშიაზე მიეწერათ ნებართვა, რათა გამოეკიდათ ალამი საფრანგეთის სასახლეზე (საკონსულოს შენობაზე.—ი. ტ.). ამასთანავე, ყველას ეკრძალებოდა ცუდად მოქცეოდნენ ფრანგებს მათი სასახლის მფლობელობის საქმეში“⁸¹.

აი, რატომ აღმოჩნდა გარდანის წარმომადგენელი მირ მაჰმუდის კარზე და რატომ მიიღეს ის ასე კარგად. დე გარდანმა იოსების საშუალებით სასიამოვნო ამბავი აცნობა მირ მაჰმუდს და სამაგიეროც ითხოვა. რატომ გაგზავნა კონსულმა მანინცდამანინც იოსები და არა სხვა ვინმე? იმიტომ, რომ იოსებს ნაცნობები ჰყავდა ჟულფაში მცხოვრებ სომხებს შორის (ამიტომაც წავიდა ის პირდაპირ ჟულფაში). მათ კი მირ მაჰმუდის ხალხთან კავშირი

⁸⁰ იოსებ ქართველს თან მიჰქონდა საფრანგეთის კონსულისადმი შაჰ ჰუსეინის მიერ ნაბოძები ქალაქი.

⁸¹ Archives. Paris, «Perse», t. 6, ff. 357—357 v°.



ჰკონდათ. აქედან უფრო იოლად შეიძლებოდა კონტაქტის
ყარება მირ მაჰმუდის ბანაკთან. როგორც ვხედავთ, იოსებ ქართვე-
ლის გამბედაობისა და დიპლომატიური უნარის მტკიცებისათვის
აქ თითქმის არაფერი რჩება.

ახლა მირ მაჰმუდისა და შაჰ ჰუსეინის შეხვედრაზე.

„1722 წლის 23 ოქტომბერს — წერს ვ. მინორსკი, — სულ-
მოკლე და უნიჭო შაჰი თავის კარისკაცთა თანხლებით გაემგზავრა
ავღანთა ბანაკისაკენ ფერაბადში და სამეფო დიადემა თავზე დაა-
ხურა თავის ადრინდელ ვასალს — მირ მაჰმუდს. ასე მოულოდნე-
ლად სეფევიდების სახელმწიფოს მთელმა სისტემამ სამარცხვინო
კრაზი განიცადა“⁸².

ამრიგად, შაჰ ჰუსეინმა გადაწყვიტა, თავისი ამალით თვითონ
ხლებოდა გამარჯვებულ მირ მაჰმუდს: „რამდენადაც ყველაფერი
ასე აეწყო, — წერს იოსებ ქართველი — პარასკევს, 25 ოქტომ-
ბერს, შაჰი, რომელსაც თან ახლდნენ მისი ეთემად აღ-დოულე,
არაბეთის მეფე და თავისი სასახლის ბევრი სხვა მინისტრი თუ
მოხელე, გავიდა ქალაქიდან, რათა მირ მაჰმუდის ხელთ ჩავარდნი-
ლიყო. მას შემდეგ, რაც მან ისფაჰანის დიდ ანუ სამეფო მოედან-
ზე ალაჰს შესწირა 5 აქლემი⁸³, რომელთა ხორცი ბრძანა მოსახ-
ლეობისათვის დაერიგებინათ, იგი გაემართა ფერაბადის მიმარ-
თულებით, გართობების სასახლისაკენ, რომელიც თავის დროზე
ააგო მისმა უდიდებულესობამ (შაჰმა — ი. ტ.), რათა ზაფხულის
სიცხეების პერიოდი იქ ეტარებინა. ეს საუტეხოო ადგილია, მისი
ბალები გარშემორტყმულია ძლიერი გალავნით და სასიამოვნო
წალკოტებით, რომლის წრიული სიგრძე 2 ლიეა.

მირ მაჰმუდი იმ ბრძოლის შემდეგ, რომელიც მან გიულნაბად-
თან მოიგო და, მას შემდეგ, რაც ჯულფის სომხებმა მას თავიანთი
ქალაქი ჩააბარეს, წავიდა ფერაბადში და იქ დაბინავდა. აქ ის დარ-
ჩა დაახლოებით 7,5 თვე, ვიდრე ქალაქის ალყა გრძელდებოდა.

როდესაც მირ მაჰმუდს მისმა დიდმა ცერემონიალმაისტრმა
აცნობა შაჰის მოსვლის შესახებ, მან ბრძანა შეეჩერებინათ შაჰი იმ
საბაბით, რომ ის ისვენებს. იფიქრეს, რომ გამარჯვებულმა სარ-
გებლა ამ ხერხით, რათა მოესწრო მომზადებულყო შაჰის შესა-
ხვედრად, მაგრამ ეს უფრო შეიძლება მიეწეროს სიამაყესა და
უპირატესობის გრძნობას, რაც მას აიძულებდა ამგვარად ემოქ-

⁸² V. Minorsky, Op. cit., p. 10.

⁸³ ზოგიერთი ავტორის მხედვით 3 აქლემი.



მედა. როგორც არ უნდა ყოფილიყო, მას დაემორჩილნენ და დათანხმდა შეჩერებულიყო ნახევარი საათის განმავლობაში⁸⁴.

სახევარი საათის შემდეგ შაჰთან კაცი გაგზავნეს და აცნობეს, რომ მას შეეძლო გზა გაეგრძელებინა. შაჰი ცხენიდან ჩამოვიდა სასახლის ახლოს, სადაც მირ მაჰმუდს ერთ-ერთ დარბაზში, რომელიც ბაღში გადიოდა, კუთხე⁸⁴ ეკავა. იგი ოქროქსოვილის მუთაქას დაჰყრდნობოდა და შაჰის მოლოდინში ბრილიანტებით მორთული საათების დათვალიერებით ერთობოდა. მირ მაჰმუდმა ბრძანა, იმავე დარბაზის მეორე კუთხეში მოემზადებინათ შაჰისათვის ადგილი და ოქროქსოვილის მუთაქა, რომელიც მირ მაჰმუდის მუთაქის მსგავსი იქნებოდა.

შაჰ ჰუსეინი დარბაზში შევიდა და მირ მაჰმუდს ჩვეულებრივი მისალმებით მიმართა: „სელამ ნალეიქუმ!“ მირ მაჰმუდი მაშინვე წამოდგა და უპასუხა იმავე მისალმებით: „ნალეიქუმ სულამ!“ და ორივე დაჯდა⁸⁵. შაჰმა მირ მაჰმუდს მიმართა სიტყვებით: „ჩემო შვილო, რამდენადაც ზეცამ დაგნიშნათ თქვენ, იმეფოთ სპარსეთში, მე ხალხით გადმოგცემთ თქვენ იმპერიის მმართველობის საქმეს, მთელი გულით გისურვებთ თქვენ ყოველგვარ სიკეთეს“. იმავე დროს შაჰმა მოიხსნა თავისი დოლბანდიდან ჯილა, რომელიც აზიის მინარქების სამეფო მშვენებას წარმოადგენს, შედგება ბრილიანტებით მორთული ფრთებისა და მსხვილი ქვებისაგან, და ის მირ მაჰმუდის ვეზირს გადასცა, რათა მას იგი თავისი პატრონის დოლბანდზე მიემაგრებინა. მაგრამ ამ უკანასკნელმა მკვახე უარი თქვა, მიეღო იგი თავისი მინისტრის ხელიდან. შაჰს შეეტყო, რომ გამარჯვებულის ყველა სურვილს აღასრულებდა. მან ჯილა გამოართვა მინისტრს, წამოდგა და თვითონ გაემართა, რათა საკუთარი ხელით მიემაგრებინა იგი მირ მაჰმუდის დოლბანდზე, თან უსურვა ბედნიერი მეფობა. შემდეგ მოიტანეს ყავა, ჩაი და ყალიონი.

მირ მაჰმუდმა შაჰს უთხრა, რომ ამ ამბავმა იგი არ უნდა ააღელვოს, იმიტომ რომ განგების გარდუეალი კანონების თანახმად ყველა დროის სამეფოები და მონარქიები ჩვეულებრივად გადადიოდნენ ერთი ხელიდან მეორეში, ერთი ხალხიდან მეორეზე. რაც შეეხება შაჰის პიროვნებას, მას შეუძლია დარწმუნ-

⁸⁴ კუთხე აღმოსავლეთში საპატიო ადგილად ითვლება.

⁸⁵ ზოგიერთი ავტორის მიხედვით, მაჰმუდი არც კი წამომდგარა (იხ. თ. ნ ა ტ რ ა შ ვ ი ლ ი, მასრიყით მალრიბამდე, გვ. 312).



ნებული იყოს, რომ მირ მაჰმუდი არაფერს გააკეთებს მესიქე თანჯე-
მობისა და რჩევის გარეშე.

მირ მაჰმუდისა და შაჰის ამ შეხვედრის სხვა აღწერებაც არ-
სებობს, რომლებიც რამდენადმე განსხვავდებიან იოსებ ქართვე-
ლის ზემოხსენებული აღწერისაგან. მოვიტანთ ზოგიერთ მათგანს.

სარგის გილანენცი წერს: „შევიდა რა ოთახში, შაჰმა დაინა-
ხა მაჰმუდი, მჯდომარე. ის ადგა, ხოლო შაჰმა უთხრა: „სალამ ალე-
იქუმ“. მაჰმუდმა არ შეხედა მას სახეზე, არამედ ჩააშტერდა ია-
ტაკს და ისე უპასუხა: „ალეიქუმ სალამ“. მაჰმუდი მაშინვე დაჯ-
და, უჩვენა შაჰს დაბალი ადგილი და დასვა ისიც. შაჰმა საკუთარი
ხელით მოიხსნა თავისი სამეფო შემოსაკრავი⁸⁶ და გადასცა აპტმა-
დოვლეთს, რათა დაედგა მაჰმუდის თავზე⁸⁷. მიიღო რა შაჰისაგან
ჯილა, აპტმა-დოვლეთი მიუახლოვდა მაჰმუდს, მაგრამ მან განუ-
გაიწი⁸⁸ და არ მიიღო. ასე რომ, აპტმა-დოვლეთი მიბრუნდა და
ჯილა ისევ შაჰს გადასცა. მაშინ შაჰმა აიღო ჯილა, ადგა, მივიდა
მაჰმუდთან, თავისი ხელით მიამაგრა ის მაჰმუდის თავსახვევზე და
თქვა: „შვილო ჩემო, ჩემი ცოდვების გამო ღმერთი უკვე აღარ
მთელის ღირსად, ვმართო ჩემი სამეფო. სამეფო ჩემი მან შეხ-
მოგცა. აი ჩემი გვირგვინიც მე დაგადგი თავზე და იყოს კურთხე-
ული შენი მეფობა. თქვა რა ეს შაჰმა, დაბრუნდა და თავის ად-
გილას დაჯდა. ამის შემდეგ შემოიტანეს ყავა, რომელიც მაჰმუდმა
და შაჰმა სხევებზე წინ დალიეს. მაჰმუდთან ამ დროს იყო ბელუ-
ჯისტანის სარდარი, რომელმაც შაჰს უთხრა: „ეს რა გვიყავი ჩვენ?
რა (სასირცხვილო) დღემდე მიგვიყვანე? შენ დაემორჩილე მაჰ-
მუდს, შენც და ჩვენც ჩაგვავადე მის მონობაში“⁸⁸.

ლ. ლოკარტი წერს: „ძალზე სევდიანი, საწყალი შაჰი იჯდა
ცხენზე, რომელიც მას მირ მაჰმუდმა ათხოვა⁸⁹ (სახელმწიფო სა-
ჯინიბოს ყველა ცხენი შეჭამეს). მისი მცირე ამაღა მიდიოდა დე-
დაქალაქის ქუჩებში, რომლებიც ცხედრებით იყო მოფენილი. სამ-
გლოვიარო სიჩუმე... უფრო მეტ წუხილს გამოხატავდა და უფრო
გულისამჩუყებელი იყო, ვიდრე მათი ხმამალლა გოდება... შიშმა,
საცოლაობამ, სასოწარკვეთილებამ დაისადგურა მათში. მიუხედა-

⁸⁶ შემოსაკრავი კი არა, ჯილა (პლუჯი).

⁸⁷ ჯილა მისაბნევი და არა დასადგამი.

⁸⁸ იოსებ ქართველის თურქული ანგარიშის მიხედვით, ბელუჯის ხანს ასე-
თი მკაცრი სიტყვებით არ მოუმართავს შაჰისათვის.

⁸⁹ L. Lockhart, Op. cit., p. 505.



ვად ამისა იმედოვნებდნენ, რომ მაჰმუდი გვირგვინზე
ყოფა.

გადაიარეს რა ზეიანდა-რუდი, შაჰმა და მისმა თანმხლებმა პირებმა მარჯვნივ გადაუხვიეს ფერაბადის მიმართულებით. აბა რას იფიქრებდა შაჰი მაშინ, როდესაც ასე ზრუნავდა ფერაბადის სასახლეზე და სიმდიდრეს არ იშურებდა მისი აგებისათვის, რომ ერთ უბედურ დღეს იგი ასე ნაღვლიანი მიუახლოვდებოდა მას. ბოლმა მოაწვა. როდესაც იგი კუჭ-ი-სუფას კალთებს მიუახლოვდა, მან ფერაბადიდან მოკლე ცნობა მიიღო: მაჰმუდს სძინავსო.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი თავისი თანმხლები პირებით ნახევარ საათს გააჩერეს, ავლანებმა აღირსეს გზის გაგრძელების ნებართვა...

მაჰმუდი იჯდა ოთახის ერთ კუთხეში, ოქროქსოვილით მორთულ მუთაქაზე დაყრდნობილი. შაჰი შემოიყვანეს, მიიყვანეს მეორე კუთხეში, სადაც იგი დაჯდა. მას შემდეგ, რაც ისინი ერთმანეთს მიესალმნენ, შაჰ სულთან ჰუსეინმა თქვა. „შემო შევილო, რადგანაც უმადლეს განგებას არ სურს მე ვიმეფო და დადგა წუთი შენთვის ტახტის გადაცემისა, მე ვისურვებდი, რომ შენ გემართოს იგი მთელი აყვავებით“. ამ სიტყვებთან ერთად მან ჩაღმიდან ჯილა ანუ სახელმწიფო ემბლემა აიღო და გადასცა ამანოლას, რათა ამ უკანასკნელს გადაეცა იგი მირ მაჰმუდისათვის. ნახა, რომ ამით მაჰმუდი გაბრაზდა, მან უკანვე გამოართვა ემბლემა ამანოლას, მივიდა მაჰმუდთან (რომელიც ჯერ ისევ იჯდა), ორივე ხელით დაადგა თავზე და მშვიდობით მეფობა უსურვა. ექს-შაჰი (როგორც ახლა შეიძლება მას ვუწოდოთ) მიბრუნდა თავის ადგილას და დაჯდა“.

ამ ამბებს ჯ. ჰანვეი შემდეგნაირად აღწერს: მირ მაჰმუდის მთავარმა ცერემონიალმაისტერმა შაჰი შეიყვანა დარბაზში, რომლის კუთხეში⁹⁰ ოქროსირმულ ფარჩის ბალიშზე დაყრდნობილი მაჰმუდი იჯდა. შაჰმა ოთახის შუაგულისაკენ წაიწია და მიესალმა შემდეგი სიტყვებით: „სელამ ალეიქუმ!“ ავლანი წამოდგა და იმავე სიტყვებით მიესალმა, შემდეგ ეთემად ად-დოულემ შაჰი მიიყვანა მეორე კუთხემდე მაჰმუდის მარცხნივ, სადაც შაჰისათვის მომზადებული იყო ჩვეულებრივი ადგილი. დაჯდა შაჰი და ასე დაი-

⁹⁰ აქ ჯ. ჰანვეი შენიშნავს: აღმოსავლეთის ქვეყნებში კუთხე ითვლება ყველაზე საპატიო და ყველაზე მოსახერხებელ ადგილად, სადაც პიროვნებას შეუძლია ორივე მხარეზე კედელზე მიმაგრებულ ბალიშებზე დაეყრდნოს.



წყო საუბარი: „შეილო, რამდენადაც სამყაროს დიდ განმეორებელს არ სურს მე კიდევ ვიმეფო და დადგა შენთვის ტახტის, ვადაც ვიმეფო წუთი... მთელი ჩემი გულით გითმობთ იმპერიას და წარმატებით მეფობას გისურვებთ. ამასთანავე, მან მოიხსნა სამეფო ჯილა თავის ჩალმიდან და მაჰმუდის დიდვაზირს გადასცა. რამდენადაც მაჰმუდმა უარი განაცხადა მიეღო იგი დიდვაზირისაგან, შაჰი წამოდგა, გამოართვა იგი უკანვე და თვითონ მიაბნია იგი უზურპატორის ჩალმაზე შემდეგი სიტყვებით: „მშვიდობით იმეფეთ“⁹¹. ამის შემდეგ შაჰი უკანვე დაბრუნდა და დაჯდა. მაჰმუდი იჯდა, როცა ჰუსეინი მის ჩალმაზე მონარქის ნიშანს აბნევდა. შემოიტანეს ყავა და ჩაი...“⁹².

ამ ცერემონიალს ესწრებოდა ბელუჯის სარდარი მაჰმუდ ბელუჯი, რომელმაც შაჰს უთხრა: „ეს რა გვიქენი, როგორ სასირცხვილო მდგომარეობამდე მიგვიყვანე? დაემორჩილე მაჰმუდს და შენი თავიც და ჩვენც მის მონობაში ჩაგვეყარე“⁹³.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ მირ მაჰმუდისა და შაჰ ჰუსეინის შეხვედრის დროს დარბაზში იოსებ ქართველი არ ყოფილა. ალბათ, შეუძლებელიც იყო, ამ ცერემონიალს უცხოეთის საკონსულოს წარმომადგენელი დასწრებოდა. დარბაზში იქნებოდა ათიოდე კაცი, სხვები გარეთ იყვნენ და მხოლოდ მონაყოლის მიხედვით გაიგეს იმ საუბრის შესახებ, რომელიც მიმდინარეობდა შაჰსა და მირ მაჰმუდს შორის.

ისფაჰანში საფრანგეთის საკონსულოში თარჯიმნად ყოფნის დროს იოსებ ქართველის მიერ შედგენილი დოკუმენტი გარდა ზემოხსენებული „მოგონებისა“ არ ჩანს. ისფაჰანიდან პარიზში კონსულ დე გარდანის ხელმოწერით ბევრი წერილი იგზავნებოდა. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში ჩვენ ვნახეთ ეს წერილები, მაგრამ მათგან არც ერთი იოსებ ქართველის ხელით არაა დაწერილი. შევადარეთ ერთმანეთს ისფაჰანიდან იოსებ ქართველის წასვლამდე და წასვლის შემდეგ გაგზავნილი წერილებიც, მაგრამ მათში არაერთარი განსხვავება არ იგრძნობა.

ამასთანავე, ჩვენ ყურადღებით გადავთვალიერეთ ის წერილები, მოხსენებითი ბარათები და სხვა მასალა, რომლებიც დაკავშირებულია კონსულ დე გარდანისა და იოსებ ქართველის მოღვა-

⁹¹ J. H a n w a y, Op. cit., t. II, Part VII, p. 180;

⁹² Ibid.

⁹³ Ibid.



04706040
2025/01/03

20
Memoire sur la guerre finie de Perse

31 jours. 1723.

76.

Perse
1723
Janvier 31

fait par le chroniqueur
au service du R. de la
garderie Comte de France
a Bagdad. /

Les royaumes sont partagez en deux
principales Tribus, dont la plus
qui parait est celle qui habite dans
le Royaume de l'Andakar, ^{appelé} ~~de~~ ^{de} Bakong
de l'ordr Elah Abbas Roy de Perse, à
qui elle soumit, et est composée de
familles, et se nomme de royaumes d'Igi.



L'autre est celle des abbades, qui
habitent dans le Royaume d'Iharat,
et se nomme de royaumes de
deuxième Tribu, cette Tribu ayant
soumis de l'Andakar au Roy Abbas
contre les Volchis, Abas vers l'ordr
de l'Andakar, et les confiant
vers le Roy, les quils ont entré les
armes à la main dans le Royaume
d'Iharat, y faisant de grands ravages
et de l'Andakar ^{de l'Andakar} de l'Andakar à
leur retour, et de l'Andakar en pers de l'Andakar
de l'Andakar qui les
de l'Andakar de l'Andakar. Les abbades
ou de l'Andakar de l'Andakar de l'Andakar
et de l'Andakar de l'Andakar de l'Andakar
Abbas, font alliance avec luy, pour



წეობასთან ისტაჰანში, მაგრამ ვერსად ვერ შევხვდით ზმსს: (დმმკ) დასტურებულ საბუთს, რომ კონსული დე გარდანი და მით უფრო იოსებ ქართველი, სპარსეთში ყოფნის დროს, დაინტერესებულნი-ყვნენ ვახტანგ VI-ის ან სხვა ქართველთა საქმეებით სპარსეთში.

ამრიგად: დიპლომატიურ სარბიელზე იოსებ ქართველის მოღვაწეობის „უშუალოდ და ორგანულად“ დაკავშირება „საფრანგეთის დიპლომატიის საქართველოთი და ვახტანგ VI-ის ბედით დაინტერესებასთან...“, როგორც ამას წერს ვ. გაბაშვილი⁹⁴, საარქივო მასალებით არ დასტურდება. ასევე დაზუსტებას მოითხოვს აზრი იმის შესახებ, თითქოს: „...მას (იოსებ ქართველს — ი. ტ.), როგორც ქართველს და საფრანგეთის საელჩოს თანამშრომელს⁹⁵, უშუალო მონაწილეობა უნდა მიეღო ვახტანგ VI-ის მდგომარეობის გამორკვევაში...“⁹⁶

ან კიდევ: „იოსებ ქართველი, ამრიგად, ერთის მხრივ, მონაწილეობდა საფრანგეთ-ირანის მეტად მნიშვნელოვან მოლაპარაკებებში, ხოლო მეორე მხრივ, მისი უშუამავლობით გარდანს უნდა დაემყარებინა კავშირი ირანში მყოფ ქართველებთან“⁹⁷, საარქივო მასალებით არ დასტურდება.

კონსული დე გარდანი და მისი თარჯიმანი იოსებ ქართველი არ დაინტერესებულან ვახტანგ VI-ის ბედით და მით უფრო სპარსეთში მყოფი ქართველების ბედით. ასევე არ დასტურდება იოსებ ქართველის რაიმე კავშირი ვახტანგ VI-სთან და სპარსეთში იმ დროს მყოფ სხვა ქართველებთან. უფრო მეტიც, როგორც უკვე ითქვა, იოსებ ქართველმა თავის „მოგონებაში“ ყველაზე ნაკლები ადგილი დაუთმო ქართველების მოღვაწეობას სპარსეთში.

მართალია, კონსული დე გარდანი თავის ერთ-ერთ წერილში⁹⁸ მოიხსენიებს ვახტანგ VI-ს, მაგრამ ეს მხოლოდ ფრანგ მისიონერ ეან რიშართან დაკავშირებით, როდესაც ამ უკანასკნელის მიერ გადადგმულ უარყოფით ნაბიჯებს ეხება.

ასევე გვინდა შევნიშნოთ შემდეგი: მართალია, საფრანგეთ-

⁹⁴ ვ. გაბაშვილი ი, იოსებ ქართველის ვინაობისა და ..., გვ. 332—333.

⁹⁵ იოსებ ქართველი არასოდეს ყოფილა საფრანგეთის საელჩოს თანამშრომელი. საკონსულოს თარჯიმანი არც შეიძლება იყო ყოფილიყო ასეთი დიპლომატიური უფლებებით.

⁹⁶ ვ. გაბაშვილი ი, იოსებ ქართველი—XVIII საუკ. დიპლომატი, გვ. 117.

⁹⁷ იქვე, გვ. 112.

⁹⁸ Archives. Paris, «Perse», t. 5, f^o. 149; ი. ტ ა ბ ლ უ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 309—310.



სპარსეთის 1715 წლის ხელშეკრულების რატიფიკაციის მომენტზე საფრანგეთის ორივე კონსულს — დე გარდანსა და პადერის-დათ დავალებულს⁹⁹, მაგრამ დე გარდანისაგან განსხვავებით, პადერის მისია უფრო დიდი იყო: ზემოხსენებული ხელშეკრულების რატიფიკირების საკითხი შაჰის კარზე მოლაპარაკების დროს მას უნდა დაეკავშირებინა მასკატის ექსპედიციის საკითხთან, ამით დაენტერესებინა სპარსეთის შაჰის კარი და მიეღწია ამ ხელშეკრულების რატიფიკირებისათვის.

ამიტომ ვ. გაბაშვილის აზრი იმის შესახებ, თითქოს საფრანგეთი მასკატის ექსპედიციის შესახებ წინადადებას „ყოველნაირად უხვევდა გვერდს და ყურადღებას სავაჭრო ურთიერთობაზე ამახვილებდა“¹⁰⁰, დაზუსტებას მოითხოვს. საფრანგეთ-სპარსეთის 1715 წლის ხელშეკრულების რატიფიკირებას შაჰის კარზე მიაღწია არა დე გარდანმა, როგორც ეს ზოგიერთ ავტორს ჰგონია, არამედ — პადერიმ¹⁰¹;

ისფაჰანში ავლანთა წინამძღოლის მირ მაჰმუდის გაბატონების შემდეგ იოსებ ქართველი დაახლოებით 6 თვე დარჩა სპარსეთში. ზოგიერთი ცნობით იოსებ ქართველი „ისფაჰანიდან 1723 წლის ოქტომბერში წავიდა“¹⁰². ეს თარიღი ზუსტი არაა, ვინაიდან ამ დროს იოსები უკვე რეშტშია. ისფაჰანიდან იოსებ ქართველის წასვლის ზუსტ თარიღს ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ ჩვენი ვარაუდით ეს უნდა მომხდარიყო 1723 წლის აპრილს¹⁰³.

ვიდრე იოსებ ქართველის კონსტანტინოპოლში გამგზავრებაზე ვილაპარაკებდეთ, მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ერთ საკითხზე. 1723 წლის 15 იანვარს ისფაჰანში ჩავიდა თურქეთის ელჩი ნური ეფენდი, მაგრამ არა პირდაპირ კონსტანტინოპოლიდან, არამედ ბალდადიდან, ჰასან ფაშას მხრიდან „რათა მირ მაჰმუდისათვის ისფაჰანის აღება მიელოცა“. როდესაც ამ ელჩმა თავისი რწმუნების სიგელი მირ მაჰმუდს გადასცა, ამ უკანასკნელმა თქვა: „ეს ელჩი კი არა, ჯაშუშიაო“. პეტროს დი სარგის გილანენცი წერს: „ჩვენი იოსებ აბისალამიანი ჯერ კიდევ ადრე იცნობდა

⁹⁹ ი. ტ ა ბ ა ლ უ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 323.

¹⁰⁰ ვ. გაბაშვილი, იოსებ ქართველი—XVIII ს., გვ. 113.

¹⁰¹ ი. ტ ა ბ ა ლ უ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 334—335.

¹⁰² Archives. Paris, «Perse», t. 6, F^o. 151 v^o.

¹⁰³ გ. პაიჭაძის მიხედვით, იოსებ ქართველი ისფაჰანიდან გავიდა 1723 წლის მაისში. იხ. გ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრ.



ამ ელჩს¹⁰⁴. თურქეთის ამ ელჩმა ერთხელ იოსებს შეხვედრისას „მოდი, მინდა ამბავი გადმოგცე“. იოსებმა ჩაიცვა თურქული ტანი-სამოსი და მასთან მივიდა. ელჩმა მას დეტალურად გამოჰკითხა სპარსეთის ამბები. იოსები მან მეორეჯერაც მიიწვია. ჩვენი აზრით, თურქეთის ელჩთან იოსების კონტაქტები ყურადღების გარეშე არ დარჩებოდათ ავღანელებს, მით უფრო, რომ ამ ელჩს განსაკუთრებით აღევნებდნენ თვალყურს.

4 თებერვალს ავღანელებმა თურქეთის ელჩს უბრძანეს, ისფაჰანიდან წასულიყო. იგი ჰამადანში წავიდა, სადაც ხანმა საეჟეო პირად მიიხნია და 45 დღით დააკავა.

ამ დროს კონსულმა დე გარდანმა იოსებ ქართველი ჰამადანის მხარეს გაგზავნა, რათა შეემოწმებინა იმ დროს გავრცელებული ხმები—თითქოს, გადაყენებული შაჰ ჰუსეინის შვილი თამაზ-მირზა, რომელიც ადრე ყაზვინში გაიქცა, დიდძალი ლაშქრით ისფაჰანისაკენ დაიძრა¹⁰⁵. ამავე დროს იოსებს თურქეთის ელჩთან შეხვედრაც უნდა მოეხერხებინა, მაგრამ იოსებმა ჰამადანში ელჩს ვერ მიუხსრო, იგი უკვე ბაღდადში წასულიყო, ხოლო იქიდან — კონსტანტინოპოლში¹⁰⁶.

1723 წლის აპრილის დასაწყისში მირ მაჰმუდმა ბრუციანი ნასრულა-ხანი 1200 კაცით ჰამადანში გაგზავნა. აქ მას ადგილობრივი ხანი 5-ათასიანი ლაშქრით დაუხვდა, მაგრამ ვერ მოიგერია ავღანელები. 4 აპრილს ავღანელებმა ჰამადანი ააოხრეს. ამის გამო იოსებ ქართველმა ჰამადანამდე ვერ მიადგინა. გზაში მას ავღანელები თავს დაესხნენ, დაჭრეს და გაძარცვეს, იოსები იძულებული იყო, სანამ განიკურნებოდა, ისფაჰანიდან 4 დღის სავალზე, ერთ-ერთ სოფელში დარჩენილიყო. ამასთანვე, მან გაიგო, რომ იგი უკვე დაუსმენიათ მირ მაჰმუდის კარზე, რის გამოც ვერ გადაურჩებოდა ავღანელების რისხვას, თუ უკანვე, ისფაჰანში, დაბრუნდებოდა¹⁰⁷.

ამიტომ იოსებ ქართველმა „გადაწყვიტა წასულიყო თავისთან, თბილისში“¹⁰⁸. იმავე საბუთში აღნიშნულია, რომ „იოსებმა ვერ

¹⁰⁴ საგულსხმოა, რომ იოსებ ქართველი არსად არაფერს წერს ამ ელჩთან თავის შეხვედრებსა და საუბრებზე.

¹⁰⁵ Archives. Paris, «Perse», t. 6, f^o. 152.

¹⁰⁶ Ibid.

¹⁰⁷ Archives. Paris, «Perse», t. 6, F. 152. ამრიგად, 1723 წლის მარტის ბოლოდან იოსები უკვე აღარაა ისფაჰანში. ამიტომ ისფაჰანიდან იოსების გამგზავრების თარიღად 1725 წლის დასაზღვრება არ არის სწორი (იხ. მ. გ. ბ. ე. ჯ. ვ. ი. ლ. ი., დასახ. ნაშრ., გვ. 80).

¹⁰⁸ Archives. Paris, «Perse», t. 6, ff. 152—152v^o.



შესძლო ერევანში ჩასვლა (რაც მას გეგმაში ჰქონია), ვინაიდან იგი ალყაშემორტყმული იყო“. მან „გაიარა კილანი და ჩავიდა არზრუმში, საიდანაც გავიდა გასული წლის (1724 წლის.—ი. ტ.) ნოემბრის თვეში“¹⁰⁹. იგი კონსტანტინოპოლში გაემგზავრა.

აი, თურმე რამ განაპირობა იოსებ ქართველის კონსტანტინოპოლში დაბრუნება. დაზუსტებას მოითხოვს ლ. ლოკარტის ნაშრომის ის ადგილი, სადაც ნათქვამია: „...იოსებმა უარი თქვა თავის თანამდებობაზე ისფაჰანში, საფრანგეთის საკონსულოში, და დაემგზავრა ჯერ ჰამადანში, ხოლო შემდეგ რეშტში“¹¹⁰.

კონსტანტინოპოლისაიკენ მიმავალი იოსებ ქართველი რეშტში შეხვედრია სარგის გილანენცს. აი რას წერს თავის დღიურებში ამის შესახებ თვითონ ს. გილანენცი: „28 ივლისი. თბილისის მცხოვრები იოსებ აბისალამიანი, სომეხი წარმოშობით, მაგრამ კათოლიკობაში მოქცეული, უკანასკნელ ხანებში საფრანგეთის კომპანიის სამსახურში თარჯიმნად მყოფი, გაიქცა ისფაჰანიდან და ჰამადანის გავლით ჩამოვიდა რეშტში. მან მიაშო, თუ როგორ აიღეს ავღანელებმა ისფაჰანი. 1722 წელი, 18 თებერვალი. ავღანელი მოჰამედ ხანი, მირ ვეისის შვილი, 12 ათასიანი ლაშქრით ქირმანის გავლით ისფაჰანისკენ გზას დაადგა, აიღო ვარზანი, რომელიც ისფაჰანიდან 16 აგაჯიზე ანუ 80 ვერსზე მდებარეობს“¹¹¹.

ჩვენ ერთმანეთს შევადარეთ სარგის გილანენცის დღიურები და იოსებ ქართველის „მოგონება“, მაგრამ არ დაგვრჩა შთაბეჭდილება, თითქოს იოსებს სარგის გილანენცისათვის „გადაეცა უდიდესი ნაწილი მასალისა მისი დღიურებისათვის“, როგორც ამას ლ. ლოკარტი წერს¹¹². ასევე გადაჭარბებულად მიგვაჩნია ლ. ლოკარტის აზრი: „ექვს ვარეშეა, რომ გილანენცის დღიურების, განსაკუთრებით ის ნაწილი, რომელიც მან იოსების მონათხრობიდან შეადგინა, ძალზე ძვირფასი წყაროა ამ პერიოდის ისტორიისათვის“¹¹³. საინტერესოა, მაინც რა მასალაა ასეთი?

გარდა იოსებისა, სარგის გილანენცს სხვაც ბევრი ჰყავდა ისფაჰანიდან ამბის მომტანი: იოსებ სახიჯანის შვილი, რომელიც იმავე

¹⁰⁹ ეს წერილი შედგენილია 1725 წლის 27 თებერვალს.

¹¹⁰ L. Lockhart, Op. cit., p. 506.

¹¹¹ Саргис Гиланенц, Указ. соч.

¹¹² L. Lockhart, Op. cit., p. 506 ს. გილანენცის დღიურებიდან კი ჩანს, რომ იგი ძირითადად ჯ. ჰანვეის, თ. კრუსინსკისა და სხვ. ცნობებს ეყრდნობა.

¹¹³ L. Lockhart, Op. cit., p. 507



დღეს (31 ივლისს) ისტაპანიდან ჩამოვიდა გილანენცის¹¹⁴ ტოროსი, ისტაპანიდან გამოქცეული თურქები და სხვ. დაუჩქარებლად მიგვაჩნია, რომ რეშტში მცხოვრებ სარგის გილანენცს 1723 წლის აპრილამდე არ სცოდნოდა ისტაპანის ალების ამბები. ყოველ შემთხვევისათვის, იოსებ ქართველის მიერ მიწოდებული მასალების სიმრავლე სარგის გილანენცის დღიურებში არ იგრძნობა.

1723 წლის ნოემბერში (სხვა ცნობით, ოქტომბერში) იოსებ ქართველი კონსტანტინოპოლში დაბრუნდა, „სადაც მას კარგად იცნობდნენ“¹¹⁴. აქ მან კონტაქტი დაამყარა საფრანგეთის ელჩ მარკიზ დ'ანდრეზელთან. ეს უკანასკნელი წერს: „დღეს (შევხვდი) კათოლიკე სომეხს, რომელიც სპარსეთში მიმავალმა ბატონმა დე გარდანმა აქ გავლის დროს დროგმანად (თარჯიმნად. — ი. ტ.) აიყვანა“¹¹⁵.

საფრანგეთის ელჩზე იოსებს კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია. აი როგორ ახასიათებს ელჩი დ'ანდრეზელი იოსებს 1726 წლის 30 ოქტომბერს პარიზში გაგზავნილ თავის ერთ-ერთ წერილში: „ის (იოსები — ი. ტ.) დაიბადა ქართველად თბილისის ახლოს¹¹⁶. მე მასში ვპოვე გონებამახვილობა და უნარი—დიდ განათლებასთან და ბევრი ენის ცოდნასთან შეხამებული“¹¹⁷.

იოსებ ქართველს ასევე მაღალ შეფასებას აძლევს ლ.-ა. დელამი დე კლერაკი, რომელიც ხშირად ხვდებოდა მას და ლებულობდა მისგან მასალებს თავისი მომავალი წიგნისათვის — „სპარსეთის ისტორია“. იგი წერს: „...ბატონი იოსები ჩამოვიდა. ეს ქართველი, ისტაპანში ალყის შემორტყმამდე და მის დროს, საფრანგეთის საკონსულოს თარჯიმანი, ერთმანეთთან ახამებდა უმთავრესი ევროპული და აღმოსავლური ენების ცოდნას, დიდ მახსოვრობას, ცოცხალ გონებას, სამართლიანობას და საკმაოდ ფართო ერუდიციას გეოგრაფიასა და ისტორიაში. მან წარუდგინა დიდ ვეზირს თურქულად დაწერილი ზუსტი და დაწვრილებითი ანგარიში ყოველივე იმის შესახებ, რაც სპარსეთში მოხდა. მან ელჩისათვის იტალიურად შეადგინა მეორე ანგარიში და მომცა მისი ასლი—ხელით დაწერილი“.

¹¹⁴ Archives. Paris, «Turquie», t. 75, f^o. 211.
¹¹⁵ Ibid., Paris, «Perse», t. 6, f^o. 151 v^o.
¹¹⁶ Ibid., Paris, «Turquie», t. 75, f^o. 211.
¹¹⁷ Ibid.



ამ ანგარიშის შესახებ იქვე დე კლერაკი წერს: „იგი (იოსებ ბი — ი. ტ.) თითქმის ყოველდღე მოდიოდა ჩემთან, მე კი კალხით ხელში ვეკითხებოდი მას მისი ნაშრომის შესახებ. მისგან მივიღე დიდი ნაწილი იმ ცნობებისა და მასალა საკითხებისა, რომლებიც ჩემი განზრახვის განსახორციელებლად აუცილებლად მჭირდებოდა“¹¹⁸.

იოსებ ქართველის ნიჭისა და უნარის ასეთი მაღალი შეფასების მიუხედავად, ისფაპანიდან კონსტანტინოპოლში დაბრუნებული იოსები უმუშევარი დარჩა. ჩვენ არ ვიცით, თუ რა საბუთებს ეყრდნობა ლ. ლოკარტი, როცა წერს: „კონსტანტინოპოლში ჩასვლისას, თუ ცოტა მოგვიანებით, იგი (იოსები — ი. ტ.) სამუშაოდ აიყვანეს საფრანგეთის საელჩოში“¹¹⁹.

უმუშევრად დარჩენილი იოსებ ქართველი თავს ირჩენდა იმ ინფორმაციების საფასურით, რომლებსაც აწვდიდა საფრანგეთის საელჩოსა და თურქეთის ხელისუფალთ. არსებობს კონსტანტინოპოლში საფრანგეთის საელჩოს რეგისტრები, სადაც აღნიშნულია თანხა — გაცემული იოსებ ქართველის სახელზე ამა თუ იმ ინფორმაციისათვის, რასაც იგი საელჩოს აწვდიდა.

1726 წლის 30 ოქტომბერს პარიზში გაგზავნილ წერილში ელჩი დ'ანდრეზელი წერდა: „თითქმის ორი წელია, რაც ხსენებული იოსები, სპარსეთში საფრანგეთის კონსულის ბატონ დე გარდანის ყოფილი თარჯიმანი, დაბრუნდა ამ ქვეყანაში... ადრე მქონდა პატივი თქვენთვის მიმეწოდებინა ინფორმაცია იმ ამბების შესახებ, რომლებიც შეეძლო მიმელო მისგან ისფაპანიდან მისი დაბრუნების შემდეგ, 1723 წლის ბოლოს“¹²⁰.

1725 წლის აპრილში „პორტას მოწვევით“¹²¹ კონსტანტინოპოლში ჩავიდა ქართველთა კათალიკოსი დომენტი. იმავე წლის 15 ივლისს ელჩი დ'ანდრეზელი პარიზს აცნობებდა: „დიდმა ვეზირმა გაგზავნა კაბიჯი ბაში (ყაფუჯი ბაში — მეკარეთუხუცესი—ი. ტ.) საქართველოს პატრიარქთან, ვახტანგ მირზას ძმასთან, უკვე ექვსი დღეა, რაც ეს პატრიარქი ჩამოვიდა, დაბინავდა პორტში სომხების უბანში და ამყარებს კავშირ-ურთიერთობას კონსტანტინოპოლში. მთელი მისი ამაღლა შედგება 50-ზე მეტი კაცისაგან, უმეტესად სა-

¹¹⁸ L.—A. de la Mamy de Clairac, Op. cit., t. I, p. VI.
¹¹⁹ L. Lockhart, Op. cit., p. 507.
¹²⁰ Archives. Paris, «Turquie», t. 75, f^o. 211.
¹²¹ Ibid.



სასულიერო პირებისაგან, მათ შორის სამი მიტროპოლიტი¹²². დიდ-
მა ვეზირმა მას თარჯიმანი, ალა და იანიჩარები მიუჩინა. ის (დო-
მენტი — ი. ტ.) ნათესავია კათოლიკე არქიეპისკოპოსისა¹²³, რო-
მელიც რომში იყო და უკვე სამი თუ ოთხი წელია, რაც საფრან-
გეთში გაიარა¹²³...

უფრო მოგვიანებით დიდი ვეზირის განკარგულებით იოსებ
ქართველი თარჯიმნად მიუმავრებიათ დომენტი კათალიკოსისა-
თვის. „ამ ვითარებაში—მოახსენებდა პარიზს ელჩი დ'ანდრეზე-
ლი, — მე ვისარგებლე და ვგებულობდი ყოველივეს, რაზედაც ის
(იოსები — ი. ტ.) უარს არ მეუბნებოდა და რაც თქვენ უკვე
იცით“¹²⁴.

ელჩი დ'ანდრეზელი უჩივის იმას, რომ მას ასეთი საქმეებისა-
თვის საერთოდ ცოტა თანხა აქვს და ის მცირე გასამრჯელო,
რომელსაც იოსებ ქართველს აძლევდა, არ იყო საკმარისი იოსების
ნორმალური ცხოვრებისათვის, ვინაიდან მას არ ჰქონდა მუდმივი
სამსახური¹²⁵. ელჩი მაინც კმაყოფილია იოსებ ქართველისა და
მიუთითებს: „მიუხედავად მცირე გასამრჯელოსი, ის (იოსები —
ი. ტ.) საკმაოდ კარგად მემსახურებოდა“¹²⁶.

ელჩი დ'ანდრეზელის 1725 წლის 5 აგვისტოს წერილში ნათ-
ქვამია: „ბატონი იოსები, რომელიც ცნობილი და დაფასებული
იყო პორტას თარჯიმნის მიერ, ამ უკანასკნელმა თავის მხრივ და-
ნიშნა, საქართველოს პატრიარქის ჩამოსვლისთანავე, ხსენებულ
პატრიარქის თარჯიმნად. ის (იოსები — ი. ტ.) არის ქართველი და
ეს შეუქმნის მას ხელსაყრელ პირობებს, რათა იპოვოს საშუალება
დაბრუნდეს თავის ქვეყანაში საპატიო თანამდებობით. რამდენადაც
მე ვეხმარებოდი უკვე ხუთი თვეა, რაც ის უმუშევარია, ველოდე-
ბი მისგან მადლობას. როცა ის თბილისში დაბრუნდება, ჩემთვის
კარგი ინფორმატორი იქნება, რათა ვიყო საქმის კურსში იმის შე-
სახებ, რაც იმ მხარეში მოხდება“¹²⁷.

¹²² იგულისხმება სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც 1714 წლის იანვარ-
ივნისში ჯერ საფრანგეთში იყო, ხოლო შემდეგ: ივლის-აგვისტოში—რო-
მში და ბოლოს, კონსტანტინოპოლში (1715 წ. იანვარი—1716 წ. მაისი).

¹²³ Archives. Paris, «Turquie», t. 75, f. 212.

¹²⁴ Ibid.

¹²⁵ Ibid.

¹²⁶ Ibid.

¹²⁷ Ibid.



მაგრამ, როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, დომენტი კათალიკოსი და იოსებ ქართველი „ვერ მორიგდნენ, თუმცა იოსებნი ერთიდაიმავე ერის წარმომადგენლები იყვნენ“ — წერს ელჩი დ'ანდრეზელი¹²⁸. ამრიგად, იოსებ ქართველი უკვე აღარაა თარჯიმნად დომენტი კათალიკოსთან.

ჩვენ არა გვგონია, რომ დომენტი კათალიკოსსა და იოსებ ქართველს შორის ცუდი ურთიერთობის საფუძველი მხოლოდ იოსების ფრანგული ორიენტაცია („საფრანგეთი სჯობს ამასო“) ყოფილიყო. გამოდის, რომ იოსებ ქართველი, თურქეთის ხელისუფლებზე დამოკიდებული, მის დედაქალაქში ანტითურქულ აგიტაციას ეწევა საფრანგეთის სასარგებლოდ. ეს ძნელი დასაჯერებელია. ჩვენი აზრით, დომენტი კათალიკოსს და იესე ტლაშაძეს უფრო სხვა მხარე არ მოსწონდათ იოსებ ქართველისა. ისინი მას საერთოდ არ ენდობოდნენ. ამ შემთხვევაში იესე ტლაშაძის სიტყვები იოსების მიმართ ბევრი რამის მთქმელია. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია იოსების ტლაშაძისეული დახასიათება უფრო ვრცლად მოვიტანოთ:

„ერთი ეშმაკი აგვიტყდა, ბატონსა იქ შეადგა რა, მალე შეუტყვეთ, მაშინვე ჩვენ გავაგდევით ის გარა. მაგრამ ეშმაკი თან ახლავს, უსარსარებდა კვდითა. ეშმაკი ეუბნებოდა: „საფრანგეთი სჯობს ამასო“ ... სულ ტყუის... გაფრანგდა მამა ამისი, იყო ქალაქის ნაცვალი, გააგდეს მოქალაქეთა, დაუწიავეს ნაცარი, და იმის შვილი იოსება—სუ ეშმაკია, რაც არი. შემოეტყუა ბატონსა სიტყვა და სიტყვა მრავალი, თარჯიმნობასა ჩემობდა, იყო აჭა-იქ მავალი, ამა დაგვჩხუბა კარზედა, აგვალებინა რა ვალი, იმან დაგვაშართა, რაც რამე გადაგხვდა გადასავალი. ღმერთმა დაგვიხსნა იმასგან, ... ეშმაკი გაჩინაურდა, დაეცა მეხი მასცაო, პალურის ცემით გავაგდე, ავად მივეპყარ მეცაო, ვნანობ და რაღას ვუშველი, ნეტამცა ბევრი მეცაო“¹²⁹.

მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩავარდნილი იოსებ ქართველი დაუკავშირდა კონსტანტინოპოლში საფრანგეთის საელჩოს თანამშრომელს დ'ალიონს, „რომელმაც იოსები შეიფარა და თავისთან აქმევდა.“ „ამ დროიდან, — წერს ელჩი დ'ანდრეზელი, —

¹²⁸ Ibid.

¹²⁹ ახ. ი. ე. ს. ე. ტ. ლ. ა. შ. ა. ძ. ე., ბაქარაიანი, თბ., 1962, გვ. 45—46.



ბატონმა იოსებმა ძალიან შეამცირა ინფორმაციის მოწოდებასა და საკითხებზე, რაზეც ესაუბრებოდა ბატონ დ'ალიონს... მოხელეებს... ამიტომ თავი შევიკავე, გადამეხადა ფული ახალი ამბების ამ მომტანისათვის¹³⁰.

ამის შემდეგ, იოსებ ქართველი დ'ალიონთან ერთად ბელგრადში გაემგზავრა, თუმცა დ'ალიონი „მას არაფერს უხდიდა“¹³¹. ასევე ცნობილი გახდა, რომ იოსებ ქართველი ხშირად ხედებოდა კონსტანტინოპოლში ავსტრიის ელჩს დირლინგს¹³².

ამ დროს გარდაიცვალა კონსტანტინოპოლში მოსკოვის რეზიდენტის მეორე თარჯიმანი. იოსებ ქართველმა მოახერხა ამ პოსტის დაკავება. „მე არაფერი ვიცოდი ამის შესახებ, — წერს ელჩი დ'ანდრეზელი, — როცა ბატონმა დ'ალიონმა წარმომიდგინა ის (იოსები—ი. ტ.) ზემოხსენებული თანამდებობით, რამაც მეტად გამაკვირვა როგორც წარმომდგენის, ისე წარმოდგენილის მხრიდან“¹³³. „მაგრამ, — განაგრძობს ელჩი, — მალე გავიგე მისი უბედურების ამბავი მანამდე, ვიდრე შეუდგებოდა თავისი მოვალეობის შესრულებას...“¹³⁴.

საქმე ის იყო, რომ თურქეთის ხელისუფლებამ ნება არ დაართო იოსებ ქართველს, შესულიყო რუსეთის რეზიდენტის სამსახურში. მოვიგონოთ, რომ თავის დროზე თურქეთის ხელისუფლებამ იოსებს ნება დაართო, რომ საფრანგეთის კონსულს დე გარდანს ისტაბანში თარჯიმნად გაჰყოლოდა.

ახლა იოსებმა მიმართა კიიას¹³⁵, მოახსენა მოსკოვის რეზიდენტის სურვილი მის თარჯიმნად აყვანის თაობაზე და სთხოვა შუამდგომლობა დიდი ვეზირის წინაშე, „რათა ნება დაერთოთ იოსებისათვის, დაეკავებინა მოსკოვის რეზიდენტის თარჯიმნის ადგილი კონსტანტინოპოლში“¹³⁶.

ხსენებულმა კიიამ დაავალა პორტას თარჯიმანს, „ეკითხა თავისი ძმის — მოლდავეთის უფლისწულისათვის: ხომ არ იქნებოდა

¹³⁰ Archives. Paris, «Turquie», f. 212. ელჩი დ'ანდრეზელის მიერ იოსებისადმი გაცემული თანხები აღნიშნულია 1725 წლის იენის-ოქტომბრის საღწის რეგისტრებში.

¹³¹ Archives. Paris, «Turquie», t. 75, f. 212 v°.

¹³² Ibid.

¹³³ Ibid., f.

¹³⁴ Ibid.

¹³⁵ „კიია“ — „ქეპა“ (თურქულიდან: «kâhya» — მმართველი, მამასახლისი).

¹³⁶ Archives. Paris, «Turquie», t. 75, f. 213 v°.

პორტას ინტერესების საწინააღმდეგო, რომ ხსენებულ იოსებს ვაშაყვიძლეს
 სახურა რუსებთან¹³⁷. მოლდავეთის უფლისწულმა თავის ძმასთან
 თარჯიმანს, უპასუხა, რომ „იოსები დიდი ბატონის
 ქეთის სულთანის — ი. ტ.) კარგი თანამშრომელია“, რომ მან კარ-
 გად იცის სპარსეთისა და პორტას მდგომარეობა, მათი ძალები,
 სპარსეთის მმართველობის მდგომარეობა, რაც აღწერილია „ანგა-
 რიშში“, რომელიც პორტამ იოსებისგან მიიღო“¹³⁸ და, რომ „იოსე-
 ბი არანაკლებად ერკვევა ოტომანის ძალებში. გარდა ამისა, ხსენე-
 ზულმა იოსებმა იმოგზაურა ქრისტიანულ სამყაროში“. ყოველივე
 ამის შემდეგ „დაუშვებელია მოსკოვის სახელმწიფოს ემსახურე-
 ბოდეს ამდენი ამბების მცოდნე ადამიანი“. და, ბოლოს, მოლდავე-
 თის უფლისწული თავის ძმას ურჩევდა? „თვითონ კიიიას ემსჯე-
 ლა ამ საკითხზე“.

შემდეგ საბუთში ნათქვამია: „პორტამ იოსები საქართველოს
 პატრიარქს მიამაგრა, მაგრამ ისინი ვერ მორიგდნენ... მოსკოვის
 რეზიდენტი არ უნდა განაწყენდეს იოსებისადმი დროგმანზე უა-
 რის თქმით, რამდენადაც საქართველო იმყოფება დიდი ბატონის
 მორჩილებაში¹³⁹ და ხსენებული იოსები მისი ქვეშევრდომია. იო-
 სები ევროპელიც რომ იყოს, პორტას მაინც ექნება უფლება
 უარი თქვას მისთვის მოსკოველებთან სამსახურზე იმიტომ,
 რომ მოსკოველები არ სარგებლობენ იმავე პრივილეგიებით, რი-
 თაც სხვა ერების წარმომადგენლები, რომლებსაც შეუძლიათ გა-
 მოიყენონ დიდი ბატონის ქვეშევრდომები თარჯიმნებად. დაე, მათ
 თავიანთი ერების წარმომადგენლები გამოიყენონ“¹⁴⁰.

ასე უშედეგოდ დამთავრდა იოსებ ქართველის ცდა, დაეკავე-
 ბინა ოფიციალური თანამდებობა განსაზღვრული ხელფასით, რა-
 თა ნორმალურად ეცხოვრა. მალე შეწყდა საფრანგეთის საელჩოს-
 თან იოსების ურთიერთობა. მან დაკარგა ის მცირედი შემოსავა-
 ლიც¹⁴¹, რომელსაც ინფორმაციების მიწოდების გზით საფრანგე-
 თის ელჩისაგან ღებულობდა. ორი ბატონის მსახური იოსები ამიერ-
 რიდან, ალბათ, მარტო ერთი ბატონის — პორტას მსახურად დარ-
 ჩა. თუმცა არც ისაა ცნობილი, ამიერიდან მას პორტა ენდობოდა
 თუ არა.

137 Ibid.

138 იგულისხმება იოსების მიერ დიდი ვეზირისადმი თურქულ ენაზე წარდ-
 გენილი „ანგარიში“ სპარსეთის ამბებზე.

139 ამ დროს თბილისში თურქები იყვნენ გაბატონებული.

140 Archives. Paris, «Turquie», t. 75, ff. 213v^o—214v^o.

ელჩი დ'ანდრეზელი პარიზს ატყობინებდა: „მე თავიდანვე ვთვალე აუცილებლად, ამეკრძალა მისთვის (იოსებისათვის — ი. ტ.) საელჩოში მოსულიყო. იმიტომ, რომ მან მიმანიშნა — ის შეიძლება სისარგებლო ყოფილიყო მეფისათვის (საფრანგეთის მეფისათვის — ი. ტ.), თუ ის მოსკოვის რეზიდენტის სამსახურში შეედგოდა. მაგრამ მე ვუთხარი, რომ მან ეს მოგვიანებით შემომთავაზა მაშინ, როდესაც თავიდანვე უნდა შეეტყობინებინა ჩემთვის, თუ რა წინადადებები მისცეს (მოსკოველებმა) მას და, რომ ის არავითარ ვალდებულებას არ აიღებდა მოსკოველების წინაშე, ვიდრე მე არ შემითანხმებდა... რამდენადაც მას არ შეეძლო გარკვეული მხარდაჭერის გარეშე არსებობა“¹⁴¹.

უფრო საინტერესოა და საგულისხმო ელჩი დ'ანდრეზელის ამ წერილის ბოლო ნაწილი, სადაც ის თავის მინისტრს არწმუნებს, რომ მას არასოდეს არაფერი წამოსცდენია იოსებ ქართველთან საუბარში ისეთი, რომლის გამოყენებაც ამ უკანასკნელს შეეძლო. „გავბედავ დაგარწმუნოთ, მოწყალეო ხელმწიფე, რომ მე არაფერი მითქვამს ხსენებული იოსებისათვის ისეთი, რომლიდანაც მას რაიმე სარგებლობის გამოტანა შეეძლო...“¹⁴².

ალბათ, ზოგიერთ ამ მასალებს იცნობდა მ. ბროსე და იმიტომ მიიჩნია იოსებ ქართველი საფრანგეთის საელჩოს მსტორად¹⁴³. ჩვენ კი დავძენთ: იოსებ ქართველი ემსახურებოდა საფრანგეთის საელჩოსაც და პორტასაც. ამ სამსახურისათვის ორივესგან გასამრჩელოს ლებულობდა. ბოლოს მან გადაწყვიტა მესამე ბატონის მსახურიც გამხდარიყო, მაგრამ ეს გეგმა მას პორტამ ჩაუშალა.

ახლა იოსებ ქართველის მოხსენებით ბარათებზე.

როგორც უკვე ითქვა, ისფაჰანში ყოფნის დროს იოსებ ქართველმა მხოლოდ ერთი „მოგონება“ შეადგინა. ეს „მოგონება“ თავისთვის, შავად დაწერილს, უფრო ჰგავს (მრავალჯერ წაშლილია და გადასწორებული). ჩანს, ეს „მოგონება“ იოსებს არსად გაუგზავნია. კონსტანტინოპოლში დაბრუნების შემდეგ იოსებმა იგი გამოიყენა თურქეთის დიდი ვეზირისათვის „ანგარიშის“ წარსადგენად და საფრანგეთის საელჩოსათვის მოხსენებითი ბარათის გადასაცემად. ეს უკანასკნელი ძირითადად საფუძვლად დაედო იმ „მოხ-

¹⁴¹ Archives, Paris, „Turquie“, t. 75, f. 215.

¹⁴² Ibid.

¹⁴³ Ibid.



სენებით ბარათს“, რომელიც ელჩმა დ'ანდრეზელმა სპარსეთის ამბების შესახებ პარიზში გაგზავნა. ამ უკანასკნელის სრული სახელია: „მოხსენებითი ბარათი სპარსეთის უკანასკნელი რევოლუციის შესახებ 1724 წლის ბოლომდე. ბატონ დ'ანდრეზელის 1725 წლის 8 აგვისტოს წერილი“¹⁴⁴.

პარიზში გაგზავნილი ამ „მოხსენებითი ბარათის“ შინაარსი 1723 წლის იანვრამდე იოსებ ქართველის „მოგონებას“ ემთხვევა, თუმცა არის ზოგიერთი სხვაობა ციფრებსა და მოვლენების აღწერაში, მასალების დალაგებასა და კონკრეტულობაში, მაგრამ ეს, ალბათ, სხვადასხვა ინფორმაციების შედეგია. ცხადია, კონსტანტინოპოლში საფრანგეთის საელჩოს გარდა იოსების „მოხსენებითი ბარათისა“ სხვა ინფორმაციებიც ჰქონდა სპარსეთიდან. სხვას რომ თავი დავანებოთ, ისტაპანში საფრანგეთის საკონსულოდან განუწყვეტლივ მოდიოდა წერილები და კონსულის მოხსენებითი ბარათები.

საელჩოს მიერ პარიზში გაგზავნილი „მოხსენებითი ბარათი“ იოსების დაწერილი არაა. იგი შერულებულია ლამაზი კალიგრაფიით და კარგი ფრანგული ენით. „მოხსენებითი ბარათი“ ხელმოუწერელია. ეს გასაგებებია, ვინაიდან მას ახლავს წერილი ელჩი დ'ანდრეზელის ხელმოწერით.

ამ „მოხსენებით ბარათში“ ერთ ადგილას მოხსენიებულია იოსებ ქართველი და იქვე მარცხენა ველზე მიწერილია: „ეს ის არის, ვინც მოგვცა ცნობები, რომლის საფუძველზეც ეს ანგარიში დაიწერა“¹⁴⁵.

ფრანგ ლ. — ა. დე ლა მამი დე კლერაკს თავის „სპარსეთის ისტორიაში“ გამოუყენებია იოსებ ქართველისაგან მიღებული მასალა. გარდა ამისა, მამი დე კლერაკს თავის „სპარსეთის ისტორიაში“ გამოუყენებელი აქვს ასამდე ნაშრომი, რომელთაგან 47 ხელნაწერია (გამოქვეყნებული) და ყველა ისინი ეხება იმ პერიოდს, რომელიც აღწერილია იოსებ ქართველის „მოგონებაში“, „ანგარიშში“ და პარიზში გაგზავნილ „მოხსენებით ბარათში“¹⁴⁶. ამასთან-

¹⁴⁴ Mémoire sur la dernière Revolution de Persejusques à la fin de l'année 1724. Avec la lettre de Mr. d'Andrezel du 8 Aoust 1725. Archives. Paris, «Perse», t. 6, ff. 341—370.

¹⁴⁵ Ibid., f^o. 357 v^o.

¹⁴⁶ დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: Lettere di Giuseppe Frescurati Veronese, Chirurgo Maggiore del Principe di Giorgia Kai Cosurof Kan, Generalissimo etc. scritte da Farrà, nelli confini del Corassan, li 29 Novembre 1710,

ე, იმ დროისათვის, როდესაც მამი დე კლერაკი თავის წიგნში მუ-
შაობდა, უკვე გამოქვეყნებული იყო თავდუშ კრუსინსკის წიგნი

იმ მასალებიდან, რომლებიც მამი დე კლერაკმა იოსებ ქარ-
თველისაგან გამოიყენა, პირველად დასახელებულია მასალა თურ-
ქეთსა და სპარსეთს შორის არსებული რელიგიური სხვაობის შე-
სახებზე¹⁴⁸. მეორე — ეს არის იოსების ახსნა-განმარტებები, მიცემუ-
ლი მამი დე კლერაკისადმი, რომელიც ამ უკანასკნელს თავის წიგნ-
ში მითითებული აქვს „შენიშვნის“ სახით¹⁴⁹.

მესამე და მეოთხე — ესაა იტალიურ ენაზე შედგენილი „ან-
გარიში“, რომელიც ორ ნაწილს შეიცავს¹⁵⁰. ეს არის იოსებ ქარ-
თველის მიერ თურქეთის დიდი ვეზირისადმი თურქულ ენაზე
წარდგენილი „ანგარიშის“ იტალიური ვარიანტი. „ანგარიშის“ ეს
იტალიური ტექსტი იოსებს გაუკეთებია ელჩი დ'ანდრეზელის, მი-
ნისტრის¹⁵¹ მდივნის ტომასისა და დე ვილნოვისათვის (მისი ერთი
ასლი იოსებს მამი დე კლერაკისათვის გადაუცია), მაგრამ შემდ-
გომში იოსების ეს „ანგარიში“ სალონიკში საფრანგეთის კონსუ-
ლის ხელში მოხვედრილა, ამ უკანასკნელს კი იმ პერიოდში კონს-
ტანტინოპოლში საფრანგეთის საქმეების რწმუნებულის დე ფონ-
ტენიუსს განკარგულებით¹⁵² 1728 წელს მამი დე კლერაკისათვის
გადაუცია¹⁵³.

et primo Jenaro 1711; Relation de la dernière revolution de Perse, par Mus-
tafa—Effendi, traduite du Turc et enrichie de notes sous les yeux de cet Au-
teur, par M. d'Allion; Relation de ce qui c'est passé la dernière guerre de Per-
se, pendant les années 1722, 1723, 1724 et 1725, par le R. P. Reynal, Missi-
onnaire de la Compagnie de Jesus en Syrie, avec des notes le M. Joseph; Som-
maire des principaux événemens arrivés en Perse depuis le mois d'Octobre
1724 jusqu'au mois d'Avril 1727 etc.

¹⁴⁷ Th. K r u s i n s k i, Op. cit.

¹⁴⁸ Mémoire sur la difference du rit entre les Turcs et les Persans. ჩვენი
აზრით, ეს დიდი ნაშრომი არ იქნებოდა. შესაძლებელია, ის იყო იმის მსგავსი,
როგორსაც ჩვენ აქ ვათავსებთ: იხ. აქვე, № 6—„დამატება მოხსენებისადმი. 1723
წლის თებერვალი“.

¹⁴⁹ Notes de M. Joseph. ეს, ალბათ, იოსების მონაყოლისაგან შედგენილი
ცნობებია, რომლის ჩანაწერი თვითონ მამი დე კლერაკმა თავისთვის გააკეთა.

¹⁵⁰ Rellazione della Rivoluzione di Persia, composta dal Signor Gius-
eppe Giorgiano, Interprete del Consola di Francia a Ispahan; Rellazione del-
la Rivoluzione di Persia, seconda parte, composta dal medesimo Autore.

¹⁵¹ „მინისტრი“ აქ დიპლომატიური რანგია. ალბათ, ელჩის მოადგილე.

¹⁵² ამ დროს ელჩი დ'ანდრეზელი აღარაა ცოცხალი.

¹⁵³ L.— A. de la Mamy de Clairac, Op. cit., t. I, p-
IV. ჩვენ დღემდე ვერ შევკვლიეთ იოსების იტალიურ ენაზე შედგენილ „ანგა-



დიდი ვეზირისადმი იოსების მიერ წარდგენილი „ანგარიშის“ — „არეულობა სპარსეთში XVIII საუკუნის დასაწყისში“ — ასლი ინახება გლაზგოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში. ხელნაწერი აღწერა და მოკლე შინაარსი გამოაქვეყნა ინგლისელმა პროფესორმა ტ. ჰ. ვეირმა¹⁵⁴.

შემდეგი ხელნაწერები, რომლებიც ჩვენ გვაქვს, ეს არის „თურქული სამახსოვრო ბარათის თარგმანი ფრანგულად სპარსეთში მომხდარი რევოლუციის წარმოშობის შესახებ“¹⁵⁵; ლ. ა. დე ბურბონის წერილი და ავღანებთან სპარსელების ბრძოლის აღწერა¹⁵⁶; „დამატება ცნობისადმი“¹⁵⁷; 1724 წელს შედგენილი ანგარიში¹⁵⁸; კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩის დ'ანდრეზელის 1725 წლის 27 თებერვლის წერილი¹⁵⁹; იმავე ელჩის 1726 წლის 30 ოქტომბრის წერილი¹⁶⁰; გლაზგოს უნივერსიტეტის ჰანტერის ბიბლიოთეკაში შემონახული იოსებ ქართველის „ანგარიშის“ თურქული ხელნაწერის პროფ. ტ. ჰ. ვეირის ინგლისურად თარგმანი¹⁶¹; იოსებ ქართველის „ანგარიში“ თურქულად, წარდგენილი ოსმალეთის იმპერიის დიდი ვეზირისადმი¹⁶² და იოსებ ქართველის ამ უკანასკნელი „ანგარიშის“ ასლი თურქულ ენაზე, შემონახული გლაზგოს უნივერსიტეტის ჰანტერის ბიბლიოთეკაში¹⁶³.

რისა. როგორც ვხედავთ, ამ „ანგარიშის“ ტექსტებს საბოლოო ჯამში თავი მოუყრია მამი დე კლერაკთან. ასე რომ, ეს ტექსტები არ დარჩენილა საელჩოს არქივში. ალბათ, ამიტომ არ ჩანან ისინი საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში კონსტანტინოპოლში საფრანგეთის საელჩოს იმ დროის საარქივო მასალებს შორის. თუმცა, რამდენადაც ხელთ გვაქვს იოსების „მოგონება“, თურქულ ენაზე შედგენილი „ანგარიში“ და საელჩოს მიერ პარიზში გავაზავნილი „მოხსენებითი ბარათი“, ალბათ, იტალიურ ენაზე შედგენილი „ანგარიში“ ახალს არაფერს მოგვცემდა. ერთი რამ საინტერესოა: რატომ დაწერა იოსებმა ფრანგებისათვის ეს „ანგარიში“ იტალიურად? იმიტომ ზომ არაა, რომ მან იტალიური უკეთ იცოდა, ვიდრე ფრანგული?

¹⁵⁴ T. H. Weir, The Revolution in Persia, ... Cambridge, 1922. იხ. ასევე, ი. ტაბაღლიანი, გლაზგოს უნივერსიტეტში შემონახული ერთი ხელნაწერის შესახებ, „მაცნე“, ენისა და ლიტ. სერია, 1979, № 3.

- ¹⁵⁵ იხ. აქვე, საბუთი № 5. თარგმანი ფრანგულიდან.
- ¹⁵⁶ იხ. აქვე საბუთი № 6. თარგმანი ფრანგულიდან.
- ¹⁵⁷ იხ. აქვე საბუთი № 7. თარგმანი ფრანგულიდან.
- ¹⁵⁸ იხ. აქვე საბუთი № 8. თარგმანი ლათინურიდან.
- ¹⁵⁹ იხ. აქვე საბუთი № 2. თარგმანი ფრანგულიდან.
- ¹⁶⁰ იხ. აქვე საბუთი № 9. თარგმანი ფრანგულიდან.
- ¹⁶¹ იხ. აქვე საბუთი № 10. თარგმანი ინგლისურიდან.
- ¹⁶² იხ. აქვე საბუთი № 11. თარგმანი თურქულიდან.
- ¹⁶³ იხ. აქვე საბუთი № 12. თარგმანი თურქულიდან.



vers a l'origine a la lettre June f
 formidable armee de 100000 Cavaliers
 y echant entre, un meurtre par sang
 et de la; ^{qui est un grand malheur} et de la; ^{qui est un grand malheur}
 La legule qui ^{est un grand malheur} ^{qui est un grand malheur}
 est occasion de l'entre trois differents
 que voyez d'armes d'Indes pour
 pour des Princes Indes, que les Indes
 au rit couroye au dessus de la d'Inde
 la quelle fut enfin contraincte de se
 rendre a discretion. La gainstou
 l'Inde fut peuplee par le fil de
 l'Inde; mais les habitants firent tout
 avec d'Indes. Le Roy eut le fil de
 d'Indes pour le maintien de cette
 nouvelle conquete ^{qui est un grand malheur}
 d'Indes ^{qui est un grand malheur} ^{qui est un grand malheur}
 d'Indes ^{qui est un grand malheur} ^{qui est un grand malheur}
 le cours de cette conquete; au lieu
 leur accordabil d'Indes franchises
 et beaucoup d'autres privileges
 considerables; et enfin il remporta
 un triumphe a l'Inde.

L'indes ^{qui est un grand malheur} des Indes
 Perses, ^{qui est un grand malheur} ^{qui est un grand malheur}
 d'Indes ^{qui est un grand malheur} ^{qui est un grand malheur}
 de l'Inde, l'Inde l'Inde sur le l'Inde
 d'Indes ^{qui est un grand malheur} ^{qui est un grand malheur}
 d'Indes ^{qui est un grand malheur} ^{qui est un grand malheur}
 d'Indes ^{qui est un grand malheur} ^{qui est un grand malheur}

ამრიგად, იოსებ ქართველის მიერ შედგენილი „მოგონებები“¹⁶⁴ „ანგარიშები“ დაწერილია ფრანგულ, თურქულ და იტალიურ ენებზე. ქართულად მას „ანგარიში“ არ დაუწერია. ინგლისელი ლ. ლოკარტის სიტყვები იმის შესახებ, თითქოს ელჩი დ'ანდრეზელის 1725 წლის 15 ოქტომბრის წერილში ნათქვამი იყოს: „... მე მგონია ეს იოსები არის ავტორი ქართული და იტალიური ანგარიშისა თანამედროვე ამბებზე, რომლებსაც ასე ხშირად მოიხსენიებს მამა კრუსინსკი“¹⁶⁴, დაზუსტებას მოითხოვს. ელჩი დ'ანდრეზელის შემოხსენებულ წერილში ამის მსგავსი არაფერია ნათქვამი¹⁶⁵. გარდა ამისა, სად ლაპარაკობს თადეუშ კრუსინსკი იოსებ ქართველზე „ასე ხშირად“?

ზოგიერთი ავტორი იოსებ ქართველის „თხზულებას“ (არ ვიცი, რომელს) უდარებს სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“-ს და ამ უკანასკნელზე მაღლაც აყენებს. ამ ავტორებს იოსებ ქართველის ნაშრომები არ უნახავთ. ისინი მათ იცნობენ მხოლოდ მამი დე კლერაკის, ტ. პ. ვეირისა და სხვ. მიხედვით.

პროფ. ვ. გაბაშვილი წერს: სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ მნიშვნელობით შეიძლება გაუტოლდეს იოსებ ქართველის თხზულებას¹⁶⁶. იგივე აზრს იმეორებს მ. გობეჯიშვილი. იგი წერს: „ვ. გაბაშვილის აზრით, სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება, მეფეთა“ მნიშვნელობით შეიძლება გაუტოლდეს იოსებ ქართველის თხზულებას, რომელსაც ჩვენ ჯერჯერობით ფრანგი ისტორიკოსის მამი-კლერაკის, პროფ. ტ. პ. ვეირის და პროფ. დ. ლენგის ნაშრომების შემწეობით ვიცნობთ და რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი აღებული ხანის ბრძანის ამბები“¹⁶⁷.

„დაწვრილებითაა აღწერილი“ — მეტად მაღალი შეფასებაა ნაშრომისა უშუალოდ მისი გაცნობის გარეშე. ამასთანვე, ინგლისელი პროფესორი ტ. პ. ვეირი, რომელმაც თარგმნა იოსებ ქართველის მიერ თურქულად შედგენილი და გლაზგოს უნივერსიტეტის

¹⁶⁴ L. Lockhart, Op. cit., p. 509.

¹⁶⁵ Archives. Paris, «Turquie», t. 71, ff. 188—192 v°. დაზუსტებას მოითხოვს ასევე აზრი იმის შესახებ, რომ, თითქოს „იოსები თხზულებებს წერდა ქართულ ენაზე“ (იხ. ვ. გაბაშვილი, იოსებ ქართველი — XVIII ს. დიპლომატი, გვ. 334) და თითქოს „იოსებმა თავისი თხზულებანი ე. წ. „სპარსეთის რევოლუციის შესახებ შეადგინა ქართულ... ენაზე“ (იხ. თ. ნატროშვილი, მასერიუს მალრებაძე, გვ. 313).

¹⁶⁶ ვ. გაბაშვილი, იოსებ ქართველი—XVIII ს. დიპლომატი, გვ. 129.

¹⁶⁷ მ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 80.



ბიბლიოთეკაში შემონახული „ანგარიში“, წერს: „ხელნაწერი მოხდა — თვით-
ტად შორსაა იმისაგან, რაზედაც ის პრეტენზიას აცხადებს — თვით-
მხილველის მონათხრობი. იოსები მოწმეა მხოლოდ იმ მოვლენები-
სა, რომლებიც ყაზვინსა და ისფაჰანში მოხდა“¹⁶⁸. ბოლოს, პროფ.
ტ. ჰ. ვეირი დაასკვნის: „საბოლოოდ რომ შევაჯამოთ, გლახგოს
ხელნაწერს არა აქვს დიდი პრეტენზია იყოს პირველადი წყარო იმ
ამბებისა, რომელსაც იგი მოგვითხრობს...“¹⁶⁹ ზოგიერთმა ისტორი-
კოსმა ტ. ჰ. ვეირის ეს ფრაზა პირიქით გაიგო — თითქოს ტ. ჰ. ვე-
ირი პირველწყაროდ თვლიდეს იოსებ ქართველის ამ „ანგარიშს“.

დიდ გაუგებრობად მიგვაჩნია ისიც, რომ, თითქოს, იოსებ
ქართველი „დიდ დახმარებას უწევდა პოლონელ თადეუშ კრუსინს-
კის“. სად არის ამის დამადასტურებელი საბუთი? თადეუშ კრუ-
სინსკიმ დაახლოებით 20 წელი გაატარა სპარსეთში, იოსებ ქარ-
თველმა — დაახლოებით 6 წელი. თადეუშ კრუსინსკის განათლება
აკლდა, თუ ენების ცოდნა? იგი თავისი მდგომარეობით უფრო მალ-
ლა იდგა, ვიდრე იოსები — დე გარდანის თარჯიმანი. გარდა სამი-
სიონერო მოღვაწეობისა, თ. კრუსინსკის სხვა სახელმწიფოების
დავალებითაც კი უხდებოდა წარდგენა შაჰის კარზე. თ. კრუსინ-
სკი იოსების ჩასვლამდე იყო სპარსეთში და მისი იქიდან წასვლის
შემდეგაც დარჩა იქ. იმ დროის სპარსეთის ამბები, საქართველოს-
თან დაკავშირებული საკითხები ვრცლადაა აღწერილი მის სქელ-
ტანიან წიგნში.

თ. კრუსინსკისა და იოსებ ქართველის ურთიერთობის საკით-
ხი პროფ. ტ. ჰ. ვეირიდან მოდის, მაგრამ იქ არაა ნათქვამი, რომ
იოსები კრუსინსკის ეხმარებოდა. პროფ. ტ. ჰ. ვეირი წერს: „ჯონას
ჰანვეი ამტკიცებს, რომ თავისი მონათხრობებისათვის დავალებ-
ულია მამა კრუსინსკისაგან. მაგრამ ჰანვეი ისე ახლოსაა სიტყვე-
ბითა და ფრაზებით ლა მამი კლერაკთან, როდესაც ეს უკანასკნე-
ლი ეყრდნობა იოსებს, რომ ალბათ, კიდევ უფრო ახლო კავშირი
უნდა ყოფილიყო კრუსინსკისა და იოსებს შორის“¹⁷⁰.

ჯერ-ერთი, ეს პროფ. ტ. ჰ. ვეირის ვარაუდია. მეორე, თ. კრუ-
სინსკის წიგნი გამოვიდა 1740 წელს, ჯ. ჰანვეის — 1753 წელს.
ჯ. ჰანვეიმ ისარგებლა თ. კრუსინსკის წიგნით და მიუთითა კიდევაც.
ლა მამი დე კლერაკის წიგნი გამოვიდა 1750 წელს. მასაც შეეძლო

¹⁶⁸ T. H. Weir, Op. cit., p. 492.

¹⁶⁹ Ibid;

¹⁷⁰ Ibid.



ესარგებლა თ. კრუსინსკის წიგნით. აი, სწორედ ამიტომ ემყარება
 ერთმანეთს ჯ. ჰანვეისა და ლა მამი დე კლერაკის ფაქტების სწავლა
 თის არეულობის პერიოდისა, ხოლო თ. კრუსინსკი და იოსებ ქარ-
 თველი ხშირად ლაპარაკობენ ერთიდაიმავე ფაქტებზე, თუმცა სხვა-
 დასხვანაირად აღწერენ მათ. თ. კრუსინსკი მხოლოდ რამდენჯერმე
 მიუთითებს იოსების თურქულ „ანგარიშზე“.

ასეთია ჩვენი აზრი იოსებ ქართველის ნაშრომების შესახებ.
 ახლა კი მკითხველს ვთავაზობთ იოსებ ქართველის ნაშრო-
 მებს და წინამდებარე წიგნში მოხსენებულ სხვა მასალებს.

№ 1

კიდევ ერთი სამახსოვრო ბარათი სპარსეთში მომხდარი რევოლუციის შესახებ¹.

სამახსოვრო ბარათი სპარსეთში უყანასკ-
ნელი სამოქალაქო ომის შესახებ; 1723 წლის
31 იანვარი².

სპარსეთი, 1723 წლის 31 იანვარი³.

შედგენილია ისფაჰანში საფრანგეთის კონსულის ბატონ დე ლა
გარდანის კანცლერის ანუ მდივნის მიერ⁴.

75⁵

ავღანები გაყოფილი არიან ორ ძირითად ტომად. ამ ორ ტომს შორის უფრო ძლიერია ის, რომელიც ყანდაჰარის სამეფოში ცხოვრობს. ეს ტომი სპარსეთის ხელმწიფის — შაჰ აბას დიდის დროს⁶ (რომელსაც ის ემორჩილებოდა) 50 ათასი⁷ ოჯახისაგან შედგებოდა და ავღანელი კლივი ეწოდებოდა⁸.

მეორე — აბდალების ტომად წოდებული, რომელიც ცხოვრობს ჰერათის სამეფოში, შედგება 3 ათასი ოჯახისაგან⁹.

გასული საუკუნის დასაწყისში¹⁰ ამ ტომმა შაჰ აბასს დახმარება სთხოვა უზბეკების წინააღმდეგ, რომლებიც განლაგებული იყე-

¹ მიწერილია სხვა ხელით.

² მიწერილია სხვა ხელით.

³ მიწერილია სხვა ხელით.

⁴ მიწერილია თვითონ იოსების ხელით. საბუთებში იოსები ყველგან იხსენიება მხოლოდ თარჯიმნად.

⁵ აღბათ, საბუთის რიგითი ნომერია.

⁶ შაჰ აბას დიდი—შაჰ აბას I (1587—1629).

⁷ ჯ. ჰანვეის მიხედვით: არა ნაკლები 50 ათასი ოჯახი.

⁸ ამ დროისათვის დასავლეთ ავღანეთის ტერიტორიაზე ცნობილია ორი ტომის არსებობა: დიდზაი და აბდალი (დურანი).

⁹ ჯ. ჰანვეის მიხედვით: 30 ათასი.

¹⁰ იგულისხმება XVII საუკუნე.



ნენ კასპიის ზღვის აღმოსავლეთით და მას ჩრდილოეთით <sup>ეს გან-
გარკვეული</sup> ლერებოდნენ. ისინი შეიჭრნენ იარაღით ხელში ჰერათის სადელო ^{საქართველო}
და დიდი ზარალი მიაყენეს მას¹¹. ეს უფლისწული¹² მის დასახმა-
რებლად სასწრაფოდ მოვიდა, მოკლე ხანში განდევნა მისი მტრე-
ბი, რომლებიც ამ ტომს სასოწარკვეთილებაში აგდებდნენ.

აბღალაებმა გამოხატეს რა შაჰის მიმართ მაღლიერება აღმო-
ჩენილი სამსახურისათვის, მოხიბლულებმა შაჰინშაჰის — აბასის,
კარგი დამოკიდებულებით შეკრეს მასთან კავშირი საზეიმო ვალ-
დებულებით: გადაუხადონ მას ყოველწლიურად განსაზღვრული
თანხა, მაგრამ იმ პირობით, რომ სპარსეთის სამეფო კარს არასო-
დეს არ შეეძლო, იქ სპარსელი გუბერნატორი გაეგზავნა. პირიქით,
მას ამ სამეფოში უნდა დაენიშნა ვიცე-შაჰის ადგილზე ყველაზე
უფრო გამოჩენილი პიროვნება თვით აბღალაების ტომიდან. რო-
დესაც ორივე მხრიდან ეს შეთანხმება დადასტურდა, შაჰი — შაჰ
აბასი, დიდებით მოსილი თავის დედაქალაქში დაბრუნდა.

ავღანელთა კლივის ტომმა გაიგო რა იმის შესახებ, რაც ეს-
გს არის შაჰ აბასმა აბღალაების სასარგებლოდ გააკეთა, თავის
მხრივ გადაწყვიტა გადაეგდო ინდოელების უღელი, რომლებიც
მაშინ ყანდაჰარის ბატონ-პატრონი იყვნენ. ეს მტარვალეები ძლიერ
ტანჯავდნენ ამ ხალხს. მათ თავიანთ შორის ყველაზე გამჭირაბი
გაგზავნეს სპარსეთის შაჰის კარზე, რათა შეეთავაზებინათ მისი
უდიდებულესობისათვის ყანდაჰარის სამეფო და მოეწვიათ მისი
მფლობელობის უზრუნველსაყოფად. იმდენად ვრცელი სამეფოს,
როგორც ყანდაჰარი იყო, მნიშვნელოვანი თავისი გამაგრებული
ადგილებით, შეერთების დიდებითა და მომავალში მისი სარგებ-
ლობით გატაცებულმა შაჰ აბასმა, დეპუტაციას აღმოუჩინა რა კე-
თილგანწყობილი მიღება, გადაწყვიტა დაეწყო ყანდაჰარის დაპ-
ყრობა.

ასი ათასიანი შესანიშნავი ცხენოსანთა არმიის სათავეში მყო-
ფი (შაჰ აბასი) ამ სამეფოსკენ გაემართა, შეიჭრა რა იქ, დაიწყო
მთელი ქვეყნის აოხრება, ხოლო შემდეგ ალყა შემოარტყა დედა-
ქალაქს¹³ და სამი თვის განმავლობაში, რაც ალყა გრძელდებოდა,
შაჰს ჰქონდა შესაძლებლობა გაენადგურებინა ინდოელთა დიდი

¹¹ იოსებ ქართველის ამ „მოგონებს“ აბსად სჭოლიო არა აქვს. სჭოლიო ყველ-
გან ჩვენ გვეკუთვნის.

¹² ალბათ შაჰ აბასი.

¹³ იგულისხმება ყანდაჰარი.



არმიის სამი სხვადასხვა კორპუსი მემკვიდრე უფლისწულების მე-
თაურობით. ისინი დიდმა მოგოლმა გაგზავნა ადგილების გასამაგ-
ოებლად, მაგრამ ბოლოსდაბოლოს იძულებულნი გახდნენ, გამარ-
ჯებულის წყალობას დამორჩილებოდნენ. ინდოელთა გარნიზონი
ამოხოცეს, მაგრამ მცხოვრებლებს რბილად მოექცნენ.

შაჰ აბასმა მიიღო ზომები ამ ახალი გამარჯვებების შესანარ-
ჩუნებლად, რადგანაც იგი დავალებული იყო ავღანებისაგან რო-
გორც იმისათვის, რომ მათ იგი იქ მიიწვიეს, ისევე მთელი ამ ლაშ-
ქრობის განმავლობაში სამსახურის აღმოჩენისათვის. ამიტომ მან
მათ მისცა სხვადასხვა შეღავათები, მრავალი მნიშვნელოვანი პრი-
ვილეგია და ბოლოს ტრიუმფით დაბრუნდა ისფაჰანში.

გაუმაძღარი სიხარბე სპარსელი გუბერნატორებისა, რომლე-
ბიც მართავდნენ ყანდაპარს სპარსეთის ტახტზე შაჰ სულთან ჰუ-
სეინის ასვლამდე¹⁴, ამ ქვეყნის მცხოვრებლებისათვის იმდენად სა-
ზიზღარი გახდა, რომ როგორც კი დადგა ეს საუკუნე¹⁵, მათ გადა-
წყვიტეს შეთქმულება და აჯანყებაც კი, რომ გაედევნათ სპარსელ-
თა გარნიზონი ყანდაპარიდან.

სურდა რა დაეშოშინებინა მემამბოხეები და დაესაჯა მათი
მეთაურები, შაჰმა თვალყური მიაპყრო გურგინ ხანს, სხვანაირად
შაჰ ნავაზად წოდებულს, ეროვნებით ქართველს, მამაც ჯარისკაცსა
და ნიჭიერ მხედართმთავარს, რომელსაც მან გაუგზავნა ბრძანებუ-
ლება, დაეტოვებინა ქირმანის პროვინციის გუბერნატორობა და
როგორც სპარსელთა 20 ათასიანი და ქართველთა 4 ათასიანი ლაშ-
ქრის მეთაური, ვიცე-შაჰის თანამდებობაზე ყანდაპარში გამგზავ-
რებულიყო.

ამ ახალი გუბერნატორის დანიშვნით გაოცებულ ავღანებს,
რომლებმაც ამ პიროვნების მხოლოდ დიდი სიმამაცე და სიმკაცრე
ეცოდნენ, არც კი უფიქრიათ სამეფოში მისი შემოსვლისათვის წი-
ნააღმდეგობა გაეწიათ და გაუხსნეს მაშინვე დედაქალაქის—ყან-
დაპარის კარები.

გურგინ ხანი მკაცრად გაუსწორდა დამნაშავეებს, რომელთა
შორის უმთავრესნი სიკვდილით დასაჯა. მას შემდეგ, რაც მან აღ-
გილზე განალაგა სპარსელთა შესაბამისი გარნიზონი, უკანვე დააბ-
რუნა დანარჩენი ნაწილები, დატოვა თავისივე ჩამოყვანილი 4
ათასი ქართველისაგან შემდგარი რაზმი მოძრავი ბანაკის სახით. მირ

¹⁴ შაჰ სულთან ჰუსეინი ტახტზე 1694 წელს ავიდა.

¹⁵ იგულისხმება X^VIII საუკუნე.



ვეისის მიმართ, რომელიც ამბობებულთა მთავარი მეთაურის გურგინ ხანი დაკმაყოფილდა იმით, რომ მას ბორკილები დაადო და ისფაჰანში გაგზავნა. ამასთანვე მისწერა შაჰს, რომ საჭიროა მირ ვეისის მოშორება, როგორც ცუდი განზრახვების, მოუსვენარი გონებისა და ძლიერი ადამიანისა, რომელსაც უნარი შესწევს დროთა განმავლობაში რამდენიმე საბედისწერო დარტყმა მიაყენოს მონარქიას.

გენერალმა ნება დართო თავის ჯარისკაცებს გამოეყენებინათ ყოველგვარი ძალადობა და უღირსად მოქცეოდნენ მოსახლეობას. საშინელი წარმოსადგენია ყოველივე ის, რისი გადატანაც ავლანელებს მოუხდათ: მამები და დედები აღარ იყვნენ თავიანთი ქალიშვილებისა და ვაჟების პატრონი ისევე, როგორც ქმრები თავიანთი ცოლებისა, ვაჭრები თავიანთი ქონებისა და ფულების. მოსახლეობას სიცოცხლის იმედი აღარ ჰქონდა. ისინი ასეთ მონობაში იყვნენ ისფაჰანიდან მირ ვეისის დაბრუნებამდე.

ნაწილობრივ თავისი ენამქვერობით, ხოლო ნაწილობრივ 600 ათასი ეკიუს¹⁶ ღირებულების მდიდარი საჩუქრებით მირ ვეისმა ისფაჰანში წარმატება მოიპოვა. შაჰის კარის ნარირი¹⁷, ანუ ინტენდანტი, და ობერჰერმაისტერი¹⁸ — ერთიც და მეორეც, მონარქის ფავორიტები და გურგინ ხანის მტრები იყვნენ. მათი საშუალებით მირ ვეისმა ისე კარგად მოაწყო (თავისი საქმე), რომ არა მარტო გამოუშვეს საპყრობილედან და უდანაშაულო კაცად გამოაცხადეს, არამედ მან შესძლო შაჰის კარზე გურგინ-ხანი საეჭვო პიროვნებად დაეხატა, წარმოედგინა იგი, როგორც მეტად პატივმოყვარე და ძლიერი ადამიანი, რომელიც მზადაა ყოველმხრივ ბროტად გამოიყენოს ის დიდი ხელისუფლება, რაც მას მისცეს. ბოლოს მირ ვეისმა დატოვა შაჰის კარი და აღჭურვილი საიდუმლო განკარგულებებითაც კი კვლავ ყანდაპარისაკენ გაემართა: თვალყური ედევნებინა შაჰის ნაცვლის მოქმედებისათვის.

ამრიგად, ყანდაპარში დაბრუნების შემდეგ მირ ვეისი მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ შეენიღბა თავისი სიძულვილი ხანის მიმართ, ფარავდა თავის ცუდ ზრახვებს მორჩილებისა და მლიქვნელობის საფარქვეშ. მოსყიდვის მიზნით გულუხვად უძღვნიდა მდიდრულ საჩუქრებს მათ, რომლებსაც უფრო მეტად უსმენდა

¹⁶ ჯ. პანვეი წერს: „30 ათასი თუმანი (75 ათასი გირვანქა სტერლინგი).“

¹⁷ შემდგომში მან ეთემად აღ-დოულეს (პირველი მინისტრის) პოსტი დაიკავა.

¹⁸ ნადირობის გამრიგე.



ქართული
ენების
სამეცნიერო
ცენტრი

გურგენ-ხანი და, რომლებიც შემდგომში რეალურად დატყვევდნენ ბოდნენ და წარმატებით გაუკაფავდნენ გზას მისი მოწყალებისაკენ. ამით მან მოხერხებულად მოიპოვა ხანის ნდობა. იგი მოქმედებდა იმდენად დაბეჯითებით, გატაცებით, ცბიერად, რომ გურგენ ხანი დარწმუნდა—უკვე აღარ მყავს უფრო თავდადებული მეგობარი, ვიდრე მირ ვეისიაო.

მირ ვეისი ფრთხილად მოქმედებდა, რათა ხანი დაეღუპა. ამისათვის მან ისარგებლა შემდეგი შემთხვევით: ტირინის მცხოვრებლებმა, რომლებიც წარმოშობით ყანდაპირიდან იყვნენ, არ მოისურვეს სამეფო ხაზინისათვის გადაეხადათ ჩვეულებრივი გადასახადი (იმ საფუძველზე, რომელზეც ეს-ეს არის შეუთანხმდნენ შაჰის ნაცვალს). მირ ვეისმა ისე დაიჭირა თავი, თითქოს მეტად აღშფოთებული იყო ხანის ბრძანებისადმი ტირინელების ურჩობით და დაარწმუნა გურგენ-ხანი, გაეგზავნა ქართველთა მოძრავი კორპუსი მათს დასასჯელად და ჭკუის სასწავლებლად; ყველაზე უფრო დამნაშავენი კი სიკვდილით დაესაჯათ. ამ თავდადებული დამოკიდებულების გამოვლინებით მირ ვეისმა ხანის დიდ ნდობას, მის კეთილგანწყობილებასაც კი მიიღწია.

მირ ვეისმა გურგენ-ხანის პატივსაცემად გამართა დიდი ნადიმი კარვებში თავის სოფელთან ახლოს, 1,5 ლიეზე ქალაქიდან, იმ ორი წარჩინებული ავღანის ხანთან შემორიგების საბაბით, რომლებიც ამ დრომდე ჯიუტად განზე იდგნენ.

ამრიგად, გამგზავრების დღეს ცნობილი ავღანი ბატონებისა და, კერძოდ, მირ ვეისის თანხლებით, რათა გიორგისათვის ეჩვენებინათ მთელი ამალის ყურადღება, გიორგი შეჯდა ცხენზე, დაახლოებით დილის 7 საათზე და წარჩინებულთა ამალასთან ერთად გაემართა ნადიმისათვის განკუთვნილი ადგილისაკენ. გიორგი მასთან დაახლოებულ პირთა და მირ ვეისის თხოვნისამებრ დანიშნულ ადგილას მივიდა. აუწყა რა გიორგის მირ ვეისმა ორ ზემოხსენებული ავღანის კეთილგანწყობილება, მაშინვე გააწყეს მშვენიერი, დიდად მორთული სუფრა, სადაც თანაბრად იქცევა ყურადღებას ულუფებს გემოვნება და ღვინოებისა თუ შარბათების სიუხველხინის ბოლოს თანამოსაუბრეებმა იგრძნეს, რომ თავი ნამეტნავად გაუხურდათ და გადაწყვიტეს წასულიყვნენ სხვადასხვა კარვებში, რათა იქ დაეძინათ სმის შემდეგ. როგორც კი ჩაეძინათ, (ავღანები) გაემართნენ მათკენ, რათა ყველასთვის ყელი გამოეჭრათ. ხანსაც ეწვია იგივე ბედი, რაც მისიანებს — გამოელვიდა თუ არა ხმაურზე, სტაცა ხელი ხმალს, რათა მამაცურად დაეცვა თავი მირ

ვეისის მეთაურობით მის წინააღმდეგ მომხდური 50 ავლანისაგან¹⁹ რვა მაშინვე დააწვინა მიწაზე, მაგრამ ბოლოს სძლია კაცთა სიმრავლემ და შუბებით განგმირული, ავლანთა გაათრების მსხვერპლად გიორგი დაეცა.

ავლანელები მაშინვე გამოეწყენენ მათ მიერვე დაზოცილი სპარსელი ოფიცრების ტანისამოსში. მირ ვეისმა კი გადაიკვა ხანის ტანსაცმელი, შეჯდა მისსავე ცხენზე და ყველა ერთად გაემართა ქალაქისაკენ იმავე წესით, რომლითაც ხანი ჩვეულებრივად ხალხში გამოდიოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ წინა ღამის პირველ საათზე მირ ვეისმა საიდუმლოდ იმ მდინარის საშუალებით, რომელიც ქალაქს შუაზე ჩაუდის, ნავეებით ქალაქში შეიყვანა დიდი რაოდენობით შეთქმულების მონაწილეები. ამბოხებულები ქალაქს მიუახლოვდნენ ღამის პირველ საათზე¹⁹, ხოლო ალაყაფის კარების დამცველები, რომლებიც სეირნობიდან დაბრუნებულ ხანს ელოდებოდნენ, მათ შეხვდნენ ფარნებით, რათა გზა გაენათებინათ. ამბოხებულებმა ისინი მაშინვე ნაკუწ-ნაკუწად აქციეს, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ქალაქში შევიდნენ და გაძარცვეს სპარსელთა გარნიზონი.

ამბოხებულთა მომხრეებმა, რომლებიც, როგორც ზემონათქვამიდან ჩანს, წინაღობით მდინარის საშუალებით ქალაქში შეიყვანეს, პირველ ხმაურისთანავე მოირბინეს და ხელი შეუწყვეს სპარსელთა გარნიზონის სრულ-ამოწყვეტას. ამის შემდეგ მირ ვეისმა მაუწყებლის საშუალებით მაშინვე გამოაცხადა იმის შესახებ, რომ ყველას, ვინც არ უნდა ყოფილიყო, ეკრძალებოდა ამ ღამით სახლიდან გამოსვლა, ხოლო მეორე დღეს გასცა განკარგულება, რათა ქალაქის დიდებულები წარსდგომოდნენ მას. მირ ვეისმა მათ წინაშე ყურანზე დაიფიცა, რომ ის, რაც მან ეს-ეს არის გააკეთა, არ არის პატივმოყვარეობის გრძნობების ბატონობის შედეგი, არამედ, უფრო მეტად, იმ თავდადებულობის გამოვლინებაა, რომელმაც აღუძრა მას სურვილი გაეთავისუფლებინა თავისი სამშობლო და თანამემამულეები სპარსელების ტირანიისა და იმ აუტანელი სიმკაცრისაგან. რისგანაც ისინი იტანჯებოდნენ ასე დიდი ხნის განმავლობაში აუგად მოსაგონებელი გურგინ ხანისაგან, ვინც ამასთანვე, სამართლიანად მიაჩნდათ ერთადერთ უნარიან მინისტრად და საუკეთესო მხედართმთავრად სპარსეთის მონარქიაში. ამრიგად, გიორგი

¹⁹ სხვა ავტორების ცნობებით, ქალაქში შეღამებისას შევიდნენ.



ალარ არსებობს. მათ თამამად შეუძლიათ ხელში აიღონ და დაიცივან თავიანთი თავისუფლება, თავიანთი სიცოცხლე მიერი თავდასხმის დროს სპარსეთის შაჰის კარის მხრიდან. ეს სამეფო კარი სხვა არაფერია, თუ არა მხოლოდ განებივრებულ ადამიანთა ხროვა, რომელთა ერთადერთი მიდრეკილებაა ავხორცობა, გარყვნილება, როგორც ამაში თვითონ (მირ ვეისი — ი. ტ.) დარწმუნდა ისფაჰანში უკანასკნელი მოვზაურობის დროს. სწორედ ამ მიზნით მათ გადაწყვიტეს მოესპოთ გურგინ-ხანი, რომლის სიკვდილის შემდეგ მას უკვე უფლება აქვს დაარწმუნოს ისინი (ავლანეზი — ი. ტ.), რომ ამიერიდან ვერცერთი სპარსელი ვერ იქნება ამ სამეფოს მმართველი. მაგრამ იგი — მირ ვეისი, უნდა იყოს დარწმუნებული თავის მხრივ თავისი თანამემამულეების თავდადებასა და გადამწყვეტ მოქმედებაში, რომ მხარს დაუჭერენ მას საჭირო შემთხვევაში სპარსელთა ძალადობისა და უსამართლობის წინააღმდეგ. ყველა დამსწრე ამ სიტყვებს ტაშით შეხვდა, უწოდებდნენ რა მას სამშობლოს განმათავისუფლებელს და სთხოვდნენ განეგრძო დაწყებული საქმე და დაეცვა ისინი ტირანიისაგან, სამაგიეროდ თვითონ ჰპირდებოდნენ მზალყოფნას, თავიანთი თავი და თავიანთი საკუთრება სრულად დაემორჩილებინათ მისთვის.

აქამდე მირ ვეისი დაკვებული იყო მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებით, რათა სამეფოს თავდაცვის საშუალება ჰქონოდა.

გიორგის მკვლელობის დიდი ამბებიდან სამი დღის შემდეგ ქართველები, ვაგზავნილნი ტირინის ტომების წინააღმდეგ, დაბრუნდნენ ამ საბრძოლო ექსპედიციიდან ნადავლითა და ნაძარცვით დატვირთულნი. მათ არაფერი იცოდნენ მომხდარ ტრაგიკულ ამბავზე, მიემართებოდნენ ქალაქში შესასვლელად. მაგრამ რაკი მათ ზარბაზნების სროლით შეხვდნენ, მიხვდნენ, რა შეიძლებოდა მომხდარიყო და გადაწყვიტეს დაბრუნებულიყვნენ თავის ქვეყანაში. მირ ვეისს, რომელიც მათ მისდევდა 12 ათასი კაცით, სხვადასხვა შეჯახებების დროს გაუნადგურეს მნიშვნელოვანი ძალები და აიძულეს გაქცეულიყო, ბოლოს ქართველები ყოველგვარი დანაკარგის გარეშე მივიდნენ ზებილის ხეობაში მდებარე ციხესიმაგრემდე (მდებარეობს ზორასნის მხრიდან ყანდაჰარის სამეფოში შესასვლელთან). ალყის შემორტყმით შეშინებულმა მირ ვეისმა მათ თავი მიანება, ზოლო ქართველები თავის ქვეყანაში დაბრუნდნენ.

ამ დარტყმამ სპარსეთის შაჰის კარი განაცვიფრა. იმ დღეს, როდესაც შაჰის მონაწილეობით დიდი საბჭო შედგა, გადაწყდა,

რომ მისი უდიდებულესობა თვითონ ჩაუდგება სათავეში დიდ არ-
მიას, რათა დასაჯოს და დააშოშმინოს ამბოხებულები. ისინი
ფაშანიდან გავიდნენ 1707 წელს²⁰ და გაემართნენ ხორასნის
ენციის დიდი ქალაქის — მისი დედაქალაქის მეშხედისაკენ, რომ-
ელიც ისფაჰანიდან 25 დღის სავალზე მდებარეობს. ეს მოხდა მას
შემდეგ, რაც პროვინციების გუბერნატორებს ბრძანებულებებით
აცნობეს, რათა მათ თავიანთი ჯარები გაეგზავნათ სხვა ძალებთან
გასაერთიანებლად მეშხედში, სადაც უნდა მომხდარიყო საერთო
დათვალიერება მხედრიონისა, რომელიც ყანდაპარის ამბოხებულ-
თა საწინააღმდეგოდ იბრძოლებდა.

შაჰი ჩავიდა მეშხედში, დიდი კმაყოფილებით ინახულა იმამ
რეზას საფლავი (თაყვანსაცემი ადგილი, სადაც სპარსელები ჩვე-
ულების მიხედვით მიდიან და სწირავენ იქ ძვირფასეულობას: ბრი-
ლიანტს, ოქროს... ყველაფერს, რაც მათ გააჩნიათ ყველაზე ძვირ-
ფასი. ამის გამო ეს ადგილი მეტად მდიდარია) და დაბრუნდა თავის
დედაქალაქში.

შაჰმა თავისი ჯარების გენერალისიმუსად გამოაცხადა ისფაჰა-
ნის გუბერნატორი — გურგინ-ხანის ძმისწული ქაიხოსრო-ხანი და
უბრძანა შური ეძია თავისი ბიძის მოკვლის გამო. ქაიხოსრო-ხანი
საჯაროდ აღიარებდა კათოლიკურ სარწმუნოებას და მუდამ თან
ახლდა სამი ევროპელი მღვდელი: ერთი ფრანგი, ფეხშიშველთა
ორდენის წარმომადგენელი — მამა ბასილი პარიზელი და ორი-
იტალიელი კაპუჩინი: მამა რეჯინალდო და მამა ამბროჯო მილანე-
ლი. ყოველდღე ქაიხოსრო რეგულარულად ისმენდა სამჯერ ლოცვას,
აძლევდა დიდ მოწყალებას — ათას ეკიუს: თბილისის, თავრიზის,
ჯანჯის, გორის, ისფაჰანის, სევასის ყოველ მისიონს. ერთი სიტყ-
ვით, იყო სამაგალითო ღვთისმოსავი და მორწმუნე უფლისწული.
იგი ჩავიდა მეშხედში, სადაც მას დახვდა 40-ათასიანი არმია, რომ-
ლის სათავეშიც (შაჰმა — ი. ტ.) დააყენა, და ყანდაპარისაკენ დაიძ-
რა.

გაიგეს თუ არა შაჰის წამოსვლის შესახებ, ავღანები შიშმა შეიპყ-
რო. მეტად სუსტნი იყვნენ და რა ძალები უნდა მიემართათ
ძლიერი მონარქის წინააღმდეგ? მათ არა მარტო დატოვეს ყანდაპა-
რი, არამედ სამეფოს სხვა ადგილებიც, შიშით შეპყრობილები გაი-
ხიზნენ მთებში ინდოეთის საზღვრებისაკენ, გადამალეს თავიან-
თი ოჯახები და ქონება (მოგოლის) მოსაზღვრე ადგილებში. მაგრამ

²⁰ აქ გაუყებრობაა: გიორგი ამ დროს ცოცხალია.



როცა გაიგეს, რომ შაპი ისევ თავის დედაქალაქში მიბრუნდა, ეს მოულოდნელი ცვლილება მიაწერეს სპარსელების სისუსტეს. რუნდნენ თავიანთ ადგილებში იმ სრული გადაწყვეტილებით, რათა თავი დაეცვათ ახალი სარდრის ყოველგვარი მოქმედებისაგან.

შევიდა თავისი ჯარებით (ქაიხოსრო) ზებილის ხეობაში, დაინახა, რომ ავღანებმა, რომლებსაც არ ჰყავდათ კავალერია და ალყის შემორტყმის ემინოდათ, მიატოვეს ეს ადგილები, 3 ლიეთი უკან დაიხიეს და გადავიდნენ დიდი მდინარის მეორე ნაპირზე. მათ ეს გააკეთეს იმ განზრახვით, რათა შეეჩერებინათ ამ გადასასვლელზე სპარსელები, მაგრამ ისინი შეავიწროვა მოწინააღმდეგის კავალერიამ, რომელიც მდინარეზე ფონით გადავიდა, და საბოლოოდ აიძულა ისინი (ავღანები—ი. ტ.) გაქცეულიყვნენ.

ამ პირველი წარმატებით აღფრთოვანებული სპარსელები ყანდაპარს მიადგნენ. მათ არ ისურვეს მიეღოთ კაპიტულაცია ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან, რომლებსაც უნდოდათ ქალაქი მოწინააღმდეგისათვის გადაეცათ. სპარსელები ალყაშემორტყმულები-საგან მოითხოვდნენ, რათა უსიტყვოდ ჩაბარებოდნენ გამარჯვებულთ. ყოველი მხრიდან გარშემორტყმული ავღანები დიდი სიმამაცით განუწყვეტლივ იგერიებდნენ შეტაკებებს.

ამასობაში მირ ვეისი ყოველდღიურად აძლიერებდა თავის ლაშქარს და აოხრებდა ირგვლივ მდებარე სოფლებს, რათა მოესპო მოწინააღმდეგისათვის ყოველგვარი საკვები და აეძულებინა იგი ალყა მოეხსნა პროდუქტებისა და ფურაეის უქონლობის გამო. ეს მან დროულად მოიფიქრა — პროდუქტების ნაკლებობით და დიდი ზნის ალყით თავმობეზრებულმა სპარსელებმა დაიწყეს დეზერტირობა. ბოლოს ლაშქრის რიცხვი შემცირდა სამჯერ ალყის დასაწყისთან შედარებით.

სარდარმა (ქაიხოსრომ — ი. ტ.) მიიღო თავისიანების რჩევა, უკან დაეხია, მაგრამ ეს მან ვერ შესძლო დროზე გაეკეთებინა: ახლა მირ ვეისმა მოიყვანა 16 ათასი რეკრუტი და ადგილზე გაუმართა ბრძოლა სპარსელებს. მათ მაშინვე მოკურცხლეს, არ მიაქციეს ყურადღება დაბეჯითებით ბრძანებებს თავიანთი სარდრისა, რომელიც ტყუილად ცდილობდა შეეჩერებინა ისინი. ამიტომ ამდენი დამცირებით შერცხვენილი ქაიხოსრო თავის გარშემო მყოფი 200 ქართველით შეიჭრა მოწინააღმდეგის მთავარ ძალებში, გამოიჩინა სასწაულებრივი ღირსება და მამაცობა, ვიდრე ბოლოს ბედისწერამ არ დაიმორჩილა — ვიღაცამ რკინის კომბალით თავი



წააცალა. ნაკუწ-ნაკუწად აქციეს ყველა მეომარი, რომელთაც მათმა მამამ ბასილი პარიზელი — ფეხშიშველი კარმელიტი, ვაპუჩინმა მამებმა კი თავს გაქცევით უშველეს.

ამ მნიშვნელოვანი ზარალის შემდეგ სპარსეთის შაჰმა დანიშნა სხვა სარდარი, სახელად მეჰმედ რუსტან-ხანი²¹, რომელმაც ძლივს შესძლო დაეცვა სამეფოს საზღვრები ავღანებისა და უზბეკების გაერთიანებული შემოსევისაგან.

ამ დროს მირ ვეისი გარდაიცვალა, რამაც გამოიწვია საყოველთაო გლოვა იმ დამსახურების გამო, რომელიც მან აღმოუჩინა სამშობლოს, გაათავისუფლა რა იგი სპარსელთა მძიმე მონობისაგან. მან დატოვა შვილი, სახელად მირ მაჰმუდი, მაგრამ, რამდენადაც იგი მხოლოდ 18 წლის იყო, მამის მხრიდან მირ ვეისის ძმამ — მირ აბდულაჰმა ხელში აიღო ყანდაჰარის მმართველობა.

ამბობენ, რომ ყანდაჰარში მთავრად ყოფნის უზრუნველყოფნის მიზნით, მიუხედავად მისი ძმისწულის — ახალგაზრდა მირ მაჰმუდის წინააღმდეგობისა, განზრახული ჰქონდა ყანდაჰარში ხელისუფლება სპარსელებისათვის გადაეცა. მაგრამ მან ვერ შესძლო ამის განხორციელება, ვინაიდან ერთხელ, ნაშუადღევს, მირ მაჰმუდი თავისი მამის მაგალითის მიხედვით გარდაცვლილი მამამისის 40 სანდო მეგობრის თანხლებით შეიარაღებული შევიდა სასახლეში, შეიჭრა ბინაში, სადაც ბიძამდისი ისვენებდა, და თავისივე ლოგინში მოკლა.

ამრიგად, მირ მაჰმუდმა აიღო ხელში მმართველობის საჭეები. მას შემდეგ, რაც მან აიძულა (თავისი მოწინააღმდეგეები) ელიარზბინათ იგი ქვეყნის მბრძანებელ დიდ სულთანად, მიზნად დაისახა, გაეცა სასარგებლო განკარგულებები ქვეყნის მმართველობის დარგში, ხოლო ხალხს მოჰპრობოდა მეტად კეთილად. თავისი უშიშროების მიზნით მოისურვა, თავიდან მოეცილებინა თავისი ბიძაშვილი, ხსენებული მირ აბდულაჰის შვილი, სულთან აშრაფი²², მაგრამ მირ მაჰმუდის დედამ, რომელსაც ეს ბავშვი ნაზად უყვარდა, დამალა იგი და თავისი საკუთარი შვილის რისხვას გადაარჩინა.

1717 წელი. ყანდაჰარის დაკარგვას ჰერათის სამეფოს დაკარგვაც დაემატა. იმის გამო, რომ შაჰის ნაცვალს მემკვიდრე არ ჰყავ-

²¹ ეს უნდა იყოს როსტომი — ვახტანგ VI-ის ძმა.

²² აშრაფი შემდგომში მირ მაჰმუდთან ერთად სპარსეთის ბრძოლებში მონაწილეობდა, ხოლო მირ მაჰმუდის სიკვდილის შემდეგ აშრაფმა დაიკავა მისი ადგილი ისფაჰანში.



და, სპარსეთის შაჰმა ამ სამეფოს მმართველობა ჩააბარა გუბერნატორებს, რომლებიც თავიანთი სიმკაცრისა და მეტისმეტობის გამო ჰერათელებისათვის აუტანელნი გახდნენ. ამან განაპირობა სპარსელთა უღლის გადაგდება. ამ მიზნით მათ მმართველობის უფლება მისცეს ვინმე ესადულაჰს, მამაც და ვაჟკაც ახალგაზრდას. მისი ხელმძღვანელობით თავიანთი სამეფოდან განდევნეს სპარსეთის შაჰის ნაცვალი მეჰმედ რამან ხანი და საერთოდ აიძულეს ყველა სპარსელი, რომლებიც სხვა გარნიზონებში იყვნენ, დაეტოვებინათ სამეფო.

ამ საწყენი ახალი ამბავის გამო სპარსეთის შაჰმა მიიღო გადაწყვეტილება, გადასულიყო ყაზვინში, რათა იქ ჩაეტარებინა აუცილებელი სამზადისი ამ ამბოხებულთა წინააღმდეგ ომის დასაწყებად. როგორც კი ის ყაზვინში ჩავიდა, მისცა განკარგულება თავისი ჯარების მეთაურს — ისფაჰანის გუბერნატორს სეფე ყული ხანს, მეტად სასტიკ და მკაცრ ადამიანს (საომარი მოქმედების დაწყების შესახებ). იგი შეიჭრა ჰერათის სამეფოში 30 ათასი კაცით. პირველი შეხვედრისთანავე გზადაგზა სასტიკად დაამარცხა და სულ ამოწყვიტა 12 ათასი უზბეკი, რომლებიც ესადულაჰის დასახმარებლად მოვიდნენ. მაგრამ შემდეგ ქალაქის გარეუბანთან შეხვდა 15 ათას მეომარს ზემოხსენებული ესადულაჰის მეთაურობით. გაიმართა სასტიკი ბრძოლა, რომელიც 5 საათი გრძელდებოდა.

როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან უმნიშვნელო დანაკარგის შემდეგ ვერც ერთმა გამარჯვებას ვერ მიაღწია. ბოლოს უეცრი სპარსელი არტილერისტები თავისიანებს ესროდნენ. სპარსელებმა იფიქრეს, რომ აქ რალაც დალატს უნდა ჰქონდეს ადგილი, ან მოწინააღმდეგემ ჩვენი არტილერია ხელთ იგდო, მტერს ზურგი შეაქციეს და უწყესრიგოდ უკან დაიხიეს, დატოვეს რა ბრძოლის ველზე დაახლოებით 8 ათასზე მეტი თავისი დახოცილი მეომარი და მტერს გამარჯვების საფასურად ადგილზე დაუტოვეს სამი ათასი ჯარისკაცი, მთელი ბარგი, არტილერია და განძი. ეს ბრძოლა მოხდა 1719 წელს.

წინა, ე. ი. 1718 წელს, სპარსეთის შაჰმა გაგზავნა 30 ათასიანი ჯარი ეთემად ად-დოულეს, ანუ დიდვაზირის, ბიძის ლუტფ ალი ხანის მეთაურობით, რათა დაეცვათ სპარსეთის ყურის ნაპირები. ამ ადგილს ემუქრებოდა რომელიღაც დესანტის გადმოსხმა მასკატის მხრიდან ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი არაბებისაგან, რომლებიც განლაგებული არიან აღნიშნული ყურის სამხრეთით. ისინი დაეუფლნენ კუნძულს და ბაჰრეინის სიმაგრეებს.



ეს ადგილები მსოფლიოში განთქმულია ყველაზე უფრო ადრეულ
 აღმოსავლეთის მარგალიტად ცნობილი, მარგალიტის მოპოვებით.
 (მასკატი პროვინციის დედაქალაქია. მას მართავს უფროსი, რომელ-
 საც ეწოდება იმამი, რაც არაბულად ნიშნავს იგივეს, რასაც სენიო-
 რი ლათინურად. ამ მხარის ხალხი მაჰმადიანია, მიეკუთნება იმ სექ-
 ტას, რომელიც სავსებით განსხვავდება იმ სექტისაგან, რასაც
 მისდევენ უფრო თურქები, ვიდრე სპარსელები). ამათ²³ არ ჰყავ-
 დათ არავითარი ახალი არმია, მიმართეს გოას პორტუგალიელებს
 დახმარებისათვის, დაჰპირდნენ რა მათ მნიშვნელოვანი რაოდენო-
 ბით ცოცხალ ძალას და მათი ხარჯების ანაზღაურებას იმ შემთხვე-
 ვაში, თუ ისინი მოისურვებდნენ მოსულიყვნენ მათთან დასახმა-
 რებლად თავიანთი ფლოტით. ამის საფუძველზე მათ შეერეს კავ-
 შირი ერთმანეთს შორის თავიანთი მტრების — მასკატელების, წი-
 ნააღმდეგ.

პორტუგალიელთა ჯარი სპარსეთის ყურეში გამოჩნდა 4 დი-
 დი ზომადითა და 19 პატარა გემით. ეს კი ლუტფ ალი ხანს მო-
 ეჩვენა არა საკმაო ძალად, რამ მოწინააღმდეგეს დაპირისპირებო-
 და და უარი თქვა გადაეხადა თანხა, რომელზედაც შეთანხმდნენ.
 ის არ ცდებოდა, ვინაიდან მასკატის ფლოტმა გაიგო რა პორტუ-
 გალიის ფლოტის შესვლა სპარსეთის ყურეში, არ მისცა საშუ-
 ალება მას შეერთებოდა მისივე ფლოტის სხვა გემებს, რომელსაც,
 როგორც ამბობდნენ, გოადან ელოდებოდნენ. იგი გავიდა თავისი
 ნავსადგურებიდან და სწრაფად განლაგდა საბრძოლო მდგომარე-
 ობაში პორტუგალიელთა არმიის წინ. ორივე ფლოტმა დაიწყო
 სროლა, ბრძოლა გაგრძელდა დაღამებამდე. პორტუგალიელებმა
 დაკარგეს რამდენიმე პატარა ზომადი და ეკიპაჟის დიდი ნაწი-
 ლი. ქარმა და სიბნელემ აიძულა ისინი, თავისთვის ეშველათ. გა-
 ევლოთ ორმუსის სრუტე, რათა უკანვე, გოასკენ, წასულიყვნენ.

ბენდერ-აბასის სპარსელმა დიდმა მებაჟემ დაინახა რა მათი წა-
 სვლა, მასკატელებთან ზავი შეკრა და 160 ათასი ეკიუს საშუალე-
 ბით კუნძული ბაპრეინი დაიბრუნა. ხელშეკრულების მუხლები
 ანოტირებული და ხელმოწერილი იქნა როგორც ერთის, ისე მე-
 ორის მხრიდან. მასკატელები მით უფრო სიამოვნებით დათანხ-

²³ შინარსის მიხედვით აქ უხდა იგულისხმებოდნენ სპარსელები, ვინაიდან
 მათ სთხოვეს დახმარება პორტუგალიელებს, მაგრამ საერთოდ სპარსელების, მას-
 კატელებისა და პორტუგალიელების შესახებ აქ მოყოლილი ამბავი გაუგებარია,
 უზუსტობასთან გვაქვს საქმე. ეს ამბები უფრო ზუსტად აღწერილია კონსტან-
 ტინოპოლიდან პარიზში გაგზავნილ „მოხსენებით ბართში“.



მდნენ, რომ ქვეყანაში დაიწყო მლეღვარება და მრავალწლოვანი მოთქმა მოხუცი იმამის გარდაცვალების გამო. ასე რომ, ორივე მხრიდან შეწყდა საომარი მოქმედება.

მაგრამ მირ მაჰმუდმა — ყანდაჰარის მმართველობასა და სპარსელებისადმი ზიზლსა და სიძულვილში მამამისის მემკვიდრემ — 1720 წელს შექმნა 10 ათასიანი ლაშქარი, გადალახა სეისტანის უდაბნო და თავისი არმიის მნიშვნელოვანი დანაქარგის მიუხედავად, გადაწყვიტა, დაეპყრო მატყლის ვაჭრობით ცნობილი ქირმანის პროვინცია. მას იქ გუბერნატორის მხრიდან არ შეხვედრია რაიმე მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა. გუბერნატორმა ვერ შეძლო ჩასდგომოდა სათავეში თავდაცვას ასეთი ნაკლებად მოსალოდნელი, უცაბედი შემოსევის წინააღმდეგ. ამიტომ მან გადაწყვიტა, თავისი ამალით უკან დაეხია. სამი ინგლისელი და ჰოლანდიელი ვაჭარი, რომლებიც ქირმანში მატყლით ვაჭრობდნენ და ინგლისსა და ჰოლანდიაში აგზავნიდნენ მანუფაქტურის მოსამარაგებლად, ზემოხსენებულ გუბერნატორს შეუერთდა.

ამრიგად, მირ მაჰმუდი დაეუფლა ქალაქს ბრძოლის გარეშე და შემდგომი სამი თვის განმავლობაში იქ იყო. იგი გაუგონარ სიმკაცრეს იჩენდა მოსახლეობისა და ინდოელი ვაჭრების მიმართ. ეს უკანასკნელნი იქ დიდი რაოდენობით იყვნენ. ართმევდა მათ მთელ ქონებას, ვაჭართა ნაწილს ხოცავდა. ბოლოს ავღანები მდიდარი ნადავლით დატვირთულნი თავის ქვეყანაში წავიდნენ, განზრახული ჰქონდათ რა, კიდევ უფრო მეტი ძალებით დაბრუნებულიყვნენ.

სპარსეთის შაჰმა არ იცოდა, რა საშუალებებისათვის მიემართა ამდენი მარცხის შემდეგ და... რაკი ასე დიდხანს არ ენახა თავისი დედაქალაქი (ისფაჰანი — ი. ტ.), 1721 წელს იქ დაბრუნდა. მან გასცა განკარგულება თვალები დაეთხარათ მისი ეთემად აღდოულესათვის და კონფისკაცია ეყოთ მისი უზარმაზარი ქონებისათვის, რომელიც ამ უმაღლესმა მინისტრმა დააგროვა თავისი მმართველობის 6 წლის განმავლობაში (მას ბრალი ედებოდა სახელმწიფოში ყველა მუშაობისთან თანამოაზრობაში).

შაჰმა სამეფოს გენერალისიმუსად გამოაცხადა ისმაილ-ხანი. იგი 30 ათასი კაცით გაემართა ზორასანში, რათა დაპირისპირებოდა მირ მაჰმუდს, რომელსაც განზრახული ჰქონდა დაბრუნებულიყო სპარსეთში ბევრად უფრო მეტი ძალებით, აოხრებული ქალაქისა და სიისტანის თუ სეესტანის უდაბნოს გავლით. ისმაილ-ხანმა, რომელიც სარგებლობდა მეტად დიდი ავტორიტეტით,

თავის წინააღმდეგ განაწყო მეზობელი პროვინციების სხვა გუბერნატორები, როგორც იყვნენ მაგალითად, საბლისტანისა და ისტანის გუბერნატორები. ამ უკანასკნელი პროვინციის გუბერნატორმა — მელიქ მაჰმუდ-ხანმა, რომელსაც არ შეეძლო შერიგებოდა ისმაილ-ხანის ქედმაღლურ მანერებს, უარი თქვა წასულიყო და შეერთებოდა მას 6 ათასზე მეტი კაცით, რომელიც მას ჰყავდა. მთავარსარდალმა გაუგზავნა მას ფაქ ალი-ხანი საბლისტანელი, რათა ძალით მოეყვანა იგი მორჩილებაში, მაგრამ სიისტანის ჯარებმა მხარი დაუჭირეს თავიანთ გუბერნატორს, მთავარსარდალის ძალადობის წინააღმდეგ დაავლეს იარაღს ხელი და უკუაქციეს ფაქ ალი-ხანი, რომელმაც (ამ ბრძოლაში) ბევრი ხალხი დაკარგა. მთავარსარდალმა დაინახა, რომ მისი ქედმაღლური ქცევა უფრო სიძულელია, ახალი ამბოხების მიზეზად იქცა, ვიდრე სპარსელების ერთმანეთთან დამაკავშირებლად, შეიცვალა და უფრო რბილი გახდა.

მელიქ მაჰმუდ-ხანს მან გაუგზავნა შიკრიკები საჩუქრებით — შესანიშნავი ცხენები და საპატიო ტანისამოსი, მიიწვია იგი, რათა შეერთებოდა მას თავისი ჯარებით და იმავე დროს დააპატიმრა ფაქ ალი-ხანი, როგორც სიისტანში მომხდარ უწესრიგობაში და მნაშავე. მაგრამ უკვე შეუძლებელი იყო მელიქ მაჰმუდის მომხრობა, რომელიც სულაც არ ფიქრობდა რა დამორჩილებაზე, ჯარებით თავის პროვინციაში დაბრუნდა. მან ამ დროიდან დაიწყო საიდუმლო მიწერ-მოწერა მირ მაჰმუდთან, რომელთანაც შემდგომში, როგორც დავინახავთ, გააფორმა საჯარო და საზეიმო კავშირი. ამრიგად, ისმაილ-ხანი იძულებული გახდა შაჰისადმი სამსახურის აღმოჩენის გარეშე მეშხედში დაბრუნებულიყო და მონარქიის ტრადიციული ამბების შორიდან მეთვალყურე ყოფილიყო.

სწორედ მაშინ იყო, რომ დური ეფენდი ჩავიდა ისფაჰანში სეფიანთა კარზე პორტას საგანგებო ელჩის წოდებით, რათა განეაზღვებინა სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომელიც უკვე დიდი ხანია ორივე იმპერიას შორის არსებობდა. ამ მინისტრმა (დური ეფენდომ — ი. ტ.) დიდი ბატონის სახელით შაჰს შესთავაზა სპარსეთის ვაჭრობის განხორციელება გერმანიასთან თურქეთის გზით, დაპირდა რა ყოველგვარ უშიშროებას მისი უმაღლესობის მხრიდან როგორც ვაჭრობის, ისე ვაჭრებისათვის. ამ დროისათვის დიდმა მიწისძვრამ თავით ბოლომდე გადაატრიალა დიდი ქალაქი თა-



ვრიზი, რომელიც არის ძველი ეკატანი*, მიდიის დედაქალაქი და მისი წმინდებიან, რომ ასი ათასამდე სული დაიმარხა ნანგრევების ქვეშ.

როგორც კი შაჰის ამაღლა ისფაჰანისკენ გაემართა, მან გაიგო, რომ ლეკებმა, თათრებმა—ასევე სპარსეთის ქვეშევრდომებმა, რომლებიც კავკასიის მთებში ცხოვრობდნენ, დაახლოებით 40 ათას კაცამდე გაერთიანებულებმა, ალყა შემოარტყეს შემახიას, რომელიც ისფაჰანიდან 39 დღის სავალზე მდებარეობს. მოსკოვთან დიდი ვაჭრობის შედეგად გამდიდრებული შემახია შირვანის პროვინციის დედაქალაქია. ისინი იქ შეიჭრნენ საიდუმლო გზით იმ პირების საშუალებით, რომლებიც მათთან ვაჭრობენ და სუნიტთა სექტას მიეკუთვნებიან. სუნიტთა სექტის მიმდევართა რიცხვი ამ ქალაქში სამი ათასამდე ოჯახს შეადგენს. მათ მოკლეს ხანი მის ბევრ ქვეშევრდომთან ერთად, დაეუფლნენ პროვინციის დანარჩენ ნაწილს, დიდი რაოდენობით კაცი და ქალი მონად წაიყვანეს, განადგურეს ქვეყანა და საშინელი ზარალი მიაყენეს. ეს შესევა მოხდა 1721 წლის ივნისში.

იმავე წლის პირველ დღეებში ისფაჰანში ალისფერი ღრუბლებით დაფარული ცა დაინახეს, ათი დღე შეუძლებელი იყო მზის სხივების გარჩევა, რომლებიც ამ ალისფერი და სისხლისფერი ღრუბლებიდან ძლივს აღწევდნენ მიწამდე. ინდოელებმა და შაჰის ასტროლოგებმა ქალაქს უწინასწარმეტყველეს საბოლოოდ დანგრევა, რომელიც უნდა მომხდარიყო, როგორც ისინი ამბობდნენ, ან მიწისძვრით, რაც ახლახან თავრიზმა განიცადა, ან ცეცხლოვანი წვიმით, რომელიც ციდან წამოვიდოდა. ამიტომ ბუნების ამ მოვლენებით შეშფოთებულმა შაჰმა გასცა განკარგულება სახალხო მარხვაზე. მაჰმადიანი წინასწარმეტყველები მეჩეთებში, საზოგადოებრივ ადგილებში ხალხს მოუწოდებდნენ მონანიებისაკენ, თავი შეეკავებინათ ცოდვებისაგან, რათა დაეშოშინებინათ ღვთის რისხვა, რომელიც გამოწვეული იყო უწესრიგობით.

აკრძალეს თამაშები, საჯარო გართობები და... საკრავები. ცუდი ქცევის ქალები განდევნეს ქალაქიდან. მაგრამ ყოველივე ეს რელიგიური მორჩილების ნიშანი საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რათა შეეჩერებინათ უფალის რისხვა, დაეცვათ მისგან სპარ-

* აქ მარცხენა ველზე სხვა ხელით მიწერილია: «ეკატანი არის ჰამადანი და არა თავრიზი». იქვე ფრჩხილებშია ჩასმული ამ ქალაქქარს სახელწოდება სპარსული ტრანსკრიპციით (იხ. აქვე, იოსებ ქართველის ამ «მოგონების» ფრანგული ტექსტი).



სეთის მონარქია. მირ მაჰმუდმა იმავე წლის შემოდგომაზე თავისი
 ხველაზე უფრო გააფთრებული მემბოხეებიდან 20 ათასი
 ცდილი მებრძოლი ფეხზე დააყენა, დაკარგა რა სიისტანის უდაბნოს
 გადასვლის დროს დაახლოებით 4 ათასი კაცი, დარჩენილი ძალებით
 შეუტია ქირმანის დედაქალაქს და დაიკავა, ცეცხლითა და
 ალით გაანადგურა ის. მან დადო შეთანხმება ციხესიმაგრის უფროს-
 თან იმის შესახებ, რომ უკან დაიხევდა, თუ 10 ათას ეკიუს თანხას
 ჩაუთვლიდნენ.

წინა წელს ისფაჰანის ეპისკოპოსმა მისიონერმა ფედელ მი-
 ლანელმა სპარსეთის შაჰს წმ. მამის, იმპერატორისა და უქრისტიან-
 ნესი მეფის წერილები წარუდგინა²⁴, რათა შუამდგომლობა გა-
 ეწია მისი უდიდებულესობის წინაშე სპარსეთის მისიონებისათვის,
 კერძოდ თბილისის მისიონისათვის, სადაც მამა კაპუჩინების ეკლე-
 სია და მონასტერი დაინგრა სახალხო აღშფოთების შედეგად, რაც
 გამოწვეული იყო, როგორც ამბობენ, ორი წლის წინ სომეხთა დი-
 დი პატრიარქის ეშმაკობით. სპარსეთის შაჰმა მიუთითა თავის ვე-
 ზირს, რომ მხედველობაში მიიღო რა ბრწყინვალე პრინციების და,
 კერძოდ, მისი საიმპერატორო უდიდებულესობის რეკომენდაცია,
 მან ჩაატარა ჩხრეკა და მკაცრად დასაჯა დამნაშავეები, აიძულა
 ისინი, პატიოსნად დაებრუნებინათ ის, რაც ზემოხსენებულმა
 მღვდლებმა დაკარგეს.

1721 წლის პირველ დღეებში მამა იერო... იმომ ავინიონელი,
 ფეხშიშველი კარმელიტი, ისფაჰანში ჩავიდა. მან სპარსეთის შაჰს
 გადასცა იმპერატორის კიდევ ერთი წერილი, რომელშიც იმპერა-
 ტორი რეკომენდაციას უწევდა ზემოხსენებულ მისიონერს²⁵. ინ-
 გლისელებმა და პოლანდიელებმა, რომლებშიც აღმოსავლეთ ინ-
 დოეთის კომპანია დიდ შურს იწვევდა, დიდი თანხა დახარჯეს, რა-
 თა მიეღოთ ზემოხსენებული წერილის ასლი და ბოლოსდაბოლოს
 მიიღეს იგი დიდვაზირის მდივნისაგან, რაც მათ ძვირად დაუჯდათ.
 ამან საბაბი მისცა ფრანგებს და პორტუგალიელებს ეცინათ ამაზე,
 ეჩინიდან გაიგეს, რომ ამ წერილში სხვა არაფერი იყო ნათქვამი,
 გარდა უბრალო რეკომენდაციისა ზემოხსენებული მისიონერის
 სასარგებლოდ. ისიც სწორია, რომ თვით ამ ავინიონელმა მისიონე-
 რმა ზოგი რამ გაიგო დიდვაზირის მდივნისაგან... შაჰის კარის მი-

²⁴ იგულისხმებიან: რომის პაპი, ავსტრიის იმპერატორი და საფრანგეთის მე-

30.

²⁵ ალბათ, ფედელ მილანელს.

ნისტრებმა, დიდი პატივისცემით არიან რა განწყობილი იმპერატორის ძლიერებისადმი და რომელსაც ისინი უწოდებენ სამხრეთ-დასავლეთის სამეფო კარს, მისი სიმპერატორო უდიდებულესობის ქვეშევრდომებს შესთავაზეს ყველა პრივილეგია, რომლითაც სარგებლობენ სპარსეთის პროვინციებში მყოფი ევროპის სხვა ერების წარმომადგენლები.

ამასობაში მირ მაჰმუდი, რომელმაც ქირმანის შემდეგ 22 დღის სავალზე დაიკავა მრავალი სხვა ქალაქი და ციხესიმაგრე, მელიქ მაჰმუდის მეგობრობაში დარწმუნებული დაუკავშირდა ლეკებს და სახიფათო გადასასვლელით სპარსეთის იმპერიის დედაქალაქისაკენ გასწია. სპარსელებმა გაიგეს, რომ ის იმყოფება ისფაჰანიდან მხოლოდ 20 ლიეზე, შიკრიკები გაუგზავნეს, რათა მისთვის 30 ათასი ეკიუ შეეთავაზებინათ, ოღონდაც კი იმას კეთილი ენება და ისფაჰანის (პროვინციის) ტერიტორია დაეტოვებინა. მაგრამ მირ მაჰმუდმა უკანვე გაგზავნა შიკრიკები პასუხის გარეშე და 7 მარტს ისფაჰანიდან 3 ლიეზე, გულნაბადად წოდებულ ადგილას, კარვები გაშალა. ამ ადგილმა სახელი მისცა ცნობილ ბრძოლას, მირ მაჰმუდმა აქ რომ გამართა და რომელიც სპარსეთის შაჰს დედაქალაქისა და გვირგვინის დაკარგვად დაუჭდა. აქ მირ მაჰმუდი ელოდებოდა სპარსელებს, რომლებიც, როგორც ეს მისთვის ცნობილი გახდა, ბრბოდ გამოდიოდნენ ქალაქიდან, რათა ავღანელებთან ბრძოლა გაემართათ.

ამრიგად, ხსენებულ მარტის 8-ში, კვირა დღეს, სპარსეთის მონარქიისათვის ამდენად საბედისწერო დღეს, ორივე არმია განეწყო საბრძოლველად ერთმანეთის პირისპირ. სპარსეთის არმია შედგებოდა 50 ათასზე მეტი კაცისაგან. მის სათავეში იდგნენ ეთემად აღ-დოულე მეჰმედ ყული-ხანი, შაჰ ალი-ხანი კურუჯი ბაში—კავალერიის სარდარი, როსტომ-ხანი ყულარაღასი—საქართველოს უფლისწულის ძმა, შაჰის ყველა მონის სურინტენდანი, ტფონგუ აღასი—შაჰის დაცვის კაპიტანი, ჰუსეინ ყული-ხანი—ცერემონიის დიდი უფროსი (სპარსული სახელი ეჩიჰ აღასი). ეს 5 პიროვნება პირადი სახელმწიფო მრჩეველი და პირველი რიგის მინისტრი იყო. მათ გარდა აქ იყვნენ ასევე მირ აბდულაჰ—არაბეთის მეფე ჰუსეინად წოდებული, ალი მარდან-ხანი — ლურისტანის მეფე და მისი ძმა შაჰ ვერდი-ხანი, ფერესულა-ხანი ჰამადანიდან, ალი რეზა-ხანი კოკილუდან, სპარსეთის შაჰის კარზე მყოფი მთავარი დიდებულების დიდი რაოდენობა; მეჰმედ-ხანი—არტილერიის სარ-

დარი 24 ზარბაზნით და ფილიპ კულონი — ფრანგი მეზარბაზნე მარშიდან. მან ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო.

ამბობენ, რომ მირ მაჰმუდმა დაინახა რა სპარსეთის ჯარების ასეთი დიდი რაოდენობა, მერყეობა შეეტყო; გაიფიქრა — თავს ეუშველიო მებრძოლებიდან ყველაზე უფრო მამაცი და კარგად შეიარაღებული ათასი კაცის თანხლებით. მაგრამ იგი დაარწმუნა და დაამშვიდა მისმა დიდმა სარდარმა ამანოლამ. ამ უკანასკნელმა მას უთხრა: ადამიანების ეს დიდი ძალა, რომელიც მათკენ მოდის, შედგება უმთავრესად ისფაჰანის მოქალაქეების, ხელოსნების, მინისტრებისა და კარის სხვა მსახურებისაგან. რამდენადაც ისინი მეტნი იქნებიან, მით უფრო დიდებული იქნება მათი დამარცხება და ბოლოს, რამდენადაც მათ უკვე საკმაოდ წინ წამოიწიეს, უკვე გვიანაა უკან დახევა. აუცილებელია გამარჯვება ან დიდებით სიკვდილი.

მირ მაჰმუდმა, რომელსაც მისი შეუპოვარი სარდრის კეთილშობილური შენიშვნების შემდეგ დაუბრუნდა თავისი პირვანდელი სიმამაცე, დაყო თავისი არმია სამ სხვადასხვა ნაწილად. ნასროლა სულთანს ანუ ბრუციანს ჩააბარა მარცხენა ფრთა 3 ათასი კაცით, თავის სარდარს ამანოლა ხანს — მარჯვენა ფრთა 5 ათასი კაცით და დანარჩენი ლაშქრის სარდლობა თვითონ იკისრა. ეს უკანასკნელი ბრძოლის ცენტრში იქნებოდა.

სპარსეთის არმიაში, რომელიც ყოველგვარი წესრიგის გარეშე საბრძოლველად განეწყო, არსებობდა სხვადასხვა აზრი. ეთემად ად-დოულეს სრულებით არ უნდოდა იერიშზე გადასვლა. (მისი აზრით) არმიის ერთი ნაწილი არტილერიის უკან უნდა განლაგებულიყო, ხოლო მეორეს სოფელი უნდა გაეწმინდა მოწინააღმდეგისაგან. ზურგისა და ფლანგების ჯარებს უნდა შეეტიათ იმ შემთხვევაში, თუ ავღანელები შეტევაზე გადავიდოდნენ. კავალერიისა და არტილერიის სარდრები იმავე აზრისა იყვნენ, მაგრამ ყულარ აღასი და არაბეთის მეფე იერიშის მომხრე აღმოჩნდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ბედნიერება იქნებოდა, თუ არმია, რომლის შემადგენლობაში იყო სპარსეთის დიდებულთა მთელი ნალები, შეიარაღებული შესანიშნავად, ავღანელების მცირე ჯარების კორპუსის წინაშე უკან არ დაიხევდა. ამის გამო, ეთემად ად-დოულეს კეთილი აზრის მიუხედავად, ყულარაღასმა პირველმა შეუტია ავღანთა მარცხენა ფლანგს, რომელშიც უწესრიგობა შეიტანა და უკუაქცია მათსავე სადგომამდე. არაბეთის მეფემ გვერდიდან წინ გაუსწრო ყულარ აღასს, გასწია თავისიანებთან ერთად, რათა ავღანების ბარ-



გი ეძარცვა. ხოლო ეთემად აღ-დოულემ, შეტევის დაწყებებზე, ცოფილომ, წარმართა თავისი ნაწილები მოწინააღმდეგის მარცხენა ფლანგის წინააღმდეგ, რომელიც დაცული იყო საფანტით დატენილი ასი ზარბაზნით. ეს ზარბაზნები ამან ოლას ფლანგზე მუხლებზე დაჩოქილი აქლემების ზურგზე იყო განლაგებული. ეთემად აღ-დოულეს პირველი იერიშისთანავე ავლანელებმა მოაჩვენეს, თითქოს სპარსელების მიერ დევნილნი გარბიან. (მათ უკან დაიხიეს) სანამ არ გამოჩნდა ზემოხსენებული ზარბაზნები. როდესაც სპარსელები მათ პირდაპირ აღმოჩნდნენ, ამ ზარბაზნების პირველი ზალპითა და მოულოდნელი დარტყმით გაოცებულნი მაშინვე უკუიქცნენ. ბევრი მათგანი უწესრიგოდ გაიქცა. ამან ოლამ მაშინვე მიაბრუნა თავისი ხალხი ისეთი სისწრაფით, რომ უმალ აღმოჩნდნენ სპარსელების წინ. ავლანელები დაეუფლნენ სპარსელების არტილერიას, მოკლეს სარდარი და ყველა მეზარბაზნე, მოწინააღმდეგისაგან წართმეული ზარბაზნები მიმართეს კავალერიის სარდარის წინააღმდეგ, აიძულეს იგი, ბრძოლის ველი დაეტოვებინა და თავი გაქცევით გადაერჩინა.

მირ მაჰმუდი ხედავდა, თუ როგორი სიმამაცით უსწორდებოდა მისი სარდარი სპარსეთის არმიის სამ კორპუსს და თვითონაც გასწია წინ, რათა მიშველებოდა მარცხენა ფრთას, რომელიც ყულარ აღასმა მეტად შეავიწროვა. მირ მაჰმუდმა მოუარა მოწინააღმდეგეს ზურგიდან და ალყა შემოარტყა. სწორედ აქ გამწვავდა ბრძოლა. თუმცა ყულარ აღასის ნაწილები თავს იცავდნენ დიდი სიმამაცით, მაგრამ მათ ავლანელებმა სიმრავლით სძლიეს. ყველა ნაკუწ-ნაკუწად აქციეს, მათ შორის მეთაურიც. ასე რომ, ვერცერთმა ვერ შესძლო გადარჩენილიყო.

არაბებს, რომლებმაც ეს-ეს არის გაძარცვეს ავლანელების ზარგი, არც კი უფიქრიათ იმაზე, რომ დახმარებოდნენ ყულარ აღასის ნაწილებს, თუმცა ხედავდნენ, რომ მტერმა მათ ალყა შემოარტყა და ჩეხავდნენ. არაბები მთელი ლაშქრით და დიდი ნადავლით ქალაქში დაბრუნდნენ. ლურისტანის მეფემ, ჰამადანის და კოკულუს ხანებმა დაინახეს რა ეთემად აღ-დოულეს ნაწილების მარცხი, მოწინააღმდეგის ხელში არტილერიის ჩავარდნა და კავალერიის გაქცევა, ასევე თავიანთი ჯარებით დაბრუნდნენ თავიანთსავე პროვინციებში ისე, რომ ისფაჰანში არც კი შეუვლიათ. ამ ბრძოლის ველზე დარჩა 6 ათასი სპარსელი და 600 ავლანელი, ისიც უმთავრესად მარცხენა ფლანგზე.

პირველი ცნობისთანავე, რომელიც სპარსეთის შაჰმა მიიღო



ამ საბედისწერო დღის შესახებ, მას უნდოდა, იმავე დამეს დაეძინა ვებინა დედაქალაქი და წასულიყო ყაზვინში თავის სამეფო კარში ერთად. მისმა ეთემად აღ-დოულემ მხარი დაუჭირა შაჰის გადაწყვეტილებას მაშინ, როცა არაბეთის მეფემ ამაზე უარი ათქმევინა შაჰს, რაკი დაარწმუნა მხარი დაეჭირა იერიშისათვის; არწმუნებდა, რომ მირ მაჰმუდი ადვილად ვერ გაბედავდა დაპირისპირებოდა ასე მცირე ხალხით ასეთ დიდ ქალაქს და რომ ის ვერასოდეს შესწლებდა ძალით მის დაპყრობას. რომ მხოლოდ მისი უდიდებულესობის ყოფნას შეუძლია გაამხნევეს მცხოვრებლები, გადაიტანონ ალყა. ამ დროისათვის კი პროვინციის გუბერნატორები მოასწრებენ დასახმარებლად მოვიდნენ თავიანთი ძალებით. დასძინა რა, რომ თუ მისი უდიდებულესობა დატოვებს დედაქალაქს, მცხოვრებლებიც ასევე მოიქცევიან, დაუტოვებენ მირ მაჰმუდს უდიდეს სიმდიდრეს, რის შემწეობით ის შემდგომში უძლეველი გახდება.

ამ და სხვა მსგავსმა რჩევამ არაბეთის მეფის მხრიდან, დიდი გავლენა მოახდინა შაჰის გონებაზე. მან მაშინვე გაუგზავნა დაბეჯითებითი განკარგულებები პროვინციის ხანებს, რათა ისინი დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყვნენ ისტაჰანიდან 6 ლიეზე მდებარე ქალაქ ჰუსარში, სადაც ლურისტანის მეფეს, შაჰის მიერ სპარსეთის ჯარების გენერალისიმუსად გამოცხადებულს, უნდა მოეხდინა ჯარების საერთო დათვალიერება, ვიდრე მათ გაგზავნიდნენ ისტაჰანის დასახმარებლად.

ამავე დროს მირ მაჰმუდს ყოველმხრივ ალყაში ჰყავდა ქალაქი (ისტაჰანი — ი. ტ.) დაახლოებით 2 თვის განმავლობაში. დროდადრო იგი აწყობდა სასტიკ იერიშებს, მაგრამ ყოველთვის უკუიქცეოდა და თავის ხალხს კარგავდა. ეს იყო, შედეგი იმ კარგი განკარგულებებისა, რომლებსაც მოედნისა და თავისი სადარაჯოების დასაცავად თეთრი ევენუქი ახმედ-ალა იძლეოდა.

მირ მაჰმუდმა მიიღო გადაწყვეტილება: შიმშილით დაესუსტებინა ქალაქი. ამისათვის მან გასცა განკარგულება, დაეკავებინათ ძირითადი ადგილები ქალაქის გარშემო და დაეცვათ გზები, რომლებითაც შეიძლებოდა მოეწოდებინათ სოფლებიდან ხორციელი ან საბრძოლო მასალა, ასევე დაიკავეს სოფლებთან ქალაქის დამაკავშირებელი ყველა გზა. ერთხელ... და ბოლოს, დაიწყო ისეთი შიმშილი, რომ ხსენებულმა ბატონმა პადერიმ, საფრანგეთის კონსულმა შირაზში, რომელიც იმ დროს ისტაჰანში იმყოფებოდა, პროდუქტების უქონლობის გამო მიიმე ალყას თავი დააღწია გაქცევით და გაემგზავრა თავისი საკონსულოსაკენ მამა ლა გარდისა და მამა ჰუი



იეზუიტის თანხლებით. ის შეეყარა ავღანელ გუშაგებს და თუმცა დაიჭრა ლა გარდისთან ერთად, ერთმაც და მეორემაც, საბჭოთა მხარეზე შესძლეს თავისათვის ეშველათ ცხენების საშუალებით. მეორე მღვდელი მოკლეს ბატონ პადერის ამალის სხვა წევრთან ერთად.

ჯულფის სომხებმა გულნაბადის ბრძოლის რამდენიმე დღის შემდეგ გადასცეს თავიანთი ქალაქი მირ მაჰმუდს. ამ უკანასკნელმა მათ დაადო გადასახადი 1 400 000 ეკიუს რაოდენობით. მისი ერთი ნაწილი მათ გადაიხადეს მაშინვე, ხოლო დანარჩენ თანხაზე გასცეს საგარანტიო ქვითარი. გამარჯვებულმა ბრძანა შეერჩიათ 60 ყველაზე ულამაზესი ქალწული, რომელიც ჯულფაში იყო. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ისინი მშობლებს დაუბრუნეს, რამდენადაც ავღანებმა გაძარცვეს ისფაჰანის გარშემო ყველა სოფელი და თან წაიყვანეს დიდი რაოდენობით სპარსელი ქალები და ქალიშვილები. დანარჩენი თანხისათვის, რომელიც სომხებს უნდა გადაეხადათ, მირ მაჰმუდს აქამდე საპრობილეში ჰყავს თავადები და ჯულფელ სომხებს შორის ყველაზე ცნობილი პირები, რომელთაგან სამი სხვების შესაშინებლად მან უკვე სიკვდილით დასაჯა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჯულფა არის სომხური კოლონია, რომელიც ქალაქის სახელს ატარებს. ის წარმოადგენს როგორც სომეხთა ეპისკოპოსის, ასევე ლათინთა ეპისკოპოსის რეზიდენციას. ეს ქალაქი შედგება 4 ათასი ოჯახისაგან. მან შეიერთა კიდევ 4 სხვა სომხური და 2 სპარსული სოფელი, რომელთა მცხოვრებლები გადმოსახლა დიდმა შაჰ აბასმა ძველი ჯულფიდან, რომელიც დღეს მხოლოდ პატარა გაუბედურებული სოფელია 50 სახლით მდ. არაქსზე, დიდ სომხეთში ქალაქ ნახჭევანიდან 5 საათის სავალზე. ასე რომ, ეს ჯულფა გამოყოფილია ისფაჰანიდან მხოლოდ მდ. სანდუროსით ანუ სანდერუდით. იგი მხოლოდ ქრისტიანი სომხებითაა დასახლებული. აქ არცერთი მაჰმადიანი ოჯახი არ არის. ის მდებარეობს ქალაქ ისფაჰანის სამხრეთით.

ჯულფის სამხრეთით არის ასევე მეორე ქალაქი, დაახლოებით ათასი სახლით, დასახლებული ჰებრებით, რომლებიც ნამდვილი ძველი სპარსელები, ცეცხლთაყვანისმცემლები, არიან. ვიდრე მაჰმადიანები გახდებოდნენ, მათ უფრო ქრისტიანობა მოსწონდათ, მაგრამ ისინი მიჰყვნენ შაჰის განზრახვას, რომელმაც აიძულა ისინი გამაჰმადიანებულიყვნენ. სწორედ ისინი პირველნი ჩაბარდნენ მირ მაჰმუდს, რომელმაც მათი დიდი ნაწილი თავის ლაშქარში ჩარიცხა. მაგრამ დროა დავუბრუნდეთ ჩვენს ისტორიას.



ამ დროის განმავლობაში ლურისტანის მეფე ალი მარდამ ხანი შაჰის მიერ სპარსეთის ჯარების გენერალის იმუსად გამოცხადებული მიემართება ხორასანში თავისი 10-ათასიანი ლაშქრით, რათა იქ მეზობელი პროვინციების ძალების გაერთიანებას დაელოდოს. მაგრამ პროვინციების გუბერნატორებმა არ მოისურვეს ამ გენერალის-მუსის მეთაურობით ებრძოლათ. ავღანთა მფრინავმა რაზმებმა ნასრულა სულთანის მეთაურობით ყველა ისინი შეიპყრეს და ყოველი მათგანი ცალ-ცალკე თავიანთ ჯარებთან ერთად გაანადგურეს.

ჰამადანის ხანი ლურისტანის მეფის ძმასთან ერთად 6-ათასიანი ლაშქრით გარს შემორტყმული აღმოჩნდა ჰონკარის ახლოს (ვიდრე ისინი შეუერთდებოდნენ კოკილუს ჯარებს) და დამარცხდნენ. მათ დაჰკარგეს 3 ათასი ჰამადანელი, დაუტოვეს გამარჯვებულს მდიდარი ნადავლი კარვების, ცხენების, ოქროს უნაგირებისა და ვერცხლის ბევრი ჰედური ნივთის სახით. ალი რეზა-ხანს კოკილუდან ასეთივე ბედი ეწვია თავისი 12 ათასი მხლებლით, რომლებსაც თავიანთი პროვინციების მისადგომებთან ასევე თავს დაესხნენ მოულოდნელად და გაანადგურეს.

ისფაჰანის დასავლეთით, ლურისტანის მხარეში, მცხოვრები ბახტიარების 10 ათასიან კორპუსს იგივე ბედი ეწვია, რაც სხვას. ისფაჰანიდან ერთი დღის სავალზე მათ ნასრულამ ალყა შემოარტყა იმ მომენტში, როცა ბანაკის გაშლას ფიქრობდნენ. ამრიგად, ისფაჰანის მეზობელი პროვინციების ყველა ძალა ცალცალკე იქნა განადგურებული.

ამიტომ ლურისტანის მეფემ, რომელმაც დაინახა, რომ ყველა დამხმარე ძალა დამარცხებულია, თვითონ კი არ გააჩნდა იმდენი ძალა, რომ წასულიყო ისფაჰანის დასახმარებლად, ამავე დროს დაინახა თავისი პიროვნების წინააღმდეგ სხვა პროვინციების გუბერნატორების დამოკიდებულება, თავისი დედაქალაქისაკენ — სორემბადისაკენ, გზას დაადგა.

შაჰმა გაიგო რა ყველა ამ დამარცხებათა ამბავი, გადაწყვიტა ქალაქგარეთ გაეყვანა თამაზ-მირზა, თავისი მეოთხე ვაჟიშვილი, როგორც ყველაზე უფრო უნარიანი ოთხ ვაჟიშვილსა და ოთხ ქალიშვილს შორის, რომლებიც მას ჰყავდა. ის იმედოვნებდა, რომ პროვინციების ხანები არ გაუწევდნენ წინააღმდეგობას, ემსახურათ უფლისწულის — მისი შვილის მეთაურობით, რომელიც მან გამოაცხადა თავისი ტახტის მემკვიდრედ. მაგრამ ეს მეტად დაგვიანებული სამკურნალო საშუალება აღმოჩნდა მომაკვდავი ისფაჰანის გადასარჩენად, ვინაიდან დამარცხებულ ჯარის ნაწილებს არ უნდოდათ ამ



წელს დაბრუნებულიყვნენ სალაშქროდ და ამასთანვე სხვა რეზერვ-
ციებშიც აღვილი ჰქონდა უთანხმოებებსა და ამბოხებებს. ამისა,
ამისა, შიმშილის უბედურებამ, რომელმაც ისფაპანში 100 ათასი
კაცი იმსხვერპლა, მიაღწია იქამდე, რომ... ჰამდნენ საკუთარი ბაე-
შვის ხორცს. მე ერთხელ საკუთარი თვალებით ვნახე, თუ როგორ
იკვებებოდა ხალხი ადამიანის ხორციით. ქალაქის ყველა ძალი და
კატა დახოცა დამშეულმა ხალხმა. დამწვარი ტყავის ფერფლს
ურევდა წყალში და ამით იკვებებოდა ხალხი. ცხენის, სახედრისა
და სხვა სასაბალნე ცხოველის ერთი ოყა ხორცი იყიდებოდა 3 სე-
ქენად, ფქვილი — 30 ეკიუდ, შაქარი — 50. ვისაც უნდოდა თავი-
დან აეცილებინა ალყის საშინელი შედეგები, მტრის ხელში ჩაეარ-
და, (ქალაქიდან გაქცევის დროს — ი. ტ.) ისინი ნაკუწ-ნაკუწად
აქციეს. ასეთი 50 ათას სულზე მეტია. 100 ათასზე მეტს ჰქონდა
ბედნიერება თავისთვის (გაქცევით) ეშველა და ამდენივე რაოდენ-
ობა მონობაში ჩაეარდა. ასე რომ, იმ დღეს, როდესაც მირ მაჰმუ-
დი ქალაქში შევიდა, იქ 20 ათას სულზე მეტი აღარ იყო.

რამდენადაც რაიმე დახმარების იმედი არ ჩანდა და შიმშილმა
მოსპო შესანიშნავი დედაქალაქის მცხოვრებლები, შაჰის მინის-
ტრები გამოვიდნენ შაჰის ბრძანებით, რათა ქალაქის ჩაბარების
შესახებ მირ მაჰმუდის ოფიცრებთან მოლაპარაკება გაემართათ.
ბოლოს, რამდენჯერმე თათბირის შემდეგ, ყოველგვარი ფორმალო-
ბის გარეშე ორივე მხარემ ხელი მოაწერა პირობებს, რომლებიც
მხოლოდ ორი მუხლისაგან შედგებოდა: პირველი — შაჰი ყველა
თავის მინისტრთან ერთად გაეა ისფაპანიდან, რათა ტახტიდან გა-
დადგეს მირ მაჰმუდის სასარგებლოდ; ამასთანვე, სპარსეთის გარ-
ნიზონი დატოვებს ქალაქის ყველა კარიბჭეს და მის სხვა შესას-
ვლელებს; მეორე — ავღანელები დაეუფლებიან რა ქალაქს, ისინი
არ შეაწუხებენ, ცუდად არ მოექცევიან არც მცხოვრებლებს, არც
მათ ქონებასა და სიცოცხლეს. მით უფრო ეს უნდა იგულისხმებო-
დეს შაჰის პიროვნების, შაჰის ოჯახისა და მინისტრების მიმართ.

რამდენადაც ყველაფერი ასე აეწყო, პარასკევს, 25 ოქტომბე-
რს, შაჰი, რომელსაც თან ახლდნენ მისი ეთემად აღ-დოულე, არა-
ბეთის მეფე და თავისი სასახლის ბევრი სხვა მინისტრი თუ მოზე-
ლე, გავიდა ქალაქიდან, რათა მირ მაჰმუდის ხელთ ჩაეარდნილიყო.
მას შემდეგ, რაც მან ისფაპანის დიდ ანუ სამეფო მოედანზე,
აღასს შესწირა 5 აქლემი, რომელთა ხორცი ბრძანა მოსახლეო-
ბისათვის დაეროგებინათ, იგი გაემართა ფერაბადის მიმართულე-
ბით, გართობების სასახლისაკენ, რომელიც აგებული იყო მისი

Paris
1793

1793

Constitution des Indes orientales
de la révolution arrivée en Perse.



Il y a une douze le Royaume de Candahar quelques
différences appellent. Et se qui habitent sous des tentes
dans les déserts et qui ^{parcourent} parcourent les vastes étendues de
déserts et les montagnes avec leurs troupeaux de chèvres et de moutons
font au premier des Indes, à l'ouest et à l'est le gouvernement et le
plus puissant de ce pays de ces tribus et la plupart de ces
la plus nombreuse et la plus elle ^{de Candahar} abonde dans ce pays
tous dans le Candahar, en payant les tribus en vertu
tribus et des de Droit de pâturage, ces tribus ont des
gens propres au travail et à la fabrication de ces objets
pour faire ou conduire de Candahar, les autres, qui sont
des de petites tribus au sud de la Rivière de l'Indus, et
dans au milieu de Candahar entre l'empire, ces tribus sont
les habitans et des provinces sous les tentes et qui sont
tribus, et les premiers de ces quelques-uns ont fait, en fait, un
étaient souvent des pays de pays comme les provinces
et ils ont été régies par elles, mais par elles en ce
milieu de l'empire de l'Inde.

Le Roi de l'Inde est le Roi de Candahar, et
chaque tribu a son propre chef et son territoire.
Pour ce qui est de l'Inde le Royaume de Candahar, il est
gouverné par le Roi de Candahar, et les tribus qui sont
convoquées toutes les tribus qui le Roi de Candahar les
tribus, et les tribus de Candahar ont été, en fait, un
gouverneur et ont fait les provinces de ces provinces.

Paris
1793





საქართველოს
ხელნაწილების
რეპერტუარი

უდიდებულესობის მიერ, რათა ზაფხულის სიცხეების შედეგად იქ ეტარებინა. ეს საუცხოო ადგილია, მისი ბაღები გარემო-
ტყმულია ძლიერი გალავნით და სასიამოვნო წალკოტებით, რომ-
ლის სრული სიგრძე 2 ლიეა.

მირ მაჰმუდი იმ ბრძოლის შემდეგ, რომელიც მან გულნაბა-
ლთან მოიგო და, მას შემდეგ რაც ჯულფის სომეხებმა მას ჩააბარეს
თავიანთი ქალაქი, წავიდა ფერაბადში და იქ დაბინავდა. აქ ის და-
არჩა დაახლოებით 7,5 თვე, ვიდრე ქალაქის (ისფაჰანის — ი. ტ.)
აღუა გრძელდებოდა.

როდესაც მირ მაჰმუდს მისმა დიდმა ცერემონიალმაისტერმა
აცნობა შაჰის მოსვლის შესახებ, მან უბრძანა შეეჩერებინათ შაჰი
იმ საბაბით, რომ ის ისვენებს. იფიქრეს, რომ გამარჯვებულმა ისა-
რგებლა ამ ხერხით, რათა შაჰის შესახვედრად მომზადებულიყო,
მაგრამ ეს უფრო შეიძლება მიეწეროს სიამაყისა და უპირატესო-
ბის გრძნობებს, რომლებიც მას აიძულებდნენ ასე ემოქმედა. რო-
გორც არ უნდა ყოფილიყო, მას დაემორჩილნენ და შაჰი დათან-
ხმდა შეჩერებულიყო ნახევარი საათის განმავლობაში კალთებზე
მთისა, რომელსაც ერქვა სოფადალი.

ვიმყოფებოდი რა მაშინ ფერაბადში, სადაც მივედი რამდენი-
მე დღით ადრე შაჰის მისვლამდე, სპარსეთში საფრანგეთის გენე-
რალური კონსულის ბატონ დელა გარდანის ბრძანებით, რათა მე-
თხოვა მირ მაჰმუდისათვის მფარველობა ფრანგი ერისა და ისფა-
ჰანში მყოფი მღვდელი მისიონერების საკეთილდღეოდ. ეს მეტად
თავაზიანად მიბოძეს განკარგულებებთან ერთად, რომელიც ადას-
ტურებდა ნაჩუქრობის ბარათს საკონსულო სახლის შესახებ. ეს
ბარათი შაჰ სულთან ჰუსეინმა უბოძა ფრანგ ერს და დართო ნება
შევიდეს საფრანგეთის პავილიონში... დაუმატა ამას მკაცრი აკრძა-
ლვა და სიკვდილით დასჯის მუქარა იმ ოფიცრების მიმართ, რომ-
ლებიც მცირედაც კი დაარღვევდნენ ამ განკარგულებას.

დიდმა ცერემონიალმაისტერმა მითხრა, რომ არ მოვშორებოდი
მის პიროვნებას მთელი ამ დღის განმავლობაში... მქონდა სიამო-
ნება კარგად მენახა თანმიმდევრობა ყველა ცერემონიალისა.

შაჰი იცდიდა დაახლოებით ნახევარ საათს, ბოლოს მასთან გაგ-
ზავნეს კაცი, რათა ეცნობებინათ, რომ შეუძლია წამოვიდეს. უკანას-
კნელი ჩამოვიდა ცხენიდან დიდი დარბაზის ახლოს, სადაც მირ მა-
ჰმუდს ეკავა ოთახის ერთი კუთხე, რომელიც ბაღში გადიოდა.
იგი დაყრდნობილი იყო ოქროქსოვილ ბალიშზე, ერთობოდა რა



შაჰის მოლოდინში ბრილიანტებით მორთული საათების დათმობის
ერებით.

მირ მაჰმუდმა ბრძანა მოემზადებინათ მეორე კუთხეში, მარ-
ცხნივ, ადგილი შაჰისათვის, ოქროქსოვილი ბალიშით, რომელიც
ჰგავდა მის ბალიშს. შაჰ ჰუსეინი შევიდა რა დარბაზში, მიესალმა
მირ მაჰმუდს ჩვეულებრივი მისალმებით: „სელამ ნალეიქუმ“.
უკანასკნელი მაშინვე წამოდგა და უპასუხა იმავე მისალმებით:
„ნალეიქუმ სელამ“ და ორივე დაჯდა. შაჰმა დაიწყო ლაპარაკი
შემდეგი სიტყვებით: ჩემო შვილო, რამდენადაც ზეცამ დაგნი-
შნათ თქვენ, იმეფოთ სპარსეთში, ხალისით გადმოგცემთ თქვენ
იმპერიის მმართველობის საქმეს, მთელი გულით გისურვებთ ყო-
ველგვარ აყვავებას. ამავე დროს შაჰმა მოიხსნა თავისი დოღბენ-
დიდან ჯილა, რომელიც წარმოადგენს აზიის მონარქების სამეფო
მშვენებას და შედგება ბრილიანტებით მორთული ფრთებისა და
მსხვილი ძვირფასი ქვებისაგან, გადასცა ის მირ მაჰმუდის ვეზირს,
რათა მას იგი თავისი პატრონის დოღბენდზე მიემაგრებინა, მა-
გრამ ამ უკანასკნელმა მკვახედ უარი თქვა, მიეღო იგი თავისი მი-
ნისტრის ხელიდან. შაჰმა გამოხატა, რომ იგი შეიწყნარებდა გამარ-
ჯებულის ყველა სურვილს, აიღო ჯილა იმავე მინისტრის ხელი-
დან და თავის დამსახურებად ჩათვალა, რათა ამდგარიყო, მისუ-
ლიყო მასთან და საკუთარი ხელით მიემაგრებინა იგი მირ მაჰმუ-
დის დოღბენდზე. თან უთხრა მას, რომ... ბედნიერად იმეფოს.
შემდეგ მოიტანეს ყავა, ჩაი და ყალიონები მოსაწვევად.

მირ მაჰმუდმა შაჰს უთხრა, რომ ამ ამბებმა იგი არ უნდა
ააღელვოს იმიტომ, რომ განგების მიუწვდომელი კანონების თა-
ნახმად ყველა დროის სამეფოები და მონარქიები ჩვეულებრივად
გადადის ერთი ხელიდან მეორეზე, ერთი ერიდან მეორეზე. მა-
გრამ, რაც შეეხება მის პიროვნებას, მას შეუძლია დარწმუნებული
იყოს, რომ ის ყოველთვის მიიჩნევს მას, როგორც საკუთარ მა-
მას და, რომ არასოდეს არაფერს გააკეთებს მისი თანხმობისა და
რჩევის გარეშე.

შემდეგ შაჰს სთხოვეს გადასულიყო ბინაში, რომელიც მის-
თვის მოამზადეს. ამის შემდეგ ხსენებულმა დიდვაზირმა მიიღო
განკარგულება გადაეყვანა იგი... ქალაქში 4 ათასი კაცისაგან შემდ-
გარი რაზმით, რათა ხელთ ეგდოთ ქალაქის კარები და დაეკავები-
ნათ მეფის სასახლე. რაც მაშინვე იქნა შესრულებული, რამდე-
ნადაც სპარსელებმა დატოვეს თავიანთი საგუშაგოები.



იმავე თვის 27-ში, კვირა დღეს, მირ მაჰმუდი შაჰის ბით მიდიოდა რა მწყობრით, საჯაროდ შევიდა ისტაბულში, გრამ შაჰი, როგორც კი გადავიდა შირაზად წოდებულ ხილზე, ბა-
ლის გავლით შევიდა თავის სასახლეში. მირ მაჰმუდი კი აგრძელე-
ბდა თავის სვლას დიდი ქუჩით, რომელზეც აგებდნენ აბრეშუმსა
და ოქროქსოვილს მისი ცხენის ფეხებს ქვეშ იმისა და მიხედვით,
თუ როგორ მიიწევდა წინ, შევიდა კარებიდან იმავე სასახლეში,
რომელსაც ტრიპარპარაუსი (ოთხი წყლის აუზი) ეწოდება.

საფრანგეთის, ინგლისისა და ჰოლანდიის ბატონი კონსულები
თავიანთი ქვეყნების სახელით სამეფოს დიდ მოედანზე მიესალმ-
ნენ ცხენზე მჯდომ მირ მაჰმუდს. მსვლელობის დროს არავითარი
წესრიგი არ იყო დაცული, უფრო სწორად, უწესრიგობა იგრძნო-
ბოდა, ხალხის უმრავლესობა ბრბოს მსგავსად მოედინებოდა. მა-
გრამ გამოჩნდა პირველი 10 გმირი; ისინი ხმამაღლა წყევლა-
კრულვას უგზავნიდნენ შიიტების სექტას, მაჰმადიანურ სექტას,
რომელსაც მიეკუთვნებიან სპარსელები. შემდეგ მოდიოდა 2
ათასი მხედარი. მას მოსდევდნენ მირ მაჰმუდის მეჯინიბეები, რომ-
ლებსაც 15 ცხენი უნაგირებთა და ამოქარგული შალითებით და-
მშვენებული ოქროს აღვირებით მოჰყავდათ. 5 ცხენის აკაზმულო-
ბა შეიცავდა აღმასებს და ბრილიანტებს. მეჯინიბეებს მისდევდა
დაახლოებით ათასი მუშკეტერი, შემდეგ 300 შავი ინდოელი მუ-
შკეტერი. მათ შორის მოდიოდა მირ მაჰმუდი ნაცრისფერი ცხე-
ნით—ოქროს აღვირითა და ოქროთი ამოქარგული შალითით. გამარ-
ჯებულს მიჰყვებოდა ცხენზე მჯდარი 300 პაეი, მერე მოდიოდნენ
გეზირი, მუფტია, მირ მაჰმუდის ყულარალასი — ალა ელმა-
სი, ბრუციანი ნასრულა და ბევრი სხვა ავღანი დიდებული —
არეული სპარსელ მინისტრებში. 60 ზარბაზანი აქლემებზე შე-
ეწყობთ, იქვე ისხდნენ მეზარბაზნეები. ცხენებზე ამხედრებული
ასი მუსიკოსი განუწყვეტლივ უკრავდა საყვირს, დოლს და სხვა
საკრავს, რომელიც მიღებულია ამ ქვეყანაში. დაახლოებით 4 ათ-
ასი კაცი არეულად წინ მიიწევდა, იგი შეადგენდა ამ მსვლელო-
ბის ნაწილს. დაუშვეს გაუფრთხილებლობა, რომ უფლება მისცეს
მეჩეთისა და შენობების სახურავებიდან ადგილობრივ მცხოვ-
რებთ ეყურებიანათ ქალაქში მთელი ამ მსვლელობისათვის.

შაჰი და მირ მაჰმუდი ერთად ჩასახლდნენ სპარსეთის შაჰე-
ბის ჩვეულებრივ საცხოვრებელ სასახლეში. მირ მაჰმუდმა დააყე-



ნა ასკაციანი დაცვა... შაჰისა და მისი შვილების — უფლისწულების
ბის ბინის წინ. შაჰს მან მისცა 6 ქალი და 5 მსახური.

შაჰის ჰარამხანაში აღმოჩნდა დაახლოებით 600 ქალი, რომლის დიდი ნაწილი მირ მაჰმუდმა თავის მთავარ ოფიცრებს გადასცა. მირ მაჰმუდმა ცოლად შეირთო შაჰის 4 ქალიშვილიდან ერთ-ერთი, ყველაზე ახალგაზრდა. მათგან უფროსი გადასცა თავის მუფტიას, რომელსაც სპარსულად მიანჯის უწოდებენ, ხოლო შაჰის და ცოლად მისცა ამან ოლას, თავის დიდ სარდარს. ორი სხვა ქალიშვილი შაჰმა ადრე გაათხოვა სამეფოში ცნობილ ბატონებზე, რომელთაც ჰქონდათ ბედნიერება თავიანთ მეუღლეებთან ერთად ქალაქის ალებისთანავე გაქცეულიყვნენ.

ისტაჰანის ჩაბარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე რამდენიმე დღით ადრე შემოხსენებული სეისტანის გუბერნატორი მელიქ მაჰმუდ-ხანი გულნაბადისაკენ გაემართა და იქ ბანაჯი გაშალა. მირ მაჰმუდმა ალყის დროს 2 ათასზე მეტი კაცი დაკარგა და თანაც შენიშნა, რომ მისი ლაშქრის დანარჩენი ნაწილი ხანგრძლივი ალყის გამო მოუთმენლობას იჩენდა. ამიტომ გადაწყვიტა თავიდან აეცილებინა ბრძოლა, რომლის შედეგი მას საეჭვოდ ეჩვენებოდა. მირ მაჰმუდმა გადაწყვიტა მოწინააღმდეგე მეგობრობით გამოეცადა. ამ მიზნით მან თავისი სარდარი ნასროლა მელიქ მაჰმუდ-ხანთან გაგზავნა საჩუქრებით — უნაჯირებით, აღვირებით, ოქროს ყალიონით, 4 მდიდრულად მორთული ცხენით, ბრილიანტებით მოოჭვილი ქსოვილებით. ყველაფერი ეს მისთვის უნდა მიერთმიათ მირ მაჰმუდის სახელით და ერთდროულად უნდა შეეთავაზებინათ ხელშეკრულება კავშირის შესახებ. იგი უნდა დაერწმუნებინათ, ესარგებლა ამ ხელსაყრელი მომენტით, რათა გამხდარიყო სრულიად დამოუკიდებელი რომელიმე მდიდარი პროვინციის დაპყრობის შედეგად, მაგალითად, ხორასანის პროვინციისა, რომელზედაც მას მიუთითეს, როგორც ყველაზე უფრო რიგიანზე, მხედველობაში ჰქონდათ რა მისი დედაქალაქი, დიდი და ლამაზი მეშჰედი.

ამ პროვინციის დაუფლების აზრითა და ასევე მიღებული შესანიშნავი საჩუქრებით დაბრმავებული მელიქ მაჰმუდი დათანხმდა წინადადებაზე. მაშინვე დაზუსტდა და დაიღო შეთანხმება კავშირსა და მტკიცე მეგობრობაზე მირ მაჰმუდსა და მას შორის.

მელიქ მაჰმუდმა გაგზავნა 10 ათასი კაცისაგან შემდგარი ლაშქარი და თვითონაც გაემართა პირდაპირ ხორასანისაკენ. როგორც



კი იგი მეშვედს მიადგა, მისმა მოსახლეობამ ხელგაშეწყობდა დიდი ენთუზიაზმით მიიღო იგი, რამდენადაც იგი მიჭყობდა სპარსელების ეჭიურ წოდებულ სექტას. დედაქალაქის მსგავსად ყველა სხვა ქალაქიც დაემორჩილა მას. ასე რომ, იგი დღემდე მათი მშვიდობიანი მფლობელია. სპარსელ გუბერნატორ ისმაილ-ხანს რომელზედაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ, არ ჰყავდა საკმაო ძალები, მელიქ მაჰმუდისათვის რომ დაეპირისპირებინა (მისი ნაწილი დეზერტირი აღმოჩნდა) და გადაწყვიტა ყაზვინში წასულიყო.

თითქმის იმავე დროს, როგორც უკვე ითქვა, წინა წელს მან დაიმორჩილა შირვანის პროვინცია და გახდა პატრონი დიდი ქალაქის არდებილისა, რომელსაც ისინი ძარცვავდნენ მთელი 7 დღის განმავლობაში და ბოლოს დატოვეს ქალაქი, წაიყვანეს რა თან დიდი რაოდენობით კაცი თუ ქალი, რომლებიც თავიანთ მონებად აქციეს. მაგრამ მათ გამოიჩინეს ზომიერება და არ წაბილწეს სეფიანთა შაჰის საფლავი, რომელიც იქაა და რომლისგანაც სეფიანების დინასტია თავის დასაწყისს იღებს.

დაუბრუნდეთ მირ მაჰმუდს. მან დაამტკიცა შაჰ ჰუსეინის სპარსელი მინისტრები თავიანთსავე ადგილებზე. საზოგადოებრიობის მიმხრობისა და ახალი ქვეშევრდომების მხრიდან ნდობის მოპოვების მიზნით მან გამოიჩინა სირბილე და შებრალება, გასცა განკარგულება, გამოეჭყეყნებინათ მკაცრი ბრძანებები, სადაც სიკვდილით ემუქრებოდნენ იმ ავღანელებს, რომლებიც გაბედავდნენ ცუდად მოქცეოდნენ რომელიმე სპარსელს, თან მოუწოდა სასამართლოს დიდი სიზუსტისაკენ. ამრიგად, რამდენადაც სიუხვის ეპი კვლავ დადგა, ალყის დროს გაქცეულები დაუბრუნდნენ თავიანთ ქონებას და ქალაქსაც თავისი პირვანდელი სახე ეძლეოდა. შაჰი და მირ მაჰმუდი ისეთ მჭიდრო ურთიერთობაში იყვნენ, რომ ამ უკანასკნელმა შეავლიანა შაჰი დაეგზავნა ცირკულიარული წერილები, რითაც მთელს სამეფოს მოუწოდებდა — მირ მაჰმუდს დამორჩილებოდა.

მირ მაჰმუდმა აიძულა შაჰის დიდი ექიმი, გაღებდა მისთვის თანხა 400 ათასი ეკიუ. თანაც ხელთ იგდო მისი ბრილიანტები და სხვა ძვირფასეულობა — რაც ოქროთი 2 (ათას) ეკიუს შეადგენდა. ძვირფასეულობისა და ოქროს ზუსტი ანგარიშებიდან გამომდინარე ყოველივე ამან მირ მაჰმუდს 2 მილიონი ეკიუ მისცა...

ეს დიდი ექიმი იყო ერთადერთი ფავორიტი შაჰისა, რომელ-



საც ეს უკანასკნელი არაფერში ხელს არ უშლიდა და ამიტომ სამეფოში უდიდესი პიროვნება გახდა.

მირ მაჰმუდმა ქალაქ ისფაჰანისაგან მოითხოვა 2 400 000 ეკიუ, რომლის დიდი ნაწილი მან მიიღო და თავისი ერთ-ერთი ხაზინადარის — მოლა მუფტას საშუალებით ეს განძეულობა მაშინვე ყანდაპარში გაგზავნა. მაგრამ თამაზ მირზას დავალებით მოლა მუფტას გზაში თავს დაესხა მირზა ისმაილი—სეისტანის ბემბის ციხესიმაგრის გუბერნატორი. მოლა მუფტა თავისიანებთან ერთად გაიქცა, დაუტოვა რა მთელი სიმდიდრე სპარსელებს. ეს სიმდიდრე მათ ზემოხსენებულ თამაზ მირზას თავრიზში გაუგზავნეს, რომელმაც, იმყოფებოდა რა დიდ გაჭირვებაში ფულისა და იარაღის მხრივ, ამოისუნთქა. ხელში ჩაგდებული სიმდიდრე 3 მილიონ ეკიულ შეფასდა.

ამავე დროს მირ მაჰმუდი ცდილობდა თავის მხარეზე გადაეყვანა როგორც სპარსელები, ისე უცხოელებიც. მან გასცა განკარგულება, სასახლის ყველა დიდებულს მიეცა ერთგულების ფიცი და დათანხმდა ევროპელი კონსულებისათვის მთელი რიგი პრივილეგიები დაეშვა. ჯულფისა და ისფაჰანის მამა მისიონერებმა მიიღეს ნებართვა თავისუფლად ღვთის მსახურებისა თავიანთ ეკლესიებში, გარდა კაპუჩინებისა, რომელთა მონასტრები განლაგებულ იყო მეტად არახელსაყრელად, ციხესიმაგრის გვერდით. ეს ადგილები ავღანელებს ყაზარმების ასაგებად სჭირდებოდათ. (მოლაპარაკების დროს) ვერ გაუწია რა წინააღმდეგობა, საფრანგეთის გენერალური კონსული ბატონი დე გარდანი იძულებული იყო თავისთან ხელცარიელი დაბრუნებულიყო.

ისფაჰანის დაკარგვისა და მირ მაჰმუდის სასარგებლოდ თავისი ტახტიდან შაჰ სულთან ჰუსეინის გადადგომის შემდეგ შაჰის შვილი თამაზ მირზა ყაზვინში იმყოფებოდა. იგი მთელს სპარსეთში აღიარეს სამეფოს კანონიერ შაჰად.

მირ მაჰმუდი ფიქრობდა, რომ სპარსელები მას დაემორჩილებოდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც თამაზმა შაჰის ტიტული მიიღო, მირ მაჰმუდმა ჩაიფიქრა, იძულებით დაემორჩილებინა იგი. ამ მიზნით მან საზეიმოდ აღნიშნა თავისი ქორწინება შაჰ ჰუსეინის ყველაზე უმცროს ქალიშვილზე, როგორც უკვე ითქვა, და განკარგულება გასცა თავის დიდ სარდარს, სასწრაფოდ 10 ათასიანი ლაქრით ყაზვინისაკენ წასულიყო, რათა იქ თამაზ შაჰს მოულოდნელად თავს დასხმოდა. ამ უკანასკნელმა კი თავისი ვეზირის რჩევით



დაშალა თავისი ლაშქარი, რომელიც მან შეაგროვა ისტაპანის ციხეში²⁶ და დაიწყო მისი დროს. მას ვერ წარმოედგინა, რომ ავღანელები მოისურვებდნენ ლაშქრობას თვით იმპერიის გულში. მაგრამ გაიგო თუ არა ავღანელების წამოსვლის ამბავი, იგი ზანგანში თუ სულთანზეში გაიქცა.

ამან ოლა ისტაპანიდან გავიდა 2 ოქტომბერს* და გაიარა თავისი ლაშქრით ქალაქებზე: ქაშანი, კუმი და სარა; მას შეხვდა დებუტაცია დიდი საჩუქრებით (პირველ რიგში ვერცხლით), რათა მიეღოთ მირ მაჰმუდის მფარველობა. სარდარმა აღუთქვა მათ თავისი პატრონის კეთილგანწყობილება, დაადასტურა გუბერნატორების დანიშვნა თავიანთ ადგილებზე, ყაზვინისაკენ გზა გააგრძელა და იმავე თვის 20-ში 3 ლივზე მიუახლოვდა ქალაქს. ქალაქის მცხოვრებლები მის შესახვედრად გამოვიდნენ, იგი საყვირების, ციმბალებისა და სხვა ინსტრუმენტების მუსიკით შეაცილეს ქალაქში. ამ დროს ისინი საჯაროდ გამოხატავდნენ თავიანთ სიხარულს.

ეს სარდარი თავისი ლაშქრის დიდი ნაწილით მეფის სასახლეში განლაგდა, ხოლო ლაშქრის დანარჩენი ნაწილი განალაგა მდიდართა სახლებში. რამდენიმე დღის შემდეგ ავღანელებმა ზოგიერთი უხეშობა ჩაიდინეს და მალე ისე შორს წავიდნენ თავისუფალი მოქმედებითა და ძალადობით მოსახლეობის მიმართ, რომ თავიანთ წინააღმდეგ აამხედრეს ადგილობრივი მოსახლეობა.

1703 წლის²⁶ 8 იანვარს ყაზვინელებმა აიღეს იარაღი და იგი ავღანელების წინააღმდეგ მიმართეს. დაუნდობლად ქლევდნენ მათ ყველგან, სადაც კი შეხვდებოდნენ: ქუჩებში, ბაზრებში, თუ საჯარო მოედანზე. პირველი ხმაურისთანავე სარდარი მოახტაცხენს და ლაშქართან ერთად გამოვიდა. გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა დიდ მოედანზე სამეფო სახლის წინ. მაგრამ სარდარმა ამან ოლამ, რომელიც მარჯვენა მხარში ისრით იყო დაჭრილი, დაინახა, რომ მისი ხალხი გააფრთხილებული მოსახლეობის დარტყმას გაექცა, ამიტომ თვითონაც გაიქცა ...ში²⁷.

* ნოემბერი

²⁶ შეცდომაა: უნდა იყოს 1723 წელი.

²⁷ ასე თავდება იოსებ ქართველის ეს „მოგონება“. იოსებ ქართველის ეს „მოგონება“ შედგება 56 ხელნაწერი გვერდისაგან. ხელნაწერ ტექსტს უკავია ვერტიკალურად ყოველი გვერდის ნახევარი (თითოეულ გვერდზე დაახლოებით 30 სტრიქონი). დაწერილია ცუდი კალიგრაფიით და მრავალჯერ შესწორებულია. „მოგონება“ ინახება საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში, პარიზში.



მიღებულია 3 აპრილს¹.

კონსტანტინოპოლი, 1725 წლის 27 თებერვალი.
ბატონი დ'ანდრეზელი².

მოწყალეო ხელმწიფევ!

მაქვს პატივი, ვენის გზით გამოგიგზავნოთ წერილების ასლები. წერილებს გიგზავნით გემებით, რომლებმაც იალქნები აუშვეს გუშინ საღამოს 6 საათზე.

არ ვიცი, მოწყალეო ხელმწიფევ, გაგაჩნიათ თუ არა სპარსეთიდან ახალი ცნობები, რაც მე ღლეს გადმომცა ერთმა სომეხმა კათოლიკემ³, რომელიც ბატონმა დე გარდანმა დროგმანად⁴ აიყვანა, როცა სპარსეთში მიმავალმა აქ გაიარა⁵.

ეს კათოლიკე თარჯიმანი ისუაპანიდან 1723 წლის ოქტომბერში წავიდა⁶. ის იყო მოწმე ისუაპანის ალყისა და მთელი არეულობისა ამ ქვეყანაში, სადაც ის კიდევ ერთი წელი დარჩა მას შემდეგ, რაც მირ მაჰმუდი იქ გაბატონდა⁷.

ბატონმა დე გარდანმა, რომელიც გამოჯანმრთელდა და რომელიც არანაკლებ კარგ ურთიერთობაში იყო მირ მაჰმუდთან (ასევე გადაყენებულ შაჰთანაც), ის (იოსებ ქართველი — ი. ტ.) გაგზავნა ჰამადანის მხარეში, რათა გაეგო, მართალია თუ არა, რომ შაჰის შვილი, შაჰ თამაზი, მეტად მნიშვნელოვანი ძალებით ისუაპანისაკენ მოდის.

საწყალი კაცი (იოსები — ი. ტ.) გაძარცვეს და მძიმედ დაჭრეს. იგი იძულებული გახდა, ვიდრე განიკურნებოდა, ისუაპანიდან 4 დღის სავალზე მდებარე ერთ-ერთ სოფელში დარჩენილიყო. გა-

¹ მიწერილია სხვა ხელით. იგულისხმება 1725 წლის 3 აპრილი.

² მარკიზ დ'ანდრეზელი—საფრანგეთის ელჩი კონსტანტინოპოლში.

³ იგულისხმება იოსებ ქართველი.

⁴ დროგმანი—თარჯიმანი. თარჯიმნების ძველი სახელწოდება კონსტანტინოპოლსა და მთელს ლევანტში.

⁵ 1716 წლის ნოემბერი—1717 წლის მარტი.

⁶ იოსებ ქართველი ისუაპანიდან 1723 წლის მარტში წამოვიდა. იმავე წლის იელისში იგი რეშტშია.

⁷ ისუაპანში მირ მაჰმუდის გაბატონების შემდეგ იოსებ ქართველი იქ მხოლოდ 6 თვე დარჩა.



იყო, რომ მას ცუდი სამსახური გაუწიეს მირ მაჰმუდის კახეთში
 იქ დაბრუნება ვერ გახდებოდა. გადაწყვიტა წასულიყო თბილისში,
 თბილისში. გაიარა კილანი, ვინაიდან ერევანი ალყაშემორტყმულ
 იყო და ამ გზით გამგზავრება ვერ შეძლო, იგი გაჩერდა არ-
 ზრუმში, საიდანაც იგი გასული წლის ნოემბერში გავიდა*.

მან მითხრა, რომ შაჰ თამაზის ელჩი, რომელიც ივნისში პორ-
 ტაში უნდა ჩასულიყო, იგი იქ დააპატიმრეს და ჩაკეტილია ციხე-
 სიმაგრეში.

მეფის ხომალდები გასამგზავრებლად მზად რომ ყოფილიყო,
 ყველა საკითხზე ზუსტ მოხსენებას მოგართმევდით, კერძოდ
 იმის შესახებ, რაც მე მან მითხრა. მაგრამ ამას გავაკეთებ,
 როგორც კი მცირე თავისუფალ დროს ვიპოვი და მასთან (იოსებ-
 თან — ი. ტ.) უფრო ვრცელი საუბარი მექნება.

მან დამარწმუნა, რომ მღვდელი მისიონერები სრულებით არ
 შეუწყობიანთ ისფაჰანში, მაგრამ იმის გამო, რომ კაპუჩინების
 სახლი მეტად ახლო იყო ისფაჰანის ციხესიმაგრესთან, ის დაანგ-
 რიეს და მის ადგილას ყაზარმები ააგეს. ამან აიძულა კაპუჩინები,
 თავი შეეფარებინათ კონსულთან. მაგრამ თბილისსა და თავრიზში
 კაპუჩინები, რომლებიც იქ საფრანგეთის მფარველობის ქვეშ არი-
 ან, თავისუფლად აგრძელებენ თავიანთ მოღვაწეობას, და რომ
 ერთ-ერთი მათგანი, სახელად მამა ჟან ბატისტი, გასული წლის ივ-
 ნისში ევროპაში გამგზავრა, თან წაიღო რა შაჰ თამაზის წერილე-
 ბი მეფესთან, პაპთან და იმპერატორთან.

მან კიდევ დასძინა, რომ საფრანგეთის კონსული შირაზში ბა-
 ტონი პადერი იმყოფებოდა ისფაჰანში ალყისა და შიმშილობის
 დროს. 1722 წლის ივნისში ორ მამა იეზუიტთან ერთად ისფაჰანი-
 დან შირაზში წავიდა. გზაში მას თავს დაესხნენ ავღანები: მამა დე-

* გაუგებარია: „გასული წლის ნოემბერი“ — ეს 1724 წლის ნოემბერი იქ-
 ნებოდა. ისფაჰანიდან: ჰამადანისაკენ მიმავალი იოსები ავღანებმა დაკრეს და
 გაძარცვეს. ეს იყო 1723 წლის აპრილის პირველ რიცხვებში. იმკურნალა. გზა ვააგ-
 რძელა; როგორც საბუთებიდან ჩანს, ის თბილისისაკენ წავიდა. იმავე წლის
 28 ივლისს იგი რეშტშია. ამის შემდეგ სად იყო იგი 1724 წლის ნოემბრამდე მთე-
 ლი ერთი წლის განმავლობაში?

ასეთი საკითხების უზუსტობაში ელჩს ბრალს ვერ დავდებთ. რასაც იოსები
 ეუბნებოდა, ელჩიც იმას იჯერებდა. ხოლო იოსები ყოველთვის ზუსტი არაა.
 მაგალითად, ერთ ადგილას იგი ამბობს, რომ ისფაჰანში ნ წელი იყო, სინამდვილეში
 მას იქ დაახლოებით ხუთი წელი მოუხდა ყოფნა.

* არ ჩანს, სად.

რუანი მოკლეს, ხოლო მეორე ბატონ პადერისთან ერთად გაიქცა.
ბატონი პადერი დაჭრეს.

მივიღე ახალი ცნობები მას შემდეგ, რაც ინდოეთიდან მოსა-
ვალმა ბატონმა ალვარეს დე დაუნვილმა ბენდერ-აბასში ნახა ბა-
ტონი პადერი.

მგონი, მოწყალეო ხელმწიფევ, უკვე მქონდა პატივი, ეს
თქვენთვის მომეხსენებინა.

ისფაპანიდან ზემოხსენებული სომხის წამოსვლის დროს ყო-
ფილი შაჰი—შაჰ ჰუსეინი, და მირ მაჰმუდი ცხოვრობდნენ ისევ იმ
სასახლეში. მაგრამ პირველს ჰყავდა ასი კაცისაგან შემდგარი და-
ცვა, კაპიტნის მეთაურობით. სასახლის მთავარი დიდებულებო
ამოხოცეს. ამ სისხლისღვრამ, ამბობენ, ბავშვებიც იმსხვერპლა. სა-
ბედნიეროდ, შაჰ თამაზი ალყის დროს წასულა, რათა ყაზვინში ჯა-
რი შეეგროვებინა.

დავშთები თქვენი უღრმესი პატივისმცემელი.

მოწყალეო ხელმწიფევ,
თქვენი უმდაბლესი და უმორჩილესი მსახური
დ'ან დ რ ე ზ ე ლ ი.

№ 3

მიღებულია 8 სექტემბერს¹.

კონსტანტინოპოლი, 1725 წლის 5 აგვისტო.
ბატონი დ'ან დ რ ე ზ ე ლ ი.

მოწყალეო ხელმწიფევ!

ეს-ეს არის საუბარი მქონდა ხსენებულ ბატონ იოსებთან, ის-
ფაპანში ბატონ დე გარდანის თარჯიმანთან, იტალიურ ენაზე შედ-
გენილი იმ მოხსენებითი ბარათის შესახებ, რომელიც მან გად-
მომცა. პატივი მქონდა 27 თებერვალს² თქვენთვის მეცნობებინა,
რომ ვადგენინებ პატარა ანგარიშს საპარსეთის უკანასკნელი რე-
ვოლუციის შესახებ. ამჟამად ადგენენ საბოლოო ტექსტს და მას
მაშინვე გამოგიგზავნით. თქვენ მასში ჰპოვებთ საკმაოდ თავისე-
ზურ ღირსშესანიშნავ ამბებს. თქვენ შეგიძლიათ ჩათვალოთ ეს ინ-

¹ მიწერილია სხვა ხელით.

² იგულისხმება აქვე მოთავსებული წერილი. იხ. საბუთი № 2.



უორმაცია უფრო სანდოდ, ვიდრე სხვა გზით მიმილია. აქვე უნდა
 ცავს ამბებს, რაც გასული წლის ბოლომდე მოხდა. მას იოლად დაე-
 მატება ის, რაც შემდგომში მოხდება და მოსალოდნელია დასას-
 რული, რაც უნდა მოხდეს საინტერესო და საგანგებო ამბების სა-
 ხით.

ხსენებული იოსები, რომელსაც იცნობდა და აფასებდა პორ-
 ტას თარჯიმანი, საქართველოს პატრიარქის ჩამოსვლისთანავე მის
 თარჯიმნად დანიშნეს. ის თვითონ არის ქართველი და ეს ხელსაყ-
 რელ პირობებს შეუქმნის, რათა საქართველოში საპატიო თანამ-
 დებობაზე დაბრუნების საბაბი მიეცეს. უკვე ხუთი თვეა, რაც იგი
 უმუშევარია. მე მას ამ დროის განმავლობაში ვეხმარებოდი და
 მისგანაც მადლობას მიველოდი — როცა ის თბილისში დაბრუნ-
 დებოდა, მომაწვდიდა ცნობებს, რათა მქონოდა ინფორმაცია იმა-
 ზე, თუ რა ხდებოდა ამ მხარეში.

მე ის დიდი ხანია არ მინახავს, ვინაიდან ის თარჯიმანია
 საქართველოს პატრიარქისა, რომელიც დაბინავებულია კონსტან-
 ტინოპოლის განაპირა რაიონში და არ აძლევს მას საშუალებას,
 მოშორდეს. მან დამიდარტურა დაახლოებით ყველაფერი ის, რაც
 მე თქვენ მოგახსენეთ როგორც მაჰმუდის³ სიკვდილის შესახებ,
 ისევე იმ წარმატებებზე, რომელიც შაჰ თამაშმა მოიპოვა. ეჭვი
 ეპარებათ, რომ იგი ისფაჰანში შევა და სპარსეთის ერთადერთ კა-
 ნონიერ შაჰად იქნება აღიარებული. სეფი მირზამ კი, როგორც ამ-
 ბობენ, შირაზში თავი გამოაცხადა გარდაცვლილი შაჰ ჰუსეინის
 შვილად და შაჰ თამაშის უფროს ძმად. ეს მან (იოსებმა — ი. ტ.)
 მითხრა; იქნებ ტყუილია. თურქები მეტად კმაყოფილი არიან, რომ
 ისეთი ხმები, რომელიც ვრცელდებოდა ისფაჰანის ალყის დროს,
 ასლა განახლდა. სპარსეთის საქმეების არეულობა სტიმულს მის-
 ცემდა ჯარებს უფრო ხალისიანად წასულიყვნენ თავრიზის ალყის
 შემოსარტყმელად; სპარსელებს შორის განხეთქილება მათ გაუად-
 ვილებდათ ამის გაკეთებას.

მართალია ის, რომ შაჰ ჰუსეინის მეორე შვილს ჰქვია სეფი,
 მაგრამ ის არასოდეს გამოსულა ისფაჰანის სასახლიდან. გიულნა-
 ბადის ბრძოლაში სპარსელების დამარცხების შემდეგ მირ მაჰმუდს
 შესაძლებლობა მიეცა, ისფაჰანისათვის შეეტია. შაჰ ჰუსეინმა სა-
 ჭიროდ ჩათვალა, თავის მემკვიდრედ გამოეცხადებინა ის, რომე-
 ლიც შესძლებდა წასულიყო და თავისი ჯარების ნარჩენებს ყაზვი-
 ნის მხარეში სათავეში ჩასდგომოდა.

³ ამ დროისათვის მირ მაჰმუდი უკვე გარდაცვლილია. მის ადგილზე აშრაფი დაჯდა.



აბას მირზა, თავისი ოთხი ვაჟიდან უფროსი, გამოიყვანა ჰარამხანადან და მისი მამისა და სისასტიკის თვისებები გამოიჩინა: მაშინვე მოითხოვა არაბეთის მეფისა და რამდენიმე მთავარი მინისტრისათვის თავები მოეჭრათ მამამისმა იგი კვლავ ჰარამხანაში დააბრუნა⁴.

შემდეგ მეორე შვილი — სეფი მირზა, გამოიყვანეს ჰარამხანადან. მაგრამ, რამდენადაც ის მეტად შეუძლოდ იყო, ცხენზე შეჯდომაც კი არ შეეძლო, თვითონვე ბოღიში მოიხადა და უკანვე დაბრუნდა.

მესამე შვილზე ლაბარაკი ზედმეტი იყო. იგი იყო სუსტი გონების და რაიმე სასარგებლოს გაკეთება არ შეეძლო. და, ბოლოს, მეოთხე — თამაზ მირზა, რომელზედაც შაჰ ჰუსეინმა და მისმა საბჭომ არჩევანი შეაჩერეს. შაჰ ჰუსეინის ოთხი ვაჟიდან ერთადერთი ეს დარჩა, რომელიც მთელმა სპარსეთმა აღიარა, როგორც ნამდვილი, წინდაწინ დანიშნული მემკვიდრე. სამმა სხვა შვილმა გაიზიარა მამის ბედი და მირ მაჰმუდის განკარგულებით დახოცეს.

აი, მოწყალეო ხელმწიფევე, რაც შემიალია კიდევ დაუშვატო წერილს, რომელიც ბატონ დიუბურისათვის უკვე მოვამზადე. ვიმყოფები და ა. შ.

დ ა ნ დ რ ე ზ ე ლ ი

№ 4

ბატონი დანდრეზელის 1725 წლის 8 აგვისტოს წერილით¹. 100².

სპარსეთი.

1724 წლის დეკემბერი³

მოხსენებითი ბარათი სპარსეთში უკანასკნელი რევოლუციის შესახებ დაწყებიდან 1724 წლის ბოლომდე

ავღანები იყოფიან ორ ტომად, რომელთაგან უფრო მრავალრიცხოვანს და უფრო ძლიერს ეწოდება კლიყი. ეს ტომი ცხოვრობს ყანდაჰარის სამეფოში; ხოლო მეორე, რომელსაც ეწოდება აბდალანი, ცხოვრობს ჰერათის სამეფოში.

⁴ სხვა წყაროებში ნათქვამია: შეშინებულმა არაბეთის მეფემ და სხვა დიდებულებმა, რომლებიც ასევე მის რისხვას ვერ გადაურჩებოდნენ, შაჰს იგი ჰარამხანაში დააბრუნებინეს.

¹ მიწერილია სხვა ხელით. „1725 წლის 8 აგვისტო“, შაშლილია.

² აღბათ; დოკუმენტის რიგითი ნომერია.

³ მიწერილია სხვა ხელით.

à la lemmet, et d'André, et de ~~André~~ ~~André~~

08.10.00
2000.11.00.00

Forse
1744
Lembre

MEMOIRE sur la
démocratie Révolution de Liron jusqu'
à la fin de l'année 1744.

On attribua pour l'instant en deux Tribus
dont la plus nombreuse et la plus puissante
nommée Ougi habite le Royaume de Bondakou
et l'autre nommée Abdalou, le Royaume de
Liron.

Puis la fin du dernier siècle les Ougis ayant
fait leur jonction dans le Royaume de Bondakou
les Abdalou qui ne se souvenaient point avoir
fait pour eux en chasser un autre recourut à l'abbé
le Grand qui s'étant mis à la tête d'une puissante
armée obligea en peu de temps les Ougis à se
retirer.

Les Ougis par reconnaissance, soit par besoin
de protection les Abdalou délaissèrent de leur
monarchie se rendant tributaires de l'abbé
le Grand, la seule condition qu'ils exigèrent de luy
fut qu'il ne pût en nommer de Liron
à la tête du Royaume de Bondakou, mais que son
dignité leur toujours conférée à son Abdalou.





სახურებას იმ ადამიანის წინაშე, რომლის მოსპობაც მან უკვე და-
 ფიცა. საჩუქრებით მან მიაღწია იმ ადამიანების კეთილგანწყობას,
 რომლებსაც ხანი უსმენდა. მორჩილებისა და პირფერობის საშუა-
 ლებით მან მისი ნდობაც მოიპოვა. როცა დარწმუნდა, რომ ყველა-
 ფერი მზად იყო, დააჩქარა თავისი გეგმის განხორციელება. მან
 საიდუმლოდ გასცა განკარგულება კლიეის ერთ-ერთ ტომს, რომე-
 ლიც ტირინში ცხოვრობდა, უარი ეთქვა ჩვეულებრივი გადასახა-
 დის გადახდაზე. ამ დაუმორჩილებლობით აღშფოთებულმა ხანმა
 ამ ტომის წინააღმდეგ სამი ათასი ქართველი გაგზავნა. მირ ვეის-
 მა, რომლის მიზანი იყო ამ ქარების ჩამოშორება, გააორკეცა ბე-
 ჩითობა და გულმოდგინება. მან კარგად შესძლო ყოველგვარი ეჭ-
 ვი გაეფანტა. თავისი პარტიის ორი ლიდერის რეაბილიტაციის სა-
 ბაბით, რომლებიც ხანის წინაშე ჯერ არ წარმდგარან, დაითანხმა
 ხანი მასთან, მის კარვებში, სადილზე მისულიყო.

იმ დღეს, როდესაც ეს დიდი საქმე უნდა მომხდარიყო, გუ-
 ბერნატორმა თავისი ამალით დატოვა ყანდაპარი დაახლოებით დი-
 ლის 8 საათზე და გაემართა ბანაკისაკენ, რომელიც სპეციალურად
 მირ ვეისის სოფელში, ერთ-ერთი სახლის ახლოს, მოაწყეს. იქ ის
 მიიღეს დიდი პატივითა და მორჩილებით. ცოტა ხნის შემდეგ გა-
 შალეს შესანიშნავი სუფრა და უხვად მიართვეს რჩეული ღვინო,
 რომელმაც ხანი კარგ ხასიათზე დააყენა. მან ამ კარავში დაიბინა,
 ზოლო მისი ამალის წევრები ავღანელ მთავართა კარვებში განლა-
 გეს. როგორც კი სპარსელებს ჩაეძინათ, წინდაწინ დათქმული სიგ-
 ნალის თანახმად, ყველა ისინი ამოხოცეს. ხანსაც იგივე ბედი ეწ-
 ვია. ამბობენ მხოლოდ, რომ იგი ხმაურმა გააღვიძა, სტაცა ხელი
 ხმალს და სანამ თვითონ დაილუპებოდა, დახოცა რვა კაცი იმათ-
 გან, ვისაც დავალებული ჰქონდა მისი მოკვლა.

ამ მკვლევლობის შემდეგ მირ ვეისმა გასცა განკარგულება, და-
 ზოცილთათვის ტანისამოსი გაეხადათ, ჩამოურიგა მათი ტანისამო-
 სი და ცხენები თავისი მომხრეებიდან ყველაზე უფრო მამაცებს.
 მირ ვეისი, ხანის ტანისამოსში გამოწყობილი და ხანის ცხენზე
 შემჯდარი, იმავე წესით, რომელსაც ხანი ჩვეულებრივად იცავდა,
 განდაპარისაკენ გაემართა. მზის ჩასვლისას მან მიაღწია ქალაქის
 კარიბჭეს. ციხესიმაგრის დაცვას, რომელიც გუბერნატორს ელო-
 დებოდა, რათა იგი შემოეშვა, ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ სწორედ
 ხანი მოვიდა და გაატარა იგი. დაცვა ამოხოცეს მანამ, სანამ იგი თა-
 ვის შეცდომას მიხვდებოდა. ამრიგად, ავღანები ციხესიმაგრეში
 დაუბრკოლებლად შევიდნენ. პირველივე ხმაურისთანავე წინაღ-



ლით ქალაქში შემოპარულმა მათი ეროვნების ადამიანებმა, წინაშე
 ნელოვანმა რიცხვმა ხელში იარაღი აიღო და გარნიზონს
 მოულო.

ყანდაპარის ბატონ-პატრონმა მირ ვეისმა შეკრიბა ქალაქის
 თავკაცები და მათ წინაშე ყურანზე დაიფიცა, რომ თავის გამე-
 ფებას არავითარი კავშირი არ ჰქონდა იმასთან, რაც მან გააკეთა;
 რომ მისი ერთადერთი მიზანი იყო, თავისი ერი გამოეყვანა სპარ-
 სეთის მონობიდან, რაშიც ასე დიდი ხნის განმვალობაში იგი იტან-
 ჯებოდა. ამასთანვე, მისი მიზანი იყო არა ზარალი მიეყენებინა მო-
 სახლეობისათვის, არამედ, პირიქით, მან თავის ლაშქარს აუკრძალა
 ყოველგვარი ძალადობა მოსახლეობის მიმართ. შემდეგ მან მის-
 თვის დამახასიათებელი მკერმეტყველებით დაყენებით მოუწოდა
 ხალხს, შეერთებოდნენ მას სამშობლოსა და თავისუფლების და-
 ცვის საქმეში.

დამსწრებმა ერთხმად შესძახეს, რომ ისინი სიამოვნებით შეს-
 წირავენ თავიანთ სიცოცხლეს და ქონებას ასეთ სამართლიან საქ-
 მეს. ამასთანვე მას დაჟინებით სთხოვდნენ, ხელთ აეღო ის საქმე,
 რომელიც მან ასე საბედნიეროდ დაიწყო. მირ ვეისმა ეს თხოვნა
 შეასრულა. მან თავიანთ ადგილებზე დააყენა რა დაცვა, გასცა გან-
 კარგულება ემზადებინათ დენთი და არაფერს იფიქრებდა იმისა-
 თვის, რათა სისრულეში მოეყვანა ქალაქის გამაგრების საქმე.

გურგინ ხანის მოკვლიდან სამი დღის შემდეგ ტირინის ტო-
 მის წინააღმდეგ გაგზავნილი სამი ათასი ქართველი დაბრუნდა. მათ
 არაფერი იცოდნენ იმის შესახებ, რაც მოხდა ყანდაპარში. ისინი
 ნადავლით დატვირთულნი ციხესიმაგრეს მიუახლოვდნენ, მაგრამ
 რაკი მათ ზარბაზნების სროლით შეხვდნენ, მიხვდნენ, რომ ქალა-
 ქი უკვე სხვის ხელში იყო, ამიტომ უკან დახევა გადაწყვიტეს.

მირ ვეისმა ისარგებლა ამ მომენტით, შეაგულიანა თავისი
 ლაშქარი, თვითონ სათავეში ჩაუდგა 12 ათასიან არმიას და წავიდა
 ქართველების წინააღმდეგ. მაგრამ ბედმა ვერ გაუმართლა, ვერ გა-
 ნახორციელა თავისი ჩანაფიქრი. ამ ბრძოლაში დაკარგა რა 5 ათა-
 სი კაცი, იძულებული გახდა უკან დაეხია. ქართველებმა გზა გა-
 აგრძელეს, გადავიდნენ ზეზის უღელტეხილზე, გასცილდნენ იმ
 ციხესიმაგრეებს, რომლებიც ყანდაპარს იცავენ. აქედან კი ისინი
 თავიანთი ქვეყნისკენ გაემართნენ.

მირ ვეისის აჯანყებისა და მის მიერ ყანდაპარში გაბატონების
 შესახებ ისტაჰანში ცნობის მისვლამ მთელ შაჰის სამეფო კარზე
 სასოწარკვეთილება გამოიწვია. შეიკრიბა სახელმწიფო საბჭო და

ვადაწყვიტა, რომ ამბოხებულთა წინააღმდეგ სალაშქროდ დრძილ არმიას თვითონ შაჰი ჩაუდგებოდა სათავეში. ამ გადაწყვეტილებას შაჰის თანახმად შაჰ ჰუსეინმა პროვინციის გუბერნატორებს დაუფრთხილებინა ზავნა განკარგულებანი, გაეგზავნათ თავიანთი ჯარები მეშხედში, რომელიც ჯარების თავმოყრის ადგილად იქნა დანიშნული. თვითონ შაჰიც გაემართა ამ ადგილისაკენ.

ზორასნის დედაქალაქი მაშხადი ანუ მეშხედი ცნობილია იმამ რეზას — ალის 12-დან ერთ-ერთი მიმდევარის, მაჰმუდის სიძის საფლავის გამო. სპარსელები დიდი თაყვანისცემით ეპყრობიან ამ საფლავს. ყოველი მხრიდან უამრავი ხალხი მიედინება მისკენ. ამ ლეთაებრივი აქტის შესრულებით კმაყოფილ შაჰს დაავიწყდა თავისი თავდაპირველი ჩანაფიქრი, დატოვა ეს ქალაქი და თავის დედაქალაქში დაბრუნდა. სწორედ ამ დროს საფრანგეთის საგანგებო დესპანი მიშელი ისფაჰანში ჩავიდა⁶.

ასეთი სისუსტის, თუ სიმხდალის გამოჩენა შაჰ ჰუსეინს თავისი გვირგვინის დაკარგვად დაუჭდა.

ყანდაპარისაკენ შაჰის წამოსვლის ამბავით შეშინებულმა ავღანელებმა დატოვეს ქალაქი ყანდაპარი, ციხესიმაგრე და თავიანთი ოაჯახებით ინდოეთის საზღვრებისკენ, მთებში, წავიდნენ, მაგრამ გაიგეს რა მეშხედიდან შაჰის უკან დაბრუნების შესახებ, მიაწერეს ასეთი ნაბიჯი მხოლოდ სპარსელების სისუსტეს, ისინი ადგლზე დაბრუნდნენ იმ განზრახვით, რომ ამიერიდან ასე იოლად განგამს არ აპყვებოდნენ⁷.

⁶ იოსებ ქართველი თავის „მოგონებაში“ აღნიშნავს, რომ შაჰ ჰუსეინი მეშხედში ჩავიდა 1707 წელს. მაგრამ ამ დროს გიორგი ცოცხალი იყო, მირ ვეისი კი ისფაჰანში იმყოფებოდა. ამრიგად, მეშხედში შაჰ ჰუსეინი იმამ რეზას საფლავის თაყვანისცემის მიზნით ჩავიდა და არა ყანდაპარში სალაშქროდ. ამის საჭიროება მაშინ არ იყო. საფრანგეთის ელჩისადმი იოსების მიერ წარდგენილი „ანგარიშის“ მიხედვით ეს უზუსტობა საელჩოს მიერ პარიზში გაგზავნილ „მოხსენებით ბარათში“ შევიდა. მაგრამ ამ „მოხსენებით ბარათში“ დამატებით ნათქვამია: ამ დროს ისფაჰანში „საფრანგეთის საგანგებო დესპანი მიშელი ჩავიდა“. ლუი მიშელი კი ისფაჰანში 1708 წელს ჩავიდა (იხ. ი. ტ ა ბ ა ლ უ ა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, გვ. 239). ამრიგად იოსების „მოგონებაში“ და „ანგარიშში“ მოთხრობილი ეს ამბავი (შემდგომში „მოხსენებით ბარათში“ შესული) მოხდა ყანდაპარში გიორგის მკვლელობამდე, ხოლო ამ მკვლელობის შემდეგ შაჰ ჰუსეინს რომელიმე ლაშქრობის სათავეში ჩადგონა თავისთავზე არ აუღია.

⁷ ეს უზუსტობაც იოსების „მოგონებიდან“ და „ანგარიშიდან“ მოდის. ცხადაა, რომ გიორგის მკვლელობის შემდეგ მირ ვეისს და მის ხალხს არამცთუ ყანდაპარი არ დაუტოვებიათ, არამედ დღღღამე ქალაქის გამაგრებითა და სპარსელების შესახვედრად მზადებით იყვნენ დაკავებული.



შპ ჰუსეინი გრძნობდა, რომ მას უნარი ვერ შესწევდა ავღანელების წინააღმდეგ ომს სათავეში ჩასდგომოდა, ამიტომ მაგარამ ჯარების გენერალისიმუსად ხოსრუ-ხანი (ქაიხოსრო—ი. ტ.) დანიშნა⁸.

ეს სარდალი იყო ძმისშვილი გურგინ ხანისა, რომელიც მირ ვეისმა თავის კარავში მოაკვლევინა. ერთიც და მეორეც ქართველები და დაბადებიდან რომაული კათოლიკური რწმენისა იყვნენ. მაგრამ გურგინ ხანმა მაჰმადიანობა მიიღო, ხოსრუ ხანი, პირიქით, კათოლიკური სარწმუნოებისადმი იმდენად თავდადებული იყო, რომ ყანდაჰარის ალყის დროს მან განკარგულება გასცა მის კარავში ლოცვა ჩაეტარებინათ. ამისათვის მას თან წამოყვანილი ჰყავდა სამი ფრანგი მღვდელი.

დანიშნვიდან რამდენიმე დღის შემდეგ ქაიხოსრო ისფაჰანიდან გაემგზავრა და მეშხედში ჩავიდა. აქ მას სხვადასხვა პროვინციიდან მოსული 40 ათასიანი ლაშქარი დახვდა. იგი ამ ჯარს სათავეში ჩაუდგა და ყანდაჰარისკენ გაემართა მტკიცე გადაწყვეტილებით: შური ეძია ბიძამისის სიკვდილისათვის.

მისი ჯარების მიახლოებისთანვე მირ ვეისმა დატოვა ზებოლის ხეობების გამაგრებული ადგილები და შეეცადა, ქაიხოსროს ლაშქარი შეეჩერებინა ამ ადგილიდან სამ ლიეზე ერთ-ერთი დიდი მდინარის გადასასვლელთან. მაგრამ სპარსეთის კავალერიამ სწრაფად გადალახა მდინარე, ავღანების წინაშე აღმოჩნდა და აიძულა ისინი, გაფანტულიყვნენ. სპარსელებმა გზა განაგრძეს ყანდაჰარისაკენ. საშინელ მდგომარეობაში მყოფმა ავღანებმა მოწინააღმდეგეს შესთავაზეს ქალაქის ჩაბარება იმ პირობით, რომ მათთვის შეენახარჩუნებინათ სიცოცხლე და ქალაქი არ გაეძარცვათ. მაგრამ წარმატებით გაამაყებულ ქაიხოსროს არავითარი კაპიტულაციის მიღება არ სურდა. მაშინ მათ გადაწყვიტეს ძვირად დაეფასებინათ თავიანთი სიცოცხლე და თავისუფლება.

ამასთანვე, მირ ვეისის ლაშქარი ყოველდღე იზრდებოდა. ბოლოს მან მნიშვნელოვანი დახმარება მიიღო ბელუჯებიდან და ტირენიდან — ტომებიდან, რომლებიც განაპირა რაიონებში ცხოვრობდნენ. მან დაიწყო დაბლობი ადგილების განადგურება, რათა ქაიხოსროსთვის წაერთმია ამ ადგილებიდან პროდუქტებისა და ფურაჯის მიღების საშუალება. ეს ჩანაფიქრი მას კარგად გამოუ-

⁸ ყანდაჰარში ქაიხოსროს ლაშქრობამდე სპარსელების მხრიდან ავღანელების წინააღმდეგ რამდენიმე სხვა უშედეგო ლაშქრობა მოეწყო.



ვიდა. მალე შიმშილით და ალყით თავმოებურებულმა სპარსელებმა დაიწყეს მასიურად ქალაქის დატოვება. რამდენიმე დღის შემდეგ დეგ ქაიხოსრომ დაინახა, რომ მისი არმია ნახევარზე უფრო შემცირდა. მან გადაწყვიტა ალყა მოეხსნა, მაგრამ მან ეს გადაწყვიტა მეტად დაგვიანებით. მირ ვეისმა, რომელიც 16 ათასი კაცით ქალაქის დასახმარებლად მიიწვედა, მას ბრძოლები გაუმართა. სპარსელები გაიქცნენ. ქაიხოსროს ყოველგვარი ცდა, ისინი მოებრუნებინა, უშედეგო იყო. ქაიხოსრომ ვერ აიტანა ერის სირცხვილი, ეკვეთა მოწინააღმდეგეს ორასი ქართველით, რომლებიც მის არმიას იყვნენ. მათ არ შეეძლოთ ლაჩრულად დაეტოვებინათ თავიანთი სარდალი, რომელიც მტრის შუაგულში ასე მამაცურად და შეუპოვრად იბრძოდა. იგი მოკლეს. მან ერთდროულად რამდენიმე დარტყმა მიიღო. ამ წარმატებამ ავღანელებს ძალა შეჰმატა. ავღანელებს უზბეკები შეუერთდნენ. ამის შემდეგ ის, რისი გაკეთებაც შეეძლო ქაიხოსროს შემცველელ ახალ სარდალს — ეს ის იყო, რომ ამ გაერთიანებული ძალების შემოსევას სპარსეთის საზღვარზე წინ აღდგომოდა.

ამ დროს მირ ვეისი გარდაიცვალა. მისი შვილი მირ მაჰმუდი 18 წლის იყო, ამიტომ სამეფოს რეგენტობა მირ ვეისის ძმას—მირ აბდულას, დაავალეს. ამ უკანასკნელში ეჭვი შეიტანეს, თითქოს, თავისი მმართველობის უზრუნველყოფისა და მირ მაჰმუდის საწინააღმდეგოდ მას უნდოდა ყანდაჰარი კელაე სპარსეთის ბატონობისათვის დაემორჩილებინა. მირ მაჰმუდმა მას დაასწრო: თავის 40 მეგობართან ერთად ერთხელ, დღის მეორე ნახევარში, იმ დროს, როდესაც ბიძამისს ეძინა, შეიპარა ოთახში და იგი ხმლით მოკლა. შემდეგ მირ მაჰმუდი წარდგა ხალხის წინაშე. ერთსულოვანი თანხმობით იგი ყანდაჰარის მეფედ გამოაცხადეს. ამ დროიდან მან ჭკეყნის მართვა დაიწყო.

1717 წელს სპარსეთის მონარქიამ მეორე მნიშვნელოვანი მარცხი განიცადა. ეს იყო ჰერათის სამეფოს დაკარგვა. გვარეულობა, რომელსაც შაჰ აბას დიდმა ამ გუბერნიის მმართველობა ჩააბარა, ამოწყდა. ამიტომ აქ ხანებს შაჰის მემკვიდრეები ნიშნავდნენ. 1717 წელს მაჰმუდ ზამანმა, რომელსაც იქ ხანის პოსტი ეკავა, განუწყვეტელი ბოროტმოქმედებით უკიდურესობამდე მიიყვანა ხალხის მოთმინება. ჰერათის მცხოვრებლებმა, ყანდაჰარის მცხოვრებლების მაგალითისამებრ, გადაწყვიტეს გადაეგდოთ მაჰმუდ ზამან ხანის მმართველობა და დამოუკიდებელი გამხდარიყვნენ. ამ წამოწყების მეთაურად მათ ეზადულაჰი აირჩიეს — სრული ღირსებისა



და ფრიად კარგი ქცევის ადამიანი. ორი ათასი კაცის სათავეში მდგარმა პირველი დარტყმით განდევნა მაჰმუდ ზამანოვი, გახლავთ რათის ბატონ-პატრონი და ხალხის მიერ მბრძანებლად იქნა გამოცხადებული. სხვა ქალაქებსა და ციხესიმაგრეებში გაიგეს რა ამის შესახებ, ამოხოცეს ან განდევნეს სპარსელთა გარნიზონები. ამრიგად, სამ თვეზე ნაკლებ დროში სპარსელებმა მთელი ჰერათის სამეფო დაკარგეს.

ამ ამბებით აღშფოთებული შაჰ ჰუსეინი გაემგზავრა ყაზვინში, სადაც დაიწყო მზადება ახალ ამბოხებულთა წინააღმდეგ. ის ფაჰანის გუბერნატორი სეფი ყული ხანი, მეტად მკაცრი ადამიანი, ახალ ექსპედიციას სათავეში ჩაუდგა. 30 ათასიანი ლაშქრით იგი ჰერათში შეიჭრა. პირველად შეხვდა 12 ათას უზბეკს, რომელთაც კავშირი დაამყარეს ჰერათელებთან და მათ დასახმარებლად მიდიოდნენ. სპარსელებმა გაანადგურეს ისინი. ამ პირველმა წარმატებამ ძალა შემატა სპარსელებს, მაგრამ მათი იმედები არ გამართლდა, ვინაიდან ეზადულაჰმა, 15 ათასიანი ლაშქრის სათავეში მდგომმა, მათ ბრძოლა გაუმართა. ყველაზე გადამწყვეტ მომენტში სპარსელმა მეზარბაზნეებმა შეცდომით მიზანში თავიანთი საკუთარი ჯარები ამოიღეს. ამ ამბებით გაკვირვებული მეამბოხეები გონს მოვიდნენ და ისარგებლეს სპარსელების არეულობით. სეფი ყული ხანი მოკლეს. რვა ათასი მისი მებრძოლი ბრძოლის ველზე დარჩა, ხოლო დანარჩენი უწესრიგოდ გაიქცა, რომლებსაც გამარჯვებულები მთელი დღის განმავლობაში მისდევდნენ. გამარჯვებულებმა ზელთ იგდეს სპარსელების აირალი, კარვები, ოცი ზარბაზანი და სამეფო ხაზინა. ეს ბრძოლა 1719 წელს მოხდა.

ამასთანვე, მირ მაჰმუდი ემზადებოდა იმ პროექტის განახორციელებლად, რომელიც მამამისს ჰქონდა ჩაფიქრებული: სპარსეთის მონარქიის დამხობა. ამრიგად, 1720 წელს მან შეაგროვა 10 ათასი კაცი და ლაშქრობას შეუდგა. 15 დღის განმავლობაში გადალახა უდაბნო, სადაც 2 ათასი კაცი დაკარგა, დარჩენილი ლაშქრით წინააღმდეგობის გარეშე შეიჭრა ქირმანის პროვინციაში.

მირ მაჰმუდის ლაშქრის ხმაურის გაგონებაზე პროვინციის გუბერნატორმა, რომელსაც მტრის დასაპირისპირებლად საკმაო ძალები არ ჰყავდა, გადაწვიტა, უკან დაეხია. ამრიგად, მირ მაჰმუდმა წინააღმდეგობის გარეშე დაიკავა ქალაქი. იგი იქ რამდენიმე თვე დარჩა და ჩაიდინა გაუგონარი სიმკაცრე როგორც მცხოვრებლების, ისე ინდოელი ვაჭრების მიმართ. მათი ერთი ნაწილი წამებით დახოცა, სხვებს ქონება წაართვა და სიმდიდრით დატვირთული უკან



ვე წავიდა იმ განზრახვით, რომ უფრო მრავალრიცხოვანი დაბრუნებულიყო.

იმ დროს, როდესაც მირ მაჰმუდი ქირმანს ძარცვავდა, სპარსეთის მთავარსარდალი ლუტფ ალი ხანი 20 ათასიანი ლაშქრით მასკატელებისაგან სპარსეთის ყურის ნაპირებს იცავდა. არაბეთის ამ ხალხმა — მასკატელებმა, კუნძული ბაჰრეინი დაიკავეს*. ისინი იბუქრებოდნენ ამ ზღვაზე უმნიშვნელოვანესი ნავსადგურის — ბენდერ-აბასის დაკავებით და სპარსეთში შეჭრით. სპარსელებმა, რომლებსაც ხომალდები არ ჰქონდათ, პორტუგალიელებს შესთავაზეს მნიშვნელოვანი თანხა, რათა მათ ხომალდებს სპარსეთის ჯარები გადაეყვანათ სპარსეთის ყურის მოპირდაპირე ნაპირზე. პორტუგალიელების წინადადებით გოას ვიცე-მეფემ მათ გაუზავნა ფლოტი, რომელიც შედგებოდა 4 ხომალდისა და 15 ფლუტის⁹ ან სხვა ნავისაგან. სპარსელმა სარდარმა დიდი პატივით მიიღო ამ ხომალდების ოფიცრები, მაგრამ დაინახა რა, რომ ამ ფლოტს არ შეეძლო წინაღობა მასკატელების ფლოტს, უარი თქვა დათქმული თანხის გადახდაზე, თუმცა უკანასკნელთ ალუთქვეს, გოადან დამატებითი ძალები გამოეგზავნათ.

ამასობაში მოწინააღმდეგე, რომელიც საქმის კურსში იყო, გვიდა ზღვაზე და მიადგა სრუტეს, სადაც პორტუგალიის გემებმა ღუზა ჩაუშვეს. ბრძოლა დაიწყო. პორტუგალიელებმა დაკარგეს რამდენიმე ხომალდი, უკან დაიხიეს და, ისარგებლეს რა ღამის წყვილიადით, შეუჩერებლად პირდაპირ გოაში დაბრუნდნენ.

ეს ამბები იყო მიზეზი, რომ სპარსელები შეთანხმდნენ მასკატელებთან. ამ უკანასკნელებმა სპარსელებს დაუბრუნეს კუნძული ბაჰრეინი 160 ათასი ეკიუს საფასურად და დაზავებას ხელი მოაწერეს. ეს მოხდა 1721 წელს.

იმავე წელს შაჰმა ბრძანა თავისი ეთემად ად-დოულე ფატ ალი ხანისათვის თვალები დაეთხარათ. ექვი მიიტანეს, თითქოს, იგი ისფაჰანში შაჰის საბჭოს გადაწყვეტილებების საწინააღმდეგოდ ამბოხებულებთან კავშირში იყო. მალე ამის შემდეგ ლეკებმა, ხალხმა, რომელიც კასპიის ზღვის ჩრდილოეთით, კავკასიის მთებში ცხოვრობს და ორი წლის წინათ სპარსეთის ბატონობისა-

* ტექსტის ავტორის შენიშვნა: ეს იმ კუნძულის ახლოა, სადაც მარგალიტის მოპოვება წარმოებს.

⁹ ფლუტი — სამხედრო ხომალდების ერთ-ერთი სახეობა, რომელსაც ადრე სამხედრო ინვენტარის ან ჯარის ნაწილების გადასაყვანად იყენებდნენ.



გან განთავისუფლდა, შეკრიბეს 40 ათასიანი ლაშქარი და აღსრულდა მისი მისია. 25 დღის შემდეგ შეიკრიბნენ ქალაქში მიწისქვეშა გასასვლელით, რომელიც მათ უჩვენეს მათივე სექტის მიმდევრებმა. ქალაქში შეკრიბები გაუსწორდნენ გუბერნატორს, გარნიზონს, ქალაქი ცეცხლსა და სისხლში გახვიეს. გადარჩნენ მხოლოდ მუსულმანთა ის სახლები, რომლებიც ლეკების სარწმუნოების სექტის წარმომადგენლებს ეკუთვნოდნენ.

ამ ახალმა ამბავმა სპარსეთის შაჰის კარი უდიდესი დარღით აღავსო. საყოველთაო შიში კიდევ უფრო გაიზარდა საშინელი ამბებით: ათი დღის განმავლობაში ჰორიზონტი დაფარული იყო მხოლოდ ერთნაირი მოწითალო ღრუბლებით. მზე არ ჩანდა, მაგრამ მისი სხივები, რომლებიც რამდენიმე ადგილას გაჰყვებოდნენ ზოლმე ღრუბლებს და იქ, სადაც აირეკლებოდნენ, გეგონებოდათ სისხლის კვალს ტოვებდნენ. ასტროლოგები, რომლებსაც რჩევისათვის მიმართეს, უკიდურეს უბედურებას წინასწარმეტყველებდნენ. შაჰი, რომელიც ხედავდა, რომ ზეცაც მისი წინააღმდეგია, ფიქრობდა მხოლოდ ღვთის რისხვა შეენელებინა. მან აკრძალა თამაშობები, დღესასწაულები, განდევნა როსკიბი ქალები, გასცა განკარგულებები, ემარხულათ და ელოცათ. რელიგიის წარმომადგენლები საჯაროდ მოედანზე წირავდნენ და ხალხს ხმამაღლა მოუწოდებდნენ, რათა ლოცვითა და მოთმინებით აეცილებინათ ღვთის რისხვა ქალაქისაგან, რომელიც საშიშროების წინაშე იმყოფებოდა.

ყველაზე უფრო პატივმოყვარემ და ყველაზე უფრო საშიშმა მირ მაჰმუდმა, სარგებლობდა რა შექმნილი ვითარებით, ამბოხებულთა ბელადებთან ერთად გადაწყვიტა ისფაჰანი დაეპყრო. ამ მიზნით მან შეაგროვა მთელი თავისი ჯარი და ნოემბრის თვეში¹⁰ 20 ათას ფანატიკოსს სათავეში ჩაუდგა. იგი შეიჭრა უდაბნოში. ამ ძნელი გადასასვლელის შიშით იგი მიატოვა ორი ათასმა თავისიანმა, ხოლო უდაბნოს გადასვლის დროს ოთხი ათასი კაცი დაკარგა.

იგი ჯიუტად მიჰყვება თავის განზრახვას, იღებს შეტევით და ცეცხლსა და სისხლში ახვევს ქალაქ ქირმანს, ლებულობს 50 ათას ეკიუს ციხესიმაგრისაგან, რათა უკან წავიდეს. არაფრის წინაშე უკან არ იხევს, რათა დააჩქაროს თავისი გეგმის განხორციელება; 25 დღის განმავლობაში იგი უკან ტოვებს რამ-

¹⁰ ივლისსებმა 1721 წლის ნოემბერი.

დენიმე ქალაქს, ციხესიმაგრეს და ბოლოს მხოლოდ 12 ან 13 კაციით ისტაჰანიდან ოთხი დღის სავალზე ჩერდება.

ეთემად აღ-დოულემ გაიგო რა ავღანთა მოახლოების ამბავი, გასცა განკარგულება, შეეთავაზებინათ მირ მაჰმუდისათვის 300 ათასი ეკიუ, რათა ის არ შექრილიყო ისტაჰანის პროვინციის ტერიტორიაზე. მაგრამ ამ სარდარმა დააბრუნა დეპუტაცია უპასუხოდ და სწრაფად განაგრძო გზა გიულნაბადამდე — დასახლებული ადგილი, რომელიც ქალაქიდან დაშორებულია მხოლოდ 3 ლიეთი. იგი ბანაკად დადგა თავისი ლაშქრით. მირ მაჰმუდი დარწმუნებული იყო, რომ სპარსელები არ დააყოვნებდნენ და თავიანთი ბრბოთი საომრად გამოვიდოდნენ.

1722 წლის მარტს, კვირას, მონარქიის საბედისწერო დღეს, სპარსეთის არმიამ დატოვა თავისი გამაგრებული ადგილები. იგი შედგებოდა ოთხი ათასი ქვეითისაგან, რომელიც ითვლებოდა შაჰის ქვეით დაცვად, და 18 ათასი გლეხისაგან ისტაჰანის გარეუბნებიდან¹¹. დანარჩენი იყო დაახლოებით 30 ათასი ცხენოსანი¹², რომელიც მხოლოდ შაჰის კარის დიდებულებისა და მათი ამაღლისაგან შედგებოდა. ამ ლაშქრის სათავეში იდგნენ ეთემად აღ-დოულე, არაბეთის მეფე, ყულარალასი ანუ შაჰის მონების ინტენდანტი, საქართველოს უფლისწულის ძმა¹³, არტილერიის დიდი უფროსი, კავალერიის სარდარი, შაჰის დაცვის კაპიტანი, ჰამადანისა და კოკილუს ხანები და მრავალი სხვა რჩეული პირი; 24 ცალი ზარბაზანი, ვინმე პარიზელი ფილიპე კულონის წინამძღოლობით, შეადგენდა არტილერიას. სასარგებლო და მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ავღანთა არმიას ეს არ გააჩნდა¹⁴.

ამბობენ, რომ როდესაც მოწინააღმდეგის წინაშე ეს ჯარი წარსდგა, მისი მრავალრიცხოვნობით თავზარდაცემულმა მირ მაჰმუდმა განიზრახა ათასი ყველაზე უკეთ შეიარაღებული კაცი თავისთვის ეშველა. მაგრამ მისმა მთავარმა სარდარმა ამან ოლამ გადაათქმევინა მას ეს განზრახვა, მიუთითა რა მას, რომ იმ ვითარებაში, რომელშიც იგი იმყოფებოდა, საჭირო იყო ან გამარჯვება ან სიკვდილი. გარდა ამისა, ხალხის ეს მასა შედგებოდა მხოლოდ ქალაქის მცხოვრებლებისა და ხელოსნებისაგან, ადამიანებისაგან, რომლებ-

¹¹ ასეა ტექსტში.

¹² ე. ი. სულ 52 ათასი.

¹³ იგულისხმება ვახტანგ VI-ის ძმა როსტომი.

¹⁴ ავღანთა არმიას ასი ზარბაზანი ჰქონდა.



საც ომში მონაწილეობა არ მიუღიათ და არ ფლობდნენ სამხედრო დისციპლინას. მათი უმრავლესობა ხელს შეუწყობდა მხოლოდ იმას, რომ ავლანთა გამარჯვება კიდევ უფრო შესანიშნავი გამხდარიყო.

მირ მაჰმუდი დაეთანხმა ამ მოსაზრებებს. მან შეადგინა ბრძოლის თავისი გეგმა. ამანოლა სათავეში ჩაუდგა მარჯვენა ფლანგს, რომელიც 5 ათასი კაცისაგან შედგებოდა; მარცხენა ფლანგი, რომელიც შედგებოდა მხოლოდ 3 ათასი კაცისაგან, მირ მაჰმუდმა გადასცა თავის ერთ-ერთ სარდარს — ნასრულას, ხოლო თვითონ მირ მაჰმუდი სათავეში ჩაუდგა 4 თუ 5 ათასს, რომელიც მასთან დარჩა და შეადგინა საბრძოლო კორპუსი¹⁵.

ამასთანვე, სპარსელებს შორის სხვადასხვა აზრი წარმოიშვა. ეთემად ად-დოულე, რომელსაც შემთხვევით თავმოყრილი არმიის დიდი იმედი არ ჰქონდა, ჯიუტად მოითხოვდა სანგრებში გამაგრებულ იყვნენ. არტილერიის წინამძღოლი და კავალერიის სარდარი ამავე აზრისა იყვნენ, მაგრამ არაბეთის მეფე და ყულარ აღასი ამტიციებდნენ: სირცხვილია, რომ არმიას, რომელშიც თავმოყრილია სპარსელ დიდებულთა მთელი ნაღები, შეეტყოს, რომ მას ერთი მუჰა ავლანელების ეშინია. მათ აზრი გამოთქვეს ბრძოლის დაწყების სასარგებლოდ. ვერ შესძლეს რა დაეყოლიებინათ ფრთხილი ეთემად ად-დოულე, ყულარ აღასი არ დაელოდა მის განკარგულებას, შეუტია მოწინააღმდეგის მარცხენა ფლანგს ისეთი ძალით, რომ იგი უწესრიგოდ გაფანტა. არაბეთის მეფემ, რომელმაც იმავე დროს გაიარა ამ სარდრის ჯარების მარცხენა¹⁶ ფლანგზე, გაძარცვა მტრის აღჭურვილობა; იგი კმაყოფილდებოდა სპარსეთის ჯარების გადაადგილებით და არავითარი სურვილი არ ჰქონდა მათთვის დახმარება გაეწია, რამდენადაც დაეინებოთ არავინ სთხოვდა ამას.

ეთემად ად-დოულემ დაინახა რა, რომ ომი გაჩაღდა, შეუტია ავლანთა მარჯვენა ფლანგს. ამან ოლამ, რომელიც ამ ფლანგს მეთაურობდა, თავი მოაჩვენა, თითქოს მოწინააღმდეგის დარტყმამ შეარყია, უკან დაიხია და შემოიტყუა სპარსელები იმ ადგილამდე,

¹⁵ სხვადასხვა წყარო მოწინააღმდეგეთა სხვადასხვა რიცხვს იძლევა: კონსული დე გარდანის მიხედვით ავლანთა ძალები შეადგენდნენ 10 ათასს, სპარსელთა—45—50 ათასს; იოსების „მოგონების“ მიხედვით, შესაბამისად: 10 ათასი და 50 ათასი; იოსების თურქული ანგარიშის მიხედვით: 14 ათასი და 52 ათასი და ა. შ.

¹⁶ უნდა იყოს: „მარჯვენა ფლანგზე“.



სადაც მან განალაგა ასი დაჩოქილი აქლემი, რომელთაგან ერთმანეთს ულის ზურგზე დადგმული იყო ლაფეტი დიდი ყალიბის არქებუ-
 შითა და კაცებით, რომელთაც უნდა ემართათ იგი და ესროლათ.
 ამ ახალი სახის არტილერიის პირველმა ზალპმა იფეთქა და ახლო-
 მანძილზე გაელიტა წინწამოწეულ სპარსელთა დიდი რიცხვი, ხო-
 ლო ისე შეამინა დანარჩენები, რომ მათ უცბად ზურგი აქციეს
 მოწინააღმდეგეს.

ამან ოლამ ისარგებლა ამ უპირატესობით, შეუტია ხმლებით
 მათ რაზმს და გაერთიანების საშუალება არ მისცა; მან ხელთ იგ-
 დო მტრის ზარბაზნები და ბრძანა ისინი მიემართათ სპარსეთის
 არტილერიის სარდარის წინააღმდეგ, რომელიც მან ამით აიძულა
 გაქცეულიყო. არტილერიის მთავარი წინამძღოლი ფილიპ კულო-
 ნი და არმიის ყველა მეზარბაზნე ამ ბრძოლაში დაიღუპა.

ლურისტანის მეფემ, ჰამადანის ხანმა და კოკილუს ხანმა და-
 ინახეს ეთემად აღ-დოულეს და კავალერიის სარდარის უწესრიგო
 გაქცევა, წავიდნენ ბრძოლის ველიდან და დაბრუნდნენ თავიანთ
 პროვინციებში, დატოვეს რა ამრიგად არმიაც და იმპერიის დედა-
 ქალაქიც.

დარჩა მხოლოდ ყულარ აღასი, რომელიც მტკიცედ აგრძე-
 ლებდა ბრძოლას. მირ მაჰმუდმა შეუტია მას ზურგიდან, ეს სარ-
 დარი და ყველა მისი ხალხი ნაკუწ-ნაკუწად აქცია. რაც შე-
 ეხება არაბეთის მეფეს, დამშვიდებულ მიუთვალყურე იმისა, რაც
 ხდებოდა, ბრძოლაში მონაწილეობის გარეშე, როგორც კი აღჭურ-
 ვილობის ძარცვას მორჩა, ქალაქში დაბრუნდა.

ასეთი იყო ამბები გიულნაბადის ბრძოლისა, რომელშიც სპა-
 რსელებმა რ ათასზე მეტი კაცი დაკარგეს, ხოლო ავღანებმა —
 800-ზე ნაკლები.

ამ ამბების შემდეგ შაჰი უკვე აღარ ფიქრობდა რა... თავის
 დედაქალაქში... გადაწყვიტა დაღამებისთანავე თავისი სასახლის
 კართან ერთად ყაზვინში წასვლა. არც ეთემად აღ-დოულე იყო
 შორს ამ აზრიდან, მაგრამ არაბეთის მეფე, რომელმაც ამ დღეს-
 ორი არმიის წინაშე ერის ინტერესს მიუტევებლად უღალატა, შა-
 ჰი დაარწმუნა, რომ მირ მაჰმუდი შორსაა იმ აზრისაგან, რომ გა-
 ბედოს და შეტევით აიღოს ქალაქი, ასე დიდი და ასე დასახლებუ-
 ლი. ის ღია კარიბჭეებშიც კი ვერ გაბედავსო შევიდეს იმ მცო-
 რერიცხოვანი ჯარით, რომელიც მას გააჩნია. ამასთანვე, დასძინა,
 რომ შაჰის ყოფნა გაამხნევებდა მცხოვრებლებს, ისინი დიდი
 ხალისით მოჰყიდებდნენ ხელს თავდაცვას და, რომ ამ ღროის გან-



მავლობაში პროვინციის გუბერნატორებიც მოვიდოდნენ ჯარებით შაჰისა და იმპერიის დედაქალაქის დასახმარებლად.

ამ მოსაზრებებმა დაარწმუნეს შაჰი, აქ დახვედროდა ნებისმიერ მოვლენებს. მან გაუგზავნა ბრძანება ყველა გენერალ-გუბერნატორს, ჯარების იმ რაოდენობით, რომლის შეგროვებაც მათ შეუძლიათ, გასწიონ ჰონსარისაკენ ისფაჰანიდან 5 დღის სავალზე განლაგებული ქალაქისაკენ, რათა იქ შეუერთდნენ ლურისტანის მეფეს, რომელიც შაჰმა თავისი ჯარების გენერალისიმუსად გამოაცხადა და რომელიც ცოტა ხნის შემდეგ 10 ათასიანი ლაშქრით იქ გამოჩნდებოდა.

იმავ თვის 12-ში მაჰმუდი თავისი არმიით დაბანაკდა შეჰრისტანში, საიდანაც მან მოაწყო ქალაქზე (ისფაჰანზე. — ი. ტ.) სამი უშედეგო შეტევა. ამან აიძულა იგი, მიეღო გადაწყვეტილება წასულიყო სომეხთა კოლონიაში — ჯულფაში, რომელიც ისფაჰანიდან გამოყოფილი იყო მხოლოდ მდინარით. დაეუფლა რა მას, მოსახლეობას დაადო ერთი მილიონ 400 ათასი ეკიუ გადასახადი, რომლიდანაც მიიღო 400 ათასი ეკიუ, ვალდებულება და მძევლები, რათა დარწმუნებულიყო დანარჩენი ნაწილის გადახდაში. ამავე დროს მან მოითხოვა 40 ქალიშვილი, რომლებიც მისმა ოფიცრებმა შეარჩიეს იმათ შორის, ვინც იქ იხილეს. მაგრამ რამდენიმე დღეში მათი უმრავლესობა უკან დააბრუნეს. ავღანებმა დაიწყეს ისფაჰანის პროვინციის ტერიტორიის განადგურება, სადაც 1200 სოფელს ითვლიან. ისინი ძარცვავდნენ მოსახლეობას, კლავდნენ მამაკაცებს, ქალები კი მონებად მიჰყავდათ. ასე რომ, არ რჩებოდა არცერთი ავღანი, რომელსაც ხელში არ ჩაეპარდნოდა ტყვეთა გაცოფის დროს 5 ან 6 სპარსელი.

მირ მაჰმუდმა, რომელიც ჯულფაში დაფუძნდა, კვლავ დაიწყო შეტევა, რაც ივნისის დასაწყისამდე გაგრძელდა. მაგრამ თეთრი ევნუქის — ახმედის, აზრიანმა ბრძანებამ აიძულა ისინი თავდაცვაზე გადასულიყვნენ. ეს ბრძანებები... ზარალს აყენებდა მოწინააღმდეგეს, შთანთქავდა მის საუკეთესო ჯარისკაცებს. მირ მაჰმუდმა გადაწყვიტა ალყაშემორტყმულები ხელთ ეგდო შიმშილის საშუალებით. ამ მიზნით მან დააყენა გუშაგები დიდ ქუჩებთან და ამით ყოველგვარი კავშირი მოსპო ქალაქსა და სოფელს შორის. ქალაქში მალე იგრძნეს (საკვების) უკმარისობა. ბატონ პადერო, საფრანგეთის კონსული შირაზში, მაშინ პროდუქტების გარეშე იყო ერთხელ ლამით იგი გაიქცა (ისფაჰანიდან. — ი. ტ.) ორ იეზუიტთან ერთად, მაგრამ ჩაეპარდა მტრის გარემოცვაში, ერთ-ერთი



მათგანი, სახელად მამა დე კრუანი, მოკლეს ბატონ პადერის ვაჟის რამდენიმე წარმომადგენელთან ერთად, ხოლო სხვები გადარჩნენ თავიანთი სწრაფი ცხენების შემწეობით.

... არც ერთ ხანს არ უნდოდა დამორჩილებოდა შაჰის ბრძანებას, რომელიც მათგან მოითხოვდა მთავარსარდლად ლურისტანის მეფის აღიარებას. ყოველი მათგანი თავისთავს საკმაოდ ძლიერად თვლიდა, რათა აელანები დაემარცხებინა. ბახტიარი კასუმ ხანი პირველი მივიდა 12 ათასი კაცით, რათა გაესინჯა არმიის ძალა. მაგრამ ისფაჰანიდან ერთი დღის სავალზე მას შეხვდნენ აელანები იმ მომენტში, როცა ის ყველაზე ნაკლებად ელოდა მათ. ამ ბრძოლაში მან დაკარგა 2 ათასი კაცი, ხოლო დანარჩენები გაიქცნენ.

შემდეგ მოვიდა ჰამადანის ხანი ლურისტანის მეფის ძმასთან ერთად, რომელსაც შურდა პატივი, რომელიც მის ძმას მიაგეს. იგი, როგორც სხვები, თავს შეურაცხყოფილად თვლიდა, რომ თავის ძმას ემორჩილებოდა. მას თან ჰყავდა ექვსი ათასი კაცი. ისინი ფიქრობდნენ, რომ გზაში შეხვდებოდნენ კოკილუს ჯარებს. რომელსაც ისინი უნდა შეერთებოდნენ. მტერი, მათი აზრით, ძალიან შორს იყო. მირ მაჰმუდის ძალებმა მათ შეუტყის სამი დღის სავალზე ისფაჰანიდან. მათგან მხოლოდ სამ ათასმა კაცმა თავს უშველა გაქცევით.

რამდენიმე დღის შემდეგ კოკილუს ხანს იგივე ბედი ეწვია. მან დაკარგა 2 ათასი კაცი და ასეთი დასაწყისით განაწყენებული თავის პროვინციაში დაბრუნდა 8 ათასი კაცით, რაც მას დარჩა.

ივნისის ბოლოს შაჰისთვის ცხადი გახდა, რომ მის ბრძანებებს არ უსმენდნენ, პროვინციის გუბერნატორები ჯიუტობდნენ და არ სურდათ ლურისტანის ხანთან ერთად ებრძოლათ. ბოლოს მან გადაწყვიტა, თუმცა მეტად გვიან, ისფაჰანიდან გაეყვანა ერთ-ერთი თავისი ოთხი შვილიდან, სახელდობრ თამაზ მირზა. ეს უფლისწული თავისი განზრახვის შესასრულებლად უფრო შესაფერისად ეჩვენებოდა, ვიდრე სხვა რომელიმე თავისი შვილებიდან. მან ის აირჩია თავისი ტახტის მემკვიდრედ. ფიქრობდა, ამით წაერთმია ხანები-სათვის ყოველგვარი საბაზი დაუმორჩილებლობისა. მაგრამ ბახტიარების, ჰამადანის და კოკილუს ხანების ჯარები, რომლებიც, როგორც ჩვენ ეს-ეს არის ვთქვით, განადგურებულიყვნენ და არ სურდათ ამ წელს კიდევ ებრძოლათ. ხოლო განჯის ხანის ჯარები ვერ გაუმკლავდნენ რამდენიმე უწყესრიგობასაც თავრიზში. ამიტომ თამაზმა ვერ შესძლო შეეგროვებინა საჭირო, ძლიერი არმია, რა-



თა წინააღმდეგობა გაეწია ავღანებისათვის. თავის მხრეზე დაეყრდნობოდა ტანის მეფე ჰონსარიდან თავის ქვეყანაში დაბრუნდა, რამაც ალყა-შემორტყმულებს საბოლოოდ წაართვა დახმარების ყოველგვარი იმედი.

ამავე დროს პროდუქტების უკმარისობამ ისფაჰანის მოსახლეობა უკანასკნელ უკიდურესობამდე მიიყვანა. შაჰის ჰარემში ჭამდნენ მხოლოდ ცხენის ან აქლემის ხორცს. ხორცი იყიდებოდა ქალაქში გირვანქა ერთ პისტოლად, ხოლო ფქვილი — 3 პიასტრად. ადამიანები, რომლებსაც არ შეეძლოთ გადაეხადათ ეს თანხა, ჭამდნენ ძაღლის ხორცს, კატას და ყველა სხვა ცხოველს; იკვებებოდნენ წყალში დამბალი ძველი პერგამენტებით. ისინი ისეთ უკიდურესობამდეც კი მივიდნენ, რომ ჭამდნენ ადამიანის გვამებს. ბევრი ქალი კლავდა თავის ბავშვს და იმით იკვებებოდა. ამ საშინელი შიმშილისაგან ასი ათასი სული დაიღუპა. 150 ათასიდან, რომელმაც მოისურვა თავი გადაერჩინა გაქცევით, დაახლოებით 1/3 ავღანელებმა დახოცეს. ასე რომ, როცა მირ მაჰმუდი ისფაჰანში შევიდა, ალყის შემორტყმამდე ადრე მკიდროდ დასახლებულ ქალაქში დახვდა 20 ათასი კაცი.

შაჰ ჰუსეინმა, თავისი ხალხის ამ სავალალო მდგომარეობით აღელვებულმა, ამასთანვე უფულომ და დახმარების მიღების იმედდაკარგულმა, ბოლოს გადაწყვიტა დაეთმო. ამ მიზნით მან თავის მინისტრებს გასცა განკარგულება, მირ მაჰმუდის წინაშე კაპიტულაციაზე წასულიყვნენ.

ისფაჰანში საფრანგეთის კონსულ ბატონ დე გარდანთან ფრანგული ენის თარჯიმანმა კათოლიკე მამა იოსებ ქართველმა¹⁷ გაიგო რა შაჰის ეს გადაწყვეტილება, აცნობა ამის შესახებ ზემოხსენებულ კონსულს, მისი განკარგულებით გაიარა მოწინააღმდეგის გამაგრებული ადგილები და 20 ოქტომბერს ჯულფაში მივიდა.

მეორე დღეს იგი გაემართა ავღანთა ბანაკისაკენ, მთავარ ცერემონიალმაისტერის საშუალებით შეიჭრა ბანაკში და მირ მაჰმუდს მოახსენა ის, რაც მას კონსულმა დაავალა. სარდარი ყურადღებით შეხვდა ამ ცნობას და გასცა განკარგულება თავის პირველ მინისტრს, მიეწერა საბუთის ველზე ნებართვა, გამოეყიდათ საფრა-

¹⁷ ამ ადგილას „მოხსენებითი ბარათის“ შემდგენლის ხელით მარცხენა ველზე მიწერილია: „ეს არის ის, ვინც მოგვცა სამახსოვრო ბარათი, რომლის საფუძველზე შედგენილია წინამდებარე ანგარიში“.

ნგეთის სასახლის¹⁸ კარზე ალამი: იკრძალებოდა ფრანგებისადმი ცუდად მოქცევა, ჩარევა მათი სახლის მფლობელობის საქმეში, რაც დაადასტურა შაჰ ჰუსეინმა იმით, რომ ეს სახლი თვითმანქანისაა და ფრანგ ერს.

კაპიტულაციის შინაარსი დაყვანილ იქნა ორ მუხლამდე: პირველი, რომ შაჰი და მისი მთავარი მინისტრები გავლენ ისტაპანიდან, რათა წარსდგნენ მირ მაჰმუდის წინაშე; მეორე, ავლანებს გადაეცემათ თანამდებობები იმ პირობით, რომ ისინი ცუდად არ მოექცევიან არც შაჰს, არც მის დიდებულებს და არც ქალაქის მცხოვრებლებს.

ეს ხელშეკრულება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილია მუჰარემის თვის მე-14 დღეს, რაც ემთხვევა 1722 წლის 25 ოქტომბერს. შაჰმა ალახს შესწირა 5 აქლემი, შეჯდა ცხენზე და არაბეთის მეფის, ლურისტანის მეფის ძმის, ეთემად ად-დოულესა და თავისი სასახლის კარის ბევრი სხვა დიდებულის თანხლებით ფერაბადისკენ გაემართა (აღრე შაჰის დროის გასატარებელი ერთ-ერთი სასახლისაკენ), სადაც მირ მაჰმუდი დაბინავდა.

ორმა მხედარმა (მირ მაჰმუდს) აცნობა იმის შესახებ, რომ შაჰი მოახლოვდა. იმავე მხედრებმა გადასცეს შაჰ ჰუსეინს განკარგულება, ბანაკის გვერდით მდებარე მთის კალთებზე შეჩერებულიყო იმ საბაბით, რომ მირ მაჰმუდს ეძინა. შაჰი იქ დაახლოებით ნახევარი საათი დარჩა, რის შემდეგ მიიღო განკარგულება გზა განეგრძო და ფერაბადში შევიდა.

შაჰ ჰუსეინი შეიყვანეს დარბაზში, სადაც მან დაინახა მირ მაჰმუდი, დარბაზის ერთ-ერთ კუთხეში დამჯდარი და ოქროქსოვილ ფარჩის ბალიშზე დაყრდნობილი*. შაჰმა წაიწია ამ დარბაზის შუა ადგილამდე, მიესალმა, უთხრა რა მას: „სელამ ალეიქუმ“, რაც წარმოადგენს ჩვეულებრივ მისალმებას. მაშინ ალყის შემოშორტყმელი ავღანი წამოდგა და დაუბრუნა მას მისალმება იმავე სიტყვებით, რის შემდეგაც ვაზირმა წაიყვანა შაჰი მეორე კუთხისაკენ, მირ მაჰმუდის მარცხნივ, სადაც მომზადებული იყო ამ სარდრის ადგილის მსგავსი დასაჯდომი.

შაჰმა დაიწყო საუბარი. უთხრა მაჰმუდს: „ჩემო შვილო, რამდენადაც ალაჰს აღარ სურს მე კიდევ ვიმეტო ამ იმპერიაში და

¹⁸ კონსტანტინოპოლში საფრანგეთის საელჩოს შენობის მსგავსად, აქაც სახლს, სადაც საფრანგეთის საკონსულო იყო მოთავსებული, „სასახლეს“ უწოდებდნენ.

* „მოხსენებითი ბარათის“ ავტორის შენიშვნა: „დარბაზის კუთხე საბაბით ადგილია აღმოსავლეთში“.



რამდენადაც მან თქვენ დაგნიშნათ ჩემ ადგილზე, გითმობთ თქვენ ტახტს მთელი ჩემი გულით და გისურვებთ თქვენ ყველაფერს აყვავებას“. ამავ დროს მან თავისი დოლბანდიდან მოიხსნა ეგვიპტი და გადასცა მირ მაჰმუდის ვაზირს, მაგრამ რამდენადაც უფლისწულმა არ მოისურვა მიეღო იგი თავისი ვაზირის ხელიდან, შაჰი წამოდგა, გამოართვა იგი ვაზირს, თვითონ მივიდა და იგი უზურპატორის დოლბანდზე მიამაგრა, თან უთხრა: „იმეფეთ სრული აყვავებით“. რის შემდეგ შაჰი კვლავ თავის ადგილზე დაჯდა.

შემდეგ მოიტანეს ყავა და ჩაი. მაშინ მაჰმუდმა მიმართა შაჰს: „ამ სამყაროში ისე ვითარდება ამბები, მმართველობა გადადის ერთი ერის ხელიდან მეორეს ხელში და ხალხიდან ხალხზე, მაგრამ მე ყოველთვის მიგიჩნევთ თქვენ საკუთარ მამად და არასოდეს არაფერს გავაკეთებ თქვენი რჩევის გარეშე“.

ამ სიტყვების შემდეგ შაჰი მიიწვიეს ოთახში, რომელიც მისთვის იყო განკუთვნილი, ხოლო 4 ათას კაცს ებრძანა, დაეკავებინათ ისფაჰანის ალაყაფის კარები და შაჰის სასახლე¹⁹.

იმავე თვის 27-ში თვითონ მირ მაჰმუდი შევიდა ისფაჰანში. მას თან ახლდა შაჰი, მაგრამ როცა ისინი სეჰირანის ხიდემდე მივიდნენ, შაჰი ბალის გავლით სასახლეში შევიდა, ხოლო მირ მაჰმუდი გზას განაგრძობდა. ქუჩები, სადაც ის მიდიოდა, დაფარული იყო ძვირფასი ხალიჩებით და იმისა მიხედვით, როგორც მისი ცხენი წინ მიიწეოდა, ფეხებქვეშ ოქროსა და აბრეშუმის ქსოვილებს უგებდნენ. მირ მაჰმუდი სასახლეში კანცელარიის კარებიდან შევიდა. იქ მას მიესალმა ბატონი დე გარდანი, რომელიც სხვა ფრანგებთან ერთად მას იქ ელოდებოდა.

მირ მაჰმუდი და შაჰი ერთიღაიმავე სასახლეში იმყოფებოდნენ. შაჰს დამცველად კაპიტნის მეთაურობით ასი კაცი მიუყენეს. იმავე რაოდენობით ჯარისკაცი დააყენეს სპარსეთის უფლისწულების ბინასთან. მირ მაჰმუდმა შაჰს დაუტოვა მხოლოდ 5 მსახური და 5 ქალი, თვითონ დაეუფლა ჰარემის დანარჩენ ნაწილს, რომელიც შედგებოდა 500 თუ 600 ქალისა ან ქალიშვილისაგან, რომელთა ნაწილი მან თავის ოფიცრებს გაუნაწილა.

რამდენიმე დღით ადრე, ვიდრე მოხდებოდა შეთანხმება ადგილების ჩაბარების შესახებ, სეისტანის გუბერნატორი მელიქ

¹⁹ ამ ამბებით თავდება გლაზგოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შემონახული იოსებ ქართველის თურქული „ანგარიში“.



მაჰმუდი 10 ათასიანი ლაშქრით გაემართა გიულნაბადისაკენ და მი-
 ახლოს დაბანაკდა. მირ მაჰმუდმა, რომელიც მას იცნობდა, გორც კარგ
 სარდარს (გარდა ამისა, მირ მაჰმუდი ხედავდა, რომ
 მისი ლაშქარი 2 ათასი კაცით შემცირდა. ისინი მან ალყის დროს
 დაკარგა), გადაწყვიტა მელიქ მაჰმუდი შაჰის მომხრეებიდან ჩამო-
 ეცილებინა. ამ მიზნით მან ნასირ ოლას უბრძანა, ამ სარდარის ბა-
 ნაკში გამგზავრებულიყო. ნასირ ოლამ მელიქ მაჰმუდის განწყობი-
 ლება შეცვალა მდიდარი საჩუქრებით. საბოლოოდ დაიყოლია ავ-
 ლანებთან კავშირსა და დახმარებაზე იმ შემთხვევაში, თუ ის მოი-
 სურებდა ხორასნის მმართველობას. მელიქ მაჰმუდმა მიიღო ეს
 წინადადება და დაიძრა პროვინციის დედაქალაქ მეშხედისაკენ, რო-
 მელიც მისთვის იყო განკუთვნილი. იგი მეშხედში მივიდა 1722
 წლის 20 ნოემბერს. მელიქ მაჰმუდი ხელგაშლილად მიიღო მოსახ-
 ლეობამ, რომელიც სარწმუნოების იმავე სექტას მიეკუთვნებოდა,
 რომელსაც მელიქ მაჰმუდი, და ვერ იტანდა სპარსელების ბატო-
 ნობას. ამ პროვინციის ხანმა ისმაილმა, რომელსაც უნარი ვერ
 შესწევდა წინააღმდეგობა გაეწია, გაქცევა ამჯობინა. პროვინციის
 სხვა ქალაქებმა მალე დედაქალაქის მაგალითს მიჰბაძეს.

დაუბრუნდეთ ისტორიის მსვლელობას. მირ მაჰმუდმა, რო-
 მელსაც განზრახული ჰქონდა სასურველი ყოფილიყო სპარსელე-
 ბისათვის, დაამტკიცა შაჰის მინისტრები თავიანთ ადგილებზე; სიკ-
 ვდილით დასჯის მუქარით აკრძალა (რა სახითაც არ უნდა ყოფი-
 ლიყო) მოსახლეობაზე ძალმომრეობა და გამოხატა მოწყალეობისა
 და სამართლიანობის გრძნობა. ასეთმა ქცევამ მალე დაუბრუნა სი-
 უხვე ქალაქს და მიიზიდა ისინიც, ვინც გაიხიზნა სოფლებში.

ამავე დროს მირ მაჰმუდს არ ავიწყდებოდა არაფერი, რასაც
 იგი შეეძლო სპარსეთის ტახტზე გაემაგრებინა. მან შეაგულია-
 ნა შაჰი, დაეწერა ცირკულიარული წერილები და ერჩია ხალხისა-
 თვის ეცნოთ ახალი ბატონი. რათა ფულით აევსო თავისი ზანდუ-
 კები, მირ მაჰმუდმა ქალაქ ისფაჰანს შეაწერა ხარკი 2 მილიონ 400
 ათასი პისტრი, ხოლო შაჰის პირველ ექიმს, შაჰის ფავორიტს—
 400 ათასი პისტრი. მაგრამ როცა შესაფასებლად მან მოიტანა
 თვლები, რომლებიც მირ მაჰმუდს მოსწონებია, ამბობენ, მირ მაჰ-
 მუდმა მიიღო 2 მილიონი ეკიუს ღირებულების ნივთები.

მას შემდეგ, რაც ამ თანხის ოდენობა იანგარიშეს, მირ მაჰმუ-
 დის ერთ-ერთ მინისტრს — მოლა მუსას დაევალა ყანდაპარში მი-
 სი წაღება. მაგრამ როცა მოლა მუსამ ციხესიმაგრე ბომბს მიაღ-
 წია. გუბერნატორი, შაჰის მომხრე ისმაილ მირზა დახვდა მას, წა-



ართვა ეს ძვირფასეულობა, თვითონ კი აიძულა გაქტეულიყო. ძვირფასეულობა გაუგზავნა შაჰ თამაზს, რომელიც მამულად იყო თავრიზში.

მირ მაჰმუდი, რომელმაც ფიცი დადო შაჰის კარის დიდებულებისადმი ერთგულებაზე, ცდილობდა მოეპოვებინა დიდებულთა ნდობა გარეგნული კეთილგანწყობილებითა და მოწყალებით. მისი ყურადღება ვრცელდებოდა უცხოელებზეც კი. ის დათმობაზე წავიდა ევროპის კონსულების წინაშე და ნება დართო როგორც ესტაჰანის, ისევე ჟულფის მისიონერებს, თავისუფლად ემსახურათ თავიანთ ეკლესიებში. მხოლოდ კაპუჩინებზე ვერ გავრცელდა ეს ბედნიერი განკარგულება, მათი სახლი მეტად ახლო მდებარეობდა ციხესიმაგრესთან, რის გამოც სთხოვეს მათ ნებართვა, სახლის ყაზარმად გადაქცევის შესახებ. ისინი იძულებული გახდნენ, თხოვნით მიემართათ საფრანგეთის კონსულისათვის.

ამ დროისათვის ყაზვინში მყოფმა თამაზ მირზამ გაიგო რა ესტაჰანის ჩაბარებისა და მირ მაჰმუდისათვის ტახტის გადაცემის ამბავი, სპარსეთის მბრძანებლად თავის აღიარებაზე პრეტენზია განაცხადა. ამ ამბის გაგებისთანავე მირ მაჰმუდმა გადაწვიტა თამაზ მირზა იარაღით დაემორჩილებინა. ამ მიზნით მან ცოლად შეირთო შაჰის უმცროსი ქალიშვილი, ხოლო უფროსი ცოლად შერთო თავის მუფტიას. რის შემდეგ მან უბრძანა თავი დიდ სარდარს—ამან ოლას 10 ათასიანი ლაშქრით ყაზვინისაკენ წასულიყო. მირ მაჰმუდმა იცოდა, რომ თამაზ მირზამ, დარწმუნებულმა, რომ ავღანეზი ყაზვინისაკენ ზამთარში ვერ გაილაშქრებდნენ, თავისი ლაშქარი დაშალა. მალე თამაზ მირზამ გაიგო, რომ მიუხედავად ძლიერი სიცივეებისა ავღანთა ლაშქარი მის წინააღმდეგ მოიწევა. მან ზანგანსა და სულთანეში დაიხია.

ამან ოლა სწრაფად შეუდგა ლაშქრობას. გაიარა ქაშანი... მიიღო მნიშვნელოვანი თანხა და მასთან მოვიდა დებუტაცია, რათა მფარველობა ეთხოვა. ამან ოლა მათ კარგად შეხვდა, შემდეგ გზა განაგრძო. ქალაქ ყაზვინიდან სამ ლიეზე იგი შეხვდა ქალაქის მცხოვრებლებს, რომლებიც დიდი სიხარულით მოემართებოდნენ მის შესახვედრად. ისინი თვითონ შეუძღვნენ ავღანელებს ქალაქში, სადაც ამან ოლა თავისი ლაშქრით შაჰის სასახლეში განლაგდა. ლაშქრის დანარჩენი ნაწილი მოთავსდა მოქალაქეთა სახლებში.

რამდენიმე დღის შემდეგ ავღანელები ისე ეპყრობოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, როგორც ეს მათ წესად ჰქონდათ დაპყრობილი სახლის მიმართ. ამიტომ მოსახლეობამ იარაღს მოჰკიდა ზელი



და შეუტია მათ. პირველი ხმაურისთანავე სარდარი ცხენს შეახტა, დაიწყო ბრძოლა დიდ მოედანზე. სარდარი მხარში დაიჭრა. ამისა, მან დაინახა, რომ მისი ხალხი დათმობაზე მიდიოდა; თვითონაც წავიდა თავისი ჯარით სასახლეში. აქ მას შეეშინდა ალყის შემორტყმისა, დატოვა ათი ათასი მონა (რომლებიც მათ ხელთ იგდეს), თავისი კარვები, საჭურველი და იმ ღამეს უკანა კარებიდან გაიქცა²⁰.

ამ ამბავმა მირ მაჰმუდი შეაშინა, ამის მსგავსი რამ ისტაჰანშიც არ განმეორებულყო. რათა ეს არ მომხდარიყო, ყაზვის ამბავი მან გულმოდგინედ დამალა. პირიქით, გასცა განკარგულება გამოეხატათ სიხარული, ბრძანა ხმა გაეკრცელებინათ, რომ მისმა სარდარმა პირადად დაიმორჩილა თამაზ მირზა. მირ მაჰმუდმა მისცა რა ამით ამან ოლას დრო, დაბრუნების შემდეგ განემტკიცებინა ისტაჰანის გარნიზონი.

ამან ოლა ისტაჰანში ჩავიდა 24-ში. მაშინ მირ მაჰმუდმა მოიხსნა ნიღაბი, მიიწვია შაჰის კარის დაახლოებით 200 დიდებული იმ საბაბით, თითქოს ისინი უნდოდა გაეგზავნა თამაზ მირზასთან მოსალაპარაკებლად. მაგრამ როგორც კი ეს ბატონები შეიკრიბნენ მის სასახლეში, მან უბრძანა თავის დაცვას, დაეხოცათ ისინი.

ასე დაიღუპა სამეფოს დიდებულთა ნაღები. მხოლოდ ერთი — ეთემად ად დოულე — შეიციოდეს იმიტომ, რომ მისი ძმა დამალვაში დაეხმარა ამან ოლას, როცა ის ყაზვინიდან გაიქცა. დასჯა გრძელდებოდა ისეთი სისასტიკით, რომ 15 დღის განმავლობაში დაითვალეს თითქმის რვა ათასი გვამი, რომლებიც სასახლის მოედანზე იყო მიმოფანტული.

ოტომანის პორტადან გაგზავნილი ოსმან ალა 1723 წლის 27 თებერვალს ჩავიდა ისტაჰანში. ის დააბინავეს საფრანგეთის კონსულის სახლის მეზობლად მდებარე სახლში. მას 200 კაცი იცავდა. რომელთაც დავალებული ჰქონდათ, მისთვის არ მიეცათ ვინმესთან კონტაქტის დამყარების უფლება. მაჰმუდი, რომელიც მას უყურებდა როგორც ჯამუშს, ეპყრობოდა ისე ცუდად, რომ თავის მინისტრებს რომ არ ერჩიათ, რაიმე შეურაცხყოფას მიაყენებდა მას. მირ მაჰმუდმა მას მაინც მისცა უფლება შაჰი ენახა, მაგრამ რამდენიმე ავღანელის თანდასწრებით, რომლებსაც ეს დაევალა, ამბობენ, რომ ამ შეხვედრის დროს შაჰ ჰუსეინმა უარყო თამაზ მირზა როგორც შვილი. ასე იყო თუ ისე, ჩამოსვლიდან 18 დღის შემდეგ

²⁰ ამ ამბებით თავდება იოსებ ქართველის „მოგონება“.



თურქი გაუშვეს, მაგრამ როცა მისი ბარგი გასინჯეს, ^{კარგებთან} ხმლით აეუწეს ორი ახალგაზრდა და რამდენიმე სხვა ^{მხანავენი} ელთაც თურქული ტანისამოსი ჩაეცვათ, რათა მასთან ერთად წა-სულიყვნენ.

ამ დროისათვის ყაზვინში მომხდარმა ამბებმა იმდენად განა-დიდა სპარსელების მამაცობა, რომ ისფაჰანის გარეუბნის გლეხებ-მა უარი თქვეს, დამორჩილებოდნენ ავღანებს. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ისინი დააშოშმინეს და იმავე დროს... ქალაქი, რომელიც 20 ლიეთი იყო დაშორებული, უზურპატორის უღელს დაუმორჩი-ლეს.

1723 წლის 4 აპრილს მირ მაჰმუდმა ნასრულა 4 ათასი კაცით გაგზავნა ჰამადანის პროვინციის გასაძარცვავად. მან მთელი სისას-ტიკით შეასრულა ეს დავალება და აიძულა გაქცეულიყო ხანი, რომელიც გამოვიდა სამი ათასი კაცით, რათა შებრძოლებოდა მას. მან ალყა შემოარტყა ქალაქს, მაგრამ რამდენიმე შეტაკების შემ-დეგ უკუიქცა. ის წავიდა 3 დღის სავალით დაშორებულ ადგილზე, რომელსაც ეწოდება დერგაჰზინი. აქედან მან წაიყვანა 4 ათასი ოჯახი (რომლებიც ატარებდნენ ავღანთა სარწმუნოებას), რათა კვლავ დაესახლებინა ისფაჰანი.

სანამ ყოველივე ეს ხდებოდა, მირ მაჰმუდი აგროვებდა ხარკს უცხოელებისაგან, რომლებიც ისფაჰანში იმყოფებოდნენ. ფრან-გებმა ამას თავი დააღწიეს 600 პიასტრით. ინგლისელებისაგან მო-ითხოვეს 250 ათასი ეკიუ და მათი თარჯიმნები საჯაროდ სცემეს, ჰოლანდიელებს კი უარესად მოექცნენ. მირ მაჰმუდი ამტკიცებდა, რომ ამ უკანასკნელმა ერმა (ჰოლანდიელებმა. — ი. ტ.) წაიღო ქა-ლაქის მთელი სიმდიდრე. მართლაც, ყველა ვაჭარმა ალყის დროს 16 პიასტრად გაყიდა ვირვანქა შაქარი, რომლითაც სავსე იყო სამი მალაზია. ამან მათ საშუალება მისცა დაეგროვებინათ მნიშვნე-ლოვანი თანხა არა თუ ვერცხლის, არამედ ძვირფასი ქვები-სა და სხვა ძვირფასეულობის სახით, რომლებიც მათ ბენდერ-აბასში გაგზავნეს. მირ მაჰმუდი კმაყოფილი არ იყო ამ გადასახა-დით და ბრძანა, მათი ალამი ჩამოეგდოთ. ჰოლანდიელებს დასდევ-დნენ, ხშირად აწუხებდნენ, რათა ეპოვნათ ის ადგილები, სადაც მათ ძვირფასეულობა შეინახეს. ბოლოს მირ მაჰმუდმა მათგან აი-ღო 1 მილიონ 120 ათასი დუკატი.

ამავე დროს მან გადასახადი დაადო ინდოელ ვაჭრებს 540 ათასი ეკიუს ოდენობით. შემდეგ მთელი ეს სიმდიდრე მან ყანდა-პარში გაგზავნა. მთავარ ცერემონიალმაისტერს უნდა აეღო თავის-

თავზე მისი დაცვა გზაში, რისთვისაც მირ მაჰმუდს მისთვის 15 ათასი სი კაცი უნდა მიეცა. ეს ოფიცერი მშვიდობიანად ჩავიდა ზე... აშრაფ სულთანი, მაჰმუდის ბიძაშვილი, აბდულაჰის შვილი, მირ მაჰმუდს უნდოდა ხმლით მოეკლა, იგი გადაარჩინა მირ მაჰმუდის დედამ, რომელიც მირ მაჰმუდის იქ არ ყოფნის დროს ამ სამეფოს რეგენტი იყო.

ამ დროს საქართველოს მეფემ ვახტანგმა უარი თქვა, წასულიყო ისფაჰანის დასახმარებლად, მიუხედავად იმისა, რომ ამ მიზნით მსხვილი თანხა მიიღო შაჰისაგან. იგი თამაშ მირზამ გადააყენა და მის ადგილზე დანიშნა ამ სამეფოების ძველი უფლისწულების პირდაპირი შთამომავალი მეჰმედ ყული-ხანი²¹. ახალი უფლისწული მიადგა დედაქალაქს — თბილისს, რათა დაუფლებოდა მას, მაგრამ ვახტანგი და მოქალაქეები ქვეყნის დიდებულთა სურვილის საწინააღმდეგოდ ქალაქის დასაცავად გამოვიდნენ. მეჰმედ ყული ხანი დაბრუნდა კახეთში, სადაც ამ პროვინციის ძალებს შეუერთა 7 ათასი ლეკი, რომლებთანაც მან კავშირი შეკრა, და 8 მაისს კვლავ გამოჩნდა თბილისის მისადგომებთან. ვახტანგმა, რომელიც ხედავდა, რომ მისი ძალები მერყეობდა, არ დაელოდა მათ და მეჰმედის ლაშქრის მოსვლის წინააღმდეგ ჩუმად წავიდა ქალაქიდან. ამრიგად მეჰმედი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე შევიდა ქალაქში და ერთი მილიონი ეკიუ გადასახადი დაადო მას.

ვახტანგმა იცოდა რა ქართველ დიდებულთა მერყევი განწყობილება მის მიმართ, იმავე წლის თებერვლის²² ბოლოს ოტომანის პორტაში კაცი გაგზავნა, რათა შეეთავაზებინა მისთვის თავისი სამფლობელოები და 40 ათასი ეკიუ ხარკი იმ შემთხვევაში, თუ პორტა დაიცავდა მას მტრებისაგან და ერს პრივილეგიებს შეუნარჩუნებდა. მისი წინადადება მიიღეს პორტაში. სერასკირად დანიშნეს იბრაჰიმ ფაშა არზრუმიდან. დიარბექირის, ტრაპიზონის, სივასის, ახალციხის, ყარსის, ყარა-ჰისარისა და აზიის მრავალმა სხვა ფაშამ მიიღო ბრძანება, გაეერთიანებინათ თავიანთი ძალები და ერთად თბილისისკენ წასულიყვნენ.

როგორც კი იბრაჰიმ ფაშა ოტომანის 40 ათასიანი ლაშქრის სათავეში აღმოჩნდა, დელეგაცია გაგზავნა მეჰმედ ყული-ხანთან წინადადებით: გადაეცა მისთვის ქალაქი და ციხესიმაგრე. ხანი მერყეობდა, მაგრამ ხედავდა რა, რომ წინააღმდეგობის გასაწევად იგი მე-

²¹ კონსტანტინე.

²² 1723 წელს.



ტად სუსტი იყო, ამასთანვე ხარკმა, რომელიც მან თბილისს დაუფრესულნი მოსახლეობა მის საწინააღმდეგოდ განაწყო, გადაწყვიტა ქალაქი დაეცა იბრაჰიმ ფაშასათვის იმ პირობით, რომ ქალაქის მმართველობას მას დაუტოვებდნენ.

სერასკირმა ეს ფიცით აღუთქვა მას და 12 ივნისს იგი ქალაქის გალავანს მიაღგა. აქ მეჭმედ ყულიმ მას ქალაქის გასაღები გადასცა, იბრაჰიმ ფაშამ იგი პატივით მიიღო და სამაგიეროდ მეჭმედ ყულის მითრთვა სიასამურის ქურთუკი, თანაც ყვიროდა: ეს საჩუქარი დიდი პატივის ნიშანიყო. მაგრამ როგორც კი მისმა ლაშქარმა ციხესიმაგრე დაიკავა, მან გასცა განკარგულება ციხესიმაგრის უფროსის დაპატიმრების შესახებ, რომელმაც ამ დროისათვის გაქცევა მოასწრო.

ვახტანგის უფროსი შვილი ბაქარი, რომელიც გუბერნატორად დანიშნეს და რომელმაც საერთო ენა თურქებთან ვერ გამოხახა, მალე ნადირობის საბაბით გაიქცა.

ამ შემოდგომაზე იბრაჰიმ ფაშამ ყარაბაღის პროვინციის, დედაქალაქ განჯაზე გაილაშქრა. თავდაპირველად ეს ექსპედიცია მშვიდობიანი გზით ხორციელდებოდა: მან წინააღმდეგობის გარეშე დაიკავა სომხების გარეუბანი, მაგრამ ქალაქის მცხოვრებლებმა შეუტყის მის ბანაკს და აიძულეს არტილერია და სხვა შეიარაღება დაეტოვებინა. დატოვა რა ბრძოლის ველზე სამი ათასი კაცი, იბრაჰიმ ფაშა არზრუმში დაბრუნდა.

1723 წლის ბოლოს მირ მაჰმუდმა გასცა განკარგულება, ქაშანისათვის ალყა შემოერტყათ. რაიმე მხარდაჭერის უქონლობის გამო ქალაქის მცხოვრებლებმა კაპიტულაცია გამოაცხადეს. ქალაქის ჩაბარების შემდეგ ავღანების სარდარმა მათგან სამი ათასი კაცი მოითხოვა — დამხმარე ძალა ყაზვინის წინააღმდეგ ლაშქრობის მიზნით. მაგრამ (მიიღო რა ეს ლაშქარი) მან ცალკე განალავა ისინი და იმავე ღამეს ამოახოცვინა. იქიდან იგი წავიდა, რათა ალყა შემოერტყა ყუმისათვის, რომელიც ათი თვის წინააღმდეგობის შემდეგ აიღო. ამ ქალაქში მცხოვრები სპარსელები ამოხოცეს.

იმავე წლის ბოლოს ქურთებმა — ხალხმა, რომელიც სომხეთისა და მიდიის მხარეებში შემავალ ადგილებში ცხოვრობს, დაიკავეს ციხესიმაგრე მეკუ, რომელსაც ამ მხარეში მიუდგომლად თვლიდნენ.

გასულ წელს დარუბანდმა თავისი ალყათვის კარები რუსეთის მეფეს გაუღო, რომელმაც იქ თავისი ჯარიდან 2 ათასი კაცი დატოვა და თავის სამფლობელოში დაბრუნდა. მან გასცა განკარგულება



ზა გილანზე ლაშქრობის შესახებ. ეს შესძლო 7 ათასიანი ჯარის კორპუსმა, რომელიც იქ გადასხდა, აავი სხვადასხვა რეგები რეშტის პროვინციის დედაქალაქის გარშემო და ლაშქრობის დროს ბაქოსაც დაეუფლა.

1724 წლის დასაწყისში კაფანისა და სიზიანის სომხები სპარსელების წინააღმდეგ ამბოხდნენ, მაგრამ მრავალი შეჯახების შედეგად დამარცხდნენ. მათი ერთი ნაწილი დაიღუპა ან მონობაში ჩავარდა, ხოლო დანარჩენი გაიფანტა.

იმავე წლის თებერვლის ბოლოს ქეფრულუ ოღლი აბდულაჰ ფაშამ ვანიდან ალყა შემოარტყა ქალაქ ქოის. რომელიც მიდიის შესასვლელთან მდებარეობს და ორი თვის ალყის შემდეგ დაიკავა იგი. ქალაქი დაანგრია, ხოლო მისი მოსახლეობა ნაკუწ-ნაკუწად აქცია.

შევალის²³ თვის 5-ში, რომელიც დაემთხვა ამა წლის ივლისის დასაწყისს, დიარბექირის ფაშამ და პორტას სერასკირმა ერთი ახმედმა ოტომანის 35 ათასიანი ლაშქრით არანზე გაიარეს.

სექტემბრის თვისათვის მისი ძალები გაიზარდა ასი ქვემეხით, 15 მორტირით და ეგვიპტელთა სამათასიანი კორპუსით. იგი ერევანის ალყის შემოსარტყმელად გაემართა. როგორც კი ამ სახელწოდების მატარებელ პროვინციაში შევიდა, მან ქვეყნის განადგურება დაიწყო. როგორც სპარსელები, ისე სომხები მონობაში მოექცნენ. მათი რიცხვი დიდი იყო. ეჩმიადინის პატრიარქის წერილების თანახმად, რომლებიც იესდევარის სომხებისადმი მიწერილი, ამ საცოდავ მდგომარეობაში აღმოჩნდა 30 ათასი მარტო სომეხი. შემდეგ მან წაიწია მოედნის კედლებისაკენ, მიმართა ბატარეა მათ წინააღმდეგ, მოხდა რამდენიმე შეტაკება (მათ შორის, სამი იყო საერთო), მაგრამ რამდენადაც თურქები უკუქცეულ იქნენ დანაკარგებით, მათ ითხოვეს დახოცილთა დასასაფლავებლად სამი დღით დაზავება.

შემდეგ არმიას შეუერთდა ფაშა კუტაიდან და 10 სექტემბერს ახალი საერთო შეტევა მოეწყო. მაგრამ თურქები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ, დაკარგეს რა 25 ათასზე მეტი კაცი. მათ ალყის მოხსნა გადაწყვიტეს, მაგრამ ისინი შეაჩერეს ეგვიპტელებმა, რომლებიც მათ დასახმარებლად მოვიდნენ. ისინი ასევე შეაჩერა არზრუმის ფაშის მოსვლამ, რომელმაც იმავე თვის ბოლოსათვის მათ მნიშვნელოვანი ძალები მოუყვანა.

²³ შავალი—მუსლიმანური წლის მე-10 თვე.

გუბერნატორმა არ იცოდა, თუ რა ხდებოდა თავრიზში და არც არავითარი დახმარების იმედი არ ჰქონდა. გარდა ამისა, მას თხოვნით არაერთხელ მიმართა თურქების მიერ არანთან გამგებლობის ღირსი ერთ-ერთი ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდნილმა მისმა ძმამ. მან გადაწყვიტა კაპიტულაცია გამოეცხადებინა. ამ მიზნით ერიფ ახმედთან კაცები გაგზავნა და რამდენიმე ხნის მსჯელობის შემდეგ გადაწყვიტეს: ხანი და გარნიზონი ყარაღალიდან გავილოდნენ, ქალაქი და მთელი არტილერია თურქების უფლებაში გადავიდოდა.

როგორც კი ამ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს, სარდარმა გასცა განკარგულება ალაყაფის კარები დაეკავებინათ. სპარსელები, რომლებიც შეიარაღებულნი გამოვიდნენ, წაიყვანეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ადგილზე. ამბობენ, რომ თამაზ მირზამ ბრძანა მისვლისთანავე გუბერნატორისათვის თავი მოეკვეთათ.

ალყის დასაწყისში ამ უფლისწულმა არდებილში (რუსეთის) შეფის ელჩობა მიიღო. ამბობენ, რომ მას წინადადება მისცეს დაეთმო მთელი პროვინცია და მარგალიტის ამოღება, ბენდერ-აბასში შეექმნათ სპარსელებთან ერთად მოსკოვის საბაჟო და სხვა რამდენიმე მუხლი მსგავსი ხასიათისა. ეს მხოლოდ მოისმინეს და ელჩი მიიღეს ისე ცუდად, რომ სასახლის კართან გამომშვიდობების გარეშე იგი განრისხებული უკანვე გაემგზავრა.

ერევნის აღებას რამდენიმე დღით წინ უსწრებდა ჰამადანის აღება. მაგრამ ოტომანის ლაშქარმა ასეთივე წარმატება ვერ მოიპოვა თავრიზში. ქოას დაპყრობის შემდეგ აბდულაჰ ქიუფრულუ ოღლიმ ალყა შემოარტყა თავრიზს, რომლის ნაწილი ამასწინანდელი მიწის ძვრის დროს დაინგრა. მაშინ ქალაქის მცხოვრებლებიდან 100 ათასი სული დაიღუპა. იგი იერიშზე წავიდა საუკეთესო ჯარის ნაწილებით და ნამდვილად შევიდა ქალაქში, რაკი სხვა ძალებმა მხარი არ დაუჭირეს, მათ გარს შემოერტყნენ, გაანადგურეს და მტვრად აქციეს ისინი. ამ წარუმატებლობით შეურაცხყოფილმა სარდარმა ბრძანა, ეცადათ რამდენიმე იერიშის მიტანა ბაღების ნხრიდან, მაგრამ გაიგო, რომ თავრიზელები იერიშისათვის თვითონ ემზადებოდნენ მის წინააღმდეგ, მან უკან დაიხია 20 სექტემბერს და ზურგის გამაგრების მიზნით, გაქცევის დროს ყველა გაშლილი კარავი დატოვა.

თავრიზელები, მართლაც, გამოვიდნენ 20 ათასიანი ლაშქრით იმავე ღამის 11 საათზე, მაგრამ მათ დახვდათ მხოლოდ დაჭრილე-



ბი და ავადმყოფები: ისინი დახოცეს და გაქცეულებს გაქცეულდნენ; მათ ხმლებით მეორე დღის ბოლომდე მისდევდნენ.

აბდულაჰ ფაშამ თავისი არმიის ნარჩენებით ტასუში დაიხია. იგი აქ მეტად მკაცრად მოიქცა: გაელიტა მთელი მოსახლეობა იმ სოფლისა, რომელიც მას ჩაბარდა, დატოვა მხოლოდ ქალები და ქალიშვილები. ისინიც მონებად გაიხადეს და მათ იმდენად ბარბაროსულად ექცეოდნენ, რომ ამან თავრიზის მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია. ამ მოსახლეობიდან შექმნილმა 20 ათასიანმა ლაშქარმა მათზე ტასუში იერიში მიიტანა. აბდულაჰმა გაიგო რა მათი განზრახვა, ქალაქის კედლებთან კი არ დაუცადა, არამედ გეგმართა პირდაპირ მათკენ რვა ათასიანი ლაშქრის სათავეში. ბოლოს, სასტიკი ბრძოლების შემდეგ, იძულებული გახდა რიცხობრივად მეტი ძალებისათვის დაეთმო და შერჩენილი მცირე რაოდენობის მხლებლებით ქოიში დაიხია.

ამასწინათ სპარსელების მიერ კაფანსა და სიზიანში მათი ეროვნების ხალხის უღეტით გალიზიანებულმა ნახჭევანის პროვინციის სომხებმა აბდულაჰს დეპუტაცია გაუგზავნეს და სთხოვეს დევკავებინა მათი ქვეყანა. ამ სარდარმა ამისათვის ექსპედიცია გამოყო, რომლის სათავეში იბრაჰიმ ალა დააყენა. მან მისცა ათასი თურქი და ქურთისტანის მეფე 12 ათასი კაცი. მათ შეხვდნენ სომხები და მათთან ერთად სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღეს. ეს უკანასკნელები (სპარსელები) არც ისე დიდი ხნის წინათ განდევნეს პროვინციიდან. თურქებმა ნახჭევანსა და ორდუბადში გარნიზონები დააყენეს. ამრიგად, დიდი სომხეთი მათი მბრძანებლობის ქვეშ მოექცია.

თურქების მიერ ერევნის დაპყრობა და თავრიზში აბდულაჰის დამარცხება 1724 წლის უკანასკნელი საომარი მოქმედება იყო. თურქეთის არმია, რომელიც 40 ათასი კაცისაგან შედგებოდა (მათ შორის: თბილისის გარნიზონი, ეგვიპტის ჯარები და 12 ათასი ქურთი), ცალკე გამოიყო და დაბანაკდა ჰაენერში, ასევე ქალაქებში: ერევანში, ორდუბადსა და ნახჭევანში²⁴.

²⁴ ეს „მოხსენებითი ბარათი“ შედგება 59 ხელნაწერი გვერდისაგან. გვერდები ნორმალურია, თითოეული გვერდი მოიცავს დაახლოებით 24—25 სტრიქონს. დაწერილია კარგი ფრანგული ენით, შესწორებების გარეშე. „მოხსენებითი ბარათი“ ინახება საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში, პარიზში.

თურქული სამახსოვრო ბარათის თარგმანი სპარსეთში
მომხდარი რევოლუციის წარმოშობის შესახებ³

ყანდაპარის სამეფოში ავღანთა რამდენიმე ტომი ცხოვრობდა, რომლებსაც სეკზი-ს უწოდებდნენ. ისინი უდაბნოებში კარვებში ცხოვრობდნენ და სეზონის მიხედვით ბანაკად დგებოდნენ ხოლმე. ისინი დაახლოებით 50 ათასი ოჯახისაგან შედგებოდნენ. მათ ინდოელები აბუჩად იგდებდნენ. ამ ტომებში პირველი და ყველაზე ძლიერი ბელადი მირ ვეისი იყო. მისი სეკზინები ყველაზე მრავალრიცხოვანი იყვნენ. ისინი დიდი ხანია, რაც ყანდაპარში ცხოვრობენ, იხდიან ყოველწლიურად საძოვრის უფლების ხარკს. რადგან შრომისათვის გამოსადეგი, დაუღლეი, ამტანი ხალხია, ზოგი ტვირთის მზიდველად ან აქლემების გამყოლად დგება, სხვებს პატარა ნავეებით მოსახლეობისათვის სურსათი, ცხენებისა და საქონლისათვის თივა გადააქვს მდინარე პენდგაბზე, რომელიც დედაქალაქ ყანდაპარის შუაზე გადის. ამრიგად, ავღანები მხოლოდ წვრილმან ვაჭრობას მისდევენ. და, ბოლოს, ადგილობრივნი მათ საწყალ, ღარიბ ადამიანებად მიიჩნევენ და თუ ვინმეს რომელიმე პიროვნებას შეურაცხყოფა, გალანძღვა უნდა, ჩვეულებრივად სეკზის უწოდებს (ამას ძალსაც კი ეტყვიან).

მათ აბას II-ს⁴ აცნობეს, რომ თუ ისურვებდა ყანდაპარის სამეფოს მიღებას, ისინი მას ადვილად გადასცემდნენ. თან შეუთვალეს, რომ იციან ყველა გზა და მას მეგზურებად გამოადგებოდნენ; რომ მის სამსახურს თავს შესწირავდნენ და ერთგულ მეგობრად ემსახურებოდნენ. ამ წინადადებაჲ მიიზიდა აბასი და მისი თავმოყვარეობა გააღიზიანა. მისი აზრით, დიდი საქმე იქნებოდა, თუ შესძლებდა დაეპყრო ისეთი ვრცელი ქვეყანა, როგორც ყან-

¹ მიწერილია სხვა ხელით.

² ამ დოკუმენტის რიგითი ნომერია.

³ ამის თურქული ტექსტი ჩვენ არ გვინახავს. ჩვენ ეს ვთარგმნეთ ფრანგულიდან. ფრანგულ ტექსტს აქვე ვათავსებთ.

⁴ შეცდომაა: ეს ამბები ხდება შაჲ აბას I-ის დროს.



დაპარი იყო, სადაც მდებარეობდა უდიდესი ქალაქი და ინტროვერსი⁶ ყველაზე მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე და, რომ ეს დაპყრობა შესაძლოა მას სხვა, ახალი, დაპყრობისაყენ გზას გაუხსნიდა.

ამრიგად, იგი ახორციელებს ამ ლაშქრობისათვის ყველა საჭირო სამზადისს და პირდაპირ ყანდაპარისაკენ მიემართება. იგი ყანდაპარში ჩადის ზორასანის გავლით და ციხესიმაგრეს ალყას არტყამს. ორი თვის განმავლობაში ალყაშემორტყმულებს თავი კარგად უჭირავთ. ამ დროის განმავლობაში შაჰმა რამდენჯერმე შეუტია, რომლის დროს ბევრი ინდოელი დაიღუპა. ამბობენ კიდევ, რომ იქ ხუთი შეზადეზი⁷ ანუ მეფის შვილი სიკვდილით დაეცა. ზოლოს უკიდურესობამდე მიყვანილი ალყაშემორტყმულები დასებდნენ და ციხესიმაგრე ჩააბარეს.

ამ დაპყრობაში ავღანებმა დიდი სამსახური გაუწიეს სპარსელთა ლაშქარს და დაამტკიცეს ის, რაც მათ დაპირდნენ. შაჰ აბასს დამორჩილდნენ. ამ უკანასკნელმა შეუქმნა მათ უპირატესი პირობები, შეუმცირა წლიური ხარკი, რასაც ისინი ინდოელებს უხდიდნენ და ზოგიერთ ყველაზე გავლენიან პირს ჯილდოები დაურიგა. ამ საშუალებით ავღანებმა ურჯულოებთან⁸ დიდი სახელი გაითქვეს.

1110 წელ⁷. შაჰ სულეიმანის შვილმა შაჰ ჰუსეინმა ყანდაპარის მმართველობა აბდულაჰ ხანს⁸, მეტსახელად ქართველს, ჩააბარა. ეს იყო ხარბი კაცი. თუ იგი ავღანებს დაუნახავდა ცხენს, ჯორს, აქლემს, რომელიც მას მოეწონებოდა, მაშინვე წაართმევდა. საძოვრის უფლებისათვის და მეთაედისათვის იგი ბევრად მეტს ახდევინებდა, ვიდრე სხვა გუბერნატორი. რაც კი მათ გააჩნდათ, ძალით ართმევდა. მან იქამდე მიიყვანა თავისი მტარვალობა, რომ უბიძგა ავღანებს განთავისუფლებაზე ეფიქრათ და როგორმე ეცნობებინათ შაჰისათვის თავიანთი მძიმე მდგომარეობა და პირობები.

მათ შეადგინეს მეტად დეტალური თხოვნა, სადაც ისინი აბდულაჰ ხანს უჩიოდნენ მის მიერ ჩადენილი შევიწროებების გამო. ხანისაგან საიდუმლოდ მოსახლეობის რამდენიმე წარმომადგენელს დაევალა ისფაჰანში ამ საჩივრის წაღება. როდესაც ისინი

⁶ შეზადეზი იგივეა, რაც შაჰ ზადე—უფლისწული.

⁷ ე. ი. სპარსელები, შიიტები.

⁸ ე. ი. 1698—1699 წწ.

⁸ ამბები, რომელსაც ამ სამახსოვრო ბარათის ავტორი აღწერს, ემთხვევა ყანდაპარში გიორგის მმართველობის პერიოდს, მაგრამ იგი ისახელებს აბდულაჰ ხანს და არა გურგინ-ხანს, როგორც მაშინ გიორგის უწოდებდნენ.



იქ ჩავიდნენ, მათ ნება არ დართეს თავიანთი თხოვნა შეეძინათ თვის წარედგინათ.

ამრიგად, ისინი იძულებულნი გახდნენ ბუნიობამდე* დაეცა-
დათ. მაშინ კი ეს თხოვნა მათ შაჰს მიართვეს⁹. მაგრამ ვინც ახლო
იყო შაჰის პიროვნებასთან და მის კარისკაცებთან, აბდულაჰ ხა-
ნის მეგობრები იყვნენ და ხანს მხარი დაუჭირეს. მათ ავლანთა სა-
ჩივრები სიცრუედ ჩათვალეს, ისინი ქედმაღლურად საკითხის და-
ყენების გამო ჩააჩუმეს, ეს საწყლები შეურაცხყოფილი მათხოვ-
რების მდგომარეობაში ჩაავდეს და უკანვე გაგზავნეს. შემდგომში
კი პირველი შემთხვევისთანავე აბდულაჰ ხანს მისწერეს ის, რაც
მოხდა და, თითქოს მათ ძალიან გაუძნელდათ ავლანების დაძლევა.

აბდულაჰ ხანი ამ ამბავის გაგებისთანავე მეტად გაუწყრა ავ-
ლანებს და უთხრა: რას მიაღწიეთ თქვენ ამ საჩივრების შაჰთან
წაღებით? თქვენ გეგონათ, რომ შაჰის უდიდებულესობა თქვენის-
თანა საზიზღარი აღამიანების მიზეზით მე ზიანს მიმაყენებდა და
თქვენს საჩივრებს შემწირავდა? ამის შემდეგ (აბდულაჰი) მათ აყე-
ნებს ათჯერ უფრო მეტ შეურაცხყოფას, ვიდრე მანამდე.

მირ ვეისს ჰყავდა ერთი ძალიან ლამაზი ქალიშვილი. აბდულაჰ
ხანმა ისურვა მისი აუცილებლად ნახვა. მას უგზავნიან ხანს. ბო-
ლოს მისი თავგასულობა და შევიწროებები აუტანელი შეიქმნენ.
„დანა ყუამდე ჩაერჭო“** და ტკივილის შიში აუტანელი გახდა,
საცოდავ ავლანებს სიცოცხლე მოსძულდათ. ამ ქვეყნად ყოფნა
შესძულდათ, ვინაიდან ისინი ზიზღით უყურებდნენ თავიანთი ქა-
ლიშვილების უცხოელებზე გათხოვებას, მით უფრო მისცე ის მათ
ერთ-ერთ ბელადს და იგი მონის მდგომარეობაში ჩააყენო. ეს მათ-
თვის სრულიად მიუღებელი იყო. ამის შემდეგ ისინი შეიკრიბნენ
და ერთხმად განაცხადეს: ჩვენ მეტი არ შეგვიძლია ავიტანოთ ეს
უსამართლო ტანჯვა და ბეგარა, რომელიც ჩვენ დაგვადეს; ჩვენ
ცოლებსა და ქალიშვილებს გვართმევენ; სიკვდილზე უარესია კა-
ცისათვის შერცხვენილი სიცოცხლე; სჯობს გადავაგდოთ მონობის
უღელი; ჩვენ მთებში გავიხიზნებით; თუ იქ შემოგვიტყვენ, ჩვენ
თავს უკეთ დავიცავთ, ვიდრე აქ და ვიბძოლებთ უკანასკნელ ამო-
სუნთქვამდე; ამრიგად, ჩვენ დავიხოცებით სახელოვანი სიკვდი-
ლით და მთელს ქვეყანას ავალაპარაკებთ.

* ტექსტის ავტორის შენიშვნა: სპარსეთის შაჰები ხალხს ეჩვენებიან მხოლოდ ბუნიობის დღეს. ამ დღეს ყველას შეუძლია მას მიუახლოვდეს

⁹ ბუნიობის დღე—21 მარტი.

** ტექსტის ავტორის შენიშვნა: სპარსული ანდაზაა.



როდესაც ლაპარაკი შეწყდა, მირ ვეისმა, თავის მარჯვენა ხელით თან შეთანხმებული მომხიბლავი სიტყვებით დამსწრეებს მართა: დიდმა ალახმა, წმინდამ და უზენაესმა, ამ უბედურებიდან ბედნიერად გამოგვიყვანოს. თქვენ სავსებით შესაფერისად ილაპარაკეთ და ეს ჩემს აზრებს ემთხვევა. დაე, ჩვენი საბოლოო გადაწყვეტილება იყოს ის, რასაც თქვენ გეთავაზობთ. მაგრამ ჯერ ვიყენებთ მოხერხებულ საშუალებებს და თავის დამცირების გზას ვადგებით. თუ ამ გზით ვერ შევძელით ჯავრი ვიყაროთ, მაშინ ჩვენი ძალა იქნება ჩვენი საშუალება. რაც არ უნდა წამოვიწყო, ხელს ნუ შემიშლით, დამეხმარეთ. მაშინვე ყველა თანხმდება ამ წინადადებაზე. ფიცს დებენ, რომ გაეყრებიან თავიანთ ცოლებს და გაათავისუფლებენ თავიანთ მონებს, თუ არ დაეხმარებიან მას, რასაც კი იგი გააკეთებს. ფიცულობენ პურზე, მარილზე, ხმალსა და ყურანზე.

შემდეგ მირ ვეისი თხოვნით მიმართავს იმათ, ვინც ხანთან უფრო ახლოა. მათი თანამდებობის მიხედვით ყველას ძღვენს მიართმევს და პატიებას სთხოვს. ის მათ ეუბნება: ჩვენ გვაკლდა მორჩილება თქვენი ხანის დიდებულებისადმი, მაგრამ ახლა ჩვენ ამასვე ვნანობთ და ვთხოვთ გვაპატიოს. დაგვეხმარეთ თქვენ ხანის წინაშე თქვენი შუამდგომლობით. შეგვარიგეთ მასთან. ისე მოგემსახურებით, როგორც ის მონები, რომლებსაც თქვენ ფულით ყიდულობთ. დაგვადეთ ისეთი ჯარიმა, როგორც მოგესურვებათ.

მირ ვეისი ცბიერებისა და ყალთაბანდობის ნიღაბს ქვეშ ფარავს მოჩვენებით მონანიებას. ხანთან ახლო მყოფნი დიდი სიძნელების გადალახვის შემდეგ მფარველობას უწევენ მას. ცდილობენ ხანი განაწყონ მის სასარგებლოდ, რისთვისაც მას ეუბნებიან: მირ ვეისი და მისი ერი უკვე ურჩებად აღარ ჩაითვლებიან. ისინი დაგვიპირდნენ, რომ ამიერიდან შეასრულონ თქვენი ბრძანებები. ისინი თქვენი კარის წინაშე მუხლმოდრეკილნი, კისერზე სამგლოვიარო ძონძებშემოხვეულნი თავიანთ წარსული დანაშაულისათვის პატიებას გთხოვენ.

მოღალატე ხანი ქედმაღლურად უპასუხებს: კარგს შერებიან, თავიანთი მოვალეობის წინაშე ქედს რომ იხრიან. თქვენ რომ არ გამოსარჩლებოდით, ნახავდით რას ვუზამდი. მან თქვა კიდევ რამდენიმე ამპარტავანი სიტყვა ისე, რომ არ უფიქრია ამ საქმის აქლემზე* და კატაზე.

* ტექსტის ავტორი შენიშვნა: ამბობენ, რომ ერთი კაცი გაბრაზდა აქლემზე და მისი გაყიდვა დაიფიცა.



შემდეგ მოჰყავთ მირ ვეისი, რომელიც მის წინაშე მიწას ემთხვევა და ჰპირდება, აღარ იურჩოს და ამტკიცებს მეგობრობის ფუნქციას. მან პირობა დადო, რომ თავის ქალიშვილს ხანს მისცემდა, მაგრამ სინამდვილეში სხვა ქალიშვილი გაუგზავნა და უბრძანათქვას, რომ მირ ვეისის ქალიშვილია. ისინი გარეგნულად თითქოს შერიგდნენ.

იქით-აქეთ მოხეტიალე ავლანები ბოლოს მოვიდნენ ყანდაპართან ახლოს და იქ დაბანაკდნენ. მათ ხანი დაპატივეს, რათა ეჩვენებინათ მასთან შერიგების სიხარული. მას საჩუქრებიც გაუგზავნეს.

ამავე დროს ისინი ყველა საიდუმლო განკარგულებას ასრულებდნენ. ყანდაპარში მცხოვრებთა შორის ყველაზე მდაბიონიც კი გამოიყენეს. ყოველ დღე ქალაქში სულ ცოტა ხუთასი ან ექვსასი ნავი შედიოდა. ყოველ მათგანში 5-დან 10-მდე კაცი იჭდა. ხმელეთით ქალაქში შემსვლელი ავლანთა რიცხვი ნაკლები არ იყო. ასე რომ, ყოველდღე ყანდაპარში რამდენიმე ათასი ავლანი შედიოდა. ბოლოს იმ დღეს, როდესაც მირ ვეისმა ხანი თავის კარებში მიიპატიჟა, ავლანები საშუალებებს მიმართავენ, რათა რაც შეიძლება მეტი თავიანთი ხალხი ქალაქში შეეყვანათ.

როგორც წესი, მზის ჩასვლის შემდეგ ქალაქის ქიშკრებს ხურავდნენ და ქალაქში არავის არ უშვებდნენ. (მირ ვეისის კაცებმა) განკარგულება გასცეს, რათა ხმელეთით თუ ნაგებობით შესულებმა გამონახონ ქალაქში დარჩენის სხვადასხვა საბაბი. ერთმა თქვას: ველოდები მეგობარს, რომელიც ჯერ არ მოსულა; მეორემ: ჯერ კიდევ საქმე მაქვს, ცოტა დრო მჭირდება მის დასამთავრებლად. და, ბოლოს, ყოველმა მათგანმა მოიგონოს რაიმე საშუალება, რომ ქალაქიდან გასვლა დააგვიანოს. ამასთანავე, ყველას ურჩევენ, რაიმე იარაღი შეიტანოს და მზად იყოს დაცვისათვის.

ხანი, რომელმაც მიპატიეება მიიღო, ზემოთა და ბრწყინვალეობით გავიდა ქალაქიდან. მრავალრიცხოვანი ამალით გაემართა მირ ვეისის კარებისაკენ, რომლებიც ორ, თუ სამ ლიეზე იყო ქალაქიდან განლაგებული.

მირ ვეისი მას ღებულობს დიდი პატივით და მთელი მოჩვენებითი დიდებით. მირ ვეისმა მას მიართვა, რაც კი გააჩნდა, ხოლო ყველას მისი ამალიდან — აკეცილი ხალათი*. სწრაფად ემსახუ-

* ტექსტის ავტორის შენიშვნა: თურქების მომსახურების წესი.



რებოდა. ყველანი ერთმანეთს ეცილებოდნენ, რათა სტუმრებსა და ტივისაცემად არაფერი გამორჩენოდათ. ყველაზე გამოჩენილი სსსსსს სელ¹⁰ ბატონებს, რომლებიც ხანს ახლდნენ, იწვევდნენ და თავიანთ კარვებში შეყავდათ, აქ მათ ისევ დიდ სადილს უმართავდნენ, ჭიქებს ცლიდნენ: შემდეგ მოდის ხანის დიდი თასი და მის ამაღას მალე ღვინის ბურუსით თავები უმძიმდებათ. ახლა მათი საქმე ცუდად არის. ყოველი ავღანელი ერთ სტუმარს ახრჩობს ან კლავს ხმლის დაკვრით და გურზის დარტყმით ყელში. აღვიძებენ იმის სულს, ვინც სიმთვრალეში იგი ძილს მისცა. ერთ წუთში ყველანი ბასრი მახვილის ლუკმა ხდებიან. ამ ულტის დამთავრების შემდეგ მირ ვეისი ავღანებს სპარსელების ტანისამოსს აცმევს, ხოლო თვითონ ხანის ტანისამოსს იცვამს და მის ცხენზე შეჯდება. ყველანი მის გარშემო მწყრივდებიან ისე, როგორც ჩვეულებრივად ხდებოდა ხანის სიოცხლეში და ჩამწყრივებულნი ქალაქისკენ მიემართებიან; მათ შეარჩიეს ავღანური ტომებიდან ყველაზე მამაცი, ყველაზე უკეთესი მხედრები და მათ უბრძანეს შემჯდარიყვნენ ცხენებზე და ნაბიჯ-ნაბიჯ მათ გაჰყოლოდნენ.

რადგან იცოდნენ, რომ ხანი წავიდა მირ ვეისის წვეულებაზე, ბანაყის მხარის ქალაქის კარიბჭე არ დაუკეტიათ. მცველები და მეკარეები მას ელოდებოდნენ. ამ დროს მირ ვეისი დინჯად წინ მიიწეოდა. მას შორიდან ფარნებით უნათებენ გზას, იგი კარიბჭეს მიადგა სწორედ მაშინ, როდესაც ქვეყანა სიბნელემ მოიცვა. ჭიშკრის მცველი რაზმი, რომელიც ხანის მისასალმებლად კარების მარჯვნივ და მარცხნივ ჩამწყრივდნენ, ავღანებს მაშინვე მკვდრების სი-აში შეყავთ. ისინი ქალაქში შედიან და თავს ესხმიან სპარსელთა გარნიზონს. ამავე დროს მირ ვეისი ხმამალა აცხადებინებს, რომ არ ავნებს მოსახლეობას. ყოველმა მათგანმა დაკეტოს თავისი სახლის კარები და იქ წყნარად დარჩეს. ავღანები, რომლებიც დღისით შევიდნენ ქალაქში, მირ ვეისს ელოდებოდნენ, ხოლო ისინი, ვინც მას მოჰყვებოდნენ, ისინიც მალე მოვიდნენ. ასე რომ, მალე ერთი კაციც არ გადარჩა ცოცხალი არც გარნიზონში და არც ხანის ამაღა-ში.

თ უ რ ქ ე ბ ი ს ა კ ე ნ

მე ვნახე სხეული ერთ მხარეს, ხოლო თავი მეორე მხარეს.

მეორე დღეს ცბიერმა მირ ვეისმა მოწყალება უბოძა ყველა მცხოვრებს. გასცა განკარგულება, ყოველი მათგანი დამშვიდებუ-

¹⁰ ალბათ, ქართველები, ვინაიდან გიორგის აქ ქართველები ახლდნენ.



ლიყო და თვითონ საქმეების მოსაწესრიგებლად გულკეთილმან
გზას დაადგა, რაც იყო... და ხალხმა მიიღო.

შემდეგ მისი პირველი საზრუნავია, ხელთ იგდოს ^{ეკონომიკური} ~~საზრუნავი~~ და კიაბილის ხეობები, რომლებიც ყანდაპარის სამეფოს შესასვლელი და გასასვლელია. ვიდრე სამეფოს ყველა სხვა ციხესიმაგრეს ხელთ იგდებდა, იარაღი მოიმარავა და თავის ხალხს ლაშქრის სახე მისცა. მან განკარგულება გასცა, რათა ხსენებული გასასვლელი ისეთი სიზუსტით დაეცვათ, რომ ჩიტიც კი ვერ გადაფრენილიყო ამ ხეობების გავლით, ვინაიდან ყანდაპარის ვრცელ ქვეყანაში ინდოეთის მხრიდან მხოლოდ კიაბილის ხეობიდან შეიძლება შესვლა, ხოლო ხორასნის მხრიდან კი ზებილის ხეობიდან. დანარჩენი მხარეები შემორტყმულია მაღალი მთებით და მიწაყრილის როლს ასრულებენ. როდესაც ამ ორ გასასვლელს შუა იმყოფებით, აბსოლუტურად შეუძლებელია შესვლა და გასვლა.

მირ ვეისის განკარგულებით ექვსი თვე უღარაჯებდნენ ამ ადგილებს, რის გამოც ყანდაპარში მომხდარი სამწუხარო ამბავი სპარსეთის შაჰის კარზე გაიგეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან (მირ ვეისმა.—ი. ტ.) მოაწესრიგა და გააყეთა ის, რაც სჭირდებოდა.

როდესაც ავღანებმა აბულაჰ ხანის საწინააღმდეგოდ შაჰის წინაშე იჩივეს, მათ არ მოსმინეს. ხანმა შაჰს მოახსენა, რომ მირ ვეისი საეჭვო ქცევის პიროვნებაა, რომ ის დაუძინებელი მეამბოხეა. დააპატიმრებინა კიდევ და სპარსეთის შაჰის კარზე გაგზავნა. მირ ვეისმა მიმართა ეთემად ად-დოულეს ანუ დიდვაზირს და არწმუნებდა მას, რომ იგი არ იყო დამნაშავე. დიდვაზირმა, რასაც მირ ვეისი ეუბნებოდა, სიმართლედ მიიჩნია. დიდვაზირმა მას დიდი სამსახური გაუწია, თავისთავზე აიღო მისი საქმე და რადგან მირ ვეისმა მისგან ნებართვა ითხოვა სალოცავად მექაში წასულიყო, იგი მან საპყრობილედან გამოუშვა და ნება დართო მექაში წასულიყო იმ პირობით, რომ მომავალში იგი უფრო მორჩილი იქნებოდა.

ყანდაპარის აჯანყება მოხდა მირ ვეისის დაბრუნების შემდეგ. როგორც ზემოთ ვთქვით, აბულაჰ ხანის მომხრეები და დიდვაზირის მტრები დიდვაზირს მირ ვეისთან თანამშრომლობას აბრალებდნენ. მათი სიძულვილი ეთემად ად-დოულეს მიმართ არ ამოიწურება მისი გასახლებით, მას თვალებიც დასთხარეს.

ამის შემდეგ დიდვაზირად სხვას ნიშნავენ და იწყება ლაშქრის შეგროვება მირ ვეისის წინააღმდეგ სალაშქროდ. მაგრამ ჯერ დამორჩილებას სთავაზობენ და მას მეჰმედ ჯეანი ხანს უგზავნიან.



ამასთანვე, უნდათ მისი განზრახვების ზონდირება მოახდინონ. ხანი მივა მირ ვეისთან და ეუბნება: რატომ აჯანყდით თქვენ წინააღმდეგ, რატომ მოკალით აბდულაჰ ხანი, ასეთი დიდი რეპუტაციის პიროვნება, და მისი კაცები, რატომ ამოუღიჯეთ შაჰის გარნიზონი ყანდაჰარში, ვინ გაგაბედვინათ თქვენ ეს; თქვენ ხომ იცით მისი უდიდებულესობის შაჰის ძალა და ძლიერება, არ შეიძლება მასთან დაპირისპირება. ყველაზე უკეთესი რისი გაკეთებაც თქვენ შეგიძლიათ, ეს ის არის, რომ დაუბრუნოთ ყანდაჰარი მის სარდრებს. რაც მოხდა, მოხდა. მე თავმდებად გიდგებით თქვენ, რომ თქვენი ბოროტმოქმედება გეპატიოთ, თორემ მბრძანებელთა მბრძანებელს ნაბრძანები აქვს თქვენს წინააღმდეგ დაძრას ძლიერი და მრავალრიცხოვანი ლაშქარი. მე ვითხოვე, ნება დაერთოთ ჩემთვის, ვიდრე საქმე ასე შორს წავიდოდა, მოვსულეყავი თქვენთან და ჩემი რჩევა მომეცა, როგორც ეს შეეფერება ჩვენს შორის არსებულ მეგობრობას. ძალიან გამიჭირდა ამ ნებართვის მიღება.

ხანის ამ მეგობრული საუბრის შემდეგ გაბრაზებული მირ ვეისი ქედმაღლურად პასუხობს მას და აპატიმრებს.

შემდეგ სპარსეთის შაჰის კარი აგზავნის კიიას, ანუ სპარსულად რომ ვთქვათ, სარდარ მეჰმედ ზეიმან ხანს, ჰერათის მმართველს. რადგან ეს ხანი ალახის მითითების აღსასრულებლად მუქაში სალოცავად ყოფნის დროს მირ ვეისის თანამგზავრი იყო და მასთან მეტად მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. როდესაც ეს ახალი ელჩი ჩავიდა და წარუდგინეს მირ ვეისს, საპატიო მისალმების შემდეგ მან მირ ვეისს უთხრა: თქვენ ეს ადგილი შაჰს უნდა ჩააბაროთ და რაც თქვენ ჩაიღინეთ, იმის პატიება უნდა ითხოვოთ.

ამ სიტყვებით გაბრაზებული მირ ვეისი პასუხობს: მე გადაწყვიტე სრულიად აღმოვფხვრა ურჯულოთა ჯიში, ამიტომ შემოვირტყე განზრახვის ქამარი — დავიპყრო სპარსეთის მთელი სამეფო. იმის გამო, რაც თქვენ მითხარით, სალოცავად ყოფნის დროს თქვენ ჩემი მეგობარი რომ არ ყოფილიყავით და სტუმრის პურ-მარილის უფლება რომ არ გქონდეთ, თქვენს თავს მოვაკვლევიანებდი. ამ პასუხს მირ ვეისმა თან საყვედური დაუმატა და ხანი თავისთან დატოვა.

ბოლოს, სპარსელები ჯარს აგროვებენ და მირ ვეისის წინააღმდეგ აგზავნიან. ეს უკანასკნელი კი მას წინ უხვდება. ჯარები ერთმანეთს შეხვდებიან მდ. ფარალთან. მირ ვეისი თავის არმიას სამ ნაწილად ჰყოფს. ორ ნაწილს ჩაასაფრებს მის მარჯვენე და მარცხენე, ხოლო დანარჩენით მტერს შეეგებება. სპარსელები მცირერიცხო-



ვანი ავღანების დანახვისას მათ აბუჩად იგდებენ და არც ერთ ბრძოლის წესების დაცვის გარეშე უტევენ. როდესაც ბრძოლა მწვავე ხასიათს მიიღებს, ჩასაფრებულები ერთბაშად გამოცვივდებიან და სხვებს უერთდებიან. სპარსელთა ჯარები მაშინვე უკუიქცვიან და ისეთი ყლექა მოხდება, რომ დამარცხების ამბავის წამლებიც კი აღარ რჩება. ეს არის სპარსელების პირველი ბრძოლა მირ ვეისთან.

ამ ბრძოლების დროს ემედანის მიდამოებში მყოფი ავღანელების ერთი რაზმი, ამ ტომის მეთაურის ქირმან შაჰის მბრძანებლობის ქვეშ მყოფი, ამ ქალაქს და მის მიდამოებს იპყრობს და იქ მყოფ სპარსელთა გარნიზონს ამოწყვეტს.

იმავე დროს, როდესაც ამ ახალი ამბოხების შემდეგ ცნობა მოდის, ხორასანში სხვა ამბავი იწყება. ჰერათის ქვეყანაში არის აბდულაებად წოდებული მოხეტიალე ავღანური ტომი. ისინი 30 ათას ოჯახს შეადგენენ და ისე ცხოვრობენ, როგორც ყანდაპარში მყოფი ავღანები.

ჰერათის გუბერნატორმა მეჰმედ ზემან ხანმა როდესაც გაიგო, რომ ამ ავღანი ტომის ერთ მეთაურს ულამაზესი ვაჟი ჰყავს, რომელსაც ანგელოზის სახე და ალვის ხის მსგავსი ტანი აქვს, ადამიანის გულს ხიბლავს და ჰბოჰავს, იგი მაშინვე წარმომადგენელს უგზავნის მამამისს და სთხოვს მისი ვაჟიშვილის გამოგზავნას. მამა წინააღმდეგობას ვერ უწევს ხანის სურვილს, თავის ვაჟს ეუბნება, რომ მეჰმედ ზემან ხანს სურს იგი თავისთან ჰყავდეს და საჭიროა წასვლა. როგორ? პასუხობს მას მისი შვილი, თქვენ გინდათ თქვან, რომ თქვენი ვაჟი სხვისი მსახურია? სიკვდილი მირჩევნია წასვლას. მამა უმეორებს, რომ ის იქ აუცილებლად უნდა წავიდეს. თანაც არწმუნებს, რომ მის ვაჟს ხანთან ყოფნისას საშუალება ექნება მოიპოვოს მისი კეთილგანწყობილება, იგი დიდ პატივში იქნება და ხალხიც ძლიერ დააფასებს.

მის ვაჟს ერქვა ესადულაჰ. თავისი მამის მკაცრი განაჩენით უკიდურესობამდე მიყვანილი, იგი ტომიდან აგროვებს 30-მდე ყველაზე გულადს და იწყებს თავისი მამის მოკვლით, მის ადგილს იკავებს და ხანს მეტად ქედმაღლურ პასუხს უგზავნის. გაბრაზებული მეჰმედ ზემან ხანი მის წინააღმდეგ ერთ-ერთ თავის სარდარს აგზავნის, დაახლოებით ხუთასი კაციით. ესადულაჰი მათ წინ დახვდება და ყველას ამოხოცავს, მათ იარაღს ხელთ იგდებს და თავის ხალხს ურიგებს. შეაიარაღებს თავის ექვსას კაცს.



როგორც კი ხანი გაიგებს ამ დამარცხების შესახებ, როგორც რომეოს*, დიდად განთქმულ ჯარს სპარსეთში, და პირადად ილაშქრებს ესადულაჰის წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი შეხვედრამდე თავისი ხალხის ერთ ნაწილს ჩაასაფრებს. როდესაც ხანი დაინახავს, რომ ესადულაჰს ბევრი ხალხი არ ჰყავს, მაშინვე შეუტევს. როდესაც ბრძოლა კარგად გაჩაღდება, ჩასაფრებული ავღანები უეცრად გამოჩნდებიან. ხანის ჯარები იფიქრებენ, რომ ისინი მრავალრიცხოვანი არიან, ადგილიდან მოწყდებიან და გაიქცევიან. ესადულაჰი დაედევნება მათ და მათთან ერთად ჰერათში შედის, თანაც მათ განუწყვეტლივ უტევს.

ამ ქალაქის მცხოვრებლები ოდესღაც მაჰმადიანები იყვნენ. იქ იყვნენ ძველი და ძლიერი ოჯახები — ჰერათის ძველი მეფეების შთამომავალი. სამეფო სხვის ხელში როცა გადავიდა, მათთვის მამულები უბოძებიათ და ისინი ჰერათში დარჩენილან. რამდენადაც ისინი ემორჩილებოდნენ და პატივს სდებდნენ სპარსეთს მხოლოდ იძულების გამო, მათ ისარგებლეს შემთხვევით და ესადულაჰს მიემხრნენ. ყველა სპარსელი ამოხოცეს, ვინც კი ქალაქში იყო. ქალაქი გადასცეს ესადულაჰს და აღიარეს, როგორც მეფე. ამრიგად, ესადულაჰი ხდება ჰერათის სამფლობელოსა და მისი მიდამოების ბატონ-პატრონი.

ესადულაჰის ბრძოლა ზემან ხანთან მოხდა მდ. კურის ნაპირებზე. შემდეგ იგი ადვილად იკავებს ჰერათზე დამოკიდებულ ისეთ ციხესიმაგრეებს, როგორიცაა მარუჩაქი, მურგალი, პენჯიდი, ბადლისი, გურიანი, კიოსანი და კუშური, რომელიც მეშხედის სამფლობელოს საზღვარზე მდებარეობს. (იკაეებს) ასევე ქალაქს. რის შემდეგ იწყებს სიმდიდრის შეგროვებას და ჩვეულებრივი ხარკის შეკრებას.

ყველა ეს ამბავი მოახსენეს სპარსეთის შაჰის კარს. ჩანგს სხვა ჰანგი მოჰყვა**. ეს გახდა ახალი შეშფოთებისა და ახალი საზრუნავი საგანი სპარსელებისათვის.

იმავე დროს ხორასნის შაჰი დაიძვრება, რათა ბოლო მოუღოს მის ქვეშევრდომებსა და ურწმუნოებს შორის არსებულ ძველ სიძულვილს. აგროვებს მთელს თავის ჯარს და მიდის თავისი სამფლობელოების მოსაზღვრე ქალაქ მეშხედის წინააღმდეგ. ამ ქა-

* ტექსტის ავტორის შენიშვნა: ეს არის განსაკუთრებული სახელი. ეს ჯარი ჰყავთ სპარსელებს ისე, როგორც იანიჩარები—თურქებს.

** ტექსტის ავტორის შენიშვნა: არაბული ანდაზა.



ლაქის სპარსული გარნიზონი წინააღმდეგობას არ უწევს. ისინი მოიკეტებიან ციხესიმაგრეში, მაგრამ მას რამდენიმე დღის შემდეგ იერიშით იღებენ. შურისძიების ხმაღს იშისვლებენ მცხოვრებთა და გარნიზონის წინააღმდეგ და ყველაფერს ძარცვავენ.

მეშხელი, რომელიც ტუსის მხარის ცენტრია, ოდესღაც ცნობილი იყო ტაბრანის სახელით. იმამ ალი მუზაილ რეზა (ერთ-ერთი თორმეტი იმამიდან)* როგორც კი შევიდა, ერეტიკოსებმა სპარსეთის სამეფოს დაპყრობის შემდეგ მას მისცეს მეშხელის** სახელი. იმავე მოსაზრებით ისინი ძალიან დიდ პატივს სცემენ და გადაჭარბებული მოწიწებით ეპყრობიან ამ ქალაქს. იმამ ალის ხაზინას უძღვნიან ყველაზე ღამაზ და ყველაზე ძვირფას ქვებს, რომლებიც მათ გააჩნიათ, და ძვირად ღირებულ საგნებს. მეშხელში მათ ჰქონდათ უამრავი სიმდიდრე, ურიცხვი იშვიათი საგნები. ამბობენ, რომ ხორასნის შაჰის ჯარების მიერ მისი გაძარცვის შემდეგ ყველაზე ღარიბი მეომარიც კი უძარცვად მდიდარი გახდა.

სპარსელები თავიანთი ამ დიდი უბედურების დროს გაიგებენ, რომ მირ ვეისი მოკვდა; რომ შემკვიდრება მისი ვაჟი მირ მაჰმუდ, რომელიც თავის ძმებთან შეკავშირებული ხორასანში შევიდა იმ მოსაზრებით, რომ ისფაჰანი აიღოს. ამ ამბების გამგონე უკიდურესობაში ჩავარდნილი სპარსეთის მინისტრები ცდილობდნენ მირ მაჰმუდს წინ აღდგომოდნენ.

ავღანები იღებდნენ ქალაქებს და ინარჩუნებდნენ. ყველა იმას, ვისაც იარაღის ტარება შეუძლია... მირ მაჰმუდის ნათესავი მიდის ისფაჰანში ყალბი, მოჩვენებითი მეგობრობით. იგი ამბობს: მომეციოთ გარკვეული ოდენობის ფული და ჯარი. ავღანებმა მიატოვეს მირ მაჰმუდი. ვიცი, რომ მივალ თუ არა ამ ქვეყანაში, დამემორჩილებიან, მე კი მათ თქვენ დავიმორჩილებთ. საწყალი სპარსელები ამას იჯერებენ, აძლევენ რვა ათასი კაცისაგან შემდგარ რჩეულ ჯარს და იმდენ ფულს, რამდენიც სჭირდება. ამ სიცრუითა და მოტყუებით ჯარისა და ფულის მიღების შემდეგ იგი გაუდგება ყანდაზარის გზას. შემდეგ იგი საიდუმლოდ ატყობინებს მირ მაჰმუდს იმას, რაც გააკეთა. იგი ისეთ ადგილას მიდის, საიდანაც ყოველ-

* ტექსტის ავტორის შენიშვნა: თავისი არსით არაბულად იმამი ნიშნავს იმას, რასაც ლათინელები უწოდებენ „ანტიტ“-ს, რომელიც მიუძღვის სხვებს, წინ მიდის. ეს არის მერვე თორმეტი იმამიდან, რომლის შემკვიდრებაც მუჰამედისათვის მისაღებია სპარსელების დოქტრინის მიხედვით.

** ტექსტის ავტორის შენიშვნა: ეს სიტყვა ნიშნავს მოთქმას, ზოგჯერ აკლამასაც, სადაც სალოცავად მიდიან.



დღე მხოლოდ ცოტ-ცოტას წაიწევს წინ. მირ მაჰმუდის მისთვის უნდა გამოეგზავნა ათი ათასამდე კაცი მისი თანმხლები ჯარის სამოსახოცავად და ფულის დასაპატრონებლად. მირ მაჰმუდი მაშინვე უგზავნის ათი ათას კაცს, თავს ესხმიან სპარსელთა ჯარს, რომლებსაც ყანდაპარის ბატონ-პატრონობა უნდოდათ. მათი მოსვლისთანავე ისეთ ზოცვა-ქლეტას აწყობენ, რომ ერთი კაციც არ გადაარჩება.

ამ ამბავმა სპარსელების მწუხარება კიდევ უფრო გაზარდა. შაჰ ჰუსეინმა შეაგროვა რაც კი ჯარი ჰყავდა: როგორც ქვეითი, ისე კავალერია, და მირ მაჰმუდის შესახვედრად ხორასნისაკენ გაემართა. ორი არმია ერთმანეთის პირდაპირ იმყოფება რამდენიმე ფარანჯის* მანძილზე პატარა ქალაქ ტაპრანიდან, რომელიც დერგეზინის მფლობელობაში შედის. ცნობილია, ეს საქმე როგორ წავიდა.

* * *

ასეთია ამ სამახსოვრო ბარათის შინაარსი. ჩვენ ვერ დავადგინეთ მისი ავტორი. როგორც სათაურიდან ჩანს, იგი თავდაპირველად თურქულად ყოფილა შედგენილი. მაგრამ ვინ შეადგინა იგი თურქულად, არ ჩანს. საგულისხმოა ის, რომ ამ მოხსენებით ბარათს დასმული აქვს თარიღი: „1723 წლის 31 იანვარი“. იგივე თარიღია დასმული იოსებ ქართველის „მოგონებაზეც“. თუმცა ორივე ადგილას ეს თარიღი მიწერილია სხვა ხელით.

ამ სამახსოვრო ბარათში ბევრი საინტერესო ფაქტია, რომელიც მოხსენებული არაა არც იოსებ ქართველის „მოგონებაში“ და არც კონსტანტინოპოლიდან საფრანგეთის საელჩოს მიერ პარიზში გაგზავნილ „მოხსენებით ბარათში“.

ამ სამახსოვრო ბარათის ავტორი, როგორც თვითონ ტექსტიდან ჩანს, ყანდაპარში მომხდარი ამბების თვითმხილველი უნდა იყოს: „მე ვნახე სხეული ერთ მხარეს, ხოლო თავი — მეორე მხარეს“, წერს იგი, როდესაც გიორგის მოკვლის შემდეგ მირ მაჰმუდის მიერ ყანდაპარის ციხესიმაგრის აღებას აღწერს. მაგრამ, თუ ეს ასეა და იგი აქ აღწერილი ამბების თვითმხილველია, მაშინ გაუ-

* ტექსტის ავტორის შენიშვნა: სპარსული საზომი, რომელიც უდრის სამ მილს.

გებარია სამახსოვრო ბარათის ავტორის მიერ დაშვებული უაზრო-
ბანი, შეცდომები და გამოტოვებული მნიშვნელოვანი ამბები (ქა-
იხოსროს ლაშქრობა და სხვ.) .

ამ სამახსოვრო ბარათის ავტორი ევროპელი უნდა იყოს. უკრთ
ადგილას სქოლიოში იგი წერს: „სპარსული საზომი, რომელიც
უღრის ჩ ვ ე ნ სამ მილს“.

ამ სამახსოვრო ბარათის მიხედვით, შაჰ ჰუსეინმა გიორგი XI
ყანდაპარში გაგზავნა ჰიჯრით 1110 წელს (ე. ი. 1698—1699 წწ.)
მამინ, როდესაც ეს მოხდა 1704 წლის მაისში. ავტორი არაფერს
ამბობს იმ სამი ათასი ქართველის შესახებ, რომელიც უფლისწუ-
ლი ალექსანდრეს მეთაურობით გიორგიმ ავღანი ურჩი ტომების
დასასჯელად ტირინის მხარეში გაგზავნა. ასევე არაფერია ნათქვა-
მი მათს იქიდან დაბრუნებასა და ყანდაპართან ბრძოლებზე.

სამახსოვრო ბარათის ავტორი წერს, რომ გიორგის მოკვლის
შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში არაფერი არ იცოდნენ ისფა-
ჰანში ყანდაპარში მომხდარ ამბებზეო და სხვ.

მაგრამ, საერთოდ, ამ სამახსოვრო ბარათში ბევრი საინტერე-
სო ფაქტია მოცემული და ამიტომ ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ მისი
თარგმნა და დედნითურთ გამოქვეყნება.

ეს სამახსოვრო ბარათი შედგება 15 ხელნაწერი გვერდისაგან.
გვერდები ნორმალურია. დაწერილია ცუდი კალიგრაფიით, მრავალჯერ წაშლილია და გადასწორებული. თითოეული გვერდი შეი-
ცავს 25—27 სტრიქონს და ველებზე მრავალი (მწელად გასარჩევი)
მინაწერი აქვს. ეს სამახსოვრო ბარათი ინახება საფრანგეთის საგარეო
საქმეთა სამინისტროს არქივში, პარიზში.

№ 6

ბატონ დიუბუას¹

ვერსალი, 1723 წლის 17 თებერვალი.

78²

მოწყალეო ხელმწიფევე, საზღვაო პოლკოვნიკმა ადრე გამოუც-
ხავნა თქვენს უსამღვდელოესობას მოხსენებითი ბარათი სპარსე-
თის შაჰის არმიასა და ამ შაჰის წინააღმდეგ აჯანყებულ მაჰმუდის

¹ მიწერილია სხვა ხელით.

² დოკუმენტის რიგითი ნომერია.



არმიას შორის 8 მარტს მომხდარი ბრძოლის შესახებ და 16 აპრილამდე ისფაჰანის ალყის დღიურები ისევე, როგორც ამ ქვეყანაში მყოფმა საფრანგეთის კონსულმა³ გაუგზავნა თქვენს უსამღვდელოესობას პირველი ივლისამდე ამ დღიურების გაგრძელება.

თქვენი უსამღვდელოესობა იქვე, იმავე რვეულში იპოვის თანდართულ ასლს დასაწყისის ასლთან ერთად, რათა აგაცდინოთ შეწყობება მისი მოძებნით.

ლ. ა. დე ბურბონი.

ბატონ კარდინალ დიუბუას⁴.

1723 წლის 17 თებერვალი⁵.

ავღანებთან⁶ სპარსელების ბრძოლის აღწერა

79.

სულთან მაჰმუდი⁷, რომლის მამამ⁸ ააჯანყა კანდაპოს⁹ პროვინცია სპარსეთის შაჰის წინააღმდეგ, ათი ათასიანი ავღანთა ლაშქრით 5 მარტს¹⁰ ისფაჰანიდან 15 ლიეზე¹¹ გამოიწნა. იმავე დღეს სპარსელები იარაღის ხელში ასაღებად გაემზადნენ. მეორე დღეს 6 (მარტს) 45 თუ 50 ათასი ბრძოლისუნარიანი მოგროვდა. საღაშოს მათ ქალაქიდან გასვლა დაიწყეს, რათა დაბანაკებულიყვნენ.

7 (მარტს) გენერლები, რომლებსაც სარდლობა უნდა გაეწიათ, დადგნენ თავიანთი დივიზიების სათავეში. ერთი არაბი სარდალი თავისი ჯარით — მარჯვნივ, ლორელთა მეფე ალი მარდან ხანი თავისიანებით — მარცხნივ, ცენტრი დაკავებული იყო ყორში ბაშის

³ ივლისხმება საფრანგეთის კონსული ისაჰანში დე გარდანი.

⁴ ვიომ დიუბუა (1656—1723) — ფრანგი კარდინალი და პოლრაქტური მოღვაწე, გაქნილი დიპლომატი, საფრანგეთის აკადემიის წევრი. მან მოაღწია ესპანეთის წინააღმდეგ პოლანდიასთან და ინგლისთან საფრანგეთის კავშირის შექმნას. 1722 წელს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი გახდა, რამდენადაც იგი კარდინალი იყო, მისდამი მიმართვაში ხმარობდნენ გამოთქმას: „მისი უსამღვდელოესობა“.

¹ მიწერილია სხვა ხელით.

² ტექსტში ყველგან წერია „არევენ“.

³ ივლისხმება მირ მაჰმუდი.

⁴ ივლისხმება მირ ვეისი.

⁵ ივლისხმება ყანდაპარი.

⁶ ივლისხმება 1722 წლის 5 მარტი.

⁷ ლიე — უძველესი ფრანგული მანძილის საზომი ერთეული, უდრის 4,5 კმ-ს.



ანუ კავალერიის გენერლისა და ჯარების სარდლის ყულარ ალისის მიერ, რომლებიც შაჰის გვარდიას შეადგენდნენ. ზურგეზულებს მეთაურობდნენ ეთემად აღ-დოულე და თოფჩი ბაში ანუ არტილერიის სარდალი.

8 (მარტს) ორივე ლაშქარი ერთმანეთს დაუპირისპირდა. სულთან მაჰმუდმა თავისიანები ჩასაფრა ერთმანეთზე გადამბოლი და მუცელზე გაწოლილი აქლემების ხაზის უკან, რომელთა უმრავლესობა შეიარაღებული იყო კურტნებზე მდგარი ზამბურაყებით⁸. ამ ცხოველების უკან იდგა მრავალი მეთოფური, ხოლო მათი ავანგარდი, ძლიერ შემჭიდროვებული, 2 ათასი ცხენოსნისაგან შედგებოდა.

სპარსელებმა, რომელთაც თავისი ხალხის მრავალრიცხოვნების იმედი ჰქონდათ, იერიში ნაშუადღევის დაახლოებით 4 საათზე დაიწყეს. ყულარ აღასმა (ძმამ უფლისწულისა, რომელიც საქართველოში მეფობს) პირველმა შეუტია და მამაცურადაც იბრძოდა. მაგრამ მას მხარი არ დაუჭირეს. მოწინააღმდეგის ალყის შემორტყმაზე მტკიცედ შეთანხმებული სპარსელები ჩასაფრებულთა ცეცხლმა და მტრის ჯარის ერთიანმა წინააღმდეგობამ არეულობამდე მიიყვანა. სპარსელები შედგკრნენ და გაქცევა დაიწყეს.

ალი მერდან ხანი, რომლის ერთგულებაში შაჰისადმი ეჭვი ეპარებოდათ, 200 ლორელთან ერთად თავისი ქვეყნისაკენ გაემართა. ყულარ აღასი და თოფჩი ბაში მრავალ გულად ქართველთან ერთად დახოცეს. 25 ათასმა კაცმა, რომელსაც ეთემად აღ-დოულე მეთაურობდა, მტერს ზურგი აქცია, ნაცვლად იმისა, რომ გაქცეულებს დახმარებოდნენ. ერთნი გარბოდნენ ველებზე და სოფლებში, მეორენი ბრუნდებოდნენ ქალაქში, ეგონათ, რომ მტერი ფეხდაფეხ მისდევდათ. მტერი გართული იყო იმით, რომ ესარგებლა ამ გაქცევით და ალყაში მოექცია ყველა გაფანტული სპარსელი.

ეთემად აღ-დოულეს და მრავალი სხვა დიდებულის ალალი, დიდი რაოდენობით სამსედრო აღჭურვილობა, 8 ზარბაზანი, რომლებიდან ერთხელაც კი არ გაუსროლიათ, მტრის ხელში აღმოჩნდა. ქალაქ პარიზში დაბადებული ფილიპ კოლუმბი (ალბათ, კულონი. — ი. ტ.), მისი უდიდებულესობის სპარსეთის შაჰის მიერ დაქირავებული, ზარბაზნის დამოქლთნვის დროს მოკლეს.

⁸ ზამბურაყი (ინგლისურად: „ფოლკენეტ“, ფრანგულად: „ფოკონო“) — ძველებური (XV—XVII სს.) ზარბაზანი, რომელიც საფანტის ჭურვებს ისროდა.



სპარსელების მხარეზე დანაკარგი შეადგენდა 1200 ან 1300 კაცს, ხოლო ავღანების მხარეზე — 200 ან 300 კაცს.

სპარსელი ჯარისკაცები იმდენად იყვნენ შიშისაგან თავდაცემულნი, რომ ისინი ღამით მიაწყდნენ ქალაქის ალაყაფის კარებს უწესრიგოდ, იქ 200 კაცის შეგროვებაც კი ძნელი იყო რაიმე მოქმედებისათვის. მირ მაჰმუდს რომ სცოდნოდა, თუ როგორი შიში და არეულობა სუფევდა ისტაჰანში, შეეძლო მოსულიყო და ისტაჰანისათვის ბრძოლა დაეწყო.

შემდეგ ორ მომდევნო დღეს — 9 და 10 (მარტს), მიუხედავად იმისა, რომ შაჰმა ჯარების მოსაგროვებლად დაფდაფების დაკვრა ბრძანა, არავინ ჩანდა და მის უდიდებულესობას დამცველად 200 სამხედრო პირიც კი არ ჰყავდა. ხალხი უცნაურად, სულელურად დამშვიდებული იყო. ეგონათ, თითქოს, მათთვის სასარგებლოც იყო იარაღისათვის ხელი არ მოეკიდათ და ძლიერის გამარჯვებისათვის დაეცადათ, რათა სისხლისღვრა თავიდან აეცილებინათ.

11 (მარტს) დილით შაჰმა თავისი უფროსი შვილი, 25 წლის სულთან აჰმედი, სახლიდან გამოიყვანა და ხალხს აჩვენა, გამოაცხადა რა ეს უფლისწული თავისი ჯარების გენერალისიმუსად, მთელს სამეფოში შაჰის მოადგილედ, ყველა თავის ქვეშევრდომზე სიკვდილისა და სიცოცხლის უფლებით.

ქალაქელებმა იარაღი აიღეს და სამეფო მოედანზე გამოვიდნენ. იქ რამდენიმე ჯარისკაცი მოაგროვეს და მიიღეს ზომები ქალაქის უმთავრესი ქუჩების დასაცავად, თხრილების გასაყვანად და ბარიკადების ასაგებად. საღამოს მოწინააღმდეგის ერთმა ნაწილმა შირაზის ხიდისაკენ გასწია. ვაისმა თოფის სროლა ორივე მხარისათვის რაიმე უპირატესობის გარეშე.

სულთან ახმედმა ღამით მსუბუქ ვახშამზე სასახლის რამდენიმე დიდებული მიიწვია. ამ უკანასკნელებმა მას შეამჩნიეს მეტისმეტი სიამაყე, სისხლისღვრისაკენ ბუნებრივი მიდრეკილება. ამ ბატონებმა იგი სამეფოს არეულობის მიზეზებში მეტისმეტად ჩახედულად ჩათვალეს და შეეცადნენ მის ადგილას სხვა უფლისწული დაესვათ. ამიტომ მეორე დღეს, 12 (მარტს), სულთანი, რომელსაც ქალაქში უნდა გაესეირნა, შაჰის ბრძანებით სასახლეში ჩაკეტეს.

13 (მარტს) ქალაქის კარიბჭეებთან ღამით წინწამოწეული რაზმების წინააღმდეგ თოფის რამდენიმე გასროლის გარდა არაფერი ახალი არ მომხდარა. ავღანთა ჯარი შირაზის ხიდთან იყო დაბანაკებული.



14 (მარტს) არაფერი მნიშვნელოვანი არ მომხდარა, ვარა მუ-
ტად მოახლოებულნი მნიშვნელოვანი ცხენოსანთა ნაწილნი ქალაქიდან თოფის ხშირი სროლისა.

15 (მარტს) შაჰმა დიდებულების თანხმობით თავისი უფროსი ვაჟი სულთან ახმედი შეცვალა თავისი მეორე ვაჟით—მირზა სეფით, იმავე უფლებებით. ამან ხალხში დიდი გაცემა გამოიწვია.

ნაშუადღევს ქალაქში დიდი განგაში მოხდა. ეგონათ, რომ სარდარი მაჰმუდი მოდიოდა, რათა ქალაქში შესულიყო. ეს იყო 500 კაციანი რაზმი, რომელიც ქალაქის გარეუბანში მოვიდა, რათა ამაყი სპარსელები ქალაქიდან გამოეყვანა. მათ წინააღმდეგ რამდენჯერმე ჰაერში ზარბაზნები და თოფები გაისროლეს.

16 (მარტს) მტერი მიუახლოვდა ჯულფას, სადაც სომხებს შაჰის ბრძანებით მთელი ქუჩები ქვის კედლებით და ბარიკადებით გაემგარებინათ. ავღანებს ამან ხელი ვერ შეუშალა, რათა მეორე დღეს — 17 (მარტს), გათენებისას, 500 თუ 600 კარგად შეიარაღებული და ჯავანში ჩამჭდარი ჯარისკაცით იქ შესულიყვნენ. ისინი სომხებს ამშვიდებდნენ, რომ მათ არ უნდოდათ მათ მიმართ რაიმე ცუდის გაკეთება და, რომ მათ დამშვიდებულად უნდა ეცხოვრათ. ამავე დროს სარდარმა მაჰმუდმა დილის 9 საათზე თავისი ჯარი საბრძოლველად წარმართა. თავი მოაჩვენა რა, თითქოს ფერაბადში დასაბანაკებლად მიდის. აქ, ჯულფასთან ძალიან ახლოს, არის დიდი ბაღით დამშვენებული, გალავანშემოვლებული დასასვენებელი სასახლე, რომელიც შაჰმა თავისთვის ააშენებინა. მაგრამ მაჰმუდი შიგნით შესვლას არ შეეცადა. ალბათ, ეშინოდა, რომ იქ მის შესახვედრად ჩასაფრებული ხალხი დახვდებოდა.

იმავე დღეს — 17 (მარტს), მაჰმუდმა 2 ათასი კაცით იერიში მიიტანინა ისფაჰანზე აბასბადის მხრიდან, სადაც სპარსელებმა საკმაოდ დაიცვეს თავი. მათ ზარბაზნის გასროლით რამდენიმე ავღანნი მოკლეს. ქალაქის მცხოვრებლები მთელი ღამე ათასობით თოფს ისროდნენ, რათა ხალხი საგანგაშო მდგომარეობაში ყოფილიყო.

18 (მარტს) მირზა სეფიმ ყველა ევროპული სახელმწიფოს წარმომადგენელთა მეთაური მიიწვია და უთხრა, რომ შაჰი მათ გამოიყენებდა, თუ მდგომარეობა ამას მოითხოვდა. მირზა სეფიმ ჰკითხა, რაიმე კავშირი ჰქონდათ თუ არა მათ ჯულფელებთან, რომლებიც, როგორც ცნობილია, ცუდად მოიქცნენ, არაფერი გააკეთეს რა თავიანთი თავის დასაცავად და მაჰმუდს დაემორჩილნენ. მათ ბოღნიში მოიხადეს იმის გამო, რომ სრულებით არ გააჩნდათ

ლაშქარი მათ (სპარსელების) დასახმარებლად და დასაცავად. მათ შთაბრძნა დიდ უპირატესობებს, თუ ისინი ავღანებს დასცემენ და განდევნიდნენ. შაჰმა გაათავისუფლებინა ქალანთარი და სხვები, რომლებიც აქ მოიყვანეს მუქარით, რომ მათ მუცლებს გამოუფატრავდნენ სულთან მაჰმუდის მიმართ პატივისცემის გამოჩენის გამო.

19 (მარტს) ავღანებმა ქალაქ ჯულფის გაძარცვა დაიწყეს, ხოლო სულთან მაჰმუდი ფერაბადის ზემოთ დაბანაკდა.

20 (მარტს) მოწინააღმდეგის 3 ათასი კაცისაგან შემდგარმა რჩეულმა კორპუსმა იერიში მიიტანა „სახლის“ ხიდზე, რომელიც ჯულფის დასავლეთით ზარბაზნის გასროლის მანძილზეა. ურთიერთის წინააღმდეგ რამდენიმე გასროლის შემდეგ ამ კორპუსის ერთმა ნაწილმა ხიდი დაიკავა და ქალაქის შესასვლელს მიადწია, ხოლო მეორე ნაწილი მდინარის გასწვრივ, ჯულფის ხიდამდე, განლაგდა.

ავღანებმა დაიკავეს აბასაბადად წოდებული უბანი. აქლემებზე დადგმული ზამბურაკებით მდინარეზე გადავიდნენ, განმწყრივდნენ და მსროლელთა გასაადვილებლად დაწოლილი განლაგდნენ. საომარი მოქმედება დაიწყო დღის 11 საათზე და გაგრძელდა დღის 6 საათამდე. სპარსელები თავს იცავდნენ ზარბაზნებით, რომლებიც დიდ ეფექტს ვერ აღწევდნენ. ასეთივე შედეგი ჰქონდათ მეთოფურებსაც. სპარსელებმა დაკარგეს 9 თუ 10 კაცი, მოწინააღმდეგემ — 40—50 კაცი. მზის ჩასვლისას ავღანებმა უკან დაიხიეს და ხიდი სრულიად მიატოვეს. აქლემები მდინარის მეორე მხარეზე გადაიყვანეს.

ამ დროს მილიციელთა ოციოდე წარმომადგენელი, რომელთაც ეგონათ, რომ ისინი (ავღანები.—ი. ტ.) გარბიან, მათ გამოეკიდა, რათა რამდენიმე ავღანი თავიანთი შაჰისათვის მიერთმიათ და მიეღოთ ის ჯილდო, რომელსაც ასეთ შემთხვევაში მისი უდიდებულესობა იძლევა. მაგრამ ავღანები მათ მოუბრუნდნენ და ხმლით აჩეხეს.

21 (მარტმა) სპარსული ახალი წლის პირველმა დღემ, დიდ სიმშვიდეში ჩაიარა. ავღანებმა ქამეს და სვეს ჯულფაში მაშინ, როდესაც მათი რაზმები მეზობელ სოფლებს არბევდნენ.

22 (მარტს) მაჰმუდი ფერაბადის ციხე-დარბაზში შევიდა, საიდანაც შაჰმა მთელი ავეჯი გამოატანინა.

23, 24 და 25 (მარტს) შაჰმა 500 თუ 600 დამხმარე ჯარისკაცი მიიღო. მაჰმუდმა საბძოლველად გააშლევინა თავისი ჯარი. იგი



ისფაპანის გენერალურ იერიშს აპირებდა, მაგრამ ჯულფის ქალაქში თარისა და დიდებულებისადმი უხეში მოქცევით შემოიფარგლა. მან იქ შეარჩია 30 თუ 40 ქალიშვილი თავის ქვეყანაში წასაყვანად და მოითხოვა 60 ათასი თუმანი კონტრიბუცია, რაც 1 მილიონ 200 ათას ეკიუს უდრის.

26 (მარტს) შაჰმა სასახლეში დააბრუნა მირზა სეფი და მის ადგილზე წამოაყენა მესამე უფლისწული, თამაზ მირზა. ისე ჩანს, რომ, თითქოს, მაჰმუდს სურს ჯულფა დაანგრის, იქ მცხოვრებიდან ბევრი მონად გაიხადოს და შემდეგ წავიდეს. მას ეშინია 10 თუ 12 ათასი კაცისა, რომელიც სპარსეთის შაჰის დასახმარებლად მოდის. ახალი ცნობის მიხედვით იგი მოითხოვს ზემოაღნიშნული კონტრიბუციის გადახდას და 1000 ქალიშვილს. საღამოს 4 საათზე მან თავისი ლაშქრის ორი მესამედით იერიში მიიტანა ჯულფის მხრიდან, ჰაზარდ გირიდად წოდებული ბალის პირდაპირ. სპარსელებმა დაიკავეს ამ ხიდის ერთი თალი და თავი დაიცივეს უკეთესად, ვიდრე წინათ. ზარბაზნებიდან და თოფით ასე უხვად აქამდე არ უსროლიათ. ღამით მაჰმუდმა უკან დაიხია, დაკარგა დაახლოებით 100 კაცი.

27 (მარტს) ჯულფელებმა 400 ათასი ეკიუს ღირებულება გადაუხადეს მაჰმუდს, რომელმაც დანარჩენის გადახდის ვადა მისცა მათ. ეს თანხა უმთავრესად შედგებოდა ცეხინებისაგან (ქალები თავზე რომ ატარებენ), ოქროს სამაჯურებისა და ძეწკვებისაგან. მაჰმუდი ყველას ხმლით აჩეხვით ემუქრებოდა, თუ არ მიიღებდა იმას, რაც მოითხოვა.

28 და 29 (მარტს) მაჰმუდმა არაფერი არ იმოქმედა. იგი დაკავებული იყო ჯულფელ სომეხ დიდებულთა უმოწყალო ცემა-ტყეპით, რათა აეძულებინა ისინი, მთლიანად გადაეხადათ კონტრიბუცია, რომელიც მან მოითხოვა და, რათა გაეგო ყოველი მათგანის შესაძლებლობა.

30 (მარტს) თავისი ლაშქრის ორი მესამედით მან შეჰრისტანის მხრიდან ქალაქზე იერიში მიიტანა. 30 თუ 40 კაცის დანაკარგით იგი უკუაქციეს.

31 (მარტს) ორივე მხრიდან სიმშვიდე იყო. შაჰის მიერ სასახლიდან გამოყვანილი მესამე უფლისწული თავის კარავში — შარბაში, ცხოვრობდა, რათა აუცილებელი ბრძანებები გაეცა.

პირველ აპრილს სხვადასხვა მხრიდან ქალაქის დასახმარებლად 2 ათასი კაცი მოვიდა, რომლებიც რამდენიმე საღარაჯოს დასაცავად გაანაწილეს.

2 (აპრილს) მეზობელი სოფლებიდან 200 გლეხი მოვიდა შაქისადმი მხარდაჭერის თხოვნით, წინააღმდეგ ავლანებისა, რომლებიც ზიც მათ არბევდნენ. ისინი მოლაბაშის სახლში მივიდნენ, შემდეგ ქვემო კარიბჭეების პატრონ ჰეკიმ ბაშის სახლში — მოთხოვნით: მათთვის გადაეცათ ის ბატონები, რომლებიც ახლანდელი უბედურების მიზეზი იყვნენ, ხოლო შაქის ადგილზე მისი უფროსი ვაჟი აბას მირზა დაესვათ. ამ მღელვარებას უფრო მეტი შედეგი არ მოჰყოლია.

იმავე დღეს ქირმანიდან ერთ-ერთი ინგლისელი ვაჭრის მიერ დაწერილი ბარათი მოვიდა. იმ დროს, როდესაც ამ ქალაქში მაჰმუდი მივიდა, ინგლისელი ციხესიმაგრეში შეხიზნულიყო. ამ წერილში იგი იტყობინება, რომ ქალაქში ბევრი ხალხი შიმშილით იხოცება; რომ მაჰმუდმა, რადგან ციხესიმაგრის აღება ვერ შესძლო, 10 ათასი კაცი გააყლევტინა; შიმშილობისა და უსახსრობის გამო ქალაქი დაცარიელდა; რომ ქალაქი მთლიანად განადგურდა.

3 (აპრილს) არაფერი ახალი არ მომხდარა.

4 (აპრილს) 5 ათასმა ავლანმა ბიდაბანის მხრიდან ისფაჰანზე იერიში მიიტანა. დახოცეს 20 კაცისაგან შემდგარი სპარსელთა სადარაჯო რაზმი, რომელიც ქალაქგარეთ მოწინავე პოსტზე იდგა. იერიში გაგრძელდა ორი საათი, რომლის შემდეგ ავლანებმა დაკარგეს რა 30 თუ 40 კაცი, უკან დაიხიეს. ისინი ხოცავდნენ ყველა სპარსელს, ვინც კი ხელში ჩაუვარდებოდათ, ქალებსაც კი.

5 და 6 (აპრილს) ისვენებდნენ, ქალაქში შემოვიდა ამადანიდან მოსული 500 თუ 600 მეგრძოლი, ოციოდე საპალნე თოფის წამალი.

7 (აპრილს) გათენებისას რვა ათასმა ავლანმა იერიში მიიტანა მარმონის ხიდზე. მთლიანი ზეგებით მათ იქ გადასასვლელი ააგეს ამ ხიდის ღიად დარჩენილი დანგრეული თაღის შესავსებად. ისინი შეიჭრნენ აბასაბადის ბალებში, სადაც სალამოს 500 კაცის დაკარგვის შემდეგ დამკვიდრდნენ. როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან მთელი ღამე თოფის სროლაში გაატარეს.

8 (აპრილს) ავლანებმა წინ წაიწიეს და შაქის თეთრი ევენუქის ახმედ აღას სანგრებთან მეტად ახლოს განლაგდნენ. ბრძოლის წაგების დროიდან ყულარ აღასმა თავი კარგად დაიცვა 300 კაცით, რომლებიც მეზობელი სახლების აივნებზე იყვნენ განლაგებული. მრავალი ავლანი დაიხოცა ზარბაზნებიდან სროლის დროს, რომლებიც სახლებსა და მის ზედა კედლებს ანგრევდნენ.

9 (აპრილს) დილის 3 საათზე ავლანებმა ახმედ აღას სანგრებზე იერიში განაახლეს. 7 საათზე მათ მთელი მტრის ჯარი მიეშვე-



ლა. ევენუქი თავისი პოსტის მიტოვებას ფიქრობდა, მაგრამ 3 ათასი სპარსელის მიშველების შედეგად იგი შეინარჩუნა. ისენი მივიდნენ. მათი დახმარებით მან ბოლოს ავლანებს მთელი დაპყრობილი ადგილები დააკარგვინა, განდევნა რა ისინი მარმონის ხიდის თავზე მდებარე წიქვილამდე. საომარი მოქმედება სადამომდე გრძელდებოდა. ფიქრობენ, რომ მოწინააღმდეგემ აქ დაკარგა 300 თუ 400 კაცი, ხოლო სპარსელებმა — 30-მდე.

10 (აპრილს) ამ პოსტზე მხოლოდ ურთიერთ სროლა იყო.

11 (აპრილს) სპარსელებს 2 ათასი კაცისაგან შემდგარი კარგად გაწვრთნილი ლაშქარი მოუვიდათ.

12 (აპრილს) ავლანთა ერთი ნაწილი ისფაჰანიდან 3 ლიეთ დაშორებულ სოფელს დაეცა. მათ სოფლის მოსახლეობა ამოწყვეტეს, ქალები და ბავშვები მონებად წაიყვანეს.

13 (აპრილს) სპარსელებს დამხმარე 600 კაცი მოუვიდათ. მოწინააღმდეგეთა ერთმა ნაწილმა კურზე ანუ ზემო შაბაზე იერიში მიიტანა და ჰაზარდ გირიდის ბალის პირდაპირ ხელთ იგდო სპარსელების მიერ დაკავებული ორი სადარაჯო. ქვემო შარბას მიმართ სასროლად მამძულმა იქ ფერაბადში წართმეული სამი ზარბაზანი დააყენა. მაგრამ სპარსელებმა ეს ადგილი საჩქაროდ საზარბაზნე ბაქანით დაფარეს და მტრის არტილერიის საწინააღმდეგოდ მოაწყვეს.

14 (აპრილს) შირაზის ხიდზე იერიში მიიტანეს, მაგრამ ავლანები უკუაქციეს.

15 და 16 (აპრილს) არაფერი ღირსშესანიშნავი არ მომხდარა.

17-დან 24 (აპრილამდე) ერთადერთი თავისუფლად დარჩენილ ტოქჩის კარიბჭიდან ქალაქში შემოვიდა პროვინციებიდან და მეზობელი რაიონებიდან ჯარისკაცების რამდენიმე ჯგუფი. ქალაქის ყველა დანარჩენი შესასვლელი მამძულის ხელშია. ჰგონიათ, რომ ის ქალაქის მთლიანად ჩაკეტვას აპირებს და მის შიმშილით აღებას.

25 (აპრილს) მამძული ერთდროულად სამჯერ გადავიდა იერიშზე, მაგრამ უშედეგოდ.

26 (აპრილს) ავლანები დაეპატრონენ ტოქჩის გზას, საიდანაც ქალაქში პროვინციებიდან დახმარება შემოდის.

27 (აპრილს) სამეფო მოედანზე მრავალრიცხოვანი გლეხობა მოგროვდა, რომელთა სოფლებიც აწიოკებული იყო. ისინი ყვიროდნენ, რომ ავლანებს ჩაბარდებოდნენ, თუ ქალაქიდან არ გავიდოდნენ ავლანების წინააღმდეგ საბრძოლველად. შაჰმა ამბოხების

შიშით თავისი სასახლის კარები ჩააკეტვინა და ბრძანება გასცა
ათას კაციან რაზმს ავღანები გაედევნათ ტოქჩის გზაზე მაფიქრეულნი
დაკავებული პოსტებიდან.



28 და 29 (აპრილს) ზემოხსენებული რაზმი ქალაქიდან გავი-
და და მიუხლოვდა ავღანებს, რომლებსაც სპარსელების ფარულად
პოსტები გაემავრებინათ.

30 (აპრილს) სპარსელებმა, რომელთაც 220 არაბი მიაშველეს,
ეერიში მიიტანეს ავღანებზე, რომლებიც მცირერიცხოვანი მოჩან-
დნენ. ბრძოლა რომ დაიწყო, 2 ათასი ჩასაფრებული ავღანი ბაღე-
ბის გაღაენებიდან ვაღმოვიდა. სპარსელები დამარცხდნენ, 200 კა-
ცი დაკარგეს, ხოლო ავღანებმა — ზამბურაკების ანუ პატარა ფო-
კონიების მატარებელი 7 თუ 8 აქლემი. ამ სამხედრო მოქმედების
მეთაურმა ევნუქმა ახმედ აღამ დაინახა რა, რომ ეს მარცხი არაბე-
ბის ლაჩრობის ბრალი იყო, რომლებიც თოფის პირველი გასრო-
ლისთანვე გაიქცნენ, რამდენიმე მათგანი სამაგალითოდ სიკვდი-
ლით დასაჯა. მაგრამ ამ არაბების მეთაურმა შაჰთან იჩივლა. მისმა
უდიდებულესობამ ევნუქის მოქმედება არ მოიწონა და მოითხოვა
მის ადგილზე აბასაბას დასაცავად სხვა პიროვნება დაენიშნათ.

პირველიდან 9 მაისამდე ერთმანეთს მხოლოდ რამდენჯერმე
ზარბაზნიდან ესროლეს. მაჰმუდი მუდამ ანაწილებდა თავის რაზ-
მებს, რათა დაემთავრებინა ქალაქის ირგვლივ 7 თუ 8 ლიეზე მდებ-
არე სოფლების გაძარცვა და დანგრევა, რათა ბოლო მოეღო დაწ-
მარებისათვის, რომელსაც შაჰი სხვადასხვა მხრიდან მოელოდა. ამ
დროისათვის ორი თვის განმავლობაში პურისა და სხვა სურსათის
ფასი გასამკეცდა.

10-დან 13 (მაისამდე) ქალაქში სიმშვიდე იყო.

14 (მაისს) მაჰმუდმა დაავალა 4 ათასიან რაზმს წასულიყო
და გზა გადაეჭრა ჯარებისათვის, რომლებიც ისფაჰანიდან 7 ლიეზე
მდებარე სოფელ შალისიასთან უნდა გაერთიანებულიყვნენ.

15 (მაისს) ავღანები შეზღუდნენ ამ ჯარებს, რაც 6 ათასი
კაცისაგან შედგებოდა. მათ პირველი შეჯახებისას მედგრად დაიცივეს
თავი, მაგრამ ბოლოს დამარცხდნენ და დიდი დანაკარგით გაიფან-
ტნენ. ავღანელთა დანაკარგი არ ვიცით, რადგან მათ ჩვეულებად
აქვთ თავიანთი დახოცილები თუ დაჭრილები თან წაიყვანონ. მათ
არ ჰყავთ ისეთი ჯარისკაცი, რომელსაც ცეხინებიანი ქამარი არ
ჰქონდეს⁹.

⁹ ცეხინი (სექენი)—ოქროს ფულის ერთეული. ავღანელ მებრძოლებს ამ
ფულებით ჰქონდათ ქამარი მორთული.



16 (მაისს), ავლანთა რაზმი ფერაბადში დაბრუნდა. ^{მაკმუდს} იგი დააბანაკა თავისი დასასვენებელი სახლის წინ, რომელსაც ^{მაკმუდს} მიმავალი ყველა ქუჩა გაამაგრებინა.

17 და 18 (მაისს) ქალაქმა რამდენიმე მცირე დახმარება მიიღო. 18-დან 26 (მაისამდე) მხოლოდ მცირე შეტაკებები იყო.

27 (მაისს) ქალაქიდან გავიდა სპარსელთა 60 კაციანი ნაწილი, 20-მდე ქართველთან ერთად. ისინი მოულოდნელად თავს დაესხნენ ასამდე ავლანს, რომლებიც მეტად მოახლოვებულიყვნენ, და მეტი ნაწილი დახოცეს. მაკმუდს ეგონა, რომ სპარსელები დივერსიას უწყობდნენ და იერიშს სხვა მხრიდან აპირებდნენ. მან თავისი ლაშქარი საბრძოლველად განალაგა და ბრძოლისათვის მოემზადა. თუმცა ის თვლიდა, რომ თუ შაჰს დიდი დახმარება არ მოუვიდოდა, იძულებული გახდებოდა ქალაქი ჩაებარებინა სურსათის ნაკლებობისა და შიმშილის გამო, რომელიც უკვე დაიწყო.

27-დან 31 მაისამდე ქალაქში მყოფი ჯარების სხვადასხვა სახის მოძრაობა: მათ ხალხს მოაჩვენეს, ვითომც ჯარი ქალაქიდან გავიდა. ეს იმათ დასაწყენარებლად, ვინც მოითხოვდა ჯარის ქალაქიდან გასვლას მტრის დასამარცხებლად.

იენისის პირველი დღეებიდან 11-მდე არაფერი ღირსშესანიშნავი არ მომხდარა გარდა იმისა, რომ 9 (იენისს) ღამით შაჰმა გამოაყვანინა უფლისწული თამაზ მირზა თანმხლები რაზმით ყაზვინში წასასვლელად და იქ ჯარის მოსაგროვებლად, რადგან ამგვარი მიშველების გარეშე დღევანდელი საქმეების გამოსწორება ვერ მოხერხდებოდა.

11 (იენისიდან) პირველ ივლისამდე ავლანები დაკავებული იყვნენ სახლების გადაწვით და იმით, რომ ქალაქში რაიმე სურსათის შეტანისათვის ხელი შეეშალათ. მაჰმადიანების მარხვა, რომელიც 15 (იენისს) დაიწყო, მათ აიძულებს ორივე მხრიდან დროებით ბრძოლა შეაჩერონ. შაჰი ელოდება 12 ათას ქართველს და სხვა დახმარებას, რომელთა შესახებ ჯერ დანამდვილებით ცნობები არა აქვთ. ამასობაში კი ერთი ბათმანი პური 3 ეკიუ ღირს, ნაცვლად 15...-ისა, როგორც ღირდა ომის წინ; ცხვარი ერთი ბათმანი — 4 ეკიუ, ნაცვლად ერთი აბაზნახევრისა, ან 36...-ისა, რაც ჩვეულებრივი ფასი იყო. კვების ყველა პროდუქტი პროპორციულად გაძვირდა და იწყება პანიკა.

ამბობენ, რომ საქართველოს მეფემ ლეკებს შემახია წაართვა. ყოველ შემთხვევაში, ის კი სინამდვილეა, რომ მან ისინი განჯიდან გარეკა და მათ მისდევს. თუ ის, როგორც გვარწმუნებენ, თავის

შვილს 12 ათასი ქართველით გამოგზავნის, ამით სამეფოს საქმეები გამოკეთდება.

ლამის სიბნელის წყალობით ჯულფიდან მოსულმა რამდენიმე სომეხმა ამბავი მოიტანა, რომ მაჰმუდი იქ მაგრდება; რომ მან დაუბრუნა ბევრი ქალიშვილი თავიანთ მშობლებს, თან უთხრა: მათი მოტაცების მიზეზი იყო ის, რომ მან ისფაჰანი ვერ აიღო. სომეხმა მღვდლებმა ამ ქალიშვილების დიდი ნაწილი ხელახლა მონათლეს. ჰგონიათ, რომ მეორეჯერ ნათლობა მათ სიწმინდეს აღადგენს¹⁰.

№ 7

დამატება ცნობებისადმი

1723 წლის თებერვალი¹.

80²

რევოლუცია, რომელიც სპარსეთში მოხდა, ისეთი საგანგებო მდგომარეობაა, რომ ჩემ მოვალეობად მიმაჩნია თავი მოვუყარო ნაკლებად საეჭვო ამბებს, რათა შევადგინო თანმიმდევრული თხრობა. მაგრამ, რათა არ გადაეტვირთო ეს თხრობა, მე ავიღე ისეთი რამ, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია. რამდენადაც ის თურქების მთავარ ყურადღებას იქცევს, გადავწყვიტე, აქ ავხსნა.

როცა მათ მაჰმუდის წარმატება დაინახეს, მეტისმეტი სიფრთხილის გამო მათ საჭიროდ ჩათვალეს სპარსეთში ჯარები შეეყვანათ ან გამოსულიყვნენ შუამავლის როლში იმ არეულობაში, რომელმაც ეს სამეფო შეარყია, ან ერთ რომელიმე მხარეს მიმხრობოდნენ. დიდი ბატონი ყოველთვის წინააღმდეგობას უწევდა ამ გადაწყვეტილებას, ვინაიდან სეფიანებმა მას არ სთხოვეს არავითარი დახმარება. არც მირ ვეისმა და არც მისმა შვილმა მაჰმუდმა არ მიმართეს მას. მოკლედ, მას შეუფერებლად ეჩვენებოდა, გამოსუ-

¹⁰ საბუთი შედგება 36 ხელნაწერი გვერდისაგან. გვერდები ნორმალურია, მაგრამ თითოეული შეიცავს დაახლოებით 15—17 სტრიქონს. დაწერილია კარგი ფრანგული ენით, იკითხება კარგად. იგი ინახება საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში.

¹ მიწერილია სხვა ხელით.

² დოკუმენტის რიგითი ნომერია.



ლიყო იმ ადამიანის წინააღმდეგ, რომელიც იმავე სექტას ეკუთვნოდა, რომელსაც თვითონ, და დახმარებოდა სეფიანებს, რომლებსაც თურქები ერეტეკოსებად მიაჩნიათ. მაჰმუდიც ხომ ასე იქცეოდა.

აი მოსაზრებები, რომლებმაც შეაჩერეს დიდი ბატონი და დრო მისცეს მაჰმუდს სპარსეთის ტახტს დაუფლებოდა. მოვლენები განვითარდა. მირ მაჰმუდი უპირატესობას ჩემობს. მისდამი ექვიანობა იზრდება. ეს შესაძლებელია მიზეზი გახდეს მისდამი დამოკიდებულების შეცვლისა. ადრე მას მეტად თავშეკავებულად ეკიდებოდნენ. ეს იყო მისი ამბოხების დასაწყისში...

ეს რომ გაიგო, აუცილებლად უნდა იცოდეს თურქების აზრი, რომ ისინი ორი მთავარი სექტიდან მისდევენ მაჰმადიანური სარწმუნოების იმ სექტას, რომელსაც ისინი ერთადერთ ნამდვილ სარწმუნოებად თვლიან, ხოლო დიდ ბატონს, როგორც მემკვიდრეს ხალიფებისა, რომლებიც მათი მეთაურები იყვნენ, აქვს ნამდვილი უფლება ყველა მთავრის მიმართ, რომელიც იმავე სექტას აღიარებს. რამდენადაც მაჰმუდი მისდევს ამ სარწმუნოებას, ისინი დარწმუნებული არიან, რომ მათ უნდა აღიარონ დიდი ბატონის უპირატესობა. თუ არა ამ უკანასკნელმა მათ წინააღმდეგ ომით უნდა დაიმორჩილოს ისინი.

მაგრამ უნდოდა რა, თავიდან აეცილებინა ეს უფლება, თუ (მთავრები) უკიდურესობამდე მივიდოდნენ, და დაეკმაყოფილებინა ხალხის ინტერესი ამის თაობაზე, მან ხალხში ხმები გაავრცელებინა, რომ მაჰმუდი დაეუფლა რა სპარსეთის ტახტს, გასცა განკარგულება მეჩეთებში მოეწყობოთ ლოცვები დიდი ბატონის პატივსაცემად. მაგრამ მთავრებს არ გააჩნიათ ამის დამადასტურებელი არავითარი საბუთი. ეს მათ მით უფრო აყენებს უხერხულ მდგომარეობაში, რომ მაჰმუდი დიდ სწრაფვას იჩენს ამ სექტისადმი და უნარი შესწევს თავისი თვალთმაქცობით საგანგებოდ გაზარდოს მის მომხრეთა რიცხვი, ჰპოვოს ისინი დიდი ბატონის სამფლობელოშიც კი. ასე რომ, თუ მაჰმუდი არ ისურვებს მის აღიარებას, მაშინ აუცილებელი იქნება მივმართოთ იარაღს და რელიგიურ ომს — ყველა ქვეყნისათვის საშიშს, სადაც ცრურწმენა და უცოდინარობა ბატონობს ისე ძლიერად, როგორც ამ ქვეყანაში.



1724 წელი.

აქ არიან ნამდვილი, სარწმუნო და ნდობის ღირსი ავტორები, რომლებიც გადმოგვცემენ მომხდარ ამბებს ჰიჯრით 1115-დან² (ქრისტესით — 1702 წელი) ჰიჯრით 1134 წლის³ ბოლომდე (ქრისტესით—1722 წელი). ბედნიერი და ხელსაყრელი წლების ვითარებას, როცა სპარსეთის სამეფოში ბრძოლები იფეთქებდნენ რაიმე ვითარებაში ომი ატყუდებოდა ხოლმე.

ახალ დროში ირანის სამეფოს (ირანი — სამეფოს სახელწოდება), რომელსაც მდ. ოქსუსი⁴ და სპარსეთის ზღვა აკრავს, დასავლეთით კი ცნობილი მდ. ტიგრისი, სპარსეთის შაჰი თავის სამფლობელოდ მიიჩნევს.

გაბედული და მამაცი თურანის მეფე ჰუსეინი, რომელსაც არც ღმერთისა და არც სატანის არ ეშინია, ყანდაპარად წოდებული თავისი სამფლობელოს ციხესიმაგრეში იმყოფება. ეს ციხესიმაგრე თავის კეთილმოწყობილობითა და სხვა ღირსებით შეუდარებელია. სოფლის მეურნეობისათვის შესაფერისი და ცხვრის საძოვრებად გამოსადეგი უმშვენიერესი მიდამოები ახლავს. ხოლო ღმერთმა ნუ ინებოს, რომ ასეთი ერეტიკოსი, სქიზმატიკოსი და ამდენი წარმართი რომ წარმოშვას... ისინი ოთხ მათ რჩეულ საზოგადოებას და მაჰმადის მიმდევრებს ლანძღავენ და ეზიზღებათ. რასაც ღმერთი კრძალავს, სწორედ მას ასრულებენ. რაც მას შეესაბამება და ღირსი უნდა იყოს კიდევ და ვისაც საოცრად მრუდედ ესმის...⁵.

¹ მიწერილის სხვა ხელით.

² ჰიჯრით 1115 წელი, ქრისტესით—1703—1704 წწ.

³ ჰიჯრით 1134 წელი, ქრისტესით—1721—1722 წწ.

⁴ მდ. ოქსუს—მდ. ამუ-ღარიას უძველესი სახელწოდება.

⁵ წერტილებით აღნიშნულია ის ადგილები, რომელთა ამოკითხვა ვერ შეეძლებოდა. საერთოდ ეს ტექსტი მეტად ცუდი კალიგრაფიითაა დაწერილი და, რომ

ღვთის წინაშე სხვა არაფერია სანდო, თუ არა ნამდვილი და
ორთოდოქსული, რასაკვირველია, მაჰმადიანური მკვლევარების
ასე ქონდრის კაცები, ანგელოზები და წინასწარმეტყველები ლაპა-
რაკობენ. შენ გეუბნები, ღმერთის მიერ არაფრისაგან შექმნილი
რომ ხარ, არაბული სამეფო, საკუთრება, ქონება, ბევრი სხვა რამ
ის დოვლათია, რომელიც ჩვენ სიკეთეს გვანიჭებს; ვისაცა რა სურს
და მოსწონს, მას ყველაფერი ისე ესმის. ყველაზე კმაყოფილი ის
არის, ვინც ამას მისდევს და ასე აკეთებს, მისი მარადიული სურ-
ვილი სწორედ ამაში მქლავნდება. ამრიგად, ხალხის ამბის მომტა-
ნი... მოხეტიალე ჭარისკაცები (ავღანები) და მათი ნათესავი, თავა-
დი, შაჯი, მირ ვეისად წოდებული, კაცი გამბედავი და მეომარი, სა-
კუთარი ბრბოთი ანუ თავისი ჭარით, უფრო მეტით, ვიდრე სამ-
ხედრო ტომია, წმინდა რელიგიური შემადგენლობით, ზემოხსენე-
ბულ ქალაქში გარს შემორტყმული კარვებით ბანაკად დადგა. ხა-
ნი ანუ თავადი, ციხესიმაგრის გუბერნატორი, ქართველი მაჰმადი,
თავისივე ციხესიმაგრეში მყოფი, ბრძოლაში გამოიწვია. საღმრთო
საქმეს მინდობილმა შუალამის შემდეგ მაჰმადზე დაქვემდებარებუ-
ლი ჭარი სულ ერთიანად ამოხოცა... ერეტიკოსების მსგავსნი, ცუ-
დი ყოფაქცევისანი ქალაქიდან გამორეკა. აღნიშნული ციხესიმაგ-
რე დაიკავა. გაწმინდა საეჭვო ადამიანებისაგან, რომლებიც სხვა
რჯულს მისდევდნენ... სარწმუნოებისათვის მებრძოლი, უნარიანი
მეომარი, დაახლოებით 4 ათასი, ციხესიმაგრეში განალაგა.

მიმდინარე წელს⁶ სპარსეთის შაჰმა ყანდაჰარის მფლობელი⁷
ქართველის ძმა⁸ სარდლად დანიშნა. მან 60 ათასზე მეტი მეომარი,
იარაღი, საუნჯე და სხვა, რაც ომს ესაჭიროებოდა, მოაწესრიგა და
ზემოხსენებულ ციხესიმაგრეში გაემგზავრა. დადგენილი ჭარის
სარდალი ქაიხოსრო გზას გაუდგა მონღოლებით და მისვლისთანა-
ვე ციხესიმაგრე ალყაში მოაქცია, რაც გაგრძელდა 9 თვეს, მაგრამ
ვერ შესძლო გამარჯვების მოპოვება. თუმცა კი მას დიდი იმედი
ჰქონდა, რომ თავისი ძმის დაღუპვის გამო შურს იძიებდა. ღვთა-
ებრივმა ხმამ აუწყა: მარტო შენი შურისძიებისათვის მაქსიმუმს
თხოულობ. მიპასუხე: მირ ვეისის ციხესიმაგრის მოლაღატე ხარ

თითქმის ყოველი სიტყვის ამოკითხვა გვიძნელდებოდა. ტექსტის დადგენაში და
თარგმნაში დიდი დახმარება გამოიწვია ბევრან გიორგაძემ, რისთვისაც მადლობას
ვუძღვნი.

⁶ ალბათ, 1711 წელი.

⁷ გიორგი XI (გურგინ ხანი).

⁸ გიორგის ძმისწული ქაიხოსრო ლევანის ძე.



თუ ჩემი? ამ გამოცხადებისათვის პასუხს ხარბად ელოდნენ. იგი
 ჯარს ყოველთვის ფრთხილად ატარებდა. ახლაც ჯარი მწყობრად
 განაწყო და ნელნელა ციხესიმაგრისაკენ გზა დაიჭირა. მირ ვეისმა
 მახვილებით შეიარაღებული თავისი ჯარი ციხიდან გამოიყვანა და
 ციხესიმაგრის ძალით წამართმევ ერეტიკოსებს (შიიტებს.—ი. ტ.)
 შეეტაკა. ისე როგორც ლომი, ბრბოში, ფრანგული მახვილებით
 შეიარაღებულ ერეტიკოსს მიეძალა. ჯარის სარდარმა ქაიხოსროვ,
 სხვა თავადებმა და მეზრძოლებმა... (მახვილები წამოიღეს და მო-
 ნები სატუსალოში ჩაყარეს). მირ ვეისმა მათი ბანაკი დაიკავა. პა-
 ტარა ნავეები, იარაღის საწყობები, კარვები, ბარგის მზიდავი სა-
 ქონელი, მონები დაბოროცილნი მოიყვანეს. შეიღასი კაცი დაატყვე-
 ვეს, დანარჩენი მოსპეს. გაქცეულებმა თავი დააღწიეს. მათი მეთა-
 ურები დამარცხდნენ, ამაზე ცნობა ლტოლვილებმა მოიტანეს.

ერთი წლის შემდეგ ჯარების მთავარსარდალმა მეკმედ ხანმა
 მრავალი დიპლომატიური ესკადრონი შექმნა, მდინარეზე გადაიყვანა
 და გაგზავნა. მაგრამ მათ (მირ ვეისს) წინააღმდეგობა ვერ გაუწი-
 ეს. ბრძოლა დამთავრდა. ნაწილმა გაქცევით უშველა თავს. ბანაკი
 გაძარცვეს. ჯარის სარდარი, მისი მთავრები და ღიდებულები მირ
 ვეისს შეუთანხმდნენ და მის განკარგულებას დაემორჩილნენ. მან
 ღიდძალი პატარა ნავი, დასახლებული ადგილები, ციხესიმაგრე და
 მიდამოები დაიკავა, მცხოვრებლები მონებად აქცია.

დასაწყისში იუნონმა სამეფო სამფლობელოში თავის ხელ-
 ქვეით მიმდევრებს ორივეს მოუსმინა: ახლა ამ იუნონს უსმენს
 ყოვლად სამართლიანი მეფე, მსოფლიოს თავადი მირ ვეისი, კაცი
 ღიდად სახელგანთქმული, ყანდაპარად წოდებული მისი რეზიდენ-
 ციის მცირე ციხეში მყოფი. როცა იგი და ცუდი ყოფაქცევის ალის
 სექტის სპარსეთის შაჰი მზის გულზე მოვიდა ანუ სიკვდილს მიეახ-
 ლა (შაჰი უკვე ლოვინად ჩავარდნილი და დაავადებული იყო), რო-
 ცა განკითხვის უკანასკნელ დღეს ჯოჯოხეთის ცეცხლის მომლოდი-
 ნე თითოეული ყმა ძრწოლით და შიშით უნდა განიმსჯელოს, მა-
 შინ (მორწმუნენი) გამოთაყვანებულნი და უძღურნი ხდებიან ხოლ-
 მე), ზემოხსენებულმა მირ ვეისმა იმ ადგილს, რომელიც დაიკავა
 და ტყვეები წამოიყვანა, თავი მიანება და ბრძოლაზედაც ხელი
 აიღო. ხსენებულმა მირ ვეისმა ბრძანებითა და ღვთიური განაჩე-
 ნით ღიდ ქვეყანაში ბინა დაიდო და მაჰმუდად წოდებული თავისი
 შვილი მემკვიდრედ დატოვა. შვილს მაჰმუდი ერქვა (მაჰმუდი არა-
 ბული სიტყვაა და სახელოვანს ნიშნავს). მან თავისი სახელის შინაარ-



სი საქმით დაამტკიცა და კიდევაც შეასრულა. თავისი წინააღმდეგობით იგი კანონებს საგანგებოდ ასრულებდა.

დაახლოებით 40 ათას მებრძოლს ისევ თავი მოუყარა. დიდი ხნის მანძილზე ღმერთმა მას ბედნიერება შეუნარჩუნა. თავისი მეფეთა სარწმუნოებით შთაგონებული იყო. ჰიჯრით 1130 წელს, ქრისტესით — 1718 წელს, ამბები ამნაირად განვითარდა. ერაყსა და ქალდეაში, ჰერათსა და სიამში, კიბილსა, ნიშაბურსა და სხვაში 40-ზე მეტი ქალაქი და ციხე დაიკავა.

ჰიჯრით 1131 წელს, ქრისტესით — 1719 წელს, სპარსეთის შაჰმა, რომელიც ახლა მიტოვებულია, ჯარში წარმატება მოპოვებული ბაკარ ყული ხანად წოდებული თურქოლი და ის ჯარისკაცები, რომლებიც მას მზად ჰყავდა, თავდასასხმელად შეიარაღებულნი გაგზავნა. ამ მეომრებმა მტერს შეუტყეს, მაგრამ სპარსელები დამარცხდნენ. წინასწარ მოსულმა მაჰმუდის ჯარმა წარმატება მოიპოვა და მრავალი ხანი, თავადი და დიდებული დახოცა, მთელი მათი ბანაკი, ქონება და სიმდიდრე ხელთ იგდო. ამ ხნის განმავლობაში შაჰის მრავალმა პირველმა დიდებულმა, ასევე თავადმა შაჰს უღალატა. შაჰი მაჰმუდის ხელისუფლებას დაემორჩილა. რაც შეეხება კეთილშობილი ხალხის ან მსახურების დაფხრეწილ ტანისამოსს, მას ჯარისკაცები შუაზე იყოფდნენ.

...არსებული მდგომარეობა სპარსეთის შაჰისა, ქურთისტანსა და ქურდონის რეგიონში... თავისი პროვინციის რა მხარესაც არ უნდა ეხებოდეს. სახეზე მყოფი უფროსები და ადმინისტრატორები და მათ შორის ერთი აბდულა სულთანი—მას ესაღულაჰს ანუ ღვთის ლომს უწოდებდნენ—ზემოსხენებული შაჰის მხდალი მორჩილებიდან გამოვიდნენ, მცხოვრებლებში უამრავი ჯარი შეკრიბეს, მის მხარესა და რაიონს ღამე შეესივნენ, ააოხრეს და ხოცვა-ჟლეტა თავს დაატყეს. ასევე სპარსეთის სამეფო რეზიდენციაში ქალაქ ისფაჰანის მოედანი (რომელსაც ჰაველი ეწოდება და მეზღვაურ ეაჭართა ადგილს წარმოადგენს) მთლიანად ფეხით გათელა და გაძარცვა. უზომო და აურაცხელი რამ იყო შაჰის საბრძანისში: ცხვრის ფარა, ცხენთა რემა. მრავალი ცხენი მოიპარეს. ეს და სხვა ბევრი რამ თავს დაატყდა ხსენებულ შაჰს. ბევრმა მწუხარებამ და ზრუნვამ, ასევე ომმა მის თავზე გადაიარა. ასეთი გამოთქმავ: ღვთის ლომი ანუ ესაღულაჰ. ასე უწოდებენ გარდაცვლილს.

მისი ძმა—კასიმ ხანი თანამდებობაზე აამალღეს, ასევე სხვა ადგილზე დანიშნეს და ახლა ჯარის მთავარსარდალი და მეთაურია. მომხდარი ამბების დროს ზღვის მხარეზე მყოფი ენამი ჰარიჯის სა-

ხელწოდების ხალხი შაჰის იურისდიქციას გამოეყო. სადაც შაჰის გემები, სურსათი, მარაგი, იარაღი იყო, დააკავეს. აღმინი-ტრატორები და მოხელენი წამოიყვანეს და გადააყენეს, მსჯელობის ონიც დაიკავეს. დღითიდღე უხვად ნადგურდებოდა მისი ჩარ-დარ კარიელერის მხარის ანუ ოთხი სოფლის სახელწოდების დაახ-ლოებით ოთხი ათასი მილის გარემოხაზულობის პროვინცია, რომ-ლის მეთაურები არიან მოლა აბდალაჰი და კანლუ—შაბანად წოდე-ბული.

ბითლისის პროვინცია და სამმართველოს მიმდგომი მხარე-ები რამდენიმე ღამეს მრავალჯერ გააცამტვერეს, იქ არსებული საეკლესიო ხატები გადაწვეს, ასევე მცხოვრებნი, რუსი ვაჭრები და სხვებიც დახოცეს და გაძარცვეს. ამ დროს მათი ქონება და სხვა ნადავლი ხელთ იგდეს, კარგი აღნაგობის ყმაწვილები და საუ-ცხოო ქალიშვილები წამოიყვანეს, თავი მოუყარეს დიდ სიმდიდ-რეს.

ამრიგად, სპარსეთის პროვინციის წინააღმდეგ მძლავრი მტრე-ბი კარგად მომაგრდნენ და ძარცვავდნენ ამ რაიონს, ამ მხარეების ქვეშევრდომებს და უმთავრესად მცხოვრებლებს თავს ატეხდნენ დაუნდობლობასა და მწუხარებას.

... შაჰის მხარეზე მყოფ ლაშქარს და ხალხს მის საწინააღმდე-გოდ ომისაკენ მოუწოდებდნენ, ლეთის შემწეობით მორჩილებაში და თვინიერებაში აბრუნებდნენ. მხოლოდ შაჰი ტიღან ხანი, ქარ-თველი მეჰმედ ხანი ანუ პრეფექტი, შაჰმა ჯარის სარდლად დანიშ-ნა, გაითვალისწინა ჯარისათვის სხვა საკითხებიც და თავრიზად წო-დებულ მხარეს გაგზავნა... ის მირ მაჰმუდისა და სხვა თავისი მო-წინააღმდეგეების გასანადგურებლად გაგზავნა, რათა ისინი გაე-რეკა და მოესპო. ხსენებული ხანი ამ ადგილას მივიდა სამი წლის დაყოვნებით და დიდი რაოდენობის ოქრო დახარჯა. მიუხედავად ამისა, ერთად შეკავშირებამ მის ჯარს ერთიანობა მაინც არ შემა-ტა. ზარალის შემდეგ ხელშეკრულებამ უკან დაახევინა, ბითლისად წოდებულ ადგილას მივიდა და იქვე მოკვდა კიდევ.

გარდა ამისა, ლეკებად წოდებული ხალხისგან დიდი წინააღ-მდეგობა შეხვდა, რომელთა შეყრილი ჯარი გაიზარდა და გამრავლ-და... ცუდი ყოფაქცევის შაჰის საწინააღმდეგოდ თავიდან მტკიცედ შემოზღუდული და აუღებელი სამყოფი, შირვანი, დაანგრის და მოთხარეს ლეკებმა. სწავლულნი და წმ. ეკლესია იბერიად წოდე-ბული მხარისა ისევე, როგორც სხვა ადგილების მეცნიერები და სწავლულნი ევროპის ქალაქებში (აქ კონსტანტინოპოლი იგულის-



ხმება) დაფანტული და ფართოდ გაფრქვლებული არაქვეყნული
ლოებით 30 ათასი მცხოვრები. შემახიისა და განჯის წინააღმდეგ
შეთქმულნი არიან, სპარსეთის საზღვარს ღამე შეესევინან ხოლმე.

შემახიის ხანი 40 ათასზე მეტი კაცით ცუდი ყოფაქცევის შა-
ჰის პრეფექტი გახდა და ლეკის ჯარის წინააღმდეგ გაიგზავნა. გან-
ჯისა და შირვანის ახლო მხარეში, შაპლანტია ტიფედ წოდებულ
ბანაკში, სიკვდილსა სთესდა. რამდენადაც დანიშნული პრეფექტის
ბანაკზე თავდასხმა და შესევა განეზრახათ. ჯერ პირველად ლეკე-
ბმა მეზობლად მდებარე ფიშინში ღამე შეისვენეს. პრეფექტი და
სხვა დიდებულები მახვილებით დახოცეს და მოსპეს, მათი ბანაკიც
დაიკავეს და მრავალი ქონებითა და ალაფით თავიანთ მხარეში
დაბრუნდნენ. ასევე დაახლოებით ერთი წლის შემდეგ კოჭელბრუ-
ზად წოდებულ ადგილას დაბანაკებული ლეკების უფროსი მუსტა-
ფა ბეგი და ხსენებული ჩიარლარ კარილიერის ახლო-მახლო ადგი-
ლების ტარკოდ წოდებული სულთანი ანუ მთავარი (იგივე ალი
სულთანი) თითქმის 20 ათასი.... ლაშქრით მოვიდა. იგი... შემახიის
ციხეს გარს შემოერტყა და მცირე ხანში ხელთ იგდო. ეს შირვანი
განმგებლობაშია. სამეფოს ვრცელი და დიდი პროვინცია შირვანი
და არზრუმი თავისი ყმებით დაიკავა და მას დაეუფლა.

რევან ხანმა სხვა ადგილებიდანაც 40 ათასი ცხენოსანი ჯა-
რით განჯის მიშველება ურძანა, იმ ტერიტორიას მიიღწია თუ არა,
განადგურება წილად ხვდა, ერთ ადგილას შეიკრიბნენ. შირვან ხა-
ნის ჯარი პირისპირ შეხვდა. დიდი ბრძოლა შეხვდა. დიდი ბრძოლა
გაჩაღდა. დამარცხებული რევან ხანი ანუ მთავარი განჯის მხარეში
დადგა. თავისი ჯარისკაცებიდან ნაწილი დაიჭრა, დანარჩენი ნაწი-
ლი ერევნის მხარეში გაიქცა. მათი ბანაკი, ქონება და სხვა რამ ყვე-
ლაფერი ხელთ იგდეს.

ღვთის წყალობით, სხვადასხვა დროს ცუდი ყოფაქცევის
სპარსეთის შაჰის ჯარმა (ჯარი სარწმუნოების ერთგულებას ინარ-
ჩუნებდა) წინააღმდეგობა გაუწია, შეებრძოლა, ომი გაუმართა.
უმალღესმა უფალმა ღმერთმა გამარჯვება დიდი უპირატესობით
მაჰმადიანებს არგუნა, რასაც აქამდე ალყაში მყოფ განჯას აძლევ-
და ხოლმე. იქ ისეთი სიძვირე იყო (წლიური მარაგის უქმარისო-
ბის გამო), რომ დიდი შიმშილობა ჩამოვარდა. სხვანაირი ახსნა შე-
უძლებელია. მცხოვრებთა დიდი რაოდენობა გაიფანტა. მცირე მათ-
განსაც, კაცებსაც კი, საშუალება არა ჰქონდათ საჭირო მარაგი და-
ემზადებინათ.



ზემოხსენებული ჯარის სარდალი მუსტაფა ბეი ამის შემდეგ მივიდა, ხოლო მერე ისევ წავიდა... (ღმერთის წინაშე არავინ არაფერი იცის). საეჭვოა, რომ წასვლისას მას განჯის ციხე დაეკავებინოს. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული: პირველი წლიური მარაგის უკმარისობის გამო სიძვირე და შიმშილობაა გამეფებული; მეორე, მცხოვრებთაგან ბევრი გაიფანტა; მესამე, მათ ციხე-ქალაქში მტრის შემოსევამ დაამარცხა ისინი და უღელი დაადგა. აქ მოსახლეობს ახალი დროის სპარსელი ხალხი. ისინი უსახლკარონი, განადგურებულნი და მიწასთან გასწორებულნი არიან. ისე რომ, შემოდგომა გადის და არც ბავშვები ჩანან, არც რაიმე ხმა ისმის საღმრეთო, რაიმე ქონება არსად არ არის დარჩენილი. უფრო მეტი: ოჯახებს, ბავშვების იმედის გარდა სხვა არაფერი აქვთ შერჩენილი. მშობლებს გულებიდან აგლიჯეს ჩვილი ბავშვები და წაართვეს ქალები. შიშისაგან ისეთ მდგომარეობაში არიან, რომ როცა ხედავენ პატარა ბავშვებს, დიდი კაცები ჰკონიათ ისინი.

ლევებს თათრების მსგავსი იერი აქვთ, მაგრამ რაც შეეხება სარწმუნოებას. ისინი ძალიან მორწმუნე სარკინოზნი არიან.

არავის ეჭვს არ იწვევს, რომ სულთანის ტაძარი, ბაზილიკა და კათედრა მეტად ერთგული, სარწმუნოების მოწინააღმდეგეთა მიმართ მეზრძოლი, ნათელი ბრწყინვალეებისა და უეჭველი რწმენის მსახურია. ორივე უწმინდესი ქალაქი (მექა და, რასაკვირველია, მედინა) მთელი მსოფლიოს თავშესაფარია (დიადი უფალი გაუხანგრძლივებს სიცოცხლესა და ბედნიერებას)... ჩვენი უფალი აღმოსაყენებლად თესლს მიმოაბნევს, რათა ლოცვა აღვავლინოთ მის სადიდებლად.

ჰიჯრის 1133 წლიდან (ქრისტესით — 1721 წლიდან) ჰიჯრის 1134 წლამდე (ქრისტესით — 1722 წლამდე) ზემოხსენებული შაჰი, ანუ სპარსეთის ხელმწიფე, ხელახლა შეგულიანდა, ჯარს თავისთან მოუხზო, საჭირო საჭურვლით მოამარაგა, თავრიზელი მაჰმად ხანი 50 ათასი ცხენოსნით მეფე მაჰმუდის წინააღმდეგ დარაზმა და გაგზავნა. გარდა ამისა, თავისი პირველი სამხედრო ოფიცერი სხვა მეგობრებთან ერთად გაგზავნა. მირ მაჰმუდი, რომელსაც ჯარი დიადი ღვთის იმედზე ჰყავდა მინდობილი და თავისი წინასწარმეტყველის მიერ სასწაულებრივი დალოცვის მოიმედე იყო, სპარსეთის ჯარის წინააღმდეგ მიეშურებოდა. ირანის ჯარს წინააღმდეგობის გასაწევად საკმარისი ძალა შესწევდა, მაგრამ განმეორებითმა შემოსევამ იგი დააძაბუნა და დაამარცხა.



...ბრძოლა ამოიწურა... (მხოლოდ სპარსეთის შაჰის მხარეში რისი და სამართლიანი სახელია). ჯარი ისფაჰანში გაიქცა. თვით შაჰი იმავე ქალაქში რამდენიმე ხნის განმავლობაში ტყვეობაში ჰყავდათ, სანამ ამ ქალაქშივე მეფე მირ მაჰმუდს ხელისუფლებას გადასცემდა. ასეთ მდგომარეობაში შაჰმა შიმშილობა გამოაცხადა და მოკვდა.

ხსენებული მაჰმუდ მეფეც ღმერთს წარუდგა. ხოტბა უფალს, ორთოდოქსალურ სარწმუნეობას და მათ, ვინც მასზე მტკიცედ დგას მკვდარი მეფე მაჰმუდის სახით. მირ ვეის ოლი და მირ ვეისის სხვა გარდაცვლილი შვილები: შაჰ ჰუსეინი გაქრა, დაიკარგა. ირანის შაჰია (ანუ სპარსეთის ხელმწიფე) ცრუ მაჰმუდი და ა. შ.⁹

№ 9

მიღებულია 22 დეკემბერს¹.

კონსტანტინოპოლი, 1726 წლის 30 ოქტომბერი.
ბატონი და ნ დ რ ე ხ ე ლ ი.

მოწყალეო ხელმწიფე!

თითქმის ორი წელია, რაც ხსენებული იოსები, ბატონი დე გარდანის თარჯიმანი, დაბრუნდა ამ ქვეყანაში², სადაც მას კარგად იცნობენ. ის ქართველად დაიბადა თბილისის ახლოს. ოდესღაც მქონდა პატივი თქვენთვის მეცნობებინა ახალი ამბები, რაც ისფაჰანიდან მისი წამოსვლის შემდეგ (1723 წლის ბოლოს) შეეძელი მისგან გამეგო. მასში ვპოვე გონებამახვილობა და უნარი ყველა ენის ცოდნაში ღიდად დახელოვნებისა. ის ამას იუყენებდა (რამდენადმე მოვამარაგე პერას კაპუჩინების რეკომენდაციით, საიდანაც იგი დე გარდანმა თავისთან წაიყვანა) პორტას თარჯიმანთან ურთიერთობაში, რომლის ხაზით იგი, გასული წლის აპრილში პორტას განკარგულებით აქ ჩამოსული საქართველოს პატრიარქის თარ-

⁹ ტექსტი შედგება 7 ხელნაწერი გვერდისაგან. გვერდები ნორმალურია და მთლიანად შევსებული. თითოეული გვერდი შეიცავს 30-მდე სტრიქონს. დაწერილია მეტად ცუდი კალიგრაფიით, მრავალი შემოკლებით. საბუთი ამოღებულია საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან.

¹ მიწერილია სხვა ხელით. იგულისხმება 1726 წელი.

² იგულისხმება თურქეთი.



ჯიშანი იყო. იგი პატრიარქთან დარჩა, სანამ სენმა არ იფუტკურდებოდა სტანტინოპოლში. მან თავდაცვის მიზნით დატოვა თავისი ალბათი³.

ამ საუბრის დროს მე ვისარგებლე ყოველივე იმით, რასაც მაძლევდა მისი ნაცნობობა და იმით, რომ ის მე უარს არ მეუბნებოდა ჩემთვის ცნობები მოეცა.

თქვენ იხილავთ, მოწყალეო ხელმწიფევე, ჩემს საგანგებო ხარჯებში რამდენიმე მუხლს⁴ ამ საკითხზე, რაც მაინც საკმარისი არაა მისი შენახვისათვის. მეტადრე მას შემდეგ, რაც სამსახური არ გააჩნია. იგი მე ყოველთვის საკმაოდ კარგად მემსახურებოდა. ზაფხულის განმავლობაში იგი დაუკავშირდა ბატონ დ'ალიონს⁵. იოსებს ძალიან უნდოდა, რომ მასთან ეცხოვრა და ეჭამა. სამაგიეროდ, ამიერიდან ზემოხსენებულმა იოსებმა მეტად შეამცირა ჩემი ინფორმირება იმის შესახებ, რაც მას შეუძლია გაიგოს და რასაც იგი ალბათ ბატონ დ'ალიონს მოახსენებს, მაგრამ ებიდემიის შედეგად პორტას მოხელეებთან ვაჭრობის შეჩერებამ მათ ნამდვილად წაართვა შესაძლებლობა გაეგო, თუ რა ხდებოდა იქ. ამავდროს მე თავი შევიკავე, ფული მიმეცა ამ ახალი ამბების მომტანისათვის.

იგი იყო ბელგრადში ბატონ დ'ალიონთან, რომელმაც მას არაფერი არ მისცა. მე კი აქ ცოტა რამ მაქვს. ალბათ, მაშინ დაიწყო მან შეხვედრები ბატონ დ'ირლინგთან⁶, რომელთანაც თავისუფლად საუბრობდა, რის საშუალებასაც იძლევა ლაშქრობა და ასევე მოსკოვის რეზიდენცია. ყოველი შემთხვევისათვის, მე უნდა მეწარაუდა მის მიერ გაკეთებული განცხადებიდან გამომდინარე (როცა ცნობილი გახდა მოსკოვის რეზიდენტის პირველი თარჯიმანის სიკვდილი), რომ იგი ხსენებულ იოსებს უნდა შეეცვალა. მე ამის შესახებ ჯერ კიდევ არაფერი არ ვიცოდი. გავიგე მაშინ, როცა ბატონმა დ'ალიონმა იგი წარმომიდგინა ხსენებული თანამდებობით, რამაც გამოაცხადა არა იმის მხრიდან, ვინც წარმომიდგინა, არამედ იმის მხრიდან, ვინც წარმომიდგინეს.

³ აქ მარცხენა ველზე მიწერილია: „საგანგებო ხარჯების მუხლები მოიცავენ ვითარებას ჭკასული წლის 4 ივნისიდან 31 ოქტომბრამდე...“ შემდეგ მითითებულია თანხები. სამწუხაროდ, ტექსტის ამ ადგილის ყველა სიტყვა არ იკითხება.

⁴ დ'ალიონი—კონსტანტინოპოლში საფრანგეთის საელჩოს თანამშრომელი.

⁵ დ'ირლინგი—ავსტრიის იმპერიის ელჩი კონსტანტინოპოლში. 1722 წლის ნოემბერში მას ვახტანგ VI-მ წერილი გაუგზავნა ავსტრიის იმპერატორ კარლოს VI-სათვის გადასაცემად. იხ. ი. ტ ა ბ ა ლ უ ა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, გვ. 315.

მაგრამ ვიდრე მუშაობას შეუდგებოდა, გავიგე მისი უმცირესი ბის ამბავი—მას პორტამ ნება არ დართო (ხსენებული თანამდებობა დაეკავებინა).

მოლდავეთის პრინციმა თვითონ აუწყა ბატონ ლენუარს, თუ რა მოხდა ამასთან დაკავშირებით: იოსები წავიდა კიიასთან, რათა მისთვის ეცნობებინა, რომ მოსკოვის რეზიდენტმა არჩევანი მის პიროვნებაზე შეაჩერა.

ხსენებულმა კიიამ უბრძანა პორტას თარჯიმანს, რჩევა ეკითხა თავისი ძმისათვის: ხომ არ იქნებოდა პორტას ინტერესების საწინააღმდეგო, რომ ხსენებული იოსები შესულიყო რუსების სამსახურში? ამაზე მოლდავეთის პრინციმა თავის ძმას უპასუხა: იოსები დიდი ბატონის ერთგული მსახურია... რომ პორტამ არაფერი იცოდა სპარსეთის ძალების დამოკიდებულების შესახებ პორტას მიმართ და სპარსეთის მთავრობის მდგომარეობის შესახებ, ეს ყველაფერი გაიგო მხოლოდ იმ ვრცელი ანგარიშის მიხედვით, რომელიც პორტამ იოსების საშუალებით მიიღო. მაგრამ იოსებმა არანაკლებად იცის ოტომანის ძალების ამბები, რამდენადაც იგი მონაწილეობდა ალი ფაშას ორ ლაშქრობაში. ეს კი უფლებას აძლევს კიიას, ამის შესახებ თვითონ იმსჯელოს. გარდა ამისა, ხსენებული იოსები მოგზაურობდა ქირსტიანულ სამყაროში. ამის შემდეგ მხოლოდ თქვენ იცით, რომ არაა მიღებული მოსკოველებს ემსახურებოდეს საქმეების ამდენად მცოდნე ადამიანი; პორტას იგი ჰყავდა გამწესებული საქართველოს პატრიარქთან და ისინი ვერ მორიგდნენ, თუმცა ორივე ერთი ერის წარმომადგენელი იყო; მოსკოვის რეზიდენტი კი ნაწყენი არ უნდა დარჩეს, რომ ხსენებული ადამიანის შესახებ უარი ეთქვას, რამდენადაც საქართველო იმყოფება დიდი ბატონის მორჩილებაში და ხსენებული იოსები მისი ქვეშევრდომია. მაგრამ მაინც იგი რომ ევროპელი ყოფილიყო, პორტას ექნებოდა უფლება გამოერიცხა იგი მოსკოველების სამსახურიდან, ეინაიდან მოსკოველები არ სარგებლობენ იმავე პრივილეგიებით, რომლითაც სხვა ერები—არა აქვთ შესაძლებლობა, მოიმსახურონ დიდი ბატონის ქვეშევრდომები თარჯიმნებად. მათ სამსახურისათვის ჰყავთ მხოლოდ თავიანთი ეროვნების ადამიანები. ამრიგად, მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს ხსენებული იოსების თარჯიმნად დაყენების უარყოფით პასუხს.

ხოლო მე თვითონ აუცილებლად ჩავთვალე მისი დაცვა; მოვიწვიე ჩვენთან სასახლეში, რათა ეჩვენებინა ჩემთვის, რომ იგი არ იქნებოდა უსარგებლო საფრანგეთის მეფის სამსახურისათვის, თუ

მოსკოველების სამსახურში შევიდოდა. ჩემი მხრიდან მას ვუსაყვე-
დურე, რომ მან მხოლოდ შემდგომში, რამდენიმე ხნის შემდეგ შეიძლება
მომთავაზა მე ეს... მას თავიდანვე უნდა შეეტყობინებინა ჩემთვის,
თუ რა წინადადებები მისცეს მას და, რომ არავითარი ვალდებუ-
ლებას არ ღებულობდა ჩემი თანხმობის გარეშე; ყოველი შემთხვე-
ვისათვის, სანამ მე არ მომელაპარაკებოდა, ვინაიდან მას არ შეეძ-
ლო არსებობა განსაზღვრული მხარდაჭერის გარეშე.

მაინც გავბედავ, მოწყალეო ხელმწიფევ, დაგარწმუნოთ, რომ
მე არაფერი მითქვამს ხსენებული იოსებისათვის ისეთი, რომლი-
დანაც მას შეეძლო გამოეტანა რაიმე სასარგებლო რამ, არც ღირ-
ლინვისათვის, არც მოსკოვის დესპანისათვის. ბატონმა დალიონმაც
ამის შესახებ მე იგივე მითხრა.

დავშთები უღრმესი პატივისცემით.

მოწყალეო ხელმწიფევ,
თქვენი უმდაბლესი და უმორჩილესი მსახური
და ნ დ რ ე ზ ე ლ ი.

№ 10

გ ლ ა ზ გ ო ს უ ნ ი ე ვ რ ს ი ტ ე ტ ო ს თ უ რ ქ უ ლ ი ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი¹

გლაზგოს უნივერსიტეტის ჰანტერის ბიბლიოთეკაში შემო-
ნახულია ასლი თურქულ ენაზე შედგენილი ერთი „ანგარიშისა“. რომელიც იოსებ ქართველს ეკუთვნის. მისი დედანი ინახება სტამ-
ბოლის არქივში. ორივე ამ ხელნაწერის ფოტოპირები ამჟამად ჩვენ
ხელთა გვაქვს.

ფრანგი ლ. — ა. დე ლა მამი დე კლერაკი თავის „სპარსეთის
ისტორიაში“ წერს: „...მან (იოსებ ქართველმა. — ი. ტ.) დიდ ვე-
ზირს წარუდგინა თურქულად დაწერილი უფრო ზუსტი და უფრო
დაწვრილებითი ანგარიში ყოველივე იმის შესახებ, რაც მოხდა
სპარსეთში. მან შეადგინა მეორე ანგარიში იტალიურ ენაზე ელჩი-
სათვის (საფრანგეთის ელჩისათვის.— ი. ტ.) და თავისი ხელით და-
წერილი ასლი მე გადმომცა“².

¹ იხ. ი. ტ ა ბ ა ლ უ ა, გლაზგოს უნივერსიტეტში შემონახული ერთი ხელ-
ნაწერის შესახებ, „მაცნე“, ენისა და ლიტ. სერია, 1979, № 3.

² L.—A. de la Mamy de Clairac, Histoire de Perse, depuis
le commencement de ce siècle, 3 vols., Paris, 1750; vol. I, p. VI.



გლაზგოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებული თურქული ხელნაწერის ტექსტის შინაარსი ზოგიერთი კომენტარული გლისურ ენაზე გამოაქვეყნა ინგლისელმა პროფესორმა ტ. ჰ. ვეირმა³.

ამ თავში ჩვენ შევეხებით მხოლოდ გლაზგოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შემონახულ იოსებ ქართველის „ანგარიშს“ და განვიხილავთ მას პროფ. ტ. ჰ. ვეირის თარგმანის მიხედვით. ჩვენ აქვე ვაქვეყნებთ ტ. ჰ. ვეირის ნაშრომის თარგმანს⁴, ხოლო სქოლიოში ვურთავთ ჩვენს კომენტარებს (პროფ. ტ. ჰ. ვეირის ნაშრომს სქოლიოები არა აქვს. იგი შენიშვნებს ტექსტშივე იძლევა).

ტ. ჰ. ვეირი. „არეულობა სპარსეთში XVIII საუკუნის დასაწყისში (გლაზგოს უნივერსიტეტში არსებული თურქული ხელნაწერის მიხედვით)“:

ბატონი ლა მამი კლერაკი თავისი „სპარსეთის ისტორიის“ დასაწყისში, რომელიც 1750 წელს პარიზში გამოქვეყნდა, იძლევა ამ ისტორიაში გამოქვეყნებული ნაშრომების სიას. მათ შორის არის ოთხი ნაშრომი, რომელთათვის დავალებული ვართ ერთი ქართველის, სახელად იოსების, წინაშე. იგი ისფაჰანში საფრანგეთის კონსულის თარჯიმანის მოვალეობას ასრულებდა. ეს ნაშრომებია:

1. Mémoire sur la difference du rit entre les Turcs et les Persans, ციტირებულია, როგორც „მემუარი“; 2. Notes de M. Joseph. ეს არის იოსების ზეპირი ახსნა-განმარტებები, რომლებიც მან მოუთხრო ბატონ ლა მამი კლერაკს და ეხება მის მიერ აღწერილ ამბებს (შემდგომში მოხსენიებულია) და ორიც სხვა, რაზედაც ის აკეთებს შენიშვნებს, ციტირებულია, როგორც „შენიშვნა“.
3. Relazione della Rivoluzione di Persia. ციტირებულია, როგორც „პირველი რელაციონი“. ეს დოკუმენტი მოიცავს მნიშვნელოვან მოვლენებს სპარსეთში არეულობის დაწყებიდან 1724 წლის ბოლომდე. 4. Relazione della Rivoluzione di Persia, seconda parte, ციტირებულია, როგორც „მეორე რელაციონი“. იგი გვაცნობს ზოგიერთ გამოტოვებულ მოვლენას და მოგვითხრობს

³ T. H. Weir, The Revolution in Persia at the beginning of the 18th century. A volume of Oriental Studis presented to E. G. Browne, Cambridge, 1922, pp. 480—490.

⁴ პროფ. ტ. ჰ. ვეირის ეს ნაშრომი ინგლისურიდან თარგმნეს დალი ქადაგიშვილმა და ვახტანგ ტაბაღულამ. სქოლიოში მოცემული შენიშვნები ჩვენია.



მათ 1725 წლამდე. თავდაპირველად იგი შედგენილი იყო დიდი ჰიროსათვის თურქულად იოსების მიერ, რომელიც იმ დროს სტანტინოპოლში იმყოფებოდა და რომელმაც გადაწერა ეს გმანი ლა. მამი კლერაკისათვის.

გლაზგოს უნივერსიტეტის ჰანტერის ბიბლიოთეკაში არის ხელნაწერი თურქულ ენაზე. ის დაწერილია ან თვითონ იოსების მიერ ან მისი კარნახით და დაკავშირებულია იმავე მოგონებებთან, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდეს მონათხრობს, რაც ემყარება შემოთ მოყვანილ ინფორმაციას ვეზირისათვის, ან შეიძლება იყოს დამოუკიდებელი წყარო იმავე ავტორისა.

ეს ხელნაწერი, რომელიც მოიცავს 60 გვერდს⁵ (თითოეული გვერდი შეიცავს 15 სტრიქონს, თითოეული სტრიქონი—6 ან 7 სიტყვას), დაწერილია მეტად ზუსტ ნaskhi-ით, მაგრამ მნიშვნელოვანი აჩქარების ნიშნები მაინც ემჩნევა. დამწერს დავიწყებია, რომ ის იყენებდა აღმოსავლურ ენას და დაუწყია პირველი ფურცლის რეკტოდან. 12 სტრიქონის შემდეგ მას შეუშინებია თავისი შეცდომა, გადმოუბრუნებია ხელნაწერი თავდაყირა და კვლავ დაუწყია წერა იმავე ფურცლის შიდა მხარეზე. სათაური შევსებულია მხოლოდ პირველ 29 გვერდზე. ხელნაწერის დანარჩენ გვერდებზე გვხვდება სათაურისათვის დატოვებული ადგილი. ზოგიერთ გამოთქმასა და საკუთარ სახელებშიც კი შეცდომებია და სიტყვები არასწორადაა დაწერილი. ერთი თუ ორი წინადადებაცაა, რომელიც გაუგებარია, მაგრამ ვერ ვიტყვი, რისი ბრალია: ხელნაწერის, თუ ჩემი უცოდინარობის. მთავარი მასალა მოიცავს დაახლოებით იმასვე, რასაც ლა მამი კლერაკის ნაშრომის პირველი 4 წიგნი (შემდგომში იხ. შემოკლებით: მ. კ.), ან ჯონას ჰანვეის 3 ტომი—„ისტორიული ანგარიში ბრიტანეთის ვაჭრობაზე კასპიის ზღვის გადაღმა, სპარსეთის რევოლუციის დროს“, ლონდონი, 1753 (შემდგომში იხ. შემოკლებით: ჯ. პ.).

ხელნაწერი იწყება 4 სტრიქონისაგან შემდგარი წინასიტყვაობით: „ვინმე ჯოზეფომ ისფაჰანიდან 8 წლის განმავლობაში იქ ყოფნის შემდეგ⁷ საკუთარი თვალთ იხილა ყოველივე“ და შემდგომ

⁵ გლაზგოს ბიბლიოთეკის ხელნაწერი და სტამბოლის არქივის ხელნაწერი სხვადასხვა ხელითაა დაწერილი. ეს ხელნაწერები პროფ. ტ. პ. ვეირს არ შეუღარებია ერთმანეთთან.

⁶ გლაზგოს ხელნაწერი შეიცავს 60 გვერდს, სტამბოლისა — 72 გვერდს. მათ შინაარსობრივ განსხვავებაზე ჩვენ ქვემოთ შევჩერდებით.

⁷ იოსებ ქართველი სპარსეთში იყო დაახლოებით 6 წელი და არა 8 წელი.



გვაძლევს ანგარიშს იმ ახალი ამბებისას, რომლებიც 1138 წელს⁸ გაიგო (დაწყებულია ჩვ. წ. 1725 წლის 9 სექტემბერს⁹ მოდის თხრობა, თუ როგორ „თქვენმა მონა-მორჩილმა“, თბილისის მკვიდრმა, ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას იმოგზაურა ევროპაში, რათა შეეძინა გამოცდილება დასავლური ენების შესწავლისათვის. ბრუნდებოდა რა გემით ვენეციიდან კონსტანტინოპოლში, შემთხვევით თარჯიმანი გახდა „ელჩი“ ბატონი გარდანისა, რომელიც „საფრანგეთის მეფემ“ (ლუი XIV-მ) სპარსეთში გაგზავნა⁹. როგორც კი ბატონი გარდანი მოგზაურობისათვის მოემზადა, იგი ზღვით გაემგზავრა ტრაპიზონში, იქიდან კი ხმელეთით არზრუმის, ერევნის, ნახჭევანის, თავრიზისა და სასულთნოს გავლით—ყაზვინში. ეს იყო ჩვ. წ. 1717 წელს ან 1129 წელს ჰიჯრით. როდესაც შაჰ ჰუსეინი ისფაჰანიდან ყაზვინში ჩავიდა, გარდანი წარუდგა მას თავისი სარეკომენდაციო წერილებით.

ხელნაწერი ახლა დაყოფილია პარაგრაფებად, რომელთაგანაც თითოეულს უნდა ჰქონოდა სათაური, მაგრამ მხოლოდ პირველი 9 სათაურია შევსებული. დანარჩენი ადგილი მოთავსებულია მრგვალ ფრჩხილებში.

ყ ა ზ ვ ი ნ შ ი შ ა ჰ ი ს ვ ი ზ ი ტ ი ს მ ი ზ ე ზ ი. ეს მიზეზი ზორასნის პროვინციის დიდ სივრცეზე გადაჭიმულობა და მისი ორ დამოუკიდებელ გუბერნიად — ჰერათისა და მაშხად-ტასის გუბერნიებად, დაყოფაა. გუბერნიებს ხანთა-ხანი ანუ ბეგლარ-ბეგი მეთაურობს.

ჰ ე რ ა თ ი ს ა ნ გ ა რ ი შ ი. შაჰის გუბერნატორი მოჰამედ ზამან ხანი ბოროტად იყენებდა თავის თანამდებობას; ავღანელები აჯანყდნენ აზად ალაჰის მეთაურობით. მოჰამედ ზამან ხანი და მისი 1500-იანი არმია მარცხდება და თავს ისფაჰანში გაქცევით შევლის. ჰერათი სპარსეთისაგან დამოუკიდებელი ხდება. ეს მოხდა 1129 წელს. აზად ალაჰის მიერ სამშობლოს დალატი არ არის ნახსენები (მ. კ. გვ. 114, „პირველი რელაციონი“).

„ა ნ გ ა რ ი შ ი“ მ ა შ ხ ა დ-ტ ა ს ზ ე. სეისტანში შაჰის გუბერნატორი მელიქ მაჰმუდ ხანი იყო. თუმცა შიიტია, მაგრამ ის მეგობ-

⁸ 1138 წელი ჰიჯრით, ქრისტესით: 1725 წლის 9 სექტემბერი—1726 წლის 28 აგვისტო. გაუგებარია: გამოდის, რომ იოსებმა ეს ამბები 1725 წელს გაიგო. ამ დროს იგი ზომ სპარსეთში უკვე აღარაა.

⁹ კონსული დე გარდანი 1717 წლის იელისში ჩავიდა ერევანში, ხოლო 1718 წლის მაისში—ყაზვინში.



რულ დამოკიდებულებაშია ყანდაპარელ მირ მაჰმუდთან და ხელი არ შეუშალა მის თავდასხმას ქირმანზე; არც მოგვიანებით, როდესაც იგი ისფაჰანში ალყაშემორტყმულ შაჰთან საშველად მიდის და მირ მაჰმუდი მასთან ნასარ ალაჰს აგზავნის (ასევე სეისტანიდან) იგი და მისი 8000 კაცი იხვევენ უკან და იპყრობენ მაშხადს, რომელიც სპარსეთისათვის ასავე დაკარგული აღმოჩნდა (მ. კ., გვ. 327; „პირველი რელაციონი“; ჯ. 3., გვ. 140). ეს 1722 წელზე ადრე არ მომხდარა. აქ ხელნაწერში არის ასეთი შენიშვნა: „ჩვენც ასევე, ჩვენი მხრიდან სამი თვე დავრჩით და ელჩთან ერთად ისფაჰანში გავემგზავრეთ.. შაჰ ჰუსეინმა იქ ჩვენ ელჩს თავის განკარგულებაში გადასცა მდიდრულად მორთული სასახლე“.

მზადდება ჰერათის დასახმარებლად და აზატ ალაჰის დასათრგუნავად. შაჰმა ყაზვინში ფეხზე დააყენა 30 ათასიანი ლაშქარი სეფი ყული ხანის მეთაურობით. აზატ ალაჰი ხვდება რა ამას, მიმართავს უზბეკებს. ბელუჯების სულთანს მას 12 ათას კაცს უგზავნის. სპარსელები მათ მოულოდნელად თავს წაადგნენ, „სრული სიმწარე აგემეს“, ვინაიდან ყიზილბაშებს ტყვეები არ მიჰყავთ. აზატ ალაჰმა 13 ათასი კაცით 15 ათასი აბდალანის წინააღმდეგ 5 საათიანი ბრძოლის შემდეგ „სპარსელების სიმტკიცე გაქცევით შემოატრიალა“. დაიღუპა 8 ათასი ყიზილბაში და 3 ათასი ავღანელი. სეფი ყული ხანი მოკლულია. მისი საველე საწყობი საბრძოლო მასალით და 20 ზარბაზნით ხელში ჩაგდებული (მ. კ., გვ. 123, „პირველი რელაციონი“, რომლის რიცხვები შეესაბამება ხელნაწერს, მაგრამ იგი მთავარ მოქმედ პირად სეფი ყული ხანის ვაჟს ასახელებს. ასევე იხ. ჯ. 3., გვ. 64).

მირ მაჰმუდის თავდასხმა ქირმანზე. მირ მაჰმუდი ბელუჯების დახმარებით გაივლის სეისტანს, თავს ესხმის ქირმანს და ბრუნდება ყანდაპარში. გაიგებს რა ამ „უბედურებას“ შაჰი, ტოვებს ყაზვინს და მიდის თეირანში. აქ ღური ეფენდი, თურქეთის ელჩი, მოდის და თავის სარეკომენდაციო წერილს წარუდგენს მას. ხელნაწერში სიტყვა არაა ნათქვამი ლუტფ ალი ხანის მიერ მირ მაჰმუდის დამარცხების შესახებ. ფაქტიურად ლუტფ ალი ხანი არსად არაა მოხსენებული ხელნაწერში (მ. კ., გვ. 135, „პირველი რელაციონი“ და შენიშვნა; ჯ. 3., გვ. 69).

ანგარიში იმამისა და ბაჰარეინად წოდებული პროვინციის შესახებ. იმამი შეიქრა ბაჰარეინში. სპარსელები, რომლებიც საზღვაო ბრძოლაში სუსტნი არიან, სამხედრო სამსახურში მეგობარ პორტუგალიელებს იწვევენ და ამა-

სობაში თავს უყრიან ჯარებს ბენდერ-კონგთან და ბენდერ-კონგთან. პორტუგალიელები ჩამოდიან დიუსთან და ლუზას უშვენიერ ბენდერ-კონგთან. მათმა აღმირალმა, სანამ რაიმეს გააკეთებდნენ, კაპიტლის გარკვეული თანხა მოითხოვა. სანამ ისინი ამის შესახებ კამათობდნენ, პორიზონტზე იმამის გემები გამოჩნდნენ. პორტუგალიელებმა ბრძოლა გააჩაღეს. სპარსელები ნაპირიდან „სპექტაკლით ტკბებოდნენ“. პორტუგალიელები ბრუნდებიან და დიუში მიემგზავრებიან. მოგვიანებით პორტუგალიელთა ელჩი თეირანში შაჰთან მიდის (ღური ეფენდი ჯერ კიდევ იქ იმყოფება), მაგრამ ისინი ვერ შეთანხმდნენ ასანაზღაურებელი თანხის ოდენობაზე. ბოლოს ბენდერ-აბასის საბაჟოს მდიდარი მოხელე შაჰის სახელით 208 ქისა ვერცხლს აძლევს მათ ავანსად და ბაპრეინი სპარსეთს უბრუნდება. ხელნაწერი უმატებს, რომ უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ამბობენ, ისფაჰანის დაპყრობის საბაბით იმამი კვლავ იჭრება ბაპრეინში. ეს მონათხრობი განსხვავდება მ. კ.-ის (გვ. 129, მე-მუარო და შენიშვნა, „პირველი რელაციონი“) და ჯ. ჰ.-საგან (გვ. 66). ამ უკანასკნელში ლაპარაკია მხოლოდ ბენდერ-აბასზე, როგორც სპარსელთა დასაბანაკებელ და სამხედრო-საზღვაო ბრძოლის მოქმედების ადგილზე, და დიუს ნაცვლად გოაზე, როგორც ნავსადგურზე, საიდანაც პორტუგალიელთა ფლოტილია გავიდა. ისინი არ ასხენებენ ბაპრეინისათვის გამოსასყიდის გადახდას, არც მასზე განახლებულ თავდასხმას.

ანგარიში ყანდაპარის სამეფოს შესახებ. მას შემდეგ, რაც აღწერს ბრძოლას ინდოეთის იმპერატორსა და შაჰ აბას II-ს შორის ამ პროვინციის ხელში ჩაგდებისათვის, მასში ავლანების მონაწილეობას და იმ პრივილეგიებს, რომლებიც მათ ამისათვის მიიღეს, და როგორ გამრავლდნენ ისინი 40 ათასი კომლიდან 70 ათას კომლამდე¹⁰, შემდეგ ეხება სპარსულ გუბერნატორთა ტირანიას, ხელნაწერში აღწერილია ავღანელთა უკმაყოფილება, ქართველ გურგინ ხანის (შაჰ ნავაზ ხანი) მოსვლა და ბორკილებდადებული მირ ვეისის ისფაჰანში გადაყვანა (მ. კ., გვ. 13, „პირველი რელაციონი“ და შენიშვნა; ჯ. ჰ., გვ. 25). ხელნაწერი იძლევა ქართველთა ლაშქრის რიცხვს 4 ათასს (გამოტოვებულია მ. კ.-ისა და ჯ. ჰ.-ის მიერ).

რასაკეთებდა მირ ვეისი ისფაჰანის ციხეში. ფაქალი ხანისა (რომელიც მამამისთან ერთად დალესტნიდან

¹⁰ იოსებ ქართველის „მოგონებებში“ დასახელებულია 50 ათასი.



მოიტაცეს და იზრდებოდა შაპის სასახლის კარზე, ვიდრე მიიღუბ-
 და პირველი მინისტრის პოსტს) და მთავარი საკუთრისის დახმარე-
 ბით (ორივე გურგინ ხანის დაუძინებელი მტერი) მირ ვეისიზმის
 თავისუფლეს და ყანდაპარში გაგზავნეს, რათა გურგინ ხანისათვის
 თვალყური ედევნებინა (მ. კ., გვ. 31, „პირველი რელაციონი“;
 ჯ. 3., გვ. 33). ხელნაწერში არსადაა ნახსენები მექაში სალოცავად
 მირ ვეისის სავარაუდო გამგზავრება და რუსი ელჩის საკმაოდ ექს-
 ცენტრული ამბავი (მოცემული მ. კ.-ის მიერ, გვ. 46 სხვა წყაროე-
 ბიდან და ჯ. 3., გვ. 37). ხელნაწერი იძლევა იმ შარფების რიცხვს¹¹,
 რომლებიც მირ ვეისმა გაანაწილა—20 ათასი და არა 30 ათასი.
 შემდეგ იწყება იმის აღწერა, თუ როგორ გააქარწყლა ხანის ეკვე-
 ბი მირ ვეისმა, მაგრამ სავსებით გამოტოვებულია მისი ქალიშვი-
 ლის ამბავი, რომელსაც იძლევა ყველა სხვა ანგარიში (მ. კ., გვ. 57,
 თურქული წყაროს ფრანგული თარგმანიდან; ჯ. 3., გვ. 42). ერთი
 ავღანთა ტომი (ტომის სახელი არაა ნახსენები) უარს ამბობს გა-
 დასახადის გადახდაზე. მირ ვეისი ურჩევს ხანს მათ ამოწყვეტას,
 ამით იგი ქართველ ჯარისკაცებს გზიდან იცილებს. შემდეგ იგი
 მიიპატიჟებს ხანს თავის აგარაკზე ყანდაპარის გარეთ, რათა მორ-
 ჩილება და საჩუქრები მიიღოს ორი ჯიუტი, მაგრამ ახლა უკვე
 მონანიე ბეისაგან. ხანი ხაფანგში ებმება და ნადიმზე თანხმდება,
 რომელიც ამ შეხვედრას უნდა მოჰყვეს. ხანს კლავენ თავის ამა-
 ლასთან ერთად (მ. კ., გვ. 65, „პირველი რელაციონი“; ჯ. 3.,
 გვ. 45).

ყ ი ზ ი ლ ბ ა შ თ ა გ ა ნ ყ ა ნ დ ა პ ა რ ი ს ხ ს ნ ა. მირ ვეისი
 მაშინვე იცვამს ხანის ტანისამოსს და უბრძანებს თავის კაცებს,
 იგივე გააკეთონ (ჩაიცვან სხვა ქართველთა ტანისამოსი). ასე გა-
 დაცმული და ქართული (ლაშქრის) წყობით ისინი შზის ჩასვლი-
 დან ერთი საათის შემდეგ ციხესიმაგრესთან გამოჩნდებიან. გარნი-
 ზონის მცველები იმის ფიქრით, რომ „ხანი მოვიდა“, მათ შემოსა-
 შვებად ჩირაღდნებით ქვემოთ ჩამოდიან.

ავღანებმა ისინი ნაკუწებად აქციეს, ქალაქი აიღეს. მცხოვრებ-
 ლები გაათრთხილეს, დილაძდე გარეთ არ გამოსულიყვნენ. მეორე
 დღეს მათ მირ ვეისი თავიანთ მეთაურად აირჩიეს (მ. კ., გვ. 68,
 „პირველი რელაციონი“; ჯ. 3., გვ. 47). ხელნაწერის ერთადერთი ვა-

¹¹ მირ ვეისმა ყანდაპარიდან ისფაჰანში საჩუქრების სახით ჩაიტანა ავღანუ-
 რი შარფების დიდი რაოდენობა და იქ მისთვის სასურველ პირებს აჩუქა.

რიანტი მტკიცდება, რომ ავღანები რამდენიმე დღით ადრე წავი-
ბით ქალაქში შემოვიდნენ.

(ქართველების დაბრუნება). ზუსტად მგზავნიდან
რაზმები, რომლებიც მთებში გაგზავნეს, ბრუნდებიან და ქალაქი
დაკავებული ხდებოდა. ისინი შინ ბრუნდებიან. ორივე მ. კ. (გვ.
76, „პირველი რალაციონი“ და შენიშვნა) და ჯ. პ. (გვ. 49) ამბობს:
„სამი დღის შემდეგ“. ეს მოთქმებული უკანდახევა კარგადაა
აღწერილი ჰანვეის მიერ.

(შაპის ექსპედიციი). შაჰმა, რომელიც თეირანიდან
ისფაჰანში გაემგზავრა, გადაწყვიტა საკუთარი თვლით ეხილა ეს
ამბავი. დიდი ძალებით და სამხედრო აღჭურვილობით ის გაემ-
გზავრა ყანდაჰარში და ჩაეიდა მეშხედში. ავღანები განგაშმა მო-
ცვა და მთებში გაიქცნენ. მაგრამ შაჰი, ასევე შეშინებული, დაკ-
მაყოფილდა მხოლოდ იმამ რეზას საფლავის ხილვით და შინ დაბ-
რუნდა. მ. კ. მოიხსენიებს შაჰის ამ მოგზაურობას, მაგრამ ფიქ-
რობს, რომ იგი მირ ვეისის აჯანყების წინ შედგა (გვ. XXXII). ამ
ფაქტის აღმნიშვნელი სხვა წყარო არ ჩანს.

(ქაიხოსრო ხანისა და როსტომ ხანის ექსპე-
დიციები). დასახლებულია გურგინ ხანის ძმისწული, რომელ-
მაც შური უნდა იძიოს მირ ვეისზე. ის გარს ერტყმის ყანდაჰარს,
სადაც მირ ვეისმა დატოვა გარნიზონი. მირ ვეისი აცარიელებს
პროვინციას. სპარსელთა რიცხვი კლებულობს, სანამ მხოლოდ
200 ქართველი არ რჩება, რომლებსაც ავღანები კომბლებით ხო-
ცავენ (მ. კ., გვ. 86, „პირველი რელაციონი“, და ჯ. პ., გვ. 53. ნახ-
სენებია ჰერათისა და თავრიზის ხანების ადრინდელი ცდები). ამის
შემდეგ ქართველები უარს ამბობენ ავღანების წინააღმდეგ ბრძო-
ლაზე. შემდეგ როსტომ ხანი გაგზავნეს, მაგრამ იგი შეტევაზე გა-
დასვლას ვერ ბედავს (მ. კ., გვ. 96, თურქული ხელნაწერის თარ-
გმანიდან; ჯ. პ., გვ. 57). ეს მასალები ამტკიცებენ, რომ შემდგომში
ქართველები თანახმა არიან სამსახურზე იმ პირობით, თუ ისინი
მარტო წავლენ (ავღანების წინააღმდეგ საომრად).

(საქართველოს უფლისწულები). შაჰ ნავაზ ხანმა,
ქაიხოსრო ხანმა, ვახტანგ ხანმა და მუჰამედ ყული ხანმა რჯული
შეიცვალეს. საქართველოს პირველი ცნობილი ხანი თეიმურაზ ხა-
ნი იყო. მუჰამედ ყული ხანი მისი შთამომავალია მამის მხრიდან,
ვახტანგი კი დედის მხრიდან. საქართველოს მართვისათვის მათ
ერთმანეთს შორის ბრძოლა არასოდეს შეუწყვეტიათ. ბოლოს



თბილისი შპს ნავაზს უბოძეს და მუჰამედ ყულის მამა (ირაკლი) მოსკოვს გაიქცა. შემდეგ, რადგან შპს ნავაზი უკმაყოფილო იყო, უკანვე მოიყვანეს და ქართლი გადასცეს. შპს ნავაზმა კვლავ დათმო, მას აპატიეს და ქირმანის გუბერნატორი, სპარსეთის ჯარების უფროსი (ირანის სპასალარი) და ყანდაპარის ვალი გახადეს. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ვახტანგი რეგენტი, საქართველოში ბრუნდება და ქართლის მეფედ ჯდება. მაგრამ, როდესაც მას ისფაჰანის დასახმარებლად მოუწოდებენ, იგი რუსეთთან კავშირს ამჯობინებს. ასე რომ, როდესაც შპს ჰუსეინს აპატიმრებენ, თამაზი ბრალს სდებს რა შაჰლიყს, მუჰამედ ყულის ქართლში მმართველად ნიშნავს. იგი ახლა თამაზის დიდი მფარველობის ქვეშაა (მ. კ., ტ. II, გვ. 93, „პირველი რელაციონი“; ჯ. პ., გვ. 86, 132, 169).

(რუსების წინსვლა). დაღესტნის ლეკები შირვანში იჭრებიან და შემახიას იპყრობენ. ჯერ მირ მაჰმუდის ხსენებაც კი არაა, ხოლო სპარსეთი და რუსეთი მეგობრები არიან. შაჰი ქირაობს მეფის 2 ათას კაცს. მეფე, ვახტანგ ხანი და შემახიის ბეი მეგობრობის საფარქვეშ დარუბანდს იპყრობენ და იქ გარნიზონს აყენებენ. შემდეგ ჩნდება რა მაჰმუდი, მეფე გემებით გილანში გზავნის ორათასიან ჯარს, რომელიც რეშტს იპყრობს. სპარსელები სთხოვენ მათ ყაზვინსა და ისფაჰანში მოსვლას, მაგრამ ისინი ამჯობინებენ, დამატებით ძალებს დაელოდონ. შემდგომ წელს 4—5 ათასზე მეტი რუსი მოდის. ისფაჰანი ავღანთა ხელშია. ახლა სპარსელები კვლავ სთხოვენ რუსებს ყაზვინში გარნიზონის ჩაყენებას, მაგრამ ისინი პასუხობენ: „ჩვენი მეფის ბრძანებაა. ამას იქით წინ არ წავიწიოთ“. ცნობებია რუსების უფრო მეტი რაოდენობით ჩამოსვლაზე (მ. კ., ტ. II, გვ. 42 და შემდეგ, „პირველი რელაციონი“... ჯ. პ., გვ. 154):

(მირვეისის გარდაცვალება). ვინც გადაარჩინა ყანდაპარი და მას მართავდა, მისი აღსასრულის დროც დადგა. მირი გარდაიცვალა და მირ მაჰმუდი, 18 წლის ჭაბუკი, რომელმაც სძლია თავის ბიძას მირ აბდალაჰს, ხდება მმართველი (მ. კ., ტ. II, გვ. 98; ჯ. პ., გვ. 57).

(მირ მაჰმუდის ტახტზე ასვლა). ხალხი მირ მაჰმუდის სასარგებლოდ იხრება. მირ აბდალაჰი შაჰს დახმარებას სთხოვს. მირ მაჰმუდი შიშობს, რომ სპარსელთა ბატონობა განმეორდება და 12 შეთქმულთან ერთად კლავს თავის ბიძას ნაშუა-



დღევს დასვენების დროს. მირ მაჰმუდი ცხადდება ^{გერმანიის} ~~გერმანიის~~ ^{მწიგნობრით} (მ. კ., გვ. 106, I და II რელაციონი; ჯ. პ., გვ. 58. ისინი ორივენი ამბობენ: „ორმოცი შეთქმული“).

(მაჰმუდის პირველი იერიში). იგი ბელუჯებთან ერთად თავს ესხმის ქირმანს და ბრუნდება ყანდაჰარში (იხ. ზემოდან მე-5 აბზაცის ქვემოთ).

(ფატალი ხანი გადაგდებულა). ეროვნებით ლეკი (ლეკები ახლახან შეიჭრნენ შირვანში, შემახიასა და არდებილში), სუნიტი, პასუხისმგებელი მირ ვეისის განთავისუფლებისათვის, პრემიერ-მინისტრი (ეთემად ად-დოულე) შერისხულია და მას თვალებს სთხრიან. მუჰამედ ყული ცვლის მას (მ. კ. გვ. 142, „პირველი რელაციონი“; ჯ. პ., გვ. 72. მისი გასამართლების ვრცელი ანგარიში, რომელსაც ეს ავტორები იძლევიან, ამოღებულია სხვა წყაროებიდან).

(უბედურების მომასწავებელი). ასტროლოგები წინასწარმეტყველებენ სეფიანთა დინასტიის დაცემას და ისფაჰანის უბედურებას. მათი გამოთვლები დადასტურებულია პლანეტების (მოდრაობის) დამთხვევით და იმ შემთხვევით, რომელიც გადახდა შაჰს თეირანიდან ისფაჰანისაკენ მგზავრობის დროს: იგი ცხენიდან გადმოვარდა (მ. კ., გვ. 200, „პირველი რელაციონი“; ჯ. პ., გვ. 92).

(ნდობა აღდგენილია). რაც შაჰი ცხრა თვის განმავლობაში ისფაჰანში იყო, არაფერი მომხდარა. ყველამ დაივიწყა ეს ამბავი, სანამ ქირმანში მირ მაჰმუდის მეორე ლაშქრობის ამბავი არ მოვიდა. გამართეს თათბირი. ზოგს უნდოდა პორტასათვის დახმარება ეთხოვა, სხვები ფიქრობდნენ — შაჰი ყაზვინს უნდა გადავიდესო (მ. კ., გვ. 256, „პირველი რელაციონი“; ჯ. პ. 110. ორივე წყაროს მიხედვით ეს თათბირი გიულნაბადის ბრძოლის შემდეგ შედგა. არცერთი არ ასახელებს თხოვნას სულთანისადმი). მირ მაჰმუდმა, დაისვენა რა თავისი პირველი ლაშქრობის შემდეგ, დაძრა 18 ათასიანი ლაშქარი, გადალახა სეისტანი, ალყა შემოარტყა ქირმანს. 3 თვის შემდეგ მან 100 ქისა ვერცხლი მიიღო და გაემართა ისფაჰანისაკენ, სადაც იგი ჩავიდა 14 ათასიანი ლაშქრით. ისფაჰანისა და ჰამადანის რაიონების ბეიებმა 18 ათასიანი ლაშქარი დაძრეს. 4 დღის სავალზე ისფაჰანიდან, საველე სიმაგრე ვარზანასთან მათ მირ მაჰმუდს 600 ქისა ვერცხლი შესთავაზეს, რათა იგი

შეჩერებულიყო. მაგრამ მირი წინ მიიჩქაროდა და ორშაბათს 1722 წლის 8 ჯუმადას ბანაკი გაშალა გიულნაბადში, ისფაჰანიდან 4 საათის სავალზე (მ. კ., გვ. 211, „პირველი რელაციონი“ და შენიშვნა; ჯ. ჰ., გვ. 97). წყაროები განსხვავებულ ციფრებს იძლევიან. ისინი ამტკიცებენ, რომ გზად მიმავალმა მირ მაჰმუდმა იეზდს შეუტია (ეს ხელნაწერში გამოტოვებულია). გამოტოვებულია ადგილის სახელწოდებაც (ზუვარა, უზვარაჰ), სადაც მათ ქისები შესთავაზეს. ავტორები იძლევიან თარიღს ისევე, როგორც ხელნაწერშია—1722 წლის 24 თებერვალი.

(სპარსეთის ძალები). მასში შედის 52 ათასი კაცი. აქედან 4 ათასი აღჭურვილია წერაქვითა და ნიჩბით; აგრეთვე ახლავს 10 შორსმსროლელი ქვემეხი, 4 გრძელი ქვემეხი, 10 ათასი საპალნე ტყვია-წამალი და უამრავი საომარი მასალა ფრანგი მეზარბაზნეების მეთვალყურეობის ქვეშ. შაჰი რჩება ქალაქში, პრემიერ-მინისტრი და სხვები მიდიან. „მირი ჭიანჭველა ეგონათ, გველი კი ყოფილა; მისი შაბათი ყოვლისშემძლე კვირის მაუწყებელია“ (მ. კ., გვ. 222, „პირველი რელაციონი“ და შენიშვნა; ჯ. ჰ., გვ. 101. არ იძლევიან ამ დეტალებს. წყაროებში ნათქვამია, რომ ერთ-ერთი ხანის ორი ქალიშვილი სპარსელთა მხარეზე იბრძოდა, რაც მ. კ.-ს გამოტოვებული აქვს, ტ. II, გვ. 282).

(მირ მაჰმუდის პანიკა). სპარსეთის სიმრავლის დანახვისთანვე მირ მაჰმუდი მზადაა თავს უშველოს თავისი ათასი სწრაფი მორბენალით. მაგრამ ამან ოლაჰ სულთან სარდარი მას ამხნევებს, რომ დარჩეს. იგი მიუთითებს მოწინააღმდეგის სისუსტეზე და თავიანთ სიძლიერეზე. მოაქვს ცნობილი ციტატი: „ბევრ პატარა ჯგუფს ღვთის წყალობით დიდზე გაუმარჯვნია“. ამრიგად, (მირ მაჰმუდმა) „გაქცევის განზრახვა სიმტკიცით შეცვალა“ (მ. კ., გვ. 226, „პირველი რელაციონი“ უარყოფს ამ ამბავს; ჯ. ჰ.-ის ეს გამოტოვებული აქვს, გვ. 105). ავღანთა ხუთათასიან მარჯვენა ფლანგს ამან ოლა მეთაურობს, სამათასიან მარცხენა ფლანგს — ცალთვალა სეისტანელი ნასრ ოლა. ექვსთასიან ცენტრს ხელმძღვანელობს მირი (მ. კ., გვ. 230, „პირველი რელაციონი“. მაგრამ იგი უმატებს მე-4 დივიზიასაც სხვა წყაროდან, ასევე, ჯ. ჰ., გვ. 104).

(სპარსელთა საბრძოლო წყობა). ეს იყო შერეული მასა 12 სარდრის მეთაურობით: მარჯვენა ფლანგს მეთაურობდნენ



პრემიერ-მინისტრი და სხვები, მარცხენას მეთაურობდნენ. ლარ ალასი და ქუდიზალ ხანი, ხოლო ცენტრს—იორჯი ბაში და სხვ. (ხელნაწერში „მარჯვენას“ ნაცვლად წაიკითხეთ „მარცხენა“ და „მარცხენას“ ნაცვლად „მარჯვენა“. ასევე ქემოთ. მ. კ., გვ. 227, „პირველი რედაციონი“ და შენიშვნა; ჯ. პ., გვ. 103). პრემიერ-მინისტრის რჩევა: სანგრებით გამაგრება და შეტევისათვის მზადყოფნა (მ. კ., გვ. 235, „პირველი რედაციონი“ და შენიშვნა; ჯ. პ., გვ. 105. ქუდიზალ ხანი არის აბდალაჰ ხანი, არაბეთის ვალი).

(გ ი უ ლ ნ ა ბ ა დ ი ს ბ რ ძ ო ლ ა). ამ ბრძოლის აღწერა ეთანხმება ლა მამი კლერაკის აღწერას, რომელიც აღებულება „პირველი რედაციონიდან“ (გვ. 237), და ჰანვეისას (გვ. 106). თუმცა ხელნაწერი არ მოიხსენიებს ავღანთა ლაშქარში სპილოებს. ის ამტკიცებს, რომ არკებუზები, რომლებიც აქლემებს მოჰქონდათ, იყო ის, რასაც სპარსულად ეწოდება ზემბურაკი. გამოტოვებულია მთელი რიგი დეტალები, როგორცაა: პიროვნებებისა და ჯარის შემადგენელი ნაწილების ბედი. ის იძლევა სპარსელ მოკლულთა რიცხვს—5 ათასს. ჰანვეის ეს ციფრი მისიონერ რეინალის მიხედვით აშკარად 15 ათასამდე. ავღანებმა დაკარგეს 500 კაცი.

(ბ რ ძ ო ლ ი ს შ ე მ დ ე გ). მაჰმუდი სამ დღეს ისვენებს. სპარსელები თავიანთ 150 ქვემეხს ქალაქის ირგვლივ განალაგებენ. ავღანები უტევენ შაჰრისტანს. ქვემეხები მათ ახლო არ უშვებენ. ისინი კარგავენ 78 კაცს (მ. კ., გვ. 265, „პირველი რედაციონი“; ჯ. პ., გვ. 114, რომელიც ამბობს: „შეტევა დედაქალაქზე შაჰრისტანიდან“).

(ქ უ ლ ფ ი ს ბ ე დ ი). შაჰის მიერ დატოვებული ეს ქალაქი ნებდება. ისინი უხდიან მირს 2800 ქისას, 800-ს ნაღდად და დანარჩენს კი სესხის სახით, მაჰმუდი იპყრობს ფერაბადის სამეფო პარქს. ის უტევს დედაქალაქს, მაგრამ წარუმატებლად (მ. კ., გვ. 268, „პირველი რედაციონი“; ჯ. პ., გვ. 114).

(ი ს ფ ა ჰ ა ნ ი დ ა კ ა ე ვ ბ უ ლ ი ა). ბოლოს ავღანები იკავებენ ქალაქს ისე, რომ არავის შეუძლია გასვლა ან შემოსვლა. ძარცვავენ რა ირგვლივ მდებარე ადგილებს, ისინი 5 წლის მარაგს აგროვებენ არღისტანში (?) (მ. კ., გვ. 293, ამბობს: „რამდენიმე თვის“).

(ხ ა ნ თ ა დ ა მ ა რ ც ხ ე ბ ა). ლურისტანის ხანი ალი მერდანი დანიშნულია რა მთავარსარდლად, ქაუნ-სარს შეხვედრას უნიშნავს,



მაგრამ ხანები ცალ-ცალკე მიემგზავრებიან ისფაჰანს. მაჰმუდი ხანს
ბარა ამას, აგზავნის რათას კაცს ნასროლაჰის მეთაურობით, რომელიც
ამარცხებს ჰამადანის ხანს ექვსიათასიანი ლაშქრით, ფარსელი
ალი რეზას 12 ათასით და კაზიმ ხანს ასევე 12 ათასით, (მ. კ., გვ.
262, „პირველი რელაციონი“, გვ. 229, 307, 297, რომლებიც ავღან-
თა მეთაურად ამანოლაჰს ასახელებენ: ასევე, ჯ. პ., გვ. 127). ამის გა-
მო ალი მერდან ხანი ზრუნავს ქურამაბადის დაცვაზე (მ. კ., გვ. 317,
„პირველი რელაციონი“, ხელნაწერში ნახსენები არ არის ბენ-ის-
ფაჰანის ინციდენტი).

(გვირგვინოსანი უფლისწულის გაქცევა). და-
ახლოებით ხუთი თვის შემდეგ შაჰის მე-4 ვაჟი თამაზი, ათასი
ცხენოსნით, ღამის წყვილით გარემოცული, არღვევს მოწინააღ-
მდეგის ხაზს და ყაზვინს აღწევს (მ. კ., გვ. 310, „პირველი და მეორე
რელაციონი“ ამბობს: „21 ივნისს 300 ცხენოსნის თანხლებით
მიჰყვება ბატონ გარდანის ძმას. ასევე, ჯ. პ., გვ. 134).

(კაპიტულაცია გადაწყვეტილია). თავისი სიცოცხ-
ლის შენარჩუნებისათვის შაჰი დედაქალაქის ჩაბარებას სთავაზობს.
საფრანგეთის კონსული იმ წამსვე გზავნის იოსებს მირ მაჰმუდთან
ძვირფასი საჩუქრებით მფარველობის სათხოვნელად. ამას კარგი შე-
დეგი აქვს (მ. კ., გვ. 33, „შენიშვნა და „პირველი რელაციონი“, ტ.
II, გვ. 57; ჯ. პ., გვ. 144).

(შაჰჰუსეინი ნებდება და ხელს იღებს ტახტ-
ზე). მას შემდეგ, რაც რვა თვენახევარი (?) შაჰი ატარებს გვირგვინს
და ჯილას, მარტო პრემიერ-მინისტრთან და სხვა მეთაურებთან ერ-
თად მიდის ფერაბადში. მათ ნახევარ საათს ალოდინებენ. შედის
რა მისაღებ დარბაზში, შაჰი მიესალმება: „სალამ ალიეკუმ“. ის
და მირი სხდებიან, თითოეული ცალკე კუთხეში, ანგორის მოთე-
ლილ ხალიჩაზე გაფენილ დალიანდაგებულ საბანზე. სხვები ფეხზე
დგანან. შაჰი იმეორებს: „ო, ალაზ, სამეფოს გამგებელო“. სტროფს
ბოლომდე ჩაათავებს (ყურანი, III, 25) და შემდეგ სპარსულად
ამბობს მის არსს. ის განაგრძობს: „თვითმპყრობელი მეფე, უმაღ-
ლესი ღმერთი სამართლიანია და ვინც სურს, მას ის ხდის გან-
მგებლად. ერთ ღროს ეს მე მეხებოდა, ახლა ეს შენ გეხება. და
ბოლოს, შვილო ჩემო, მეც გემორჩილები შენ. „მართე და იყავ
კურთხეული“. იგი აწვდის ჯილას ამანოლაჰ სულთანს, მაგრამ ამ-
ჩნევს, რომ მირს ეს არ მოსწონს, ამიტომ ის თვითონ აბნევს ჯილას
მირს თავზე. შემდეგ შემოაქვთ ყავა და ნარგილეები, „ყალიონე-



ზად“ წოდებული; მირი კარგ გუნებაზეა და შაჰის სასწაულებრივად ამბობს: „ჩემო შაჰო, ალახმა ინებოს, რომ მწუხარებამ არ დაისადგუროს თქვენს გულში. მსოფლიოს მმართველობა ხელიდან ხელში გადადის ალახის ნებით, რომელიც უსაზღვროა. ახლა თქვენ მამაჩემის მდგომარეობაში ხართ, ამის გარდა, იყავი შენს აზრზე და შენს გადაწყვეტილებაზე, მე არაფერს ვიქმ თქვენი თახმობის გარეშე“. ბელუჯის ხანიც ამბობს: „ჩემო შაჰო, რაც არ უნდა გააკეთო, ჩვენ შენი მსახურები ვართ, ახლა გვიმსახურე ჩვენ ავღანეთისათვის“. შაჰი მირის სიტყვებთან დაკავშირებით წარმოთქვამს: „ალახისაა მმართველობა“ ამის შემდეგ შაჰი ტოვებს ადგილს და მიდის თავის ბინაში, სადაც იგი კიდევ დარჩება. ხელნაწერი თავდება სიტყვებით: „თქვენი მორჩილი მსახური...“ (მ. კ., გვ. 340, „პირველი რელაციონი“ და შენიშვნა. აქ მოცემული დეტალები არ არის ხელნაწერში. იხ. ასევე, გ. პ., გვ. 144).

ზემოაღნიშნულიდან კეთდება ყველაზე ცხადი დასკვნა იმის შესახებ, რომ ეს ის ხელნაწერია, რომელიც შეადგინა, როგორც ლა მამი კლერაკი ამბობს თავის წინასიტყვაობაში, იოსებ ქართველმა თურქეთის დიდი ვეზირისათვის წარსადგენად. რა თქმა უნდა, თუ კიდევ არსებობს ეს დოკუმენტი სადმე სხვაგან, ეს უნდა იყოს სხვა ვერსია იმავე ხელით დაწერილი იმავე მოვლენებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოვლენებზე მიღებული სხვა ანგარიშების განსხვავება ძირითადად დაუდევრობის შედეგია და გამოტოვებული ამბების უმეტესი ნაწილი ნაკლებად სარწმუნოა. ეს ხელნაწერი მეტად შორსაა იმისგან, რაზედაც იგი პრეტენზიას აცხადებს — თვითმხილველის მონათხრობი. იოსები მოწმეა მხოლოდ იმ მოვლენების, რომლებიც ყაზვინსა და ისფაჰანში მოხდა.

ჯონას ჰანვეი ამტკიცებს, რომ იგი თავისი მონათხრობებისათვის დავალებულია მამა კრუსინსკის წინაშე, მაგრამ ჰანვეი ისე ახლოა გამოთქმებით და ფრაზებით ლა მამი კლერაკთან, როდესაც ეს უკანასკნელი ეყრდნობა იოსებს, რომ ალბათ კიდევ უფრო ახლო კავშირი უნდა ყოფილიყო კრუსინსკისა და იოსებს შორის.

საბოლოოდ რომ შევაჯამოთ, გლახგოს ხელნაწერს არა აქვს ბევრი საპრეტენზიო, იყოს პირველადი წყარო იმ ამბებისა, რომლებსაც იგი მოგვითხრობს, ისე კი, ღმერთმა უკეთ უწყის.

ასეთია გლაზგოს უნივერსიტეტის ჰანტერის ბიბლიოთეკაში შემონახული იოსებ ქართველის თურქული ხელნაწერ-ანგარიშის შინაარსი, გადმოცემული ინგლისელი პროფესორ ტ. ჰ. ვეირის მიერ. ეს სწორედ შინაარსია ხელნაწერისა, ვინაიდან ტ. ჰ. ვეირი ხელნაწერის ზუსტ თარგმანს არ იძლევა. იგი ხშირად წერს: „შემდეგ ხელნაწერში ლაპარაკია“ ამა და ამ საკითხზე, მაგრამ არ წერს, თუ ზუსტად როგორაა იოსებ ქართველის თურქულ ხელნაწერში ესა თუ ის საკითხი აღწერილი.

როგორც პროფ. ტ. ჰ. ვეირის მიერ გადმოცემული შინაარსიდან ჩანს, ხელნაწერში ბევრი ფაქტია გამოტოვებული, რომელთაც ადგილი ჰქონდა იმ პერიოდში და, რომლებიც მოცემულია სხვა ავტორების ნაშრომებში ან საარქივო მასალებში (თ. კრუსინსკი, ჯ. ჰანვეი, ლ. ა. დე ლა მამი დე კლერაკი და სხვ.).

მაგალითად: ისტაჰანიდან მექაში სალოცავად მირ ვეისის გამგზავრება, რუსეთის მეფის პეტრე I-ის მიერ ელჩობის გაგზავნა სპარსეთში, გიორგი XI-ის მიერ მირ ვეისისაგან ქალიშვილის თხოვა, სპარსეთის ეთემად აღ-დოულეს გასამართლება, გიულნაბადის ბრძოლების დეტალები და სხვ.

ჩვენ ვეთანხმებით პროფ. ტ. ჰ. ვეირის დასკვნას იოსებ ქართველის თურქული ხელნაწერის, როგორც წყაროს, მიმართ: „...გლაზგოს ხელნაწერს არა აქვს ბევრი საბრეტენოო, იყოს პირველადი წყარო იმ ამბებისა, რომლებსაც იგი მოგვითხრობს...“ იოსებ ქართველი მოწმეა იმ ამბებისა, რაც ყაზვინსა და ისტაჰანში მოხდა 1718 წლის მაისიდან 1723 წლის მარტამდე. მაგრამ აქაც იგი ბევრ შემთხვევაში სხვის მონაყოლს ყვება. ეს სავესებით გასაგებია. იოსები იყო საფრანგეთის საკონსულოს თარჯიმანი. შეხვედრების დროს შეიძლება იგი თარჯიმნის სახით ახლდა კონსულ დე გარდანს, მაგრამ არც შაჰ ჰუსეინთან და არც მის ეთემად აღ-დოულეებთან ცალკე შეხვედრა იოსებს, ცხადია, არ ჰქონია.

პროფ. ტ. ჰ. ვეირი სწორია, როცა ამბობს, რომ ჯ. ჰანვეი უფრო თ. კრუსინსკის ეყრდნობა, მაგრამ ამავე დროს ჯ. ჰანვეი ლ.— ა. და ლა მამი დე კლერაკთანაც ახლო არისო. ეს გასაგებიცაა: ეს ორი უკანაქნელი ავტორი თ. კრუსინსკის ნაშრომით სარგებლობდა, რომელიც 1740 წელს გამოქვეყნდა, დე ლა მამი დე კლერაკისა და ჯ. ჰანვეის წიგნები კი მხოლოდ 10—13 წლის შემდეგ დაიბეჭდა.



იოსებ ქართველის „ანგარიში თურქულად, წარდგენილთ
ოსმალეთის იმპერიის დიდი ვეზირისადმი“
თარგმანი თურქულიდან“²

მირ ვეისისა და შაჰ ჰუსეინის ამბები
თალიკის ხელით 15 სტრიქონი გვერდზე³

აქა ამბავი ისტაჰანიდან ჩამოსული ვინმე სახელად იუფუოსი, რომელიც რვა წელიწადს⁴ ისტაჰანში იმყოფებოდა. ამ ხნის განმავლობაში მან თავისი დაკვირვებულობითა და ბეჯითობით ცოდნა შეიძინა, მეცნიერებას და განათლებას დაეუფლა.

1137 წელი⁵.

მე თქვემა მონა-მორჩილმა, წარმოსობით თბილისელმა, ყრმობის წლებში ენის შესწავლის, ცოდნისა და განათლების მიღების მიზნით საფრანგეთში წასვლა განვიზრახე და გავემგზავრე. როდესაც ფრანგულ ენას დავეუფლე, ვენეციის გემში ჩავეჯექი⁶ და ბედ-

¹ 1012, R (evan). 1487. სახამებლიანი ქაღალდი. 235 მმ სიგრძე და 170 მმ სიგანე აქვს. 36 ფურცელია, თითო ფურცელზე ორი გვერდია. გვერდზე თალიკის მსხვილი, ხელით ნაწერი 95 მმ სიგრძის 15 სტრიქონია. დაწერილია 1137 წელს პიჭრით, ქრისტესით 1724—1725 წწ. ყავისფერი ტყავის ყდაში ძვეს. „მირ ვეისისა და შაჰ ჰუსეინის ამბები“ მოთავსებულია წიგნში: თოფკაფის სასახლის მუზეუმის წიგნთსაცავი, თურქულ ხელნაწერთა კატალოგი. შემდგენელი ფეჰმე ედჰემ კარათაი. ტ. I, რელიგია, ისტორია, მეცნიერება. № 1—1985. სტამბოლი, 1961, გვ. 328.

Topkapi Saray Müzesi Kütüphanesi Türkçe Yazmalar Katalogu. Hazırlayan Fehmi Edhem Karatay. C. I. Din, Tarih, Bilimler, N° 1—1985. İstanbul, Topkapi Sarayı Müzesi, 1961. p. 328.

² ულრმეს მადლობას ვუძღვნი აკადემიკოს სერგი ჯიქიას, რომელმაც ჩვენი თხოვნით ეს თურქული ტექსტი გადაწერა, დაადგინა და ქართულად თარგმნა (ტექსტის დადგენაში მას დაეხმარა ისტ. მეუნ. კანდიდატი ცისანა აბულაძე).

ქართულ თარგმანში მოცემული სათაურები და აბზაცები ჩვენ გამოვყავით. ასევე, ქართულ თარგმანს კომენტარები ჩვენ დავეურთეთ.

³ ეს ორი სტრიქონი დაწერილია ცალკე გვერდზე სხვა ხელით. ეტყობა, ეს სათაური იოსების „ანგარიშს“ სხვამ მისცა. სათაურის ზემოთ თურქეთის ბეჰედია დასმული.

⁴ სპარსეთში იოსები დაახლოებით 6 წელი იყო (1717 წლის ივლისი—1723 წლის მარტი), ხოლო ისტაჰანში—დაახლოებით 5 წელი (1718 წლის აგვისტო—1723 წლის მარტი). საიდან ანგარიშობს იოსები 8 წელს, გაუგებარია.

⁵ ქრისტესით—1724—1725 წწ.

⁶ იოსები საფრანგეთიდან ვენეციაში როგორ მოხვდა, ჩვენთვის ცნობილი არაა.

ნიერების ზღურბლისაკენ⁷ გავემგზავრე. იმ ხანებში იქ უზენაესი სულთნის კანცელარიის თარჯიმან იანაქ ბეგთან მოვეწყვე. როდესაც იგი ვარდენის ლაშქრობიდან დაბრუნდა, მას ვალახეთის ვეფხე⁸ დობა ებოძა და რადგანაც იგი ვალახეთს გავემგზავრა, თქვენსა-ნა-მორჩილი მას გავცილდი და იმ სამსახურს თავი დავანებე.

იმ დროს საფრანგეთის მეფის მიერ სახელად ბატონი დე გარდანი სპარსეთის შაჰ სულთან ჰუსეინთან ბალიოსი⁹ წოდებით ელჩად დაინიშნა. ის სტამბოლს ჩამოვიდა და მოისურვა თქვენი მონა-მორჩილის (აყვანა) და ხსენებულ ელჩთან თარჯიმნად მოვეწყვე. ელჩმაც ეს ამბავი ბედნიერების ბჭეს მოახსენა და აცნობა¹⁰. სპარსეთის საზღვრებში რომ ჩავიდა, რწმუნებულების შესახებ სათანადო ბრძანებებისა და საბუთების წარდგენის შემდეგ ჩავსხედით გემში¹¹ და შავი ზღვით ტრაპიზონში ჩავედით. იქიდან—არზრუმში, ერევანში, ნახიქევანში, თავრიზში, ზინჯანში, სულთანიესა და ყაზვინში.

ეს მგზავრობა მოხდა იესო წინასწარმეტყველის დაბადებიდან 1717 წელს, რომელიც ემთხვევა ჰიჯრის წელთაღრიცხვის 1129 წელს. რადგანაც შაჰ ჰუსეინიც ისფაჰანიდან წამოსული იყო და იმ წელს ყაზვინში იმყოფებოდა, ინახულა იგი და იყო მასთან¹¹. აქ მოხდა ელჩობის შესახებ რწმუნების სიგელის გადაცემა¹².

ყ ა ზ ვ ი ნ ი ს მ ხ ა რ ე ბ შ ი ხ ს ე ნ ე ბ უ ლ ი შ ა ჰ ი ს ჩ ა ს -
ვ ლ ი ს მ ი ზ ე ზ ი . მიზეზი არის ის, რომ ხორასნის მხარე, რომელიც სპარსეთის მხარედ ითვლება, არსებითად ჩვეულებრივი ვრცელი მხარეა, რომელიც სპარსეთის შაჰების მიერ დაპყრობილია და მათ მფლობელობაშია. ცენტრალური სახელმწიფოს ერთი ქალაქი—ეს პერათია და ერთიც, სადაც იმამ რეზას საფლავია, არის მეშხედ-ტუსი.

⁷ იგულისხმება კონსტანტინოპოლი, პორტა.

⁸ ბალიოსი, ბაილი—მეფის ან სენიორის აგენტი, წარმომადგენელი, რწმუნებული. XII საუკუნიდან ბაილი იურიდიულ ფუნქციებს ასრულებდა. თურქები ბალიოსს უწოდებდნენ ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენლებს—ელჩებს ან კონსულებს, უფრო მეტად ვენეციის წარმომადგენლებს.

რაც შეეხება დე გარდანს, იგი იყო არა ელჩი, არამედ კონსული.

⁹ ეს ფაქტი მიუთითებს თურქეთის ხელისუფლებისადმი იოსების დამოუკიდებლობაზე.

¹⁰ სად წარადგინა დე გარდანმა რწმუნების საბუთები, სად ჩასხდნენ გემში? სპარსეთის საზღვრებთან?

¹¹ კონსული დე გარდანი შაჰს შეხვდა ყაზვინში არა 1717 წელს, არამედ 1718 წლის 26 მაისს.

¹² რწმუნების სიგელი დე გარდანმა შაჰს 1718 წლის 26 მაისს გადასცა.



აქა ამბავი ჰერათისა. ამ ორ დიდ ქალაქთაგან თითო-
 ეული თავიანთი მიდამოებით სხვა ვილაიეთად ითვლებოდა. მათგან
 წარმოადგენენ სახანთახანოს, ე. ი. საბეგთაბეგოს, და სამხრეთით
 თანამდებობაზე შაჰების მიერ საპატიო და სანდო ბეგი ინიშნება.
 ასეა დაკავშირებული ჰერათის ვილაიეთის მოსახლეობა, ე. ი. ქვე-
 შვერდომები, რომლებიც სპარსული¹³ და შიიტური სარწმუნოები-
 სანი არიან. მათი ცხენოსანი და (ქვეთი) ჯარი მთლიანად სუნიტე-
 ბი და აბდალ-ავღანელებად წოდებული ტომიდანაა, ენერგიულე-
 ბი და სულით ძლიერნი არიან.

იმ დროს სპარსეთის შაჰის მხრიდან ვალის თანამდებობაზე
 მყოფი მეჰმედ ზამან ხანის ხელქვეითნი და ჯარი ყაჩაღები და მე-
 ამბოხეები იყვნენ. სპარსელთა საქვეყნოდ აღიარებული საზიზღა-
 რი ბუნებისა და დასავგობი ჩვეულების მიხედვით, ისინი მოსახლე-
 ობის ოჯახებს თავს ესხმოდნენ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყე-
 ნებდნენ. ამგვარი მათი საქციელი ვერ აიტანეს და იძულებულნი
 გახდნენ აჯანყების ცეცხლი დაენთოთ და აღნიშნულ ტომში რჩე-
 ული და სანდო ასადულაჰად წოდებული ვინმეც გამოჩნდა. ავღანე-
 ლები შემოეკრიბნენ მას და სპარსელებსა და ავღანელებს შორის
 ხოცვა-ჟლეტა შეიქმნა.

შემდგომ ამისა, ჰიჯრით 1129 წელს¹⁴ მეჰმედ ზამან ხანმა თავი
 ვისი 1500-იანი ლაშქრით ავღანელთა თავდასხმას ველარ გაუძლო
 და დამარცხებული, განადგურებული გაიქცა და ისფაჰანში წავი-
 და. ჰერათის ვილაიეთი სპარსელთა ტირანიისაგან განთავისუფლ-
 და. ავღანელთა დიდებულების ერთსულოვნებითა და გაერთიანე-
 ზით მმართველობა თავიანთ რჩეულს ასადულაჰს ჩააბარეს. ასა-
 დულაჰი დამოუკიდებელი მმართველი გახდა.

აქა ამბავი მეშხედ-ტუსისა. სპარსელთა ჩვეულებ-
 რივ მხარეთაგან, სეისტანის¹⁵ მხარე, ერთ-ერთი ვრცელი და გა-
 ნიერი მხარეა და ყანდაჰარის სამხრეთ-დასავლეთის მომიჯნავეა.
 სპარსეთის შაჰის ხაზით მისი მმართველი მელიქ მაჰმუდ ხანი იყო,
 თუმცა შიიტური სარწმუნოებისა, მაგრამ მომიჯნავე ქვეყნის სიახ-
 ლოვის გამო მირ ვეისზადეს¹⁶ მირ მაჰმუდთან თვალთმაქცობითი,
 მაგრამ ცხოველი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. სეისტა-

¹³ სპარსული სარწმუნოება არ არსებობს. ალბათ, ლაბარაჯია სუნიტურ და
 შიიტურ სარწმუნოებაზე. ავღანელები სუნიტები იყვნენ, სპარსელები—შიიტები.

¹⁴ ქრისტესით—1717 წელი.

¹⁵ ტექსტში ყველაგან წერია: სუჯისტანი. ასევე, იოსებ ქართველს წერს
 „ასადულაჰს“ და არა „ესადულაჰს“.

¹⁶ მირ ვეისზადე—მირ ვეისის შვილი.

ნის ველებიდან ქირმანისა და ისფაჰანის დამორჩილებას მან ხელი არ შეუშალა და ამაზე თვალი დახუჭა.

შემდეგ, როცა მირ მაჰმუდმა ისფაჰანს ალყა შემოარტყა, ისტანის ხსენებული ხანი დერკაფს მივიდა მათასიანი ლაშქრით შაჰის დასახმარებლად და ქალაქგარეთ განლაგდა თავისი ჯარით. რაკი შაჰის უძღურება დაინახა, შეჩერდა და ყოყმანი დაიწყო. მირ მაჰმუდი კი არ უშვებდა შემთხვევას, რომ ის წაექეზებინა მასთან ერთობისა და კავშირისაკენ.

ისფაჰანის აღებამდე თითქმის ერთი თვით ადრე ხსენებულმა მირმა თავისი თავკაცთაგანი — ნასრულაჰად წოდებული მთავარსარდალი ხანთან გაგზავნა, რადგანაც ხსენებული ნასრულაჰი სეისტანელი იყო წარმოშობით და ხანთან ერთსულოვნებით, ახლობლობით და მეგობრობით იყო დაკავშირებული. იმ პირობით, რომ მეშხედის დამოუკიდებელი ვილაიეთი სპარსეთის ქვეყანას ჩამოშორებოდა და ხსენებულ ხანს მიეღო. მათ შორის ამ პირობების წესებისა და მტკიცე კავშირის მუხლების შემცველი ხელშეკრულება დაიწერა, ხელის მოწერითა და ბეჭდის დასმით დაიდო.

მირ მაჰმუდი უწინდელივით შეუდგა ქალაქისათვის ალყის შემორტყმას¹⁷. მეტიკ მაჰმუდმა კი სეისტანში დაბრუნებისაკენ ქნა პირი. სწრაფად მივიდა ქალაქთან¹⁸ და ალყა შემოარტყა მას. რადგანაც აღნიშნული ქალაქის მოსახლეობა შიიტები და რაფიზები¹⁹ იყვნენ, მათ დიდი ჭიუტობა და წინააღმდეგობა არ გამოუჩენიათ და მაჰმუდს ციხე ჩააბარეს. მან ასევე აიღო და დაიპყრო სხვა ადგილები. ის თვითონ გახდა მბრძანებელი, სპარსეთის შაჰის მორჩილებიდან გამოვიდა და პირი იბრუნა.

ჩვენს ელჩთან ერთად სამი თვე ყაზვინში რომ გავატარეთ, აქედან ისფაჰანს გავემგზავრეთ²⁰. შაჰ ჰუსეინმა ჩვენს ელჩს ქალაქ ისფაჰანში შესანიშნავი სასახლე უბოძა და ამ სასახლეში დავდექით²¹.

პერათის გასათავისუფლებლად და ასადულაჰის გასანადგურებლად ჯარის მომზადება.

17 იგულისხმება ქ. ისფაჰანი.

18 იგულისხმება ქ. მეშხედი.

19 შიიტური სარწმუნოების ერთ-ერთი სექტა.

20 გამოდის, რომ ისანი ისფაჰანში 1718 წლის აგვისტოში ჩასულან.

21 როგორც ვხედავთ, იოსები არაერთარ ქრონოლოგიას არ იცავს ამბების მოყოლაში. ახლა ის მალე 1717 წლის, ხოლო შემდეგ 1704—1709 წწ. ამბებს დაუბრუნდება.

ამასობაში შაჰ ჰუსეინი ყაზვინში გაჩერდა და 30 ათასიანი ლაშქარი მოამზადა, აღჭურვა, სეფი ყულად წოდებული ხანი საკლდეში დაუნდობდა და ჰერათში ასადულაპის წინააღმდეგ გაგზავნა. ასადულაპმაც გაიგო და შეიტყო შაჰის მიერ უამრავი ჯარის მომზადების შესახებ და (მოემზადა): უზბეკთა სულთნების დახმარებით (?) და ბელუჯის სულთანმა 12 ათასიანი უზბეკთა (?) ლაშქარი მის დასახმარებლად გაგზავნა. ეს ჯარი რაღაც შემთხვევითა და განგებით ერთ ადგილას წააწყდა სპარსელთა ჯარს. უყურადღებობისა და მოულოდნელობის გამო ყველა ისინი სპარსელთა ხელთ სარწმუნოების გზაზე (?) დახოცილ და წამებულ იქნენ.

ყიზილბაშთა ტომი მეტად უმოწყალოა და გულქვა: შემთხვევა რომ მიეცემათ, დაჯერას და დატყვევებას არ დასჯერდებიან, ხოცვა-ჟლეტა მათი ძველი და საზიზღარი ჩვეულებაა. ამრიგად, სეფი ყული ხანმა სიჩქარითა და სისწრაფით ჰერათს მიაღწია. ასადულაპმაც გაიგო ეს და 13 თუ 15 ათასიანი აბდალან-ავლანთა ჯარით წინ აღუდგა სეფი ყული ხანს.

მოხდა სასტიკი ბრძოლა, რომელიც ყველას სალაპარაკოდ იქცა და ეს საშინელი ჭიდილი და ბრძოლა დაახლოებით 5 საათი გაგრძელდა. ბოლოს სეფი ყული ხანმა თავისი ზარბაზნები დაუშინა ავლანელებს და ინიციატივა მის ხელში რომ იყო (?). ასადულაპის ჯარი მეორე მხრიდან (?). ე. ი. სპარსეთის ჯარი სწრაფად თავს დაესხა. გასროლილი ზარბაზნებისაგან მიყენებული ვენება, ღვთის განგებით, მთლიანად სპარსეთის ჯარს თავს დაატყდა. ჩამოვარდა დაზნეულობა და არეულობა.

სპარსეთის ჯარმა ეს შეცდომა ვერ გაიგო და ეს ფლიდობას და მათშივე მოღალატეთა გაჩენას მიაწერეს. სპარსეთის ჯარმა გაქცევა გადაწყვიტა. იგი დამარცხდა და განადგურდა. დახოცილ იქნა 8 ათასი ყიზილბაში, მოკლეს სეფი ყული ხანი, დაიღუპა 3 ათასი ავლანელი. სპარსელთა არსენალი და 20 ცალი ზარბაზანი ასადულაპმა ხელში ჩაიგდო.

ვითარება ასეთია. მირ მაჰმუდი ქირმანშია, შაჰ ჰუსეინი ისევ ყაზვინში ცხოვრობს და ისვენებს. მირ მაჰმუდი ყანდაჰარში ჯარს ამზადებს. ყანდაჰარის ქვეყანა, რომელიც სპარსეთის ტრადიციულ მხარედ ითვლება, დასავლეთითა და სამხრეთით ოკეანეს ეკვრის²² და სეისტანის მომიჯნავე ქირმანის ქვეყანაზე ხელ-

²² ყანდაჰართან ახლოს არც ოკეანეა და არც ზღვა.

საყოფად გაემგზავრა, სეისტანის ველი გაიარა და ქირმანის მხარეს მიადგა.



ყანდაპარის საზღვრების გასწვრივ ერთი ბელუჯად წოდებული ტომი ცხოვრობს. რადგანაც ისინიც ავღანების ტიპის არიან, ქირმანის ძარცვა-გლეჯაში ხსენებულ მირს გვერდში ამოუდგებიან. ქირმანის ქვეყნის მოსახლეობა შიიტი ყიზილბაში კერპთაყვანისმცემელია, ძალიან მდიდრებიც არიან. ბევრნი გამარცხეს და დაარბიეს, ბევრი დაატყვევეს და დახოცეს. მათი ქვეყნის წესების მიხედვით, ქირმანად წოდებული ქალაქიც დაარბიეს. რადგანაც ციხის მოსახლეობა გაიქცა და ციხე ცარიელი იყო, დატოვა (აქაურობა) და ყანდაპარში დაბრუნდა²³.

ქირმანის ქვეყანაში სპარსეთის შაჰის მიერ დაყენებული მმართველი ვახტანგ ხანის²⁴ რაფიზობამიღებული უმცროსი ძმა²⁵, ამ ხანებში იქ მყოფი, სპარსელ მოლაშქრე-დამცველებთან ერთად გაიქცა და ისფაჰანში წავიდა²⁶.

ამ ამბების შემდეგ შაჰ ჰუსეინი ყაზვინიდან აიყარა და ქალაქ თეირანში ჩავიდა. ერთ ხანს იქ დარჩა. ქალაქი თეირანი ყაზვინის აღმოსავლეთით სამ გადასარბენზეა, ხორასნის გზაზე. მისი კლიმატი ყაზვინისაზე რამდენადმე უკეთესია, კეთილნაშენი ქალაქია.

სეფიანთა სახელმწიფოში ოსმალეთიდან ელჩობით გამოგზავნილი ბატონი დური თეირანში ჩავიდა და რწმუნების სიგელი ჩააბარა²⁷.

აქა ამბავი მასკატის იმამისა და ბაჰრეინის ვილაიეთისა. ბაჰრეინად წოდებული ქვეყანა ბასრის ქვეყნის ქვემოთ 5 გადასარბენის მანძილზეა. ბასრის ყურის დასავლეთ ნაპირას მდებარე კუნძულებს²⁸ რომ ეძახიან, იმ მხარის ერთერთი რაიონია. ნაპირთან ახლო ბაჰრეინად წოდებული ერთი კუნძულიც არის, რომელიც სინამდვილეში მარგალიტის საბადოების ადგილია და კუნძულის ცენტრში არის მაგარი ციხესიმაგრე. ხსენებულ ქვეყანას უკვე კარგა ხანია, რაც სპარსეთის შაჰები დაჰპატრონებიან და რადგანაც შაჰების ხელსა და მმართველობაში იმყოფება, იქ

²³ ალბათ, მირ მაჰმუდი.
²⁴ ივულისხმება ვახტანგ VI.
²⁵ ივულისხმება როსტომი.
²⁶ როდის „გაიქცა და წავიდა“; მირ მაჰმუდის იქ მისვლამდე, თუ შემდეგ?
²⁷ იოსების სიტყვებით რომ ვთქვათ: „ელჩობის ცერემონიალი შეასრულა“.
²⁸ „ჭეზირეთ-ალ-არაბ“.



არის მათ მიერ დანიშნული მმართველი სულთანი ანუ მირლიკა²⁹ შემდეგ ისევ ბასრის ყურის დასავლეთ ნაპირას, ბაპრეინის³⁰ მასკატის იმამის (მხარეს) ეძახიან. ამ ქვეყნის ხალხი, აბაზად (?) წოდებული, სარწმუნოების მიხედვით არაბთა ტომის ერთ-ერთი ნაწილია.

აი ეს ბაპრეინი დაიპყრო, სპარსელებს ხელიდან გამოგლიჯა და აილო³⁰, რადგანაც სპარსელები ბაპრეინის კუნძულსა და მის ნაპირებზე მიმოსვლისათვის გემებს საჭიროებდნენ, ხოლო ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად მათ გემები არ ჰქონდათ, ამ საქმის წარმართვა მათ არ შეეძლოთ და ამისათვის სხვისი დახმარება სჭირდებოდათ.

ვინაიდან სპარსელებსა და პორტუგალიელებს შორის მეგობრული ურთიერთობა იყო, და მას შემდეგ, რაც პორტუგალიელებმა ოკეანისა და აღმოსავლეთ ინდოეთის მიმართულებით გზა აღმოაჩინეს, ინდოეთისა და კუნძულების ბევრი ნავსადგური დაიპყრეს და დაიუფლეს, ამ მხარეში მათი მრავალი გემი იყო. ამდენად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ბაპრეინის გამოსახსნელად პორტუგალიელებისათვის მიემართათ.

შაჰმა პორტუგალიელების დახმარება ითხოვა. ამ ტომის მამაცი ადამიანები ცხოვრობენ იქ, სადაც ინდოეთის მხარეა და სინდის მხარის მონაკვეთზე მდინარე პინდი ინდოეთში შედის (?), მასთან ახლოს მდებარე დივად წოდებულ კუნძულზე ფლოტილია აღჭურვეს და ბაპრეინის განთავისუფლების მიზნით მათი ფლოტი ბასრის სრუტისაკენ მიემართება ხოლმე.

სპარსელებმაც უამრავი ჯარი მოამზადეს. ჯარები ბაპრეინის პირდაპირ, სპარსეთის ქვეყნის ნავსადგურების ბენდიზქენქად და ბენდერბეგად წოდებულ ადგილებში, შეგროვდნენ. პორტუგალიის ფლოტი მოვიდა. როცა სპარსელები ელოდებოდნენ თავიანთი გემებით ბაპრეინის კუნძულზე გადასვლას, პორტუგალიის ფლოტი მოვიდა და ბენდერბეგის წინ ლუზა ჩაუშვა. პორტუგალიის ფლოტის კაპიტანმა ამ სამსახურის შესასრულებლად და ამ სახიფათო საქმის წამოსაწყებად სპარსეთის შაჰისაგან გარკვეული თანხა მოითხოვა. ამ უთანხმოების დროს (?) მასკატის იმამის ფლოტი გამოჩნდა და პორტუგალიის ფლოტს შეებრძოლა. ამას სპარსეთის ჯარი ნაპირიდან უყურებდა. დიდი ხნის განმავლობაში გამარჯვე-

²⁹ მირლიკა—ადმინისტრაციული ერთეულის—ლივის უფროსი.
³⁰ ვინ აილო, არ ჩანს. საერთოდ ხელნაწერის ეს ადგილები მეტად ბუნდოვანია.



ბული და დამარცხებული მხარე არ იყო ცნობილი. პორტუგალიის გემები დაბრუნდნენ და დივას კუნძულზე მივიდნენ. შემდეგ საქმის შესახებ პორტუგალიის ელჩი³¹ თეირანში შაჰთან მივიდა. იგი შაჰს ეახლა მაშინ, როცა დური ეფენდი ჯერ კიდევ იქ იყო. მაგრამ, რამდენადაც პორტუგალიის ელჩმა ამ სამსახურისათვის დიდი თანხა მოითხოვა, ვერ მორიგდნენ.

შემდეგ ბენდერ-აბასად წოდებულ ადგილას, მდიდარი და საბატოო ყიზილბაში მეზაყე რომ იყო, მან მასკატის იმამს ორასრვა ქისა ფული მისცა და ბაჰრეინის განთავისუფლება იკისრა და ამრიგად იგი კვლავ სპარსეთის შაჰის მფლობელობაში დააბრუნა. შემდგომში მოვიდა ამბავი, რომ მირ მაჰმუდის მიერ ისფაჰანის აღების საბაბით მასკატის იმამმა ბაჰრეინი კვლავ დაიპყრო.

აქა ამბავი მირ ვეისისა, შაჰნავაზ ხანის გამარჯვება და მირ ვეისის მიერ ყანდაჰარის ქვეყნის აღება. ყანდაჰარი არსებითად ინდოსტანის შემადგენელია და ინდოეთის მეფეთა მფლობელობაში რომ იყო, ინდოეთის მმართველთა უყურადღებობის... მათ ცუდად ეპყრობოდნენ და ინდოელები ქვეყნის მოსახლეობას ძალმომრეობით ჩაგრავენენ. ყანდაჰარის ქვეყანა კი ციხესიმაგრესავეთ ოთხი მხრით დიდი მთებით იყო გარშემორტყმული. გარდა იმისა, რომ მისი გზები და გზაჯვარედინები ყოველ მხრიდან ძნელად გასასვლელია, მისი მოსახლეობა კილიჩიან-ავლანელებად იწოდება და მეაბოხე ტომები არიან. მაგრამ მათ ვეღარ გაუძლეს ინდოელთა ულმობლობასა და ტირანიას და ვინაიდან იმ დროს სპარსეთის ქვეყანაში სახელი ჰქონდა განთქმული შაჰ აბასის ღონესა და ძლიერებას, ავლანთა თხოვნის შედეგად შაჰ აბასი ასი ათასი ყიზილბაშთა ჯარით ყანდაჰარისაკენ გაემართა. ინდოეთის მეფემაც ყანდაჰარის დასაცავად და შაჰ აბასთან შესახვედრად ზღვარსა და ანგარიშს გადაჭარბებული ჯარი მოამზადა, თავისი უფლისწული სარდლად დანიშნა. სამჯერ შეხვედრისა და დიდი ბრძოლისა და ხოცვის შემდეგ, ბოლოს ავლანელთა დახმარებითა და შემწეობით შაჰ აბასმა გაიმარჯვა, ხოლო ინდოეთის ჯარი მთლინად დამარცხდა და განადგურდა.

ყანდაჰარი აბასის მპყრობელობასა და მფლობელობაში მოექცა და მან იქ ყანდაჰარის ბეგლარბეგი ანუ ვალი დანიშნა. ამ სამსახურისათვის (ავლანელებს) ბევრი სიკეთე და თავისუფლება მისცა და დაუახლოვდა, ხოლო თვითონ უკან დაბრუნდა.

³¹ ალბათ, პორტუგალიის კონსული.



დროთა განმავლობაში ყანდაპარში ვალის თანამდებობაზე მყოფმა ხანებმა ავლანელთა დამსახურებას ყურადღებამ აქცია. ციეს და მათ მართვა-გამგეობაში ტირანიისა და ჩაგერის გზას დაადგინენ. ავლანები კი ხედავდნენ, რომ რაც დრო გადის, მრავლდებიან და მრავლდებიან. აბასის დროს რომ 50 ათასი კომლი იყვნენ, ახლა 70 (ათას) კომლს მიაღწიეს. ეს ტომი თურქმენების მსგავსად მომთაბარეობას ეწევა, იალალებს ეტანება, აქვთ ქალაქები და სოფლები, ჰყავთ შეძლებული ვაჭრები.

24 წლის წინათ³² მირ ვეისის სახელით მათგან ერთი ვინმე გამოვიდა. მან მათ შორის სახელი გაითქვა როგორც გონიერმა და ფრიად მჭერმეტყველმა. მან განიზრახა განდგომოდა და აჯანყებოდა სპარსეთის შაჰს. როდესაც ყანდაპარის ქვეყანას აჯანყების ალი მოედო, ამ შემზარავმა ამბავმა ჰუსეინ შაჰის ყურამღე მიაღწია.

ქართველი ხანის ვახტანგის ბიძა გიორგი ხანი რამდენიმე წლის წინათ რაფიზი გახდა და სახელად სპარსელთა ჩვეულების მიხედვით გიორგი შაჰნავაზ ხანი დაირქვა. ზემოხსენებული ქირმანის მხარე მას უბოძეს და ამ ქვეყანაში იგი ვალის თანამდებობაზე იყო. გიორგის მამაცობისა და გულადობის სახელი ჰქონდა. ის დაინიშნა სპარსეთის ჯარის სპასალარად, მასვე ებოძა საქართველო და (მისი ნათესავი) ვახტანგი თბილისში მის მოადგილედ დაინიშნა.

სეფიანთა კანონის მიხედვით გიორგის სარჩოდ ებოძა თავრიზი და ამასთან ერთად ყანდაპარიც, ხოლო იმ მხარეებში ატეხილი არეულობისა და აჯანყების ცეცხლის ჩაქრობა და დაწყნარება, ბოროტმოქმედთა დასჯა და მოთვინიერება ზემოხსენებულის გონებასა და მის ქმედობას მიანდევს.

4 ათასი ქართველითა და 20 ათასი ყიზილბაშის ჯარით გიორგიმ ყანდაპარს მიაღწია. ხსენებული ხანი მრისხანე, მოძალადე და მჩაგვრელი იყო. ამ საბაბით ბევრი უდანაშაულო ავლანი დახოცა და მათ ქონებას დაეუფლა. ქართველები დავაწყნარე, ამ გზით ქვეყანა დავიმორჩილე და დავიპყარიო, იფიქრა მან და თვითონ ნდობა ჩაესახა. ქართველთა ჯარი თავისთან გააჩერა და ყიზილბაშთა ჯარი უკანვე გაგზავნა. მირ ვეისი დაიჭირა, მაგრად შეკოჭა და შაჰ ჰუსეინს გაუგზავნა, ყანდაპართან ახლოს ატეხილი ჯანყის მომ-

³² როდის ხდება აქ აღწერილი ამბები, იოსებს აღნიშნული არა აქვს და ამიტომ ძნელია იმის თქმა, თუ როდის იყო ეს „24 წლის წინათ“.

ხდენი და უშუალო მიზეზი მირ ვეისიაო—მოახსენა და მის ზობად და მოსაკლავად თავი გამოიღო. ამრიგად, ხსენებული მირი ისტაჰანში საპატიმროში მოათავსეს.

მირ ვეისის განთავისუფლება და გიორგი შაჰნავაზ ხანის მოკვლა ყანდაჰარში ი. როდესაც გიორგი შაჰნავაზ ხანს ამ საბაბით წოდება ჩამოერთვა (?) და მას სპარსეთის სპასალარის სახელმწიფო წოდება მიეცა და უცოდინარობის, ხასიათის, ბუნების, სისაწყლისა და სიმდაბლის... გამო ბოლოს ტვინი აერია და განდიდებისა და ამპარტავნობის სურვილებში ჩაითრია. სეფიანთა სახელმწიფოს თავკაცებს ქედმაღლურად ეპყრობოდა, ბოროტ ცხოვრებას ეწეოდა და სახელი გაუტყდა. მოჯადოების სიბრძნემ თვალთმაქცობის გზას დააყენა და მის ტვინში დაფუძნებული ჯანყისა და არეულობის დამალვა და მასში არსებული აჯანყების გრძნობა ვერ დაფარა და ვერ დამალა. სპარსეთის ზოგიერთი თავკაცის გალანძღვისა და შეურაცხყოფის ფაქტმა ისინი მას გადაამტერა. ბოროტმოქმედების გამო ისეთ დონეს მიაღწია, რომ სპარსეთის შაჰის მიმართ აჯანყებულ და ამხედრებულ მირ ვეისსაც გადააჭარბა. შეიძლება შაჰნავაზ ხანი თვითონაა... შაჰისადმი მორჩილებისაგან პირი რომ იბრუნა — ბოროტმოქმედების მტკიცე საბუთია. მაშინვე — ცდა ხელსაყრელი შემთხვევააო და ასე გააკეთა და დააჯერა (?)³³.

შემდეგ, სეფიანთა სახელმწიფოს თავკაცთაგანი ფათ ალი ხანი, ლეკური წარმოშობისა, ჯერ კიდევ ყმაწვილობის დროს მამასთან ერთად დაღისტნიდან ტყვედ წამოყვანილი, შაჰის კარზე (მოიყვანეს და იქ) აღიზარდა. მან აღზრდა-განათლება შაჰის ზედამხედველობით მიიღო. გონიერი, სრულყოფილი და მტკიცე აზროვნების პატრონი, შორსმჭვრეტელი და ქვეყნის კეთილისმდომი³⁴. იმ ხანებში შაჰის ნადირობის უფროსი იყო, ე. ი. ნადირობის აღა იყო; იგი მაღალი რანგის მქონე და შაჰის მიერ ნაცადი და სანდო იყო. ამის გამო იგი ყულარალასის³⁵ თანამდებობაზე დანიშნეს.

³³ არც გიორგისა და არც ქართველების ასეთი დახსიათება იმ დროის არც ერთ ავტორს არა აქვს. გიორგი და მასთან მყოფი ქართველები, საერთოდ სპარსეთში და კერძოდ, ყანდაჰარში ბედის უქელმძროტობით მოხვდნენ. გიორგის არც დროის ტარება და არც ქონება აინტერესებდა. მას ყველაზე უფრო თავის ქვეყნის ბედი აწუხებდა.

³⁴ ამავე დროს საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფათ ალი ხანი ეთემად აღიარეს თანამდებობაზე ყოფნის დროს პირად გამდიდრებაზე უფრო ფიქრობდა, ვიდრე ქვეყნის საქმეებზე.

³⁵ ყულარალასი—შაჰის გვარდიის უფროსი სეფიანთა სპარსეთში.



მოკლე ხანში მან საფეხურებს გადააბიჯა. ყურჯუ ბაში³⁶ ეთემად აღ-დოულეს თანამდებობაზე რომ უნდა დანიშნულიყო, შაჰის სიმ-პათია და სურვილი ფათ ალი ხანისაკენ იყო და ამიტომ იგი ეთე-მად აღ-დოულედ დანიშნა.

რთულ სახელმწიფო საქმეთა გადაწყვეტა და სახელმწიფოს რთულ საქმეთა მართვა-გამგეობა დაეკისრა მის გონებასა და საქ-მიანობას. ფათ ალი ხანი კი შაჰნავაზ გიორგი ხანის დაუძინებელი მტერი და მისთვის ბოროტებისა და სიავის მდომი იყო³⁷.

როდესაც შაჰნავაზ ხანს ბრალი დასდეს იმაში, რომ მას უნ-დოდა აჯანყება მოეწყო შაჰის წინააღმდეგ³⁸, ფათ ალი ხანმა ეს შემთხვევა მეტად ხელსაყრელად ჩათვალა და მის ჩამოგდებასთან ერთად მისი დაღუპვისა და განადგურებისათვის მთელი თავისი ძალდონე გამოიყენა. ასევე, შაჰის მინისტრი, ყიზლარ აღასი³⁹ იმ დროს მინისტრად და ქეთხულად⁴⁰ იყო. ისიც შაჰთან დაახლოე-ბული, სანდო და თანამდებობის თვალსაზრისით გავლენიანი სა-ხელმწიფო თავკაცთაგანი, შაჰნავაზ ხანზე გადამტერებული და მის-დამი ღვარძლით სავსე იყო; მის მოსპობასა და მოკვლაში მკლავწაყა-პიწებული მოქმედებდა.

მირ ვეისი კი რადგანაც წარმოშობით... ავღანელი... აჯანყე-ბისა და არეულობის მოხდენაში ექვემდებარებული იყო და ამ ბრალ-დებით ახლაც საპატიმროს ჯურღმულეებში იყო მკვდვსარე და მოქ-ეითინე⁴¹. მაგრამ უზრუნველი, არამკაფიო (?), უმეტყველო და მეცნიერებაში არასრულყოფილი, მომხდარ ვითარებისადმი უყუ-რადლებო, შემდეგ დაუკავშირდა (?) და თავისთავის გადასარჩე-ნად ნებისმიერი გზები მოძებნა⁴². შაჰნავაზს... ამ საქმის შესასარუ-ლებლად და განასახორციელებლად ჰყავდა თავისი ტომი და ხალ-ხი. (მან) ავღანელი მდიდრების დახმარებითა და შემწეობით 20

³⁶ ყორჯუბაში—ყორჩიბაში, ყორჩიბის ანუ მეომრების უფროსი.

³⁷ იოსებ ქართველი არსად არ ამბობს (ან არ იცის, ან არ უნდა თქვას), თუ რით იყო გამოწვეული შაჰის კარზე მოკალათებულ ანტიქართული ჯგუფის წიშ-რთა ბრძოლა გიორგისა და სხვა გამოჩენილი ქართველების წინააღმდეგ.

³⁸ ვინ დასდო ამაში ბრალი გიორგის? ამაზე რატომ დღეს იოსები?

³⁹ ყიზლარაღასი—ყულარაღასი.

⁴⁰ ქეთხული—ქეთხუდა, მამასახლისი.

⁴¹ ცნობილია, რომ დიდძალი ფულის დახარჯვისა და მდიდარი საჩუქრების დარიგების შედეგად, მირ ვეისი შესანიშნავად გრძნობდა თავს ისტაპანში.

⁴² მირ ვეისი სხვებს კი არ დაუკავშირდა, არამედ გიორგის წინააღმდეგ ყვე-ლა მოქმედების წამომწყები თვითონ იყო.



ათასამდე ძვირფასიანი შალეული...⁴³ და ბევრი ნაღდი ფული...⁴⁴
ხარჯა.

ერთი სიტყვით, მცდელობამ და მზრუნველობამ ეს (საქმე) ასე დაამთავრა. შაჰნავაზ ხანის ჯანყი და მუხანათობა შაჰის გულში ცნობილი იყო⁴⁴ და მას ადგილი ჰქონდა⁴⁵. შაჰი სრულიად ენდობოდა, დაჭერებული და დარწმუნებული იყო იმაში, რომ მირ ვეისი არის შაჰის ერთგული მონა. ხსენებული მირი საპატიმროდან გაათავისუფლა და კეთილმოპყრობითა და მოფერებით მის ნამდვილ სამშობლოში, ყანდაპარში, გაგზავნა. (მირ ვეისისადმი) კარგად მოპყრობისა და მოფერების შესახებ შაჰნავაზის მისამართით ბრძანებები და წერილები გაგზავნეს.

(ამავე დროს) გარდუვალად იყო მიჩნეული შაჰნავაზის მოკვლა და დაღუპვა. ამ საქმის დაჩქარება და შაჰნავაზზე მეთვალყურეობა საიდუმლოდ და მალულად მირ ვეისს მიანდეს. ხსენებული მირიც ყანდაპარში ჩავიდა, შაჰნავაზ ხანს კეთილი მოპყრობის, სრული თავაზიანობისა და მშვიდობის ჩვენებით თვალთმაქცურად, ხალისით მოექცა. დიდი მეგობრობითა და ერთსულოვნებით შეხედნენ (?). ვინც ეს შეხვედრა ნახა, შთამომავლობით შთამომავლობამდე ეს დავიწყებას მისცეს (?).

ეგონათ, რომ ხსენებული მირი თავის ბოროტ განზრახვას და ღვარძლს ფარულად ინახავდა, შეიძლება ითქვას, რომ სულ არ არსებულის დონემდე რომ მალავდა, უცბად მის მხარეზე ხელსაყრელმა ქარმა დაქროლა. ავღანელთა თალალის მთის მწვერვალზე მოსახლე ერთმა ტომმა შაჰისათვის ხარაჯას გადახდაში ჯიუტობა და წინააღმდეგობა გასწია და ყანდაპარის ვალს შაჰნავაზ ხანს საჩივარზე საჩივარი მოუვიდა⁴⁶. მოსალაპარაკებლად ხსენებული მირი მოითხოვეს. მან გაიგო თუ არა ეს ამბავი, ერთგულებისა და გულკეთილობის გამოსაჩენად რისხვა გამოავლინა, მოითხოვა წინააღმდეგობის გამწვევთა დასჯა მათი მთლიანად დახოცვითა და მათი ავლა-დიდების დარბევით და ჩამორთმევით. მაგრამ ეს (დასჯა) უნდა იყოს ჯილდოს ღირსი და სხვათათვის მაგალითის მიმცემი — ასე თქვა მან.

⁴³ იგულისხმება ავღანური შარფები, რომლებიც საჩუქრის სახით დაარიგა მირ ვეისმა.

⁴⁴ შაჰს ეს მირ ვეისმა ჩაუნერგა.

⁴⁵ ასეთ რამეს ადგილი სინამდვილეში არ ჰქონია.

⁴⁶ ამბობენ, რომ ეს წინდაწინ იყო ჩაფიქრებული მირ ვეისის მიერ, მან ათქმევინა ამ ტომს უარი გადასახადის გადახდაზე, რათა ამ გზით მოეშორებინა ყანდაპარის ცხესიმაგრიდან ქართველთა ლაშქარი.



ეს იყო ფარული წაქეზება, რათა ქართველთა ჯარები შესასრულებლად გაეგზავნა, და მონდომებით აამოქმედა (ყველაფერი). საწყალმა ხანმა ვერ გაითვალისწინა, რომ მის გულში მოგროვილ დარდსა და ცდუნებას შესაძლებლობა ექნებოდათ გადმოღვრილიყო შფოთსა და მახის დაგებაში, სიბინძურეში და შაჰისათვის ხარაჯის გადაუხდელობაში დამნაშავე ავლანთა დასასჯელად მასთან მყოფი ქართველთა ჯარი მთებს გაუყენა. არ იცოდა, რომ მან თავი ზრამის მორევში გადააგდო. დადგა უკვე დრო ხსენებული ხანის მიზანდასახულობის შესრულებისა — მასთან მყოფი ჯარის გამგზავრებისა.

ხ ა ნ ი ს ა დ მ ი ხ ა ლ ა ს ი ე რ თ გ უ ლ ე ბ ი ს კ ი დ ე ვ უ ფ რ ო გ ა ნ მ ტ კ ი ც ე ბ ა და გა ძ ლ ი ე რ ე ბ ა .

შეიძლება ხანის საპატივცემლოდ მონანიების გაჩენამ იპოვოს გზა და ამ საპატიო შესაძლებლობიდან დაადგეს დაცვისა და გამაგრების გზას. მან თქვა⁴⁷: ამას წინათ ავლანთა თავკაცთაგან ორი კაცი, რომელნიც მოწმე იყვნენ იმისა, რომ ორი მეომარი აჯანყებაში მონაწილეობდა, მათ მოინანიეს, აღიარეს თავიანთი დანაშაული ხანთან, რომლის ფეხის მტვერნი ისინი იყვნენ; მოვიდნენ ბოდიშის მოსახდელად, ხეწნა-მუდარით ითხოვეს წყალობა და შეწყნარება პატიებისათვის. უკეთუ ისინი ცნობილი იქნებიან ღირსად მათი დანაშაულის მიტევებისა, ჩვენ დავუდგებით მათ მტკიცე მოწმედ და ჩვენს თავზე ავიღებთ თავდებობას, რომ ისინი ზურგმაგარნი და მტკიცე იქნებიან.

ახლა მიზანშეწონილი ის იქნება, რომ ხვალინდელ დღეს ყანდაპარის ციხესიმაგრეიდან საათნახევრის (მგზავრობის) ადგილზე მდებარე თქვენი მონა-მორჩილის მამულში მობრძანდეთ და ჩვენი მწირი სახლი აამალლოთ ბედნიერების მომტანი თქვენი მობრძანებით და ერთი წუთით ჩვენი სტუმარი იყავით. თქვენი ამ მობრძანებით სიკეთე გამიკეთეთ, რათა თქვენი მწირი გამოჩენილი გავხდეთ ჩემს ტოლებში; ხალხსა და ტომში ვიყო აღმატებული ის ორი თქვენი მონა ბეგიც შესანიშნავი საჩუქრებით მოვა, რათა თქვენს ფეხთა მტვერს ემთხვიონ და კეთილი სიტყვებითა და მჭერმეტყველებით ისევ დაიახლოვებენ შაჰნავაზ ხანს. ცდუნებაზე და ფლიდობაზე თქვენ სრულებით არ იფიქროთ, ნადიმისათვის რაც კი საჭიროა, მზად არის.

⁴⁷ ვინ თქვა? ალბათ, მირ ვეისმა.



მეორე დღეს მირის ამაღა და დამსწრე ოფიცრები⁴⁸ მამულში წავიდნენ და ესტუმრნენ. მაშინვე ის ორი მეამბოხე აღ-
ლანელი ბეგი მოვიდა. ხანს ფეხებში ჩაუვარდნენ და ბოდში მოი-
ხადეს. უთავაზეს მას შესანიშნავი საჩუქრები. ერთი მხრიდან ბევ-
რი საყვედურისა, ხოლო მეორე მხრიდან ხვეწნისა და მუდარის
შემდეგ მათ თავიანთი დანაშაული ეპატიათ. მომარაგდა და მომ-
ზადდა ყველაფერი სმა-ჭამისა და ლხინისათვის. უთანხმოების დე-
დაა ქალიშვილი⁴⁹, სუფრის ლამაზმანი; საქმე წარიმართა ისლა-
მური წეს-ჩვეულების უგულებელყოფით და გააჩაღეს ზეიმი. ქარ-
თული წესით დაიწყეს სმა-ჭამა. ერთი სიტყვით, სტუმრის მიმღები
მასპინძელი, ხსენებული მირი, თავის სტუმარს — ხანს, იმ დონემ-
დე გაუმასპინძლდა, რომ ხანი და მისი ხელქვეითები ძალიან დათ-
ვრნენ.

ზაფხულის დღეები იყო⁵⁰, მზეს დიდი მხურვალეობა ჰქონდა,
ამიტომ წითელი ლალის მსგავსი ფერის ღვინის ორთქლმა მათ
ტვინი აურია და სიცხის ძლიერება გარედანაც და შიგნითაც მოე-
დო და ყველას ეცა. მოისურვეს თავრიზი და თბილისი (?). უგონო
ძილი არ იქნება მათთვის საკმარისი იმისათვის, რომ დარდსა
და უბედურებას მათ თავი დააღწიონ. იფიქრეს და ბუნებრივი ძი-
ლით დასვენება მოითხოვეს. ხსენებულმა ხანმა მაშინვე გაიხადა
და თავის კარავში უმალ ძილს მისცა თავი, ხოლო სხვები ავლანელ-
მა ხელქვეითებმა და ოფიცრებმა დიდებითა და პატივით თავთა-
ვიანთ კარვებში მიიწვიეს და ჩამოარიგეს. თითოეული პიროვნება
მთვრალი, უგონო შევიდა კარავში, უშიშრად და უზრუნველად გაა-
ხადა ტანისამოსი და მკვდრისებურ ძილს მიეცა.

მირ ვეისმა კი, რაც გულში ჰქონდა ჩაფიქრებული, იმის შე-
სასრულებლად არაფერი დააკლო. საკმაო რაოდენობის შეიარაღე-
ბული კაცები მოამზადა, ხელსაყრელი შემთხვევა სიმდიდ-
რეაო. იგი მალულობიდან, არარსებობიდან გამოჩნდა და ფარდის
უკანა მხრიდან გამოვიდა. სისწრაფითა და სიჩქარით სისხლის-
მღვრელი ხმლით ხანი და მისი ხელქვეითები თავიდან ბოლომდე
ხმლით აკუწეს. ხანის კარავში სწრაფად შევარდნისას, 7 თუ 8 მსა-
ხური (ხალხს) რომ ხოცავდა, ხსენებულმა ხანმა უგონო ძილიდან

⁴⁸ აქ, ალბათ, გიორგისა და მის 50 თანმხლებ პირზეა ლაპარაკი.
⁴⁹ აქ იგულისხმება მირ ვეისის ქალიშვილი, მაგრამ იგი აქ არ ყოფილა.
⁵⁰ მართალია, ყანდაპარში ყოველთვის ცხელა, მაგრამ საციხის სიზუსტი-
სათვის შევნიშნავთ: ეს ამბავი მოხდა აპრილის თვეში.



ქართული
ენის
სამეცნიერო
ცენტრი

რომ გამოიღვიძა და რომ გაიგო, თუ რა დღე დაადგა, რას ვაძლევდა და ბასრას ომის შემდეგ! უმალ ხანმაც ხმალი აიღო და რვა მოწინააღმდეგე მოკლა, მაგრამ ბოლოს, ისიც მოკლა ავღანელმა.

ლონისძიებანი ყიზილბაშთა ნარჩენების ხელიდან ყანდაპარის ციხის განთავისუფლები-სათვის. როდესაც ხანის ხელქვეითთაგან ერთი კაციც ვერ ეღირსა გადარჩენას, აღარავინ იყო ისეთი, რომელსაც ციხესიმაგრეში დარჩენილ ყიზილბაშთათვის ეცნობებინა ვითარება და მომხდარი ამბავი. ეს მხარე ჯერ კიდევ გაოგნებული იყო და ყველა მათგანის გონებისა და წარმოდგენისათვის მიუწვდომელი იყო ასეთი უცნაური ამბის მოხდენის შესაძლებლობა. ავღანები კი ციხესიმაგრის ცბიერებით დაპყრობაში არ შეყოვნებულან. მირ ვეისმა მაშინვე ტანსაცმელი გამოიცვალა. თავიდან ბოლომდე შაპნავაზ ხანის ტანსაცმელით შეიმოსა. სხვა ავღანელებიც დახოცილი ოფიცრებისა და ხელქვეითების ტანისამოსით შეიმოსნენ. ხანის წესისა და რიგის მიხედვით მწყობრად დაეწყვნენ და სალამო ჟამს ციხესიმაგრისაკენ გაემართნენ. რადგანაც ეს საშინელი საქმე მის სულიერ არსებას ეწინააღმდეგებოდა (?), თუმცა ეს დაფარული...

ყანდაპარის ციხესიმაგრის მიდამოებში ერთი დიდი მდინარე იყო. როგორც ციხესიმაგრე, ისე მის გარეთ მდებარე ქალაქი გაღავენით იყო შემორტყმული და ხსენებული მდინარე მის შუა ადგილას გადიოდა და რადგანაც ნაგებობათ ქალაქში შესვლა და გამოსვლა ადვილი იყო, რამდენიმე დღის წინ ავღანელთაგან ციხესიმაგრესა და ქალაქში უამრავი ვინმე ფარულად და მალულად შევიდა. მათ (დაზვერვითი) დათვალიერების საშუალება მიეცათ.

შემდეგ, ხსენებული მირი ყანდაპარის ხანის წესითა და რიგით და თავისი რაზმით მზის ჩასვლიდან ერთი საათის გასვლის შემდეგ ციხესიმაგრის ახლო მივიდა. ციხის მკველებმა და მეკარეებმა იფიქრეს, რომ მათი ხანი მოვიდა და ისწრაფეს ფარნებითა და მაშხალებით შეხვედრა. ავღანებმა კი შესახვედრად სწრაფად წამოსულები უცბად და ჩქარად დაიჭირეს და მაშინვე დახოცეს. ხმა არ ამოუღიათ, ისე ფარნები და მაშხალები ავღანებს ხელში მისცეს. როდესაც მეციხოვნეები მათი ხანის მოსვლას უცდიდნენ, ციხის კარები მთლიანად ღია იყო და დაუბრკოლებლივ შევიდნენ, ყიზილბაშთა თავკაცებს ხმლები აძგერეს და ამოწყვიტეს. ყანდაპარის ციხე დაიპყრეს. ციხის გარშემო და ქალაქში მაცნეებმა მოუწოდეს (ხალხს) და გააფრთხილეს: იმ ღამეს დილა მდე ყველას სასტიკად აუკრძალეს სახლიდან გამოსვლა.

მეორე დღეს სოფლის რჩეულნი და მოსახლეობა მოვიდნენ.
ვინაიდან ისინიც ავღანელები იყვნენ, მოსვლა, წმინდა ფიცი და
ლაშქრობა მოულოცეს. მათ პირობა და ფიცი დადეს, რომ თავიანთ
თავიანთ შესაძლებლობასა და სიცოცხლეს არ დაიშურებენ და
შესწირავენ ყიზილბაშთა უზურპაციისაგან განთავისუფლებას. მირ
ვეისი მათ ცნეს თავიანთ კეთილისყოფელად, ბედნიერების მომნი-
შებლად და მფარველად. მთლიანად დაემორჩილნენ მას. მისი მარ-
თვა-გამგეობა მიიღეს და მას მიეკედლნენ.

ავღანთა დასასჯელად ფათქანიდან ქარ-
თველთა ჯარი⁵¹, რომელიც იმ ავღანელ ტომთა დასასჯელად მიდი-
ოდა, რომელნიც წინააღმდეგობას უწევდნენ შაჰისათვის ხარაჯის
გადახდას. როდესაც ქალაქს მიუახლოვდნენ, ციხიდან მათ ზარბაზ-
ნები რომ დაუშინეს, მიხვდნენ, თუ რა ვითარება იყო და პირი გა-
საქცევად იბრუნეს, ბრძოლაც გამართეს, გადარჩნენ, გაიქცნენ და
საქართველოში წავიდნენ⁵².

შაჰ ჰუსეინის ყანდაპარისაკენ გამგზავრე-
ბა. ამ დროს შაჰ ჰუსეინი თეირანიდან ადგა და ისფაჰანს გაემგზავ-
რა. მას სურვილი გაეღვიძა, შური ეძია ავღანებზე და განი-
ზრახა ეს საქმე თვითონ წამოეწყო. მოამზადა უამრავი ჯარი და
საომარი მასალა და მეშხედის გზით ყანდაპარისაკენ გაემართა. მი-
ვიდა ქალაქში და მის მიდამოებში კარვები გაშალა. ავღანელებმა
გაიგეს ეს ამბავი და სინანულში ჩავარდნენ. შეეშინდათ, თელლის
მთაში გაიქცნენ, ციხესიმაგრეს თავი შეაფარეს. მირ ვეისმა კი
ციხეში რამდენიმე მცველი დააყენა და მთებს შეაფარა თავი. ღვთის
განგებით, შაჰ ჰუსეინის გული შიშმა მოიცვა. ის რეზა იმამის ნახ-
ვით დაქცაყოფილდა და მეშხედიდან დაბრუნდა. ასეთი ქცევით
შაჰ ჰუსეინმა თავის გულში დიდი სისუსტე გამოამჟღავნა, ხოლო
ავღანთა გული ძლიერ გაამაგრა⁵³.

ხოსროვ ხანის ლაშქრობა ყანდაპარში და
მისი დამარცხება. შაჰნავაზ ხანის ძმის შვილი ქართველ-

⁵¹ სხვა ცნობებით, მესამე დღეს გამოჩნდნენ ქართველები.

⁵² ქართველთა «გაქცევაზე» არავინ არ წერს. პირიქით, წერენ ქართველ-
თა ნაწილების გმირულ ბრძოლებზე. თუმცა, მირ ვეისს ორჯერ და სამჯერ მეტი
ძალები ჰყავდა, მაგრამ მნიშვნელოვანი ზიანი მინც მათ ვერ მიაყენა. მათ ბრძო-
ლით მიადრწიეს ზეზილის უღელტეხილს, ხოლო იქიდან გზა ხსნილი ჰქონდათ სამ-
შობლოსაკენ.

⁵³ ფიქრობენ, რომ შაჰის ეს მგზავრობა ყანდაპარში გიორგის ჩასვლამდე მოხ-
და.



თავან... რაფიზობა მიიღო. მას სახელად ხოსროვ ხანს უწოდებდნენ. სალამქროდ შაჰ ჰუსეინის გამგზავრების დროს იგი ისფაჰანში კაიმაკამად⁵⁴ დაინიშნა. როდესაც შაჰი დაბრუნდა, ყანდაპარში მოკლული ბიძამისის — შაჰნავაზ ხანისათვის შურისძიება ხოსროვ ხანს მიანდო. იგი მთავარსარდლად დანიშნა, 40 ათასიანი ყიზილბაშთა ჯარი გადასცა⁵⁵ და ყანდაპარს გაგზავნა. იგი იქ ჩავიდა და ალყა შემოარტყა. მირ ვეისმა ციხეში დაცვა ჩააყენა. და ჯარის მომზადების მიზნით მთებზე ავიდა. რამდენიმე დღის ალყის შემდეგ თავისი ჯარით მოვიდა და ყანდაპარის გარშემო არ დატოვა სოფელი, ქალაქი, ყანა, საძოვარი და... ყველაფერი ცეცხლს მისცა და ააოხრა. სპარსელთა ჯარი შიმშილმა მოიცვა და გაქცევა დაიწყო.

ცოტა ხანში ჯარის მესამედი დაიფანტა და მხოლოდ მესამედი დარჩა. ამათაც შიმშილსა და (გაჰორვებას) ვერ გაუძლეს. ბოლოს, ხოსროვ ხანი ორასი ქართველი ჯარისკაცით მოედანზე დარჩა. ავღანები მათ დაესხნენ და თავში კომბლები ჩაარტყეს და დახოცეს⁵⁶. ამის შემდეგ, რამდენიც არ მოისურვეს (სპარსელებმა) საქართველოდან ყანდაპარისათვის ჯარის შეგროვება, ქართველებმა უარით უპასუხეს და არ წავიდნენ⁵⁷. შემდეგ მაჰმუდ როსტომ ხანი მთავარსარდლად დაინიშნა და იქითკენ გაიგზავნა. ვერც მან გაბედა, წინააღმდეგობა გაეწია ავღანელებისათვის. ამ ხანებში, როდესაც ჰერათი და მეშხედი ჯერ კიდევ სპარსეთის მფლობელობაში იყო, მან ყურადღება მიაპყრო ამ მხარეების საზღვრების დაცვას⁵⁸.

ნუ იქნება დამალული, რომ შაჰნავაზ ხანი, ხოსროვ ხანი, ჰუსეინ ყული ხანი, ვახტანგ ხანი და მეჰმედ ყული ხანი—ყველა ესენი ქართველთა ტომის მთავრები იყვნენ და ყიზილბაშები გახდნენ⁵⁹, ხოლო მათ წინამორბედ ქართველ მეფეებში ცნობილი თე-

⁵⁴ კაიმაკამი—განმგებლის მოადგილე.

⁵⁵ სხვა ცნობებით, 30 ათასი.

⁵⁶ ქიხოსრო და მასთან მყოფი ორასი ქართველი ისე გმირულად დაიღუპნენ ამ ბრძოლაში, რომ ბევრი ევროპელი ავტორის ქება-დიდებას საგანი გახდნენ.

⁵⁷ რატომ ამბობდნენ ქართველები უარს ყანდაპარში წარსელაზე? ქართველები საკითხს ასე აყენებდნენ: საქმეს ყოველთვის ხელს უშლიდა სპარსელების უმოქმედობა ან ლალატი. ამიტომ ქართველები თანახმა იყვნენ წასულიყვნენ მარტო, სპარსელების გარეშე, მაგრამ ეს სპარსელებს არ აწყობდათ.

⁵⁸ ვინ მიაპყრო ყურადღება? ალბათ, შაჰმა.

⁵⁹ იოსები არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რა ვითარებაში უხდებოდათ ქართველ მთავრებს მაჰმადიანობის მიღება და როგორი მაჰმადიანები იყვნენ ისინი. მოვიტანთ მხოლოდ ერთ მაგალითს. ვახტანგ VI 1712 წელს შაჰ ჰუსეინის

იმურაზ მეფე იყო. მეჰმედ ყული ხანი ერეკლეს შვილთაგანი იყო, ზოლო ვახტანგ ხანი—მისი ქალიშვილისაგან. საქართველოს მფლობელები რებს შორის უთანხმოება რამდენიმე ხანს არ იყო. ის კი არაა დასაძინებულია თბილისის მთავრის ადგილი პირველად შაჰნავაზ ხანს შესთავაზეს, მეჰმედ ყული ხანის მამა — ნაზარ ალი ხანი, შეშინდა და მოსკოვს გაიქცა. შემდეგ შაჰნავაზ ხანი აჯანყების გზას დაადგა და კვლავ რაღაცნაირად ჩამოიყვანა მოსკოვიდან და შესთავაზა მას საქართველო. მას დაეხმარა სპარსელთა ჯარი და შაჰნავაზზე გაიმარჯვა, ის მთებში გაიქცა⁶⁰.

შემდეგში იგი⁶¹ ისფაჰანში მიიწვიეს, აპატიეს თავისი დანაშაული და რამდენიმე ხნის შემდეგ მას შესთავაზეს ჭირმანი და, როგორც ზემოთ ითქვა, ცოტა ხნის შემდეგ სპარსეთის სპარსალარი და ყანდაჰარის ვალი გახდა.

ამის შემდეგ ვახტანგ ხანი ისფაჰანში მიიწვიეს, რაფიზობა მიიღო⁶² და საქართველო შესთავაზეს. მეჰმედ ყული ხანი ისფაჰანში რამდენიმე წელს კაიმაკამი იყო, ზოლო მისი ძმა თეიმურაზი—კახეთის ვალი გახდა. საქართველოში ჯერ კიდევ სასურველი და პატივსაცემი მეჰმედ ყული ხანია. ვახტანგ ხანი მიიწვიეს ისფაჰანისათვის დახმარების გასაწევად⁶³, რაზედაც იგი არ დათანხმდა, მოსკოვის მეფესთან საერთო ენა გამონახა და შაჰს აუჯანყდა; რო-

მიწვევით ისფაჰანში ჩავიდა. შაჰმა გამაჰმადიანება მოსთხოვა. ვახტანგმა უარი თქვა. იგი ჭირმანში გადაასახლეს. 1715 წელს ვახტანგმა კონტაქტი დაამყარა სპარსეთში მყოფ კათოლიკე მისიონერთა მეთაურ ფედელი მილანელთან. ვახტანგი კათოლიკე მისიონერს აცნობებდა, რომ კათოლიკობის მიღება გადაწყვიტა. მაგრამ მოხდა ისე, რომ ვიდრე კათოლიკე მისიონერი მოინახებოდა და იგი ვახტანგთან მივიდოდა, ვახტანგი აიძულეს (ახლობლებმაც ურჩიეს) მაჰმადიანობა მიეღო და წინდაცვეთაც მაშინვე მოხდა. რამდენიმე წლის შემდეგ საქართველოსკენ მომავალი ვახტანგი პოლონელ მისიონერს თადეუშ კრუსინსკის შეხვედრია და საუბრის დროს ვახტანგს მისთვის უთქვამს: „ჩემი სხეული მაცხოვარ ქრისტეს ეკუთვნის, ზოლო მაჰმადს — სხეულის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მუსლიმანური სექტის ნიშანია“.

⁶⁰ აქ ბევრი რამეა ბუნდოვანი, მაგრამ ზოგი რამ მინც გვინდა შევნიშნოთ: აქ ლაბარაკია ერეკლე I-ზე. მაგრამ იგი მოსკოვიდან შაჰნავაზს, ე. ი. გიორგი XI-ს კი არ ჩამოუყვანია, არამედ იგი შაჰს სჭირდებოდა. შაჰმა გამოგზავნა სპარსული ჯარით საქართველოში. გიორგი XI კი „მთებში კი არ გაიქცა“ (ეტყობოდა სიტუცა „გაქცევა“ ძალიან უყვარდა იოსების), არამედ იმერეთში გადავიდა.

⁶¹ ალბათ, გიორგი XI.

⁶² მკითხველს ეგონება, რომ ვახტანგი ისფაჰანში ჩავიდა თუ არა, მაშინვე მიიღო მაჰმადიანობა, როგორც კი შესთავაზეს.

⁶³ ეს უკვე 1722 წელს ხდება.

ცა შაჰ ჰუსეინი დაპატიმრებულ იქნა (?), ვახტანგმა შეასრულა თავისი შაჰის მოთხოვნა და საქართველო მეჰმედ ყული ქანსუღულ-ქანს დაუბრუნა.⁶⁴

მოკლედ, ამ წლებში დაღისტნელი ლეკები აჯანყებას აწყობდნენ, შირვანს დაეუფლნენ. აიღეს და დაიპყრეს ქალაქი შემახი. იმ დროს, ჯერ კიდევ მირ მაჰმუდი თვალსაჩინოდ არ ჩანდა და მოსკოვის მეფესა და შაჰ ჰუსეინს შორის მეგობრობა იყო. ამ მეგობრობის საფუძველზე ხსენებულმა შაჰმა შემახის განთავისუფლები-სა და ლეკების დასასჯელად ხარჯები გასწია და ამის შემდეგ მეფისაგან ორათასიანი ჯარი იმ პირობით ითხოვა, რომ ის მეფეს მისცემდა გარკვეულ თანხას. მეფეც⁶⁵ ვახტანგ ხანისა და შამხალის წაქეზებით თვითონ მივიდა თავისი ჯარით, მოტყუებით, გარეგნულად მეგობრობის პრეტენზიით, დერბენდის ციხე აიღო და შიგ მცველი დააყენა.

რადგანაც მირ მაჰმუდი იმ დროს ისფაჰანს მიაღწევს. რუსეთის მეფემ⁶⁶ ცარიელი სიტყვებით ბევრი ილაპარაკა მეგობრობაზე და ცრუ გულწრფელობით და გარეგნულად ყალბი მეგობრობით რომ დაეჯერებინა, გილანში 2 ათასიანი ჯარი გაგზავნა, რეშთად წოდებულ ქალაქში მივიდნენ. სპარსელთა ტომის დამხმარე ძალა მოვიდაო და გაიხარეს. განიზრახეს ყაზვინსა და ისფაჰანში წასასვლელად ღონისძიებები მიეღოთ. მათვე კიდევ თქვეს, რომ ჩვენ ჯარი ვართ... და ჩვენს შემდეგ ბევრი მოვა ჩვენი ჯარიდანო. ეს მოიმიზეზეს და წასვლაზე უარი თქვეს.

შემდეგ წელს⁶⁷ ოთხი თუ ხუთი ათასიანი მოსკოვის ჯარი მოვიდა... შვიდი ათასი გახდებიანო. ვინაიდან ისფაჰანი უკვე აღებული იყო, როცა თქვეს: ყაზვინის დასაცავად წავიდეთ და სამგზავრო მომზადებას შევეუდგეთო, მათ უპასუხეს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ჩვენი მეფისაგან ამას იქით წასვლის შესახებ მითითება არა გვაქვსო და ამ საბაბით გამოყოფილ ნაპირებზე სანგრები გააკეთეს, გამაგრდნენ და ამ მდგომარეობაში დარჩნენ. გარდა ამისა, გაიგეს, რომ მოსკოვის ჯარი გილანს, მაზანდერანსა და ასტრბადში მივიდა.

⁶⁴ ეტყობა, იოსებს წარმოდგენა არა აქვს საქართველოს ისტორიაზე. ისიც კი არ იცის, რა ხდება საქართველოში, კერძოდ თბილისში 1722—1725 წწ., ამ დროს თვითონ ჯერ ისფაჰანშია, ხოლო შემდეგ კონსტანტინოპოლში.

⁶⁵ ყველგან იგულისხმება რუსეთის მეფე პეტრე I.

⁶⁶ იოსები ყველგან წერს „მოსკოვის მეფე“.

⁶⁷ გაუგებარია, რომელ წელს.

მირ ვეისის გარდაცვალება ყანდაპარში მმართველად მისი ძმის მირ აბდულაჰის ცხადება. ხსენებული მირი ამ ვითარებაში ყანდაპარის ნას რომ განაგებდა და მართავდა, სპარსელებისა და სხვა რეობისაგან ქვეყნის მოსახლეობა მოსვენებასა და მშვიდობაში იყო; აჯალი⁶⁸ მოვიდა და გარდაიცვალა. მირ მაჰმუდი 18 წლის ყმაწვილი იყო, ყანდაპარის ქვეყნის მართვა-გამგეობის მემკვიდრეობითი უფლება რომ ჰქონდა, მაგრამ ბიძა მისმა, მირ აბდულაჰმა, მას სძლია, მაჰმუდი გააგდო და ყანდაპარის მმართველი გახდა.

მირ მაჰმუდის მიერ მირ აბდულაჰის მოკვლა და მმართველად მირ მაჰმუდის გამოცხადება. თავგადასავალი, რომელიც მირ ვეისს სპარსელებთან ჰქონდა, მეტად დიდი იყო. ყანდაპარის ქვეყანამ ყიზილბაშთაგან მკაცრი შემოსევისა და ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის საზღვარსა და ზომას გადასული სიძნელებები განიცადა. მან⁶⁹ ჩიღინა საშიში და დამლუპველი საქმეები და ამის გამო ავღანელი წარჩინებულებისა და ხალხის უმრავლესობის სურვილი და კეთილგანწყობილება მისი შვილის⁷⁰ მირ მაჰმუდისკენ იყო მიმართული. ამ ვითარებამ გამოიწვია ის, რომ აბდულაჰი შიშსა და შფოთში ჩავარდა. თავისი პოზიცია რომ გაემაგრებინა, სპარსეთის შაჰს მიმართა, ისევ მისი გზით გაიარა, შაჰისაგან ჯარი მოითხოვა და დაადგა იმ გზას, რომლითაც ყანდაპარის ქვეყანა კვლავ შაჰის მფლობელობა-პატრონობას დაუბრუნდებოდა.

ამ გასაოცარ ვითარებაზე კილიჩიან-ავღანმა დიდებულებმა იფიქრეს და იმსჯელეს, ეწყინათ ეს და გაჯავრდნენ. სამზადის ღონისძიებათა უარყოფასა და აკრძალვაზე ფიქრი და მღელვარება დაიწყო. შემდეგ მირ მაჰმუდი წააქეხეს და პირობა დადეს, ბიძამისის გაგდებისა და მოშორების საქმეში დახმარებას და შემწყობას აღმოუჩინდნენ და თავს გამოიდებდნენ. ამრიგად, მირ მაჰმუდის გულსა და სულში მეთაურობის სურვილისა და მმართველობისადმი მისწრაფების ალი აინთო და აღიტაცა იგი.

ერთ დღეს უმაღ 200-მდე კაცი შეკრება და ნაშუადღევს, როცა ბიძამისს მშვიდად ეძინა, მოულოდნელად სწრაფად სასახლისა-

⁶⁸ სიკვდილი.

⁶⁹ ვინ მან? აქ ლაპარაკია მირ ვეისზე, მაგრამ ეს სიტყვები და ასეთი მოქმედება არ შეიძლება მას მიეწეროს. ამიტომ, ალბათ, იგულისხმება მირ აბდულაჰი, რომელსაც ბრალს სდებდნენ სურვილში: გამოენახა საერთო ენა სპარსელებთან.

⁷⁰ ვისი შვილის? ცხადია, მირ ვეისის შვილის.

კენ გაემართა, თავს დაესხა და მოკლა. მაშინვე დაფი და ნადარბ დააკრევეინა და მთავრის ადგილას დაჯდა⁷¹. მაშინვე გაგზავნა მძევლები, რომლებმაც ციხის ყველა მხარეს და ქალაქს აცხობენ, თუ რა ბედი ეწვია აბდულაპ ხანს და რომ მირ მაჰმუდმა ყანდაპარის მმართველის ადგილი დაიკავა. მან ავღანელთა ჯარი შეკრიბა და ყანდაპარის ქვეყნის მომიჯნავედ მცხოვრებ და ბულუჯბად წოდებულ ტომთაგანაც გარკვეული რაოდენობის ჯარი აიყვანა; ზემოხსენებულ ქირმანის ქვეყანაში წავიდა, დაარბია და ყანდაპარს დაბრუნდა.

აქა ამბავი იმისა, თუ როგორ დასთხარეს თვალები ეთემად ად-დოულეს. როდესაც... ეთემად ად-დოულეს თანამდებობაზე დაღისტნელი, ლეკური წარმოშობის (პიროვნება) იყო... ლეკებმა შაჰს აჯანყება მოუწყვეს.. მირ ვეისის სპატიმროდან გათავისუფლებისა და ყანდაპარში მისი დაბრუნების საქმეში ხსენებული ფათ ალი ხანის, იმ ხანებში ეთემად ად-დოულეს, მეცადინეობა და მზრუნველობა ცხადი იყო. ამის გამო მასზე მოღალატეობის ეჭვი მიიტანეს და შაჰისა და ზოგიერთი სპარსელი წარჩინებულის გული ეჭვმა შეიპყრო⁷². ფათ ალი ხანი სუნიტი იყო და მომხდარი აჯანყებისა და არეულობის ცეცხლი მას მიაწერეს; ბრალი დასდეს, რომ ეს მის მიერ და მისი მოქმედებით იყო გაღვივებული. ის გადააყენეს, ორივე თვალი დასთხარეს და დაამრმავეს. მის ადგილზე, ეთემად ად-დოულედ ყურუჯიბაშის თანამდებობაზე მყოფი, სპარსელი წარმოშობის მეჰმედ ყული ხანი დანიშნეს.

შაჰ ჰუსეინის თეირანიდან ისფაჰანს გამგზავრება და ცისარტყელას გამოჩენა. სპარსელთა ქვეყნის ვარსკვლავმრიცხველნი თავიანთი წინასწარმეტყველების საფუძველზე ზოგჯერ ფარულად, ზოგჯერ აშკარად ისევ ვერ იკავებდნენ თავს ცნობებზე სეფიანთა სახელმწიფოს დაცემაზე და, განსაკუთრებით, ქალაქ ისფაჰანზე ბოროტგანმზრახველთა მომავალ თავდასხმაზე.

მათ გასულ წლებში შექმნილ ვარსკვლავთა ახლომყოფობით ახსნილ-განმარტებული ეს ვითარება საფუძვლად დაუდეს თავი-

⁷¹ ეს ამბები სხვადასხვა ავტორებს სხვადასხვანაირად აქვთ აღწერილი.

⁷² იოსები არაფერს ამბობს შაჰის სასახლის კარზე არსებულ ინტრიგებზე, რომელთა მთავარი შემოქმედნი საჭურისები იყვნენ. ასეთი ერთ-ერთი ინტრიგის მსხვერპლი გახდა ეთემად ად-დოულე ფათ ალი ხანი, მაგრამ მას საკუთარიც ბევრი ცოდვა ჰქონდა.

ანთ პრეტენზიას. (მან) თავის სულიერ შიშსა და მღელვარებას სძლია. ის კი არა, შაჰ ჰუსეინის თეირანიდან ისფაჰანში დაბრუნებისას ერთ დღეს შემთხვევით ამინდში დიდი ცვლილებები გამოჩნდა ერთი ცეცხლისებური ღრუბელი, შაჰ ჰუსეინი თავიდან ფეხებამდე დაფარა და იმგვარად მოეხვია, რომ ჩანდა მხოლოდ მიწიდან არეკლილი ცეცხლის ენები და რამდენიმე ფეხი იმ ცხენისა, რომელზედაც ის იჯდა. ამ მდგომარეობას ცხადად უყურებდა ყველა ადამიანი და მის საოცრებასა და ფიქრში ჩაიძირა... ქალაქ ისფაჰანში, შეიძლება მთლიანად ირანის⁷³ ქვეყნებში ლაპარაკი (ჟორი) იყო. შაჰის ისფაჰანში გამგზავრებაში რალაც ნიშნები დაინახეს და რალაც მიიჩნივნეს. ხალხის უმრავლესობა ასე მსჯელობდა, რომ ისფაჰანს მოიცავენ ზეციერი უბედურებანი. ზოგიერთი მათგანი ამბობდა, რომ თავრიზის მსგავსად მას მიწისძვრა გაანადგურებსო, ზოგი კი — ჭირი გაჩნდებაო; ზოგიერთი ამბობდა, რომ ციდან ცეცხლის წვიმა წამოვაო, სხვები—ჯანყი და ხოცვა-ჟლეტა იქნებაო და საშინელ შიშს განიცდიდნენ, ლოცვას ასრულებდნენ, მარხვას ინახავდნენ. სულ სალოცავზე გადავიდნენ. მათ გვიან გაიგეს ჭეშმარიტება...⁷⁴.

მ ი რ მ ა ჰ მ უ დ ი ს გ ა მ გ ზ ა ვ რ ე ბ ა ის ფ ა ჰ ა ნ ის ა კ ე ნ .
შაჰი დაბრუნების შემდეგ დაახლოებით 9 თვე ისფაჰანში გაჩერდა. უკვე ყველას ეგონა, რომ ამ გარდუვალმა უბედურებამ გადაიარა. მირ მაჰმუდი კვლავ რომ ქირმანში მივიდა, არავის არ უფიქრია და მღელვარება არ უგრძენია მისი ქირმანიდან ისფაჰანში ჩასვლის განზრახულობის შესაძლებლობაზე. ასეთი ვითარება რომ იყო და მთელი ქვეყანა ასეთ დაუღვერობაში იმყოფებოდა, უეცრად მირ მაჰმუდმა ქირმანი კვლავ გაავერანა. მოვიდა ამბავი, რომ მან განიზრახა ისფაჰანისაკენ წასვლა. თათბირები მოეწყო და ბევრი ჭორი გამოვიდა. ზოგიერთმა გონიერმა და სახელმწიფოსადმი კეთილად განწყობილმა სინდისიერმა უზენაესი სახელმწიფოსაკენ⁷⁵ უსტარი გაგზავნა. ამბობდნენ: ამ ამბების შესახებ სახელმწიფოსათვის მოკლე ცნობები რამდენი სარგებლობის შემცველიაო და, იმავე დროს (ეს ღონისძიება) იყო დახმარების გაწევის გზაზე...

შაჰ ჰუსეინი თავისი არსებით თავმდაბალი თვისებისა და სინ-

⁷³ იოსები სპარსეთისა და ირანის აღსანიშნავად იშვიათად ხმარობს „ირანს“. უმეტეს შემთხვევაში იგი ამბობს „აქემს“.

⁷⁴ აქ მოტანილია არაბული ანდაზა, მაგრამ შინაარსი გაუგებარია.

⁷⁵ იგულისხმება თურქეთის სახელმწიფო.



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ



اصغرها در آن کان یوزر قونام گشت سوزاسته صفی ندر گشت
ایده بیدست هر قوم و در زای العین شام بوده و بنیدانی
و قونست قنیل ایرو بیدست هم و اهلان حاصل ایرو کی سوزا
شستند

یوزر قونری بیلگستی اناصل او یوزیب زمان عبودت و قنیل
و کتاب بیز و عوفت هر خط سید و گشت سوزا
ایرو بیدست افرنج ایرو اشکات حاصل ایرو کرده و گنید
سیندر بید سوزا و گشت سوزا سوزا و گنید
و ایرو عالی ترمانی او لای بیانی بید سوزا و گنید
سوزی سوزا و گنید و افلاق و بیدانی سوزا و گنید
اول سوزا و گنید او لای بید سوزا و گنید
سوزا و اول سوزا و گنید و سوزا و گنید
سوزا و گنید و سوزا و گنید
سوزا و گنید و سوزا و گنید
سوزا و گنید و سوزا و گنید
سوزا و گنید و سوزا و گنید
سوزا و گنید و سوزا و گنید



დისიერი იყო, აქეთკენ ჰქონდა სურვილი და კეთილგანწყობილება. მაგრამ შფოთის ხალხმა და მოწინააღმდეგეებმა ეს უკონსილდო უარყვეს და სავსებით არა გონივრულად მიიჩნიეს. ამითო, ამბობდნენ ისინი, ჩვენ ხელს შევეუწყობთ ოსმალთა მაღალი სახელმწიფოს წინაშე სისუსტის გამოომეღვანებას. ეს აზრი და ფიქრი ძალიან ბოროტი საქმეაო, თქვეს და დამალეს და შაჰ ჰუსეინმა კვლავ განიზრახა ისფაჰანიდან ყაზვინისაკენ გამგზავრება. ეს ქორები... სახელმწიფოს უღირსმა მფლანგველმა შვილებმა... და ჩვენი შაჰი დესპოტისაგან გამოიქცაო — ათქმევინეს. ეს ნაკლია სეფიანთა სახელმწიფოს სახელისა და დიდებულებისაო, თქვეს და ბევრი იდავეს და შაჰს უარი ათქმევინეს ამ გამგზავრებაზე, რადგანაც ეს უმნიშვნელო საქმედ ჩათვალეს.

მირ მაჰმუდმა კი ამას წინათ ქირმანის დარბევის შემდეგ რამდენიმე ხანს ყანდაჰარში დაისვენა, ჯარის შეკრებას შეუდგა და ბელუჯთა ხალხიდან ორი ათასი კაცი გამოიყვანა და 16 ათასიან ავღანელებს დაუმატა. მთლიანად 18 ათასიანი ჯარი შექმნა, უწინდებურად სეისტანის ველით გამგზავრა ქირმანის ქვეყანაში. ქირმანის ციხე შეკეთებული იყო, გამაგრებული დახვდა. სამ თვეს ალყა შემოარტყა და ქალაქიც დაარბია. ბოლოს ციხე როგორც წესი და რიგი იყო დატოვა და უკან დასაბრუნებლად ასი ქისა ფულით დაზავდა.

ქირმანიდან ისფაჰანისაკენ გაემართა და გამგზავრა. ყანდაჰარიდან ისფაჰანამდე ქირმანის გზით 70 გადასარბენის მანძილია და რადგანაც მისი ათი გადასარბენი უდაბნოსაგან შედგება, მას შეეშინდა ამ უდაბნოს სიძნელეებისა და იქ გაწვალეებისა, ერთ სულთანთან ერთად 2 ათასი კაცი უდაბნოდან დააბრუნა, 2 ათასი კიდევ უდაბნოში დაუძღურებულნი და ქირმანის ლაშქრობაში დაიღუპა, სულ მთლიანად 14 ათასიანი ჯარით... ქალაქებს გადაუარეს და ერთ დღეს ისფაჰანში ხმა გავრცელდა, რომ მოულოდნელად მათ ისფაჰანის ვილაიეთს მიიღწიეს. როცა ამას წინათ გონიერ ადამიანთა ჭკუით იმოქმედეს, სიფრთხილეს ვერ მიიღწიეს. საქმე იქამდე მივიდა, რომ არც გაქცევა გიშველის, არც თავის ასარიდებელი ადგილია და არც დახმარებაა რეალური.

შემდეგ აუცილებელი შეიქმნა დაეწყოთ შეძლებისდაგვარად ჯარის შეკრება და მომზადება სამხედრო საქურველისა და ხოცვა-

⁷⁶ მეტისმეტი მაღალი შეფასებაა ამ უნიჭო, ეჭვებს აყოლილი, უსაქმური, პარამხანით გართული შაჰისათვის.



ქლეთის იარაღისა. ისფაჰანის ვილაიეთი კეთილნაშენი თილმოწყობილი იყო და მასში ათასორასზე მეტი სოფელი ჰამადანსა და მათ შორის 12 გადასარბენი მანძილი იყო. აქედან 6 გადასარბენზე მდებარე ადგილები ჰამადანის მიდამოებში შედიოდა, დანარჩენი ისფაჰანისა იყო. ყოველმხრივ კეთილნაშენი იყო. მებრძოლთა და მსროლელთა ქვეითი ჯარის შესაკრებად საჩქაროდ გამოვიდა მტკიცე ბრძანებები. სოფლებიდან 18 ათასი მამაც მსროლელთა ჯარი მომზადდა. იმ მიდამოებში მოსახლე ხანებიც და ბეგებიც მოვიდნენ სასწრაფოდ, ზოგი თავისი ჯარით, ზოგი... ჯარით; ზოგიერთი 5—5, 10—10 კაცით სასწრაფოდ ისფაჰანში ჩამოვიდნენ.

მირ მაჰმუდიც შესძლებისდაგვარად სწრაფად მოქმედებდა და ისფაჰანიდან 4 გადასარბენს იქით მდებარე ვარზანსად წოდებულ დაბას მიადგინა. ამ ადგილას ყოფნის დროს მირ მაჰმუდს ისფაჰანიდან გამოუგზავნეს მაცნე და შემოუთვალეს: ისფაჰანის ვილაიეთში ნუ შემოხვალა და შაჰის მიერ გამოგზავნილი ექვსასი ქისა ფული მიართვეს. მაგრამ ხსენებული მირი არავითარი თავაზიანობით არ შეხვდა ამას, მაცნე გააგდო, იჩქარა და 1134 წლის⁷⁷ პირველ ჯუმადას თვის მერვე შაბათ დღეს⁷⁸ ქალაქ ისფაჰანიდან 4 საათის მანძილზე მდებარე გულნაბადად წოდებულ სოფელში მივიდა. მან გაიგო, რომ ისფაჰანიდან ჯარი გამოვიდა ლეგიონებად და ტალღა-ტალღებად, შეჩერდა და ხსენებულ ადგილას განლაგდა.

ისფაჰანში შეკრებილი ყიზილბაშთა ჯარის რაოდენობა და სახელოვანი სარდლები. ჯარის შეკრებას ისფაჰანში დიდი მეცადინეობითა და მზუნველობით მოეციდნენ. გარშემო მდებარე სოფლებიდან მომზადდა თერამეტი ათასი მსროლელთა ქვეითი ჯარი. მიწისმუშა გლეხთაგან და მტვირთავი მუშებისაგან წერაქვითა და ნიჩბით შეიარაღებული 4 ათასი კაცი მოგროვდა. გამოიტანეს ათი ცალი ბალიემეზისა და 14 ცალი შაჰური ზარბაზანი, ასი საპალნე თოფისწამალი და უამრავი ტყვია. მათთან ერთად (იყო) აგრეთვე ფრანგი დახელოვნებული არტილერისტი. ერთი სიტყვით, შაჰ პუსეინი ქალაქში დარჩა. სახელმწიფოს თავკაცებიდან: ეთემად აღ-დოულუე მეჰმედ ყული ხანი, ალი... ყურუჯუ ბაში შეიხ ალი ხანი, ყულარაღასი ვახტანგ ხანის ძმა

⁷⁷ ამ გვერდის მარჯვენა ველზე მაწერილია: პიჯრით 1134 წელ ი—ქრისტესით 1722 წელი.

⁷⁸ პირველი ჯუმადას თვის მერვე შაბათ დღეს—1722 წლის 7 მარტს.



მეკმედ რუსტემ ხანი, მსროლელოთა ალა ლუტფ ალი ხანი, ალათა ბაში ჰუსეინ ყული ხანი, არაბეთიდან ხოიზას აბდულაჰ ხანი, ჰამადანის ხანი კადრულაჰ ხანი, კუჯკილოს, ე. ი. ფარსის ვალი ალი რიზა ხანი, სეისტანის ხანი ყასიმ ხანი, თოფჩუ-ბაში მეკმედ ხანი და სხვა გადამდგარი ხანები და ბეგები, 12 ავად-სახსენებელი სარდარი იყო. სულ 52 ათასი ყიზილბაშთა უბედური ჯარით, განდიდებასა და სიღიადესი მსოფლიოს ნახევარში გაუთ-ქვამს სახელი (?) მალალსახელოვანი. (ეს ჯარი) ისფაჰანიდან ქა-ლაქგარეთ გავიდა და მირ მაჰმუდის წინააღმდეგ გაემართა. ეს მი-რი ჰიანჯველა რომ ეგონათ, გველი ჰპოვეს. შაბათ დღეს გავიდ-ნენ, უმაღ კვირა დღეს საქმის ცოდნით გამართეს კორიანტელივით დიდი ომი.

ყიზილბაშთა საპირისპიროდ მირ მაჰმუდის მიერ ჯარის დაწყობა და რეგულირება. მირ მაჰ-მუდმა რომ შეხედა და დააკვირდა სპარსელთა ჯარის სიმრავლეს და სიუხვეს, სიღიადესა და ძლიერებას, საუცხოობას და შთამა-გონებლობას, ძალაუნებურად მისი სული შიშმა და ძრწოლამ მო-იცვა და მის არსებას გაქცევის სურვილი დაეუფლა. მან თავისი ჯა-რიდან შეარჩია ათასი მარდი მხედარი იმ განზრახვით, რომ გზას გასდგომოდა. ეს მაშინვე გაიგო მისმა დიდმა სარდარმა ამანულაჰ სულთანმა, სწრაფად მივიდა მასთან, საფუძვლიანი გონებამახვი-ლური (სიტყვებით) გადაუშალა გული და მას რჩევა-დარიგება მისცა. მიმართა მას და უთხრა: ჩემო მირო, რა არის მიზეზი და რამ გამოიწვია შენს გონებაში შიში და შფოთი, ფიქრი, მღელვა-რება და ცუდი აზრები? სიმრავლე ყიზილბაშების, რომელსაც შენ ხედავ, ჩვენი აზრით, ეს არის იღუმალი სიკეთე და ღვთის მიერ მონიჭებული მადლი, წყალობა და კეთილი გზა, ვინაიდან ჯარი, რომელსაც ჩვენ ვხედავთ, მთლიანად ხელოსნების, გლეხებისა და მომსახურე პერსონალთა ნარევია და მათი (მხრიდან) წარმოუდგე-ნელია სიმტკიცე და სიმძლავრე, საქმისადმი მიზანშეწონილი მოთ-მინებითი მიდგომა... ის კი არა, შეიძლება მათში მრავალრიცხო-ვანობის სიჭარბე საგანგაშო და უკუქმედების გამომწვევი იყოს. და ჩვენი აზრით, ეს არის გზა სიადვილისაკენ მეორედ მოსვლამ-დე. გარდა ამისა, ეს სიამაყის საბაზია, ამ უფსკრულიდან გადარ-ჩენისა და ამ უბედურების მორევიდან მშვიდობისა და ხსნის იმ დონემდე სასიხარულო და სასიამოვნო საშუალებათა გზაა, რო-მელზედაც გავლა გველ-ქვეწარმავალთათვის შეუძლებელია. სრუ-ლი ხსნა, მშვიდობა და ბედნიერება, სააქაო და საიქიო ამისათვის



არის განკუთვნილი, რომ საღვთო და სარწმუნოებისათვის მრძელ
 ლით სხეული გაიჯანსაღონ, გახდნენ ღირსი სარწმუნოებების
 წამების ბედნიერებისა ანდა მეღვრობით, სიმტკიცით და ბეჯითო-
 ბით მივალწით შეწყალებას და გავხდეთ ღირსი გამჩენი ღმერთის
 დაქმარებისაო, თქვა...

როდესაც (მან) ღვთის ნებით მომეტებულად მქერმეტყველი,
 ბედნიერებასთან ახლომდგომი, ისლამური კანონის მიხედვით დამ-
 რიგებლური ეს სიტყვა წარმოთქვა, ხსენებულმა მირმა დაძაბული
 მოსმენით და გამჭრიახობით ეს ადვილად მისაღები დარიგება ტაქ-
 ტიანად შეიგნო და გაქცევის განზრახვა გამაგრებითა და სიმტკი-
 ცით შეცვალა. შიში და მღვლეობა თავის გულში გააქრო და გამ-
 ბედაობად შეცვალა. ის მაშინვე დიდი ძალღონით სულითა და
 გულით შეუდგა მზადებას წინააღმდეგობის გასაწევად და ამ ქნელ
 საქმეს მთელი თავისი ძალღონე მოახმარა. შემდეგ, საქმის კარგი
 ცოდნით ჯარი (საბრძოლველად) განაწყობ და შეუდგა ჯარის რიგე-
 ბად და გუნდებად დაწყობას. მან თავისი ჯარი სამ ლეგიონად ჩა-
 მოაყალიბა: მარჯვენა ფლანგი, მარცხენა ფლანგი და ცენტრი, ასე
 დაპყო და დაანაწილა. თავის პირველ სარდარს ამანულაჰ სულ-
 თანს ხუთიათას კაციანი მარჯვენა ფლანგი ჩააბარა. სეისტანელ წარ-
 მოშობის ცალთვალა ნასრულაჰ სულთანს სამი ათას კაციანი მარ-
 ცხენა ფლანგი გადასცა. ამრიგად, მარჯვენა და მარცხენა ფლანგე-
 ბად დაწყობის წესი მიიღო. დანარჩენი ექვსი ათასი ჯარით ხსენე-
 ბულბ მირი ცენტრში დადგა.

ყ ი ზ ი ლ ბ ა შ თ ა ჯ ა რ ი ს გ ა ნ ლ ა გ ე ბ ა. რამდენადაც ყო-
 ზილბაშთა ჯარი ხელოსნებისაგან (შედგებოდა) და ნარევი იყო,
 რამდენადაც არ უნდა ცდილიყვნენ, შემადგენლობა კეთილი თვი-
 სებების მქონე ყოფილიყო, მათი წყობის დონე უწყესო და არეუ-
 ლი იყო. 12 სარდარის აზრსა და ღონისძიებებში თანხმობა და ში-
 ნაგანი ერთიანობა არ იყო. ასეთი ვითარება რომ ჰქონოდათ, მაინც
 შეძლებისდაგვარად (ჯარის) რიგებად დაწყობას შეუდგნენ და ლე-
 გიონების მოწესრიგება დაიწყეს. სამი ფლანგი შეიქმნა. მარჯვენა
 ფლანგი ეთემად ად-დოულემ, ლორისტანის ხანმა, ჰამადანის ხანმა
 და ემოქალას ბაშმა აირჩიეს; მარცხენა ფლანგზე დადგნენ ყულა-
 რალასი და ხუნიზა ხანი. ცენტრში დადგნენ ყორუჯი ბაში, თუფენ-
 ქჩი ალასი და თოფჩუბაში.

ბრძოლის დაწყებამდე მოისურვეს თათბირის მოწყობა. ეთე-
 მად ად-დოულემ და მისმა მომხრეებმა (გადაწყვიტეს), მირ მაჰ-
 მუდს ნუ დაეცხმითო. მაშინვე სანგრები დაიკავეს, ზარბაზნები



დააწყვეს ისე, როგორც სურდათ. ყველა მსროლელი სანჯიყეში
ჩაივლიდა, მხედრები ორ ფლანგად დაეწყვენ და თქვეს: ^{სანჯიყეში} ^{სანჯიყეში}
მოვემზალოთ და ვუთვალთვალოთ, ზოცვის საქმეში დიდი გამჭრია-
ხობა გამოვიჩინოთო, რადგანაც ჩვენი ჯარი ნარევი და სხვადა-
სხვა ჯიშის არისო, უყურადღებობა ჩვენს ქვეყანას ბოლოს მოუ-
ღებსო. ჩვენი ქვეყნის მომავალი ბედი ამ ლაშქრობაზე და მოკი-
დებული და ბედნიერებაც დაკავშირებულია დღევანდელ საქმეზე
და დიდი მონდომება გამოვიჩინოთო. შეტევებიდან ყიზილბაშთა
ლაშქარი... ერთი ჯარისკაცი მირ მაჰმუდი და სახელოვანი... სამა-
გიერო.

მაგრამ ყულარალასი და ზავიზეს ვალი, ერთი მათგანი ბეგი,
ნამდვილი არაბი და მეორე ქართველი. ორივე სწორაზროვნებას
მოკლებული მტკიცე შეხედულების არ მქონენი; სიმატლესთან
ახლო რომ იყო, ისეთ ღონისძიებას ანგარიში არ გაუწიეს და მა-
შინ, როცა... მათ განკარგულებაში მზად იყო ამდენი სპარსელი
უნარიანი ჭაბუკი, ასეთი მრავალი ჯარი, უამრავი სამხედრო სა-
ქურველი, სრულყოფილი და საქმიანი სარდრები, თავი შეაფარეს
სანჯიყებს ისეთი ხალხისა და ტომის საწინააღმდეგოდ, რომლებიც
სრული, ქანცმოღვეულები იყვნენ მცირერიცხოვანობის გამო, სა-
შინელ გზებზე დაუძღვრებისა და მძლავრი ლაშქრობის გამო. ეს
წინგენებელია სეფიანთა დინასტიის პატოხნებისა და ნამუსის სინაყ-
ლებისათვის—თქვეს და ყულარალასი მარჯვენა ფლანგიდან მაშინვე
მირ მაჰმუდის მარცხენა ფლანგისაკენ გაემართა და თავდასხმა
დააჩქარა⁷⁹.

ქლიერი და მხურვალე ბრძოლა დაიწყო, ნასრულაჰ სულთანი
დამარცხდა, მის ფლანგს უბედურება ეწია. ბრძოლა-ბრძოლით
თვით ბანაკამდე მივიდნენ და სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს. არაბთა

⁷⁹ როსტომი შეტევას მომხრე იყო. იგი დაუყოვნებლივ მოქმედებას მოითხოვდა. მან განაცხადა: „ახლა იმის დრო არ არის, რომ ვიღოთ. საჭიროა ვიოოთ. სირ-
ცხვილი იქნება, მარცხელთა და მემამოხეთა ბანდების წინაშე უკან დახევა ის-
ეთი უზარმაზარი არმიით, რომელთა რიგებში იმპერიის რჩეულთა წარმომადგენ-
ლებია“ (იხ. ი. ტაბატაბაი, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა —
XVIII ს. I მეთხუთედი, გვ. 335).

როსტომის მიერ საკოხის ასე დაყენება სრულიად ნორმალური იყო. ჯარები
საბრძოლველად განეწყვენ და ამის შემდეგ ლოდინი ხელსაყრელი იქნებოდა
მოწინააღმდეგისათვის. როსტომი და მისი ნაწილები გმირულად იბრძოდნენ. შე-
დეგებიც შესანიშნავი აქონდათ და, როგორც მთელი რიგი უცხოელი ავტორი
(პროფ. დ. მ. ლენვა და სხვ.) მოუთითებს, როსტომისათვის მხარი რომ დაეჭირათ,
საქმე სულ სხვა გზით წავიდოდა.

ჯარი ძალიან გაიტაცა ნადავლმა. მათი ვალი ხევიზეს ხანთან ერთად ყულარალასის მარჯვენა მხარეზე დადიოდა⁸⁰. დაიწყეს ავლანელთა ჯარის დარბევა.

მირ მაჰმუდს შეატყობინეს, რომ მისი ჯარი დარბეულ-დაწოკებულია. ის ყურადღებით არ მოეკიდა ამას და თქვა: თუ ჩვენ მოგვიწევს დარბევა, მაშინ ჩვენი და ჩვენი ქონების მფლობელები ისინი გახდებიან; თუ მალალი ღმერთის შემწეობით გამარჯვების ქარი ჩვენს მხარეზე დაიჭროლებს და გავიმარჯვებთ, მაშინ მათი ხალხი და ქონება ჩვენ დაგვრჩება და ჩვენ მათ დავებატრონებითო — თქვა და თითოეულ კაცს სასტიკი გაფრთხილება მისცა, ყოფილიყვნენ თავიანთ ადგილებზე, საჭირო სამსახურის შესრულებაში მტკიცედ და სათანადო თავდადება გამოეჩინათ.

სპარსელთა ჯარი კი, როცა დაინახა, რომ მირ მაჰმუდის ჯარი მარცხენა ფლანგზე დამარცხდა, მაშინვე გაეშურა (მოწინააღმდეგის) მარჯვენა ფლანგისკენ. ასევე ეთემად აღ-დოულე ამანულაჰის ფლანგს თავს დაესხა და ძლიერი ხოცვა-ყლეტა შეიქმნა. ამანულაჰ ხანის ფლანგი უბედურებას წააწყდა და უკან დახევა იწყო. სპარსეთის ჯარის (სარდარმა) ვერ გაიგო და ვერ შეიცნო მომხდარი ეშმაკობა. მას ეგონა, რომ ავღანელები ნამდვილად დამარცხდნენ და გადამეტებით დარტყმა და თავდასხმა დაიჩემი. ვერ მიხვდა, რომ ტყეში ვეფხვი არის... სპარსულ ენაზე ზამბურაკად წოდებული კვლუმბურნას ფორმაზე გაკეთებული და აქლემებზე გადაკიდებული... ჩამუხლულნი, რათა ყველა მიმართულებით შესაძლებელი ყოფილიყო მართვა. დაუმატეს... და სულ მთლიანად საფლანკით გაივსო. ასი ცალი ზარბაზანი მზად იყო. ერთი ფითილიდან სპარსელებს მოულოდნელად ცეცხლი დაუშინეს. ავღანელებს ზარბაზანი რომ ჰქონდათ, ვერავინ ვერ მოიფიქრა და ვერ გაიზარა... ამ ეშმაკობისადმი უყურადღებო და ამის უცოდინარი სპარსელთა ჯარიდან ბევრი მიწაზე დაეცა, გაოცდა და გაოცებულმა მაშინვე იქ გაჩერება გაქცევით შეცვალა... ქალაქისკენ გაემართნენ.

ამანულაჰი კი თავისი ჯარით მაშინვე მიბრუნდა, ჩქარა და სწრაფად თავს დაესხა სპარსელებს, სპარსელთა ზარბაზნები და არსენალი ზელთ იგდო და დაეუფლა. ზარბაზნებთან მყოფი ორი ათასი ჯარისკაცით თოფჩიბაში ხმლით აკუწა. ზარბაზნები მაშინვე

⁸⁰ არაბეთის ვალი ზედავდა როსტომის მძიმე მდგომარეობას, მაგრამ იგი ავღანელთა ქონების მიტაცებით იყო დაკავებული და შემდეგ ქალაქისკენ წავიდა.



შუაში ყოფილი და თუფენქჩი აღას ფლანგებისათვის ზარბაზნები გაიტაცა.

მირ მაჰმუდი კი თავის ფლანგთან ცენტრში მაშინვე გამაგრდა, სათანადო სიმტკიცით ფეხი მოიკიდა და მტრის მოძრაობას უყურებდა: მარჯვენა და მარცხენა მცველებისათვის საჭირო დახმარების საქმეს არავითარ ძალღონეს არ აკლებდა. როცა ამანულაჰმა დაინახა თავისი ფლანგიდან სპარსელთა დამარცხება, ზარბაზნების ხელში ჩაგდება, ცენტრში ყურუჯი ბაშის დამარცხებაც და ის რომ გაქცევას აპირებდა, აგრეთვე ისიც, რომ... ნასრულაჰის ფლანგი უძღურებამ მოიცვა და ყულარალასის დამარცხება (?). ყულარალასი ჯერ კიდევ ნასრულაჰის ფლანგს ჩასცივებოდა და ჩასტიდებოდა, ხსენებული მირი, ცენტრში მყოფი, მაშინვე იმ მხარისაკენ გაემართა და სპარსეთის (ჯარებისკენ) გზა გადაუჭრა, ის ფლანგი ყულარალასთან ერთად მთლიანად წინ გაიგდო და ხმლით აკუწა. (ავღანელთა მიერ სპარსელთა) ჯარის დარბევა არაბეთის ვალმა რომ დაინახა, მიტაცებული ქონებით გაიქცა.

18 ათასი გლეხისაგან შემდგარი მსროლელთა ჯარი, სპარსელთა ჯარის თავში რომ იყო, ბრძოლას ყურადღებით არ მოეკიდა და გაიქცა. გარედან მოსული ხანები ისფაჰანში არ შევიდნენ იმ საბაბით, რომ ქალაქის დასახმარებლად ჯარის მომზადებაა საჭიროო, თავიანთ ქვეყნებში წავიდნენ. ვინც ხმაღს გადაუტრია, ის ქალაქელი ქალაქში გაიქცა და იქ თავი შეაფარა. სპარსელთა ჯარიდან ექვს ათასზე მეტი კაცი დაიხოცა, ავღანელთაგან ნასრულაჰის ფლანგზე ხუთასი კაცი მოკვდა.

ქალაქ ისფაჰანმა ამ ღამეს ნახა ისეთი ამბავი, რომელიც მას ადამის დროიდან არ უნახავს და სამგლოვიაროდ გამოეწყო. ზოგი გაიქცა, ზოგი ტიროდა და ზოგი კი გაოგნებული იყო. მოუტრეხელი დარდით შეპყრობილმა შაჰ ჰუსეინმა გაქცევა განიზრახა და ამ გარდუვალი მარცხის თავიდან აცილების გზით წავიდა. ხალხს ისევ აუკრძალა და თანხმობა არ მისცა.. ავღანელებმა კი სპარსელთა დარტყმას თავი აარიდეს და ქალაქში ერთი კაციც არ შევიდა.

შეჯახების შემდგომი ამბავი. ბრძოლის ველზე შეხვედრის შემდეგ ხსენებულმა მირმა სამი დღე დაისვენა. ამ შემთხვევით სპარსელებმაც სული მოითქვეს. რამდენიმე შუალედი იყო და ქალაქის შესამაგრებლად ღონისძიება მიიღეს. თვით ქალაქი ისფაჰანი მიწის ციხესიმაგრითა და თხრილით იყო შემორტყმული, აგრეთვე ყველა მისი გარეუბანიც ქალაქივით იყო თხრილებით შემორტყმული და ყველა დიდ გამაგრებულ კედელს წარ-



მოადგენდა. შემდეგ თხრილებსა და სანგრებში გამაგრდნენ. ვინა-
 დან ქალაქ ისფაჰანში 106-მდე ქვემეხი და უდიდესი არსენალი
 ქალაქის გარშემო ქვემეხები გაიტანეს და დააწყეს.

მეორე დღეს შეპრითანად წოდებულ დარდ დემთს ავღანე-
 ლები დაესხნენ და იერიში მიიტანეს. ქვემეხებით უპასუხეს და,
 70 (ავღანელი) რომ დაიხოცა, უკუიქცნენ, გამარჯვებას ვერ მიაღ-
 წიეს.

ქალაქ ჯულფის ამბავი. ქალაქი ჯულფა ისფაჰანთან
 ახლოა და მისი მომიჯნავეა. (მდებარეობს) ზენდერუდის სამხრე-
 თით, 6—7 ათასი სახლის შემცველი, კეთილნაშენი და კეთილ-
 მოწყობილი ქალაქია. (ქალაქის) დასაცავად შაჰისაგან ჯარი მოით-
 ხოვეს, შაჰს არ შესწევდა დახმარებისა და შეწყალების ძალა. მო-
 სახლეობა იძულებული გახდა, მირისათვის მიემართა და შეწყნა-
 რება ეთხოვა. მან ეს მიიღო, მაგრამ მათგან საჯარიმოდ ფული მო-
 ითხოვა—2800 ჰისაზე მორიგდნენ. 800 ჰისა წინასწარ გადაუხადეს,
 ხოლო დანარჩენისათვის თამასუქი მისცეს. შეარჩიეს 60 ქალწული
 და მისცეს. გარშემო სოფლების დარბევის შემდეგ ქალიშვილე-
 ბი გაათავისუფლეს. როცა ჯულფა ამნაირად დამორჩილდა, მათ
 ხელში და მფლობელობაში გადავიდა, ხსენებულმა მირმა თავისი
 ჯარი აყარა და ჯულფის ახლო დააყენა. ჯულფის ახლო და მის მიჯ-
 ნაზე შაჰ ჰუსეინს ჰქონდა „სიხარულის მომგვრელი კეთილნაშე-
 ნად“ წოდებული ბალი და ბაღჩა, რომელთა სივრცე სამი საათის
 (სასიარულო) მანძილს შეადგენს. რამდენადაც შაჰს შესანიშნავი
 სასახლეც ჰქონდა, მირ მაჰმუდი ამ სასახლეში თვითონ დაბინავ-
 და.

ამის შემდეგ ქალაქი გაამაგრეს; ავღანელები რამდენჯერმე და-
 ესხნენ ქალაქს, მაგრამ ვერ გაიმარჯვეს. ბევრი ავღანელი დაიხოცა.
 მიხვდნენ, რომ შესევით ქალაქის აღებას ვერ მიაღწევდნენ. შემ-
 დეგ სხვა გზას დაადგნენ: დაიწყეს ქალაქის გარშემო ალყის შე-
 მორტყმა. გზები და მისასვლელები მაგრად გადახერგეს და შეუწყ-
 ვიტეს სურსათ-სანოვავის შეტანა, (ქალაქში) შესვლა-გამოსვლა.
 გზები ჯებირებად აქციეს. მიხვდნენ, რომ ქალაქზე გასამარჯვებ-
 ლად საჭირო იყო მისი ვრცელი და მტკიცე ალყის შემორტყმა.
 იფიქრეს და იმსჯელეს მომსვლელებისა და სურსათ-სანოვავის შე-
 სახებ. ქალაქის გარეთ მდებარე სოფლებს სასწრაფოდ ჯარი მიუ-
 სიეს, მათი სარჩო-საბადებელი გაძარცვეს, ბევრი დახოცეს და და-
 ატყვევეს. ცოტა ხნის განმავლობაში თითქმის 4—5 წლისათვის
 საკმარისი სურსათი შეაგროვეს. შემდეგ საქმე იქამდე მივიდა, რომ



سندی اوله دئی بالاده بیان اولمشده ربانی عراق بجم
و از ریختن و روان و شتر و آن و کورستان و طایفه
احوالی و شایسته اعدا و بندگی و کلبندگی عالی معنون تقوی
و غیرین که الکت میرجمود که احوالی و عسکریه طرز و طرز
افسردگی معصوم و معنیوم اولمشده و یوم غیره معنیوم
بو طرز غیره معنیوم و قفسه قهر او ایسزاده مرجمود که معنیوم
او خان عسکری سکر بیکه ایچی اولور اولور اولور معنیوم
بیکه و بچو شردن ایچی بیکه و بچردن دئی ایسزاده ایسزاده
تقریر ایلمشش ایچی و آید قلمت جوئی اول و شردن ایسزاده
ایرانی قلمت ایچی ایچی و قلمت ایچی ایچی ایچی ایچی
ایسزاده

ქალაქ ისფაჰანიდან ერთ კაცსაც გამოსვლა და შესვლა არ შეეძლო. საქმე ამ დონემდე რომ იყო მისული, ალყა კიდევ უფრო განმტკიცდა⁸¹.



ხანების ამბავი და ჯარის შეგროვება. საქმის გამო ისფაჰანის... დახმარებისათვის. დამარცხების შემდეგ ლორისტანის ხანი ალი მარდანი დაინიშნა ირანის სპარსალარად. რადგანაც შაჰ ჰუსეინის მიერ იგი გაფრთხილებულ იქნა, რათა სხვა ხანებთან ერთად სასწრაფოდ მოსულიყო ისფაჰანის დასახმარებლად, ხსენებული ხანი ათი ათასი ჯარით ლორისტანიდან ხუნსარად წოდებულ ადგილას მივიდა, ხანებს წერილები გაუგზავნა და მასთან ხანების მოსვლის მოლოდინში იყო, (მაგრამ ხანები) მის ბრძანებას არ დაემორჩილნენ, მისადმი ერთგულებისაგან პირი იბრუნეს, ყველამ შესაძლებლობის ფარგლებში ჯარი შეკრიბა და (თავი) დამოუკიდებლად იგრძნო... და დასახმარებლად გაემართნენ.

მირ მაჰმუდმა იცოდა და გაიგო მათი უთანხმოება. მან წარმატებად ჩათვალა მიხვედრილობა. ნათასიანი ჯარით ნასრულაპი ხანებთან საბრძოლველად გაგზავნა. ესეც დახელოვნებული იყო ეშმაკობაში (?) და ისე მოიქცა, როგორც ამ ვითარებაში საჭირო იყო, უპირველესად ყოვლისა იგი მოულოდნელად თავს დაესხა ჰამადან ხანს ფავისი ხელქვეითი ექვსათასიანი ჯარით და დაამარცხა იგი. შემდეგ, ფარსის ქვეყნის ხანი ალი რიზა 12 ათასი კაციით ისფაჰანში რომ მიდიოდა, გზაში დაამარცხა. ასევე 10 ათასი ნეჯიარის (?) ჯარი ყასიმ ხანთან ერთად რომ უნდა გამგზავრებულიყო, მოულოდნელი თავდასხმით დაამარცხა. ეს დარტყმა დამარცხებით რომ დამთავრდა, ლორისტანის ხანმა შეიტყო და უკუიქცა და თავისი რეზიდენცია, ლორისტანის სატახტო ქვეყანა რომ იყო, ხუზმიბადის გამაგრებაზე ზრუნვა დაიწყო. გარეშე მდებარე (ადგილებიდან) დახმარების შიშისაგან ავღანელები ამრიგად დამშვიდებული იყვნენ.

⁸¹ თადეუშ კრუსინსკი, რომელიც საერთოდ ქართველებს, კერძოდ ვახტანგ VI-ს მაღალ შეფასებას აძლევს (ქართველები „მაგარი ავბულებსანი არიან, მათ სამხედრო ხელოვნება ემარჯვებათ“; „იყო ერთი მეფე, რომელიც ქებას იმსახურებს, საქართველოს მმართველი ვახტანგი“ და სხვ.), წერს: გიულნაბადში დამარცხების შემდეგ შაჰ ჰუსეინმა ვახტანგს დახმარება სთხოვა. შაჰი სწერდა მას: თუ ვახტანგი არ იმოქმედებს, სპარსეთთან ერთად საქართველოც დაიღუპება, ხოლო შაჰ ჰუსეინთან ერთად—ვახტანგიც“. თ. კრუსინსკი დასძენს: ისფაჰანში ხმები გავრცელდა, ქართველთა ლაშქარი მოდისო. ამის შიშით მირ მაჰმუდმა ერთხანს ისფაჰანის ალყა შეასუსტა, ქართველების შიშით მის მოხსნაზეც კი ფიქრობდო.



აღსანიშნავი თაქმის მიზანს გაქცევა და ყაზახეთში
 ში მისი გამგზავრება. როცა ალყამ ხუთ თვეს ში
 შაპ ჰუსეინის... მეოთხე შვილი თაქმის მიზანს შაპისწულმა ათასამ-
 დე ცხენოსნით ისფაჰანიდან გაქცევა განიზრახა, ერთ წყნარ ღა-
 მეს ქალაქიდან გამოვიდა და ავღანთა სანგრებზე გაიარა. ღვთის
 განგებით დიდი ბრძოლა გამართა, მშვიდობით განვლო და ქალაქ
 ყაზვინს მიაღწია.

მირ მაჰმუდისათვის ქალაქ ისფაჰანის ჩაბა-
 რება. ქალაქი ისფაჰანი მრავალრიცხოვანი (მცხოვრებით), დიდ-
 გალავნიანი ადამიანთა საკრებულო, უდიდესი ქალაქია. ხანგრძლი-
 ვი ალყის დროს ცეცხლმა, შიმშილმა და სიღატაკემ ბევრს ბოლო
 მოუღო, ბევრი ღვთის მონის მისწრაფება და არსებობა დაწვა, და-
 დავა და გამანადგურებელ ქარს გაატანა. საშინელი შიმშილის აღ-
 მა რამდენიმე ათასის სული დაწვა, დაფარა და არარაობაში უკრა
 თავი. შემდეგ მათ იგრძნეს, რომ განადგურებისა...და უბედურები-
 საგან გადარჩენა დანებების გარეშე არაფრით არ შეიძლებოდა, ძა-
 ლაუნებურად დათანხმდნენ ქალაქ ისფაჰანის ავღანელთათვის გა-
 დაცემაზე. შაპ ჰუსეინმაც მხედველობაში მიიღო ამდენი ადამიანის
 და სხვათა ამის გამო დალუბვა და განადგურება და აგრეთვე იფიქ-
 რა და განსაჯა, რომ ასეთ ვითარებაში (?) ხანისა და მშვიდობის
 მოპოვება შეუძლებელი იყო და იძულებული გახდა ქალაქი ისფა-
 ჰანი ჩაებარებინა და ირანის გვირგვინი და ტახტი მირისათვის და-
 ეთმო და დაენებებინა. ეს ამბავი მირისათვის რომ ეცნობებინა,
 კაცი გაუგზავნა და გააგებინა. როდესაც ქალაქის გადაცემის შესა-
 ხებ თანხმობის ამბავი გაიგეს, განზრახვა და მიზანდასახულება გა-
 მოაშკარავდა, იმის შიშით, რომ ქალაქის გადაცემის დროს მოხ-
 დება დარბევა, ძარცვა-გლეჯაო, იმის შიშით, რომ დამნაშავე და
 უდანაშაულო ამ შემთხვევაში შეიძლება ფეხქვეშ იქნეს გათელი-
 ლიო, (ამიტომ) საფრანგეთის ელჩმა შესანიშნავი საჩუქრებით
 თქვენი მონა-მორჩილი მირთან გაგზავნა და მისგან ითხოვა ბრძა-
 ნება მფარველობისა და დაცვის შესახებ. შუამდგომლობა მიღე-
 ბულ იქნა და ჩვენი საქმეში გარეეცა (?) ნებადართული იქნა.

მაგრამ, რამდენადაც იყო ცნობები იმის შესახებ, რომ შაპი
 ტახტისა და გვირგვინის გადასაცემად მირთან მივიდოდა, ამიტომ
 შაპთან ერთად მისული თავკაცებისა და უფროსების გასაცნობად
 მე, თქვენი მონა-მორჩილი, დამტოვეს და არ გამიშვეს.

შაპ ჰუსეინის მიერ მირ მაჰმუდისათვის ირ-
 ანის გვირგვინისა და ტახტის გადაცემა. ალყის შე-

მორტყმის საქმემ რვა თვენახევარს მიიღწია⁸². გაპირების გაძლიერებამ და შიმშილის ცეცხლმა არ დატოვა (ადამიანის) სული. რუმულელიც მან არ დაწვა, სხელი, რომელიც მან არ გაანადგურა, დაიწვინა დარჩენილა ქვა და რკინა, რომელზედაც მას არ ემოქმედოს. ერთ დღეს შაჰ ჰუსეინმა თავისი გვირგვინი დაიდგა და თავისი სამეფო ჯილა თავზე გაიკეთა, თავის ეთემად ად-დოვლეს, ხავიზეს ვალისა და სხვა თავკაცებთან და მმართველებთან ერთად ცხენზე შეჯდა და მირ მაჰმუდთან გაემგზავრა. როდესაც ისინი „სიხარულით აღსავსე სასახლეს“ მიუახლოვდნენ, შაჰ ჰუსეინი მოდისო, აცნობეს მირს. ნახევარ საათამდე დროის განმავლობაში სასახლის გარეთ მოაძღვევინა, შემდეგ მიიღეს და ანიშნეს მისაღებოთახში შესულიყო: მირ მაჰმუდი მისაღები ოთახის ერთ კუთხეში იჯდა და შაჰი შემოვიდა, ის წამოდგა. შაჰ ჰუსეინი მას მიესალმა და „სალამ ალეიქუმ“-ო უთხრა. მირ მაჰმუდმაც ოფიციალური მისაღმება არ გააკეთა და „სალამ ალეიქუმ“-ო უპასუხა. ხსენებული მისაღები ოთახი თუმცა ძვირფასი ხალიჩებით სამეფოდ იყო მორთული და მოწყობილი, მაგრამ სპარსული წესის მიხედვით ლეიბი და ბალიში არ იყო, მხოლოდ ორ კუთხეში თითო-თითო თივთიკის ქეჩა იყო გაფენილი და იქვე თითო-თითო ჩასაჯდომი ბალიში იყო დადებული. ერთზე მირი, ხოლო მეორეზე შაჰი დაჯდა. სხვა ყველა ფეხზე იდგა. ამ მდგომარეობაში ცოტა ხანს რომ დარჩნენ, შაჰ ჰუსეინმა წამოიწყა ლაპარაკი და ყურანის (ერთ-ერთი) კარი „ჩემი ალაჰი—მსოფლიოს მფლობელი“, ბოლომდე წარმოთქვა და მაღალი ერთგულების შემცველი ყურანის ამ კარის მოკლე შინაარსი სპარსულ ენაზე გადმოსცა და თქვა, რომ მამული და სახელმწიფო უზენაესი ღმერთისაა, რომელსაც ის მისცემს იმას, ვისაც სურს. ირანის სახელმწიფო ერთხანს მე-მწირს მომცა, ახლა მის ღირსად შენ გიცნო. მე მიშვილებიხარ (?), მე კიდევ ჩემი სულიერი კეთილი ნებით შენ გადმოგეცი, ალაჰმაც გაკურთხოსო—თქვა და თავისი ხელით მოიხსნა თავიდან მოოქრულ-მოოქვილი სამეფო ჯილა მირ მაჰმუდის თავზე მისაბნევად, თავისი მოვალეობა შესრულა და მირის პირველ სარდარს ამანულაჰ სულთანს გადასცა. მანაც იგი აიღო და შეეცადა სწრაფად მიეხნია მირის ჩაღმაზე, მაგრამ მირ მაჰმუდმა უკმაყოფილო სახე უჩვენა და სახე მიაბრუნა. შაჰ ჰუსეინი მაშინვე მიხვდა მირის სულში არსებულ საიდუმლო ზრახვას, ადგა, თვითონ აიღო ხელში ჯილა, მივიდა მირთან და ჯილა თავის ხელით მიაბნია მირის თავზე.

⁸² ის თაჰანის ალყა შვიდ თვენახევარს გრძელდებოდა.



შემდეგ ყავა მოიტანეს, ყალიონს რომ ეძახიან, ის ნარკოტიკები
 თამბაქო და ჩაი მოიტანეს და დალიეს. მირ მაჰმუდი რამდენიმე
 შაჰისადმი ნუგეშის მიგების ხაზით განეწყო და სპარსულ ენაზე
 თქვა: ჩემო შაჰო, გულში ნაწყენობას ნუ ჩაიდებთ. ასე ხდება, ეს
 ქვეყანა ხალხიდან ხალხზე გადადის, ხელმწიფობა და მმართველო-
 ბა კი ერთი ძირიდან მეორეზე გადადის, ეს არის სამარადისო ღმერ-
 თის განგებისაგან მომდინარე ადათი. შენ კი იქნები ჩემი უწმინდესი
 და უკეთილშობილესი მამის ადგილზე და ვიდრე მე არ მექნება
 შენი აზრი და თანხმობა, მე ისე არც ერთ საქმეს არ წამოვიწყებო—
 უთხრა და დაამთავრა ლაპარაკი.

იქ ესწრებოდა აგრეთვე ბელუჯის ხანი, რომელმაც საყვედუ-
 რის სახით მიმართა შაჰს და უთხრა: ჩემო შაჰო, შენ რა საქმე გაა-
 კეთე, რომ ჩვენ შენი ქვეშევრდომები ვიყავით და ჩვენ ავღანელ-
 თა ქვეშევრდომები გავგზადეთ. შაჰმა ხანს უპასუხა იმავე სიტყვებ-
 ბით, რაც მირს უთხრა: „ბრძანება ერთადერთი ღმერთისაა“.

ეს რომ თქვა, შაჰს ნიშანი მისცეს ამდგარიყო. შემდეგ შაჰ
 ჰუსეინს თავისი თავკაცებით ხსენებული სასახლის სავანეების ბო-
 ლო ოთახი შესთავაზეს და იქ დააბინავეს.

ქალაქის აღების ამბავი და სახელმწიფო
 სახლში მირ მაჰმუდის შესვლა. ამასობაში მირის პირ-
 ველი სარდარი ამანულაჰი ავღანელთა 4 ათასი კაცით სახელმწი-
 ფო სახლის⁸³ დასაკავებლად გაგზავნეს და დაიკავა. დაიკავეს ქა-
 ლაქის კარები და დაინიშნა ავღანელი მცველები. რამდენადაც
 ქალაქი ადამიანების გვამებით სავსე იყო, ცუდი სუნი იდგა. მოინ-
 დომეს, რომ დივანის გზა და სასახლე რამდენადმე გაეწმინდათ.

იმ დღეს და იმ ღამეს, მეორე დღეს შაჰ ჰუსეინი ესტუმრა
 „სიხარულის მომნიჭებელ სასახლეში“ მირ მაჰმუდს. მესამე დღეს,
 რომელიც პიჯრით 1135 წლის წმინდა მუჰარემის თვის მე-15 კვი-
 რა დღე იყო⁸⁴, დილაადრიან მოაწყვეს ალღუმი, მირი და შაჰი....
 ერთად მიდიოდნენ ქალაქ ისფაჰანში „ბედნიერების სასახლისა-
 კენ“⁸⁵... როცა ისინი შერაზის ხიდად წოდებულ ხილთან მივიდ-
 ნენ, შაჰ ჰუსეინმა დაბრუნება მოითხოვა⁸⁶ და „ბედნიერების სასახ-
 ლისაკენ“ სხვა გზით წავიდა. მირ მაჰმუდი კი დივანის გზით წავი-

⁸³ შაჰის რეზიდენცია ისფაჰანში.

⁸⁴ ქრისტესით 1722 წლის 25 ოქტომბერი.

⁸⁵ შაჰის სასახლე ისფაჰანში.

⁸⁶ დაბრუნება კი არ მოითხოვა, არამედ გზას გადაუხვია. ხალხის მოერიდა, მირს ჩამოსცილდა, სასახლეში სხვა გზით შევიდა.

და. შაჰი თავის ხალხში სრულყოფილი და შეიარაღებული რაზმებით მივიდა (?). ავღანელ მაცნეთაგან ათი კაცი იმამთან მხარეს ხმით წყველა-კრულვას აგზავნიდა შიიტური სექტის მალიარებელთა მიმართ⁸⁷, როდესაც ისინი ისფაჰანის ხაჩოდ წოდებული კარიდან „ბედნიერების სახლამდე“ მივიდნენ, გზები ატლასით და ძვირფასი ქსოვილით იყო მოფენილი, ხოლო „ბედნიერების სახლის“ კარების შიგნითა ნაწილი მოფენელი იყო აბრეშუმით. მირის ცხენის მიერ ფეხდაბიჯებულ ქსოვილებს ქვეშევრდომები და ხალხი მაშინვე იტაცებდნენ. ამრიგად, მთავარი გზით და სადღესასწაულო წყობით „ბედნიერების სახლში“ მივიდნენ.

მ ი რ მ ა ჰ მ უ დ ის მ ი ე რ შ ა ჰ ი ს ჰ ა რ ა მ ხ ა ნ ის დ ა კ ა ვ ე ბ ა. შაჰის ჰარამხანა მაშინვე დაიკავეს. ცამეტი უფლისწული და შაჰის ორი ქალიშვილი ადგილზე იყვნენ, დააკავეს. აიყვანეს აგრეთვე დაბალი (რანგის) პირები. აიღეს ძვირფასი ქვები და სხვა ძვირფასი ნივთები, უამრავი სხვა საქონელი და ყველაფერი მირს გადასცეს. მალე ორმა, თუ სამმა დღემ გაიარა. შაჰი მირის სიმამრი გახდა, ის კი — მისი სიმე: წლოვანებით ყველაზე უმცროსი შაჰის ქალიშვილი ხსენებულმა მირმა შეირთო, ხოლო წლოვანებით უფროსი ქალიშვილი თავის შუამავალს, ე. ი. თავის მუფთის შერთო; მირის სარდარი ამანულაჰი შაჰის დაზე დაქორწინდა. შაჰის წულებმა თავიანთ დედათაგან (?) ხუთი სული მხევალი შაჰ ჰუსეინს მისცეს (?). „ბედნიერების სახლის“ სავანეებში შაჰს ადგილი მიუჩინეს და დააბნავეს. შაჰის მხევალთაგან ხსენებულმა მირმა რამდენიმე მხევალი თავისი სამსახურისათვის შეარჩია, ხოლო დანარჩენი თავის თავკაცებს დაუნაწილა. 13 შაჰისწულისათვის „ბედნიერების სახლის“ სავანეებში განსაკუთრებული ადგილი იქნა მიჩნეული. მე დარწმუნებული ვარ, რომ მათი არსებობა საბედისწერო ქარს მიეცა. შაჰს კიდევ ჰყავდა ორი ქალიშვილი. ისინი „ბედნიერების სახლში“ არ ცხოვრობდნენ. ერთი მიათხოვა შაჰის ნათესავთაგან ეთემად ად-დოულეს მოადგილეს ალიმს, მეორე — ისევ ნათესავს ვინმე მირზა აბულქერიმად წოდებულს. ისფაჰანის აღების შემდეგ შეიცვალა სახელი, გამოიცვალა ტანსაცმელი, რაღაც საბაბით თავის მეტროქოლებთან ერთად ისფაჰანიდან გაიქცა და თავრიზში ჩავიდნენ⁸⁸.

⁸⁷ ავღანელები სუნიტები არიან.

⁸⁸ თუმცა წინადადების ერთი ნაწილი მხოლოდითშია, მეორე—მრავლობითში, მაგრამ, როგორც ჩანს, ორივე გაიქცა.



მირი... გზას დაადგა. ამის შემდეგ სპარსელები ხსენებული მირის მიმართ სიბრძნის მეცნიერულ გზას—ფარისევლობას, ანუ დაბირების, მოფიქრებისა და მორიგების გზას დაადგნენ. გამოიჩინეს თავმდაბლობა და კეთილი თავაზიანობა. ყიზილბაშები შერიგების კალაპოტში ჩადგნენ. ეს შეუძლებელი საქმე შესაძლებელი ეგონა (?). შემდეგ, სულ მთლიანად სეფიანთა თავკაცებისადმი ვანწყობილება და გადახრილობა (?) გამოიჩინა და თითოეული მათგანი მათი რანგების მიხედვით და აგრეთვე მათი დაქვემდებარებულები მტკიცედ დატოვა (თავის ადგილებზე).

მაცნეებმა აცნობეს (ხალხს), რომ ამიერიდან თუ ვინმე სპარსელთა ოჯახის ქონებას და სურსათს ხელს ახლებს, თავს დაეცემა, მას მიძიმე სასჯელი და სიკვდილით დასჯა მოელის, თქვეს და ხალხის გარკვეულმა ნაწილმა სიმშვიდე და სიწყნარე იგრძნო, თავიანთ სახლებში მოვიდნენ და დამშვიდდნენ.

რიცხვი უბედურებისა გან... დახოცილთა და მკვდართა. ცნობების მქონე, გამოცდილ გონიერ ადამიანთა ერთსულოვანი აზრი ასე იყო, რომ ამ ბრძოლაში და რვანახევარი თვის ალყაში ომისაგან, შიმშილისაგან და სხვა უბედურებისაგან დაღუპული ადამიანების რიცხვი ასსამოც ათასს აღწევს, დატყვევებულ პირთა რაოდენობა — ასი ათასს უახლოვდება და აქეთ-იქით გაფანტულები კი ასი ათასამდეა. იმ დღეს, როცა ისფაჰანი აიღეს, ქალაქში მყოფი კაცები, ქალები და ბავშვები მხოლოდ 30 ათასს აღწევდა და ეს დადასტურდა დაბეჯითებული გადმოცემებით.

მირ მაჰმუდის დადგომა ქონებისა და სიმდიდრის მოხვეჭის გზაზე. ამის შემდეგ მირ მაჰმუდს ქონებისა და სიმდიდრის შეგროვებისა და მოხვეჭის დიდი მისწრაფება გაუჩნდა. ქალაქ ისფაჰანის სტუმარ ქალაქელთაგან 4800 ქისა ჯარიმა მოითხოვა და დიდი ნაწილი აიღო; მეველანანიდ წოდებული ინდოელი ვაჭრებისაგან 1080 ქისა ფული აიღო. შაჰ ჰუსეინის მთავარ ექიმ ვინმე ზაქრიმად წოდებულისაგან, რომელიც შაჰის ყურადღების ქვეშ იყო, პატივცემული და შაჰთან სიტყვა რომ გაუდიოდა, სპარსეთის ქვეყანაში სახელოვანი და მდიდარი იყო, მას 800 ქისა ფული მოსთხოვა. ჩაბარების დროს ოქრო, ძვირფასი ქვები და ვერცხლი თავისი სურვილის მიხედვით წონითა და ძვირფას ქვებთან... ალმასის გათანასწორება აირჩია. ჩემი ვარაუდის მიხედვით, ხსენებული პირიდან ნაღდი (ფული), ძვირფასი ქვე-

ბი და ნივთები 4 ათას ქისას აღწევს. ალყის დროს გარდაცვლილთა სახლები დაიკავა, სადაც უამრავი ქონება იპოვა.

როგორ ეპყრობოდა ქრისტიან მეფე თეოდორე II
ჩებს მირ მაჰმუდი. ელჩებს შორის მის პატივისცემასა და მფარველობას საფრანგეთის ელჩმა მიაღწია. რამდენადაც ისფაჰანში მისი ყოფნის ვადა მცირე იყო, ჯერ კიდევ ვაჭრობის ხაზით სხვა ელჩებთან შედარებით ქონება და სიმდიდრე არ შემოსვლია. ამ საბაბით მას მფარველობა გაეწია და ნება დაერთო მხოლოდ საჩუქრების სახით 10 ქისა ფულად ღირებული ნივთები მიეცა. ინგლისის მიერ მიცემულმა ნაღდმა ფულმა და ნივთებმა 500 ქისას მიაღწიეს. პორტუგალიის სასახლის მმართველი, თუმცა მდიდარი იყო, მაგრამ გარეგნულად ჩანდა როგორც საწყალი მღვდელი. რადგანაც ჯერ ეს ვითარება არ იცოდნენ, მისგან არაფერი არ აუღიათ. პოლანდიის ელჩისაგან აღებულმა ნაღდმა ფულმა და ნივთებმა 2440 ქისას მიაღწია, რადგანაც ხსენებული ბაილოსის რამდენიმე მალაზხია თავიდან ბოლომდე... და წინანდელი ვაჭრობიდან დარჩენილი... იყო, ამიტომ ალყის შემორტყმამდე მისი (ერთი) ოყის ფასი 40 ახჩამდე რომ იყო, არ გასაღებულა. ალყის დროს კი მისი ოყა (?) 40 ახჩად გაყიდეს და ქალაქისათვის ეს შეიქმნა სასარგებლო და თვითონაც მრავალი ქონება შეაგროვა. ხსენებულმა მირმა ეს ამბავი გაიგო, ფორმალურად (ვითომც) მფარველობდა ბაილოსს და... ოყას 60 ახჩა ფასი დაადო, ხოლო ზედმეტი კი თვითონ აიღო და მიითვისა.

თაჰმასის ამბავი ისფაჰანიდან გაქცევის შემდეგ და ყაზვინში მისი ჩასვლა. როდესაც შაჰისწული თაჰმას მირზა ალყიდან გაიქცა და ყაზვინში ჩავიდა, ისფაჰანის დასახმარებლად მან ჯარის მომზადება დაიწყო და როგორც ყოველი წელს, ისე იმოქმედა. ჯარის შეკრება ვერ შესძლო და ისფაჰანის აღების წინ ხალხს პატივით არ მოეპყრო (?). როცა ისფაჰანი აიღეს და შაჰ ჰუსეინი დაატყვევეს, გადარჩენილი სპარსელები პატივით მოექცნენ შაჰ თაჰმასს, მორჩილება გამოუცხადეს და ხალხის ერთი ნაწილი მის გარშემო დადგა. მან კიდევ შაჰების წესების შესრულება დაიწყო და უწინ მამამისის ადგილას კაიმაკამად რომ იყო რაჰიმ ალი ხანი, ეთემად აღ-დოულედ დანიშნა და მაღალ პორტში ელჩობით ჩასული მურთაზა ყული ხანი ყორუჯი ბაშის თანამდებობაზე დანიშნა.

ამბავი მირ მაჰმუდის მიერ ხაზინის გაგზავნისა ყანდაჰარის მხარეში ჯარის აღსაწერად.



როდესაც ისფაჰანი აიღეს და დაიკავეს, როგორც ზემოთ ითქვამის, მაჰმუდს მრავალი ქონება და ფული დაუგროვდა. დროის ხანგრძლივობისა და მრავალი ბრძოლის მიზეზით ავღანეთი დაზიანდა, მისი ჯარის რაოდენობა შემცირდა. (მან) ხაზინა გაგზავნა და მოისურვა ყანდაპარიდან ჯარი მოეყვანა. ნაღდი ფული და ნივთები, ავღანელთა სიტყვებით, 6 ათას ქისას აღწევდა. მოინდომა 15 ათასი კაცის ჩამოყვანა. ექვსას ავღანელს მეთაურად გააყოლა თავისი ხაზინადარი მოლა მუსა და გაგზავნა. როდესაც მათ სეისტანის უდაბნოს მიაღწიეს, (ბომბის) ციხის მცველი მირზა ისმაილი ათას ხუთასი კაცით მოულოდნელად თავს დაესხა ავღანელებს და დაამარცხა. ზოგი დახოცეს, ზოგნი გაიქცნენ. ხაზინის დიდი ნაწილი უფლისწულ თაჰმასს გაუგზავნა. თაჰმას მირზა ძალიან მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში იყო და დიდ გაჭირვებას განიცდიდა. ამ ამბით რამდენადმე გამოკეთდა მისი მდგომარეობა და ხელი მოიმართა.

მირის მიერ ყაზვინისათვის ალყის შემოსართყმელად ჯარის გაგზავნა. მირ მაჰმუდმა შეიტყო, რომ თაჰმას მირზა გატაცებული იყო შაჰობაზე პრეტენზიით და რომ სპარსელები მას მხარს უჭერდნენ. მან მტკიცე გადაწყვეტილებით ხელში აიღო ეს საქმე და თაჰმასის ამ წადილის მიღწევას თაღლითურად ხელი შეუშალა და გააბათილა. ამ განზრახვის შესასრულებლად რამდენიმე გზა ეძება და მღელვარება განიცადა. შემდეგ შაჰ ჰუსეინს წერილები ანუ ფირმანები დააწერინა, რომლითაც შაჰ ჰუსეინმა შის გარშემო შემოკრებილ ხალხს მოუწოდა, მირ მაჰმუდს დამორჩილებოდნენ, მაგრამ მისი წადილი შედეგიანი ვერ იქნა. მხოლოდ თაჰმასმა ამ საბაბით ითაღლითა, რადგანაც მან ეს ამბავი რომ გაიგო, იფიქრა, რომ ამ საშინელ ცივ ამინდში გამგზავრება არ შეიძლებოდა, ეთემად აღ დოუღეს ღონისძიებით მთელი ჯარი ყიზლაყებში გაგზავნა და თავის მტერს არ მოერიდა.

მირ მაჰმუდმა კი დიდი სიცივის დადგომა ხელსაყრელ მომენტად მიიჩნია და 7 ათას ავღანელს ამანულაჰ სულთანს სარდრად დაუნიშნა და ნასრულაჰი და აშრაფ სულთანის ბიძა მირ ასადულაჰზადე მასთან ერთად გაგზავნა და მოინდომა გამოეცადა ისფაჰანში მყოფი... სპარსელთა მორჩილების სიმტკიცე და გულმოდგინება. ზოგის შვილი და ზოგის ძმა და ნათესაეი ისფაჰანში დატოვა, ხოლო 4 ათასი სპარსელი ავღანელებთან ერთად გაგზავნა. ყველა ისინი მოულოდნელად ისფაჰანიდან აიყარნენ და საშინელ სუსხში ყაზვინისაკენ გაემართნენ. როდესაც ისინი ყაზვინის ახლოს იყვნენ, თაჰმასი გაჯავრდა და სულთანისა და ზინჯანის გზით თავრიზში გაიქცა. ყაზვინში ჯარი არ იყო,



ცარიელი ნახეს და ყაზვინის მოსახლეობა შესახვედრად გამოვიდა. ქალაქი უბრძოლველად გადასცეს. ამანულაჰი, ავღანელთა სახელმწიფო „ბედნიერების სახლში“ დაბინავდა. ვინაიდან მეტად სუსხიანი და მაგარი ამინდი იყო, ჯარი საქალაქო სახლებში ჩამოარიგეს და დააბინავეს. ათ დღემდე ამ ვითარებაში იყვნენ და დაიწყეს ავღანელთა შევიწროვება და მათზე თავდასხმა. დაიწყო უწყესრიგობა, დიდი ბრძოლა და ხოცვა მოაწყეს. სპარსელთა ჯარმა მირის მორჩილებისაგან პირი იბრუნა (იმოქმედეს პრინციპით): „ტომი ტომთან ერთად“ და „ბედნიერების სახლს“ თავშეფარებულ აბდულაჰ სარდარს ალყა შემოარტყეს. ბოლოს (მას) ვილაცამ სახლიდან (გასასვლელი) გზა უჩვენა. გამოვიდნენ და დამარცხდნენ. 1600-მდე ავღანელი დახოცეს და ბოლოს ისფაჰანში გაიქცნენ. ამანულაჰ სარდარი ამ ბრძოლაში დაიჭრა. სპარსელთაგანაც ბევრი მოკლეს და დაჭრეს. მირ მაჰმუდის ბიძაშვილი აშრაფ სულთანი, რომელმაც შემთხვევით გასასვლელი ნახა, ორასი ავღანელით ყანდაჰარის გზას დაადგა, გაიქცა და დიდი გაჭირვებით (ყანდაჰარს) მიაღწია.

მირ მაჰმუდმა ეს ამბავი გაიგო. მისი მდგომარეობა მეტად გამწვავებული და ჩახლართული იყო. მან იხანა, რომ თავისი ჯარი მოიშორა და ამ საბაბით ისფაჰანის მოსახლეობის აჯანყების დიდმა შიშმა მოიკცა. ამ ვითარების დასაფარავად მაშინვე ბრძანება გასცა მოეწყოთ ალღუმი, დააკრევიან დაფი და ნალარა და გულითადად ამანულაჰის მოსვლას უცდიდა. ცოტა ხანში გადარჩენილი ჯარი მოვიდა. დამშვიდდა. ოღონდაც ყიზილბაშებს თავს დაატეხა წარღვნისებური უბედურება (?). ეთემად ად დოულე მეჰმედ ყული ხანს აპატია, რადგანაც მისმა ძმამ ჰუსეინ ყული ხანმა ყაზვინის შეტაკებაში ავღანელებს გზა უჩვენა და სამშვიდობოს გაიყვანა. მანაც თავისი ძმისადმი ერთგულებით თვითონაც თავი იხსნა. შემდეგ ხსენებულმა მირმა დაიწყო თავკაცების, ემირების, ჯარისკაცებისა და სხვათა ხოცვა. 15 დღის განმავლობაში რვა ათასი ყიზილბაში დახოცა. ყაზვინში ჩადენილი მუხანათობისათვის ისფაჰანში სავსებით დამსახურებულად დაიხაჯნენ⁸⁹. ბაღდადიდან და მისი მხარიდან ელჩობით გამოგზავნილი ოსმან ალა ამ დროს ისფაჰანში ჩამოვიდა.

ქალაქებისა და სოფლების ასახორცხლად მთავარსარდრის ნასრულაჰის გაგზავნა. ხსენებული მირი კვლავ შეუდგა გარშემო მდებარე სოფლებისა და

⁸⁹ მირ მაჰმუდის ამ ბარბაროსული მოქმედების საოცარი გამართლებაა ოსების მხრიდან



ქალაქების რბევას და აოხრებას. სარდარი ნასრულაპი სეჟიუფთახი
 ავღანელით თეირანის მხარეებისაკენ გაგზავნა და ქალაქ რაშტის
 (?) გარშემო მდებარე სოფლები დაარბიეს და გაძარცვეს... ამის
 შემდეგ ჰამადანის ხანი უსთუინ ვერდი ხანი სამი ათასი სპარსელით
 მას წინაღუდგა, დაამარცხა, ციხეში ჩაქეტა. 7—8 დღეს ალყაში
 ჰყავდა და გაიმარჯვა. ახლო-მახლო ადგილებს დაესხნენ, დაარბი-
 ეს, დერგეზინში მივიდნენ. დერგეზინის ხალხი, რადგანაც სულ
 მთლიანად სუნიტები იყვნენ, არ დაარბია, მაგრამ ისფაჰანის კეთილ-
 ნაშენობის გამო (?) მისი ხალხი გარეკა და წაიყვანა. იმათაც ხელ-
 საყრელი შემთხვევა რომ ნახეს, გაიქცნენ. ისფაჰანის გზაზე სახე-
 ლად სუნსარ ქალაქი აიღო და თავისი მმართველი დააყენა. ქაშან
 ქალაქს ალყა შემოარტყა, დანებებით აიღო და მმართველი დანიშ-
 ნა. ქალაქი რომ აიღო, ყიზილბაშთა განადგურება მოინდომა და გა-
 იძვერობის გზას დაადგა. ყაზვინის მოსახლეობაზე შური რომ ეძია,
 ჯარი მოითხოვა, სამი ათასი შეიარაღებული სპარსელი ამოირჩია,
 ქალაქგარეთ გაიყვანა, მოცივიდნენ ავღანელები და ყველა დახო-
 ცეს. შირაზის გზაზე სახელად კომშო ქალაქის მოსახლეობა ჩაიბარა
 და მმართველი დანიშნა. ხავიზას არაბეთიდან 7—8 ათასი არაბი შე-
 აგროვა. შირაზის გზაზე სახელად იახუხა დაბის ახლო მათ ხსენე-
 ბული ნასრულაპი თავს დაესხა და დაამარცხა, მათი მეთაური მირ
 ბალირი დაიჭირა და თავი მოჰკვეთა. შირაზიდან შეწყნარების სათ-
 ხოვრად კაცი მოვიდა და მმართველი ითხოვეს. ქალაქი კუმი რვა
 (?) ალყით აიღო. გავიგე, როცა ამ მხარეში მოვედი.

მ ი რ ი ს მ ი ე რ ხ ა ზ ი ნ ი ს გ ა გ ზ ა ვ ნ ა ყ ა ნ დ ა პ ა რ შ ი
 ჯ ა რ ი ს ა ლ ს ა წ ე რ ა დ. შემდეგ უამრავი მგზავრობისა და ომე-
 ბის მიზეზით მირ მაჰმუდის ჯარს საგრძნობლად დაეტყო სიმცირე
 და ნაკლულება. იგი ჯარის გაძლიერების საგონებელში ჩავარდა.
 ათას ავღანელს ორასი სომეხი გაურია, მეთაურად ეშიქალასი მეჰ-
 მედ ნიშან სატანი დაუნიშნა და (გარკვეული) რაოდენობის ხაზი-
 ნით ყანდაპარში გაგზავნა. მათი მშვიდობით ჩასვლის შესახებ ცნო-
 ბა ისფაჰანში მოვიდა. მაგრამ ჯარი არ მოვიდა, რადგანაც ყანდაპარ-
 ში მირ მაჰმუდის მოადგილე დედამისი თუმცა ამ საქმეში ბევრს
 ეცადა, მაგრამ ყაზვინის დარბევის გამო მირის ამალიდან ყანდაპარ-
 ში გაქცეული აშრაფ სულთანი, მირის ხელით მოკლული მირ აბ-
 დულაპის შვილი იყო და მირ მაჰმუდის მოწინააღმდეგე, მასზე გა-
 ჯავრებული და ცუდი აზრისა იყო. ამდენად მისი ყოველგვარი გან-
 ზრახულობისა და სიკეთის განადგურების მდომი იყო. ხსენებულმა

მოიარა ყანდაპარის მთები და ავღანელთა წასვლა მირ მაჰმუდთან აკრძალა და ცნობილია, რომ ამ საქმეში რაც ძალა ჰქონდა, მიჰყენებდა მარა.



თაჰმას მირზას ამბავი და სპარსელთა თათბირი თავრიზსა და ნახჭევანში. თაჰმასი რომ თავრიზში იყო, შეკრიბა თავისი თავკაცები, ხალხი და ბუბა გამართეს. მიმართეს უზენაეს სახელმწიფოს⁹⁰ და დახმარება ითხოვეს. მისი ეთემად ად დოულე ბრძნულად მოლაპარაკე არ იყო და (თქვა): ოსმალთა სახელმწიფოს გავუძღვინებთ ჩვენს სუსტ მხარეებს და ჩვენს არეულ-დარეულ მდგომარეობას ვაცნობებთ და (ამაზე) მოსაზრებები წარმოთქვა. ზოგი ამბობდა: ვითომ (თურქეთის) სახელმწიფომ არ იცის ჩვენი მდგომარეობა და ეს დასაბუთება ცარიელი სიტყვები და ჯადოქრობა არისო.

ერთი კაცი ფრანგი იყო (აქ) მოწმის სახით. თაჰმასის მხრიდან წერილები მისწერეს რომის პაპს, რამდენიმე კეისარს და საფრანგეთის მეფეს და იმ ფრანგის მეშვეობით გაგზავნეს. მოსკოვის მეფეს ერთი ვინმე ისმაილ ბეგის სახით ელჩობა გაუგზავნეს. კიდეც ჰაფიზ ბეგის სახელით ერთი ბაილოსი დანიშნეს. მგონია, ამან ვერ მიაღწია (?). მაღალ სახელმწიფოსკენაც⁹¹ გაიგზავნა ბაილოსი.

ამ დროს მოსკოვის ჯარი ბაქოში მივიდა, ალყა შემოარტყა, იბრძოლეს, შეიდი დღის შემდეგ დაიმორჩილეს. ავღანელებმა გაიგეს, რომ რუსის ჯარი გილანში მივიდა. ეს რა ტომიო—თქვეს და თქვენ უმორჩილეს მონას უამრავი ცნობები გამოჰკითხეს და მათზე ნაწყენები დარჩნენ.

ოსმალეთის მიერ თბილისის აღება რომ გაიგეს, შეშინდნენ და ეწყინათ. ამ ტომის ადათის მიხედვით ესენი თავიანთ საქმეებს, მიზნებს და მგზავრებს მეტისმეტად ფარავენ და მალავენ. დაფარვაში, სისწრაფეში, სიჩქარესა და მძიმე მდგომარეობის დროს წოთმინებაში სპარსელებს სჯობნიან.

ხანგრძლივი და გაჭიანურებული ალყის სიძნელემ, მდგომარეობის ათასნაირად შეცვლამ, საზარელი და საშინელი ამბების შიშმა და მღელღვარებამ, აგრეთვე აღწერილ მძიმე ამბებზე ფიქრმა და ზრუნვამ, ძალიან იძქმედა თქვენს უმორჩილეს მონაზე. 1135 წლის

⁹⁰ იგულისხმება თურქეთი.

⁹¹ იგულისხმება თურქეთი.

ზილპიჯეს თვის უკანასკნელ დღეს⁹² ისფაპანიდან გავიქეცი და ხო-
რშანს რომ ჩამოვედი, მე შემხედნენ ყიზილბაში ყაჩაღებმა, იყვედი
გილას დამჭრეს და რვა ქისას რომ მიალწევს, იმდენი ჩიხუბსქუსს
ბის ნივთები და ნაღდი ფული წამართვეს და შიშველი დამტოვეს.
ჩემი მსახურები უკან გაიქცნენ. დიდი წვალებით ჰამადანში წავე-
დი. ციხე შეეკეთებინათ და ახლა იგი სავსებით მოთავებული იყო.
შემდეგ ერთ კირიშელ (?) სომეხ ვაჭარს დავეუთანამგზავრდი და
ყაზვინში ჩავედი. ყაზვინის ხალხი ყველა შეიარაღებულია და მო-
მზადებულია თავდასაცავად. იქიდან გილანს ჩავედი, რეშტად წო-
დებულ ქალაქში მოსკოვის ოფიცერთან მივედი, ვითარება გავაცა-
ნი. ვაჭრის ხარჯი გაიღო, რვა ოქრო გზის ხარჯი მომცა, აქ ნუ დარ-
ჩებიო და მრავალი წინადადება მომცა. მაგრამ გილანის ჰავა ძალი-
ან მიმიე იყო, ის მოსკოველებმაც ვერ აიტანეს, ბევრი ხალხი გაუ-
წყვიტა მათ.

გილანიდან, თეთრ სახლებს რომ ეძახიან, ისეთი კარგი სანა-
ხობიანი ადგილები გავიარე და არდებილში ჩავედი. იქიდან ყარა-
დაღში მივედი და ქალაქ არეშით უზზობაში გადავედი. იქიდან ნახ-
ჭევანში მივედი. თაჰმასიყ თაერიზიდან ნახჭევანში ჩამოსულიყო.
იქ მან მურთაზა ყული ხანი მოკლა. მისი აღმატებულება აბდულა-
ჰი ფაშიდან თაჰმასთან მოსულიყო. გზები სულ ყველა გადაკეტილი
იყო და ამიტომ ეგლისიად წოდებულ სომხურ სოფელში გავჩერ-
დი. როცა ერევანი და ნახჭევანი ოსმალეთის მიერ იქნა აღებული
(?), გზებიც გაკეთდა; ქარავენთან არზრუშში (წავედი), იქიდან თო-
კათის გზით სტამბოლში და საფრანგეთის ელჩთან მივედი. დიდი
პატივისცემით, ბრძანება და ფირმანი, სიკეთე და წყალობა ღვთი-
საა, ბრძანება თქვენი.

სეფიანთა დინასტიის, ე. ი. სპარსელი შაჰების სამფლობელო-
ში შემავალი და ერთ ხანს მათ მმართველობაში მყოფი სპარსეთის
მხარეები და მასში გაერთიანებული ადგილები შემდეგია: ხორას-
ნის ქვეყანა, ყანდაჰარი, სეისტანი, ბაზილისტანი, ჰუქუმბხანი, ქირ-
მანი, ყარსი, ხუზისტანი, ლორისტანი, სპარსეთის ერაყი, რომელსაც
მთიან მხარესაც ეძახიან, მაზანდარანი, გილანი, აზერბაიჯანი, ერე-
ვანი, შირვანი, საქართველო, დაღესტანი და ბაჰრეინის კუნძული.

თითოეული ეს მხარე სპარსული კანონის მიხედვით ცნობილ

⁹² ქრისტესით 1723 წლის I ოქტომბერს. მაგრამ ეს თარიღი დაზუსტებას მოი-
თხოვს: 1723 წლის მარტში ისფაპანიდან ჰამადინისაკენ წასული იოსები ავლანე-
ლებმა თუ ყიზილბაშებმა დაჭრეს; იმავე წლის 28 ივლისს იგი რეშტშია სარგის გი-
ლანენტთან. როგორც ვხედავთ, იოსები იქაც არაა ზუსტი.

მხარედ ითვლება და რადგანაც ზოგი მათგანი ვრცელია და მრავალი კეთილნამშენობანი აქვს, რამდენიმე ვილაიეთად არის დაყოფილი. თითოეულ მათგანში ვალი იყო დანიშნული და ასე გამოვიყენებდნენ. ყველა მათი მდგომარეობა (?). ამ წლებში სპარსეთში მომხდარი ამბების გამო თუ როგორ მოხდა სპარსელ შაჰთა სამფლობელოდან ჩამოგლეჯა და ჩამოშორება, ეს ჩანს, ცხადია, აქ მონათხრობის შინაარსიდან. ოღონდ მიქრანის (?) ქვეყნის მიერ ამ დიდი ჭიდილის დროს ისფაჰანისათვის ერთგვარი დახმარების გაწვევისათვის დიდი სურვილის გამომჟღავნება მგონია იმიტომ იყო, რომ დასარბევი ქირმანის მხარეებში მომიჯნავედ იყო, ისფაჰანიდან კი შორს.

ასევე ამბავი გაიგეს, რომ გილანიდან და მაზანდერანიდან შაჰის დასახმარებლად და საშველად ჯარი და ვალი მოვიდა. რადგანაც გარდა იმისა, რომ ზაბილისტანი ყანდაჰარის მომიჯნავეა, ის სეისტანთან მიერთებულია. სეისტანის ხანი შაჰს რომ აუჯანყდა და მირ მაჰმუდის მოკავშირეობით მეშხედი რომ დაიპყრო — ეს ზემოთ აღწერილი იყო. დანარჩენი, სპარსეთის ერაყი, აზერბაიჯანი, ერევანი, შირვანი, საქართველო და დაღისტანის მდგომარეობა და შაჰის დასახმარებლად მოსული ვეჟილი... (?) ამბავი მოთხრობილის შინაარსიდან და სხვა რამეებიდანაც ჩანს. აგრეთვე მირ მაჰმუდის ამბები და მისი ჯარის ვითარება და რაოდენობა ცნობილია და მოთხრობილი.

მე მწირი ისფაჰანიდან რომ გმოვედი და ამ მხარისაკენ ჩემი მგზავრობის დროს მირ ვეისის ძე მირ მაჰმუდთან მყოფი ავლანთა ჯარი მხოლოდ რვა ათასი ან იქნებოდა ან არა. ის კი არა, მას აღეწერა სომეხთაგან ორი ათასი, მაზუსებიდან (?) ორი ათასი, სპარსელთაგან კი ხუთი, ექვსი ათასი კაცი. ვინაიდან ავლანელთა უმრავლესობას ხელში ჩაეგდო ქონება და სიმდიდრე, ისინიც ძალიან მიისწრაფოდნენ სამშობლოში და უკან დაბრუნების სურვილით იყვნენ შეპყრობილნი.

მინაწერები ხელნაწერის გვერდებზე: გვ. 48: „ჯარის მომზადება ალყის შემოსარტმელად“.

გვ. 70: „უწინ ჰამადანის ხანის ფარზულაჰ ხანის ძმა. ჰამადანში ავლანელთა თავდასხმის დროს რადგანაც დამარცხდა, ფარზულაჰს ენა მოსჭრეს; კაფანისტანის სომხები აჯანყების დანაშაულის გამო ყარაღალის ბეგმა ფათ ალი სულთანმა... კაფანისტანის სომხებს ნახჭევანის ხანის, მოსკოველის (?), წაქეზებით ხოცვა-ჟლეტა მოუწყო...“.

ასეთია იოსებ ქართველის ამ თხზულების შინაარსი. როგორც თარგმანიდანაც ჩანს, ტექსტი მეტად რთული და ბუნდოვანი მოჩნდა. იგი გადატვირთულია არაბული სიტყვებით. სიტყვის ამოკითხვა ან აზრის გაგება შეუძლებელი გახდა. ამოუკითხავი ადგილები შეცვლილია მრავალწერტილით, გაუგებარი ადგილები — კითხვის ნიშნით, ესა თუ ის სავარაუდო სიტყვა კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული.

ხელნაწერი ტექსტი შედგება 72 გვერდისაგან. თავიდან ბოლომდე მას არა აქვს არც ერთი სასვენი ნიშანი, არც ცალკე სათაურები, არც აბზაცები. თხრობისას მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვები ერთმანეთშია არეული; ზოგჯერ წინადადების ერთი ნაწილი მხოლოდითშია გადმოცემული, ხოლო მეორე — მრავლობითში. ტექსტში არის გრამატიკული შეცდომები.

იოსებ ქართველისათვის საერთოდ (ეს შეეხება მის ფრანგულ ენაზე შედგენილ „მოგონებასაც“) დამახასიათებელია რთული და ბუნდოვანი წინადადებები. ალბათ, ეს იმიტაა გამოწვეული, რომ მისთვის არც თურქულია⁹³ და არც ფრანგული დედაენა. იგი ხშირად მიმართავს გაზეპირებულ ფრაზებს, იდიომებს, სინონიმებს.

ნათქვამის დასადასტურებლად იოსების „მოგონებიდან“ მოვიტანთ რამდენიმე ფრანგულ გამოთქმას (იდიომს): se jeter tête baissée — თავდაყირა დაეშვა; cedant à la force — ძალას დაემორჩილა; forcer la porte de — შეიჭრა; tailler en pieces — ნაქუნაქუნად ქცევა sans coup férir — უბრძოლველად; reduire par famine — შიმშილით დამორჩილება; des provisions de bouche — სურსათი; done de la jalousie à — შურს იწვევს; faire main basse — უყურადღებოდ მიტოვება, გაძარცვა; passer au fil de l'épée — ხმლით აკუწვა და სხვ.

საერთოდ, იოსების ფრანგული ენა (მგონია, იგივე ითქმის მის თურქულზეც) ლარიბია. ერთი და იგივე ფრაზებს, გამოთქმებს ხშირად იმეორებს.

ამასთანვე, იოსებ ქართველი ბევრ ადგილას არ არის ზუსტი და მასზე დაყდნობა არ შეიძლება. აშკარად ეტყობა, რომ არ იცის არც საქართველოს და არც სპარსეთის ისტორია. თავის თხზულე-

⁹³ იმ პერიოდში სპარსეთის სამეფო კარის ენა თურქული იყო.

ზებში იგი ძირითადად მესამე პირის მონათხრობს ეყრდნობა და, ვინ იცის, ამბების ეს მომყოლი რამდენად ინფორმირებული ან რა განათლების პატრონი იყო. ამდენად, 1718 წლამდე ამბების ბისეული აღწერა ზერელეა, არაზუსტი; ყოველგვარი ქრონოლოგიის დაცვის გარეშე მოთხრობილია ამბები. იგი არასოდეს ეყრდნობა რაიმე წყაროს ან რომელიმე ავტორს.

განა შეიძლება თადეუშ კრუსინსკისთან იოსების შედარება? თადეუშ კრუსინსკიმ შესანიშნავად იცის საქართველო-სპარსეთის ურთიერთობები, საქართველოსა და სპარსეთის ისტორია. როცა იგი ქართველებს და საქართველოს ეხება, იყენებს პეროდოტეს, პლინიუსის, ვიტროაკის, ბარონიუსის, რუფინუსის, სოზომენოს, კასიოდორეს, სილოსის, არქანჯელო ლამბერტის და სხვ. ნაშრომებს. იცნობს ქართველი მეფეების ურთიერთობას ევროპასთან (თეიმურაზ I-ის მიერ რომის პაპ ურბან VIII-სთან ელჩად პიეტრო ავიტაბილეს გაგზავნა, საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ის წერილი ვახტანგ VI-სადმი და სხვ.). თ. კრუსინსკის თავის წიგნში ერთ ადგილას ლათინური ასოებით ქართული ციტატიც კი მოაქვს.

ჩემი აზრით, საფრანგეთის კონსულ დე გარდანთან ერთად იოსებ ქართველს თარჯიმანის სახით შაჰის კარზე არცერთ მოლაპარაკებაში არ მიუღია მონაწილეობა. ასეთი საქმეებისათვის დე გარდანს, ალბათ, სხვა თარჯიმანი ჰყავდა. იოსებს რომელიმე მოლაპარაკებაში მონაწილეობა რომ მიეღო, ამაზე იგი აუცილებლად დაწერდა თავის თხზულებებში. უფრო მეტიც, იოსებ ქართველი არ იცნობს საფრანგეთ-სპარსეთის 1708 და 1715 წლების შეთანხმებებს და ამრიგად, იგი არ არის იმ საქმის კურსში, თუ რა მიზნით არიან სპარსეთში ჩასული საფრანგეთის კონსულები — დე გარდანი და პადერი. ალბათ, არც დე გარდანი შეიყვანდა მას საფრანგეთის სახელმწიფო საქმეების კურსში. უბრალოდ, არ ენდობოდა კონსტანტინოპოლში შემთხვევით თარჯიმნად აყვანილ ამ პიროვნებას, რომელიც, ამასთანავე, თურქეთის ხელისუფლებასთან იყო დაკავშირებული.

გაუგებარია ისტაჰანიდან იოსების წასვლის თუ გაქცევის მიზეზი. თვითონ ამის სხვადასხვა მიზეზს ასახელებს იმისა და მიხედვით, თუ ვისთან როგორ დასჭირდება. ჩვენი აზრით კი, იგი ან დე გარდანისათვის მიუღებელი პიროვნება გახდა (შემდგომში, კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩი დ'ანდრეზელი ხომ იმარ-

თლებდა თავს თავისი უფროსის წინაშე: იოსებთან მე არაფერი
მითქვამს ისეთი, რაც მას თავის სასარგებლოდ შეეძლო ეგვიპტეში
ნებინაო, ან იოსების პიროვნება საკმაოდ კომპრომიტირებული
და ისტაჰანში, ავღანელებმა მასზე ექვი მიიტანეს (იოსები თურქეთის
ელჩის ორჯერ შეხვდა საიდუმლოდ, მაგრამ ეს ავღანელებს
მხედველობიდან არ გამოპარვიათ. შემდეგ, თურქეთის ელჩი ჰამა-
დანში რომ წავიდა, იოსებიც იქითკენ გაემგზავრა და სხვ.) და მას
უკვე ისტაჰანში აღარ დაედგომებოდა.

იოსები ყოველთვის არ არის ზუსტი და ახასიათებს ტენდენცი-
ურობაც. მის მიერ მოთხრობილი ამბები არეულია ერთმანეთში.
გიორგი XI-ისა (გურგინ ხანი) და როსტომის (ვახტანგ VI-ის ძმა)
იოსებისეული დახასიათება ტენდენციურია. საფუძველს მოკლე-
ბულია შაჰ ჰუსეინისა და სპარსეთის ეთემად აღ-დოულეს პიროვნე-
ბების, მირ მაჰმუდის მიერ ისტაჰანის უღანაშაულო დიდებულ-
თა (მათ შორის ბავშვების) გაელეტის იოსებისეული შეფასება:
პეტრე I-ისა და ვახტანგ VI-ის მოქმედებათა „თაღლითობად“ ჩათ-
ვლა და სხვ.

ჩვენ არაფერს ვამბობთ მთელ რიგ მნიშვნელოვან ამბებზე,
რომლებიც იმ პერიოდში სპარსეთში მოხდა და თავისი ასახვა ვერ
ჰპოვა იოსების თხზულებებში, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა შევ-
ნიშნოთ: იოსები არაფერს ამბობს ქართველების (გიორგი, ლევანი,
ქაიხოსრო, როსტომი, ვახტანგი და სხვ.) როლზე სპარსეთის იმპე-
რიაში. და თუ მათ სადმე ახსენებს, მხოლოდ უარყოფითად, მაშინ,
როდესაც სხვა ავტორები (თ. კრუსინსკი, ჯ. ჰანვეი, ვ. ალენი,
დ. ლენგი და სხვ.) მაღალ შეფასებას აძლევენ ქართველების მოღ-
ვაწეობას სპარსეთის იმპერიაში როგორც სამოქალაქო, ისე სამხედ-
რო ცხოვრების სფეროში.

ვახტანგის გამაჰმადიანების შემდეგ შაჰ ჰუსეინმა მას თავრი-
ზის პროვინციის მმართველობა, სპარსეთის ჯარის მთავარსარდლო-
ბა და ქართლის მეფობა უბოძა. ვახტანგმა მისთვის ჩვეული ენერ-
გიით ხელი მოჰკიდა სპარსეთის ლაშქრის მომზადებას, მაგრამ როცა
იგი ამ საქმით იყო გართული და სათანადო შედეგებიც ჰქონდა, იგი
გაათავისუფლეს სპარსეთის ჯარის მთავარსარდლობიდან. რატომ?
ანტიქართულმა ჩგუფმა, რომელსაც ავღანელების წინაშე დამარ-
ცხება ერჩია ომში ქართველის გამარჯვებას, ვახტანგი დაასმინეს
შაჰთან. უნიჭო და ექვიანმა შაჰ ჰუსეინმა ყველაფერი დაიჯერა.
ვინ იყვნენ ასეთი ინტრიგების მეთაურები? შაჰის მთავარი ექიმი,

საჭურისები და სხვ. თადეუშ კრუსინსკი წერს მათ მიერ „შეთხზულ
სისულელეებზე ვახტანგის წინააღმდეგ“, ინტრიგებზე „რუსეთის
ელჩის თავად ვოლინსკის ბრწყინვალე ელჩობის“ მიმართ და სხვ.
სად იყო იოსებ ქართველი ამ დროს? ნუ თუ მას არაფერი ესმოდა
ამ ამბების შესახებ?



ოსებ ქართველის „ანგარიშის“ ასლი თურქულ ენაზე, გლაზგოს უნივერსიტეტის ჰანტერის ბიბლიოთეკაში შემონახულია.

ისთაპანიდან ჩამოსული ვინმე სახელად იოზეფო მ წელს ისთაპანში გაჩერდა. ამ ხნის განმავლობაში მან თვითონ ცოდნა შეიძინა და მეცნიერებას დაეუფლა. ამ ამბავს მე აქ ვყვები.

1137 წელი².

თქვენი მონა-მორჩილი, თბილისელი წარმოშობის, ჩემს ბავშვობაში ენას ვეუფლებოდი და გამოცდილებისა და განათლების შეძენის მიზნით საფრანგეთში გავემგზავრე. როდესაც ფრანგულ ენას დავეუფლე, ვენეციის გემებზე³ დავჯექი და ბედნიერების ზღურბლზე⁴ გავემგზავრე.

იმ დროს ამ უზენაესი სულთანის კანცელარიის თარჯიმან იანაქ ბეგთან (მუშაობა) დავიწყე. (იგი ვარდინის ლაშქრობაში წავიდა და დაბრუნებისას მას ვალახეთის ვოევოდა ებოძა. იგი მხარისკენ გაემგზავრა. მე, თქვენი მონა-მორჩილი, მას ჩამოვცილდი და მის სამსახურსაც თავი დავანებე.

ამ დროს საფრანგეთის მეფის მიერ სახელად ბატონ დე გარდანი სპარსეთის შაჰ სულთან ჰუსეინთან ბაილოსის თანამდებობაზე ელჩად დაინიშნა. სტამბოლში ჩამოვიდა. მან მოისურვა თქვენი მწირო მონა თარჯიმნად ავეყვანე. მე მის სამსახურში შევედი. ამ ზემოხსენებულმა ეს ვითარება თურქეთის მთავრობას მოახსენა და აცნობა.

¹ ხელნაწერი შეიცავს 61 გვერდს, თითოეული გვერდი 15 სტრიქონს, სტრიქონი—6-7 სიტყვას.

² ქრისტესით 1724 წელი.

³ ასეა ტექსტში: ჯერ მხოლოდითი, შემდეგ მრავლობითი.

⁴ იგულისხმება თურქეთი, კონსტანტინოპოლი.

როდესაც სპარსეთის საზღვარზე მივედით, მან ნდობით აღ-
კურვილობის შესახებ ბრძანებები და წერილები წარადგინა. დაჯ-
და გემზე და შავი ზღვით ტრაპიზონში ჩავიდა, იქიდან არზრუმს მი-
ვედით⁵. იქიდან რუმს, ერევანს, ნახჭევანს, თავრიზს, ზონჯანს, სულ-
თანისა და ყაზვინს ჩავედით. ეს მოხდა 1717 წელს⁶.

⁵ ასეა ტექსტში: ჯერ მხოლოდითი, ხოლო შემდეგ—მრავლობითი. სხვა-
თაშორის, ეს იოსებს ხშირად ახასიათებს და ეტყობა ტექსტის გადამწერმაც შეინარ-
ჩუნა.

⁶ ჩვენ საჭიროდ არ ჩავთვალეთ, აქ მოგვეტანა გლაზგოს უნივერსიტეტის ჰან-
ტერიის ბიბლიოთეკის ხელნაწერის მთლიანი თარგმანი შემდეგი მიზეზით: აქვე
მოთავსებულია ამ ხელნაწერის პროფესორ ტ. პ. ვერიხიუელი ინგლისური თარგ-
მანის ქართული თარგმანი; სტამბოლისა და გლაზგოს ხელნაწერი ტექსტების შედარ-
ებისას აღმოჩნდა, რომ გლაზგოს ტექსტი გადაწერილია სტამბოლის ტექსტიდან
(არა იოსებ ქართველის ხელათ) და წარმოადგენს სტამბოლის ხელნაწერის რამდენადმე
შემოკლებულ ვარიანტს.

აქად. ს. ჭიჭია და ისტ. მეცნ. კანდიდატი ც. აბულაძე სტამბოლისა და გლაზგოს
ტექსტების შედარებისას იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ გლაზგოს ტექსტი სტამბო-
ლის ტექსტიდან გადაწერილია სხვა პიროვნების მიერ. გადამწერი არ იმეორებს იო-
სებისათვის დამახასიათებელ სინონიმებს, ზოგჯერ ფაქტობრივ მასალასაც გამოტო-
ვებს ხოლმე. ასეთი გამოტოვების გამო ზოგჯერ აზრიც მახინჯდება. გადამწერი
ზოგჯერ თვითონ უმატებს იოლ სიტყვებს, რაც წინადადების აზრს არ ცვლის.

გადამწერი უშვებს გრაფიკულ შეცდომებს (ზოგჯერ გვხვდება ასოების უც-
ნაური მოხაზულობა), უშვებს გრამატიკულ შეცდომებს. გადამწერის ხელი არის
მოხდენილი „ნასხი“.

გლაზგოს ხელნაწერის მეორე გვერდზე ძირითადად განმეორებულია პირველი
გვერდის ტექსტი.

ასეთია იოსებ ქართველის სტამბოლში შემონახული „ანგარიშისა“ და გლაზგო-
ში დაცული ხელნაწერი ტექსტის შინაარსი (არსებობს კიდევ ორი ხელნაწერი:
ერთი დაცულია კემბრიჯში, მეორე—მარბურგში).

№ 1

AUTRE MEMOIRE SUR L'ORIGINE
DE LA REVOLUTION ARRIVEE EN PERSE¹.



Memoire sur la derniere guerre
Civile de Perse. 31 janvier 1723.

76.

Perse. 1723 janvier 31.

Fait par la chanceler ou secretaire
du S. de la Gardane Consul de France
a Hispahan.

Les avgans sont partager en deux principalles Tribus, dont la plus puissante est celle qui habite dans le Royaume de Candahar, cel lecy du tems du Grand Chah Abbas Roy de Perse, à qui il se soumit étoit composee de 50 m. familles, et se nomme des avgans cligi.

L'autre d-t des abdalans, qui habitent dans le Royaume d'Harat, composoit 3 m. familles. Au commencement du dernier siecle, cette Tribu ayant demandé du secours au roy abbas contre les usbeks, situer vers l'orient de la mar Caspienne, et ses confinants vers le Nord, les quels étant entrés les armes à la main dans le Royaume d'Harat, y faisoient de grands ravages, ce Prince venu toute diligence à son secours, en chassa en peu de temps ses ennemis qui le desoloit. les abdalans en reconnoissance de ce signalé service, et /charmey/ des bons traitemens du Roy abbas, firent alliance avec luy, avec un engagement solemnel de luy pay/er/ tous les ans une certaine somme d'argent, à condition pourtant, que la Cour de Perse ne pust jamais y envoyer des Couvemeurs P Persans (Persiens); mais quil dust nommer pour vice Roy de ce Royaume le plus distingu/er/ pamy les abdalans mesmes. Ces conventions ayant été arettées de part et d'autre, le Roy Chah abbas retourna tout glorieux à sa Capitale.

Les avgans Cligi ayant appris ce que le Roy abbas venoit d'operer en faveur des addalans; de temin/er/ de leur costé à secouer le joyg des Indiens, qui pour lors maitres de Candahar tiranni soient fort ces peuples, deputerent les plus aceredit pamy eux à la Cour de Perse, pour

¹ Archives du Ministère des Affaires Etrangères. Correspondance Politique, Paris, "Perse", t.6, ff. 262-290.

offrir à Sa M^{te} le Royaume de Candahar, et l'inviter à s'en assurer la possession le Roy abbas attiré par la gloire, et l'avantage de joindre à ses Etats un Royaume aussi étendu que Candahar, et recommandable par ses fortes places; fit un accueil favorable aux députés ayant résolu d'entreprendre la Conquête de Candahar, marcha vers ce Royaume à la tête d'une sa formidable armée de 100 m. Cavaliers y étant entré, commença par ravager tout le pais, et puis assiegea la Capitale, pendant 3 mois que dura le siege le Roy eut occasion de battre trois differents gros corps d'armée d'Indiens commander par des Princes du sang, que le G. Mogol avoit envoyer au secours de la Place, la quelle furent fin contrainte de se vendre à discretion. La Garnison Indienne fut passée par le fil de l'épée, mais les habitans furent traittes avec douceur. Le Roy abbas fit des dispositions pour le maintien de cette nouvelle conquête quil devoit aux avgans tant pour ly avoir invité que pour luy avoir rendu de signaler / services pendant / le cours de cette expedition: aussy leur accordat il diverses franchises, et beaucoup d'autres privileges considerables, et enfin il s'en retourna trionnant à Ispahan.

L'avidité insatiable des Gouverneurs Persiens qui commanderent à Candahar, jusqu'à l'avenement du Chah Sultan Hussein sur le Trône, rendit leurs gouvern^t si forledieux aux gens du pais, que dès l'entrée de ce siecle, ils mediterent des seditient et des revoltes, jusqu'à chasser la Garnison Persienne de Candahar. Sur quoy le Roy voulant reduire les mutins et en chatient les chefs, jettà les yeux sur Gurghin kan autrement dit Chah Navas Georgien de nation, aussi brave soldat que General habile, à qui il envoya des ordres de quitter le Gouvernement de la Province de Kiman, et de se rendre en qualité de vice Rouy à Candahar avec une armée de 20 m. Persiens et 4 m. Georgiens. Les avgans frapper de cette destination d'un nouveau Gouverneur, dont ils ne connoissoient qu'è trop le courage, et la severité, bien loin de s'opposer à son entrée dans le Royaume, luy ouvriront aussi d'abord les portes de Candahar cap-le Gurghin kan chatie très rigoureusement les coupables, dont les principaux furent executés, et après avoir mis dans la Place une Garnison convenable de Persiens, il congedia le reste de l'armée, ne s'étant reservé que le camp volant des 4 m. georgiens qu'il avoit amenés avec luy. Pour Mir-veis qui étoit le principal chef de la Rebellion, Gurghin kan se contenta de le faire passer enchainé à Ispahan, d'écrire au Roy en meme temps qu'il eut à s'en de faire comme d'une homme ma-

l'intentionné et d'un esprit inquiet et puissant, capable de porter avec le temps quelque coup fatal à la monarchie; le Général permit de plus à ses soldats d'exercer toute sorte de violences et d'indignités contre les sujets et le peuple; de sorte que l'on ne peut penser sans effroy à tout ce que les avgans eurent à souffrir de la part des Georgiens: les peres et meres n'étant plus maîtresse de leurs filles, et de leurs garçons non plus avec les maris de leurs femmes; les marchands de leurs effets et de leur argent, ni mesme les habitans surs de leur propre vie. Ils gemirent sous un si dur esclavage jusqu'au retour de Mirveis d'Isphahan car celuy cy ayant gagné partie par son eloquence, et partie par de riches presens pour la valeur de 600 m. escus, le Narir, ou Intendant de la maison du Roy et le Grand Umeur, l'un et l'autre favoris du Monarque, et ennemis de Gurghin kan; il sut si bien faire par leur canal, que non seulement il fut relaché de sa prison, et declare innocent; mais qu'encore il pût rendre Gurghin kan suspect à la Cour, le faisant envisager comme un homme extrêmement ambitieux et puissant, et à la veille d'abuser de la grande autorité dont on l'avoit revetu: enfin il prit congé de la Cour, et repartit pour Candahar, chargé même d'ordres secrets pour surveiller à la conduite du Vice Roy.

Mirveis donc de retour à Candahar ne s'attacha qu'à dissimuler la haine qu'il portoit en luy même contre le kan, couvrant les mauvaises intentions sous le voile de la soumission et de la flaterie, il n'épargna pas non plus de riches presens, pour corrompre ceux qui avoient plus l'oreille du Général et qui en effect s'employeroient avec succès le faire rentrer en grace auprès de luy: il eut ensuite l'adresse de s'y confirmer par luy mesme, et par des assiduités aussi engageantes que trompeuses, que Gurghin kan s'immaginoit déjà n'avoir point d'amis plus attachés à ses interets que Mirveis.

Cependant celuy cy qui n'étoit attentif qu'à le servir de quelque /expedient/ pour perdre le kan; voulut profiter pour cela de l'occasion que luy en offrirent les habitans de Tinin qui est une descendance de Candahar ceux cy n'ayant pas voulu payer le tribut ordonné au Tresor Royal (sur le pied qu'ils vennoient de le regler avec le Vice Roy) Mirveis se montra fort indigné contre la desobeissance de ces gens là aux ordres du kan et luy persuada d'envoyer son camp volant de Georgiens pour les châtier et les reduire de force à la raison, après avoir puni de mort les plus coupables. Par ces continuelles demonstration

de zele et d'attachement pour la personne du kan, Mirveis acquis un tres grand credit aupres de luy; jusques à mesmes la faveur de luy donner un grand festin sous les tentes proche d'une de ses maisons de campagne, environ à 1 1/2 lieue de la ville, sous pretexte de reconcilier avec luy deux avgans de distinction qui jusques alors s'etoient opiniatrem-t éloigner. Le jour donc de la partie arreté le kan accompagné des principaux Seigns avgans et surtout de Mirveis qui effectoit de luy faire attentivem-t sa cour, monta sur les 7 heures du matin à cheval avec un hoble cortège, pour se rendre au lieu assigné pour le festin; ou le kan arrivé cedant aux instences de ses confidants et de Mirveis, accorda la bienveillance aux sud. deux seigns avgans. Aussitost l'on servit avec beaucoup de magnificence une table ou regnoit également l'abondance et la delicatesse tant des mets que des vins et des liqueurs; a la fin du repas les convies se sentant la tette extremement rechauffée, se firent transporter sous differentes tentes pour y cuver leur vin; mais dès qu'ils furent endormis, on les y alla egorger tous le même temps le kan qui eut le mesme sort que les siens, s'etant reveillé en sursaut au premier bruit, et mit le sabre à la main/ pour deffendre courageusement sa vie contre 50 avgans commandes par Mirveis, dont il en couche 8 par terre; mais enfin cedant à la multitude, qui le cribla de coups de lances il tomba victime à la fureur des avgans, qui aussitost se revetirent des habits des officiers Persiens qu'ils vennoient de massacrer, de meme que Mirveis qui prit ceux du kan, monta son cheval et s'avancerent vers la ville avec le meme ordre que le kan avoit coutume de papoitre en public. Il faut noter que le jour d'auparavant à une heure de nuit Mirveis avoit fait entrer secrettement dans la ville dans divers batteaux, sur la riviere qui la traverse, une quantité de gens de son complot. Les rebelles s'etant approcher de la ville à une heure de nuit, et les gardes de la Porte, qui attendoient le kan de retour de la promenade s'etant presentés à leur rencontre avec des lanternes pour les eclairer; en furent sur le champ mises en pièces: et les avgans entrerent sans aucune resistance dans la ville et faisant main basse sur la gamison Persienne, soutenus par leurs adherans, qui comme l'on vient de le dire cydessus, auroient été introduits la nuit d'auparavant dans la ville à la faveur de la riviere, et qui au premier bruit ayant accouru contribuerent à massacrer entierement les Persans de gamison. Mirveis fit immediatement après publier par le heraut une deffense à qui

que ce fut des habitans de la ville de sortir cette nuit là de sa maison; et lendemain ayant fait paraitre devant luy les principaux de la ville, leur jura par l'Alcoran que ce qu'il vennoit d'executer n'estoit point l'effect de l'ambition qu'il avoit de domner, mais plus tost celuy de son zele qui l'avoit poussé a affranchir sa partie et ses compatriotes de la tyrannie des Persans et des cruautés intolerables qu'ils avoient souffert depuis si long temps de la part de Gurghin kan de detestable memoire que l'on avoit pourtant considerer et avec justice, comme le seul habile Ministre, et le meilleur homme de guerre que la Monarchie persienne eut eu: et qu'ainsy à son defaut, ils pouvoient hardiment prendre les armes, et deffendre leur liberté et leurs vies contre tout attentat de la part de la Cour de Perse, qui n'est devoit estre regardée que comme un ames de gens effeminés sans aucune disposition que pour la sensualité et la debouche, telles qu'il les avoit bien reconnues dans son der voyage à Ispahan et que o'estoit dans cette veui la mesme qu'ils s'estoient engagé à faire perir Gurghin kan; puis qu'après la mort il estoit en droit de les assurer, qu'aucun persien n'auroit plus le Gouvernement de ce Royaume, pour veu qu'il pût s'assurer de son côté du zele et de la fermeté de ses compatriotes à le soutenir dans les occasions contre la violence et l'injustice des Persiens. Toutte l'assemblée applaudit à ce discours, l'appelant le liberateur de la Patrie, et le priant de continuer comme il avoit commencé, a les deffendre contre la tyrannie, luy offrant leurs personnes et leurs biens. Jusquicy Mirveis s'appliquai à faire les dispositions requises pour mettre le royaume en état de deffence.

Trois jours après le grand even-t du massacre du kan, les Tribus Georgiennes, qui auroient été expediées contre celle de Tinn, revinrent de leur expedition chargées de butin et de depouilles; et ne depouilles; et ne scachant rien de l'evenement tragique, s'avancerent vers la ville pour y entrer, mais se voyant recues à coups de canons charger à balle, elles s'immaginerent bien ce qui en pouvoit estre: elles prirent donc le parti de s'en retourner dans leur pais, et après avoir en diverses recon-tres battu et mis en fuite Mirveis qui les harceloit avec 12 m.hommes, elles passerent enfin sans aucune perte le detroit de zebil (qui est une forteresse sit uée à l'entrée du Royaume de Candahar du costé de Corasan que Mirveis avoit abandonné crainte de s'y voir assiegé) et s'en retournerent dans leur pais.

